

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი



# ხუთწიგნეული

თარგმნილი ზურაბ კიკნაძის მიერ

სულხან–საბა ორბელიანის  
სასწავლო უნივერსიტეტი  
თბილისი  
2012

The Pentateuch

Translated by Zurab Kiknadze

Sulkhan-Saba Orbeliani Teaching University

Tbilisi

2012

რედაქტორი  
მერაბ ლალანიძე

ISBN 978-9941-0-5141-8

© ზურაბ კიკნაძე, 2012  
© სულხან-საბა ორბელიანის  
სასწავლო უნივერსიტეტი

## სარჩევი

წიგნი დაბადებისა	7
წიგნი გამოსვლათა	111
წიგნი ლევინთა	200
წიგნი რიცხვთა	262
წიგნი მეორე რჯულისა	351



# წიგნი დაბადებისა

## შესაქმის ექვსი დღე

**1** <sup>1</sup>დასაწყისში შექმნა ღმერთმა ცა და მიწა. <sup>2</sup>და მიწა იყო ფრთონავდა\* წყლებზე. <sup>3</sup>და თქვა ღმერთმა: იყოს ნათელი! და იქმნა ნათელი. <sup>4</sup>და ნახა ღმერთმა, რომ კარგია ნათელი და გაჰყარა ღმერთმა ნათელი და ბნელი. <sup>5</sup>და უწოდა ღმერთმა ნათელს დღე და ბნელს უწოდა ღამე. და იყო საღამო, და იყო დილა — ერთი დღე. და თქვა ღმერთმა: იყოს წყალთა შორის მყარი და გაჰყაროს წყლები. <sup>7</sup>და გააკეთა ღმერთმა მყარი და გაჰყარა ერთმანეთისაგან წყლები, რომლებიც მყარს ქვემოთ არის, და წყლები, რომლებიც მყარს ზემოთ არის. და იქმნა ასე. <sup>8</sup>და უწოდა ღმერთმა მყარს ცა. და იყო საღამო, და იყო დილა — მეორე დღე. <sup>9</sup>და თქვა ღმერთმა: შეიკრიბოს წყლები ცისქვეშეთში ერთგან და გამოიხდეს ხმელეთი. და იქმნა ასე. <sup>10</sup>და უწოდა ღმერთმა ხმელეთს მიწა და წყალთა შესაკრებელს უწოდა ზღვა. და ნახა ღმერთმა, რომ კარგია. <sup>11</sup>და თქვა ღმერთმა: აღმოაცენოს მიწამ მცენარეული — ბალახი, თესლის მთესველი, ხე ნაყოფიერი, თესლოვანი ნაყოფის მომტანი მიწაზე თავისი გვარის მიხედვით. და იქმნა ასე. <sup>12</sup>და წარმოშვა მიწამ მცენარე-

\* ებრ. *მერახეფეთ*.

ული — ბალახი, თესლის მთესველი თავისი გვარის მიხედვით, და ხე, თესლოვანი ნაყოფის მომტანი, თავისი გვარის მიხედვით. და ნახა ღმერთმა, რომ კარგია. <sup>13</sup> და იყო სალამო, და იყო დილა — მესამე დღე. <sup>14</sup> და თქვა ღმერთმა: იყოს მნათობები ცის მყარზე დღისა და ღამის გასაყრელად, დროჟამის ნიშნებად — დღეებისა და წელიწადებისა, <sup>15</sup> და იყვნენ მნათობლებად ცის მყარზე, რომ განათონ მიწა. და იქმნა ასე. <sup>16</sup> და გააჩინა ღმერთმა ორი მთავარი მნათობი — დიდი მნათობი დღის განმგებლად და მცირე მნათობი ღამის განმგებლად — და ვარსკვლავები. <sup>17</sup> და დასხა ისინი ღმერთმა ცის მყარზე, რომ გაენათებინათ მიწა, <sup>18</sup> და განეკოთ დღე და ღამე, და გაეყარათ ნათელი და ბნელი. და ნახა ღმერთმა, რომ კარგია. <sup>19</sup> და იყო სალამო, და იყო დილა — მეოთხე დღე. <sup>20</sup> და თქვა ღმერთმა: აფუთფუთდეს წყალში ქვეწარმავალი, ცოცხალი არსება, მიწის ზემოთ კი, ცის მყარზე, ფრინველმა იფრინოს. და იქმნა ასე. <sup>21</sup> და შექმნა ღმერთმა დიდი თევზები და ყოველი ცოცხალი არსება, მხოხავი, რაც კი წყალში ფუთფუთებს, თავ-თავისი გვარის მიხედვით, და ყოველი ფრთოსანი თავ-თავისი გვარის მიხედვით. და ნახა ღმერთმა, რომ კარგია. <sup>22</sup> და აკურთხა ღმერთმა ისინი და თქვა: ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, და აავსეთ ზღვები, და ფრინველებმა იმრავლონ მიწაზე. <sup>23</sup> და იყო სალამო, და იყო დილა — მეხუთე დღე. <sup>24</sup> და თქვა ღმერთმა: წარმოშვას მიწამ ცოცხალი არსება თავ-თავისი გვარის მიხედვით, პირუტყვი და მხოხავი და მიწის ცხოველი თავისი გვარის მიხედვით. და იქმნა ასე. <sup>25</sup> და გააკეთა ღმერთმა მიწის ცხოველი თავ-თავისი გვარის მიხედვით და პირუტყვი თავ-თავისი გვარის მიხედვით, და მიწაზე მხოხავი თავ-თავისი გვარის მიხედვით. და ნახა ღმერთმა, რომ კარგია. <sup>26</sup> და თქვა ღმერთმა: გავაკეთოთ კაცი\* ჩვენს ხატად, ჩვენს მსგავსებად, და ეპატრონოს ზღვაში თევზს, და ცაში ფრინველს, და პირუტყვს, და მთელს მიწას და ყველა ქვემძრომს, რაც კი მიწაზე დახოხავს.

\* ებრ. ადამ „კაცი“, როგორც არსება.



## ადამის შექმნა

<sup>27</sup> და შექმნა ღმერთმა ადამი\* თავის ხატად, ღვთის ხატად შექმნა იგი, მამრად და დედრად შექმნა ისინი. <sup>28</sup> და აკურთხა ღმერთმა ისინი და უთხრა: ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, და აავსეთ მიწა, და დაეუფლეთ მას, და ეპატრონეთ ზღვაში თევზს, და ცაში ფრინველს, და ყოველ ცოცხალს, რაც კი მიწაზე დახობავს. <sup>29</sup> და თქვა ღმერთმა: აჰა, გაძლევთ თქვენ ყოველ ბალახს, თესლის მთესველს, რაც კი მიწის ზურგზეა, და ყოველ ნაყოფიერ ხეს, თესლის მთესველს. ეს გქონდეთ საჭმელად. <sup>30</sup> და მიწის ყველა მხეცს, და ცის ფრინველს, და ყველა ქვემძრომს, რასაც კი სიცოცხლის სული უდგას, მწვანე ბალახი ჰქონდეს საჭმელად. და იქმნა ასე. <sup>31</sup> და ნახა ღმერთმა ყოველივე, რაც გააჩინა, და აჰა, ძალიან კარგი იყო. და იყო საღამო, და იყო დილა — მეექვსე დღე.

## შესაქმის დასასრული

**2** <sup>1</sup> და გასრულდა ცა და მიწა მთელი მათი მწყობრითურთ. <sup>2</sup> და გაასრულა ღმერთმა მეშვიდე დღეს თავისი საქმე, რაც გააკეთა, და დაისვენა მეშვიდე დღეს ყოველი საქმისაგან, რაც გააკეთა. <sup>3</sup> და აკურთხა ღმერთმა მეშვიდე დღე და წმიდაჰყო იგი, რადგან ამ დღეს დაისვენა ღმერთმა ყოველი საქმისაგან, რასაც ქმნიდა ღმერთი და აკეთებდა.

## ადამი და დედაკაცი სამოთხეში

<sup>4</sup> ეს არის ცისა და მიწის დაბადება მათი შექმნისას, როცა ქმნიდა უფალი ღმერთი მიწას და ცას. <sup>5</sup> და მინდვრის არც ერთი ბუჩქი არ იყო მიწაზე, და მინდვრის არც ერთი ბალახი არ იყო აღმოცენებული, რადგან არ უწვიმებია უფალ ღმერთს მიწაზე

\* ჰა-ადამ, როგორც საკუთარი სახელი.

და კაცი\* არ იყო, რომ მიწისთვის ემსახურა.<sup>6</sup> და ორთქლი აღი-  
 ოდა მიწიდან და რწყავდა მიწის პირს.<sup>7</sup> და გამოსახა უფალმა  
 ღმერთმა ადამი მიწის მტვერისაგან\*\* და შთაბერა მის ნესტოებს  
 სიცოცხლის სუნთქვა და იქცა ადამი ცოცხალ არსებად.<sup>8</sup> და  
 გააშენა უფალმა ღმერთმა ბაღი ედემში, აღმოსავლეთში, და  
 დასვა იქ ადამი, რომელიც გამოსახა.<sup>9</sup> და აღმოაცენა უფალმა  
 ღმერთმა მიწიდან ყოველი ხე, სანახავად საამო და საჭმელად  
 ვარგისი, და ხე სიცოცხლისა შუაგულ ბაღში და ხე კეთილისა  
 და ბოროტის შეცნობისა.<sup>10</sup> და მდინარე მოედინება ედემიდან  
 ბაღის მოსარწყავად, და იქიდან იტოტება და იქმნება ოთხი ნა-  
 კადი.<sup>11</sup> ერთის სახელია ფიშონი. იგი გარს უვლის ხავილას ქვე-  
 ყანას, სადაც ოქროა.<sup>12</sup> და ოქრო იმ ქვეყნისა კარგია. იქ არის  
 ანთრაკი და ზურმუხტის ქვა.<sup>13</sup> და მეორე მდინარის სახელია  
 გიხონი; იგი გარს უვლის მთელს ქუშის ქვეყანას.<sup>14</sup> და მესამე  
 მდინარის სახელია ხიდეკელი. იგი ჩაუდის აშურს. და მეოთხე  
 მდინარეა ფერათი.<sup>15</sup> და აიყვანა ადამი უფალმა ღმერთმა და  
 დასვა იგი ედემის ბაღში მის სამსახურად და დასაცავად.<sup>16</sup> და  
 გააფრთხილა უფალმა ღმერთმა ადამი, უთხრა: ყველა ხის ნა-  
 ყოფი ჭამე ამ ბაღში.<sup>17</sup> ოღონდ კეთილისა და ბოროტის შეცნო-  
 ბის ხის ნაყოფი არ ჭამო, რადგან როგორც კი შეჭამ, მოკვდე-  
 ბით.<sup>18</sup> და თქვა უფალმა ღმერთმა: არ ვარგა ადამის მარტოდ  
 ყოფნა, გავუჩინე შემწე, მის შესაფერს.<sup>19</sup> და გამოსახა უფალ-  
 მა ღმერთმა მიწისაგან ველის ყველა ცხოველი და ცის ყველა  
 ფრინველი და მიჰგვარა ადამს, რომ ენახა, რას დაარქმევდა.  
 რომელ სულდგმულს რას დაარქმევდა ადამი, მისი სახელიც  
 ის იქნებოდა.<sup>20</sup> და დაარქვა ადამმა სახელი ყოველ პირუტყვს  
 და ცის ფრინველს და ველის ყველა ცხოველს. და ადამს არ გა-  
 მოუჩინდა შემწე, მისი შესაფერი.<sup>21</sup> და მიჰგვარა უფალმა ღმერ-  
 თმა ძილქუში ადამს და, როცა დაეძინა, გამოუღო ერთი ნეკნი  
 და მის ადგილას ხორცი ჩაუღო.<sup>22</sup> და ააშენა უფალმა ღმერთმა

\* ადამ

\*\* ებრ. ადამაჰ „მიწა, ნიადაგი“.

ნეკნი, ადამს რომ გამოულო, დედაკაცად და მიუყვანა ადამს. <sup>23</sup>და თქვა ადამმა: ეს კი მართლაც ძვალთა ჩემი ძვალთაგანი და ხორცია ჩემი ხორცთაგანი. დედაკაცი ეწოდოს მას, რაკი კაცისაგან არის გამოღებული\*. <sup>24</sup>ამიტომაც მიატოვებს კაცი თავის მამას და თავის დედას და მიეწებება თავის დედაკაცს და იქნებიან ერთ ხორცად. <sup>25</sup>და შიშველნი იყვნენ ორივენი, ადამი და მისი დედაკაცი, და არ რცხვენოდათ.

### დაცემა

**3** <sup>1</sup>და გველი ყველაზე გონიერი\*\* იყო ველურ ცხოველთა შორის, რომლებიც უფალმა გააჩინა. და უთხრა გველმა დედაკაცს: მართლა გითხრათ ღმერთმა, ბაღის არც ერთი ხის ნაყოფი არ შეჭამოთო? <sup>2</sup>და მიუგო დედაკაცმა გველს: რაც კი ბაღშია, ყველა ხის ნაყოფი გვეჭმევს, <sup>3</sup>ოღონდ შუაგულ ბაღში რომ ხე დგას, იმის ნაყოფს ნუ შეჭამთ, გვითხრა ღმერთმა; არ გაეკაროთ, თორემ მოკვდებითო. <sup>4</sup>და უთხრა გველმა დედაკაცს: არ მოკვდებით. <sup>5</sup>რადგან იცის ღმერთმა, რომ როგორც კი შეჭამთ, თვალი აგეხილებათ და შეიქმნებით ღმერთივით კეთილისა და ბოროტის შემცნობელნი. <sup>6</sup>და დაინახა დედაკაცმა, რომ კარგი იყო საჭმელად ის ხე, რომ თვალწარმტაცი და საამური სანახავი იყო, და მოწყვიტა ნაყოფი და შეჭამა. და მისცა თავის კაცს, მასთან მყოფს, და მანაც შეჭამა. <sup>7</sup>და აეხილა თვალი ორივეს და მიხვდნენ, რომ შიშველნი იყვნენ. და გადააკერეს ლელვის ფოთლები და არდაგები გაიკეთეს. <sup>8</sup>და გაიგონეს ხმა უფალი ღმერთისა, რომელიც საღამო ხანს ბაღში მიმოდიოდა, და დაემალნენ უფალ ღმერთს ადამი და მისი დედაკაცი ბაღის ხეებს შორის. <sup>9</sup>და დაუძახა უფალმა ღმერთმა ადამს და უთხრა: სადა ხარ? <sup>10</sup>და უთხრა: შენი ხმა გავიგონე

\* ებრ. იშ „კაცი“, იშშაჰ „დედაკაცი“, „ცოლი“.

\*\* ებრ. ყარუშ სპეციფიურია ამ მნიშვნელობით. თარგმანი მისდევს სებტუაგინტას: φρονιμαται („უგონიერესი“).

ბაღში და შემეშინდა, შიშველი რომ ვარ, და დავიძალე. <sup>11</sup> და უთხრა: ვინ გითხრა, შიშველი რომ ხარ? იმ ხის ნაყოფი ხომ არ შეჭამე, მე რომ აგიკრძალე? <sup>12</sup> და უთხრა კაცმა: შენ რომ დედაკაცი მომიყვანე, მან მომცა იმ ხის ნაყოფი და მეც შევჭამე. <sup>13</sup> და უთხრა უფალმა ღმერთმა დედაკაცს: ეს რა გააკეთე? და თქვა დედაკაცმა: გველმა შემაცდინა და მეც შევჭამე. <sup>14</sup> და უთხრა უფალმა ღმერთმა გველს: რაკი ეს გააკეთე, წყეულიმც იყავ ყველა პირუტყვს შორის, და ყველა ველურ ცხოველს შორის! მუცლით იარე და მტვერი ჭამე მთელი სიცოცხლე. <sup>15</sup> და მტრობას ჩამოვაგდებ შენსა და დედაკაცს შორის, შენს მოდგმასა და დედაკაცის მოდგმას შორის: ის თავს გაგიჭეჭყავს და შენ ქუსლში დასჭრი! <sup>16</sup> და დედაკაცს უთხრა: სატანჯველს გაგიმრავლებ და გაგიძნელებ ორსულობას, და ტანჯვით შობ შვილებს. და შენი კაცისაკენ გექნება ღტოლვა და ის იბატონებს შენზე. <sup>17</sup> და ადამს უთხრა: რაკი შენს დედაკაცს დაუჯერე და შეჭამე ხის ნაყოფი, რომლის ჭამა აგიკრძალე, მიწა დაიწყევლოს შენს გამო: ტანჯვით ჭამდე მისგან მთელი სიცოცხლე. <sup>18</sup> და ძეძვი და ეკალი აღმოგიცნოს და მინდვრის ბალახი იყოს შენი საჭმელი. <sup>19</sup> პირის ოფლით ჭამდე პურს, ვიდრე მიწად მიიქცეოდე, რადგან მისგან ხარ აღებული, რადგან მტვერი ხარ და მტვრადვე მიიქცევი. <sup>20</sup> და დაარქვა ადამმა თავის დედაკაცს ევა, რადგან იგი გახდა ყოველი ცოცხალის დედა. <sup>21</sup> და გაუკეთა უფალმა ადამს და მის დედაკაცს ტყავის სამოსელი და შემოსა ისინი. <sup>22</sup> და თქვა უფალმა ღმერთმა: აჰა, გახდა ადამი როგორც ერთი ჩვენთაგანი, შემცნობელი კეთილისა და ბოროტისა. და ახლა არ გაიწოდოს ხელი და არ მოწყვიტოს სიცოცხლის ხის ნაყოფიც, და არ შეჭამოს და საუკუნოდ არ იცოცხლოს. <sup>23</sup> და გაუშვა იგი უფალმა ღმერთმა ედემის ბაღიდან, რომ დაემუშავებინა მიწა, საიდანაც იყო აღებული. <sup>24</sup> და განდევნა ადამი და დაადგინა ედემის აღმოსავლეთით ქერუბიმები და ცეცხლოვანი მახვილი სიცოცხლის ხის გზის დასაცავად.

## კაენი და აბელი

**4** <sup>1</sup>და ადამმა შეიცნო ევა, თავისი დედაკაცი. და დაორსულდა და შვა კაენი და თქვა: კაცი შევიძინე\* უფლისაგან. <sup>2</sup>და კიდევ შვა მისი ძმა აბელი. და იყო აბელი მეცხვარე და კაენი მიწის მუშაკი. <sup>3</sup>და გამოხდა ხანი და მიუტანა კაენმა უფალს ძღვენი, მიწის ნაყოფი. <sup>4</sup>და აბელმაც მიართვა თავისი ფარის ნათავარი და რჩეული პირუტყვი. და მოჰხედა უფალმა აბელს და მის ძღვენს. <sup>5</sup>და კაენსა და მის ძღვენს არ მოჰხედა. და ძალზე გამწარდა კაენი და თავი ჩაღუნა. <sup>6</sup>და უთხრა უფალმა კაენს: რად გამწარდი, რად ჩაღუნე თავი? <sup>7</sup>თუ სიკეთის მქნელი ხარ, განა თავაწეული არ უნდა იყო? თუ სიკეთის მქნელი არა ხარ, ცოდვა ჩასაფრებულია კართან. და შენკენ აქვს მას ლტოლვა, და შენ იბატონე მასზე. <sup>8</sup>და უთხრა კაენმა აბელს, თავის ძმას: გავიდეთ ველად. და ველად ყოფნისას თავს დაესხა კაენი აბელს, თავის ძმას, და მოკლა. <sup>9</sup>და უთხრა უფალმა კაენს: სად არის შენი ძმა აბელი? და მიუგო: არ ვიცი. ჩემი ძმის დარაჯი ხომ არა ვარ. <sup>10</sup>და უთხრა ღმერთმა: ეს რა გააკეთე? შენი ძმის სისხლის ხმა მიწიდან შემომღალალებს. <sup>11</sup>ამიერიდან დაწყევლილი ხარ მიწისაგან, რომელმაც გახსნა პირი, რათა მიეღო შენი ძმის სისხლი შენი ხელიდან. <sup>12</sup>და დაამუშავებ მიწას, მაგრამ აღარ მოგცემს იგი თავის ძალას. და მოძრწიალე და მოხეტიალე შეიქნები ქვეყნად. <sup>13</sup>და უთხრა კაენმა უფალს: მძიმეა ჩემი სასჯელი ასატანად. <sup>14</sup>აჰა, მაგდებ დღეს მიწის პირისაგან და უნდა მივეფარო შენს პირს. მოძრწიალე და მოხეტიალე ვიქნები ქვეყნად და ყოველ შემხვედრს შეეძლება ჩემი მოკვლა. <sup>15</sup>და უთხრა უფალმა: ამიტომაც შვიდწილად მიეზღვება კაენის მკვლელს. და დაადო უფალმა ნიშანი კაენს, რომ ვერ მოეკლა იგი ყოველ მის მპოვნელს. <sup>16</sup>და გავიდა კაენი უფლის პირისაგან და დაესახლა ნოდის\*\* ქვეყანაში, ედემის აღმოსავლეთით.

\* ებრ. კანა(ჰ) „შეძენა“.

\*\* ებრ. ნოდ „ხეტიალი“.

## კაენის მოდგმა

<sup>17</sup>და შეიცნო კაენმა თავისი დედაკაცი. და დაორსულდა ქალი და შვა ენოქი. და გახდა ქალაქის მშენებელი და უწოდა ქალაქს თავისი ძის სახელი — ენოქი. <sup>18</sup>და შეეძინა ენოქს ყირადი. და ყირადმა შვა მეხუაელი; და მეხუაელმა შვა მეთუშაელი; და მეთუშაელმა შვა ლამექი. <sup>19</sup>და მოიყვანა ლამექმა ორი დედაკაცი. ერთს სახელად ერქვა ყადა და მეორეს — ცილა. <sup>20</sup>და შვა ყადამ იაბალი, იგი იყო კარავში მცხოვრებთა და მეჯოგეთა მამა. <sup>21</sup>და მის ძმას ერქვა იუბალი და იგი იყო მეჩანგეთა და მესტვირეთა მამა. <sup>22</sup>და შვა ცილამაც — თუბალ-კაენი, რვალი-სა და რკინის საჭურველთა მჭედელი. და თუბალ-კაენის დას ერქვა ნაყამა. <sup>23</sup>და უთხრა ლამექმა თავის დედაკაცებს, ყადას და ცილას: ისმინეთ ჩემი, ლამექის დედაკაცებო, ყურად იღეთ ჩემი ნათქვამი; ჰო, მოვკალი კაცი ჩემდა სატკივრად და ყმაწვილი — ჩემდა ჭირად. <sup>24</sup>თუ შვიდგზის მიეზღვებათ კაენის გამო, ლამექის გამო სამოცდაჩვიდმეთვრის მიეზღვებათ. <sup>25</sup>და კვლავ შეიცნო ადამმა თავისი დედაკაცი და შვა ქალმა ვაჟი და უწოდა შეთი, რადგან: მომმადლაო უფალმა სხვა ნაშიერი ნაცვლად აბელისა, კაენმა რომ მოკლა. <sup>26</sup>და შეთსაც შეეძინა ვაჟი და უწოდა სახელად ენოში. მაშინ დაიწყო უფლის სახელის ხსენება.

## წარღვნამდელი პატრიარქები

**5** <sup>1</sup>ეს არის კაცის წარმოშობის წიგნი. როცა გააჩინა ღმერთმა კაცი, ღვთის მსგავსად შექმნა იგი; <sup>2</sup>მამაკაცად და დედაკაცად გააჩინა ისინი. და აკურთხა და უწოდა მათ სახელად ადამი მათი შექმნის დღეს. <sup>3</sup>და იცოცხლა ადამმა ას ოცდაათი წელი და შეეძინა თავისი მსგავსი და თავისი ხატი, და უწოდა სახელად შეთი. <sup>4</sup>და შეემატა შეთის დაბადების შემდეგ ადამს რვაასი წელი და შვა ძენი და ასულნი. <sup>5</sup>და იყო სრული ხანი ადამისა, რაც იცოცხლა, ცხრაას ოცდაათი წელი და მოკვდა.

<sup>6</sup> და იცოცხლა შეთმა ას ხუთი წელი და შვა ენოში. <sup>7</sup> და იცოცხ-  
 ლა შეთმა ენოშის დაბადების შემდეგ რვაას შვიდი წელი და შვა  
 ძენი და ასულნი. <sup>8</sup> და იყო სრული ხანი შეთისა ცხრაას თორ-  
 მეთი წელი, და მოკვდა. <sup>9</sup> და იცოცხლა ენოშმა ოთხმოცდაათი  
 წელი და შვა კაინანი. <sup>10</sup> და იცოცხლა ენოშმა კაინანის დაბა-  
 დების შემდეგ რვაას თხუთმეტი წელი და შვა ძენი და ასულნი.  
<sup>11</sup> და იყო სრული ხანი ენოშისა ცხრაას ხუთი წელი, და მოკვდა.  
<sup>12</sup> და იცოცხლა კაინანმა სამოცდაათი წელი და შვა მაჰალა-  
 ლეელი. <sup>13</sup> და იცოცხლა კაინანმა მაჰალალეელის დაბადების  
 შემდეგ რვაას ორმოცი წელი და შვა ძენი და ასულნი. <sup>14</sup> და იყო  
 სრული ხანი კაინანისა ცხრაასი წელი, და მოკვდა. <sup>15</sup> და იცოცხ-  
 ლა მაჰალალეელმა სამოცდახუთი წელი და შვა იარედი. <sup>16</sup> და  
 იცოცხლა მაჰალალეელმა იარედის დაბადების შემდეგ რვაას  
 ოცდაათი წელი და შვა ძენი და ასულნი. <sup>17</sup> და იყო სრული ხანი  
 მაჰალალეელისა რვაას ოთხმოცდათხუთმეტი წელი, და მოკვ-  
 და. <sup>18</sup> და იცოცხლა იარედმა ას სამოცდაორი წელი და შვა ენო-  
 ქი. <sup>19</sup> და იცოცხლა იარედმა ენოქის დაბადების შემდეგ რვაასი  
 წელი და შვა ძენი და ასულნი. <sup>20</sup> და იყო სრული ხანი იარედისა  
 ცხრაას სამოცდაორი წელი, და მოკვდა. <sup>21</sup> და იცოცხლა ენოქ-  
 მა სამოცდახუთი წელი და შვა მეთუშალახი. <sup>22</sup> და დადიოდა  
 ღმერთთან ენოქი მეთუშალახის დაბადების შემდეგ სამასი  
 წელი და შვა ძენი და ასულნი. <sup>23</sup> და იყო სრული ხანი ენოქისა  
 სამას სამოცდახუთი წელი. <sup>24</sup> და დადიოდა ღმერთთან ენოქი  
 და აღარ იყო, რადგან წაიყვანა იგი ღმერთმა. <sup>25</sup> და იცოცხლა  
 მეთუშალახმა ას ოთხმოცდახუთი წელი და შვა ლამექი. <sup>26</sup> და  
 იცოცხლა მეთუშალახმა ლამექის დაბადების შემდეგ შვიდას  
 სამოცდათორმეტი წელი და შვა ძენი და ასულნი. <sup>27</sup> და იყო  
 სრული ხანი მეთუშალახისა ცხრაას სამოცდაცხრა წელი, და  
 მოკვდა. <sup>28</sup> და იცოცხლა ლამექმა ას ოთხმოცდაორი წელი და  
 შვა ძე. <sup>29</sup> და დაარქვა მას სახელად ნოე. ასე თქვა: ეს გვანუგე-  
 შებს ჩვენს შრომასა და ჯაფაში ამ მიწაზე, რომელიც დაწყევლა  
 უფალმა. <sup>30</sup> და იცოცხლა ლამექმა ნოეს დაბადების შემდეგ ხუ-

თას ოთხმოცდათხუთმეტი წელი და შვა ძენი და ასულნი. <sup>31</sup>და იყო სრული ხანი ლამექისა შვიდას სამოცდაჩვიდმეტი წელი, და მოკვდა. <sup>32</sup>და ხუთასი წლისა იყო ნოე, როცა შვა სემი, ქამი და იაფეთი.

### კაცობრიობის გადაგვარება

**6** <sup>1</sup>და როცა ადამმა გამრავლება იწყო მიწაზე და ასულე-ბი შეეძინა, <sup>2</sup>დაინახეს ღვთის შვილებმა, რომ მშვენიერი იყვნენ ადამის ასულები და მოჰყავდათ ცოლად, ვისაც ვინ მოეწონებოდა. <sup>3</sup>და თქვა უფალმა ღმერთმა: არ უნდა დარჩეს ჩემი სული ადამში საუკუნოდ, რადგან ხორცია იგი. და იყოს მისი ხანი ასოცი წელი. <sup>4</sup>ბუმბერაგები იყვნენ იმ ხანებში ქვეყანაზე და მას მერეც, როცა ღვთის შვილები შედიოდნენ ადამის ასულებთან, რომელნიც უშობდნენ მათ. ძლიერები იყვნენ ისინი, ძველთაგანვე სახელოვანი ხალხი. <sup>5</sup>და დაინახა უფალმა ღმერთმა, რომ იმატა ადამის ბოროტებამ ქვეყანაზე და რომ ბოროტი იყო მუდამუჟამს მათი ყოველი ბრახვა. <sup>6</sup>და ინანა უფალმა, რომ შექმნა ადამი მიწაზე და შეწუხდა. <sup>7</sup>და თქვა უფალმა: მიწის პირისაგან აღვგვი ადამს, რომელიც შევქმენი, ადამიდან დაწყებული პირუტყვამდე, ქვეწარმავლამდე, და ცის ფრინველამდე, რადგან ვნანობ, რომ გავაჩინე. <sup>8</sup>და ნოეს ეპოვა მადლი უფლის თვალში.

### მართალი ნოე

<sup>9</sup>ეს არის ნოეს წარმოშობა: მართალი, სრული კაცი იყო ნოე თავის თაობაში. ღმერთთან დადიოდა ნოე. <sup>10</sup>და შვა ნოემ სამი ვაჟი: სემი, ქამი და იაფეთი. <sup>11</sup>და წაირყვნა მიწა ღვთის წინაშე და აივსო მიწა ძალმომრეობით. <sup>12</sup>და გადმოხედა ღმერთმა მიწას და, აჰა, წარყვნილიყო იგი, რადგან გაერყვნა ყოველ ხორციელს თავისი ზნე მიწაზე. <sup>13</sup>და უთხრა ღმერთმა ნოეს:



მოაწია ყოველი ხორციელის აღსასრულმა ჩემს წინაშე, რადგან აივსო მიწა მათი ძალმომრეობით და, აჰა, უნდა გავწყვიტო ისინი მთელი მიწითურთ. <sup>14</sup> და გაიკეთე კიდობანი ურთხელი-საგან. ბუდეები გაუკეთე კიდობანს, შიგნით და გარეთ შეფისე. <sup>15</sup> ამგვარი უნდა აავსო იგი: სიგრძით სამასი წყრთა იყოს კიდობანი, სიგანით — ორმოცდაათი წყრთა, სიმაღლით — ოცდაათი წყრთა. <sup>16</sup> სასინათლო გაუკეთე კიდობანს, და ზემოდან ერთ წყრთაზე დაუტანე. და კარი გვერდიდან შეაბი კიდობანს. ქვედა, მეორე და მესამე სართული გაუკეთე. <sup>17</sup> აჰა, მოვავლენ წყლის წარღვნას მიწაზე, რათა გაწყდეს ცისქვეშეთში ყოველი ხორციელი, რომელშიც სიცოცხლის სულია, ყველაფერი, რაც მიწაზეა, უნდა განადგურდეს. <sup>18</sup> შენ კი აღთქმას დაგიდებ და შეხვალთ კიდობანში შენ და შენი შვილები, შენი ცოლი და შენს ძეთა ცოლები. <sup>19</sup> და ყოველი ცხოველისგან, ყოველი ხორციელისგან, ყველა წყვილ-წყვილად შეიყვანე კიდობანში, რათა შენთან ერთად გადარჩნენ. დედალ-მამალი იყოს. <sup>20</sup> ფრთოსნისაგან თავისი გვარის მიხედვით და პირუტყვისაგან თავისი გვარის მიხედვით, ყოველი ქვეწარმავლისაგან თავისი გვარის მიხედვით, ყველა წყვილ-წყვილად შემოვიდეს შენთან კიდობანში, რათა გადარჩნენ. <sup>21</sup> და წაიღე ყოველგვარი საჭმელი, რაც კი იჭმევა. და მოიძარაგე და საჭმელად გქონდეთ შენც და მათაც. <sup>22</sup> და გააკეთა ნოემ. როგორც ღმერთმა ამცნო, ყველაფერი ისე გააკეთა.

**7** <sup>1</sup> და უთხრა უფალმა ნოეს: შედი კიდობანში შენ და მთელი შენი სახლი, რადგან მართალ კაცად გვანი ჩემს წინაშე ამ თაობაში. <sup>2</sup> ყოველი წმიდა პირუტყვისაგან შვიდ-შვიდი წაიყვანე, მამალი და დედალი; ბინძური პირუტყვისაგან — ორ-ორი, მამალი და დედალი; <sup>3</sup> ცის ფრინველისაგანაც შვიდ-შვიდი, მამალი და დედალი, რათა გადარჩეს თესლი მთელს მიწაზე; <sup>4</sup> რადგან შვიდი დღის შემდეგ ორმოც დღესა და ორმოც ღამეს ვაწვიმებ მიწაზე და წარვხოცავ მიწის პირისაგან ყოველ არსებას, რაც კი შემიქმნია. <sup>5</sup> და ყველაფერი ისე გააკეთა ნოემ,

როგორც უფალმა უბრძანა. <sup>6</sup> და ექვსასი წლისა იყო ნოე, როცა წარღვნა მოხდა მიწაზე. <sup>7</sup> და შევიდნენ ნოე და მისი შვილები, მისი ცოლი და მისი შვილების ცოლები კიდობანში, რომ განრიდებოდნენ წარღვნას. <sup>8</sup> სუფთა პირუტყვისაგან და უსურმაგი პირუტყვისაგან, ფრთოსნისაგან და ყოველი ქვეწარმავლისაგან, <sup>9</sup> წყვილ-წყვილად შევიდნენ კიდობანში, დედალ-მამალი, როგორც ამცნო ღმერთმა ნოეს. <sup>10</sup> და შვიდი დღის შემდეგ მოვიდა წარღვნა მიწაზე. <sup>11</sup> ნოეს ცხოვრების მეექვსასე წელს, მეორე თვეს, თვის მეჩვიდმეტე დღეს, ამ დღეს მოსკდნენ დიდი უფსკრულის წყაროები და გაიხსნენ ცათა სარკმლები. <sup>12</sup> და აწვიმდა მიწას ორმოცი დღე და ორმოცი ღამე. <sup>13</sup> სწორედ ამ დღეს შევიდნენ კიდობანში ნოე, სემი, ქამი და იაფეთი — ნოეს შვილები, და მათთან ერთად ნოეს დედაკაცი და მისი შვილების სამი დედაკაცი, <sup>14</sup> ესენი და ყოველი ცოცხალი თავისი გვარის მიხედვით, და ყოველი პირუტყვი თავისი გვარის მიხედვით, და ყოველი მხოხავი, მიწაზე რომ დახოხავს, თავისი გვარის მიხედვით, ყოველგვარი ფრინველი თავისი გვარის მიხედვით, ყოველი ჩიტი, ყოველი ფრთოსანი. <sup>15</sup> და შევიდნენ ნოესთან კიდობანში წყვილ-წყვილად ყოველი ხორციელისაგან, რასაც კი სიცოცხლის სული ედგა. <sup>16</sup> და მოვიდა დედალ-მამალი ყოველი ხორციელისაგან და შევიდა, როგორც ამცნო მას ღმერთმა, და გამოკეტა ისინი უფალმა.

## წარღვნა

<sup>17</sup> და ორმოც დღეს იყო წარღვნა მიწაზე. და ადიდდა წყალი და ასწია კიდობანი, და მოექცა იგი მიწის ზემოთ. <sup>18</sup> და გაძლიერდა წყალი და მეტისმეტად ადიდდა მიწაზე, და გაცურდა კიდობანი წყალზე. <sup>19</sup> და მეტისმეტად მოძძლავრდა წყალი მიწაზე და დაიფარა მაღალი მთები, რაც კი იყო მთელს ცისქვეშეთში. <sup>20</sup> თხუთმეტი წყრთის სიმაღლეზე აიწია წყალმა მათ ზემოთ და დაიფარა მთები. <sup>21</sup> და მოისპო ყოველი ხორციელი,

რაც კი დახოხავდა მიწაზე, ფრინველი, და პირუტყვი, და ცოცხალი არსება და ყოველი ქვეწარმავალი, რომელიც ფუთფუთებს მიწაზე, და ყოველი ადამიანი. <sup>22</sup> ყველაფერი, რასაც კი სიცოცხლის სუნთქვა ჰქონდა ნესტოებში, ყველაფერი, რაც ხმელეთზე იყო, მოკვდა. <sup>23</sup> და აღიგავა ყოველი არსება, რაც კი მიწის პირზე იყო, ადამიანიდან დაწყებული პირუტყვამდე, მხოხავამდე, და ცის ფრინველამდე — ყველაფერი აღიგავა პირისაგან მიწისა. გადარჩნენ მხოლოდ ნოე და მასთან ერთად კიდობანში მყოფნი. <sup>24</sup> და მატულობდა წყალი მიწაზე ას ორმოცდაათი დღე.

### წარღვნის დასასრული

**8** <sup>1</sup> და გაიხსენა ღმერთმა ნოე და ყოველი ცოცხალი, ყოველი პირუტყვი, მასთან ერთად რომ იყო კიდობანში, და მოავლინა ღმერთმა მიწაზე ქარი და დაყუდდა წყალი. <sup>2</sup> და დაიგმანა უფსკრულის წყაროები და ცათა სარკმლები, და შეწყდა წვიმა. <sup>3</sup> და თანდათან მიიქცეოდა წყალი მიწიდან და იკლო წყალმა ას ორმოცდამეათე დღის ბოლოს. <sup>4</sup> და მიადგა კიდობანი მეშვიდე თვეს, თვის მეჩვიდმეტე დღეს არარატის მთებს. <sup>5</sup> და თანდათან იკლებდა წყალი მეათე თვემდე. მეათე თვის პირველ დღეს გამოჩნდა მათათა მწვერვალები. <sup>6</sup> და ორმოცი დღის შემდეგ გააღო ნოემ კიდობნის სარკმელი, რომელიც გააკეთა, <sup>7</sup> და გამოუშვა ყორანი; და მიფრინავდა იგი და უკანვე ბრუნდებოდა, ვიდრე დაშრებოდა წყალი მიწაზე. <sup>8</sup> და გაუშვა მტრედი, რომ გაეგო, თუ დაიკლო წყალმა მიწის პირზე. <sup>9</sup> და ვერ იპოვა მტრედმა ბრტყალის მოსაჭიდი და უკანვე მოუბრუნდა კიდობანში, რადგან ჯერ კიდევ იდგა წყალი მთელს მიწის პირზე. და გაიწოდა ხელი ნოემ, და აიყვანა იგი და შეიყვანა კიდობანში. <sup>10</sup> შვიდ დღეს კიდევ იცადა და ხელახლა გაუშვა მტრედი კიდობნიდან. <sup>11</sup> და დაუბრუნდა მტრედი სალამოჟამს და, აჰა, გეთისხილის ნედლი რტო ეჭირა ნისკარტით. და მიხვ-

და ნოე, რომ დამწდარიყო წყალი მიწაზე. <sup>12</sup> და შვიდ დღეს დაცადა კიდევ და გაუშვა მტრედი და აღარ მობრუნებულა იგი მასთან. <sup>13</sup> და ექვსასმეერთე წელს, პირველი თვის დამდეგს, დაშრა წყალი მიწაზე, და ახადა ნოემ სახურავი კიდობანს და, ხედავს, აჰა, გამშრალია მიწის პირი. <sup>14</sup> და მეორე თვის ოცდამეშვიდე დღეს გამოშრა მიწა. <sup>15</sup> და ელაპარაკა ღმერთი ნოეს სათქმელად: <sup>16</sup> გამოდით კიდობნიდან შენ და შენი დედაკაცი, შენი შვილები და მათი დედაკაცები, <sup>17</sup> ყველა ცხოველი, შენთან მყოფი, ყველა ხორციელი, ფრინველი, პირუტყვი, და ყველა ქვეწარმავალი, მიწაზე მძრომელი, გამოიყვანე შენთან ერთად. და აფუთფუთდნენ მიწაზე, ინაყოფიერონ და გამრავლდნენ ქვეყნად. <sup>18</sup> და გამოვიდა ნოე და მასთან ერთად მისი შვილები, მისი დედაკაცი და მისი შვილების დედაკაცები. <sup>19</sup> ყოველი ცხოველი, ყოველი პირუტყვი, ყოველი ქვეწარმავალი, მიწაზე მძრომელი, ყოველი ფრინველი, თავ-თავისი გვარის მიხედვით გამოვიდა კიდობნიდან. <sup>20</sup> და აუგო ნოემ სამსხვერპლო უფალს, თითო-თითო ამოარჩია ყოველი წმიდა პირუტყვიდან და ყოველი წმიდა ფრინველიდან და აღსავლენად მიიტანა სამსხვერპლობე. <sup>21</sup> და იყნოსა უფალმა კეთილსურნელება და თქვა უფალმა თავისთვის: ამიერიდან აღარ დავწყევლი მიწას ადამის გამო, რადგან ბოროტისკენაა მიდრეკილი ადამის ბრახვა მისი სიყრმიდანვე. მეტად აღარ გავანადგურებ ცოცხალ არსებას, როგორც გავაკეთე. <sup>22</sup> ვიდრე ქვეყანა იარსებებს, არც თესვა და მკა, არც ყინვა და სიციხე, არც ზაფხული და ზამთარი, არც დღე და ღამე, არ გაუქმდება.

### განახლებული სამყარო

**9** <sup>1</sup> და აკურთხა ღმერთმა ნოე და მისი შვილები და უთხრა: ინაყოფიერეთ, იმრავლეთ და აავსეთ მიწა. <sup>2</sup> და თქვენი შიში და ძრწოლა ჰქონდეს მიწის ყოველ მხეცს, ცის ყოველ ფრინველს, ყოველ სულდგმულს, რაც კი იძვრის მიწაზე, და ზღვის ყველა თევზს. თქვენს ხელთ არიან ისინი. <sup>3</sup> ყოველი იძვ-

რისი, რაც კი ცოცხლობს, სატმელად გქონდეთ, როგორც მწვანე ბალახს, ისე გაძლევთ ყველაფერს. <sup>4</sup> ოღონდ ხორციელს ცოცხლად, მის სისხლთან ერთად ნუ შეჭამთ. <sup>5</sup> ოღონდ თქვენს სისხლს თქვენი სიცოცხლის წილ მოვიკითხავ, ყოველ მხეცს მოვკითხავ, თქვენ მოვკითხავთ ერთმანეთის სიცოცხლეს. <sup>6</sup> ვინც ადამიანის სისხლს დაღვრის, ადამიანის მიერვე დაიღვრება მისი სისხლი, რადგან ღვთის ხატად შეიქმნა ადამი. <sup>7</sup> და ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, მოეფინეთ ქვეყანას და გამრავლდით მასზე. <sup>8</sup> და უთხრა ღმერთმა ნოეს და მის შვილებს მასთან ერთად: <sup>9</sup> აჰა, გიდებთ აღთქმას თქვენ და თქვენს შთამომავლობას, <sup>10</sup> და ყოველ სულდგმულს, რომელიც კი თქვენთან არის, ფრინველს, პირუტყვს, მიწის ყოველ მხეცს, ყველას, კიდობნიდან გამოსულს. <sup>11</sup> გიდებთ აღთქმას, რომ აღარ აღგვის ხორციელს წყლის წარღვნა მიწის დასაღუპავად. <sup>12</sup> და თქვა უფალმა ღმერთმა: ეს იყოს ნიშანი აღთქმისა, რომელსაც ვდებ ჩემსა და თქვენს შორის, და თქვენთან მყოფ ყოველ სულდგმულს შორის, თაობიდან თაობამდე, საუკუნოდ. <sup>13</sup> ვდებ ჩემს ცისარტყელას ღრუბელში ნიშნად აღთქმისა ჩემსა და მიწას შორის. <sup>14</sup> როცა მიწას ღრუბლით დავლრუბლავ და გამოჩნდება ღრუბელში ცისარტყელა, <sup>15</sup> მაშინ გავიხსენებ აღთქმას ჩემსა და თქვენს შორის, ყოველ ხორციელ სულდგმულს შორის, და აღარ გადაიქცევა წყალი წარღვნად ყოველი ხორციელის დასაღუპავად. <sup>16</sup> და გამოჩნდება ჩემი ცისარტყელა ღრუბელში, და დავინახავ მას და გავიხსენებ საუკუნო აღთქმას ღმერთსა და ყოველ ხორციელ სულდგმულს შორის, რაც კი მიწაზეა. <sup>17</sup> და უთხრა ღმერთმა ნოეს: ეს იყოს ნიშანი ჩემი აღთქმისა, რომელიც დაგიდევით თქვენ და ყოველ ხორციელს, რაც კი მიწაზეა.

## ნოე და ძენი მისნი

<sup>18</sup> და ესენი იყვნენ ნოეს შვილები, კიდობნიდან რომ გამოვიდნენ: სემი, ხამი და იაფეთი. და ხამი იყო ქანაანის მამამ-

თავარი. <sup>19</sup>ეს სამნი იყვნენ ნოეს შვილები, ისინი განიფანტნენ მთელ ქვეყანაზე. <sup>20</sup>და დაიწყო ნოემ მიწისმუშაკობა და გააშენა ვენახი, <sup>21</sup>და შესვა ღვინო, დათვრა და გაშიშვლდა თავის კარავში. <sup>22</sup>და დაინახა ხამმა, ქანაანის მამამთავარმა, მამის სიშიშვლე და შეატყობინა გარეთ თავის ორ ძმას. <sup>23</sup>და აიღეს სემმა და იაფეთმა სამოსელი, და მოისხეს მხრებზე, და უკუსვლით მივიდნენ და დაფარეს მამის სიშიშვლე. პირი უკან ჰქონდათ მიქცეული და მამის სიშიშვლე არ დაუნახავთ. <sup>24</sup>და გამოეხიზლდა ნოე ღვინისაგან და შეიტყო, როგორ მოეპყრა მას უმცროსი ვაჟი. <sup>25</sup>და თქვა: წყეულიმც იყოს ქანაანი! თავისი ძმების მსახურთა მსახური იყოს! <sup>26</sup>და თქვა: კურთხეულ იყოს უფალი, ღმერთი სემისა! მსახურად გაუხდეს მას ქანაანი! <sup>27</sup>და განუფართოს ღმერთმა იაფეთს, სემის კარვებში დაემკვიდროს! მსახურად გაუხდეს მას ქანაანი! <sup>28</sup>და იცოცხლა ნოემ წარღვნის შემდეგ სამას ორმოცდაათი წელი. <sup>29</sup>და სრული ხანი ნოესი იყო ცხრაას ორმოცდაათი წელი, და მოკვდა.

## ნოეს კაცობრიობა

**10** <sup>1</sup>და ეს არის ნოეს ძეთა წარმოშობა — სემის, ხამისა და იაფეთისა. და შეეძინათ მათ შვილები წარღვნის შემდეგ. <sup>2</sup>იაფეთის ძენი: გომერი, მაგოგი, მადაი, იავანი, თუბალი, მეშექი და თირასი. <sup>3</sup>და გომერის ძენი: აშქენაზი, რიფათი და თოგარამა. <sup>4</sup>და იავანის ძენი: ელიშა, თარშიში, ქითიმი და დოდანიმი. <sup>5</sup>ამათგან განშტოვდნენ ზღვისპირა ხალხები თავ-თავის ქვეყნებში, თითოეული თავისი ენის მიხედვით, თავისი ტომის მიხედვით, თავ-თავის ხალხში. <sup>6</sup>და ხამის ძენი: ქუში, მიცრაიმი, ფუტი და ქანაანი. <sup>7</sup>და ქუშის ძენი: სება, ხავილა, საბთა, რამა და საბთექა. და რამას ძენი: შება და დადანი. <sup>8</sup>და ქუშმა შვა ნებროთი. ამან დაიწყო ძალის გამოჩენა მიწაზე. <sup>9</sup>ის იყო ძლიერი მონადირე უფლის წინაშე. ამიტომაც თქმულა, ნებ-

როთივით ძლიერი მონადირე არისო უფლის წინაშე.<sup>10</sup> და მისი სამეფოს რჩეული ქალაქები იყო: ბაბილონი, ერექი, აქადი და ქალნე, შინყარის მიწაზე.<sup>11</sup> ამ ქვეყნიდან გამოვიდა აშური და ააშენა ნინევე, რებოთ-ქალაქი, ქალახი,<sup>12</sup> და რესენი ნინევესა და ქალახს შორის, დიდი ქალაქი.<sup>13</sup> და მიცრაიმმა შვა ლუდიმი, ყანამიმი, ლეჭაბიმი, ნაფთუხიმი,<sup>14</sup> ფეთრუსიმი და ქასლუხიმი, რომელთაგან ფილისტიმელნი და ქაფთორელნი გამოვიდნენ.<sup>15</sup> და ქანაანმა შვა ციდონი, თავისი პირმშო, და ხეთი,<sup>16</sup> იებუსელნი, ამორეველნი, გირგაშელნი,<sup>17</sup> ხივიელნი, ყარკიელნი, სინაელნი,<sup>18</sup> არვადიელნი, ცემარიელნი და ხამათიელნი. და მერე გაიფანტნენ ქანაანელთა ტომები.<sup>19</sup> და ქანაანელთა საზღვარი იდო ციდონიდან გერარის მიმართულებით ლაზამდე; სოდომისა და გომორის, ადმას და ცინოიმის მიმართულებით ლაშაყამდე.<sup>20</sup> ესენი არიან ქამის ძენი თავ-თავისი ტომის მიხედვით, თავ-თავისი ენის მიხედვით, თავ-თავის ხალხში.<sup>21</sup> და შეეძინა შვილები სემსაც, ყებერის ძეთა მამას, იაფეთის უფროს ძმას.<sup>22</sup> სემის ძენი: ელამი, აშური, არფაქშადი, ლუდი და არამი.<sup>23</sup> და არამის ძენი: ყუცი, ხული, გეთერი და მაში.<sup>24</sup> და არფაქშადმა შვა შალახი, შალახმა შვა ყებერი.<sup>25</sup> და ყებერს შეეძინა ორი ძე, ერთს ერქვა ფელეგი, რადგან მის დროს გაიყო ქვეყანა. და მის ძმას ერქვა იაკტანი.<sup>26</sup> და იაკტანმა შვა აღმოლადი, შალეფი, ხაცარ-მავეთი, იარახი,<sup>27</sup> ჰადორამი, უზალი, დიკლა.<sup>28</sup> ყობალი, აბიმაელი, შება,<sup>29</sup> ოფირი, ხავილა, იობაბი. ესენი ყველანი იაკტანის ძენი არიან<sup>30</sup> და მათი სამკვიდრებელი ვრცელდებოდა მეშადან სეფარის მიმართულებით აღმოსავლეთის მთამდე.<sup>31</sup> ესენი არიან სემის ძენი თავ-თავისი ტომის მიხედვით, თავ-თავისი ენის მიხედვით, თავ-თავის ქვეყანაში, თავ-თავის ხალხში.<sup>32</sup> ეს არის ნოეს ძეთა შთამომავლობა თავ-თავისი მოდგმის მიხედვით, თავ-თავის სახლში. და მათგან განშტოვდნენ ხალხები მიწაზე წარღვნის შემდეგ.

## ბაბილონის გოდოლი

**11** <sup>1</sup>და იყო, მთელ ქვეყანას ერთი ენა ჰქონდა და ერთნაირი სიტყვები. <sup>2</sup>და როცა დაიძრნენ აღმოსავლეთიდან, ჰპოვეს ველი შინყარის ქვეყანაში და იქ დამკვიდრდნენ. <sup>3</sup>და უთხრეს ერთმანეთს: მოდი, მოვზილოთ თიხა და გამოვწვათ. ქვის მაგივრად აგური ჰქონდათ და კირის მაგივრად ფისი. <sup>4</sup>და თქვეს: აბა, ავიშენოთ ქალაქი და გოდოლი და ცას მივუწვდინოთ მისი თხემი და შევიქმნათ სახელი, რომ არ გავიფანტოთ მთელი მიწის ბურგბე. <sup>5</sup>და ჩამოვიდა უფალი, რომ ენახა ქალაქი და გოდოლი, რომელსაც ადამის ძენი აშენებდნენ. <sup>6</sup>და თქვა უფალმა: აჰა, ერთი ხალხია ეს და ერთი ენა აქვს ყველას. ეს საქმე წამოიწყეს და ამიერიდან დაუბრკოლებლივ გააკეთებენ ყველაფერს, რასაც კი განიზრახავენ. <sup>7</sup>აბა, ჩავიდეთ და ავრიოთ იქ მათი ენა, რომ ვერ გაიგონ ერთმანეთის ენა. <sup>8</sup>და გაფანტა ისინი უფალმა იქიდან მთელს მიწაზე და მათაც შეწყვიტეს ქალაქისა და გოდლის შენება. <sup>9</sup>ამიტომ ეწოდა სახელად ბაბილონი, რადგან სწორედ აქ აღრია\* უფალმა მთელი ქვეყნის ენა და აქედან გაფანტა ისინი უფალმა მთელი მიწის ბურგბე.

## სემის მოდგმა

<sup>10</sup>ეს არის სემის შთამომავლობა: ასი წლის იყო სემი, როცა შვა არფაქშადი, წარღვნიდან ორი წლის შემდეგ. <sup>11</sup>და იცოცხლა სემმა არფაქშადის დაბადებიდან ხუთასი წელი და შვა ძენი და ასულნი. <sup>12</sup>და ოცდათხუთმეტი წლის იყო არფაქშადი, როცა შვა შალახი. <sup>13</sup>და იცოცხლა არფაქშადმა შალახის დაბადებიდან ოთხას სამი წელი და შვა ძენი და ასულნი. <sup>14</sup>და ოცდაათი წლისა იყო შალახი, როცა შვა ყებერი. <sup>15</sup>და იცოცხლა შალახმა ყებერის დაბადების შემდეგ ოთხას სამი წელი და შვა ძენი და ასულნი. <sup>16</sup>და ოცდათოთხმეტი წლისა იყო ყებერი, როცა შვა ფალეგი. <sup>17</sup>და იცოცხლა ყებერმა ფალეგის დაბადების შემდეგ

\* ებრ. ბალაღ>ბა(ლ)ბელ.



ოთხას ოცდაათი წელი და შვა ძენი და ასულნი. <sup>18</sup> და ოცდაათი წლისა იყო ფალეგი, როცა შვა რელუ. <sup>19</sup> და იცოცხლა ფალეგმა რელუს დაბადების შემდეგ ორას ცხრა წელი და შვა ძენი და ასულნი. <sup>20</sup> და ოცდათორმეტი წლისა იყო რელუ, როცა შვა სერუგი. <sup>21</sup> და იცოცხლა რელუმ სერუგის დაბადების შემდეგ ორას შვიდი წელი და შვა ძენი და ასულნი. <sup>22</sup> და ოცდაათი წლისა იყო სერუგი, როცა შვა ნახორი. <sup>23</sup> და იცოცხლა სერუგმა ორასი წელი ნახორის დაბადების შემდეგ და შვა ძენი და ასულნი. <sup>24</sup> და ოცდაცხრა წლისა იყო ნახორი, როცა შვა თერახი. <sup>25</sup> და იცოცხლა ნახორმა თერახის დაბადების შემდეგ ას ცხრამეტი წელი და შვა ძენი და ასულნი. <sup>26</sup> და სამოცდაათი წლისა იყო თერახი, როცა შვა აბრამი, ნახორი და ჰარანი. <sup>27</sup> ეს არის თერახის შთამომავლობა: თერახმა შვა აბრამი, ნახორი და ჰარანი, ჰარანმა შვა ლოტი. <sup>28</sup> და მოკვდა ჰარანი მამამისის, თერახის სიცოცხლეში თავის სამშობლო ქვეყანაში, ქალდეველთა ურში. <sup>29</sup> და ითხოვეს ცოლები აბრამმა და ნახორმა. აბრამის ცოლის სახელი იყო სარაი და ნახორის ცოლის სახელი იყო მილქა, ასული ჰარანისა, რომელიც იყო მილქას მამა და ისქას მამა. <sup>30</sup> და იყო სარაი ბერწი, შვილი არ უჩნდებოდა. <sup>31</sup> და მოჰკიდა ხელი თერახმა თავის ძეს აბრამს და თავის შვილის შვილს ლოტს, ჰარანის ძეს, და თავის რძალს სარაის, თავისი ძის აბრამის ცოლს, და გავიდნენ ერთად ქალდეველთა ურიდან ქანანის ქვეყანაში წასასვლელად. და მივიდნენ ხარანში და იქ დასახლდნენ. <sup>32</sup> და თერახის სიცოცხლის ხანი იყო ორასხუთი წელი და მოკვდა თერახი ხარანში.

### აბრამის მოწოდება

**12** <sup>1</sup> და უთხრა უფალმა აბრამს: წადი შენი ქვეყნიდან, შენი სამშობლოდან, მამაშენის სახლიდან იმ ქვეყანაში, რომელსაც მე გიჩვენებ. <sup>2</sup> და შეგქმნი დიდ ხალხად, და გაკურთხებ და განვადიდებ შენს სახელს და კურთხეული იქნები. <sup>3</sup> და

ვაკურთხებ შენს მაკურთხებელს და დავწყევლი შენს მაწყევ-  
ვარს. და კურთხეული იქნება შენით\* მიწის მთელი მოდგმა.  
<sup>4</sup> და წავიდა აბრამი, როგორც უბრძანა მას უფალმა, და წავიდა  
მასთან ერთად ლოტი. სამოცდათხუთმეტი წლისა იყო აბრამი,  
როცა ხარანიდან გავიდა. <sup>5</sup> და წაიყვანა აბრამმა სარაი, თავის  
ცოლი, და ლოტი, თავის ძმისწული, და მთელი ქონება, რაც კი  
მოხვეჭილი ჰქონდათ, და ყოველი სული, ვინც კი ხარანში შე-  
იძინეს, და დაადგნენ ქანაანის ქვეყნის გზას და მივიდნენ ქანა-  
ანის ქვეყანაში. <sup>6</sup> და გაიარა აბრამმა მთელი ის ქვეყანა შექე-  
მამდე, მორეს მუხამდე. ქანაანელნი მკვიდრობდნენ იმხანად  
ქვეყანაში. <sup>7</sup> და გამოეცხადა უფალი აბრამს და უთხრა: შენს  
შთამომავლობას ვაძლევ ამ ქვეყანას. და აუგო იქ სამსხვერ-  
პლო უფალს, რომელიც გამოეცხადა მას. <sup>8</sup> და გაემართა იქე-  
დან მთისაკენ, ბეთილის აღმოსავლეთით, და გაშალა კარავი.  
ბეთილი დასავლეთით ემხრო და ჰალაი აღმოსავლეთით. და  
აუგო იქ სამსხვერპლო უფალს და ახსენა უფლის სახელი. <sup>9</sup> და  
დაიძრა აბრამი სვლად ნეგებისაკენ.

### აბრამი ეგვიპტეში

<sup>10</sup> და იყო შიმშილი ქვეყანაში და ჩავიდა აბრამი ეგვიპტეში  
მდგმურად, რადგან მძვინვარებდა შიმშილი ქვეყანაში. <sup>11</sup> და  
როცა მიუახლოვდა ეგვიპტეს, უთხრა სარაის, თავის ცოლს:  
ვიცი, ლამაზი შესახედავი ქალი ხარ. <sup>12</sup> და იქნება, როცა დაგი-  
ნახავენ ეგვიპტელები, იტყვიან, ამ კაცის ცოლიაო, მე მომკლა-  
ვენ და შენ ცოცხალს დაგტოვებენ. <sup>13</sup> თქვი, რომ და ხარ ჩემი,  
რათა კარგად მომექცნენ შენი გულისათვის და გადავრჩე შენი  
წყალობით. <sup>14</sup> და როცა ჩავიდა აბრამი ეგვიპტეში, დაინახეს  
ეგვიპტელებმა, რომ ძალიან ლამაზი იყო მისი ცოლი. <sup>15</sup> და და-  
ინახეს იგი ფარაონის დიდებულებმა და შეუქეს ფარაონს, და  
წაიყვანეს ქალი ფარაონის სახლში. <sup>16</sup> ხოლო აბრამს კეთილად

\* ან: "შენში".

მოექცნენ მისი გულისათვის. და ჰყავდა მას ცხვარი და საქონელი, სახედრები, მსახურნი და მხევალნი, ჯორები და აქლემები. <sup>17</sup> და დიდად შეაჭირვა უფალმა ფარაონი და მისი სახლი აბრაამის ცოლის სარაის გამო. <sup>18</sup> და მოუხმო ფარაონმა აბრამს და უთხრა: ეს რა მიყავი, რატომ არ გამიმხილე, შენი ცოლი თუ იყო ეს ქალი? <sup>19</sup> რატომ თქვი, ჩემი და არისო? მე კი მის ცოლად შერთვას ვაპირებდი. აჰა, შენი ცოლი, წაიყვანე და წადი. <sup>20</sup> და მიუჩინა ფარაონმა ხალხი და მათაც გაამგზავრეს იგი მისი ცოლითა და მთელი მისი საბადებლითურთ.

### აბრამი და ლოტი

**13** <sup>1</sup> და ამოვიდნენ აბრამი და მისი ცოლი ეგვიპტიდან მთელი ქონებითა და ლოტითურთ ნეგებისაკენ. <sup>2</sup> და ძალზე მდიდარი იყო აბრამი ჯოგითა და ოქრო-ვერცხლით. <sup>3</sup> და წავიდანეგებიდან და იარა ბეთელამდე, იმ ადგილამდე, სადაც ადრე კარავი ედგა ბეთელსა და შალაის შორის, <sup>4</sup> სამსხვერპლომდე, რომელიც ააგო თავდაპირველად. და აქ მოუხმო აბრამმა უფლის სახელს. <sup>5</sup> და ლოტსაც, რომელიც აბრამთან ერთად მგზავრობდა, ჰყავდა ცხვარი და ხვასტაგი\*, და ჰქონდა კარვები. <sup>6</sup> და ვერ იტევდა მათ ის ქვეყანა ერთად საცხოვრებლად, რადგან დიდძალი ქონება ჰქონდათ და არ შეეძლოთ ერთად ცხოვრება. <sup>7</sup> და იყო ცილობა აბრამისა და ლოტის მწყემსებს შორის. და ქანაანელნი და ფერიზველნი ცხოვრობდნენ მაშინ ქვეყანაში. <sup>8</sup> და უთხრა აბრამმა ლოტს: ნუ იქნება ცილობა ჩვენში, ჩემსა და შენს მწყემსებს შორის, რადგან ძმები ვართ ჩვენ. <sup>9</sup> განა შენს წინ არ არის მთელი ეს ქვეყანა? გამეყარე და, თუ შენ მარცხნივ წახვალ, მე მარჯვნივ წავალ, თუ მარჯვნივ წახვალ, მე მარცხნივ წავალ. <sup>10</sup> და გაიხედა ლოტმა და დაინახა, რომ იორდანის მთელი მხარე ცოლარამდე ირწყვებოდა, — ასე იყო, ვიდრე უფალი არ გაანადგურებდა სოდომსა და გომორს — როგორც

\* ებრ. ბაკარ „ხარი და ფური“.

ბალი უფლისა, როგორც ეგვიპტელთა მიწა.<sup>11</sup> და აირჩია ლოტმა იორდანეს მთელი მხარე და დაიდრა ლოტი აღმოსავლეთისაკენ და გაეყარნენ ერთმანეთს.<sup>12</sup> აბრამი დასახლდა ქანაანის ქვეყანაში და ლოტი დასახლდა იმ მხარის ქალაქებში და სოდომამდე დასცა კარვები.<sup>13</sup> და ბოროტები იყვნენ სოდომელი კაცები და დიდად სცოდავდნენ უფალს.<sup>14</sup> და უთხრა უფალმა აბრამს მას შემდეგ, რაც ლოტი გაეყარა: აახილე თვალი და გაიხედე ამ ადგილიდან, სადაც შენ დგახარ, ჩრდილოეთით, სამხრეთით, აღმოსავლეთით და დასავლეთით,<sup>15</sup> რადგან მთელს ამ ქვეყანას, რასაც ხედავ, შენ და შენ შთამომავლობას გაძლევ უკუნისამდე.<sup>16</sup> და მიწის მტვერით ურიცხვს გავხდი შენს თესლს. თუ ვინმე შესძლებს მიწის მტვრის დათვლას, შენი თესლიც დაითვლება.<sup>17</sup> ადექი და მოიარე ამ ქვეყნის სიგრძე და განი, რადგან შენ გაძლევ მას.<sup>18</sup> და აიყარა\* აბრამი, წავიდა და მამრეს მუხნარში დაესახლა, ხებრონის მახლობლად. და იქ აუგო სამსხვერპლო უფალს.

## მეფეთა ბრძოლა

**14** <sup>1</sup>და იყო შინყარის მეფის, ამრაფელის დღეებში, არიოქმა, ელასარის მეფემ, ქედორლალომერმა, ელამის მეფემ, და თიდეყალმა, გოიების მეფემ <sup>2</sup>ბრძოლა გაუმართეს ბერაყს, სოდომის მეფეს, ბირშაყს, გომორის მეფეს, შინეაბს, ადმას მეფეს, შემებერს, ცებოიმის მეფეს და ბედაყის ანუ ცოლარის მეფეს. <sup>3</sup>ყველა ესენი შეიკრიბნენ სიდმის ველზე, სადაც ახლა მლაშე ზღვაა. <sup>4</sup>თორმეტი წელიწადი ემორჩილებოდნენ ქედორლალომერს და მეცამეტე წელს აუჯანყდნენ. <sup>5</sup>და მეთოთხმეტე წელს მოვიდა ქედორლალომერი მისი თანამდგომი მეფეებითურთ და ამოწყვიტეს რაფაიმები აშთორეთკარნაიმში, ზუზიელები ჰამში, ემიელები შავე-კირიათაიმში <sup>6</sup>და ხორიელები სეყირის მთებში ელფარანამდე, უდაბნოს

\* სიტყვ. „აიკარვა“ ანუ აშალა კარავი,

პირას რომ მდებარეობს. <sup>7</sup>და უკან მობრუნებისას მივიდნენ ყენ-მიშფატთან, აწინდელ კადეშთან, და დაარბიეს ყამალეკის მინდვრები და ამორეველნიც, ხაცაცონ-თამარის კვიდრნი. <sup>8</sup>და გამოვიდნენ სოდომის მეფე, გომორის მეფე, ადმას მეფე, ცებოიმის მეფე, ბელაყის ანუ ცოლარის მეფე და ბრძოლა გაუმართეს სიდიმის ველზე <sup>9</sup>ქედორლალომერს, ელამის მეფეს, თიდყალს, ცებოიმის მეფეს, ამრაფელს, შინყარის მეფეს და არიოქს, ალასარის მეფეს — ხუთმა მეფემ ოთხ მეფეს. <sup>10</sup>და იყო სიდიმის ველზე უამრავი ფისის ჭა და უკუიქცნენ სოდომისა და გომორის მეფეები და შიგ ჩაცვივდნენ, დანარჩენები მთებს შეეხიზნენ. <sup>11</sup>და წაიღეს სოდომისა და გომორის მთელი ქონება და მთელი მათი სარჩო და წავიდნენ. <sup>12</sup>და წაიყვანეს მისი ქონებითურთ ლოტიც, აბრამის ძმისწული, სოდომში რომ ცხოვრობდა, და წავიდნენ. <sup>13</sup>და მოვიდა ერთი ლტოლვილი და ამბავი მოუტანა აბრამ ებრაელს. მაშინ იგი ამორეველი კაცის, ეშქოლისა და ყანერის ძმის, მამრეს მუხნარში ესახლა. ესენი აბრამის მოკავშირენი იყვნენ. <sup>14</sup>და შეიტყო აბრამმა, რომ მისი ძმა ლოტი დაატყვევეეს, და აღჭურვა თავის სახლში დაბადებული სამას თვრამეტი გამოცდილი კაცი და სდია დანამდე. <sup>15</sup>და გაიყვნენ ღამით ის და მისი მსახურნი, და დაამარცხეს და სდიეს ხობამდე, დამასკოს მარცხნივ რომ არის. <sup>16</sup>და დაიბრუნა მთელი ქონება, დაიბრუნა ლოტიც, თავისი ძმა, მისი ქონებითურთ, ქალებიცა და ხალხიც.

### მელქიცედეკი, მეფე სალემისა

<sup>17</sup>და გამოვიდა სოდომის მეფე, რომ შეგებებოდა მას ქედორლალომერზე და მის თანამდგომ მეფეებზე გამარჯვების შემდეგ შავეს ველზე, რომელსაც ახლა მეფის ველი ეწოდება. <sup>18</sup>და მელქიცედეკმა, სალემის მეფემ, გამოუტანა პური და ღვინო. და იყო იგი მაღალი ღმერთის მღვდელი. <sup>19</sup>და აკურთხა აბრამი და უთხრა: კურთხეულია აბრამი მაღალი ღმერთის წი-

ნაშე, ცისა და მიწის შემოქმედისა! <sup>20</sup> და კურთხეულია მაღალი ღმერთი, რომელმაც ხელში ჩაგაგდებინა შენი მტრები! და მისცა მას მეთაური ყველაფრიდან. <sup>21</sup> და უთხრა სოდომის მეფემ აბრამს: მომეცი ხალხი, ქონება შენთვის დაიტოვე. <sup>22</sup> და უთხრა სოდომის მეფეს აბრამმა: უზენაეს ღმერთს ვფიცავ, ცისა და მიწის შემოქმედს, <sup>23</sup> თუ ძაფი ან ფეხსამოსის თასმა ავილო იქიდან, რაც შენ გეკუთვნის. არ გათქმევინებ, მე გავამდიდრეო აბრამი, <sup>24</sup> იმის გარდა, რაც კაცებმა შეჭამეს და რაც ჩემთან წამოსულ კაცებს ერგოთ წილად — ყანერს, ეშქოლს და მამრეს, მათ წაიღონ თავიანთი წილი.

### უფლის აღთქმა აბრამისადმი

**15** <sup>1</sup> ამ ამბების შემდეგ იყო უფლის სიტყვა აბრამის მიმართ ხილვაში: ნუ გეშინია! მე ვარ ფარი შენი! დიდზე დიდი იქნება შენი საზღაური. <sup>2</sup> და უთხრა აბრამმა: უფალო ღმერთო, რა უნდა მომცე? უშვილოდ გადავდივარ და ჩემი სახლის მოურავი დამასკოელი ელიაზარია. <sup>3</sup> და უთხრა აბრამმა: შთამომავლობა არ მოგიცია ჩემთვის, და, აჰა, ჩემი სახლის შვილი გახდება ჩემი მემკვიდრე. <sup>4</sup> და, აჰა, უფლის სიტყვა იყო მის მიმართ: არ იქნება იგი შენი მემკვიდრე. მხოლოდ შენი წიალიდან გამოსული იქნება შენი მემკვიდრე. <sup>5</sup> და გარეთ გაიყვანა და უთხრა: ახედე ცას და დათვალე ვარსკვლავები, თუ შეგიძლია მათი დათვლა. და უთხრა: ამდენი იქნება შენი თესლი. <sup>6</sup> და ერწმუნა უფალს და მან ეს სიწრფელეში ჩაუთვალა მას. <sup>7</sup> და უთხრა: მე ვარ უფალი, რომელმაც გამოგიყვანე ქალდეველთა ურიდან, რომ დასამკვიდრებლად მოგცე ეს ქვეყანა. <sup>8</sup> და უთხრა აბრამმა: უფალო ღმერთო, როგორ მივხვდე, რომ დავიმკვიდრებ მას? <sup>9</sup> და უთხრა: მომიყვანე სამი წლის ხბო, სამი წლის თხა, სამი წლის ცხვარი, გვრიტი და მტრედის ხუნდი. <sup>10</sup> და აიღო ეს ყველაფერი, შუაზე გახლიჩა და ერთმანეთს მიუწყო ნახლეჩები, ოღონდ ფრინველები არ დაუხლიჩავს. <sup>11</sup> და დააც-

ხრნენ სვავები მძორებს და უგერიებდა მათ აბრამი.<sup>12</sup> და როცა მზე ჩადიოდა, ძილქუში დაეცა აბრამს, და, აჰა, დიდმა შიშმა და წყვდიადმა მოიცვა იგი.<sup>13</sup> და უთხრა უფალმა აბრამს: იცოდე, მდგმური იქნება შენი შთამომავლობა არა მათ ქვეყანაში. და დაიმონებენ მათ და დაჩაგრავენ მათ ოთხასი წელი.<sup>14</sup> იმ ხალხს კი, ვისი მონებიც გახდებიან, მე განვსჯი. და შემდგომ ამისა დიდძალი ქონებით გამოვლენ უკან.<sup>15</sup> შენ კი მშვიდობით მიხვალ შენს მამა-პაპასთან, ტკბილ სიბერეს მიწევნული დაიმარხები.<sup>16</sup> და მეოთხე თაობაში მობრუნდებიან აქეთ, როცა აივსება ამორეველების უკეთურებათა საწყაული.<sup>17</sup> მზე რომ ჩავიდა და სიბნელე ჩამოწვა, აჰა, აკვამლებული თონე, და ცეცხლის აღმა გაიარა ნახლეჩებს შორის.<sup>18</sup> ამ დღეს დაუდო უფალმა აღთქმა აბრამს და უთხრა: შენს შთამომავლობას ვაძლევ ამ ქვეყანას ეგვიპტის მდინარიდან დიდ მდინარემდე, ევფრატის მდინარემდე —<sup>19</sup> ქვეყანას კენელთა, კენიზელთა, კადმონელთა,<sup>20</sup> ხეთელთა, ფერიზელთა, რაფაელთა,<sup>21</sup> ამორეველთა, ქანაანელთა, გირგაშელთა და იებუსელთა.

### ისმაელის დაბადება

**16** <sup>1</sup>და სარაის, აბრამის ცოლს, არ უშვია მისთვის და ჰყავდა მას ერთი ეგვიპტელი მხევალი, სახელად ჰაგარი.<sup>2</sup> და უთხრა სარაიმ აბრამს: აჰა, დამხმა უფალმა, რომ არა ვშობო. შედი ჩემს მხევალთან, ვინძლო გავშვილიანდე მისგან. და ისმინა აბრამმა სარაის ხმა.<sup>3</sup> და ადგა სარაი, აბრამის ცოლი, და მისცა ეგვიპტელი ჰაგარი, თავისი მხევალი, ცოლად აბრამს, თავის ქმარს, ქანაანის ქვეყანაში მისი დასახლების ათი წლის თავზე.<sup>4</sup> და შევიდა აბრამი ჰაგართან და დაორსულდა ჰაგარი. და როცა შეიტყო, რომ ორსულად იყო, დამცირდა მის თვალში მისი ქალბატონი.<sup>5</sup> და უთხრა სარაიმ აბრამს: შენზეა ჩემი შეურაცხყოფა. მოგიწვინე ჩემი მხევალი და, როცა შეატყო, რომ ორსულადაა, დავმცირდი მის თვალში. უფალმა განსაჯოს ჩემსა და შენს შორის.<sup>6</sup> და უთხრა აბრამმა სარაის: აჰა, შენს ხელ-

თაა შენი მხევალი. როგორც გენებოს, ისე მოექეცი. და დაუწყო სარაიმ ჩაგვრა და გაექცა მას ჰაგარი. <sup>7</sup> და ნახა იგი უფლის ანგელოზმა წყლის ტასთან უდაბნოში, ტასთან, შურის გზაზე რომ არის. <sup>8</sup> და უთხრა: ჰაგარ, სარაის მხევლო, საიდან მოდიხარ და სად მიდიხარ? და თქვა: სარაის, ჩემს ქალბატონს გავურბივარ. <sup>9</sup> და უთხრა მას უფლის ანგელოზმა: გაბრუნდი შენს ქალბატონთან და ქედი მოიხარე მის ხელქვეშ. <sup>10</sup> და უთხრა მას უფლის ანგელოზმა: დიდად გავამრავლებ შენს თესლს და ვერ აღირიცხება სიმრავლის გამო. <sup>11</sup> და უთხრა მას უფლის ანგელოზმა: აჰა, ორსულად ხარ და შობ ვაჟს, და ისმაელს დაარქმევ სახელად, რადგან მოჰხედა უფალმა შენს ჩაგვრას. <sup>12</sup> და კანჯარი იქნება იგი ადამიანთა შორის. მისი ხელი ყველას წინააღმდეგ და ყველას ხელი მის წინააღმდეგ! და თავის ძმათა პირისპირ იცხოვრებს იგი. <sup>13</sup> და მოუხმო სახელს უფლისა, რომელიც ელაპარაკებოდა: შენა ხარ ღმერთი, ჩემი მხილველი, რადგან თქვა: განა აქაც არ ვიხილე კვალი ჩემი მხილველისა? <sup>14</sup> ამიტომ შეარქვეს ამ ტას ბერ-ლახაი-როი. კადეშსა და ბარედს შორის მდებარეობს იგი. <sup>15</sup> და უშვა ჰაგარმა აბრამს ვაჟი და დაარქვა სახელად აბრამმა თავის ვაჟს, რომელიც ჰაგარმა უშვა, ისმაელი. <sup>16</sup> და ოთხმოცდაექვსი წლის იყო აბრამი, როცა ისმაელი უშვა ჰაგარმა აბრამს.

### აღთქმა და წინადაცვეთა აბრამი

**17** <sup>1</sup> და იყო აბრამი ოთხმოცდაცხრამეტი წლისა, როცა გამოეცხადა უფალი აბრამს და უთხრა: მე ვარ ღმერთი ძლიერი. იარე ჩემს წინაშე და წრფელი იყავი. <sup>2</sup> და დავდებ აღთქმას ჩემსა და შენს შორის და დიდად, დიდად გავამრავლებ. <sup>3</sup> და პირქვე დაემხო აბრამი და ელაპარაკა მას ღმერთი სათქმელად: <sup>4</sup> მე ვარ და, აჰა, ჩემი აღთქმაც შენთან: უამრავ ხალხთა მამა შეიქნები! <sup>5</sup> აღარ გერქვას ამიერიდან სახელად



აბრაამი\*, არამედ აბრაამი\*\* იყოს შენი სახელი, რადგან უამრავ ხალხთა მამად გაქცევ. <sup>6</sup> და დიდად, დიდად გაგამრავლებ, ხალხებად გაქცევ და მეფენი გამოვლენ შენგან. <sup>7</sup> და დავდებ აღთქმას ჩემსა და შენს შორის და შენს შთამომავლობას შორის თაობიდან თაობამდე, საუკუნო აღთქმას, რომ შენი და შენი შთამომავლობის ღმერთი ვიქნები. <sup>8</sup> და მოგცემ შენ და შენს შთამომავლობას შენი მდგმურობის ქვეყანას, ქანაანის მთელს ქვეყანას, საუკუნო საკუთრებად, და თქვენი ღმერთი ვიქნები. <sup>9</sup> და უთხრა ღმერთმა აბრაამს: ოღონდ დაიცავით ჩემი აღთქმა შენ და შენმა შთამომავლობამ თაობიდან თაობამდე. <sup>10</sup> ეს არის აღთქმა, რომელიც უნდა დაიცვათ, აღთქმა ჩემსა და თქვენს შორის და შენს შთამომავლობას შორის თაობიდან თაობამდე. წინადაცვითოს თქვენში ყოველმა მამაკაცმა. <sup>11</sup> და დაიცვითეთ ჩუხა და ეს იყოს ნიშნად აღთქმისა ჩემსა და თქვენს შორის. <sup>12</sup> რვა დღისამ წინადაცვითოს თქვენში ყოველმა მამაკაცმა თაობიდან თაობამდე, სახლში დაბადებულმა და უცხოელისგან ვერცხლით ნაყიდმა, რომელიც შენი თესლისაგან არ არის. <sup>13</sup> და წინადაცვითოს შენს სახლში დაბადებულმა და შენი ვერცხლით ნაყიდმა. და იყოს ჩემი აღთქმა თქვენს ხორცში საუკუნო აღთქმად. <sup>14</sup> და წინადაუცვეთელი მამაკაცი, რომელსაც არ დაუცვითავს მერვე დღეს ჩუხა, მოიკვეთოს თავისი ხალხიდან, რადგან დაარღვია ჩემი აღთქმა. <sup>15</sup> და უთხრა ღმერთმა აბრაამს: სარაის, შენს ცოლს, აღარ ერქვას სახელად სარაი, არამედ სარა იყოს მისი სახელი. <sup>16</sup> და ვაკურთხებ მას და ძესაც შეგძენ მისგან. და ვაკურთხებ და გახდება ხალხების დედა და ხალხთა მეფეები წარმოიშვებიან მისგან. <sup>17</sup> და პირქვე დაემხო აბრაამი და გაიცინა, და გულში თქვა: ნუთუ შვილი შეეძინება ასი წლის კაცს? ნუთუ შვილს დაბადებს ოთხმოცდაათი წლის სარა? <sup>18</sup> და უთხრა აბრაამმა ღმერთს: ნეტავ ისმეაღმა იცოცხლოს შენს წინაშე. <sup>19</sup> და უთხრა ღმერთმა: სწორედ სარა, შენი

\* ებრ. აბ რამ „მამა მალალი“.

\*\* ებრ. აბ რაჰამ „მრავლისა“.

ცოლი, გიშობს ძეს და დაარქმევ სახელად ისაკს. და აღვუდგენ მას ჩემს აღთქმას საუკუნო აღთქმად მისი შთამომავლობისათვის. <sup>20</sup> და ისმაილის გამო გისმინე. აჰა, ვაკურთხე იგი და ნაყოფიერს გავხდი და დიდად, დიდად გავამრავლებ. თორმეტ ბელადს წარმოშობს და დიდ ხალხად ვაქცევ. <sup>21</sup> ჩემს აღთქმას აღვუდგენ ისაკს, რომელსაც სარა გიშობს გაისად, ამ დღეის სწორს. <sup>22</sup> და შეწყვიტა ლაპარაკი და განეშორა ღმერთი აბრაამს. <sup>23</sup> და ადგა აბრაამი და დაუცვითა ჩუხა თავის ძეს ისმაელს, თავის სახლში დაბადებულებს და ყველას, ვინც კი ვერცხლით ჰყავდა ნაყიდი, ყველა მამაკაცს, აბრაამის სახლში მყოფს, სწორედ იმ დღეს, როცა ღმერთი ელაპარაკა მას. <sup>24</sup> და ოთხმოცდაცხრამეტი წლის იყო აბრაამი, როცა დაიცვითა ჩუხა, <sup>25</sup> და ისმაელი, მისი ძე, ცამეტი წლის იყო, როცა დაიცვითა ჩუხა. <sup>26</sup> ერთ დღეს დაიცვითეს აბრაამმა და მისმა ძემ ისმაელმა, <sup>27</sup> და მისი სახლის ყველა კაცმა, მის სახლში დაბადებულმა თუ უცხოელთაგან ვერცხლით ნაყიდმა, დაიცვითეს მასთან ერთად.

## სამი სტუმარი მამრეს მუხასთან

**18** <sup>1</sup> და გამოეცხადა მას უფალი მამრეს მუხნართან, როცა კარვის კართან იჯდა დღის პაპანაქებაში. <sup>2</sup> და გაიხედა და ხედავს, სამი კაცი დგას მის შორიახლო. და დაინახა და გაიქცა კარვის კარიდან მათ მისაგებებლად და მდაბლად თაყვანი სცა. <sup>3</sup> და უთხრა: ბატონო, თუ რამ მაღლი ვპოვე შენს თვალში, გვერდს ნუ აუვლი შენი მსახურის კარს. <sup>4</sup> მცირეოდენ წყალს მოიტანენ და ფეხს დაგბანენ, მერე მოისვენეთ ხის ქვეშ. <sup>5</sup> და პურის ნატეხს მოვიტან და დანაყრდით, მერე კი წადით თქვენს გზაზე, რაკილა თქვენი მსახურის კარზე გამოიარეთ. და უთხრეს: გააკეთე, რასაც ამბობ. <sup>6</sup> და გაიქცა აბრაამი კარავში სარასთან და უთხრა: აბა, ისწრაფე, სამი სეა გამტკიცული ფქვილი მოზილე და ხმიადები დააცხვე. <sup>7</sup> და საქონლისაკენ გაიქცა აბრაამი და გამოიყვანა ჩვილი, საღი ხბო და მსახურ

ბიჭს მისცა და ისიც სასწრაფოდ შეუდგა მის გამზადებას. <sup>8</sup>და გამოიტანა ერბო და რძე, გამზადებული ხბოს ხორცი და წინ დაუწყო. და იდგა იგი მათ ახლოს ხის ძირას და ჭამდნენ ისინი. <sup>9</sup>და უთხრეს: სად არის სარა, შენი ცოლი? და უთხრა: აქ არის, კარავში. <sup>10</sup>და თქვა ერთმა: დავბრუნდები შენთან გაისად, ამ დროს, და, ნახავ, ძე ეყოლება სარას, შენს ცოლს. და სარა კარვის კარს უკან იდგა და ყველაფერი ესმოდა. <sup>11</sup>და მოხუცებული იყვნენ აბრაამი და სარა, ხანში შესულნი. დედათა წესი შეწყვეტილი ჰქონდა სარას. <sup>12</sup>და გაიცინა გულში სარამ, თქვა: რა სიამე უნდა განვიცადო, როცა დავბერდი? და ჩემი ქმარიც მოხუცებულია. <sup>13</sup>და უთხრა უფალმა აბრაამს: რა იყო, რომ გაიცინა სარამ და თქვა: ნუთუ მართლა ვშობ სიბერეშიო? <sup>14</sup>რა არის უფლისათვის შეუძლებელი? დათქმულ ჟამს, გაის ამ დროს, დავბრუნდები შენთან და, ნახავ, ძე ეყოლება სარას. <sup>15</sup>და უარყო სარამ, თქვა: არ გამიცინიაო, რადგან შეეშინდა. და უთხრა: არა, გაიცინე. <sup>16</sup>და ადგნენ იქიდან ეს კაცები და სოდომისაკენ გაემართნენ. და აბრაამი გაჰყვა გასაცილებლად. <sup>17</sup>და თქვა უფალმა: დავუმალო აბრაამს, ჩემს მსახურს, რის გაკეთებასაც ვაპირებ? <sup>18</sup>აბრაამი ხომ ნამდვილად დიდი და ძლიერი ხალხი გახდება, და ქვეყნის ყველა ხალხი კურთხეული იქნება მისით\*, <sup>19</sup>რადგან ვიცი, რომ ამცნებს იგი თავის შვილებსა და თავის სახლს თავის შემდგომ, რომ დაიცვან უფლის გზა, მოიქცნენ სიმართლით და სამართლიანად, რათა აუხდინოს უფალმა აბრაამს ყველაფერი, რაც ნათქვამი აქვს მასზე.

### აბრაამი ესარჩლება სოდომელ მართალთ

<sup>20</sup>და თქვა უფალმა: გახშირდა სამდურავი სოდომსა და გომორზე და ძალზე დამძიმდა მათი ცოდვები. <sup>21</sup>ჩავალ და ვნახავ, საქმით დაიმსახურეს თუ არა სამდურავი, ჩემამდე რომ მოაწია. <sup>22</sup>და გაბრუნდა იქიდან ორი კაცი და წავიდა სოდომს, და

\* ან: „მასში“.

აბრაამი კვლავ იდგა უფლის წინაშე. <sup>23</sup> და მიეახლა აბრაამი და უთხრა: ნუთუ მართალ კაცს ბოროტეულთან ერთად დაღუპავ? <sup>24</sup> იქნებ აღმოჩნდეს ორმოცდაათი მართალი მაგ ქალაქში? ნუთუ დაღუპავ და არ შეიწყალებ მაგ ადგილს ორმოცდაათი მართლის გულისათვის, მანდ რომ არიან? <sup>25</sup> არ ეგების შენგან ეს საქმე, რომ მოაკვდინო მართალი ბოროტეულთან ერთად და არ იყოს გარჩევა მართალსა და ბოროტეულს შორის. არ ეგების! არ იქნება, რომ მთელი ქვეყნის მსაჯულმა სამართლიანად არ განსაჯოს. <sup>26</sup> და უთხრა უფალმა: თუ ვპოვე სოდომში ორმოცდაათი მართალი, შუაგულ ქალაქში, შევიწყალებ მთელს მაგ ადგილს მათი გულისათვის. <sup>27</sup> და მიუგო აბრაამმა და უთხრა: აჰა, გავბედე უფალთან ლაპარაკი მე, მტვერმა და ნაცარმა: <sup>28</sup> ორმოცდაათს რომ ხუთი დააკლდეს, ნუთუ დაღუპავ ამის გამო მთელ ქალაქს? და უთხრა: არ დავღუპავ, თუ ვპოვე იქ ორმოცდახუთი. <sup>29</sup> და განაგრძო ლაპარაკი აბრაამმა და უთხრა: ორმოცი რომ აღმოჩნდეს იქ? და უთხრა: არ გავაკეთებ იმ ორმოცის გულისათვის. <sup>30</sup> და თქვა აბრაამმა: ნუ გამიწყრება უფალი და ვიტყვი: ოცდაათი რომ აღმოჩნდეს? და უთხრა: არ გავაკეთებ ამას, თუ ვპოვე ოცდაათი. <sup>31</sup> და თქვა აბრაამმა: აჰა, გავბედე უფალთან ლაპარაკი. ოცი რომ აღმოჩნდეს? და უთხრა: არ დავღუპავ იმ ოცის გულისათვის. <sup>32</sup> და უთხრა აბრაამმა: ნუ გამიწყრება უფალი და ამ ერთხელაც ვიტყვი: ათი რომ აღმოჩნდეს იქ? და უთხრა: არ დავღუპავ იმ ათის გულისათვის. <sup>33</sup> და წავიდა უფალი, როგორც კი შეწყვიტა ლაპარაკი აბრაამთან. და აბრაამი დაბრუნდა თავის ადგილზე.

## სოდომის დაქცევა

**19** <sup>1</sup> და მივიდა ორი ანგელოზი სოდომში საღამო ხანს, როცა სოდომის კარიბჭესთან იჯდა ლოტი. და დაინახა ისინი ლოტმა, და წამოდგა მათ შესახვედრად და მდაბლად თაყვანი სცა <sup>2</sup> და უთხრა: აქეთ, ჩემო ბატონებო, შემოუხვიეთ თქვენი მსა-

ხურის სახლში. ღამეს გაათევთ და ფეხს დაიბანთ, და დილით ადგებით და თქვენს გზაზე წახვალთ. და უთხრეს: არა, ქუჩაში გავათევთ ღამეს.<sup>3</sup> და არ მოეშვა, და მათაც შეუხვიეს მის სახლში. და გაუმზადა სასმელი, დაუცხო ხმიადები და ჭამეს.<sup>4</sup> ვიდრე დასაძინებლად დაწვებოდნენ, გარს შემოადგნენ სახლს ქალაქის მკვიდრნი, სოდომელი კაცები — ჭაბუკი თუ მოხუცი, მთელი ხალხი მოადგა ყოველი მხრიდან.<sup>5</sup> და დაუძახეს ლოტს და უთხრეს: სად არიან ის კაცები, წუხელ რომ გესტუმრნენ? გამოიყვანე ჩვენთან, უნდა შევიცნოთ.<sup>6</sup> და გამოვიდა მათთან ლოტი კარის ზღურბლზე და გამოიხურა კარი.<sup>7</sup> და უთხრა: ნუ იბამთ ბოროტებას, ძმებო!<sup>8</sup> აჰა, ორი ქალიშვილი მყავს, რომელთაც მამაკაცი არ იციან. მათ გამოგიყვან და და უყავით, რაც გენებოთ, ოღონდ ამ კაცებს არაფერი ავნოთ, რადგან ჩემს ჭერქვეშ არიან შემოსულნი.<sup>9</sup> და უთხრეს: მოშორდი აქედან! კვლავ უთხრეს: ერთი ვინმე მოსულა აქ მდგმურად და უკვე სამართალს სჯის! ახლა მათზე უარეს საქმეს დაგმართვეთ. და იმძლავრეს ამ კაცზე, ლოტზე, და მიიჭრნენ კარის შესამტვრევად.<sup>10</sup> და გამოიწოდეს ხელი სტუმარმა კაცებმა, და შინ შეიყვანეს ლოტი და ჩაკეტეს კარი.<sup>11</sup> და კაცებს, სახლის შესავლელთან რომ იდგნენ, სიბრმავე მოჭგვარეს დიდიან-პატარიანად და მათ ქანცი გაუწყდათ შესასვლელის ძებნაში.<sup>12</sup> და უთხრეს იმ კაცებმა ლოტს: კიდევ ვინა გყავს აქ? სიძე, ვაჟები და ქალიშვილები, ყველა, ვინც შენიანია ამ ქალაქში, გაიყვანე ამ ადგილიდან,<sup>13</sup> რადგან უნდა გავანადგუროთ ეს ადგილი, რაკი დიდია მათზე სამდურავი უფლის წინაშე, და მოგვავლინა უფალმა მის გასანადგურებლად.<sup>14</sup> და გავიდა ლოტი და ელაპარაკა თავის სასიძოებს, რომელთაც მისი ქალიშვილები უნდა ეთხოვათ და უთხრა: ადექით და გადით ამ ადგილიდან, რადგან ქალაქის განადგურებას აპირებს უფალი. სასიძოებს ეგონათ, ხუმრობსო ლოტი.<sup>15</sup> და განთიადისას ანგელოზებმა დააჩქარეს ლოტი, უთხრეს: ადექი. მოჰკიდე ხელი შენს ცოლს და ორ ასულს აქ რომ არიან, რათა შენც არ დაიღუპო ამ ქალაქის უკეთურობის გამო.<sup>16</sup> და ფეხს ითრევდა

ლოტი და იმ კაცებმაც, რადგან უფალმა დაინდო ლოტი, ხელი ჩასჭიდეს მის ცოლს, მის ორ ასულს, და გაიყვანეს და ქალაქის გარეთ დააყენეს. <sup>17</sup> და როცა ყველანი გარეთ გაიყვანეს, უთხრა ერთმა: თუ გინდა ცოცხალი გადარჩე, უკან არ მოიხედო, არც სადმე გაჩერდე ამ მხარეში. მთას შეეფარე, თორემ დაიღუპები. <sup>18</sup> და უთხრა ლოტმა: არა, უფალო. <sup>19</sup> აჰა, მადლი მიპოვნია შენს მსახურს შენს თვალში, დიდია შენი წყალობა, ჩემდამი რომ მოიღე და გადამარჩინე. მაგრამ მთას ვერ შევეფარები, ვაითუ უბედურებას გადავაწყდე და დავიღუპო. <sup>20</sup> აგერ, ეს ქალაქი უფრო ახლოსაა გასაქცევად, პატარაც არის, იქ შევაფარებ თავს. პატარა ქალაქია, გადავრჩები. <sup>21</sup> და უთხრა: კეთილი, შეგისრულებ ამ სათხოვარსაც: არ დავამხობ ამ ქალაქს, შენ რომ ახსენე. <sup>22</sup> აბა, იჩქარე, შეაფარე იქ თავი, რადგან შენს იქ მისვლამდე ამ საქმეს ვერ აღვასრულებ. ამიტომ ეწოდა ამ ქალაქს სახელად ცოლარი. <sup>23</sup> მზე ამოვიდა ქვეყანაზე და ლოტიც მივიდა ცოლარს. <sup>24</sup> და აწვიმა უფალმა ციდან სოდომს და გომორს გოგირდი და ცეცხლი უფლისაგან. <sup>25</sup> და დაემხო ეს ქალაქები და მთელი მხარე, და ამ ქალაქების მთელი მოსახლეობა და მიწის აღმონაცენი. <sup>26</sup> და უკან მოიხედა ლოტის ცოლმა და იქცა იგი მარილის სვეტად. <sup>27</sup> და წავიდა აბრაამი დილაადრიაანად იმ ადგილისაკენ და დადგა იქ უფლის წინაშე. <sup>28</sup> და გადმოხედა სოდომს და გომორს და მთელს მიწას ირგვლივ, და დაინახა, აჰა, კვამლი ასდის მიწას, როგორც საკირედან ავარდნილი ბოლი. <sup>29</sup> და როცა ამხობდა ღმერთი იმ მხარის ქალაქებს, გაიხსენა ღმერთმა აბრაამი და გაარიდა ლოტი დამხობას, როცა ამხობდა იმ ქალაქებს, სადაც ცხოვრობდა ლოტი.

### მოაბისა და ყამონის წარმოშობა

<sup>30</sup> და აიყარა ლოტი ცოლარიდან და მთაში დასახლდა თავის ორ ქალიშვილთან ერთად, რადგან ცოლარში ცხოვრების ეშინოდა. ერთ გამოქვაბულში დასახლდა თავის ორ ქალიშ-

ვილთან ერთად. <sup>31</sup> და უთხრა უფროსმა უმცროსს: მოხუცია მამაჩვენი და კაცი არ არის ქვეყანაში, რომ შემოვიდეს ჩვენთან როგორც ქვეყნის წესია. <sup>32</sup> მოდი, შევასვათ ღვინო მამაჩვენს და მივუწვეთ, და აღვადგინოთ მამაჩვენისაგან თესლი. <sup>33</sup> და შეასვეს ღვინო მამას იმ ღამით. და მივიდა უფროსი და მიუწვა თავის მამას. მას კი მისი არც დაწოლა გაუგია და არც ადგომა. <sup>34</sup> მეორე დღეს უფროსმა უთხრა უმცროსს: აჰა, ვიწექი წუხელ მამაჩემთან. შევასვათ ღვინო ამ ღამესაც, მიდი და მიუწექი, და აღვადგინოთ მამაჩვენისაგან თესლი. <sup>35</sup> და შეასვეს ღვინო იმ ღამითაც მამას. და ადგა უმცროსი და დაწვა მასთან. მას კი მისი არც დაწოლა გაუგია და არც ადგომა. <sup>36</sup> და დაორსულდა ლოტის ორი ასული მამისაგან. <sup>37</sup> და შვა ძე უფროსმა და უწოდა სახელად მოაბი. იგი არის მოაბელთა მამა დღევანდლამდე. <sup>38</sup> და უმცროსმაც შვა ძე და უწოდა სახელად ბენ-ყამი. იგი არის ყამონიანთა მამა დღევანდლამდე.

### აბრაამის მწირობა გერარში

**20** <sup>1</sup> და დაიძრა იქიდან აბრაამი სამხრეთის ნეგებისაკენ და დასახლდა კადეშსა და შურს შორის, და იყო მდგმურად გერარში. <sup>2</sup> და თქვა აბრაამმა სარაზე, თავის ცოლზე: ჩემი და არის იგი. და გაგზავნა აბიმელექმა, გერარის მეფემ, კაცი და წაიყვანა სარა. <sup>3</sup> და გამოეცხადა ღმერთი აბიმელექს სიზმარში ღამით და უთხრა: მოკვდები ამ ქალის გამო, შენ რომ მოიყვანე, რადგან ქმრიანია იგი. <sup>4</sup> და აბიმელექი არ მიჰკარებია მას. და უთხრა: უფალო, ნუთუ მართალ ხალხს დაღუპავ? <sup>5</sup> განა თავად არ მითხრა, ჩემი და არისო? ქალმაც ხომ მითხრა, ჩემი ძმა არისო იგი? და უთხრა მას ღმერთმა სიზმარში: მეც ვიცი, რომ წრფელი გულით გააკეთე ეს და მეც განგარიდე ცოდვას ჩემს წინაშე. ამიტომ არ მიგაკარე მას. <sup>7</sup> ახლა კი დააბრუნე კაცის ცოლი, რადგან წინასწარმეტყველია იგი და ილოცებს შენთვის, და გადარჩები. და თუ არ დააბრუნებ, იცოდე,



მოკვდებით შენც და ყველა შენიანი. <sup>8</sup> და ადგა დილაადრიაანად აბიმელექი, და უხმო თავის მსახურთ და უამბო მათ მთელი ეს ამბავი. და შეშინდა ხალხი მეტისმეტად. <sup>9</sup> და უხმო აბიმელექმა აბრაამს და უთხრა: ეს რა გვიყავი? რა შეგცოდე, რომ ასეთ დიდ ცოდვაში მაგდებდი მეც და ჩემს სამეფოსაც? ისეთ საქმეს მიპირებდი, რაც არავისთვის უქნიათ ოდესმე. <sup>10</sup> და უთხრა აბიმელექმა აბრაამს: რას ფიქრობდი, ამ საქმეს რომ მიპირებდი? <sup>11</sup> და უთხრა აბრაამმა: ვიფიქრე, ღვთის შიში არ ექნებათ ამ კუთხეში და ჩემი ცოლის გამო მომკლავენ-მეთქი. <sup>12</sup> მართლაც ჩემი და არის ეს ქალი, მამაჩემის ასულია იგი, ოღონდ დედაჩემის ასული არ არის. ამიტომაც ვითხოვე ცოლად. <sup>13</sup> და როცა ღმერთმა მამაჩემის სახლიდან ამახეთიალა, ვუთხარი ქალს: ეს ერთი მადლი მიყავი-მეთქი: რა მხარეშიც არ უნდა მოვხვდეთ, თქვი ჩემზე, ჩემი ძმა არის-თქო იგი. <sup>14</sup> და აიღო და მისცა აბიმელექმა აბრაამს ცხვარი და საქონელი, მსახურნი და მხევალნი და დაუბრუნა სარაც, მისი ცოლი. <sup>15</sup> და უთხრა აბიმელექმა: აჰა, ათასი ვერცხლი მივეცი შენს ძმას. ამან მოგწმინდოს ნამუსი ყველას წინაშე, ვინც შენთან არის. ყველასთან გამართლებული ხარ! <sup>17</sup> და ილოცა აბრაამმა ღვთის წინაშე და განკურნა ღმერთმა აბიმელექი, მისი ცოლი და მისი მხევლები, და ეყოლათ შვილები. <sup>18</sup> რადგან ყველასათვის დაეხშო უფალს საშო აბიმელექის სახლში აბრაამის ცოლის, სარას გამო.

### ისაკის დაბადება

**21** <sup>1</sup> და უფალმა მოხედა სარას, როგორც თქვა. და გაუკეთა უფალმა სარას, როგორც ილაპარაკა. <sup>2</sup> და დაორსულდა სარა და უშვა აბრაამს მისი სიბერის ძე დათქმულ დროს, როგორც უთხრა მას ღმერთმა. <sup>3</sup> და დაარქვა აბრაამმა სახელად ისაკი თავის ძეს, რომელიც შეეძინა მას, რომელიც უშვა მას სარამ. <sup>4</sup> და წინადაცვითა აბრაამმა ისაკი, თავისი ძე, რვა დღისა, როგორც ამცნო მას ღმერთმა. <sup>5</sup> და ასი წლის იყო აბრაამი,



როცა შეეძინა მას ისაკი, თავისი ძე. <sup>6</sup> და თქვა სარამ: დასაცინი გამხადა ღმერთმა. ყოველი მსმენელი გაიცინებს\* ჩემზე. <sup>7</sup> და თქვა: ვინ ეტყოდა აბრაამს, შვილებს ძუძუს მოაწოვებსო სარა? და მაინც ვშობე მისი სიბერის ძე. <sup>8</sup> და წამოიზარდა ბავშვი და მოსწყვიტეს ძუძუს. და გადაიხადა აბრაამმა დიდი პურობა იმ დღეს, როცა ძუძუს მოსწყვიტეს ისაკი.

### ჰაგარისა და ისმაელის გაშვება

<sup>9</sup> და დაინახა სარამ, რომ თამაშებდა\*\* ეგვიპტელი ჰაგარის შვილი, რომელიც უშვა მან აბრაამს. <sup>10</sup> და უთხრა აბრაამს: გააგდე ეს მხევალი და მისი შვილი, რადგან ვერ დაიდებს წილს ამ მხევლის შვილი ჩემს შვილთან, ისაკთან ერთად. <sup>11</sup> და ძალზე შეაწუხა აბრაამი ამ ამბავმა თავისი ძის, ისმაელის გამო. <sup>12</sup> და უთხრა ღმერთმა აბრაამს: ნუ სწუხარ ყმაწვილზე და შენს მხევალზე. ყველაფერი გაუგონე სარას, რასაც გეტყვის, რადგან ისაკით იქნება წოდებული შენი თესლი. <sup>13</sup> და მხევლის ძესაც ხალხად ვაქცევ, რადგან შენი თესლია იგი. <sup>14</sup> და ადგა დილაადრიანად აბრაამი, და აიღო პური და ერთი მათარა წყალი, და მისცა აგარს, და ზურგზე შეუსვა ბავშვი და გაუშვა. და წავიდა ქალი და ხეტილობდა ბერშებას უდაბნოში. <sup>15</sup> და გაუთავდა მათარაში წყალი და დასვა ბავშვი ერთი ბუჩქის ძირას. <sup>16</sup> და წავიდა და დაჯდა თავისთვის მოშორებით, საისრეზე, რადგან იფიქრა, ბავშვის სიკვდილს ვერ ვუყურებო, და იჯდა მოშორებით და ხმამაღლა ტიროდა. <sup>17</sup> და ისმინა ღმერთმა ყმაწვილის ხმა და დაუძახა ჰაგარს ღვთის ანგელოზმა ციდან და უთხრა: რა იყო, ჰაგარ? ნუ გემინია, რადგან ისმინა ღმერთმა შენი ყმაწვილის ხმა იმ ადგილიდან, სადაც არის. <sup>18</sup> ადექი, აიყვანე ყმაწვილი ხელში, რადგან დიდ ხალხად ვაქცევ მას. <sup>19</sup> და აუხილა მას თვალი ღმერთმა და დაინახა ქალმა წყლიანი ჭა. და

\* ებრ. *იცხაკ*, აქედან *იცხაკ* (ბერძნული ფორმით: ისაკი).

\*\* ებრ. *მეცახეკ*.

წავიდა, და წყლით აავსო მათარა და დააღვეინა ყმაწვილს. <sup>20</sup> და ღმერთი იყო ყმაწვილთან. და გაიზარდა და უდაბნოში დასახლდა, და მშვილდოსანი შეიქნა. <sup>21</sup> და დასახლდა ფარანის უდაბნოში და მოუყვანა მას დედამისმა ცოლი ეგვიპტელთა ქვეყნიდან.

### აბრაამი და აბიმელექი ბერშებაში

<sup>22</sup> და იმ ხანებში იყო, რომ უთხრეს აბრაამს აბიმელექმა და ფიქოლმა, მისმა მხედართმთავარმა: ღმერთია შენთან ყველა საქმეში, რასაც აკეთებ. <sup>23</sup> ახლა შემომფიცე ღვთის სახელით, რომ არ მიმტყუნებ არც მე და არც ჩემს მონაგარს და მოდგმას. როგორც მე გექცეოდი კეთილად, ისე შენც მოგვექეცი კეთილად მე და ამ ქვეყანას, სადაც მდგმურობ. <sup>24</sup> და უთხრა აბრაამმა: გეფიცები. <sup>25</sup> და საყვედურობდა აბრაამი აბიმელექს წყლის ჭის გამო, რომელიც მიტაცებული ჰქონდათ აბიმელექის მსახურებს. <sup>26</sup> და უთხრა აბიმელექმა: არ ვიცი, ვინ ქნა ეს საქმე. შენ არაფერი გითქვამს ჩემთვის, მეც არაფერი მსმენია დღემდე. <sup>27</sup> და აიღო და მისცა აბრაამმა ცხვარი და საქონელი აბიმელექს, და შეკრეს კავშირი. <sup>28</sup> და გამოასხა აბრაამმა ფარიდან შვიდი ბატკანი ცალკე. <sup>29</sup> და უთხრა აბიმელექმა აბრაამს: რა არის ეს შვიდი ბატკანი, ცალკე რომ გამოასხი? <sup>30</sup> და უთხრა აბრაამმა: მიიღე ჩემგან ეს შვიდი ბატკანი იმის დასტურად, რომ ჩემი ამოთხრილია ეს ჭა. <sup>31</sup> ამიტომ უწოდა ამ ადგილს ბეერშება\*, რადგან აქ შეფიცეს ერთმანეთს. <sup>32</sup> და შეკრეს კავშირი ბეერშებაში და ადგნენ აბიმელექი და ფიქოლი, მისი მხედართმთავარი, და დაბრუნდნენ ფილისტიმელთა ქვეყანაში. <sup>33</sup> და დარგო იაღლუნი ბეერშებაში აბრაამმა და მოუხმო იქ უფლის, საუკუნო ღმერთის სახელს. <sup>34</sup> და მდგმურობდა აბრაამი ფილისტიმელთა ქვეყანაში მრავალი ხანი.

\* „ჭა ფიცისა“ ან “შვიდი ჭა”.

## ისაკი სამსხვერპლოზე

**22** <sup>1</sup>ამ ამბების შემდეგ იყო, რომ გამოსცადა აბრაამი ღმერთ-  
თმა და უთხრა: აბრაამ! მიუგო: აჰა, მე ვარ! <sup>2</sup>და უთხრა:  
მოჰკიდე ხელი შენს ძეს, შენს ერთადერთს, რომელიც გიყვარს,  
ისაკს, და წადი მორიას მხარეში, და აღუვლინე იქ აღსავლენი  
ერთ მთაზე, რომელსაც გიჩვენებ. <sup>3</sup>და ადგა დილაადრიანად აბ-  
რაამი, და შეკაზმა თავისი სახედარი, და წაიყოლა თავისი ორი  
მსახური ბიჭი და ისაკი, თავისი ძე. და დაჩეხა სამსხვერპლო  
შეშაც. და ადგა და წავიდა იმ ადგილისაკენ, ღმერთმა რომ მი-  
უნიშნა. <sup>4</sup>მესამე დღეს გაიხედა აბრაამმა და შორიდან დაინახა  
ის ადგილი. <sup>5</sup>და უთხრა აბრაამმა თავის მსახურ ბიჭებს: თქვენ  
აქ დარჩით სახედართან, მე და ეს ბიჭი კი იქ წავალთ, თაყვანს  
ვცემთ და თქვენთან მოვბრუნდებით. <sup>6</sup>და აიღო აბრაამმა სამ-  
სხვერპლო შეშა, აჰკიდა ისაკს, თავის ძეს. და აიღო ხელში ცეც-  
ხლი და დანა, და წავიდნენ ორნი ერთად. <sup>7</sup>და უთხრა ისაკმა  
აბრაამს, თავის მამას, უთხრა: მამაჩემო! და უთხრა აბრაამმა:  
რა იყო, შვილო? და უთხრა ისაკმა: ცეცხლი და შეშა მოგაქვს,  
აღსავლენი კრავი სადღაა? <sup>8</sup>და უთხრა აბრაამმა: ღმერთი გა-  
მოაჩენს თავისთვის აღსავლენ კრავს. და მიდიოდნენ ორნი  
ერთად. <sup>9</sup>და მივიდნენ იმ ადგილზე, ღმერთმა რომ უთხრა, და  
აღმართა იქ აბრაამმა სამსხვერპლო, დააწყო შეშა, და შეკრა  
ისაკი, თავისი ძე, და დასვა იგი სამსხვერპლოზე, შეშის ზემოთ.  
<sup>10</sup>და გაიწოდა ხელი აბრაამმა და მოიღო დანა შვილის დასაკ-  
ლავად. <sup>11</sup>და მოუხმო მას უფლის ანგელოზმა ციდან და უთხ-  
რა: აბრაამ! და მიუგო: აჰა, მე ვარ. <sup>12</sup>და უთხრა: ნუ აღმართავ  
ხელს ამ ყმაწვილზე, ნურაფერს დაუშავებ მას, რადგან ახლა  
გავიგე, რომ ღვთისმოსიში ხარ — შენი ძე ერთადერთი გაიმეტე  
ჩემთვის. <sup>13</sup>და გაიხედა აბრაამმა და ხედავს: აჰა, ერთი ვერძი  
რქებით არის გახლართული ბუჩქებში. და მივიდა აბრაამი, და  
აიყვანა ვერძი და შესწირა აღსავლენად თავისი ძის ნაცვლად.

<sup>14</sup> და უწოდა აბრაამმა სახელად ამ ადგილს: დაჰვე-ირე\*, როგორც ითქმის დღეს: უფლის მთაზე გამოჩნდება. <sup>15</sup> და მოუხმო უფლის ანგელოზმა აბრაამს მეორეგზის ციდან <sup>16</sup> და უთხრა: ჩემ თავს ვფიცავ, ამბობს უფალი. რაკი ეს საქმე გააკეთე, რაკი მხოლოდშობილი შენი ძე გამოიმეტე ჩემთვის, <sup>17</sup> კურთხევით გაკურთხე და გიმრავლებ შთამომავლობას ცის ვარსკვლავებით და ზღვის ქვიშასავით, და დაიმკვიდრებს შენი შთამომავლობა თავის მტერთა კარიბჭეს\*\*. <sup>18</sup> და იკურთხება შენი შთამომავლობით ქვეყნის ყველა ხალხი, რადგან შეისმინე ჩემი სიტყვა. <sup>19</sup> და დაბრუნდა აბრაამი თავის მსახურ ბიჭებთან. და ადგნენ და წავიდნენ ერთად ბეერშებაში. და ცხოვრობდა აბრაამი ბეერშებაში. <sup>20</sup> ამ ამბების შემდგომ იყო, რომ ემცნო აბრაამს: აჰა, მილქამაც უშვა ვაჟიშვილები ნახორს, შენს ძმას — <sup>21</sup> ყუცი, მისი პირმშო, ბუზი, ამის ძმა, კემუელი, არამელთა მამა, <sup>22</sup> ქესედი, აზო, ფალდასი, იდლაფი და ბეთუელი. <sup>23</sup> და ბეთუელს შეეძინა რებეკა. ეს რვანი უშვა მილქამ ნახორს, აბრაამის ძმას. <sup>24</sup> და მისმა ხარჭამაც, სახელად რეუმამ, შვა ვაჟები: ტებანი, გახამი, თახაში და მაცაქა.

## სარას საფლავი

**23** <sup>1</sup> და სარას სიცოცხლის ხანი იყო ას ოცდაშვიდი წელი. ეს არის სარას სიცოცხლის წლები. <sup>2</sup> და მოკვდა სარა კირიათ-არბეში, აწინდელ ხებრონში, ქანაანის ქვეყნად. და მივიდა აბრაამი სარას საგლოვად და დასატირებლად. <sup>3</sup> და მოსცილდა თავის მკვდარს აბრაამი და ელაპარაკა ხეთელებს: <sup>4</sup> მდგმური და ხიზანი ვარ თქვენ შორის. მომეცით საკუთარი სამარხი თქვენთან, რომ დავმარხო ჩემი მკვდარი ჩემ თვალთაგან. <sup>5</sup> და მიუგეს ხეთელებმა აბრაამს და უთხრეს: <sup>6</sup> მოგვის-

\* „უფალი გამოაჩენს“.

\*\* „ქალაქის“ მნიშვნელობით.

მინე, ბატონო. ღვთიანი მთავარი ხარ ჩვენს შორის. დამარხე შენი მკვდარი ჩვენს საუკეთესო სამარხში. ჩვენს შორის ვერავინ დაგიკავებს თავის სამარხს შენი მკვდრის დასამარხავად. <sup>7</sup>და ადგა აბრაამი და თაყვანი სცა ამ ქვეყნის ხალხს, ხეთელებს. <sup>8</sup>და ელაპარაკა მათ: თუ ინებებთ და მკვდარს დამამარხვინებთ, მაშინ მომისმინეთ და შემავედრეთ ყეფრონ ცოხარის ძეს, <sup>9</sup>მომცეს მახფელას მღვიმე, მისი მინდვრის ბოლოს რომ არის. თავის ფასში მომცეს თქვენი თანდასწრებით საკუთარ სამარხად. <sup>10</sup>და ყეფრონი იჯდა ხეთელებს შორის, და მიუგო ყეფრონ ხეთელმა აბრაამს ხეთელთა და ყველას გასაგონად, ვინც კი მისი ქალაქის კარიბჭესთან იყო მოსული, და უთხრა: <sup>11</sup>არა, ბატონო, მომისმინე: მინდორიც მომიცია და მღვიმეც, იქ რომ არის, ჩემი ხალხის თანდასწრებით მომიცია. დამარხე შენი მკვდარი. <sup>12</sup>და თაყვანი სცა აბრაამმა ქვეყნის ერს. <sup>13</sup>და ელაპარაკა ყეფრონს ქვეყნის ერის გასაგონად: თუ თანახმა ხარ, აიღე მინდვრის საფასური, გამომართვი და დავმარხავ იქ ჩემს მკვდარს. <sup>14</sup>და მიუგო ყეფრონმა აბრაამს და უთხრა: <sup>15</sup>ყური დამიგდე, ბატონო: რა სალაპარაკოა ოთხასი შეკელი ვერცხლის საღირალი მიწა. წადი, დამარხე შენი მკვდარი. <sup>16</sup>და დაეთანხმა აბრაამი ყეფრონს და მიუწონა აბრაამმა ყეფრონს ვერცხლი, რამდენიც მოითხოვა ხეთელთა გასაგონად, ოთხასი შეკელი ვერცხლი ვაჭართა მახანდით. <sup>17</sup>და დაუმტკიცდა ყეფრონის მინდორი მახფელაში, მამრეს წინ რომ არის, მინდორი და მღვიმე, იქ რომ არის, ყოველი ხე, იმ მინდორზე და მის საზღვრებში რომ არის ირგვლივ, <sup>18</sup>საკუთრებად აბრაამს ხეთელთა და ყველას თანდასწრებით, ვინც კი მისი ქალაქის კარიბჭესთან იყო მისული. <sup>19</sup>და ამის შემდეგ დამარხა აბრაამმა სარა, თავისი ცოლი, მახფელას მინდვრის მღვიმეში, მამრეს გასწვრივ. ეს არის ხებრონი ქანაანის ქვეყანაში. <sup>20</sup>და დაუმტკიცდა მინდორი და მღვიმე, იქ რომ არის ხეთელებისაგან საკუთარ სამარხად.

ისაკის ქორწინება

**24** <sup>1</sup>და მოხუცდა აბრაამი, ხანში შევიდა. და აკურთხა უფალმა აბრაამი ყველაფერში. <sup>2</sup>და უთხრა აბრაამმა თავის მსახურს, თავის სახლთუხუცესს, მთელი თავისი ქონების განმგებელს: საზარდულქვეშ ამომიდევი ხელი. <sup>3</sup>და გაფიცებ უფალს, ღმერთს ცისას და ღმერთს მიწისას, არ მოუყვანო ცოლი ჩემს ძეს ქანაანელთაგან, რომელთა შორისაც მე ვცხოვრობ. <sup>4</sup>არამედ წადი ჩემს ქვეყანაში, ჩემს სამშობლოში, და მოუყვანე ცოლი ჩემს ძეს, ისაკს. <sup>5</sup>და უთხრა მსახურმა: თუ არ წამომყვა ის ქალი ამ ქვეყანაში, ხომ არ დავაბრუნო შენი ძე იმ ქვეყნად, საიდანაც შენ გამოხვედი? <sup>6</sup>და უთხრა აბრაამმა: გაფრთხილებ, არ დააბრუნო იქ ჩემი ძე. <sup>7</sup>უფალი, ცის ღმერთი, რომელმაც წამომიყვანა მამა-პაპის სახლიდან, ჩემი სამშობლო ქვეყნიდან, რომელიც მელაპარკებოდა და მეფიცებოდა, შენს შთამომავლობას მივცემო ამ ქვეყანას, სწორედ ის გაახლებს თავის ანგელოზს და წამოიყვან იქიდან ქალს ჩემი ძისათვის. <sup>8</sup>და თუ არ წამოგყვა ქალი, თავისუფალი ხარ ამ ჩემი ფიცისაგან, ოღონდ იქ არ დააბრუნო ჩემი ძე. <sup>9</sup>და ამოუდო ხელი საზარდულქვეშ მსახურმა აბრაამს, თავის პატრონს, და შეჭფიცა, რომ შეუსრულებდა ამას. <sup>10</sup>და გამოიყვანა მსახურმა ათი აქლემი თავისი პატრონის ჯოგიდან და გაუდგა გზას. და მისი პატრონის მთელი ქონება მის ხელში იყო. და ადგა და წავიდა შუამდინარეთში, ნახორის ქალაქისაკენ. <sup>11</sup>და ჩამახლდა აქლემები ქალაქის გარეთ ჭასთან საღამო ხანს, წყლის მზიდავი ქალების გამოსვლის ხანს. <sup>12</sup>და თქვა: უფალო, ჩემი პატრონის, აბრაამის ღმერთო, ხელი მომიმართე დღევანდელ დღეს და მაძლი უყავი ჩემს პატრონს, აბრაამს! <sup>13</sup>აჰა, ვდგავარ ჭასთან და ამ ქალაქის მკვიდრთა ასულნი სადაცაა გამოვლენ წყლის ამოსაღებად. <sup>14</sup>და თუ მოხდა და ყმაწვილმა ქალმა, რომელსაც ვეტყვი, პირი წაუქციე შენს კოკას, წყალს შევსვამ-მეთქი, მითხრა, შენც შესვი და აქლემებსაც დაგირწყულებო, სწორედ ის

იქნება შენი მსახურის, ისაკისათვის რომ გყავს დანიშნული. და ამით მივხვდები, რომ მადლი უყავი ჩემს პატრონს.<sup>15</sup> და ვიდრე ამის თქმას მოასწრებდა, აჰა, გამოვიდა მხარზე კოკაშემოდგმული რებეკა, რომელიც შესძენოდა ბეთუელს, მილქასა და აბრაამის ძმის, ნახორის ვაჟიშვილს.<sup>16</sup> ყმაწვილი ქალი ძალზე კარგი იყო შესახედავად, ქალწული იყო, მამაკაცი არ გაჰკარებოდა. და ჩავიდა წყაროზე, კოკა აავსო და ამოვიდა.<sup>17</sup> და გაიქცა მის შესახვედრად მსახური და უთხრა: ცოტა წყალი შემასვი შენი კოკიდან.<sup>18</sup> და უთხრა ქალმა: შესვი, ბატონო. და ჩამოიღო კოკა და თავისი ხელით შეასვა წყალი.<sup>19</sup> და შეასვა თუ არა, უთხრა: შენს აქლემებსაც ამოვუღებ წყალს, ვიდრე არ დარწყულდებიან.<sup>20</sup> და უმაღვე ჩამოსცალა გეჯაში კოკა და ისევ გაიქცა ჭისაკენ წყლის ამოსაღებად. და აქლემებსაც ამოუღო წყალი.<sup>21</sup> და კაცი აკვირდებოდა ქალს, ხმას არ იღებდა, სურდა გაეგო, სასიკეთოდ წარუმართა თუ არა უფალმა გზა.<sup>22</sup> და როცა დარწყულდნენ აქლემები, ამოიღო კაცმა ერთშეკელიანი ოქროს საყურე და ათშეკელიანი ორი ოქროს სამაჯური.<sup>23</sup> და უთხრა: ვისი შვილი ხარ? მითხარი, თუ მოიძებნება მამაშენის სახლში ლამის გასათევი ადგილი ჩვენთვის?<sup>24</sup> და უთხრა ქალმა: ბეთუელის შვილი ვარ, მილქასი და ნახორის ძისა.<sup>25</sup> და უთხრა: ბზეცა და თივაც მრავლადა გვაქვს და ღამის გასათევი ადგილიც.<sup>26</sup> და მუხლი მოიყარა კაცმა და თავიანი სცა უფალს.<sup>27</sup> და თქვა: კურთხეულია უფალი, ჩემი პატრონის, აბრაამის ღმერთი, რომელმაც არ მოაკლო წყალობა და სიყვარული ჩემს პატრონს. პირდაპირ მომაყენა უფალმა ჩემი პატრონის ძმების სახლს.<sup>28</sup> და გაიქცა ყმაწვილი ქალი და თავის დედის სახლში შეატყობინა ეს ამბავი.<sup>29</sup> და ძმა ჰყავდა რებეკას, სახელად ლაბანი. და გამოიქცა გარეთ ლაბანი იმ კაცისაკენ, წყაროსთან.<sup>30</sup> და როცა დაუნახა თავის დას საყურეები და ხელზე სამაჯურები და მოისმინა თავისი დის, რებეკას მონაყოლი, ასე მელაპარაკაო ის კაცი, მივიდა იმ კაცთან და, ხედავს, აქლემებთან დგას წყაროს პირას.<sup>31</sup> და უთხრა: შინ



წამოდი, უფლის კურთხეულო, გარეთთ რისთვის დგახარ? აქ-  
 ლემების სადგომი გამზადებული მატყს. <sup>32</sup> და შევიდა კაცი სახ-  
 ლში, და შეხსნა აქლემებს საკაზმები, აქლემებს ბზე და საკვები  
 დაუყარა, და მას და მის თანმხლებ კაცებს ფეხის დასაბანად  
 წყალი მოუტანა. <sup>33</sup> და გაუწყვეს სუფრა, რომ ეჭამა. და თქვა: არ  
 შეგვამ, ვიდრე ჩემს სათქმელს არ ვიტყვი. და უთხრა ლაბანმა:  
 თქვი. <sup>34</sup> და თქვა: აბრაამის მსახური ვარ მე. <sup>35</sup> დიდად აკურთხა  
 უფალმა ჩემი პატრონი და განდიდდა იგი, და მისცა მას ცხვარი  
 და ხვასტაგი, და ოქრო-ვერცხლი, და მსახურნი და მხევალნი,  
 და აქლემები და სახედრები. <sup>36</sup> და უშვა ჩემს პატრონს სარამ,  
 მისმა ცოლმა, სიბერეში ძე, რომელსაც მისცა ჩემმა პატრონმა  
 მთელი თავისი საბადებელი. <sup>37</sup> და დამაფიცა ჩემმა პატრონ-  
 მა, მითხრა, არ მოუყვანო ცოლი ჩემს ძეს ქანაანელთაგან,  
 რომელთა ქვეყანაშიც მე ვცხოვრობო, <sup>38</sup> არამედ წადი ჩემი  
 მამა-პაპის სახლში, ჩემს სანათესაოში და იქიდან მოუყვანე  
 ცოლი ჩემს ძეს. <sup>39</sup> და ვუთხარი ჩემს პატრონს, რომ არ წამომყ-  
 ვეს-მეთქი ქალი? <sup>40</sup> და მითხრა: უფალი, რომლის წინაშეც მე  
 დავდივარ, თავის ანგელოზს გაახლებს თან და გზას სასიკე-  
 თოდ წარგიმართავს, და მოუყვან ცოლს ჩემს ძეს ჩემი სანა-  
 თესაოდან, ჩემი მამა-პაპის სახლიდან. <sup>41</sup> მაშინ გათავისუფლ-  
 დები ჩემი ფიცისაგან, როცა ჩემს სანათესაოში მიხვალ. და თუ  
 არ გამოგაყოლეს, თავისუფალი იქნები ჩემი ფიცისაგან. <sup>42</sup> და  
 მივედი დღეს წყაროსთან და ვთქვი: უფალო, ჩემი პატრონის,  
 აბრაამის ღმერთო! სასიკეთოდ წარმიმართე გზა, რომელსაც  
 ვადგავარ. <sup>43</sup> აჰა, ვდგავარ წყაროსთან. და როცა მოვა ყმაწვი-  
 ლი ქალი წყლის ამოსაღებად და ვეტყვი, ცოტა წყალი შემას-  
 ვი-მეთქი შენი კოკიდან, <sup>44</sup> და მეტყვის: შენც შეგასმევ წყალს  
 და შენს აქლემებსაც დავარწყულებო, სწორედ ის ქალი იქნე-  
 ბა, რომელიც აურჩევია უფალს ჩემი პატრონის შვილისათვის.  
<sup>45</sup> და ვიდრე ჩემს გულში ამის თქმას მოვასწრებდი, აჰა, მოდის  
 რებეკაც, მხარზე კოკაშემოდგმული. ჩავიდა წყაროზე და ამო-  
 ილო წყალი. ვუთხარი, შემასვი-მეთქი. <sup>46</sup> და უმაღვე ჩამოილო



კოკა და მითხრა: შესვი და აქლემებსაც დაგირწყულებო. მეც შეესვი და აქლემებიც დამირწყულა. <sup>47</sup> და ვკითხე: ვისი შვილი ხარ-მეთქი? და თქვა: ბეთუელის შვილი ვარ, ნახორის ძისა, რომელიც უშვა მას მილქამ. და გავუკეთე ცხვირზე რგოლი და ხელებზე სამაჯურები. <sup>48</sup> და მუხლი მოვიყარე და თაყვანი ვეცი უფალს. და ვაკურთხე უფალი, ჩემი პატრონის, აბრაამის ღმერთი, რომელიც წამომიძღვა ჭეშმარიტი გზით, რომ პატრონის ძმისწული მის შვილს მივგვარო ცოლად. <sup>49</sup> ახლა, მადლი და სიკეთე თუ გსურთ ჩემი პატრონისათვის, მითხარით, თუ არა და, ესეც მითხარით და გავბრუნდები, მარჯვნივ იქნება თუ მარცხნივ. <sup>50</sup> და მიუგეს ლაბანმა და ბეთუელმა: უფლისაგან არის ეს საქმე. ვერც ცუდს გეტყვით, ვერც კარგს. <sup>51</sup> აჰა, აგერ არის რებეკა. წაიყვანე და წადი! და გახდეს შენი პატრონის ძის ცოლი, როგორც ბრძანა უფალმა. <sup>52</sup> და როცა მოისმინა აბრაამის მსახურმა მათი ნათქვამი, მდაბლად თაყვანი სცა უფალს. <sup>53</sup> და ამოიღო მსახურმა ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელი და სამოსელი და მისცა რებეკას. და მის ძმას და დედასაც მიართვა ძვირფასი საჩუქრები. <sup>54</sup> და ჭამეს და სვეს მან და მისმა თანმხლებმა კაცებმა, და ღამე გაათიეს. და აღგნენ დილით და თქვა: გამიშვით ჩემს პატრონთან. <sup>55</sup> და უთხრეს ქალის ძმამ და დედამ: დარჩეს ჩვენთან ყმაწვილი ქალი ერთხანს, ათ დღეს მაინც, მერე კი წადი. <sup>56</sup> და უთხრა: ნუ დამაკავებთ, სასიკეთოდ წარუმართავს უფალს გზა ჩემთვის. გამიშვით და წავალ ჩემს პატრონთან. <sup>57</sup> და თქვეს: დავუძახოთ ყმაწვილ ქალს, და ვკითხოთ, რას იტყვის. <sup>58</sup> და დაუძახეს რებეკას და ჰკითხეს: თუ წახვალ ამ კაცთან ერთად? და თქვა: წავალ. <sup>59</sup> და გაისტუმრეს რებეკა, თავიანთი და, მისი ძიძითურთ, და აბრაამის მსახური და მისი კაცები. <sup>60</sup> და დალოცეს რებეკა და უთხრეს: ჩვენი და ხარ შენ. ბევრათასჯერ იმრავლე, თავისი მტრების კარიბჭეები დაიმკვიდროს შენმა შთამომავლობამ! <sup>61</sup> და აღგნენ რებეკა და მისი მხევლები და შესხდნენ აქლემებზე, და გაყვნენ იმ კაცს. და წაიყვანა მსახურმა რებეკა და წავიდა. <sup>62</sup> და ისაკი წამოსუ-

ლიყო ბერ-ლახაი-როიდან და ცხოვრობდა ნეგების ქვეყანაში. <sup>63</sup>და გავიდა ისაკი მინდორში ფიქრთ გასართველად, სალა-  
მოხანს. და გაიხედა და ხედავს, აჰა, აქლემები მოდიან. <sup>64</sup>და  
გაიხედა რებეკამ და დაინახა ისაკი, და ჩამოხდა აქლემიდან.  
<sup>65</sup>და უთხრა მსახურს: ვინ არის ის კაცი, მინდორში რომ მოდის  
ჩვენს შესახვედრად? თქვა მსახურმა: ჩემი პატრონია. და აიღო  
რიდე და ჩამოიფარა. <sup>66</sup>და უამბო მსახურმა ისაკს ყველაფერი,  
რაც გააკეთა. <sup>67</sup>და შეიყვანა ისაკმა იგი თავისი დედის, სარას  
კარავში და გახდა მისი ცოლი და შეიყვარა იგი ისაკმა და დე-  
დის გამო მწუხარება გაუქარვდა.

### აბრაამის სიკვდილი

**25** <sup>1</sup>და კიდევ ითხოვა აბრაამმა ცოლი, სახელად კეტურა.  
<sup>2</sup>და უშვა მას ზიმრანი, იაკშანი, მედანი, მიდიანი, იშბაკი  
და შუახი. <sup>3</sup>და იაკშანს შვა შება და დედანი. და დედანის შვი-  
ლები იყვნენ: აშურიმი, ლეტუშიმი და ლეუმიმი. <sup>4</sup>და მიდიანის  
შვილები: ღეფა, ყეფერი, ხანოქი, აბიდაყი და ელდალა. ყველა  
ესენი კეტურას შვილები არიან. <sup>5</sup>და მისცა აბრაამმა ისაკს ყვე-  
ლაფერი, რაც ჰქონდა. <sup>6</sup>და ხარჭების შვილებს აბრაამმა სა-  
ჩუქრები მისცა და თავის სიცოცხლეშივე მოაშორა ისინი ისაკს,  
თავის ძეს, და გაუშვა აღმოსავლეთით, აღმოსავლეთის მხა-  
რეში. <sup>7</sup>ეს არის აბრაამის სიცოცხლის ხანი, რაც იცოცხლა: ას  
სამოცდათხუთმეტი წელი. <sup>8</sup>და აღესრულა და მოკვდა აბრაამი  
ტკბილ სიბერეში, მოხუცებული, და შეერთო თავის ხალხს. <sup>9</sup>და  
დამარხეს იგი ისაკმა და ისმაელმა, მისმა შვილებმა, მახფე-  
ლას მღვიმეში, ხეთელი ყეფრონ ცოხარის ძისეულ მინდორზე,  
მამრეს გასწვრივ, <sup>10</sup>იმ მინდორზე, რომელიც აბრაამმა შეიძინა  
ხეთელებისაგან. იქ მარხიან აბრაამი და მისი ცოლი სარა. <sup>11</sup>აბ-  
რაამის სიკვდილის შემდეგ აკურთხა ღმერთმა ისაკი, მისი ძე.  
და დასახლდა ისაკი ბერ-ლახაი-როის მახლობლად.

## ისმაელის მოდგმა

<sup>12</sup>ეს არის მოდგმა აბრაამის ძის, ისმაელისა, რომელიც უშვა აბრაამს ჰაგარმა, სარას მხევალმა. <sup>13</sup>ეს არის ისმაელის ძეთა სახელები, სახელდებით მათ მოდგმათა მიხედვით: ისმაელის პირმშო ნებაიოთი, მერე კედარი, ადბეელი და მიბსამი, <sup>14</sup>მიშ-მაყი, დუმა და მასსა, <sup>15</sup>ხადადი, თემა, იეტური, ნაფიში და კედ-მა. <sup>16</sup>ესენი არიან ისმაელის ძენი, ეს არის მათი სახელები მათ დაბეხსა და ბანაკებში, თორმეტი ბელადია თავ-თავისი ტომისა. <sup>17</sup>ეს არის ისმაელის სიცოცხლის ხანი: ას ოცდაჩვიდმეტი წელი. და აღესრულა იგი და მოკვდა და შეერთო თავის ხალხს. <sup>18</sup>და სახლობდნენ ხავილადან მოყოლებული შურამდე, ეგვიპტის გასწვრივ, აშურისკენ თუ მიდიხარ. ყველანი ერთმანეთის პირისპირ განლაგდნენ.

## ესავი და ისაკობი

<sup>19</sup>აჰა, ისაკის მოდგმა, აბრაამის ძისა: აბრაამმა შვა ისაკი. <sup>20</sup>ორმოცი წლისა იყო ისაკი, როცა მოიყვანა ცოლად რებეკა, შუამდინარეთიდან მოსული არამელი ბეთუელის ასული, არამელი ლაბანის და. <sup>21</sup>და ევედრებოდა ისაკი უფალს თავისი ცოლისათვის, რადგან ბერწი იყო იგი. და უსმინა მას უფალმა და დაორსულდა რებეკა, მისი ცოლი. <sup>22</sup>და ეხლებოდნენ ერთმანეთს შვილები მის საშოში და თქვა ქალმა: თუ ასეა, რიღასთვის ჩამესახნენ? და წავიდა უფლისათვის შესაკითხავად. <sup>23</sup>და უთხრა უფალმა: ორი ხალხია შენს მუცელში და ორი ტომი გამოიყოფა შენი წიაღიდან, და ერთი ტომი მეორეზე ძლიერი იქნება, და უფროსი უმცროსს დაემონება. <sup>24</sup>და მოაწია მშობიარობის ჟამმა და, აჰა, ტყუპები არიან მის მუცელში. <sup>25</sup>და გამოვიდა პირველი სულ მთლად წითელი და თითქოს ტყავ-ფუხით შემოსილი, და დაარქვეს მას სახელად ესავი. <sup>26</sup>და მერე გამოვიდა მისი ძმა, და ხელი ესავის ქუსლზე ჰქონდა მოჭი-

დებული, და დაარქვეს მას სახელად იაკობი\*. სამოცი წლისა იყო ისაკი მათი შობისას. <sup>27</sup> და წამოიზარდნენ ყმაწვილები. და შეიქნა ესავი ხელოვანი მონადირე, ველების კაცი. და იაკობი იყო სრული კაცი, კარვებში მცხოვრები. <sup>28</sup> და უყვარდა ისაკს ესავი, რადგან ნანადირევი იყო მისი საჭმელი, და რებეკას იაკობი უყვარდა. <sup>29</sup> და მოამზადა იაკობმა შეჭამადი და ესავიც დაბრუნდა ველიდან, დაღლილი. <sup>30</sup> და უთხრა ესავმა იაკობს: შემახვრებინე წითელი, ეგ წითელი, რადგან დაღლილი ვარ. ამიტომაც ეწოდა სახელად ედომი\*\*. <sup>31</sup> და უთხრა იაკობმა: მომყიდე დღესვე შენი პირმშობა. <sup>32</sup> და თქვა ესავმა: სიკვდილის პირას ვარ და რაღად მინდა პირმშობა. <sup>33</sup> და უთხრა იაკობმა: შემომფიცე დღეს. და შეჭფიცა და მიჰყიდა იაკობს პირმშობა. <sup>34</sup> და იაკობმა მისცა ესავს პური და ცერცვის შეჭამადი. და ჭამა და სვა, და წავიდა. და არად ჩააგდო ესავმა პირმშობა.

### ისაკი და რებეკა გერარში

**26** <sup>1</sup> და იყო შიმშილი ქვეყანაში იმ წინანდელი შიმშილის შემდეგ, აბრაამის დროს რომ მოხდა, და წავიდა ისაკი აბიმელექთან, ფილისტიმელთა მეფესთან, გერარში. <sup>2</sup> და გამოეცხადა მას უფალი და უთხრა: ნუ ჩახვალ ეგვიპტეში. იმ ქვეყნად დასახლდი, რომელსაც გეტყვი. <sup>3</sup> მდგმურად იყავი ამ ქვეყანაში და მეც შენთან ვიქნები, გაკურთხებ და შენს თესლს მიცემ მთელ ქვეყანას, და ავასრულებ ფიცს, რომელიც აბრაამს, მამაშენს, დავუდევი, <sup>4</sup> ცის ვარსკვლავებივით გავამრავლებ შენს შთამომავლობას და მიცემ-მეთქი შენს შთამომავლობას მთელ ამ ქვეყანას, შენი თესლით იკურთხება-მეთქი ყველა ქვეყნის ხალხი. <sup>5</sup> იმის გამო, რომ ისმენდა აბრაამი ჩემს ხმას და იცავდა ჩემს სამსახურს, და ჩემს მცნებებს, და ჩემს წესებს და ჩემს სჯულდებებს. <sup>6</sup> და დაიწყო ცხოვრება ისაკმა გერარში. <sup>7</sup> და გამოიკითხეს იქაურმა კაცებმა მისი ცოლის, რებე-

\* ებრ. *დაყაკობ* „ქუსლს ეჭიდება“.

\*\* „წითური“.

კას ვინაობა. და თქვა: და არის ჩემი. რადგან შეეშინდა ეთქვა, ცოლი არისო. ვაითუ მოეკლათ იქაურ კაცებს რებეკას გამო, რადგან მშვენიერი შესახედავი იყო. <sup>8</sup> და როცა ისაკი კარგა ხნის ნაცხოვრები იყო იქ, გამოიხედა ფილისტიმელთა მეფემ სარკმელში და ხედავს, ეათამაშებოდა\* ისაკი რებეკას, თავის ცოლს. <sup>9</sup> და დაიბარა აბიმელექმა ისაკი და უთხრა: ნამდვილად შენი ცოლია ეს ქალი. რატომ თქვი, ჩემი და არისო? და უთხრა ისაკმა: ვიფიქრე, მისი გულისათვის არ მომკლან-მეთქი. <sup>10</sup> და უთხრა აბიმელექმა: ეს რა გვიყავი? კინალამ დაწვა შენს ცოლთან ერთი ჩვენებური, და კიდევ გაგვრევდი ცოდვაში. <sup>11</sup> და უბრძანა აბიმელექმა მთელს ხალხს: ვინც ხელს ახლებს ამ კაცს და მის ცოლს, მოკვდება. <sup>12</sup> და დათესა ისაკმა იმ მიწაზე და ასწილად მოიმკო მოსავალი იმ წელიწადს. და აკურთხა იგი უფალმა. <sup>13</sup> და გამდიდრდა კაცი და უფრო და უფრო მდიდრდებოდა, ვიდრე მეტისმეტად არ გამდიდრდა. <sup>14</sup> და ჰყავდა ცხვრის ფარა, ხვასტაგი და უამრავი სახნავ-სათესი, და შეშურდათ მისი ფილისტიმელებს. <sup>15</sup> და ყველა ჭა, რომლებიც მამამისის მსახურებს ჰქონდათ აბრაამის, მამამისის დროს, ფილისტიმელებმა ჩახერგეს და მიწით ამოავსეს. <sup>16</sup> და უთხრა აბიმელექმა ისაკს: გაგვეცალე, რადგან ჩვენზე უფრო ძლიერი შეიქენი. <sup>17</sup> და წავიდა იქიდან ისაკი და დადგა გერარის ხეობაში, და დასახლდა იქ. <sup>18</sup> ისევ ამოიღო ისაკმა აბრაამის, მამამისის დროს ამოღებული ჭები, ფილისტიმელებმა რომ ამოავსეს აბრაამის სიკვდილის შემდეგ, და კვლავ უწოდა ის სახელები, მამამისმა რომ უწოდა. <sup>19</sup> და თბრიდნენ ისაკის მსახურნი გერარის ხეობაში და წააწყდნენ იქ ცოცხალი წყლის ჭას. <sup>20</sup> და შეედავენ გერარელი მწყემსები ისაკის მწყემსებს: ჩვენია წყალიაო. და უწოდა სახელად იმ ჭას ყესეკი, რადგან ეცილებოდნენ მას. <sup>21</sup> და ამოიღეს მეორე ჭა და მასზედაც შეედავენ. და უწოდა მას სახელად სიტნა. <sup>22</sup> და გადაინაცვლა იმ ადგილიდან და კიდევ ამოიღო სხვა ჭა და აღარ შეედავიან მასზე, და უწოდა სახელად რეხოზო-

\* მეცხეკ. შესაძლ.: „ელალობებოდა“, „ეალერსებოდა“.

თი. და თქვა: რაკი ამიერიდან გაგვაფართოვა უფალმა, ვიმრავლებთ ამ ქვეყანაში. <sup>23</sup>და დაიძრა იქიდან ბეერშებასაკენ. <sup>24</sup>და გამოეცხადა იმ ღამით უფალი და უთხრა: მე ვარ აბრაამის, მამაშენის ღმერთი. ნუ გეშინია, რადგან შენთანა ვარ და გაკურთხებ და გავამრავლებ შენს შთამომავლობას აბრაამის, ჩემი მსახურის გულისათვის. <sup>25</sup>და აღმართა იქ სამსხვერპლო და მოუხმო უფლის სახელს. და დასცა იმ ადგილას კარავი და იქაც ამოიღეს ჭა ისაკის მსახურებმა. <sup>26</sup>და მივიდნენ მასთან გერარიდან აბიმელექი, მისი მოყვარე ახუბათი, და ფიქლი, მისი მხედართმთავარი. <sup>27</sup>და უთხრა მათ ისაკმა: რისთვის მოხვედით ჩემთან? აკი შემიძულეთ და მომიშორეთ? <sup>28</sup>და უთხრეს: კარგად ვხედავთ, რომ უფალია შენთან და ვთქვით: დაიდოს ფიცი ჩვენს შორის, ჩვენსა და შენს შორის, და შევკრათ კავშირი ერთმანეთთან, <sup>29</sup>რომ არ გვიბოროტო. ჩვენ ხომ ხელი არ გვიხლია შენთვის, სიკეთის მეტი არაფერი გავგიკეთებია, მშვიდობითაც გავისტუმრეთ. ამიერიდან უფლის კურთხეული ხარ. <sup>30</sup>და გაუმართა მათ ლხინი ისაკმა, და ჭამეს და სვეს. <sup>31</sup>და ადგნენ დილაადრიანად და შეფიცეს ერთმანეთს. და გაისტუმრა ისაკმა ისინი და მშვიდობით წავიდნენ მისგან. <sup>32</sup>და იმავე დღეს იყო, რომ მოვიდნენ ისაკის მსახურნი და შეატყობინეს ჭის ამბავი, რომელსაც თხრიდნენ. და უთხრეს, წყალი ვიპოვეთო. <sup>33</sup>და უწოდა მას სახელად შიბყა. ამიტომაც ეწოდება ქალაქს სახელად ბეერშება დღევანდლამდე. <sup>34</sup>ორმოცი წლისა იყო ესავი, როცა მოიყვანა ცოლად ივდითი, ბეერ ხეთელის ასული, და ბასმათი, ელონ ხეთელის ასული. <sup>35</sup>და იყვნენ ისინი სულის სიმწარედ ისაკისა და რებეკასთვის.

### ისაკი აკურთხებს იაკობს

**27** <sup>1</sup>და იყო, როცა დაბერდა ისაკი და თვალს დააკლდა, დაუძახა ესავს, თავის უფროს შვილს, და უთხრა: შვილო! და მიუგო: აჰა, მე ვარ! <sup>2</sup>და უთხრა ისაკმა: აჰა, დავბერ-

დი და არ ვიცი, როდის მოგვკვდები. <sup>3</sup>ახლა აიღე შენი იარაღი, მშვილდ-ისარი, და გადი ველად და ნანადირევი მომიტანე, <sup>4</sup>და მომიმზადე შეჭამადი, მე რომ მიყვარს, და მომიტანე და შევჭამ, რომ გაკურთხოს ჩემმა სულმა, სანამ მოგვკვდებოდე. <sup>5</sup>და გაიგონა რებეკამ, ისაკი რომ ელაპარაკებოდა თავის ძეს, ესავს. და გავიდა ესავი ველად სანადიროდ, ნანადირევის მოსატანად. <sup>6</sup>და უთხრა რებეკამ იაკობს, თავის უმცროს ძეს: გავიგონე, მამაშენი რომ ელაპარაკებოდა შენს ძმას, ესავს, და ეუბნებოდა: <sup>7</sup>მომიტანე ნანადირევი და კერძი მომიმზადე, შევჭამ და გაკურთხებ უფლის წინაშე სიკვდილის წინ. <sup>8</sup>ახლა, გამიგონე, შვილო, რასაც გეტყვი: <sup>9</sup>წადი ფარაში და ორი კარგი თიკანი მომიყვანე, რომ მოვუმზადო მამაშენს მისი საყვარელი კერძი. <sup>10</sup>და წაუღე მამაშენს, რომ შეჭამოს და გაკურთხოს სიკვდილის წინ. <sup>11</sup>და უთხრა იაკობმა რებეკას, თავის დედას: ჩემი ძმა ესავი რომ ბალნიანი კაცია და მე უბალნო ვარ? <sup>12</sup>ხელი რომ მომისვას მამაჩემმა, ხომ მატყუარა გამოვჩნდები მის თვალში? კურთხევას კი არა, წყევლას დავითევ თავზე. <sup>13</sup>და უთხრა დედამისმა: ჩემზე იყოს ის წყევლა, შვილო, ოღონდ დამიჯერე და მომიყვანე. <sup>14</sup>და წავიდა იაკობი და მოუყვანა დედამისს. და მოამზადა დედამისმა შეჭამადი, მამამისს რომ უყვარდა. <sup>15</sup>და აიღო რებეკამ თავისი უფროსი ძის, ესავის, ძვირფასი ტანისამოსი, სახლში რომ ჰქონდა, და ჩააცვა იაკობს, თავის უმცროს ძეს. <sup>16</sup>და ხელები და უბალნო კისერი კი თიკნის ტყავით დაუფარა. <sup>17</sup>და მისცა ხელში იაკობს თავისი მომზადებული კერძი და პური. <sup>18</sup>და მივიდა მამასთან და უთხრა: მამაჩემო! და უთხრა: აჰა, მე ვარ. რა იყო? რომელი ხარ, შვილო? <sup>19</sup>და უთხრა იაკობმა მამამისს: ესავი ვარ, შენი პირმშო. გაგიკეთე, რაც მთხოვე. წამოჯექი და ჭამე ნანადირევი, რომ მაკურთხოს შენმა სულმა. <sup>20</sup>და უთხრა ისაკმა თავის შვილს: რა მალე გიპოვნია, შვილო. და უთხრა: უფალი, შენი ღმერთი შემეწია. <sup>21</sup>და უთხრა ისაკმა იაკობს: მომიახლოვდი, ხელი მოგისვა შვილო, მართლა ჩემი შვილი ესავი ხარ თუ არა. <sup>22</sup>და მიუახლოვდა იაკობი მამამისს,



ისაკს. და შეეხო მას და თქვა: ხმა იაკობის ხმაა, ხელები კი ესავის ხელებია! <sup>23</sup> და ვერ იცნო, რადგან ხელები თავისი ძმის, ესავის ხელებივით ბალნიანი ჰქონდა, და აკურთხა იგი. <sup>24</sup> და უთხრა: ესავი ხარ, ჩემი შვილი? და თქვა: მე ვარ. <sup>25</sup> მომაწოდე, შევჭამო ეგ ნანადირევი, შვილო, რომ ვაკურთხოს სულმა ჩემმა. და მიაწოდა და შეჭამა. და ღვინო მიუტანა და შესვა. <sup>26</sup> და უთხრა მას ისაკმა, მამამისმა: მომიახლოვდი და მაკოცე, შვილო. <sup>27</sup> და მიუახლოვდა და აკოცა. და იცნოსა მისი სამოსლის სუნი და აკურთხა შვილი: აჰა, სუნი ჩემი შვილისა, ვითარცა სუნი უფლის კურთხეული მინდვრისა! <sup>28</sup> და მოგცეს ღმერთმა ცვარი ცისა, სინოყივრე მიწისა, უხვი ხორბალი და ღვინო! <sup>29</sup> და გემსახურონ ხალხები და თაყვანი გცენ ტომებმა! გახდი ბატონი შენი ძმებისა და თაყვანი გცენ დედაშენის შვილებმა. წყეულიმც არის მაწყევარი შენი, კურთხეულია მაკურთხებელი შენი! <sup>30</sup> და როგორც კი დაასრულა ისაკმა იაკობის კურთხევა და გავიდა იაკობი ისაკისაგან, ნადირობიდან დაბრუნდა ესავიც. <sup>31</sup> და მოამზადა მანაც კერძი და მიუტანა მამამისს და უთხრა: ადგეს მამაჩემი და ჭამოს თავისი შვილის ნანადირევი, რომ მაკურთხოს მისმა სულმა. <sup>32</sup> და უთხრა ისაკმა, მამამისმა: ვინ ხარ? უთხრა: შენი შვილი ვარ, შენი პირმშო ესავი ვარ. <sup>33</sup> და შეძრწუნდა ისაკი და თქვა: ის ვინლა იყო, ნანადირევი რომ მომიტანა და შენს მოსვლამდე შევჭამე? ის ვაკურთხე და კურთხეულიც ის იქნება. <sup>34</sup> მამის სიტყვები რომ გაიგონა ესავმა, ხმამაღლა და მწარედ ამოიგმინა. და უთხრა მამას: მეც მაკურთხე, მამაჩემო! <sup>35</sup> და თქვა: მოტყუებით მოვიდა შენი ძმა და წაიღო საშენო კურთხევა. <sup>36</sup> და თქვა ესავმა: ტყუილად კი არ ჰქვია იაკობი. ორჯერ გამაცურა: ჯერ პირმშოება წამართვა, ახლა კურთხევა წაურთმევია. და თქვა: ნუთუ არ შეგინახავს ჩემთვის კურთხევა? <sup>37</sup> და მიუგო ისაკმა და უთხრა ესავს: აჰა, ბატონად დაგისვი იგი, ძმები მსახურებად მივეცი, და ხორბლითა და ღვინით ავავსე, და შენ რაღა გიყო, ჩემო შვილო? <sup>38</sup> და უთხრა ესავმა მამას: ნუთუ მხოლოდ ერთი კურთხევა გქონდა, მამაჩემო? მეც



მაკურთხე, მამაჩემო! და ხმამაღლა ატირდა ესავი. <sup>39</sup> და მიუგო ისაკმა, მამამისმა, და უთხრა მას: აჰა, ნოყიერი მიწა გექმნეს სამკვიდრებლად, ცის ცვარი — კურთხევად. <sup>40</sup> შენმა მახვილმა გარჩინოს, ძმას ემსახურებოდე. დრო მოვა და ქედიდან გადაიგდებ უღელს. <sup>41</sup> და გადაემტერა ესავი იაკობს კურთხევის გამო, რომლითაც აკურთხა იგი მამამ. თქვა გულში ესავმა: მოაწვევს მამაჩემზე გლოვის დღეები და მოვკლავ კიდეც იაკობს, ჩემს ძმას. <sup>42</sup> და ემცნო რებეკას ესავის, თავისი უფროსი შვილის ნათქვამი და მოაყვანინა იაკობი, თავისი უმცროსი შვილი და უთხრა: აჰა, მოსაკლავად გემუქრება შენი ძმა ესავი. <sup>43</sup> ახლა მომისმინე, შვილო, ადექი და ჩემს ძმასთან, ლაბანთან, გაიქეცი ხარანში. <sup>44</sup> და ერთხანს იცხოვრე მასთან, სანამ ბრაზი არ გაუვლის შენს ძმას. <sup>45</sup> სანამ არ გაუვლის შენი მტრობა და არ დაავიწყდება, რაც უყავი. და გამოვგზავნი და წამოგიყვან იქიდან. რატომ დაგკარგოთ ერთთავენი ერთ დღეს? <sup>46</sup> და უთხრა რებეკამ ისაკს: შემაძულეს სიცოცხლე ხეთელმა ქალებმა. თუ იაკობმაც ხეთელებისაგან მოიყვანა ცოლი, ამ ქვეყნის ქალები რომ არიან, ისეთი, რაღასთვის მინდა სიცოცხლე?

### ისაკი აგზავნის იაკობს ლაბანთან ხარანში

**28** <sup>1</sup> და მოიხმო ისაკმა იაკობი, აკურთხა და ამცნო, და უთხრა მას: ნუ მოიყვან ცოლს ქანაანელთაგან. <sup>2</sup> ადექი და წადი ფადან-არამში, დედაშენის მამის, ბეთუელის, სახლში, და მოიყვანე იქიდან ცოლად დედაშენის ძმის, ლაბანის ასული, <sup>3</sup> და ყოვლადძლიერი ღმერთი გაკურთხებს, და ნაყოფიერს გაგხდის, და გაგამრავლებს და ხალხთა კრებული შეიქნები. <sup>4</sup> და მოგცემს აბრაამის კურთხევას შენ და შენს შთამომავლობას შენთან ერთად, რათა დაიმკვიდრო შენი მდგმურობის ქვეყანა, რომელიც მისცა ღმერთმა აბრაამს. <sup>5</sup> და გაუშვა ისაკმა იაკობი და წავიდა იგი ფადან-არამში, ლაბანთან, არამელი ბეთუელის ძესთან, რომელიც იყო ძმა რებეკასი, იაკობისა და ესავის დედისა.

## ესავი მეორედ ქორწინდება

<sup>6</sup>და დაინახა ესავმა, რომ აკურთხა ისაკმა იაკობი და გაუშვა ფადან-არამში ცოლის მოსაყვანად და რომ კურთხევისას ამცნო, არ მოეყვანა ცოლი ქანაანელთაგან, <sup>7</sup>და რომ დაუჯერა იაკობმა დედ-მამას და წავიდა ფადან-არამში. <sup>8</sup>და დაინახა ესავმა, რომ არ მოსწონდა მამამისს, ისაკს, ქანაანელი ქალები. <sup>9</sup>და წავიდა ესავი ისმაელთან და მოიყვანა ცოლად მახალათი აბრაამის ძის, ისმაელის ასული, ნებაიოთის და, სხვა ცოლების გვერდით.

## კიბე ცასა და მიწას შორის

<sup>10</sup>და გავიდა იაკობი ბეერშებადან და გაემართა ხარანისაკენ, <sup>11</sup>და მიაღვა ერთ ადგილს და იქ დაიღამა, რადგან მზე ჩასული იყო. და აიღო ერთი ლოდი იმ ადგილიდან და დაიდო სასთუმალთან და დაწვა იმ ადგილას. <sup>12</sup>და ესიზმრა: აჰა, კიბე დგას მიწაზე და თავით ცას სწვდება, და აჰა, უფლის ანგელოზები აღიან და ჩამოდიან კიბეზე. <sup>13</sup>და, აჰა, უფალი დგას კიბეზე და ეუბნება: მე ვარ უფალი, ღმერთი აბრაამისა, მამაშენისა, და ღმერთი ისაკისა. ამ მიწას, სადაც შენ წევხარ, შენ და შენს თესლს ვაძლევ. <sup>14</sup>და შენი თესლი ქვიშასავით მრავალრიცხოვანი იქნება და განივრცობი დასავლეთით, აღმოსავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით. და შენით და შენი თესლით იკურთხება მიწიერთა მთელი მოდგმა. <sup>15</sup>და, აჰა, მე შენთანა ვარ და ყველგან დაგიფარავ, სადაც კი წახვალ, და დაგაბრუნებ ამ მიწაზე, რადგან არ მიგატოვებ, ვიდრე არ აგისრულებ, რაც გითხარი. <sup>16</sup>და გამოფხიზლდა იაკობი ძილისაგან და თქვა: ნამდვილად უფალი ყოფილა ამ ადგილას, მე კი არ ვიცოდი! <sup>17</sup>და შეეშინდა და თქვა: რა საშიში ყოფილა ეს ადგილი! სხვა რა უნდა იყოს, თუ არა უფლის სახლი? ეს ცათა კარიბჭეა! <sup>18</sup>და ადგა დილაადრიანად იაკობი და აიღო ლოდი, სასთუმლად რომ ედო, და აღმართა სვეტად და ზეთი დაღვარა მის თავზე. <sup>19</sup>და უწოდა იმ ადგილს ბეთელი. წინათ კი ლუზი ერქვა ამ

ქალაქს. <sup>20</sup> და აღთქმა დადო იაკობმა და თქვა: თუ ღმერთი ჩემთან იქნება და დამიფარავს ამ გზაზე, რომელსაც ვადგავარ, მომცემს პურს საჭმელად და სამოსელს შესამოსად, <sup>21</sup> მშვიდობით დავბრუნდები მამის სახლში და უფალი იქნება ჩემი ღმერთი, <sup>22</sup> მაშინ ეს ლოდი, სვეტად რომ დავდგი, ღვთის სახლი იყოს და ყველაფრისაგან, რასაც მომცემ, მეათედს შენ მოგცემ.

### იაკობი ესტუმრება ლაბანს

**29** <sup>1</sup> და დაიძრა იაკობი და წავიდა აღმოსავლელთა ქვეყნი-საკენ. <sup>2</sup> და დაინახა, აჰა, ჭა არის ველზე და ცხვრის სამი ფარა წევს მის მახლობლად, რადგან ამ ჭიდან არწყულებდნენ ფარებს. და დიდი ლოდი ახურავს ჭის პირს. <sup>3</sup> იქ იკრიბებოდა ყველა მწყემსი, გადააგორებდნენ ლოდს ჭის პირიდან და არწყულებდნენ ცხვარს. მერე ისევ დახურავდნენ ჭის პირს ამ ლოდით. <sup>4</sup> და უთხრა მათ იაკობმა: სადაურები ხართ, ძმებო? მიუგეს: ხარანელები ვართ. <sup>5</sup> და უთხრა: თუ იცნობთ ლაბანს, ნახორის ძეს? თქვეს: ვიცნობთ. <sup>6</sup> და უთხრა მათ: ხომ მშვიდობითაა? უთხრეს: მშვიდობითაა. აგერ, რახელიც, მისი ასული, ცხვარს მოჰყვება. <sup>7</sup> და თქვა: ჯერ ხომ არ გასულა დღე, ადრეა საქონლის თავმოყრა. დაარწყულეთ ცხვარი, წაასხით და აძოვეთ. <sup>8</sup> და თქვეს: ვერ წავალთ, ვიდრე მთლიანად არ შეიყრება ფარა და ამ ლოდს არ გადმოაგორებენ ჭის პირიდან. მხოლოდ მაშინ დავარწყულებთ ცხვარს. <sup>9</sup> ჯერ კიდევ ელაპარაკებოდა მათ იაკობი, რომ მოვიდა რახელი, ლაბანის ასული, მამამისის ცხვართან ერთად, რადგან იგი მწყემსავდა მას. <sup>10</sup> და როგორც კი დაინახა იაკობმა რახელი, თავისი დედის ძმის, ლაბანის ასული, და მისი ცხვარი, მივიდა ჭასთან და გადააგორა ლოდი და დაარწყულა თავისი დედისძმის, ლაბანის ცხვარი. <sup>11</sup> და აკოცა იაკობმა რახელს და ხმამაღლა შესძახა და ატირდა. <sup>12</sup> და გააგებინა იაკობმა რახელს, მამაშენის სახლიკაცი ვარ, რებეკას შვილი ვარო. და გაიქცა ქალი და მამას გააგებინა. <sup>13</sup> და რო-

გორც კი გაიგო ლაბანმა თავისი დისწულის, იაკობის, მოსვლის ამბავი, გამოიქცა მის შესახვედრად და გადაეხვია, გადაკოცნა და სახლში შეიყვანა. და უამბო მან ლაბანს მთელის ეს ამბავი.<sup>14</sup> და უთხრა მას ლაბანმა: ნამდვილად ჩემი ძვალი და ხორცი ხარ. და დარჩა მასთან იაკობი მთელი ერთი თვე.

## იაკობის ქორწინება ლეა და რახელი

<sup>15</sup> და უთხრა ლაბანმა იაკობს: ჩემი ძმა რომ ხარ, უსასყიდლოდ ხომ არ უნდა მემსახურო? მითხარი, რა მოგცე ქირად?<sup>16</sup> ორი ასული ჰყავდა ლაბანს, უფროსს სახელად ლეა ერქვა, უმცროსს — რახელი.<sup>17</sup> ლეას სუსტი თვალები ჰქონდა, რახელი მშვენიერი იყო ტანად და პირად.<sup>18</sup> და შეუყვარდა იაკობს რახელი და უთხრა ლაბანს: შვიდ წელიწადს გემსახურები რახელისათვის, შენი უმცროსი ასულისათვის.<sup>19</sup> და თქვა ლაბანმა: მიჯობს, შენ მოგცე იგი, ვიდრე სხვა კაცს. იცხოვრე ჩემთან.<sup>20</sup> და შრომობდა იაკობი რახელისათვის შვიდ წელიწადს და რახელის სიყვარულის გამო რამდენიმე დღედ ერვენა ეს ხანი.<sup>21</sup> და უთხრა იაკობმა ლაბანს: მომეცი ჩემი ცოლი, რადგან ვადა გასულია და უნდა შევიდე მასთან.<sup>22</sup> და შეყარა იმ ადგილის კაცები ლაბანმა და გამართა ლხინი.<sup>23</sup> და საღამო ჟამს წაიყვანა ლეა, თავისი ასული, და მიჰგვარა მას. და შევიდა მასთან.<sup>24</sup> და მისცა ლაბანმა თავისი მხევალი ბილფა მხევლად თავის ასულს, ლეას.<sup>25</sup> და იყო დილა და, აჰა, ეს ლეაა. და უთხრა ლაბანს: ეს რა მიყავი? განა რახელისათვის არ ვშრომობდი შენთან? რატომ მომატყუე?<sup>26</sup> და თქვა ლაბანმა: ჩვენში წესად არ არის უფროსზე ადრე უმცროსის გათხოვება.<sup>27</sup> ბარემ გაასრულე შვიდეული და მერე ამასაც მოგცემთ იმ შრომისათვის, რასაც გასწევ ჩემთან კიდევ შვიდ წელიწადს.<sup>28</sup> და ასეც მოიქცა იაკობი და გაასრულა შვიდეული, და მისცა ლაბანმა რახელი, თავისი ასული, ცოლად.<sup>29</sup> და მისცა ლაბანმა თავისი მხევალი

ბილჰა მხევლად თავის ასულს, რახელს. <sup>30</sup> და შევიდა იაკობი რახელთანაც და ლეაზე უფრო შეუყვარდა რახელი. და შრომობდა ლაბანთან კიდევ შვიდ წელიწადს.

### იაკობის შვილები

<sup>31</sup> და დაინახა უფალმა, რომ მოძულეებული იყო ლეა, და გაუხსნა მას საშო. რახელი კი ბერწი იყო. <sup>32</sup> და დაორსულდა ლეა და შვა ძე და დაარქვა სახელად რეუბენი, რადგან თქვა: რადგან უფალმა მომხედა გასაჭირში, ამიერიდან შემეყვარებს ჩემი ქმარი. <sup>33</sup> და კვლავ დაორსულდა ლეა და შვა ძე და თქვა: ესმა უფალს, რომ მოძულეებული ვარ, და მომცა ესეც. და დაარქვა ძეს სახელად სიმეონი. <sup>34</sup> და კვლავ მიუდგა ლეა და შვა ძე, და თქვა: ახლა კი შემომეგვლება ჩემი ქმარი, რადგან სამი ძე ვუშვი. ამიტომაც უწოდა სახელად ლევი. <sup>35</sup> და კვლავ დაორსულდა და შვა ძე და თქვა: ახლა ვმადლობ უფალს. ამიტომ უწოდა ძეს სახელად იუდა. და შეწყვიტა შობა.

**30** <sup>1</sup> და დაინახა რახელმა, რომ შვილს ვერ უჩენდა იაკობს და შეშურდა თავისი დისა. და უთხრა იაკობს: მომეცი შვილები, თორემ მოვკვდები. <sup>2</sup> და განურისხდა რახელს იაკობი და თქვა: ღმერთი ხომ არა ვარ, რომ მუცლის ნაყოფს გიბრკოლებდე? <sup>3</sup> და თქვა ქალმა: აჰა, ბილჰა, ჩემი მხევალი. შედი მასთან და შობოს ჩემს მუხლებზე, რათა გავშვილიანდე მისგან. <sup>4</sup> და მისცა ბილჰა, თავისი მხევალი, ცოლად და შევიდა მასთან იაკობი. <sup>5</sup> და დაორსულდა ბილჰა და უშვა იაკობს ძე. <sup>6</sup> და თქვა რახელმა: განმსაჯა ღმერთმა და კიდევ ისმინა ჩემი ხმა, და მომცა ძე. ამიტომ დაარქვა სახელად მას დანი. <sup>7</sup> და კიდევ დაორსულდა ბილჰა, რახელის მხევალი, და უშვა იაკობს მეორე ძე. <sup>8</sup> და თქვა რახელმა: ღვთიური შებმით შეგვბი ჩემს დას და დავჯაბნე კიდევ. და დაარქვა სახელად ძეს ნაფთალი. <sup>9</sup> და დაინახა ლეამ, რომ შეუწყდა შვილიერება და აიღო და მისცა ბილჰა, თავისი მხევალი, იაკობს ცოლად. <sup>10</sup> და უშვა ბილჰამ, ლეას მხევალმა, იაკობს ძე. <sup>11</sup> და თქვა ლეამ: საბედნიეროდ!

და უწოდა ვაჟს სახელად გადი. <sup>12</sup> და უშვა ზილფამ, ლეას მხე-  
ვალმა, იაკობს მეორე ძე. <sup>13</sup> და თქვა ლეამ: სანეტაროდ! რად-  
გან ნეტარად შემრაცხენ ქალები. და დაარქვა სახელად ძეს  
აშერი. <sup>14</sup> და გავიდა რეუბენი მკის დროს მინდორში და იპოვა  
მანდრაგორის ვაშლები, და მიუტანა ლეას, თავის დედას. და  
უთხრა რახელმა ლეას: მიწილადე შენი შვილის მანდრაგორე-  
ბი. <sup>15</sup> და თქვა ლეამ: არ იკმარე, ქმარი რომ წამართვი? ახლა  
ჩემი შვილის მანდრაგორებსაც მართმევ? და თქვა რახელმა:  
კარგი, შენთან დაწვეს ამაღამ, ოღონდ მომეცი შენი შვილის  
მანდრაგორები. <sup>16</sup> და დაბრუნდა იაკობი საღამო ხანს მინდვ-  
რიდან და გამოეგება ლეა და უთხრა: შემოდი ჩემთან, რადგან  
გამოგისყიდე ჩემი შვილის მანდრაგორებით. და დაწვა მასთან  
იმ ღამით იაკობი. <sup>17</sup> და უსმინა ღმერთმა ლეას და დაორსულდა  
და უშვა იაკობს მეხუთე ძე. <sup>18</sup> და თქვა ლეამ: ღმერთმა გადამი-  
ხადა სანაცვლო, იაკობს რომ მივეცი ცოლად ჩემი მხევალი. და  
დაარქვა სახელად ძეს ისაქარი. <sup>19</sup> და კიდევ დაორსულდა ლეა  
და უშვა იაკობს მეექვსე ძე. <sup>20</sup> და თქვა ლეამ: კეთილი ხვედ-  
რი მარგუნა ღმერთმა. ახლა კი შემიტკბობს ჩემი ქმარი, რად-  
გან ექვსი ძე გავუჩინე. და დაარქვა სახელად ძეს ზებულონი.  
<sup>21</sup> და მერე შვა ასული და უწოდა სახელად დინა. <sup>22</sup> და გაიხსენა  
ღმერთმა რახელი, და უსმინა ღმერთმა მას და გაუხსნა საშო.  
<sup>23</sup> და დაორსულდა და შვა ძე, და თქვა: ღმერთმა ამაშორა  
სირცხვილს. <sup>24</sup> და დაარქვა სახელად იოსები, რადგან თქვა:  
შემძენს უფალი მეორე ძესაც.

### იაკობის გამდიდრება

<sup>25</sup> და როცა შვა რახელმა იოსები, უთხრა იაკობმა ლაბანს:  
გამიშვი, წავალ ჩემს სამშობლოში, ჩემს ქვეყანაში. <sup>26</sup> და გამა-  
ტანე ჩემი ცოლები და შვილები, რომელთა გულისათვის გემ-  
სახურებოდი, და წავალ, რადგან შენ თავად უწყი ჩემი სამსა-  
ხური, როგორ გემსახურებოდი. <sup>27</sup> და უთხრა ლაბანმა: ნეტავ

მადლი ვპოვო შენს თვალში! ნამკითხავები მაქვს, რომ შენს გამო მაკურთხა უფალმა. <sup>28</sup> და თქვა: მითხარი, რას მოითხოვ გასამრჯელოდ და მოგცემ. <sup>29</sup> და უთხრა მას: შენ თავად უწყი, როგორ გემსახურებოდი, და როგორი გახდა ჩემს ხელში შენი საქონელი. <sup>30</sup> რადგან ჩემამდე ცოტა გყავდა და დიდძალი შეიქნა. და გაკურთხა უფალმა ჩემი მოსვლით. და ახლა როდისღა ვიზრუნო ჩემი სახლისათვის? <sup>31</sup> და თქვა: რა მოგცე? თქვა იაკობმა: ნურაფერს მომცემ, ოღონდ ეს საქმე გამიკეთე და მე კვლავ დავმწყესავ და მოვუვლი შენს ცხვარს. <sup>32</sup> დღეს გავივლი მთელს შენს ფარაში. ცალკე გაიყვანე ყველა დაწინწკლული და ჭრელი პირუტყვი, და ყველა შავი ცხვარი, და ყველა ჭრელი და დაწინწკლული თხა. და ეს იქნება ჩემი გასამრჯელო. <sup>33</sup> და პასუხს გაგცემს ჩემს მაგივრად ჩემი სიმართლე ხვალ, როცა გასამრჯელოს გასასტუმრებლად მოხვალ, ყველა თხა, რომელიც არ იქნება დაწინწკლული და ჭრელი, ან ცხვარი — შავი ფერისა, ნაქურდლად ჩამითვალე. <sup>34</sup> და თქვა ლაბანმა: კეთილი, ეგრე იყოს. <sup>35</sup> და ცალკე გაიყვანა იმ დღეს ლაბანმა ყველა ზოლიანი და ჭრელი ვაცი, ყველა დაწინწკლული და ჭრელი ნერბი, და ყველა პირუტყვი, რომელსაც თეთრი ერია, და ყველა შავი ცხვარი, და თავის შვილებს ჩააბარა. <sup>36</sup> და დააგდო ლაბანმა სამი დღის სავალი თავისა და იაკობს შორის. და მწყემსავდა იაკობი ლაბანის დანარჩენ ფარას. <sup>37</sup> და აიღო იაკობმა ალვისხის, ნუშისა და ნეკერჩხლის ნედლი ჯოხები, და ალაგ-ალაგ გალოპრა ისე, რომ ჯოხებს თეთრი ზოლები დააჩნდა. <sup>38</sup> და ჩააწყო დაჭრელებული ჯოხები დასარწყულებელ გეჯებში, სადაც მოდიოდა ფარა წყლის სასმელად და მოსვლისას ახურდებოდა ხოლმე. <sup>39</sup> და ახურდა ფარა ამ ჯოხებთან და მოიგო ფარამ ხატულები, და დაწინწკლულები და ჭრელები. <sup>40</sup> და გამოაცალკევებდა იაკობი ბატკნებს და აჭრელებული ჯოხებისაკენ უზამდა პირს. მუქი ფერისას ყველას ლაბანის ფარაში სტოვებდა, თავისი პირუტყვი კი ცალკე ჰყავდა და არ აჩერებდა ლაბანის ფარასთან. <sup>41</sup> ჯანსაღი ფარის ახურებისას



პირუტყვის თვალწინ ჩაჰყრიდა იაკობი გეჯებში ჯოხებს, რომ ახურებულებიყვნენ. <sup>42</sup> თუ ფარა სუსტი იყო, არ ყრიდა. და ლაბანს სუსტი რჩებოდა, იაკობს — ჯანსალი. <sup>43</sup> და გამდიდრდა მეტიმეტად კაცი, და შეემატა დიდძალი ფარა, და მხევალნი და მსახურნი, და აქლემები და სახედრები.

### იაკობი გარბის ლაბანისაგან

**31** <sup>1</sup> და გაიგო ლაბანის ძეთა ნათქვამი, რომ ამბობდნენ, ყველაფერი წაართვა იაკობმა მამაჩვენს, მამაჩვენის ქონებით გამდიდრდაო. <sup>2</sup> და შეხედა იაკობმა სახეზე ლაბანს და, აჰა, იგი ისეთი აღარ იყო მის მიმართ, როგორც გუშინ და გუშინწინ. <sup>3</sup> და უთხრა უფალმა იაკობს: დაბრუნდი შენი მამა-პაპის ქვეყანაში, შენს სამშობლოში, და მეც შენთან ვიქნები. <sup>4</sup> და გაგზავნა კაცი იაკობმა და მოუხმო რახელსა და ლეას ველად, ფარასთან. <sup>5</sup> და უთხრა მათ: შევხედე სახეზე მამათქვენს, რომ იგი ისეთი აღარაა ჩემს მიმართ, როგორც გუშინ და გუშინწინ. მაგრამ მამაჩემის ღმერთი თან მახლავს მე. <sup>6</sup> თქვენ იცით, რომ ძალ-ღონე არ დამიშურებია მამათქვენის სამსახურისათვის. <sup>7</sup> მამათქვენმა კი მომატყუა და ათვზის შემცვალა გასამრჯელო, მაგრამ არ დაანება ღმერთმა, ებოროტნა ჩემთვის. <sup>8</sup> და როცა იტყოდა, დაწინწკლულები იყოსო შენი გასამრჯელო, მთელი ფარა დაწინწკლულებს იგებდა. და როცა იტყოდა, ხატულები იყოსო შენი გასამრჯელო, ხატულებს იგებდა მთელი ფარა. <sup>9</sup> და წაართვა ღმერთმა საქონელი მამათქვენს და მე მომცა. <sup>10</sup> და იყო ფარის ახურების დროს, რომ ავახილე თვალი სიზმარში და ვხედავ, აჰა, ვაცები ფარას რომ ახტებიან, სულ ხატულები, დაწინწკლულები და ტრელები არიან. <sup>11</sup> და მითხრა ღვთის ანგელოზმა სიზმარში: იაკობ! და ვთქვი: აჰა, მე ვარ. <sup>12</sup> და თქვა: აახილე თვალი და შეხედე: ყველა ვაცი, ფარას რომ ახტება, ხატულაა, დაწინწკლულია და ტრელია, რადგან ყველაფერს ვხედავ, რასაც ლაბანი გიკეთებს. <sup>13</sup> მე ვარ ღმერთი ბეთელისა, სადაც შენ ზეთი სცხე სვეტს, სადაც აღთქმა მომეცი.



ახლა კი, ადექი და გადი ამ ქვეყნიდან, და დაბრუნდი შენს სამშობლო ქვეყანაში. <sup>14</sup> და მიუგეს რახელმა და ლეამ და უთხრეს: კიდევ გვიძევს რაიმე წილი და სამკვიდრო მამაჩვენის სახლში? <sup>15</sup> განა უკვე უცხოები არა ვართ მისთვის? ხომ გაგვყიდა და ჩვენი ვერცხლიც მთლიანად შეჭამა? <sup>16</sup> ამიტომაც მთელი ქონება, ღმერთმა რომ წაართვა მამაჩვენს, ჩვენი და ჩვენი შვილები ისაა. და ახლა ყველაფერი, რაც გითხრა ღმერთმა, გააკეთე. <sup>17</sup> და ადგა იაკობი და შესხა თავის შვილები და ცოლები აქლემებზე. <sup>18</sup> და წაასხა მთელი თავისი ჯოგი და მთელი თავისი მონაგები, რაც მოიხვეჭა, და თავისი საკუთარი ჯოგი, რომელიც ფადან-არამში შეიძინა, რომ წასულიყო ისაკთან, თავის მამასთან, ქანაანის ქვეყანაში. <sup>19</sup> და ლაბანი ცხვრის გასაპარსად იყო წასული და რახელმა მოიპარა კერპები, მამამისს რომ ჰქონდა. <sup>20</sup> და მოჰპარა იაკობმა გული ლაბან არამელს: არ გაუმხილა, რომ გარბოდა მისგან. <sup>21</sup> და გაიქცა და ყველაფერი თან წაიღო, რაც კი ებადა. და ადგა და გავიდა მდინარის გაღმა და გალაადის მთისაკენ ქნა პირი.

### იაკობისა და ლაბანის შერიგება

<sup>22</sup> და შეიტყო ლაბანმა მესამე დღეს, რომ გაიქცა იაკობი. <sup>23</sup> და იახლა სახლიკაცები და სდია შვიდი დღის სავალზე, ვიდრე გალაადის მთასთან არ დაეწია. <sup>24</sup> და გამოეცხდა ღმერთი ლაბან არამელს სიზმარში ღამით და უთხრა: თავი შეიკავე, არც კეთილად ელაპარაკო იაკობს, არც ავად. <sup>25</sup> და დაეწია ლაბანი იაკობს და იაკობს თავისი კარავი მთაზე ჰქონდა გაშლილი, და ლაბანმა გალაადის მთაზე გაშალა კარავი თავის ძმებთან ერთად. <sup>26</sup> და უთხრა ლაბანმა იაკობს: ეს რა ჰქენი? მომატყუე და წაასხი ჩემი ასულები, თითქოს მახვილით ნაშოვარი ტყვეები ყოფილიყვნენ. <sup>27</sup> უჩუმრად რატომ გაიქეცი, მომატყუე და არ შემატყობინე? ლხინითა და სიმღერით, დოლისა და ქნარის ხმაზე გაგისტუმრებდი. <sup>28</sup> არ დამაცადე, ჩემი ვაჟები და ასულები გადამეკოცნა. უგუნურად მოიქეცი. <sup>29</sup> ჩემს ხელთ იყო,

ავად მოგქცეოდი, მაგრამ თქვენი მამა-პაპის ღმერთმა მითხრა წუხელ სიზმარში: თავი შეიკავე. ნურც კეთილად დაელაპარაკები იაკობს, ნურც ავადო. <sup>30</sup>ახლა, წასვლით კი მიდიხარ, რაკი მოგენატრა მამაშენის სახლი, მაგრამ ღმერთები რაღად მომპარე? <sup>31</sup>და მიუგო იაკობმა და უთხრა ლაბანს: შემეშინდა, ვიფიქრე წამართმევდი შენს ასულებს. <sup>32</sup>ვისაც შენს ღმერთებს უპოვი, ვერ იცოცხალე! ჩვენი ძმების წინ დაადევი ხელი ყველაფერს, რაც შენია, და წაიღე. და არ იცოდა იაკობმა, რომ რახელმა მოიპარა ისინი. <sup>33</sup>და შევიდა ლაბანი იაკობის კარავში და ლეას კარავში, და ორი მხევლის კარავში, მაგრამ ვერაფერი იპოვნა. და გამოვიდა ლეას კარვიდან და რახელის კარავში შევიდა. <sup>34</sup>და აიღო რახელმა კერპები და აქლემის უნაგირქვეშ ამოღო და ზედ დაჯდა. და მოჩხრიკა ლაბანმა მთელი კარავი, მაგრამ ვერაფერი იპოვნა. <sup>35</sup>და უთხრა რახელმა მამას: ნუ გამირისხდება ჩემი ბატონი, რომ ვერ წამოვდგები შენს წინაშე, რადგან დედათა წესი მჭირს. და ეძება და ვერ იპოვნა ლაბანმა კერპები. <sup>36</sup>და განრისხდა იაკობი და წაეკიდა ლაბანს, და მიუგო იაკობმა და უთხრა ლაბანს: რა დავაშავე, რა შევცოდე, რომ დამედევნე? <sup>37</sup>ხომ გაჩხრიკე მთელი ჩემი ტურტელი? რა ნახე მათში შენი სახლიდან წამოღებული? გადმოალაგე აქ შენი და ჩემი ძმების თვალწინ და მათ განგვსაჯონ ჩვენ ორნი. <sup>38</sup>აჰა, ოცი წელიწადი ვარ შენთან და შენს ცხვრებსა და თხებს მკვდრად არასოდეს მოუგიათ, არც შენი ფარის ვერძები შემიტამია. <sup>39</sup>ნამხევავი პირუტყვი შენთან არ მომიტანია, მე ვბარალობდი. მე მაზღვევინებდი დღისით ნაქურდალს და ღამით ნაქურდალს. <sup>40</sup>დღისით ხვატი მჭამდა და ღამით — ყინვა, და ძილი გაურბოდა ჩემს თვალებს. <sup>41</sup>ასე ვიყავი ოცი წელიწადი შენს სახლში. თოთხმეტი წელი შენი ორი ასულისათვის გემსახურე, კიდევ ექვსი წელი შენი ფარისათვის. და შენ ათგბის შემიცვალე გასამრჯელო. <sup>42</sup>ღმერთი მამაჩემისა, ღმერთი აბრაამისა და შიში ისაკისა რომ არ ყოფილიყო ჩემთან, მაშინ ხომ ხელცარიელს გამისტუმრებდი. ჩემს ტანჯვა-წვალებასა და ჯა-

ფას მოხედა ღმერთმა და გამხილა გუშინ. <sup>43</sup> და მიუგო ლაბანმა და უთხრა იაკობს: ეს ქალები ჩემი ასულებია და ეს ვაჟები ჩემი ვაჟებია, და ეს ფარა ჩემი ფარაა, და ყველაფერი, რასაც აქ ხედავ, ჩემია. რა ვუყო ახლა ამათ ან ამ ვაჟებს, რომელნიც მათ შობეს? <sup>44</sup> მოდი, შევკრათ კავშირი მე და შენ და ეს იყოს მოწამე ჩემსა და შენს შორის. <sup>45</sup> და აიღო იაკობმა ქვა და აღმართა სვეტად. <sup>46</sup> და უთხრა იაკობმა თავის ძმებს: მოაგროვეთ ქვები. და მოიტანეს ქვები და გორა დააყენეს. და ჭამეს იქ, იმ გორაზე. <sup>47</sup> და უწოდა მას ლაბანმა იეგარ-საჰადუთა\* და იაკობმა უწოდა გალაადი\*. <sup>48</sup> და თქვა ლაბანმა: ეს გორა იყოს მოწმედ დღეს ჩვენს შორის. ამიტომ ეწოდა სახელად გალაადი <sup>49</sup> და მიცფა, რადგან თქვა: თვალყური გვადევნოს უფალმა, როცა ერთმანეთს თვალით ვაღარ ვნახავთო. <sup>50</sup> თუ დაჩაგრავ ჩემს ასულებს ან თუ სხვა ცოლებს დაისვამ მათ გვერდით, იცოდე, რომც არავინ იყოს ჩვენთან, ღმერთია ჩვენი მოწმე. <sup>51</sup> და უთხრა ლაბანმა იაკობს: აჰა, ეს გორა და ეს სვეტი, რომელნიც აღვმართე ჩვენს შორის! <sup>52</sup> მოწმე იყოს ეს გორა, მოწმე იყოს ეს სვეტი, რომ არც მე გადმოვლახავ შენკენ ამ გორას და არც შენ გადმოვლახავ ჩემკენ ამ გორას და ამ სვეტს საზიანოდ. <sup>53</sup> აბრაამის ღმერთმა და ნახორის ღმერთმა განგვსაჯოს ჩვენ, მათი მამის ღმერთმა. და დაიფიცა იაკობმა თავისი მამის, ისაკის შიში. <sup>54</sup> და შეწირა იაკობმა მსხვერპლი მთაზე და მოიწვია ძმები პურის საჭმელად. და ჭამეს პური და მთაზე გაათიეს ღამე.

**32** <sup>1</sup> და ადგა ლაბანი დილაადრიანად, და გადაკოცნა თავისი ძენი და ასულნი და დალოცა ისინი. და წავიდა ლაბანი და დაბრუნდა თავის მხარეში. <sup>2</sup> და იაკობიც წავიდა თავის გზაზე და შემოხვდნენ ღვთის ანგელოზები. <sup>3</sup> და თქვა იაკობმა მათ დანახვაზე: ეს ღვთის ბანაკია. და უწოდა სახელად ამ ადგილს მახანაიმი\*\*\*.

\* არამეულად: „გორა მოწმობისა“.

\*\* ებრაულად: „გორა მოწმობისა“.

\*\*\* „ორბანაკი“.

## იაკობი ემზადება ესავთან შესახვედრად

<sup>4</sup>და გაგზავნა იაკობმა მაცნენი ესავთან, თავის ძმასთან, სე-  
ყირის ქვეყანაში, ედომის ველისაკენ. <sup>5</sup>და უბრძანა მათ სათქმე-  
ლად: უთხარით ჩემს ბატონს, ესავს: ასე ამბობს-თქო შენი მსა-  
ხური იაკობი: ლაბანთან ვმდგმურობდი და დავყოვნიდი აქამდე.  
<sup>6</sup>და მყავს ხარები და სახედრები, და ცხვრის ფარა და მსახურნი  
და მხევალნი. და გავუგზავნე კაცი ჩემს ბატონს მოსახსენებლად,  
რომ მადლი მინდა ვპოვო შენს თვალში. <sup>7</sup>და მობრუნდნენ მაც-  
ნენი იაკობთან და უთხრეს: ვიყავით შენს ძმასთან, ესავთან, და  
ისიც მოდის ოთხასი კაცით შენს შესახვედრად. <sup>8</sup>და ძალზე შე-  
შინდა იაკობი და შეეშოთდა. და გაჰყო ხალხი, თან რომ ახლდა,  
ცხვარი და ხვასტაგი, და აქლემები, ორ ბანაკად. <sup>9</sup>და თქვა: თუ  
დაეცემა ესავი ერთ ბანაკს და გაანადგურებს, დანარჩენი ბანაკი  
ხომ გადარჩება. <sup>10</sup>და თქვა იაკობმა: ჩემი მამის, აბრაამის ღმერ-  
თო! ჩემი მამის, ისაკის, ღმერთო! უფალო, რომელმაც მითხა-  
რი: შენს ქვეყანაში, შენს სამშობლოში დაბრუნდი და სიკეთეს  
გიყოფო. <sup>11</sup>ღირსი არა ვარ ყველა იმ სიკეთისა და წყალობისა,  
შენს მსახურს რომ უყავი. მე ხომ ჯოხის ამარამ გადავლახე ეს  
იორდანე და ახლა ორ ბანაკად ვდგავარ. <sup>12</sup>მისხენი ესავისაგან,  
ჩემი ძმისაგან, რადგან მეშინია მისი, არ დამეცეს და დედაწუ-  
ლიანად არ გამანადგუროს. <sup>13</sup>და შენ მითხარი: სიკეთეს გიყოფ,  
ზღვის ქვიშასავით აურაცხელს გავხდი შენს შთამომავლობასო!  
<sup>14</sup>და გაათენა იქ ის ღამე და გამოარჩია იქიდან, რაც მის ხელ-  
ში იყო, ძღვნად ესავისათვის, თავისი ძმისათვის: <sup>15</sup>ორასი ნებვი  
თხა და ოცი ვაცი, და ორასი ნერბი და ოცი ვერძი, <sup>16</sup>და ოცდაათი  
მეწველი აქლემი თავის კობაკებიანად, და ორმოცი ფური და  
ათი ხარი, და ოცი ჭაკი ვირი და ათი ჩოჩორი. <sup>17</sup>და მისცა თა-  
ვის მსახურთ ცალ-ცალკე ჯოგებად და უთხრა: იარეთ ჩემს წინ  
და ჯოგებს შორის დაავდეთ მანძილი. <sup>18</sup>და უბრძანა პირველს  
და უთხრა: თუ შეგხვდა ჩემი ძმა ესავი და გკითხა, ვისი ხარ და  
საით მიდიხარ, ვისია ეს ჯოგი წინ რომ მოირეკავო, <sup>19</sup>უთხარი:

შენი მსახურის, იაკობის არის, ჩემი ბატონის, ესავისათვის, გამოგზავნილი ძღვენია-თქო. აჰა, თავადაც უკან მოგყვება-თქო.<sup>20</sup> და უბრძანა მეორესაც, მესამესაც და ყველას, ვინც ჯოგებს გააყოლა: ამ სიტყვებით ელაპარაკეთ ესავს, როცა შეხვდებით მას.<sup>21</sup> და უთხარით: აჰა, შენი მსახური იაკობი ჩვენს უკან არის-თქო. რადგან იფიქრა, გულს მოვუგებ წინ წაძღვანებული ძღვენით, და მერე სახეზე შევხედავ, იქნებ შემიწყალოსო.<sup>22</sup> და ჩაიარა მის წინ ამ ძღვენმა, თავად კი ბანაკში გაათია ის ღამე.

### უფლის ანგელოზთან შერკინება იაბოკის ნაპირას

<sup>23</sup> და ადგა ღამით, და გამოიყვანა თავისი ორი ცოლი, და ორი მხევალი, და თავისი თორმეტი შვილი და გავიდა ფონს იაბოკზე.<sup>24</sup> და აიყვანა ისინი და გადაატარა მდინარეზე, და გადაიტანა, რაც კი ებადა.<sup>25</sup> და დარჩა მარტო იაკობი და ეჭიდებოდა მას ვიღაც გათენებამდე.<sup>26</sup> და როცა დაინახა, რომ ვერ ერეოდა, შეეხო მის თეძოს სახსარს, და ეღრძო იაკობს თეძოს სახსარი მასთან შეჭიდებისას.<sup>27</sup> და თქვა: გამიშვი, უკვე თენდება. და თქვა: არ გაგიშვებ, სანამ არ მაკურთხებ.<sup>28</sup> და უთხრა მას: რა გქვია? და თქვა: იაკობი.<sup>29</sup> და თქვა: ამიერიდან აღარ ითქვას შენს სახელად იაკობი, არამედ ისრაელი, რადგან ღმერთს და ადამიანებს შეერკინე და სძლიე.<sup>30</sup> და შეეკითხა იაკობი და თქვა: გამიცხადე შენი სახელი. და თქვა: რისთვის კითხულობ ჩემს სახელს? და იქ აკურთხა.<sup>31</sup> და უწოდა იაკობმა იმ ადგილს სახელად ფენუელი\*, რადგან თქვა: პირისპირ ვიხილე ღმერთი და გადავრჩი.<sup>32</sup> და ამოუბრწყინდა მზე, როგორც კი გასცდა ფენუელს, და კოჭლობდა იგი ცალი თეძოთი.<sup>33</sup> ამიტომ არ ჭამენ დღემდე ისრაელიანები მენჯის ძარღვს, თეძოს სახსარზე რომ არის, რადგან შეეხო ის იაკობის მენჯის ძვალს თეძოს სახსარზე.

\* „პირი ღვთისა“.

**ძმების შეხვედრა**

**33** <sup>1</sup>და გაიხედა იაკობმა და ხედავს, მოდის ესავი ოთხასი კაცით. და გაუთავთავისა იაკობმა ბავშვები ლეას, რახელს და ორ მხევალს. <sup>2</sup>და წინ დააყენა მხევლები და მათი ბავშვები, და უკან ლეა და მისი ბავშვები და უკან რახელი და იოსები. <sup>3</sup>და თავად მათ წინ გაემართა და შვიდბის მდაბლად თაყვანისცა, ვიდრე მიუახლოვდებოდა ძმას. <sup>4</sup>და გამოიქცა ესავი მის შესახვედრად და გადაეხვია, და ყელზე მოეჭდო, და გადაკოცნა, და ატირდნენ ორთავენი. <sup>5</sup>და გაიხედა ესავმა და დაინახა ქალები და ბავშვები და თქვა: შენი რა არიან ესენი? და თქვა: შვილებია, ღმერთმა რომ უწყალობა შენს მსახურს. <sup>6</sup>და მოდგდნენ მხევლები თავიანთი ბავშვებითურთ და თაყვანი სცეს. <sup>7</sup>და მოდგა ლეაც და მისი ბავშვები და თაყვანი სცა. და მერე მოდგნენ იოსები და რახელი და თაყვანი სცეს. <sup>8</sup>და თქვა: რა იყო მთელი ის ბანაკი, წინ რომ შემომხვდა? თქვა: რომ მადლი ვპოვო ჩემი ბატონის თვალში. <sup>9</sup>და თქვა ესავმა: არაფერი მაკლია, ძმაო. შენი შენვე გქონდეს. <sup>10</sup>და თქვა იაკობმა: არა. თუ მადლი მიპოვნია ჩემი ბატონის თვალში, მიიღე ჩამგან ეს ძღვენი. რადგან შენი სახე რომ დავინახე, გინდ ღვთის სახე დამენახოს, და შენც წყალობით შემომხედე. <sup>11</sup>მიიღე ჩემი კურთხევა, რომელიც შენთვის გამოიგზავნა, რადგან ღმერთმა მომხედა და ყველაფერი მაქვს. და არ მოეშვა და მანაც მიიღო. <sup>12</sup>და თქვა: დავიძრათ და წავიდეთ, მე წინ წავიძღვები. <sup>13</sup>და უთხრა მას: იცის ჩემმა ბატონმა, რომ სათუთნი არიან ბავშვები და ცხვარიც და საქონელიც მაკედა მყავს. წინ რომ გავირეკო, ერთ დღეში გამიწყდება მთელი საქონელი. <sup>14</sup>და იაროს ჩემმა ბატონმა თავისი მსახურის წინ და მე ნელ-ნელა გავყვები საქონლის ფეხს, ჩემს წინ რომ არის, და ბავშვების ფეხს, ვიდრე ჩემს ბატონთან მივიდოდე სეყირში. <sup>15</sup>და თქვა ესავმა: ვინმეს მაინც მოგიჩენ ჩემი ხალხიდან, თან რომ მახლავს. თქვა: რა საჭიროა? ოღონდ მადლი ვპოვო ჩემი ბატონის თვალში. <sup>16</sup>და გაბრუნდა იმ დღესვე თავისი გზით ესავი სეყირისაკენ. <sup>17</sup>და

იაკობიც დაიძრა სუქოთისაკენ. და აიშენა იქ სახლი და საქონელსაც მოუწყო კარვები. ამიტომაც უწოდა იმ ადგილს სახელად სუქოთი\*.

## იაკობი შექემში

<sup>18</sup> და მივიდა მშვიდობით ფადან-არამიდან წამოსული იაკობი შექემ-ქალაქში, ქანაანის ქვეყანაში რომ არის, და დაიბანაკა ქალაქის წინ. <sup>19</sup> და შეიძინა იაკობმა ას ცხვარად შექემის მამის, ხამორის ძეთაგან მინდვრის ნაწილი, სადაც კარავი ედგა. <sup>20</sup> და აღმართა იქ სამსხვერპლო და უწოდა მას: ელი, ღმერთი ისრაელისა.

## დინა, იაკობის ასული

**34** <sup>1</sup> და გავიდა დინა, ლეას ასული, იქაური ქალიშვილების სანახავად. <sup>2</sup> და დაინახა იგი შექემმა, იმ ქვეყნის მთავრის, ხივიელი ხამორის ძემ, და წაიყვანა, და დაწვა მასთან და გააუპატიურა იგი. <sup>3</sup> და მიეკრო მისი სული დინას, იაკობის ასულს, და შეუყვარდა ყმაწვილი ქალი და ელაპარაკებოდა ყმაწვილი ქალის გულს. <sup>4</sup> და უთხრა შექემმა ხამორს, თავის მამას: ცოლად მომიყვანე ეს ყმაწვილი ქალი. <sup>5</sup> და იაკობმა გაიგო, რომ წაბილწა შექემმა დინა, მისი ასული, მაგრამ მისი ძენი საქონელში იყვნენ და გაჩუმდა იაკობი მათ მოსვლამდე. <sup>6</sup> და გამოვიდა ხამორი, შექემის მამა, იაკობთან სალაპარაკოდ. <sup>7</sup> და იაკობის ძენიც მოვიდნენ მინდვრიდან და, როცა გაიგეს ეს ამბავი, შეწუხდნენ კაცები და ძალზე განრისხდნენ, რადგან სამარცხვინო საქმე მოხდა ისრაელში, იაკობის ასულთან რომ დაწვა შექემი. არ უნდა მომხდარიყო ასეთი რამ. <sup>8</sup> და

\* „კარავნი“.



ელაპარაკა მათ ხამორი სათქმელად: მიეკრო ჩემი ძის, შექემის, სული თქვენს ასულს. მიათხოვეთ იგი მას ცოლად. <sup>9</sup> და დაგვიმოყვრდით, მოგვეცით ჩვენ თქვენი ასულები და ჩვენი ასულები თქვენ წაიყვანეთ. <sup>10</sup> და ჩვენთან იცხოვრებთ და ეს ქვეყანა თქვენს წინაშე იქნება. და იცხოვრეთ, და მოიხმარეთ და დაისაკუთრეთ იგი. <sup>11</sup> და უთხრა შექემმა ქალის მამას და მის ძმებს: ოღონდ მადლი ვპოვო თქვენს თვალში და, რასაც მომთხოვთ, მოგცემთ. <sup>12</sup> დამაკისრეთ დიდძალი ურვადი და ძღვენი და მოგცემთ, რასაც მომთხოვთ, ოღონდ მომეცით ცოლად ყმაწვილი ქალი. <sup>13</sup> და მიუგეს იაკობის ვაჟებმა შექემს და მის მამას, ხამორს, და მზაკვრულად ელაპარაკნენ, რადგან წაბილწა შექემმა დინა, მათი და. <sup>14</sup> და უთხრეს მათ: ვერ ვიზამთ ამ საქმეს, წინადაუცვეთელ კაცზე ვერ მივცემთ ჩვენს დას ცოლად, რადგან სირცხვილია ეს ჩვენთვის. <sup>15</sup> მხოლოდ იმ პირობით დაგვეთანხმებით, თუ ჩვენსავით წინადაცვეთს თქვენში ყოველი მამრი. <sup>16</sup> და მოგცემთ ჩვენს ასულებს და ჩვენც მოვიყვანთ თქვენს ასულებს და ვიცხოვრებთ თქვენთან და ერთი ხალხი ვიქნებით. <sup>17</sup> და თუ არ დაგვეთანხმებით წინადაცვეთაზე, წავიყვანთ ჩვენს ასულს და წავალთ. <sup>18</sup> და მოეწონათ მათი სიტყვა ხამორს და შექემს, ხამორის ძეს. <sup>19</sup> და არ დააყოვნა ყმაწვილმა კაცმა ამ საქმის გაკეთება, რადგან ძალზე უყვარდა იაკობის ასული. და იგი ყველაზე პატივცემული იყო მამის სახლში. <sup>20</sup> და მივიდნენ ხამორი და შექემი, მისი ძე, მათი ქალაქის კარიბჭესთან და ელაპარაკნენ მათი ქალაქის კაცებს სათქმელად: <sup>21</sup> მშვიდობიანად გვეკიდებიან ეს კაცები და იცხოვრონ ქვეყანაში და მოიხმარონ იგი. და ეს ქვეყანა, აჰა, ხელგაშლილია მათ წინაშე. მოვიყვანოთ მათი ასულები ცოლებად და ჩვენ ჩვენი ასულები მივცეთ მათ. <sup>22</sup> მხოლოდ იმ პირობით დაგვეთანხმებიან ეს კაცები ჩვენთან ცხოვრებაზე და ერთ ხალხად ყოფნაზე, თუ წინადაცვეთს ჩვენში ყოველი მამრი, როგორც თავად არიან წინადაცვეთილნი. მათი საქონელი, და მათი ქონება, და მთელი მათი პირუტყვი განა ჩვენი არ



იქნება? ოღონდ დავეთანხმოთ და ჩვენთან იცხოვრებენ. <sup>24</sup> და გაუგონეს ხამორს და შექემს, მის ძეს, მისი ქალაქის კარიბჭესთან მოსულეებმა. და წინადაიცივითა ყოველმა მამაკაცმა, მისი ქალაქის კარიბჭესთან მოსულმა.

## სიმეონის და ლევის შურისძიება

<sup>25</sup> და მესამე დღეს, როცა ჯერ კიდევ ტკიოდათ ტრილობა, იაკობის ორმა ვაჟიშვილმა, სიმეონმა და ლევიმ, დინას ძმებმა, ხელთ იპყრეს მახვილები, და იმედიანად დაეცნენ ქალაქს და ამოხოცეს ყველა მამრი. <sup>26</sup> და ხამორი და შექემი, მისი ძე, მახვილით დახოცეს. და გამოიყვანეს დინა შექემის სახლიდან და გამოვიდნენ. <sup>27</sup> და მიადგნენ იაკობის ძენი დახოცილებს და გაძარცვეს ქალაქი დის წაბილწვის გამო. <sup>28</sup> მათი ცხვარი და მათი ხვასტაგი და მათი სახედრები და ყველაფერი, რაც ქალაქში და მინდვრად იყო, წამოასხეს. <sup>29</sup> და მთელი მათი სიმდიდრე, და მათი ბავშვები და მათი ცოლები, ტყვედ წაიყვანეს, და დაიტაცეს ყველაფერი, რაც სახლში ჰქონდათ. <sup>30</sup> და უთხრა იაკობმა სიმეონს და ლევის: რატომ დამღუპეთ, რატომ შეაძულეთ ჩემი თავი ამ ქვეყნის მკვიდრებს — ქანაანელებს და ფერიზელებს. ცოტანი ვართ, და შეიკრიბებიან ჩენს წინააღმდეგ და მომკლავენ. მეც დავიღუპები და ჩემი სახლიც. <sup>31</sup> და თქვეს: როგორც მეძავს უნდა მოქცეოდნენ ჩვენს დას?

## იაკობი ბეთელში

**35** <sup>1</sup> და უთხრა ღმერთმა იაკობს: ადექი და ადი ბეთელში და იქ იცხოვრე. და მოუწყვე იქ სამსხვერპლო ღმერთს, რომელიც გამოგეცხადა, როცა შენს ძმას, ესავს, გაურბოდი. <sup>2</sup> და უთხრა იაკობმა თავის სახლს და ყველას, ვინც კი მასთან

იყო: გაყარეთ უცხო ღმერთები, თქვენ შორის რომ არიან, და გასუფთავდით და გამოიცვალეთ სამოსელი. <sup>3</sup> და ავდგეთ და ავიდეთ ბეთელს, და სამსხვერპლო მოვუწყოთ იქ ღმერთს, რომელმაც მისმინა ჩემი გასაჭირის დღეს და ჩემთან იყო გზაზე, სადაც მივდიოდი. <sup>4</sup> და მისცეს იაკობს ყველა უცხო ღმერთი, ხელთ რომ ჰქონდათ, და რგოლები, ყურებზე რომ ეკიდათ, და დაფლა ისინი იაკობმა შექემთან მდგარი მუხის ქვეშ. <sup>5</sup> და დაიძრნენ. და იყო ღვთის შიში გარშემო ქალაქებზე და არ დაედევნენ იაკობის ძეთ. <sup>6</sup> და მივიდა იაკობი ლუზში, ანუ ბეთელში, ქანაანის ქვეყანაში რომ არის, თავად და მასთან მყოფი მთელი ხალხი. <sup>7</sup> და აავი იქ სამსხვერპლო და უწოდა იმ ადგილს სახელად ელ-ბეთელი, რადგან აქ გამოეცხადა ღმერთი, როცა თავის ძმას გაურბოდა. <sup>8</sup> და მოკვდა დებორა, რებეკას ძიძა, და დამარხეს ბეთელს ქვემოთ, მუხის ქვეშ. და უწოდა სახელად ამ ადგილს ალონ-ბაქუთი\*. <sup>9</sup> და კვლავ გამოეცხადა იაკობს ღმერთი ფადან-არამიდან დაბრუნებისას და აკურთხა ღმერთმა იგი. <sup>10</sup> და უთხრა მას ღმერთმა: იაკობია შენი სახელი. აღარ გეწოდება ამიერიდან სახელად აიკობი, არამედ ისრაელი იქნება შენი სახელი. და უწოდა სახელად ისრაელი. <sup>11</sup> და უთხრა მას ღმერთმა: მე ვარ ღმერთი ყოვლადძლიერი. ინაყოფიერე და გამრავლდი, ხალხი და ხალხთა კრებული წარმოიშობა შენგან და მეფენი გამოვლენ შენი საზარდულიდან. <sup>12</sup> და ქვეყანას, რომელიც მივეცი აბრაამს და ისაკს, შენ მოგცემ და შენ შემდგომ შენს შთამომავლობას მივცემ ქვეყანას. <sup>13</sup> და აღვიდა ღმერთი მისგან იმ ადგილიდან, სადაც ელაპარაკებოდა. <sup>14</sup> და აღმართა იაკობმა სვეტი იმ ადგილას, სადაც ღმერთი ელაპარაკა, სვეტი ქვისა, და დაღვარა მასზე საღვრელი და სცხო ზეთი. <sup>15</sup> და უწოდა იაკობმა სახელად ბეთელი იმ ადგილს, სადაც ღმერთი ელაპარაკა.

\* „მუხა გლოვისა“.

## ბენიამინის დაბადება და რახელის სიკვდილი

<sup>16</sup> და დაიძრნენ ბეთელიდან და, ეფრათამდე არ იყვნენ მისულნი, რომ დაეწყო მშობიარობა რახელს და წვალობდა, როცა შობდა. <sup>17</sup> და როცა წვალობდა მშობიარობის დროს, უთხრა რახელს ბებიაქალმა: ნუ გეშინია, რადგან ახლაც ვაჟი გეყოლება. <sup>18</sup> და სულის ამოხდომისას, როცა კვდებოდა, დაარქვა ვაჟს სახელად ბენ-ონი\* და ხოლო მამამ დაარქვა ბენიამინი\*\*. <sup>19</sup> და მოკვდა რახელი და დაიმარხა ეფრათას გზაზე. ეს არის ბეთლემი. <sup>20</sup> და აღმართა სვეტი იაკობმა მის საფლავზე. ეს არის რახელის საფლავის სვეტი დღევანდლამდე. <sup>21</sup> და დაიძრა აქედან ისრაელი და გაშალა კარავი გედერის გოდლის უკან. <sup>22</sup> და ისრაელის სახლობისას ამ ქვეყანაში ადგა რეუბენი და შევიდა ბილჰასთან, მამამისის ხარჭასთან, და შეიტყო ეს ისრაელმა. და ისრაელის ძენი თორმეტნი იყვნენ. <sup>23</sup> ლეას ძენი: რეუბენი, იაკობის პირმშო, სიმეონი, ლევი, იუდა, ისაქარი და ზებულონი. <sup>24</sup> რახელის ძენი: იოსები და ბენიამენი. <sup>25</sup> და ბილჰას ძენი, რახელის მხევლისა: დანი და ნაფთალი. <sup>26</sup> და ზილფას ძენი, ლეას მხევლისა: გადი და აშერი. ესენი არიან იაკობის ძენი, რომელნიც შეეძინა მას ფადან-არამში.

## ისაკის სიკვდილი

<sup>27</sup> და მივიდა იაკობი ისაკთან, მამამისთან, მამრეში, კირიათ-არბეში, ანუ ხებრონში, სადაც მდგმურობდნენ აბრაამი და ისაკი. <sup>28</sup> და ხანი ისაკისა იყო ასოთხმოცი წელი. <sup>29</sup> და აღესრულა ისაკი და მოკვდა, და შეერთო თავის ხალხს მოხუცებული და დღეებით მაძლარი, და დამარხეს იგი ესავმა და იაკობმა, მისმა შვილებმა.

\* „ძე ჩემი ტკივილისა“.

\*\* „ძე მარჯვენისა“.

ესავის მოდგმა

**36** <sup>1</sup>აჰა, ესავის მოდგმა, ანუ ედომისა: <sup>2</sup>ესავმა მოიყვანა ქანაანელი ცოლები: ყადა, ხეთელი ელონის ასული, და ოჭოლიბამა, ყანას ასული, ხეთელი ციბეონის ძისა, <sup>3</sup>და ბასმათი, ისმაელის ასული, ნებაიოთის და. <sup>4</sup>და უშვა ყადამ ესავს ელიფაზი, ხოლო ბასმათმა შვა რელუელი. <sup>5</sup>და ოჭოლიბამამ შვა იეყუში, იაღლაში და კორახი. ესენი არიან ესავის ძენი, რომელნიც შეეძინა მას ქანაანის ქვეყანაში. <sup>6</sup>და წაიყვანა ესავმა ცოლები, ვაჟები და ასულები, და თავისი სახლის ყოველი სული, და თავისი საქონელი და მთელი თავისი პირუტყვი, მთელი თავისი მონაგები, რაც კი ქანაანის ქვეყანაში მოიგო, და წავიდა იაკობისაგან, თავისი ძმისაგან, სხვა ქვეყანაში. <sup>7</sup>რადგან დიდძალი ქონება ჰქონდათ და ვერ შეიძლეს ერთად ცხოვრება. და ვერ დაიტია ისინი მათი მდგმურობის ქვეყანამ ჯოგების სიმრავლის გამო. <sup>8</sup>და დასახლდა ესავი სეყირის მთაზე, ესავი, ანუ ედომი. <sup>9</sup>აჰა, მოდგმა ესავისა, ედომელთა მამისა, სეყირის მთაზე: <sup>10</sup>ესავის ძეთა სახელები: ელიფაზი, ძე ყადასი, ესავის ცოლისა; რელუელი, ძე ბასმათისა, ესავის ცოლისა. <sup>11</sup>და ელიფაზის ძენი არიან: თემანი, ომარი, სეფო, გაყთომი და კენაზი. <sup>12</sup>და თიმნაყი იყო ხარჭა ელიფაზისა, ესავის ძისა, რომელმაც უშვა ელიფაზს ყამალეკი. ესენი არიან ძენი ყადასი, ესავის ცოლისა. <sup>13</sup>ესენი არიან რელუელის ძენი: ნახათი, ზერახი, შამა და მიზა. ესენი არიან ძენი ბასმათისა, ესავის ცოლისა. <sup>14</sup>და ესენი არიან ძენი ოჭოლიბამასი, ყანას ასულისა, ციბეონის ასულისა, ესავის ცოლისა. და უშვა მან ესავს იეყუში, იაღლაში და კორახი. <sup>15</sup>აჰა, ესავის ძეთა თავკაცნი, ძენი ელიფაზისა, ესავის პირმშოსი: თავკაცი თემანი, თავკაცი ომარი, თავკაცი სეფო, თავკაცი კენაზი, <sup>16</sup>თავკაცი კორახი, თავკაცი გაყთომი, თავკაცი ყამალეკი. ესენი არიან ელიფაზიანთ თავკაცნი ედომის ქვეყანაში. ესენი არიან ყადას ძენი. <sup>17</sup>და ესენი არიან რელუელის ძენი

ედომის ქვეყანაში. ესენი არიან ბასმათის ძენი, ესავის ცოლისა. <sup>18</sup> და ესენი არიან ძენი ოჰოლიბამასი, ესავის ცოლისა: თავკაცი იაყუში, თავკაცი იაღლაში, თავკაცი კორახი, ესენი არიან ოჰოლიბამაანთ თავკაცნი, ყანას ასულისა, ესავის ცოლისა. <sup>19</sup> ესენი არიან ესავის ძენი და მათი თავკაცნი. ეს არის ედომი. <sup>20</sup> ესენი არიან ხორიელი სეყირის ძენი, ქვეყნის მკვიდრნი: ლოტანი, შობალი, ციბყონი, ყანა, <sup>21</sup> და დიშონი, ეცერი, დიშანი. ესენი არიან ხორიელი თავკაცნი, სეყირის ძენი, ედომის ქვეყანაში. <sup>22</sup> და ლოტანის ძენი იყვნენ: ხორი და ჰემამი. და ლოტანის და იყო თიმნაყი. <sup>23</sup> ესენი არიან შობალის ძენი: ყალვანი, ნამახათი, ღებალი, შეფი და ომანი. <sup>24</sup> და ესენი არიან ციბყონის ძენი: აია და ყანა, ის ყანა, რომელმაც უდაბნოში თბილი წყარო იპოვა, როდესაც მამამისის, ციბყონის, ვირებს მწყემსავდა. <sup>25</sup> აჰა, ყანას ძენი: დიშონი და ოჰოლიბამა, ყანას ასული. <sup>26</sup> და ესენი არიან დიშონის ძენი: ხემდანი, ეშბანი, იეთრანი და ქერანი. <sup>27</sup> ესენი არიან ეცერის ძენი: ბილჰანი, ზაყავანი, ყავანი და ყაკანი. <sup>28</sup> ესენი არიან დიშანის ძენი: ყუცი და არანი. <sup>29</sup> ესენი არიან ხორიელთა თავკაცები: თავკაცი ლოტანი, თავკაცი შობალი, თავკაცი ციბყონი, თავკაცი ყანა, <sup>30</sup> თავკაცი დიშონი, თავკაცი ეცერი, თავკაცი დიშანი. ესენი არიან ხორიელთა თავკაცები, თავ-თავიანთი ტომებისდა მიხედვით სეყირის ქვეყანაში. <sup>31</sup> და ესენი არიან მეფეები, რომლებიც მეფობდნენ ედომის ქვეყანაში, ვიდრე ისრაელიანებს მეფე ეყოლებოდათ: <sup>32</sup> და მეფობდა ედომში ბელაყი, ბეყორის ძე. და მის ქალაქს დენჰაბა ერქვა. <sup>33</sup> და მოკვდა ბელაყი და გამეფდა მის ნაცვლად იობაბი, ზერახის ძე, ბოცორელი. <sup>34</sup> და მოკვდა იობაბი და გამეფდა მის ნაცვლად ხუშამი, თემანელთა ქვეყნიდან. <sup>35</sup> და მოკვდა შუხამი და გამეფდა მის ნაცვლად ჰადადი, ბედადის ძე, მიდიანის მძღვეელი მოაბის ველზე. და მის ქალაქს ყავითი ერქვა. <sup>36</sup> და მოკვდა ჰადადი და გამეფდა მის ნაცვლად სამლა, მასრეკადან. <sup>37</sup> და მოკვდა სამლა და გამეფდა მის ნაცვლად საული, მდი-

ნარისპირა რეხობოთიდან. <sup>38</sup> და მოკვდა საული და გამეფდა მის ნაცვლად ბაალ-ხანანი, ყაქბორის ძე. <sup>39</sup> და მოკვდა ბაალ-ხანანი, ყაქბორის ძე, და გამეფდა მის ნაცვლად ჰადარი. და მის ქალაქს ფაყუ ერქვა, მისი ცოლი იყო მეჭეტაბიელი, ასული მატრედისა, ასული მე-ზაჰაბისა. <sup>40</sup> და ესენია ესავიანთა თავკაცების სახელები მათი გვარტომობისა და ადგილთა და სახელწოდებათა მიხედვით: თავკაცი თიმნაყი, თავკაცი ლალვა, თავკაცი იეთეთი, <sup>41</sup> თავკაცი ოჭოლიბამა, თავკაცი ელა, თავკაცი ფინონი, <sup>42</sup> თავკაცი კენეზი, თავკაცი თემანი, თავკაცი მახცარი. <sup>43</sup> თავკაცი მაგდიელი, თავკაცი ყირამი. ესენი არიან ელომის თავკაცნი თავ-თავიანთ სამკვიდრებელთა მიხედვით, მათ წილხვედრილ ქვეყანაში. ეს არის ესავი, ედომელთა მამა.

### იოსების სიზმრები

**37** <sup>1</sup> და ცხოვრობდა იაკობი მამამისის მდგმურობის ქვეყანაში, ქანაანის ქვეყანაში. <sup>2</sup> ეს არის იაკობის მოდგმა: იოსები ჩვიდმეტი წლის იყო, როცა მწყემსავდა ფარას თავის ძმებთან (ყმაწვილი იყო), მამამისის ცოლების ბილჰას ვაჟებთან და ზილფას ვაჟებთან ერთად. და ცუდი ამბები მიჰქონდა მათზე მათ მამასთან. <sup>3</sup> და ისრაელს უყვარდა იოსები თავის ყველა შვილზე მეტად, რადგან მისი სიბერის ძე იყო იგი. და გაუკეთა მას ტრელი კვართი. <sup>4</sup> და დაინახეს ძმებმა, რომ ყველა ძმაზე მეტად უყვარდა იგი მამას, და შეიძულეს, ველარ ელაპარაკებოდნენ მშვიდობიანად. <sup>5</sup> და დაესიზმრა იოსებს სიზმარი და უამბო თავის ძმებს და კიდევ უფრო შეიძულეს იგი ძმებმა. <sup>6</sup> და უთხრა მათ: მოისმინეთ ეს სიზმარი, რომელიც მესიზმრა: <sup>7</sup> აჰა, ძნებს ვკონავთ შუაგულ ყანაში და, აჰა, წამოდგა ჩემი ძნა და ზე აღიმართა კიდევ. და, აჰა, გარსშემოდგნენ თქვენი ძნები და თავყანი სცეს ჩემს ძნას. <sup>8</sup> და უთხრეს ძმებმა: ნუთუ

ჩვენზე იმეფებ? ნუთუ პატრონად გაგვიხდები? და კიდევ უფრო მეტად შეიძულეს იგი მისი სიზმრისა და მისი სიტყვების გამო. <sup>9</sup>და კვლავ დაესიზმრა სხვა სიზმარი და უამბო ძმებს და თქვა: კვლავ დამესიზმრა სიზმარი: აჰა, მზე და მთვარე და თერთმეტი ვარსკვლავი მცემენ თაყვანს. <sup>10</sup>და უამბო მამასა და ძმებს და გაკიცხა იგი მამამ და უთხრა: რა არის ეგ სიზმარი, რომ გესიზმრა? ნუთუ მე და დედაშენი და შენი ძმები უნდა გეახლოთ და თაყვანი გცეთ? <sup>11</sup>და ძმები შემოსწყრნენ იოსებს და მამამისმა გულში შეინახა ეს ამბავი. <sup>12</sup>და წავიდნენ მისი ძმები შექემში მამის ფარის დასამწყესად. <sup>13</sup>და უთხრა ისრაელმა იოსებს: შექემში არ მწყემსავენ შენი ძმები? მოდი, გაგზავნი მათთან. და უთხრა მას: აჰა, მე ვარ. <sup>14</sup>და უთხრა მას: წადი, ნახე, როგორ არიან შენი ძმები, როგორ არის ფარა, და მომიტანე ამბავი. და გაგზავნა ხებრონის ველიდან და მივიდა შექემში. <sup>15</sup>და იპოვა იგი ვიღაც კაცმა, და აჰა, დახეტილობს მინდორში, და ჰკითხა მას იმ კაცმა: რას ეძებ? <sup>16</sup>და თქვა: ძმებს ვეძებ მე, მიმასწავლე, სად მწყემსავენ. <sup>17</sup>და თქვა იმ კაცმა: დაიძრნენ აქედან, რადგან გავიგონე, რომ ამბობდნენ, დოთანში წავიდეთო. და წავიდა იოსები ძმების კვალზე და დოთანში მიაგნო მათ. <sup>18</sup>და დაინახეს იგი შორიდან და, ვიდრე ახლოს მივიდოდა, განიზრახეს მისი მოკვლა. <sup>19</sup>და უთხრეს ერთმანეთს: აჰა, მოდის ეს სიზმრების პატრონი. <sup>20</sup>და ახლა, მოდი, მოვკლათ და სადმე, ტაში ჩავაგდოთ, და ვთქვათ, რომ სასტიკმა მხეცმა შეჭამა, და ვნახავთ, რა არის მისი სიზმრები. <sup>21</sup>და გაიგონა ეს რეუბენმა და იხსნა იგი მათი ხელიდან, და თქვა: ნუ მოვსპობთ სიცოცხლეს. <sup>22</sup>და უთხრა მათ რეუბენმა: ნუ დაღვრით სისხლს. ჩააგდეთ იმ ტაში, უდაბნოში რომ არის. ნუ აღმართავთ ხელს მასზე. რომ ეხსნა მათი ხელიდან და მამასთან დაებრუნებინა. <sup>23</sup>და როგორც კი მივიდა ძმებთან იოსები, გახადეს იოსებს მისი კვართი, ტრელი კვართი, ზედ რომ ეცვა. <sup>24</sup>და აიღეს და ტაში ჩააგდეს იოსები. და ტა ცარიელი იყო, წყალი არ იდგა მასში. <sup>25</sup>და დასხდნენ პურის

სატყელოდ. და გაიხედეს და დაინახეს, აჰა, ისმაელიანთა ქარავანი მოდის გალაადიდან და მათ აქლემებს მოაქვთ გუნდრუკი, ბალსამონი და შტახსი, მოდიან, რომ ეგვიპტეში ჩაიტანონ. <sup>26</sup> და უთხრა იუდამ ძმებს: რას გვარგებს ჩვენი ძმის მოკვლა და მისი სისხლის დაფარვა? <sup>27</sup> მოდიოთ, მივყიდოთ ისმაელიანებს. ნუ იქნება მასზე ჩვენი ხელი, რადგან ჩვენი ძმაა, ჩვენი ხორცი. და გაუგონეს ძმებმა. <sup>28</sup> და ჩაიარეს მიდიანელმა ვაჭრებმა და ამოიყვანეს იოსები ტიდან და მიჰყიდეს იოსები ისმაელიანებს ოც ვერცხლად. და წაიყვანეს იოსები ეგვიპტეში. <sup>29</sup> და მიბრუნდა რეუბენი ტასთან და, აჰა, აღარა არის ტაში იოსები, და შემოიხია სამოსელი რეუბენმა. <sup>30</sup> და დაბრუნდა ძმებთან და უთხრა: არ არის ბავშვი. რა ვქნა ახლა, სად წავიდე? <sup>31</sup> და აიღეს იოსების კვართი, და დაკლეს თხა და შესვარეს მისი სისხლით კვართი. <sup>32</sup> და გაგზავნეს კვართი და მიუტანეს მამას, და უთხრეს: ეს ვიპოვეთ. თუ ცნობ კვართს, შენი შვილის არის თუ არა? <sup>33</sup> და იცნო კვართი და თქვა: ჩემი შვილის კვართია! სასტიკ მხეცს შეუტამია იგი, დაუგლეჯია იოსები! <sup>34</sup> და ტანზე შემოიხია იაკობმა და ჯვალო შემოირტყა წელზე და დიდხანს გლოვობდა შვილს. <sup>35</sup> და ადგნენ და ყველა მისი ძე და ასული და ანუგეშებდა იაკობს, მაგრამ არ სურდა მას ნუგეში და ამბობდა: რადგან მგლოვიარე ჩავალ ჩემს შვილთან შეოლში!\* და დასტიროდა მას მამამისი. <sup>36</sup> და მიდიანელებმა მიჰყიდეს იგი ეგვიპტეში ფოტიფარს, ფარაონის კარისკაცს, ქონდაქართხუცესს.

### იუდა და თამარი

**38** <sup>1</sup> და იყო ამ ხანად, რომ ჩამოსცილდა იუდა თავის ძმებს და გაუხვია ერთი ყადულამელი კაცისაკენ, რომლის სახელი იყო ხირა. <sup>2</sup> და დაინახა იქ იუდამ ქანაანელი კა-

\* ებრ. შე'ოლ „ქვესკნელი“.



ცის ასული, სახელად შუაყი, და მოიყვანა და შევიდა მასთან. <sup>3</sup>და დაორსულდა და შვა ძე, და დაარქვა მას სახელად ყერი. <sup>4</sup>და კვლავ დაორსულდა და შვა ძე, და დაარქვა სახელად ონანი. <sup>5</sup>და კვლავ დაორსულდა და შვა ძე, და დაარქვა სახელად შელა. და მისი შობის დროს ქეზიბში იყო იგი. <sup>6</sup>და მოუყვანა იუდამ ყერს, თავის პირმშოს, ცოლი, სახელად თამარი. <sup>7</sup>და ყერი, იუდას პირმშო, ბოროტი იყო უფლის თვალში მოაკვდინა იგი უფალმა. <sup>8</sup>და უთხრა იუდამ ონანს: შედი შენი ძმის ცოლთან, მაზღურად ექმრე მას და თესლი აღუდგინე შენს ძმას. <sup>9</sup>და იცოდა ონანმა, რომ მისი არ იქნებოდა ეს თესლი, და როცა შედიოდა ძმის ცოლთან, მიწაზე ღვრიდა მას, რომ ძმისათვის არ მიეცა თესლი. <sup>10</sup>და ბოროტად შეირაცხა უფლის თვალში მისი საქციელი და ისიც მოაკვდინა. <sup>11</sup>და უთხრა იუდამ თამარს, თავის რძალს: იცხოვრე ქვრივად მამაშენის სახლში, ვიდრე ჩემი ძე შელა მოიზრდებოდეს. რადგან იფიქრა: მისი ძმებივით ესეც არ მოკვდესო. და წავიდა თამარი და ცხოვრობდა მამამისის სახლში. <sup>12</sup>და გავიდა ბევრი ხანი და მოკვდა შუაყი, იუდას ცოლი. და გამოიგლოვა იგი იუდამ და თიმნაში წავიდა თავისი ცხვრის მპარსველებთან, თავად და მისი ყადულამელი ახლობელი ხირა. <sup>13</sup>და ემცნო თამარს: აჰა, თიმნაში მიდის შენი მამათილი ცხვრის გასაპარსავად. <sup>14</sup>და გაიძრო ქალმა თავისი ქვრივობის სამოსელი და რიდეთი დაიფარა სახე და შეიბურა, და დაჯდა ყენაიმის კარიბჭესთან, თიმნას გზაზე. რადგან იცოდა, რომ მოზრდილი იყო შელა, მაგრამ ცოლად არ მიათხოვეს მას. <sup>15</sup>და დაინახა ქალი იუდამ და მეძავი ეგონა, რადგან ქალს სახე დაფარული ჰქონდა. <sup>16</sup>და გაუხვია მისკენ გზაზე და უთხრა: შემომიშვი შენთან. რადგან არ იცოდა, მისი რძალი რომ იყო. და თქვა: რას მომცემ ჩემთან რომ შემოხვალ? <sup>17</sup>და თქვა: თიკანს გამოგიგზავნი ფარიდან. და თქვა: წინდს თუ მომცემ, ვიდრე გამომიგზავნიდე? <sup>18</sup>და თქვა: რა მოგცე წინდად? და თქვა: შენი ბეჭედი და თასმა და არგანი, ხელში რომ გიჭირავს.

და მისცა მას და შევიდა მასთან და დაორსულდა მისგან. <sup>19</sup> და ადგა ქალი და წავიდა, და გადაიგდო მოსასხამი და კვლავ თავისი ქვრივობის სამოსელი ჩაიცვა. <sup>20</sup> და გაუგზავნა იუდამ თიკანი თავისი ყადულამელი ახლობლის ხელით, რომ უკან დაებრუნებინა ქალისათვის მიცემული წინდი, მაგრამ ვერ იპოვა ყადულამელმა ქალი. <sup>21</sup> და ჰკითხა იმ ადგილის კაცებს: სად არის ის მეძავი, ყანაიმის კარიბჭესთან რომ იჯდა? და თქვეს: არ ყოფილა აქ მეძავი. <sup>22</sup> და დაბრუნდა იუდასთან და თქვა: ვერ ვიპოვე ქალი და იმ ადგილის კაცებმაც თქვეს: არ ყოფილა აქ მეძავი. <sup>23</sup> და თქვა იუდამ: წაელო ბარემ, რომ დასაცინი არ გავმხდარიყავით. აჰა, გაგატანე ეს თიკანი და ვერ იპოვე იგი. <sup>24</sup> და გავიდა სამიოდე თვე და ემცნო იუდას: გაბოზდა თამარი, შენი რძალი, და დაორსულდა კიდევ ბოზობაში. და თქვა იუდამ: გამოიყვანეთ, რათა დაიწვას. <sup>25</sup> და როცა გამოჰყავდათ, შეუთვალა თავის მამამთილს: ვისიც ეს ნივთებია, მისგან ვარ ორსულად. აჰა, იცანი, ვისია ეს ბეჭედი, თასმები და არგანი. <sup>26</sup> და იცნო იუდამ და თქვა: ვტყუივარ იმ ქალთან, რომ არ მივათხოვე შელას, ჩემს ვაჟს. და აღარ შესულა იუდა თამართან. <sup>27</sup> და მშობიარობის ჟამი რომ დაუდგა, აჰა, ტყუპები არიან მის მუცელში. <sup>28</sup> და შობისას ერთმა ხელი გამოყო, და აიღო ბები-აქალმა და მეწამული ძაფი შეაბა. და თქვა: ეს გამოვიდა პირველად. <sup>29</sup> და როცა უკანვე შეაბრუნა ხელი, აჰა, გამოვიდა მისი ძმა და თქვა ბებიაქალმა: როგორ გამოარღვიე ზღუდე? ამიტომაც დაერქვა სახელად ფარეცი. <sup>30</sup> და მერე გამოვიდა მისი ძმა, ხელზე მეწამული ძაფი რომ ება, და დაერქვა სახელად ზარახი.

### იოსები ეგვიპტეში ფოტიფართან

**39** <sup>1</sup> და ჩაიყვანეს იოსები ეგვიპტეში და იყიდა იგი ფოტიფარმა, ფარაონის კარისკაცმა, ქონდაქართუხუცესმა, ეგვიპტელმა კაცმა, ისმაელიანთა ხელიდან, რომელთაც ჩაიყ-

ვანეს. <sup>2</sup> და უფალი იყო იოსებთან და იყო კაცი წარმატებული, და იყო თავისი ეგვიპტელი ბატონის სახლში. <sup>3</sup> და დაინახა მისმა ბატონმა, რომ უფალი იყო მასთან და რომ ყველაფერში, რასაც აკეთებდა, უფლისგან იყო წარმატებული. <sup>4</sup> და ჰპოვა იოსებმა მადლი მის თვალში და გახდა მისი მსახური. და დაადგინა იგი ბატონმა თავისი სახლის მოურავად და და ყველაფერი, რაც ჰქონდა, ხელში ჩააბარა. <sup>5</sup> მას შემდეგ, რაც დაადგინა თავისი სახლის და მთელი თავისი საბადებლის მოურავად, აკურთხა უფალმა ამ ეგვიპტელის სახლი იოსების გამო და უფლის კურთხევა იყო ყველაფერზე, რაც კი ებადა მას შინ და გარეთ. <sup>6</sup> და ჩააბარა მთელი თავისი საბადებელი იოსების ხელს და, ვიდრე იოსები მასთან იყო, პურის გარდა, რომელსაც ჭამდა, სხვა საზრუნავი არაფერი ჰქონია. და მშვენიერი იყო იოსები თვალად და ტანად. <sup>7</sup> და იყო ამ ამბების შემდეგ, რომ თვალი დაადგა მისი პატრონის ცოლმა იოსებს და უთხრა: დაწეი ჩემთან! <sup>8</sup> და იუარა და უთხრა თავის ბატონის ცოლს: რაც მე მასთან ვარ, საზრუნავი არაფერი აქვს სახლში ჩემს ბატონს. მთელი თავისი საბადებელი ხელში ჩამაბარა. <sup>9</sup> ჩემზე უფროსი არავინ არის ამ სახლში, არაფერი აუკრძალავს ჩემთვის, გარდა შენი თავისა, რადგან შენ ცოლი ხარ მისი. როგორ ჩავიდინო ეს დიდი ბოროტება და შევცოდო ღმერთს? <sup>10</sup> ასე ელაპარაკებოდა იოსებს ყოველდღე და ვერ დაიყოლია მის გვერდით დაწოლაზე და მასთან ყოფნაზე. <sup>11</sup> და იყო ერთ დღეს და შევიდა იოსები სახლში თავისი საქმის გასაკეთებლად და სახლის კაცთათაგან შინ არავინ იყო, <sup>12</sup> და ჩაეჭიდა მის სამოსელს და უთხრა: დაწეი ჩემთან! და იოსებმა ხელში შეატოვა სამოსელი და გაიქცა და გარეთ გავიდა. <sup>13</sup> და როცა დაინახა, რომ ხელში შეატოვა იოსებმა თავისი სამოსელი და გარეთ გაიქცა, <sup>14</sup> დაუძახა თავის სახლეულებს და უთხრა მათ, თქვა: ხედავთ, მოგვიყვანა ებრაელი კაცი ჩვენს დასაცინად. შემოვიდა ჩემთან დასაწოლად და მე ხმამაღლა დავიძახე. <sup>15</sup> და როცა გაიგონა, რომ ხმას ავუმაღ-

ლე და ვიყვირე, ხელში შემატოვა თავისი სამოსელი, და გაიქცა და გარეთ გავიდა. <sup>16</sup> და ედო გვერდით იოსების სამოსელი მისი ბატონის შინ დაბრუნებამდე. <sup>17</sup> და უამბო ქმარს ეს ამბავი, თქვა: შემოვიდა ჩემთან ებრაელი მონა, შენ რომ მომიყვანე, ჩემს დასაცინად. <sup>18</sup> და როცა ხმას ავუმაღლე და დავიძახე, შემომატოვა თავისი სამოსელი და გარეთ გაიქცა. <sup>19</sup> და როცა მოისმინა ბატონმა ცოლის ნაამბობი, ასე და ასე მომექცაო შენი მსახური, განრისხდა. <sup>20</sup> და წაიყვანა იოსების ბატონმა იგი და ჩასვა საპყრობილეში, სადაც მეფის პატიმრები იყვნენ დამწყვდეულნი. და იყო იქ, საპყრობილეში. <sup>21</sup> და უფალი იყო იოსებთან და მოიღო მასზე წყალობა და მაღლი აპოვნინა საპყრობილის უფროსის თვალში. <sup>22</sup> და ჩააბარა საპყრობილის უფროსმა იოსებს ყველა პატიმარი, ვინც კი საპყრობილეში იყო, და მის გარეშე იქ არაფერი ხდებოდა. <sup>23</sup> საზრუნავი არაფერი ჰქონდა საპყრობილის უფროსს, რადგან უფალი იყო მასთან და, ყველა საქმეში, რასაც აკეთებდა, უფლისაგან იყო წარმატებული.

### იოსები საპყრობილეში

**40** <sup>1</sup> ამ ამბების შემდეგ იყო, რომ ეგვიპტის მეფის მწდემ და მეპურემ შესცოდეს თავიანთ ბატონს, ეგვიპტის მეფეს. <sup>2</sup> და განურისხდა ფარაონი თავის ორ კარისკაცს, მწდეს და მეპურეს. <sup>3</sup> და ჩაყარა ისინი ქონდაქართუხუცესის სახლში, საპატიმროში, იქ, სადაც იოსები იყო დამწყვდეული. <sup>4</sup> და მიუჩინა მათ ქონდაქართუხუცესმა იოსები და ისიც ემსახურებოდა მათ. და იყვნენ ერთხანს საპატიმროში. <sup>5</sup> და დაესიზმრა ორივეს სიზმარი, თითოეულს თავისი, ერთ ღამეს, თითოეულს საკუთრივ ასახსნელი სიზმარი, ეგვიპტის მეფის მწდეს და მეპურეს, საპყრობილეში რომ იყვნენ დამწყვდეულნი. <sup>6</sup> და მივიდა მათთან დილით იოსები და დაინახა, რომ შეწუხებულები იყვნენ. <sup>7</sup> და

შეეკითხა ფარაონის კარისკაცებს, რომელნიც მასთან ერთად იყვნენ საპატიმროში მისი ბატონის სახლში: რატომ გაქვთ სახე მოწყენილი დღეს? <sup>8</sup> და უთხრეს მას: სიზმარი გვესიზმრა, მაგრამ არ არის მისი ამხსნელი. და უთხრა მათ: განა ღვთისაგან არ არის ახსნა? აბა, მიაბზეთ. <sup>9</sup> და უამბო მწდეთუხუცესმა იოსებს თავისი სიზმარი და უთხრა მას: ჩემს სიზმარში და, აჰა, ვაზია ჩემს წინ. <sup>10</sup> და ვაზზე სამი ლერწია. ის თითქოს გაიფურჩქნა, გამოიღო ყვავილი, დამწიფდა მის მტევნებზე ყურძენი. <sup>11</sup> და ფარაონის თასი *ძეონდა* ხელში და მოვწყვიტე ყურძენი და ჩავწურე ფარაონის თასში და მივეცი თასი ხელში ფარაონს. <sup>12</sup> და უთხრა მას იოსებმა: ეს არის მაგის ახსნა: სამი ლერწი სამი დღეა. <sup>13</sup> სამი დღის შემდეგ აგიწევს ფარაონი თავს\* და შენს თანამდებობაზე დაგაბრუნებს, და კვლავ მიაართმევ ფარაონს თავის თასს ხელში წინანდელი წესისამებრ, როცა მისი მწდე იყავი. <sup>14</sup> ოღონდ გამიხსენე, როცა კარგად წაგივა საქმე და მიყავი სიკეთე, და გაახსენე ჩემი თავი ფარაონს და გამომიყვანე ამ სახლიდან, <sup>15</sup> რადგან პარვით მომიპარეს ებრაელთა ქვეყნიდან და აქაც არაფერი ჩამიდენია ისეთი, დიღეგში რომ ჩამაგდეს. <sup>16</sup> და დაინახა მეპურეთუხუცესმა, რომ კეთილად ახსნა იოსებმა სიზმარი და უთხრა მას: მეც ჩემს სიზმარში, აჰა, სამი მოწნული კალათა მადგას თავზე. <sup>17</sup> ზემოთ, კალათაში, ფარაონის ნაირ-ნაირი საჭმელი აწყვია, მზარეულის გაკეთებული, და ჩიტი კენკავს ჩემს თავს ზემოთ იმ კალათიდან. <sup>18</sup> და მიუგო იოსებმა და თქვა: ეს არის მაგის ახსნა: სამი კალათა სამი დღეა. <sup>19</sup> სამი დღის შემდეგ აგიწევს ფარაონი თავს\*\* და ძელზე ჩამოგკიდებს, და ფრინველები გამოგიჭამენ ხორცს. <sup>20</sup> და მესამე დღეს, ფარაონის დაბადების დღეს, გაუმართა ფარაონმა ლხინი თავის მსახურებს და მოიკითხა თავის მსახურთა შორის მწდეთუხუცესი და მეპურეთუხუცესი. <sup>21</sup> და დააბრუნა მწდეთუ-

\* „თავის აწევა“ პატიების ნიშანად.

\*\* „თავის აწევა“ ფიზიკური მნიშვნელობით.

ბუცესი თავის ადგილზე და იგი კვლავაც მიაართმევდა ფარაონს ხელში თასს. <sup>22</sup> და მეპურეთუხუცესი ჩამოჰკიდა, როგორც აუხსნა მათ იოსებმა. <sup>23</sup> და არ გახსენებია მწდეთუხუცესს იოსები და დაავიწყდა იგი.

### ფარაონის სიზმრები

**41** <sup>1</sup> და იყო, ორი წლის შემდგომად და ფარაონს დაესიზმრა: აჰა, დგას იგი ნილოსის პირას. <sup>2</sup> და აჰა, ამოდის ნილოსიდან შვიდი ლამაზი შესახედავი და ხორცსავსე ძროხა და ლერწმიანში ბალახობს. <sup>3</sup> და აჰა, შვიდი სხვა ძროხა, შეუხედავი და ხორცდაყრილი, ამოყვა მათ ნილოსიდან და გვერდში დაუდგა იმ ძროხებს ნილოსის პირას. <sup>4</sup> და შეჭამეს შეუხედავმა და ხორცდაყრილმა ძროხებმა შვიდი კარგი შესახედავი და ხორცსავსე ძროხა და გაელვიდა ფარაონს. <sup>5</sup> და დაიძინა და კვლავ ესიზმრა: აჰა, შვიდი თავთავი ამოვიდა ერთ ღეროზე, სავსე და სალი. <sup>6</sup> და აჰა, შვიდი თავთავი, ფშუტე და ხორშაკისაგან დახრუკული, აღმოცენდა მათ შემდეგ. <sup>7</sup> და გადაყლაპეს ფშუტე თავთავებმა შვიდი მსხვილი და სავსე თავთავი და გაელვიდა ფარაონს. და აჰა, სიზმარია. <sup>8</sup> და დილით დაუძიძიდა სული ფარაონს და იხმო ეგვიპტის ყველა მისანი და ბრძენი, და უამბო მათ ფარაონმა თავისი სიზმრები და ვერავინ აუხსნა ისინი ფარაონს. <sup>9</sup> და ელაპარაკა მწდეთუხუცესი ფარაონს სათქმელად: ჩემი ცოდვები მახსენდება დღეს. <sup>10</sup> ფარაონი განურისხდა თავის მსახურებს და ჩაგვსვა საპატიმროში, ქონდაქართუხუცესის სახლში, მე და მეპურეთუხუცესი. <sup>11</sup> და დაგვესიზმრა სიზმარი ერთ ღამეს მეც და მასაც, თითოეულს საკუთრივ ასახსნელი სიზმარი დაგვესიზმრა. <sup>12</sup> და იქ ჩვენთან ერთად იყო ერთი ებრაელი ყმაწვილი, ქონდაქართუხუცესის მსახური. და ვუამბეთ მას და აგვიხსნა სიზმრები, თითოეულს ჩვენ-ჩვენი სიზმრის მიხედვით აგვიხსნა. <sup>13</sup> და როგორც აგვიხ-

სნა, ისე მოხდა: მე ჩემს სამსახურში დამაბრუნა, ის კი ჩამოჭკიდა. <sup>14</sup> და გაგზავნა კაცი ფარაონმა და იხმო იოსები. და სასწრაფოდ ამოიყვანეს დილეგიდან. და გაიპარსა და სამოსელი გამოიცვალა, და წარუდგა ფარაონს. <sup>15</sup> და უთხრა ფარაონმა იოსებს: სიზმარი დამესიზმრა და არავინაა მისი ამხსნელი. და მე გავიგე შენზე, თქვეს: სიზმრის გაგება და ახსნა შეგიძლია. <sup>16</sup> და მიუგო იოსებმა ფარაონს, თქვა: მე არა. ღმერთი მიაგებს ფარაონს მშვიდობას. <sup>17</sup> და უამბო ფარაონმა იოსებს: ჩემს სიზმარში, აჰა, ვდგავარ ნილოსის პირას. <sup>18</sup> და აჰა, ამოდის ნილოსიდან შვიდი ხორცსავსე და ლამაზი ძროხა და ლერწმინაში ბალახობს. <sup>19</sup> აჰა, სხვა შვიდი ძროხა, უძლური, მეტისმეტად უგვანი და ხორცდაყრილი ამოჭყვა მათ. მთელს ეგვიპტეში მათზე უგვანო არაფერი მინახავს. <sup>20</sup> და შეჭამეს ხორცდაყრილმა და უგვანმა ძროხებმა ის შვიდი ხორცსავსე ძროხა. <sup>21</sup> და შევიდნენ მათ მუცელში, მაგრამ არ ეტყობოდათ, რომ მათ მუცელში იყვნენ შესულნი. ისეთივე მჭლენი დარჩნენ, როგორც მანამდე იყვნენ. და გამეღვიძა. <sup>22</sup> და ვიხილე ჩემს სიზმარში და, აჰა, შვიდი თავთავი ამოდის ერთ ღეროზე, სავსე და სალი. <sup>23</sup> და აჰა, კვლავ შვიდი თავთავი, გამომშრალი, ფშუტე და ხორშაკისაგან დახრუკული აღმოცენდა მათ შემდეგ. <sup>24</sup> და ჩაყლაპეს ფშუტე თავთავებმა შვიდი სალი თავთავი. და ვუთხარი მისნებს და ვერავინ გამაგებინა. <sup>25</sup> და უთხრა იოსებმა ფარაონს: ერთია ფარაონის სიზმარი. რიც ქმნასაც ღმერთი აპირებს, თავად გააგებინა ფარაონს: <sup>26</sup> შვიდი სალი ძროხა შვიდი წელიწადია და შვიდი სალი თავთავიც შვიდი წელიწადია. ერთი სიზმარია ეს. <sup>27</sup> და მათ შემდეგ ამოსული შვიდი მჭლე და უგვანი ძროხა შვიდი წელიწადია და შვიდი ფშუტე და ხორშაკისაგან დახრუკული თავთავი შიმშილობის შვიდი წელიწადია. <sup>28</sup> ეს არის, რაც ფარაონს ვუთხარი, რის ქმნასაც აპირებს ღმერთი, ფარაონს თავად ახილვინა-მეთქი. <sup>29</sup> აჰა, მოვა შვიდი დიდი სიუხვის წელიწადი მთელს ეგვიპტის ქვეყანაში. <sup>30</sup> და დადგება შვიდი

მოუსავლიანი წელიწადი მათ შემდეგ, და გაქრება სიუხვე ეგვიპტეში და შიმშილი გააჩანაგებს ქვეყანას. <sup>31</sup> და არავის ემახსოვრება სიუხვე ქვეყანაში იმ შიმშილობის გამო მის შემდეგ, რადგან მძიმე იქნება იგი მეტისმეტად. <sup>32</sup> ორგზის რომ გაუკვლადდა სიზმარი ფარაონს, ნიშნავს: გადაწყვეტილია ღვთისაგან ეს საქმე და ღმერთი დააჩქარებს მის აღსრულებას. <sup>33</sup> და ახლა, მონახოს ფარაონმა გონიერი და ბრძენი კაცი და დაუყენოს ეგვიპტის ქვეყანას. <sup>34</sup> ასე გააკეთოს ფარაონმა: დაადგინოს ზედამხედველები ქვეყანაში, რათა მეხუთედი ახდევინონ ეგვიპტის ქვეყანას შვიდ მოსავლიან წელიწადში. <sup>35</sup> და დააგროვონ ამ მომავალი დოვლათიანი წლების მთელი საზრდო, და დაახვავონ ხორბალი ფარაონის გამგებლობაში ქალაქთა საზრდოდ და შეინახონ. <sup>36</sup> და იყოს ეს საზრდო მარაგად ქვეყნისათვის შვიდ მოუსავლიან წელიწადში, ეგვიპტის ქვეყანაში რომ დადგება, რათა ქვეყანა შიმშილით არ ამოწყდეს.

## იოსების აღზევება

<sup>37</sup> და მოეწონა ნათქვამი ფარაონს და ყველა მის მსახურს. <sup>38</sup> და უთხრა ფარაონმა თავის მსახურებს: თუ ვიპოვით ისეთ კაცს, ვისშიც ღვთის სული იქნება? <sup>39</sup> და უთხრა ფარაონმა იოსებს: რაკი გაცოდინა ღმერთმა ეს ყველაფერი, სხვა არავინ იქნება შენსავით გონიერი და ბრძენი. <sup>40</sup> შენ იქნები ჩემი სახლის მოურავი და შენს სიტყვას დაემორჩილება მთელი ჩემი ხალხი. მხოლოდ ტახტით ვიქნები შენზე აღმატებული. <sup>41</sup> და უთხრა ფარაონმა იოსებს: აჰა, დამიდგენიხარ მთელი ეგვიპტის განმგებლად! <sup>42</sup> და წაიძრო ხელიდან ფარაონმა ბეჭედი და გაუკეთა ხელზე იოსებს, და შემოსა ზემის შესამოსელით და ოქროს ძეწკვი ჩამოჰკიდა ყელზე. <sup>43</sup> და დასვა თავის მეორე



ეტლზე და აცხადებდნენ მის წინაშე: აბრექ!\* და დაადგინა იგი მთელს ეგვიპტის ქვეყანაზე. <sup>44</sup> და უთხრა ფარაონმა იოსებს: მე ფარაონი ვარ, მაგრამ უშენოდ ვერავინ აღმართავს ხელსა და ფეხს მთელს ეგვიპტის ქვეყანაში. <sup>45</sup> და უწოდა ფარაონმა იოსებს სახელად ცაფნათ-ფაყნეახი და მისცა ცოლად ასენეთი, ონის ქურუმის, ფოტიფერაყის ასული. და გავიდა იოსები ეგვიპტის ქვეყანაში. <sup>46</sup> და ოცდაათი წლისა იყო იოსები, როცა წარუდგა ფარაონს, ეგვიპტის მეფეს. და გამოვიდა იოსები ფარაონისაგან და მოიარა მთელი ეგვიპტის ქვეყანა. <sup>47</sup> და წარმოქმნა მიწამ უხვად შვიდ უხვ წელიწადს ხორბალი. <sup>48</sup> და შეაგროვა იოსებმა შვიდი უხვი წელიწადის საზრდო, რაც კი იპოვებოდა ეგვიპტის ქვეყანაში და ქალაქებს ჩამოურიგა. თითოეულ ქალაქს თავის გარშემო მინდვრებიდან მოწეული საზრდო დაურიგა. <sup>49</sup> და დაახვავა იოსებმა ხორბალი ზღვის ქვიშასავით, ბევრზე ბევრი, ისე რომ შეწყვიტა თვლა, რადგან აღარ იყო სათვალავი. <sup>50</sup> და მოუსავლიანი წელიწადის დადგომამდე შეეძინა იოსებს ორი ვაჟი, რომელნიც უშვა მას ასენეთმა, ონის ქურუმის, ფოტიფარის ასულმა. <sup>51</sup> და უწოდა იოსებმა პირმშოს სახელად მენაშე, რადგან თქვა: დამავიწყა ღმერთმა მთელი ჩემი ტანჯვა და მამაჩემის სახლი. <sup>52</sup> და მეორეს უწოდა სახელად ეფრემი, რადგან თქვა: ნაყოფიერმყო ღმერთმა ჩემი გაჭირვების ქვეყანაში. <sup>53</sup> და გასრულდა შვიდი მოსავლიანი წელიწადი, ეგვიპტის ქვეყანაში რომ იდგა. <sup>54</sup> და დაიწყო დადგომა შიმშილობის შვიდმა წელიწადმა, როგორც თქვა იოსებმა. და იყო შიმშილი ყველა ქვეყანაში და მთელ ეგვიპტის ქვეყანაში იყო პური. <sup>55</sup> და დაიშა მთელი ეგვიპტის ქვეყანა და შეღალადა ხალხმა ფარაონს, რათა მიეცა მისთვის პური. და უთხრა ფარაონმა მთელს ეგვიპტეს: მიდით იოსებთან და, როგორც გეტყვით, ისე მოიქეცით. <sup>56</sup> და შიმშილი იყო მთელს მიწის პირ-

\* სავარაუდოდ: „მუხლი მოიყარეთ!“

ზე. და გახსნა იოსებმა ყველა ბელელი და დააპურა ეგვიპტე. და გამძვინდა შიმშილი ეგვიპტის ქვეყანაში, <sup>57</sup> და ყველა ქვეყანა ეგვიპტეში მოვიდა იოსებთან პურის საყიდლად, რადგან შიმშილი მძვინვარებდა მთელს ქვეყანაზე.

### იოსებისა და მისი ძმების პირველი შეხვედრა

**42** <sup>1</sup> და დაინახა იაკობმა, რომ არის პური ეგვიპტეში, და უთხრა იაკობმა თავის ვაჟებს: რას უყურებთ ერთმანეთს? <sup>2</sup> და თქვა: აჰა, შევიტყვე, არის პური ეგვიპტეში. და ჩადით იქ და გვიყიდეთ პური, რომ ცოცხლები დავრჩეთ და არ დავიხოცოთ. <sup>3</sup> და ჩავიდა იოსების ათი ძმა ხორბლის საყიდლად ეგვიპტეში. <sup>4</sup> და ბენიამინი, იოსების ძმა, არ გააყოლა იაკობმა მის ძმებს, თქვა: უბედურება არ შეემთხვესო. <sup>5</sup> და მივიდნენ ისრაელიანები სხვა მიმსვლელებთან ერთად, რადგან შიმშილობა იყო ქანაანის ქვეყანაში. <sup>6</sup> და იოსები ხელისუფალი იყო ქვეყანაში, ის იყო მთელი ამ ქვეყნის ხალხის დამპყრებელი. და მივიდნენ იოსების ძმები მასთან და მდაბლად თაყვანი სცეს. <sup>7</sup> და დაინახა იოსებმა თავისი ძმები და იცნო, და უცხოდ მოაჩვენა თავი და მკაცრად ელაპარაკა და უთხრა: საიდან მოხვედით? და თქვეს: ქანაანის ქვეყნიდან პურის საყიდლად. <sup>8</sup> და იცნო იოსებმა თავისი ძმები და მათ ვერ იცნეს იგი. <sup>9</sup> და გაახსენდა იოსებს სიზმრები, მათზე რომ დაესიზმრა, და უთხრა: მსტოვრები ხართ, ამ ქვეყნის სიშიშვლის სანახავად მოხვედით. <sup>10</sup> და უთხრეს მას: არა, ბატონო, პურის საყიდლად მოვიდნენ შენი მსახურნი. <sup>11</sup> ყველანი ერთი მამის შვილები ვართ, პატიოსანი ხალხი ვართ. არ არიან მსტოვრები შენი მსახურნი. <sup>12</sup> უთხრა მათ: არა, ქვეყნის სიშიშვლის დასაზვერად მოხვედით. <sup>13</sup> და თქვეს: თორმეტნი ვართ შენი მსახურნი, ძმები ვართ ჩვენ, ერთი კაცის შვილები ქანაანის ქვეყანაში. აჰა, უმცროსი

ახლა მამასთანაა და ერთი გვაკლია. <sup>14</sup> და უთხრა იოსებმა: ასეა, როგორც გითხარით, მსტოვრები ხართ-მეთქი. <sup>15</sup> ამით შემოწმდებით: ფარაონს ვფიცავ, თუ გახვიდეთ აქედან, ვიდრე თქვენი უმცროსი ძმა აქ არ მოვა. <sup>16</sup> გაგზავნეთ ერთი თქვენგანი და მოიყვანოს თქვენი ძმა. დანარჩენები დატყვევებულები იქნებით. და შემოწმდება თქვენი სიტყვები, მართლები ხართ, თუ არა. ფარაონის სიცოცხლემ, მსტოვრები ხართ. <sup>17</sup> და ჩასვა ისინი საპყრობილეში სამი დღით. <sup>18</sup> და უთხრა მათ იოსებმა მესამე დღეს: ასე გააკეთეთ და იცოცხლეთ. ღვთის მოშიში ვარ მე. <sup>19</sup> თუ პატიოსნები ხართ, დამწყვდეული იყოს თქვენი ერთი ძმა თქვენს საპყრობილეში, თქვენ კი წადით და მიუტანეთ შიმშილის პური თქვენს სახლებში. <sup>20</sup> და თქვენს უმცროს ძმას მომიყვანთ და დამტკიცდება თქვენი სიტყვები, და არ მოკვდებით. და ასე გააკეთეს. <sup>21</sup> და უთხრეს ერთმანეთს: მართლაც დამნაშავენი ვართ ჩვენი ძმის გამო, რადგან ვუყურებდით მისი სულის გასაჭირს, როცა გვევედრებოდა, და არ ვისმინეთ. ამიტომაც გვეწია ჩვენ ეს გასაჭირი. <sup>22</sup> და მიუგო მათ რეუბენმა სათქმელად: ხომ გითხარით, ნუ შევცოდავთ-მეთქი ბავშვის წინააღმდეგ და არ გამიგონეთ, და, აჰა, მოგვეკითხა კიდევ მისი სისხლი. <sup>23</sup> და მათ არ იცოდნენ, რომ ესმოდა იოსებს, რაკი თარჯიმანი იყო მათ შორის. <sup>24</sup> და შეტრიალდა მათგან და ატირდა. და დაბრუნდა მათთან და ელაპარაკა მათ. და გამოიყვანა მათგან სიმეონი და დაატუსაღა მათ თვალწინ.

### ძმები ბრუნდებიან ქანაანში

<sup>25</sup> და ბრძანა იოსებმა და ხორბლით აევსოთ მათი ჭურჭლები და გადახდილი ვერცხლი თითოეულის ტომარაში ჩაებრუნებინათ და საგზალი მიეცათ. და ასეც გაუკეთეს. <sup>26</sup> და აკიდეს პური სახედრებს და წავიდნენ. <sup>27</sup> და მოხსნა თავი ერთ-ერთმა

მათგანმა თავის ტომარას, რომ სახედრისათვის საკვები მიეცა ღამის გასათევში და დაინახა თავისი ვერცხლი და, აჰა, მისი ვაშკარანის პირზე დევს იგი. <sup>28</sup> და უთხრა ძმებს: დაუბრუნებიათ ჩემი ვერცხლი და, აჰა, ჩემს ვაშკარანში დევს. და გულზე შემოეყარათ და შიშით *უთხრეს* ერთმანეთს სათქმელად: ეს რა გვიყო ღმერთმა? <sup>29</sup> და მივიდნენ იაკობთან, თავიანთ მამასთან, ქანაანის ქვეყანაში, და უამბეს ყველაფერი, რაც შეემთხვათ, თქვეს: <sup>30</sup> მკაცრად გველაპარაკა იმ ქვეყნის ბატონი და ქვეყნის მსტოვრებად მიგვიჩნია. <sup>31</sup> და ვუთხარით: პატიოსნები ვართ, მსტოვრები არა ვართ. <sup>32</sup> თორმეტი ვართ ჩვენ, ძმები, ერთი მამის შვილები, ერთი გვაკლია, და უმცროსი ახლა მამასთანაა ქანაანის ქვეყანაში. <sup>33</sup> და გვითხრა იმ კაცმა, ქვეყნის პატრონმა: ამით გავიგებ, პატიოსნები ხართ თუ არა: ერთი ძმა დამიტოვეთ, თქვენ კი აიღეთ პური თქვენიანებისათვის და წადით. <sup>34</sup> და მომიყვანეთ თქვენი უმცროსი ძმა და დავიჯერებ, რომ მსტოვრები არა ხართ, რომ პატიოსანი ხალხი ხართ. და მოგცემთ თქვენს ძმას და მშვიდობით გაივლით ამ ქვეყანას. <sup>35</sup> და როცა მათ გადმოაცარიელეს თავ-თავიანთი ტომრები, აჰა, თითოეულს თავისი ვერცხლით სავსე ტომსიკა აღმოაჩნდა თავის ტომარაში, და დაინახეს თავიანთი ვერცხლის ტომსიკები მათ და მათმა მამამ და შეეშინდათ. <sup>36</sup> და უთხრა მათ იაკობმა, მათმა მამამ: უშვილო გამხადეთ! იოსები აღარ მყავს! სიმეონი აღარ მყავს! ახლა ბენიამინი მიგყავთ. ყველაფერი ჩემს თავზეა! <sup>37</sup> და უთხრა რეუბენმა თავის მამას, თქვა: ჩემი ორი შვილი მომიკალი, თუ უკან არ მოგიყვანო! მე ჩამაბარე ხელში და მევე დაგიბრუნებ. <sup>38</sup> და თქვა: არ წამოვა თქვენთან ჩემი შვილი, რადგან მკვდარია მისი ძმა და მხოლოდ ეს დარჩა. და რამე ფათერაკი შეემთხვევა გზაზე, სადაც მიდიხართ, და მწუხარებით ჩაიყვანთ ჩემს ჭაღარას შეოლში!

**კვლავ ეგვიპტეში ბენიამინთან ერთად**

**43** <sup>1</sup>და დამძიმდა შიშშილი ქვეყანაზე. <sup>2</sup>და როცა გამოილია საჭმელი პური, ეგვიპტიდან რომ ჰქონდათ ამოტანილი, უთხრა მათმა მამამ: გაბრუნდით, კიდევ გვიყიდეთ მცირედი საზრდო. <sup>3</sup>და უთხრა მას იუდამ, თქვა: ფიცით გაგვაფრთხილა იმ კაცმა, თვალთ ვერ მიხილავთ, თუ თქვენი ძმა თქვენთან არ იქნებაო. <sup>4</sup>თუ გაგვაყოლებ ჩვენს ძმას, ჩავალთ და გიყიდით საზრდოს. <sup>5</sup>და თუ არ გაგვაყოლებ, ვერ ჩავალთ, რადგან გვითხრა ამ კაცმა, თვალთ ვერ მიხილავთ, თუ თქვენი ძმა თქვენთან არ იქნებაო. <sup>6</sup>და თქვა ისრაელმა: რად მიბოროტეთ, რად გაუშხილეთ იმ კაცს, რომ კიდევ გყავთ ძმა? <sup>7</sup>და თქვეს: ჩაძიებით გვეკითხებოდა ის კაცი ჩვენზე და ჩვენს სანათესაოზე: ჯერ კიდევ ცოცხალიო მამათქვენი, კიდევ გყავთო ძმა? და ვუამბეთ ყველაფერი ამ კითხვებისამებრ. რა ვიცოდით, თუ გვეტყოდა, თქვენი ძმა ჩამოიყვანეთო? <sup>8</sup>და უთხრა იუდამ ისრაელს, თავის მამას: გაგვატანე ყმაწვილი. და ავდგებით და წავალთ, რომ ცოცხლები დავრჩეთ და არ დავიხოცოთ, არც ჩვენ, არც შენ და არც ჩვენი წვრილშვილი. <sup>9</sup>მე ჩავიბარებ მას და ჩემი ხელიდანვე მოიკითხე. თუ არ მოგიყვანე და წინ არ დაგიყენე, შემცოდე ვიყო შენს წინაშე მთელი სიცოცხლე. <sup>10</sup>რომ არ დავყოვნებულყავით, აქამდე ორჯერ ვიქნებოდით დაბრუნებულები. <sup>11</sup>და უთხრა მათ ისრაელმა, მათმა მამამ: თუ ასეა, ეს მაინც გააკეთეთ: წაიღეთ ამ ქვეყნის დოვლათი თქვენი ტურტლებით და ჩაუტანეთ იმ კაცს ძღვნად მცირეოდენი ბალსამონი და მცირეოდენი თაფლი, საკმეველი, შტახსი, ფსტა და ნუში. <sup>12</sup>და ვერცხლი ერთიორად წაიღეთ თქვენი ხელით და დაბრუნებული ვერცხლი კი, თქვენი ვაშკარანების პირზე რომ ეწყო, დაუბრუნეთ თქვენი ხელით. ალბათ შეცდომა იყო ეს. <sup>13</sup>და თქვენი ძმაც წაიყვანეთ. და ადექით და ისევ წადით იმ კაცთან. <sup>14</sup>და ყოვლადძლიერმა ღმერთმა მოგცეთ წყალობა იმ კაცის წინაშე და გამოგატანოთ ის მეორე ძმა და ბენიამინი. და მე კი, როგორც შვილნაკლული

ვარ, შვილნაკლული ვიყო! <sup>15</sup> და წაიღეს კაცებმა ეს ძღვენი და ვერცხლიც ერთიორად წაიღეს თავიანთი ხელით და ბენიამინიც წაიყვანეს. და აღდგენ და ჩავიდნენ ეგვიპტეში და წარუდგინენ იოსებს. <sup>16</sup> და დაინახა იოსებმა მათთან ბენიამინი და უთხრა თავის სახლის მოურავს: მომიყვანე სახლში ეს კაცები და საკლავი დაკალი და გაამზადე, რადგან ჩემთან ერთად უნდა ჭამონ პური ამ კაცებმა შუადღისას. <sup>17</sup> და გააკეთა იმ კაცმა, როგორც იოსებმა უბრძანა, და მიიყვანა კაცმა ეს კაცები იოსების სახლში. <sup>18</sup> და შეეშინდათ კაცებს იოსების სახლში რომ იყვნენ მიყვანილი, და თქვეს: დაბრუნებული ვერცხლის გამო ვართ მოყვანილი, ჩვენს ვაშკარანებში რომ იყო. და ცილს დაგვწამებენ და თავს დაგვესხმიან, რომ მონებად გაგვხადონ და ჩვენს სახედრებსაც დაეპატრონონ. <sup>19</sup> და მიადგნენ იმ კაცს, იოსების სახლის მოურავს, და დაელაპარაკნენ სახლის შესასვლელთან <sup>20</sup> სათქმელად: გვედრებით, ბატონო! ჩვენ წინათაც ჩამოვსულვართ პურის საყიდლად. <sup>21</sup> და როცა ღამის გასათევში მივედით და თავი მოვხსენით ჩვენს ვაშკარანებს და, აჰა, ვაშკარანის პირზე დევს თითოეულის ვერცხლი უკლებლივ. და მას გიბრუნებთ ჩვენი ხელით. <sup>22</sup> და სხვა ვერცხლი ჩამოვიტანეთ ჩვენი ხელით პურის საყიდლად. არ ვიცით, ვინ ჩავვიდო ჩვენი ვერცხლი ჩვენს ვაშკარანებში. <sup>23</sup> და უთხრა: მშვიდობა თქვენდა! ნუ გეშინიათ. თქვენმა ღმერთმა, მამათქვენის ღმერთმა ჩადო განძი თქვენს ვაშკარანებში. მომივიდა მე თქვენი ვერცხლი. და გამოუყვანა მათ სიმეონი. <sup>24</sup> და შეიყვანა კაცმა ეს კაცები იოსების სახლში და მისცა მათ წყალი ფეხის დასაბანად და მისცა საკვები მათ სახედრებს. <sup>25</sup> და მოამზადეს ძღვენი იოსების მოსვლამდე შუადღისას, რადგან გაიგეს, რომ აქ უნდა ეჭამათ პური. <sup>26</sup> და მოვიდა იოსები სახლში და მიართვეს მას სახლში ძღვენი, ხელთ რომ ჰქონდათ, და მიწამდე თაყვანი სცეს მას. <sup>27</sup> და მოიკითხა იოსებმა ისინი მშვიდობით და თქვა: ხომ მშვიდობით არის მოხუცი მამათქვენი, ვისზეც მითხარით? ხომ ჯერაც ცოცხალია? <sup>28</sup> და თქვეს: მშვიდობით არის

შენი მსახური მამაჩვენი, ჯერაც ცოცხალია. და ქედი მოიხარეს და თაყვანი სცეს მას. <sup>29</sup> და გაიხედა იოსებმა და დაინახა თავისი ძმა ბენიამინი, თავისი დედის შვილი. და თქვა: ეს არ არის თქვენი უმცროსი ძმა, ვისზეც მითხარით? და თქვა: ღმერთი გწყალობდეს, ჩემო შვილო! <sup>30</sup> და ველარ მოითმინა იოსებმა, რადგან გული დაეწვა თავისი ძმის გამო, და ტირილი მოუნდა და გავიდა თავის ოთახში და იქ ატირდა. <sup>31</sup> და დაიბანა პირი და გამოვიდა, და გაიმაგრა თავი. და თქვა: მოგვიტანეთ საჭმელი. <sup>32</sup> და მოუტანეს საჭმელი მას ცალკე და მათ ცალკე, და მასთან ერთად შეინახე ეგვიპტელებსაც ცალკე, რადგან არ შეეძლოთ ეგვიპტელებს ებრაელებთან ერთად ეჭამათ პური, რადგან სიბილწე იყო ეს ეგვიპტელთათვის. <sup>33</sup> და დასხდნენ მის პირისპირ უფროს-უმცროსობის მიხედვით. და გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს კაცებმა. <sup>34</sup> და უგზავნიდა მათ იოსები თავისი სუფრიდან კერძს. და ბენიამინის კერძი ხუთჯერ მეტი იყო სხვების კერძზე. და სვეს და შეთვრნენ მასთან ერთად.

### იოსების თასი ბენიამინის ტომარაში

**44** <sup>1</sup> და უბრძანა იოსებმა თავის სახლის მოურავს და უთხრა: აავსეთ ამ კაცების ვაშკარანები საზრდოთი, რამდენის ზიდვასაც შეძლებენ, და თითოეულს თავისი ვაშკარანის პირზე დაუდევით თავისი ვერცხლი. <sup>2</sup> და ჩემი თასი, ვერცხლის თასი, უმცროსს ჩაუდევით ვაშკარანის პირზე მის ვერცხლთან ერთად. და გააკეთა იოსების ბრძანებისამებრ, როგორც ბრძანა. <sup>3</sup> განთიადისას გასტუმრებულ იქნენ კაცები, ისინი და მათი სახედრები. <sup>4</sup> ქალაქიდან შორს არ იყვნენ გასული, რომ უთხრა იოსებმა თავისი სახლის მოურავს: წადი და დაედევნე იმ კაცებს, დაეწიე და უთხარი: ბოროტებით რატომ გადაუხადეთ თქო სიკეთე? <sup>5</sup> ამით არის, რომ სვამს ჩემი ბატონი. ამით არის, რომ მისნობს. ცუდი საქმე გიქნიათ-თქო. <sup>6</sup> და დაეწია მათ და

უთხრა ეს სიტყვები. <sup>7</sup> და უთხრეს მას: რისთვის ამბობს ბატონი ასეთ სიტყვებს? ღმერთმა დაიფაროს შენი მსახურნი ამგვარი საქმისაგან. <sup>8</sup> აჰა, ვერცხლი, ჩვენი ვაშკარანების პირზე რომ ვიპოვეთ, დაგიბრუნეთ ქანაანის ქვეყნიდან. ახლა როგორღა მოვიპარავდით შენი ბატონის სახლიდან ოქროს ან ვერცხლს? <sup>9</sup> შენს მსახურთაგან თუ ვინმეს აღმოაჩნდა, მოკვდეს იგი, ხოლო დანარჩენები მონებად გავუხდებით ჩვენს ბატონს. <sup>10</sup> და თქვა: ახლაც თქვენი სიტყვისამებრ იყოს. ვისაც აღმოაჩნდება, მონად გამიხდეს, დანარჩენები უდანაშაულო იქნებით. <sup>11</sup> და საჩქაროდ ჩამოიღეს მიწაზე თავ-თავიანთი ვაშკარანები და პირი მოხსნა თითოეულმა თავის ვაშკარანს. <sup>12</sup> და გაჩხრიკა. უფროსით დაიწყო და უმცროსით დაამთავრა. და აღმოჩნდა თასი ბენიამინის ვაშკარანში. <sup>13</sup> და შემოიხიეს სამოსელი და დატვირთეს თავ-თავის სახედრები და ქალაქში გაბრუნდნენ. <sup>14</sup> და მივიდნენ იუდა და მისი ძმები იოსების სახლში — ჯერ კიდევ შინ იყო იგი — და მიწაზე დაემხნენ მის წინაშე. <sup>15</sup> და უთხრა მათ იოსებმა: ეს რა საქმე ჩაგიდენიათ? როგორ არ იცით, რომ ჩემნაირ კაცს მისნობის ძალიც შესწევს? <sup>16</sup> და თქვა იუდამ: რა ვუთხრათ ჩვენს ბატონს, რა ვთქვათ, რით ვიმართლოთ თავი? ღმერთმა უპოვა ბრალი შენს მსახურთ. აჰა, მონები ვართ ჩვენი ბატონისა, ჩვენც და ისიც, ვის ხელშიც აღმოჩნდა თასი. <sup>17</sup> და თქვა: ვერა, ვერ ვიზამ ასე. ვის ხელშიც აღმოჩნდა თასი, ის გამიხდეს მონად. თქვენ კი მშვიდობით დაბრუნდით მამათქვენთან.

## იუდას სიტყვა

<sup>18</sup> და ახლოს მივიდა მასთან იუდა და თქვა: გვედრები, ჩემო ბატონო, სიტყვა ათქმევინე შენს მსახურს, რომ მოისმინოს ჩემი ბატონის ყურებმა. ნუ განურისხდები შენს მსახურს, რადგან ფარაონის ტოლი კაცი ხარ. <sup>19</sup> ჩემმა ბატონმა ჰკითხა



თავის მსახურთ: მამა ან ძმა თუ გყავთო. <sup>20</sup> და ვუთხარით ჩვენს ბატონს: გყავს მოხუცებული მამა და მისი სიბერის შვილი, უმცროსი. მისი ძმა მკვდარია. და ისლა დარჩა მისი დედისაგან, ამიტომაც უყვარს იგი მამამისს. <sup>21</sup> და გვითხარი შენს მსახურთ: ჩამომიყვანეთ, ჩემი თვალით ვნახოო. <sup>22</sup> და ვუთხარით ჩვენს ბატონს: არ შეუძლია ყმაწვილს მამის მიტოვება. მიატოვებს და კიდევ მოკვდება მამამისი. <sup>23</sup> და უთხარი შენს მსახურთ: თუ არ ჩამომიყვანთ თქვენს უმცროს ძმას, თვალით ვერ მიხილავთო. <sup>24</sup> და როცა მივედით მამაჩვენთან, შენს მსახურთან, შევატყობინეთ ჩვენი ბატონის სიტყვები. <sup>25</sup> და გვითხრა მამაჩვენმა: დაბრუნდით, გვიყიდეთ მცირეოდენი პური. <sup>26</sup> და ვთქვით: ვერ ჩავალთ. უმცროსი ძმა თუ ჩვენთან იქნება, მაშინ ჩავალთ, თუ არა და — ვერ შევხედავთ იმ კაცის სახეს, თუ უმცროსი ძმა ჩვენთან არ იქნება. <sup>27</sup> და გვითხრა შენმა მსახურმა, მამაჩემმა: თქვენ იცით, რომ ორი ვაჟი მიშვა ჩემმა ცოლმა. <sup>28</sup> და წავიდა ერთი ჩემგან და ვთქვი, მხეცმა დაგლიჯა-მეთქი, და დღემდე არ მინახავს იგი. <sup>29</sup> და მიგყავთ ესეც და უბედურება შეემთხვევა გზაზე და მწუხარებით ჩაიყვანთ ჩემს ჭაღარას შავეთში. <sup>30</sup> და ახლა, როცა მივალთ შენს მსახურთან, მამაჩემთან, და არ იქნება ჩვენთან ყმაწვილი, რომლის სულთანაც არის მისი სული გადასკვნილი, <sup>31</sup> დაინახავს, რომ არ არის ყმაწვილი, და მოკვდება, და სიმწარით ჩაიყვანთ შენი მსახურნი მამაჩვენის, შენი მსახურის, ჭაღარას შავეთში. <sup>32</sup> რადგან შენმა მსახურმა ჩავიბარე ეს ყმაწვილი მამაჩემისაგან, ვთქვი: თუ არ მოგიყვანე იგი, შემცოდე ვიყო-მეთქი მამაჩემის წინაშე მთელი სიცოცხლე. <sup>33</sup> და ახლა, დარჩეს შენი მსახური შენს მონად ამ ყმაწვილის სანაცვლოდ და ყმაწვილი წავიდეს თავის ძმებთან ერთად. <sup>34</sup> რადგან როგორ მივიდე მამაჩემთან, თუ ყმაწვილი ჩემთან არ იქნება? ნუმც შევსწრებივარ უბედურებას, რომელიც მამაჩემს ეწევა!

იოსები უმჯლავნებს თავს ძმებს

**45** <sup>1</sup>და ველარ შეძლო იოსებმა თავის შეკავება მხლებელთა წინაშე და იყვირა: გაიყვანეთ ჩემგან ყველანი! არავინ იყო მასთან, როცა გაუმჯლავნა თავი იოსებმა თავი ძმებს. <sup>2</sup>და ხმამაღლა ატირდა და მოესმათ ეგვიპტელებს, და მოესმა ფარაონის სახლს. <sup>3</sup>და უთხრა იოსებმა თავის ძმებს: იოსები ვარ. ჯერ კიდევ ცოცხალია მამაჩემი? ვერ შეძლეს მისთვის პასუხის გაცემა ძმებმა, რადგან შეეშინდათ მისი. <sup>4</sup>და უთხრა იოსებმა თავის ძმებს: მომიახლოვდით. და მიუახლოვდნენ და თქვა: იოსები ვარ, თქვენი ძმა, ეგვიპტეში რომ გამოყიდეთ. <sup>5</sup>და ამიერიდან ნულარ წუხხართ და ნურც რისხავთ თქვენს თავს, აქ რომ გამოყიდეთ, რადგან სიცოცხლის სახსრად გამომგზავნა აქ ღმერთმა თქვენზე წინ. <sup>6</sup>რადგან ეს ორი წელი შიმშილობაა ქვეყანაში და კიდევ ხუთი წელი არ იქნება ხვნა და მკა. <sup>7</sup>და გამომგზავნა მე ღმერთმა თქვენზე წინ თქვენთვის ნატამალის დასატოვებლად ამ ქვეყანაზე და სიცოცხლის გადასარჩენად დიდი ხსნის მეოხებით. <sup>8</sup>და ახლა, თქვენ კი არ გამოგიგზავნივართ აქ, არამედ ღმერთმა დამადგინა ფარაონის მამად და მისი სახლის პატრონად და მთელი ეგვიპტის ქვეყნის განმგებლად. <sup>9</sup>და იჩქარეთ და წადით მამაჩემთან და უთხარით მას: ასე ამბობს-თქო შენი შვილი იოსები: ღმერთმა დამადგინა მთელი ეგვიპტის პატრონად. ჩამოდი ჩემთან, ნუ დაყოვნდები-თქო. <sup>10</sup>და იცხოვრე გოშენის მხარეში, ახლოს იქნებით-თქო ჩემთან შენ და შენი შვილები, შენი შვილთა შვილები, და შენი ცხვარი და ხვასტაგი და ყველაფერი, რაც გაბადია. <sup>11</sup>და აქ შევინახავ-თქო, რადგან კიდევ ხუთი წელი გასტანს შიმშილობა, რათა არ გაჩანაგდეთ შენ და შენი სახლი და ყველაფერი, რაც გაბადია. <sup>12</sup>და აჰა, ხომ ხედავს თქვენი თვალები და ჩემი ძმის, ბენიამინის თვალები, რომ ეს ჩემი ბაგეებია, თქვენ რომ გელაპარაკებათ. <sup>13</sup>და უამბეთ მამაჩემს მთელი ჩემი დიდების

ამბავი ეგვიპტეში და ყველაფერი, რაც ნახეთ. და იჩქარეთ და ჩამოიყვანეთ მამაჩემი. <sup>14</sup> და ყელზე მოეხვია თავის ძმას ბენი-ამინს და ატირდა. და ბენიამინიც ტიროდა მის მკერდზე. <sup>15</sup> და გადაკოცნა ყველა ძმა, და ტიროდა მათზე. და მხოლოდ ამის შემდეგ დაელაპარაკნენ ძმები. <sup>16</sup> და მისწვდა ხმა ფარაონის სახლს, იოსების ძმები ჩამოვიდნენო, და ეამა ფარაონს და მის მსახურებს. <sup>17</sup> და უთხრა ფარაონმა იოსებს: უთხარი შენს ძმებს: ასე მოიქეცით—თქო: დატვირთეთ ოთხფეხი და წადით ქანაანის ქვეყანაში, <sup>18</sup> და წამოიყვანეთ მამათქვენი და თქვენი სახლები და ჩემთან მოდით. და მოგცემთ ეგვიპტის მიწის დოვლათს და ჭამეთ ამ მიწის ცხიმი. <sup>19</sup> შენ კი გებრძანება: ასე გააკეთეთ: წაიყოლეთ ეგვიპტიდან ურმები თქვენი წვრილშვილისათვის და ცოლებისათვის, და წამოიყვანეთ მამათქვენი და ჩამოდით. <sup>20</sup> და თვალი ნუ დაგრჩებათ თქვენს ქონებაზე, რადგან მთელი ეგვიპტის დოვლათი თქვენი იქნება.

### ძმები ბრუნდებიან ქანაანში

<sup>21</sup> და ასე გააკეთეს ისრაელიანებმა. და მისცა მათ იოსებმა ურმები, ფარაონის ბრძანებისამებრ, და გაატანა საგზალი. <sup>22</sup> თითოეულს მისცა თითო ხელი სამოსელი, და ბენიამინს მისცა სამასი ვერცხლი და ხუთი ხელი სამოსელი. <sup>23</sup> და მამას გაუგზავნა ასევე ათი სახედარი, ეგვიპტური დოვლათით დატვირთული, და ათი ჭაკი ვირი, ხორბლით და პურიით დატვირთული, და სასმელ-საჭმელი საგზლად თავისი მამისათვის. <sup>24</sup> და გაუშვა თავისი ძმები და ისინიც წავიდნენ. და უთხრა მათ: ნურაფრის შეგეშინდებათ გზაზე. <sup>25</sup> და წავიდნენ ეგვიპტიდან და ავიდნენ ქანაანის ქვეყანაში იაკობთან, თავიანთ მამასთან. <sup>26</sup> და შეატყობინეს, რომ ცოცხალია იოსები, და რომ მთელი ეგვიპტის ქვეყნის განმგებელია. და გაოგნდა, რადგან არ სჯეროდა მათი.

<sup>27</sup> და უამბეს ყველაფერი, რაც იოსებმა უამბო მათ. და დაინახა ურმებიც, იოსებს რომ გამოეგზავნა მის წასაყვანად, და გაცოცხლდა მათი მამის, იაკობის სული. <sup>28</sup> და თქვა ისრაელმა: კმარა! ცოცხალია ჩემი შვილი იოსები! წავალ და ვნახავ, სანამ არ მოვმკვდარვარ.

### იაკობი ჩადის ეგვიპტეში

**46** <sup>1</sup> და დაიძრა ისრაელი ყოვლითურთ, რაც ებადა და მივიდა ბეერშებას და შესწირა მსხვერპლი თავისი მამის, ისაკის ღმერთს. <sup>2</sup> და უთხრა ღმერთმა ისრაელს ღამის ხილვაში: იაკობ, იაკობ! და თქვა: აჰა, მე ვარ. <sup>3</sup> და თქვა: მე ვარ ღმერთი მამაშენისა. ნუ გეშინია ეგვიპტეში ჩასვლის, რადგან დიდ ხალხად გაქცევ იქ. <sup>4</sup> მე ჩავალ შენთან ერთად ეგვიპტეში და მევე ამოგიყვან, და იოსები დაგიხუჭავს თვალებს თავისი ხელით. <sup>5</sup> და ადგა იაკობი ბეერშებადან და წაიყვანეს ისრაელიანებმა იაკობი, თავიანთი მამა, და თავიანთი წვრილშვილი და თავიანთი ცოლები ურმებით, ფარაონმა რომ გამოუგზავნა. <sup>6</sup> და წამოასხეს თავიანთი საქონელი და მთელი მონაგები, რაც მოიგეს ქანაანის ქვეყანაში, და მივიდნენ ეგვიპტეს — იაკობი და მთელი მისი შთამომავლობა მასთან ერთად. <sup>7</sup> თავისი ძენი და ძეთა შვილები, და ასულები და ვაჟიშვილთა შვილები, და თავისი ასულები და თავის ძეთა ასულები და მთელი თავისი შთამომავლობა ჩაიყვანა ეგვიპტეში თავისთან ერთად.

### ისრაელიანთა სახელები

<sup>8</sup> და ესენია სახელები ისრაელიანთა, რომელნიც ეგვიპტეში ჩავიდნენ: იაკობი და მისი ძენი: იაკობის პირმშო რეუბენი. <sup>9</sup> და რეუბენის ძენი: ხანოქი, ფალუ, ხეცრონი და ქარმი. <sup>10</sup> და სიმე-

ონის ძენი: იემუელი, იამინი, ოჭადი, იაქინი, ცოხარი და საული, ქანაანელი დედაკაცის შვილი. <sup>11</sup> და ლევის ძენი: გერშონი, კეჭათი და მერარი. <sup>12</sup> და იუდას ძენი: ყერი, ონანი, შელა, ფარეცი და ბარახი. ყერი და ონანი ქანაანის ქვეყანაში დაიხოცნენ. და ფარეცის ძენი იყვნენ ხეცრონი და ხამული. <sup>13</sup> და ისაქარის ძენი: თოლაყი, ფუვა, იობი და შიმრონი. <sup>14</sup> და ზებულონის ძენი: სერედი, ელონი და იხალიელი. <sup>15</sup> ესენი არიან ლეას შვილები, რომელნიც უშვა მან იაკობს ფადან-არამში, და დინა, მისი ასული. სულ ოცდაცამეტი სული — ვაჟი და ასული. <sup>16</sup> და გადის ძენი: ციფიონი, ხაგი, შუნი, ეცბონი, ყერი, აროდი და არიელი. <sup>17</sup> და აშერის ძენი: იმნა, იშვა, იშვი, ბერიყა და მათი და სერახი. და ბერიყას ძენი: ხებერი და მალქიელი. <sup>18</sup> ესენი არიან შვილები ზილფასი, რომელიც მისცა ლაბანმა თავის ასულს, ლეას, და უშვა მან იაკობს ისინი — თექვსმეტი სული. <sup>19</sup> და რახელის ძენი, იაკობის ცოლისა: იოსები და ბენიამინი. <sup>20</sup> და შეეძინა იოსებს ეგვიპტის ქვეყანაში ვაჟები. რომლებიც უშვა მას ასენეთმა, ონის ქურუმის, ფოტიფარის ასულმა: მენაშე და ეფრემი. <sup>21</sup> და ბენიამინის ძენი: ბელაყი, ბეხერი, აშბელი, გერა, ნაყამანი, რომი, მუფიმი, ხუფიმი და არდი. <sup>22</sup> ესენი არიან რახელის შვილები, რომლებიც შეეძინა იაკობს — სულ თოთხმეტი სული. <sup>23</sup> და დანის ძე: ხუშიმი. <sup>24</sup> ნაფთალის ძენი: იახცეელი, გუნი, იცერი და შილეგი. <sup>25</sup> ესენი არიან შვილები ბილჰასი, რომელიც მისცა ლაბანმა თავის ასულს, რახელს, და უშვა ისინი იაკობს — სულ შვიდი სული. <sup>26</sup> იაკობთან ერთად ეგვიპტეში ჩასულნი, მისი საზარდულიდან გამოსულნი, იაკობის ძეთა ცოლების გარდა, სულ იყო სამოცდაექვსი სული. <sup>27</sup> და იოსების ძენი, რომელნიც შეეძინა მას ეგვიპტეში — სულ ორი სული. იაკობის სახლი, ეგვიპტეში რომ ჩავიდა, იყო სულ სამოცდაათი სული. <sup>28</sup> და წინასწარ გაგზავნა იაკობმა იუდა იოსებთან, რომ დახვედროდა მათ გომენში, და წავიდნენ გომენის მხარისაკენ.

## მამა-შვილის შეხვედრა

<sup>29</sup> და აღკაზმა იოსებმა თავისი ეტლი და ავიდა თავისი მამის, ისრაელის, შესახვედრად გოშენისაკენ. და იხილა იგი და ყელზე მოეჭდო, და ისე ტიროდა მის ყელზე. <sup>30</sup> და უთხრა ისრაელმა იოსებს: თუნდაც მოვკვდე ახლა, რაკილა შენი სახე ვიხილე, რომ ისევ ცოცხალი ხარ. <sup>31</sup> და უთხრა იოსებმა თავის ძმებს და მამის სახლს: წავალ და შევატყობინებ ფარაონს, და ვეტყვი: ჩემი ძმები და მამის სახლი, ქანაანის ქვეყანაში რომ იყვნენ, ჩამთან ჩამოვიდნენ. <sup>32</sup> და ეს კაცები ცხვრის მწყემსები არიან, მესაქონლეები, ცხვარი და ხვასტაგი და ყველაფერი, რაც კი აქვთ, წამოასხეს. <sup>33</sup> და როცა მოგიხმობთ ფარაონი და იკითხავს, რა არის თქვენი საქმიანობაო, <sup>34</sup> უთხარით: საქონლის ხალხი ვართ-თქო შენი მსახურნი სიყრმიდან დღემდე, ჩვენცა და ჩვენი მამა-პაპაც, რომ იცხოვროთ გოშენის მიწაზე, რადგან სისაძაგლეა ეგვიპტელთათვის ყოველი ცხვრის მწყემსი.

## იაკობის შეხვედრა ფარაონთან

**47** <sup>1</sup> და მივიდა იოსები და შეატყობინა ფარაონს, და თქვა: მამაჩემი და ჩემი ძმები თავიანთი ცხვრითა და ხვასტაგით და ყოვლითურთ, რაც აქვთ, ჩამოვიდნენ ქანაანის ქვეყნიდან. და აჰა, უკვე გოშენის მხარეში არიან. <sup>2</sup> და ძმების მხრიდან ხუთი კაცი წამოიყვანა და წარუდგინა ფარაონს. <sup>3</sup> და უთხრა ფარაონმა მის ძმებს: რა არის თქვენი საქმიანობა? და უთხრეს ფარაონს: ცხვრის მწყემსები ვართ შენი მსახურნი, როგორც ჩვენი მამა-პაპა იყო. <sup>4</sup> და უთხრეს ფარაონს: მდგმურად მოვედით ამ ქვეყანაში, რადგან არ არის საძოვარი თქვენს მსახურთა ცხვრისათვის, დამძიმდა შიმშილი ქანაანის ქვეყანაში. და ახალ იცხოვრონ შენმა მსახურებმა გოშენის მიწაზე. <sup>5</sup> და უთხრა ფარაონმა იოსებს, თქვა: შენი მამა და შენი ძმები მოვიდნენ შენთან. <sup>6</sup> შენს წინაშეა ეგვიპტის ქვეყანა. საუკეთესი

მიწაზე დასახლე შენი მამა და შენი ძმები. დაესახლონ გოშენის მხარეში. და თუ იცნობ მათ შორის მარჯვე კაცებს, დაუდგინე სარქლებად ჩემს საქონელს. <sup>7</sup> და მოიყვანა იოსებმა თავისი მამა იაკობი და წარუდგინა ფარაონს. და დალოცა იაკობმა ფარაონი. <sup>8</sup> და უთხრა ფარაონმა იაკობს: რამდენი წლისა ხარ? <sup>9</sup> და უთხრა იაკობმა ფარაონს: ას ოცდაათ წელს ითვლის ჩემი მდგმურობის ხანი. მცირეა და მძიმე ჩემი ცხოვრების წლები, და ვერ მიაწიეს ჩემი მამა-პაპის სიცოცხლის წლებს მათ მდგმურობაში. <sup>10</sup> და დალოცა იაკობმა ფარაონი და გავიდა ფარაონისაგან. <sup>11</sup> და დაასახლა იოსებმა თავისი მამა და თავისი ძმები და მისცა მათ საკუთრება ეგვიპტის ქვეყანაში, საუკეთესო მიწაზე, რამსესის მიწაზე, როგორც ბრძანა ფარაონმა. <sup>12</sup> და არჩენდა იოსები თავის მამას და ძმებს, და მთელს მამის სახლს პურით ბავშვების პირის კვალობაზე.

### **ფარაონმა შეისყიდა ეგვიპტის მიწები**

<sup>13</sup> და პური არ იყო მთელს ქვეყანაში, რადგან დამძიმდა ძალზე შიმშილობა, და დაუძღურდა ეგვიპტის ქვეყანა და ქანაანის ქვეყანა შიმშილისგან. <sup>14</sup> და აკრიფა იოსებმა მთელი ვერცხლი, რაც კი ეგვიპტის ქვეყანაში და ქანაანის ქვეყანაში იპოვებოდა, გაყიდული პურის ფასად და შესძინა ფარაონის სახლს. <sup>15</sup> და გამოიღია ვერცხლი ეგვიპტის ქვეყანაში და ქანაანის ქვეყანაში და მოვიდა მთელი ეგვიპტე იოსებთან, თქვეს: მოგვეცი პური. რატომ უნდა დავიხოცოთ შენს თვალწინ ვერცხლის უქონლობის გამო? <sup>16</sup> და თქვა იოსებმა: მოგვეცით თქვენი ჯოგი და მოგვემთ თქვენი ჯოგის საფასურში, ვერცხლი თუ არ გაქვთ. <sup>17</sup> და მიყავდათ იოსებთან თავიანთი ჯოგი და აძლევედა მათ იოსები პურს ცხენების, ცხვრის ჯოგის და ხვასტაგის და სახედრების საფასურში. და არჩენდა მათ პურით მთელი მათი ჯოგის საფასურად იმ წელიწადს. <sup>18</sup> და მიიწურა ის წელიწადიც და მივიდნენ მასთან მეორე წელს და უთხრეს მას: არ

დავუმაღავთ ჩვენს ბატონს, რომ გამოიღია ვერცხლიცა და საქონლის ჯოგიც ჩვენი ბატონისათვის მისაცემად. არაფერი შეგვრჩა ჩვენი ბატონის წინაშე, ჩვენი თავისა და ჩვენი მიწის გარდა. <sup>19</sup>რისთვის უნდა დავიღუპოთ შენს თვალწინ ჩვენც და ჩვენი მიწაც? გვიყიდე ბარემ მიწიანად პურის საფასურში და მონებად გავუხდებით ფარაონს ჩვენცა და ჩვენი მიწაც. მოგვეცი თესლი და ვიცოცხლებთ და არ დავიხოცებით, და მიწაც არ გაუკაცრიელდება. <sup>20</sup>და იყიდა იოსებმა ეგვიპტის მთელი მიწა ფარაონისათვის, რადგან გაყიდეს ეგვიპტელებმა თავიანთი ყანები, რადგან ძლია ისინი შიმშილმა. და გახდა ქვეყანა ფარაონის. <sup>21</sup>და ხალხი კი — გადაჰყავდა ისინი ქალაქებში ეგვიპტის ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში. <sup>22</sup>მხოლოდ ქურუმთა მიწა არ უყიდა, რადგან ფარაონისაგან ჰქონდათ ქურუმებს ნაკვეთები, და თავს ირჩენდნენ ამ ნაკვეთებით, ფარაონმა რომ მისცა. ამიტომაც არ გაუყიდათ თავიანთი მიწები. <sup>23</sup>და უთხრა იოსებმა ხალხს: აჰა, გიყიდეთ დღეს ფარაონისათვის თქვენცა და თქვენი მიწებიც. აჰა, თესლი და დათესეთ მიწა <sup>24</sup>და, როცა მოსავალს აიღებთ, მეხუთედი ფარაონს მიეცით და ოთხი წილი ყანის დასათესად და საჭმელად დაიტოვეთ თქვენთვის და მათთვის, ვინც სახლებში გყავთ, და საჭმელად თქვენი წვრილშვილისათვის. <sup>25</sup>და თქვეს: შენ გაგვაცოცხლე! გვეპოვოს მაღლი ჩვენი ბატონის თვალში და მონებად გავუხდებით ფარაონს. <sup>26</sup>და დადო ეს იოსებმა წესად დღემდე ეგვიპტის მიწებზე: მეხუთედი ფარაონისაა. მხოლოდ ქურუმთა მიწები არ ეკუთვნის ფარაონს.

### გოშენში დასახლება

<sup>27</sup>და დაესახლა ისრაელი ეგვიპტის ქვეყანაში, გოშენის მხარეში, და დამკვიდრდნენ მასზე, და ინაყოფიერეს და დიდად გამრავლდნენ. <sup>28</sup>და იცოცხლა იაკობმა ეგვიპტის ქვეყანაში ჩვიდმეტი წელი და ხანი იაკობის სიცოცხლისა იყო ას ორმოც-



დაშვიდი წელი. <sup>29</sup> და მოახლოვდა ისრაელის სიკვდილის ჟამი და უხმო თავის ძეს, იოსებს, და უთხრა: თუ მადლი მიპოვნია შენს თვალში, საზარდულეცემ ამომიღევი ხელი და მიყავი სიკეთე და მიერთგულე: ნუ დამმარხავ ეგვიპტეში. <sup>30</sup> და როცა დაეწვები ჩემს მამა-პაპასთან, წამილე ეგვიპტიდან და დამმარხე მათ სამარხში. და თქვა: გავაკეთებ შენი სიტყვისამებრ. <sup>31</sup> და თქვა: შემომფიცე. და შეჭფიცა, და თაყვანისცა ისრაელმა სარეცლის თავზე.

### ეფრემისა და მენაშეს შვილება იაკობის მიერ

**48** <sup>1</sup>ამ ამბების შემდეგ იყო, რომ უთხრეს იოსებს: აჰა, ავად არის მამაშენი. და წაიყვანა თავისი ორი შვილი — მენაშე და ეფრემი. <sup>2</sup> და შეატყობინეს იაკობს და უთხრეს: აჰა, მოდის შენთან შენი შვილი იოსები. და ძალი მოიცა ისრაელმა და წამოვდა საწოლზე. <sup>3</sup> და უთხრა იაკობმა იოსებს: ყოვლადღლიერი ღმერთი გამომეცხადა ლუზში, ქანაანის ქვეყანაში, და მაკურთხა. <sup>4</sup> და მითხრა: აჰა, მოგაშენებ და გაგამრავლებ, და ხალხების კრებულად გაქცევ. და მივცემ ამ ქვეყანას შენს შთამომავლობას შენს შემდგომ სამარადისო საკურთხებად. <sup>5</sup> და ახლა ორი ძე გყავს, ეგვიპტის ქვეყანაში რომ შეგეძინა, ვიდრე შენთან მოვიდოდი. ჩემები არიან ისინი, ეფრემი და მენაშე, როგორც რეუბენი და სიმეონი არიან ჩემები. <sup>6</sup> და ნაშიერნი, მათ შემდეგ რომ შეგეძინება, შენი იქნებიან, თავიანთი ძმების სახელზე ჩაიწერებიან მათ სამკვიდროში. <sup>7</sup> მე კი — ფადანიდან წამოსულს მომიკვდა რახელი ქანაანის ქვეყანაში, გზაში, მცირე მანძილზე ეფრათამდე, და დავმარხე იქ, ეფრათას გზაზე, სადაც ახლა ბეთლემია. <sup>8</sup> და დაინახა ისრაელმა იოსების შვილები და თქვა: ესენი ვინ არიან? <sup>9</sup> და უთხრა იოსებმა თავის მამას: ჩემი შვილებია, ღმერთმა რომ მომცა აქ. და თქვა: მომიყვანე და ვაკურთხებ მათ. <sup>10</sup> და თვალები დამძიმებული ჰქონდა ისრაელს სიბერისაგან, ცუდად ხედავდა. და ახლოს მიუყვანა

ისინი იოსებმა. და აკოცა მათ და გულში ჩაიკრა. <sup>11</sup> და უთხრა ისრაელმა იოსებს: არ მეგონა, შენს სახეს თუ ვიხილავდი, და, აჰა, ღმერთმა შენი მონაგარიც მახილვინა. <sup>12</sup> და ჩამოსვა ისინი იოსებმა მისი მუხლებიდან და მიწამდე თაყვანი სცა. <sup>13</sup> და აიყვანა ორივენი იოსებმა, ეფრემი ხელმარჯვნივ ჰყავდა, ისრაელის მარცხენა მხარეს, და მენაშე — ხელმარცხნივ, ისრაელის მარჯვენა მხარეს, და მიიყვანა მასთან. <sup>14</sup> და გაიწოდა მარჯვენა ხელი ისრაელმა და თავზე დაადო ეფრემს, რომელიც უმცროსი იყო, და მარცხენა ხელი მენაშეს თავზე. განზრახ გადაანაცვლა ხელები, თუმცა პირმშო მენაშე იყო. <sup>15</sup> და აკურთხა იოსები და თქვა: ღმერთმა, რომლის წინაშე დადიოდა ჩემი მამა-პაპა, აბრაამი და ისაკი, ღმერთმა, რომელიც მძწყემსავს მე ჩემი გაჩენიდან დღესამომდე, <sup>16</sup> ანგელოზმა, ჩემმა მხსნელმა ყოველი ბოროტისგან, აკურთხონ ეს ყმაწვილები, იწოდებოდეს მათით ჩემი სახელი, ჩემი მამა-პაპის — აბრაამისა და ისაკის სახელი. და დიდად გამრავლდნენ ქვეყნის გულში. <sup>17</sup> და დაინახა იოსებმა, რომ ეფრემს დაადო თავზე მამამისმა მარჯვენა ხელი, და არ მოეწონა, და დაიჭირა მამის ხელი, რომ ეფრემის თავიდან მენაშეს თავზე გადაენაცვლებინა. <sup>18</sup> და უთხრა იოსებმა თავის მამას: ასე არა, მამაჩემო! პირმშო ეს არის, მის თავზე დაადე შენი მარჯვენა. <sup>19</sup> და იუარა მამამისმა და თქვა: ვიცი, შვილო, ვიცი. ესეც წარმოშობს ხალხს, ესეც განდიდდება, მაგრამ მისი უმცროსი ძმა მასზე მეტად განდიდდება, და მისი თესლი ბევრი ხალხი შეიქნება. <sup>20</sup> და აკურთხა ისინი იმ დღეს, თქვა: შენით აკურთხებს ისრაელი, იტყვის: ღმერთმა გაგხადოს როგორც ეფრემი და როგორც მენაშე! და დააყენა ეფრემი მენაშეზე წინ. <sup>21</sup> და უთხრა ისრაელმა იოსებს: აჰა, მე ვკვდები, ღმერთი იქნება თქვენთან და დაგაბრუნებთ თქვენი მამა-პაპის მიწაზე. <sup>22</sup> და მომიცია შენთვის სამეტოდ შენს ძმებს შორის ერთი ქედი, რომელიც ამორეველებს წავართვი ჩემი მახვილითა და მშვილდით.

იაკობის კურთხევა

**49** <sup>1</sup>და მოუხმო იაკობმა შვილებს და უთხრა: შეიკრიბეთ და გაგიმხელთ, რა შეგემთხვევათ უკანასკნელ დღეებში. <sup>2</sup>თავი მოიყარეთ და ისმინეთ, იაკობის ძენო! ისრაელს, მამათქვენს, უსმინეთ! <sup>3</sup>რეუბენ! პირმშო ხარ ჩემი, ძალი ჩემი და სათავე ჩემი კაცობისა! შეუდრეკელი და შეუბოვარი. <sup>4</sup>ზღვასავით ბობოქრობ, არ აღზვედები, რადგან ახვედი მამის საწოლზე. მაშინ შებღალე! ჩემს სარეცელზე ავიდა! <sup>5</sup>სიმონ და ლევი, ღვიძლი ძმები, ძალადობის ტურტელია მათი გული! <sup>6</sup>მათ თათბირზე ნუმც მისულა სული ჩემი, მათ საკრებულოს ნუმც ბიარებულა ღირსება ჩემი! რადგან რისხვით მოკლეს კაცი და ბოროტი ნებით გამოძარღვეს ხარი. <sup>7</sup>წყეულიმც იყოს მათი რისხვა, რადგან შეუბოვარია, და მათი გულისწყრომა, რადგან სასტიკია! დავაქუცმაცებ მათ იაკობში და მიმოვფანტავ ისრაელში! <sup>8</sup>იუდა, გადიდებენ ძმები. მტრების ხერხემალს დათრგუნავ ხელით! გეთაყვანებიან მამაშენია ნაშიერნი. <sup>9</sup>ლომის ბოკვერია იუდა! წამომდგარხარ, შვილო, ნადავლით ხელში. წაიხარა, გაწვა ლომივით, ვინ გაბედავს მის წამოგდებას? <sup>10</sup>არ წაერთმევა კვერთხი იუდას და არც არგანი ფერხთა შუიდან, ვიდრე არ მოვა მისი მფლობელი და ის იქნება ხალხთა იმედი. <sup>11</sup>ვაზზე უბია თავისი ჩოჩორი, ვენახის ლერწმე — თავისი ვირის ნაშიერი. ღვინოში რეცხავს თავის სამოსელს, და ყურძნის სისხლში — თავის ტანსაცმელს. <sup>12</sup>თვალეები მისი — ღვინის უწითლესი, კბილები მისი — რძის უთეთრესი. <sup>13</sup>ზაბულონი ზღვის პირას იმკვიდრებს, ნავსაყუდელთან ექნება სადგომი, ციდონს მისწვდება მისი კალთები. <sup>14</sup>ისაქარი — ძვალმსხვილი ვირი, ბაკებში მწოლარე. <sup>15</sup>ხედავს, კარგია მოსვენება, მიწა — საამური. ქედი წაუხრია ტვირთის წასაღებად, ხარკისათვის შრომობს. <sup>16</sup>დანი — მსაჯული თავისი ხალხის, როგორც ერთი შტო ისრაელისა. <sup>17</sup>გველი იქნება დანი გზაზე, უნასი — ბილიკზე; დამგესლავი ცხენის ქუსლისა; გადაექანება უკან მხედარი. <sup>18</sup>შენგან მოველი

ხსნას, უფალო! <sup>19</sup> გადს მოადგებიან ურდოები, თავადაც კვალში ჩაუდგება. <sup>20</sup> აშერიისაგან — პური ნოყიერი და გასცემს იგი სამეფო ნუგბარს. <sup>21</sup> ნაფთალი — ფეხმარდი ირემი, სასიკეთო სიტყვათა მომტანი. <sup>22</sup> ნაყოფიერი ნერგი იოსები, ნაყოფიერი ნერგი, წყაროს პირს დარგული, რტოებით გალავანზე გასული! <sup>23</sup> გაამწარეს, დაისრეს, მტრობდნენ მოისარნი. <sup>24</sup> და დარჩა ძალაში მისი მშვილდი, არ მოსდუნებია ხელის ძარღვები, იაკობის ღმრთისაგან ძალამოცემული. აქედან არის მწყემსი, კლდე ისრაელის. <sup>25</sup> მამაშენის ღმერთი შეგეწიოს და გაკურთხოს ყოვლადძლიერმა ზეცათა კურთხევით ზეგარდმო, უფსკრულის კურთხევით, ქვეგანრთხმულის, ძუძუთა და საშოს კურთხევით, <sup>26</sup> მამაშენის კურთხევით, რომელიც უფრო ძლიერია, ვიდრე კურთხევა ჩემი მშობლებისა, ვიდრე მაღლი საუკუნო მათათა. იყოს ეს იოსების თავზე და ძმათაგან გამორჩეულის თხემზე. <sup>27</sup> ბენიამინი მგელია, მტაცებელი; დილით ჭამს, საღამოთი ნადავლს ინაწილებს. <sup>28</sup> ყველა ესენი ისრაელის თორმეტი შტოა. ეს უთხრა მათმა მამამ, როცა აკურთხა ისინი, თითოეული მისი კურთხევით აკურთხა.

### იაკობის ანდერძი და სიკვდილი

<sup>29</sup> და ამცნო და უთხრა მათ: მე ვუერთდები ჩემს ხალხს, დამმარხეთ ჩემს მამა-პაპასთან, მღვიმეში, ყეფრონ ხეთელის მინდორში რომ არის, <sup>30</sup> მღვიმეში, მახფელას მინდორში რომ არის, მამრეს პირდაპირ, ქანაანის ქვეყანაში, აბრაამმა რომ იყიდა ყეფრონ ხეთელისაგან მინდორთან ერთად საკუთარ სამარხად. <sup>31</sup> იქ დამარხეს აბრაამი და სარა, მისი ცოლი; იქ დამარხეს ისაკი და რებეკა, მისი ცოლი; იქ დავემარხე მე ლეა. <sup>32</sup> ეს მინდორი და მღვიმე, იქ რომ არის, ხეთის ძეთაგანაა ნაყიდი. <sup>33</sup> და გაასრულა იაკობმა, რაც უნდა ემცნო შვილებისათვის, და აკრიბა ფეხები სარეცელზე, და აღესრულა და შეერთო თავის ხალხს.

**იაკობის დამარხვა**

**50** <sup>1</sup>და გადაემხო იოსები მამას, და დასტიროდა და ჰკოცნიდა. <sup>2</sup>და ამცნო იოსებმა თავის მსახურებს, მკურნალებს, რომ შეემურვათ მამამისი. და შემურვეს მკურნალებმა ისრაელი. <sup>3</sup>და გაუსრულდა მას ორმოცი დღე, რამდენი ხანიც სჭირდებოდა შემურვას, და დასტიროდა მას ეგვიპტე სამოცდაათ დღეს. <sup>4</sup>და განვლო გლოვის დღეებმა და ელაპარაკა იოსები ფარაონის სახლს სათქმელად: თუ მიპოვნია მადლი თქვენს თვალში, ელაპარაკეთ ყურში ფარაონს, რომ უთხრათ: <sup>5</sup>მამაჩემმა დამაფიცა, თქვა: აჰა, მე ვკვდები. ჩემს სამარხში, რომელიც გავითხარე ჩემთვის ქანაანის ქვეყნად, იქ დამმარხეთ. და ახლა წავალ და დავმარხავ მამაჩემს და დავბრუნდები. <sup>6</sup>და თქვა ფარაონმა: წადი და დამარხე მამაშენი, როგორც დაგაფიცა. <sup>7</sup>და წავიდა იოსები მამის დასამარხავად და წაყვინნ მას ფარაონის მსახურნი, და მისი სახლის უხუცესნი და ეგვიპტის ქვეყნის ყველა უხუცესი, <sup>8</sup>და იოსების მთელი სახლი, და მისი ძმები და მამამისის სახლი. მხოლოდ ბალები და ცხვარი და ხვასტაგი დატოვეს გოშენის მიწაზე. <sup>9</sup>და ავიდნენ მასთან ერთად ეტლებიც და მხედრებიც, და შეიკრიბა ძალზე მძიმე ბანაკი. <sup>10</sup>და მივიდნენ ატადის კალოსთან, იორდანეს გაღმა, და გამართეს იქ დიდი და მძიმე გოდება. და შვიდ დღეს გლოვობდა თავის მამას. <sup>11</sup>და დაინახეს ქანაანელებმა გლოვა ატადის კალოზე და თქვეს: მძიმე გლოვა აქვთ ეგვიპტელებს. ამიტომაც ეწოდა ამ ადგილს იორდანეს გაღმა აბელ-მიცრაიმი\*. <sup>12</sup>და აღუსრულეს მისმა შვილებმა მას, როგორც ამცნო. <sup>13</sup>და წაასვენეს იგი მისმა შვილებმა ქანაანის ქვეყანაში და დამარხეს მღვიმეში მახფელას მინდორზე, მამრეს გასწვრივ, რომელიც საკუთარ სამარხად იყიდა აბრაამმა მინდორთან ერთად ყფრონ ხეთელისაგან.

\* „ეგვიპტელთა გლოვა“.

## იოსებისა და ძმების საუბარი

<sup>14</sup> და დამარხეს თავისი მამა და დაბრუნდა იოსები ეგვიპტეში, იგი და მისი ძმები და ყველა, ვინც კი ასული იყო მასთან ერთად მისი მამის დასამარხავად. <sup>15</sup> და დაინახეს იოსების ძმებმა, რომ მკვდარია მათი მამა, და თქვეს: ვაითუ გვიმტროს იოსებმა და სამაგიერო გადაგვიხადოს ყველა ბოროტებისათვის, რაც მას ვუყავით. <sup>16</sup> და ამცნეს იოსებს: მამაშენმა გვამცნო სიკვდილის წინ, <sup>17</sup> ასე უთხარითო იოსებს: გევედრები, აპატიე დანაშაული შენს ძმებს და შეუხედე მათ ცოდვა, რადგან ბოროტად მოგექცნენ. ამიერიდან აპატიე დანაშაული მამაშენის ღმერთის მსახურებს. და ატირდა იოსები, როცა ეს უთხრეს. <sup>18</sup> და მივიდნენ მისი ძმებიც და დაემხნენ მის წინაშე და თქვეს: აჰა, შენი მონები ვართ. <sup>19</sup> და უთხრა მათ იოსებმა: ნუ გეშინიათ. ღვთის ნაცვლად ხომ არ ვარ? <sup>20</sup> თქვენ ბოროტი განიზრახეთ ჩემთვის, ღმერთმა სიკეთედ შერაცხა, რათა ისე მომხდარიყო, როგორც დღეს არის: მრავალი ხალხის სიცოცხლე ეხსნა. <sup>21</sup> და ახლა ნუღარ გეშინიათ. მე გარჩინო თქვენ და თქვენს ბავშვებს. და ანუგეშა ისინი და ელაპარაკა მათ გულს.

## იოსების სიკვდილი

<sup>22</sup> და ცხოვრობდა იოსები ეგვიპტეში, ის და მამამისის სახლი. და იცოცხლა იოსებმა ას ათი წელი. <sup>23</sup> და იხილა იოსებმა ეფრემის ძეთა მესამე თაობა. მენაშეს ძის, მაქირის, შვილებიც იოსების მუხლებზე დაიბადნენ. <sup>24</sup> და უთხრა იოსებმა თავის ძმებს: მე ვკვდები, მაგრამ ღმერთი მოგხედავთ თქვენ და წაგიყვანთ ამ ქვეყნიდან იმ ქვეყანაში, რომელიც ფიცით აღუთქვა მან აბრაამს, ისაკს და იაკობს. <sup>25</sup> და დააფიცა იოსებმა ისრაელიანები: როცა ღმერთი მოგხედავთ, აქედან წაიღეთ ჩემი ძვლები. <sup>26</sup> და მოკვდა იოსები ას ათი წლისა, და შემურვეს იგი და ჩაასვენეს კიდობანში, ეგვიპტეში.

# წიგნი გამოსვლათა

## ებრაელთა გამრავლება ეგვიპტეში

**1** <sup>1</sup>ეს არის სახელები ისრაელიანთა, რომლებიც იაკობთან ერთად ჩავიდნენ ეგვიპტეში. თითოეული თავის სახლი-თურთ ჩავიდა. <sup>2</sup>რეუბენი, სიმეონი, ლევი და იუდა, <sup>3</sup>ისაქარი, ზებულონი და ბენიამინი, <sup>4</sup>დანი, ნაფთალი, გადი და აშერი. <sup>5</sup>სულ სამოცდაათი სული იყო იაკობის საზარდულიდან გამო-სული. და იოსები ეგვიპტეში იყო. <sup>6</sup>და მოკვდა იოსები, და მისი ყველა ძმა და მთელი მისი თაობა. <sup>7</sup>და ინაყოფიერეს ისრა-ელიანებმა, და აფუთფუნდნენ, და გამრავლდნენ და ძალიან, ძალიან გაძლიერდნენ. და აივსო მათით მთელი ქვეყანა.

## ებრაელთა ჩაგვრა

<sup>8</sup>და დადგა ეგვიპტეში ახალი მეფე, რომელიც არ იცნობდა იოსებს. <sup>9</sup>და უთხრა თავის ხალხს: აჰა, ხალხი, ისრაელიანები, ჩვენზე მრავალრიცხოვანი და ძლიერია. <sup>10</sup>მოდიოთ, ბრძნულად მოვიქცეთ მასთან, რომ არ გამრავლდეს. და როცა ომი ატყ-დება, ისიც შეუერთდება ჩვენს მტრებს, და შეგვებრძოლება და გავა ქვეყნიდან. <sup>11</sup>და დაუდგინეს მას ბეგრის უფროსები, რომ მძიმე შრომით დაეთრგუნათ იგი. და აუშენა მან ფარაონს მარაგისათვის ქალაქები — ფითომი და რამსესი. <sup>12</sup>და რაც უფრო თრგუნავდნენ მას, მით უფრო მრავლდებოდა და ვრცელდე-

ბოდა ხალხი. და შიშმა მოიცვა ისინი ისრაელიანთა წინაშე. <sup>13</sup>და უწყალოდ ამუშავებდნენ ეგვიპტელები ისრაელიანებს. <sup>14</sup>და სიცოცხლე გაუმწარეს მძიმე შრომით: თიხის ზელით და აგურების კეთებით, და მინდორში შრომით, ყველა სამუშაოთი, რაზეც უწყალოდ ამუშავებდნენ. <sup>15</sup>და უთხრა ეგვიპტის მეფემ ებრაელ ბებიაქალებს, რომელთაგან ერთს სახელად ერქვა შიფრა, მეორეს — ფუაყი. <sup>16</sup>და თქვა: როცა მოამშობიარებთ ებრაელ ქალებს, ნახეთ, თუ ვაჟია, მოკალით, თუ ქალი — აცოცხლეთ. <sup>17</sup>და ეშინოდათ ღვთისა ბებიაქალებს და არ ასრულებდნენ ეგვიპტის მეფის ბრძანებას: აცოცხლდნენ ვაჟებს. <sup>18</sup>და იხმო ეგვიპტის მეფემ ბებიაქალები და უთხრა მათ: ამას რატომ შვრებით, რომ ცოცხლად ტოვებდნენ ვაჟებს? <sup>19</sup>და უთხრეს ბებიაქალებმა ფარაონს, რომ არ ჰგვანან ეგვიპტელ ქალებს ებრაელი ქალები, რომ ამტანები არიან ისინი. სანამ ბებიაქალი მოვიდოდეს მათთან, ნამშობიარები არიან.

<sup>20</sup>და წყალობდა ღმერთი ბებიაქალებს და მრავლდებოდა ხალხი, და მეტად ძლიერდებოდა. <sup>21</sup>და რადგან ღვთის შიში ჰქონდათ ბებიაქალებს, აუშენა მათ სახლები. <sup>22</sup>და ამცნო ფარაონმა მთელს თავის ხალხს სათქმელად: ნილოსში ჩააგდეთ ყოველი ახალშობილი ვაჟი და ყოველი ქალი აცოცხლეთ.

## მოსეს დაბადება

**2** <sup>1</sup>და წავიდა კაცი ლევის სახლიდან და მოიყვანა ლევის ასული. <sup>2</sup>და დაორსულდა ქალი და შვა ვაჟი. და დაინახა, რომ კარგია, და სამ თვეს მალავდა. <sup>3</sup>და როცა დამალვა ვეღარ შეძლო, აიღო ლერწმის კიდობანი, და შეგობა ფისით და კუპრით, და ჩასვა შიგ ბავშვი და დადო ლელიანში ნილოსის პირას. <sup>4</sup>და დადგა ბავშვის მოშორებით, რომ გაეგო რა მოუვიდოდა მას. <sup>5</sup>და ჩავიდა ფარაონის ასული ნილოსზე დასაბანად და მისი მოახლეები ნილოსის პირას მიმოდიდნენ. და დაინახა ლელიანში კიდობანი, და გაგზავნა თავისი მხევალი და მო-



ატანინა იგი. და გახსნა და ნახა შიგ ბავშვი და, აჰა, ტირის ბიჭი, და შეეცოდა და თქვა: ებრაელის ბავშვი იქნება. და უთხრა ბავშვის დამ ფარაონის ასულს: ხომ არ წავიდე და დავუძახო ძიძას ებრაელთაგან, რომ ძუძუ გიწოვოს ბავშვს? <sup>8</sup> და უთხრა ფარაონის ასულმა: წადი. და წავიდა ყმაწვილი ქალი და დაუძახა ბავშვის დედას. <sup>9</sup> და უთხრა მას ფარაონის ასულმა: წაიყვანე ეს ბავშვი და ძუძუ მიწოვე და გასამრჯელოს მოგცემ. და წაიყვანა ქალმა ბავშვი და აწოვებდა ძუძუს. <sup>10</sup> და წამოიზარდა ბავშვი და მიუყვანა ფარაონის ასულს და გახდა მისი შვილი, და დაარქვა სახელად მოსე. და თქვა: რადგან წყლიდან მყავს ამოყვანილი.

### მოსე თავს აფარებს მიდიანს

<sup>11</sup> და გამოხდა ხანი და გაიზარდა მოსე და გამოვიდა იგი თავის ძმებთან, და ნახა მათი ძძიმე შრომა. და ხედავს, ეგვიპტელი კაცი სცემს ებრაელს, მის ძმათაგანს. <sup>12</sup> და მიიხედ-მოიხედა და დაინახა, რომ არავინ იყო, და მოკლა ეგვიპტელი და ქვიშაში დამალა. <sup>13</sup> და გამოვიდა მეორე დღეს და, აჰა, ორი მოჩხუბარი ებრაელი კაცი. და უთხრა დამნაშავეს: რად სცემ შენს ახლობელს? <sup>14</sup> და თქვა: ვინ დაგაყენა ჩვენს თავკაცად და მსაჯულად? ჩემს მოკვლასაც ხომ არ აპირებ, როგორც ის ეგვიპტელი მოკალი? და შეეშინდა მოსეს და თქვა: ნამდვილად გამჟღავნებულა ამბავი. <sup>15</sup> და შეიტყო ფარაონმა ამბავი და მოსაკლავად ეძებდა მოსეს. და გაექცა მოსე ფარაონს და მიდიანის ქვეყანაში გაჩერდა, და დაჯდა იქ ჭასთან. <sup>16</sup> შვიდი ასული ჰყავდა მიდიანელ მღვდელს. და მოსულიყვნენ და წყალს იღებდნენ, ავსებდნენ გეჯებს თავისი მამის ფარის დასარწყულებლად. <sup>17</sup> და მოვიდნენ მწყემსები და გაყარეს ისინი. და ადგა მოსე და გამოესარჩლა მათ, და დაურწყულა ფარა. <sup>18</sup> და მივიდნენ ქალები რელიუელთან, თავის მამასთან. და თქვა: რატომ მოხვედით დღეს ასე მალე? <sup>19</sup> და უთხრეს: ერთმა ეგვიპტელმა კაცმა მწყემსებისაგან დაგვიცვა, და წყალიც ამოგვიღო და ფარაც დაგვირწყულა. <sup>20</sup> და უთხრა თავის ასულებს: სად არის? რატომ მიატოვეთ

ის კაცი? დაუძახეთ მას და ჭამოს პური. <sup>21</sup> და გადაწყვიტა მოსემ ამ კაცთან ცხოვრება და მიათხოვა კაცმა მოსეს თავისი ასული, ციფორა, ცოლად. <sup>22</sup> და შვა ქალმა ვაჟი და უწოდა მოსემ სახელად გერშომი, რადგან თქვა: მდგმური ვარ უცხო ქვეყანაში.

### **ღმერთმა გაიხსენა ისრაელი**

<sup>23</sup> და გამოხდა მრავალი ხანი და მოკვდა ეგვიპტის მეფე. და აკვნესდნენ ისრაელიანები მონობის ქვეშ, და შეჭლადეს და მისწვდა ღმერთს მათი ღალადი მონობის ქვეშ. <sup>24</sup> და ისმინა ღმერთმა მათი კვნესა და გაიხსენა ღმერთმა თავისი აღთქმა აბრაამთან და ისაკთან და იაკობთან. <sup>25</sup> და დაინახა ღმერთმა ისრაელიანები და იცნო ღმერთმა ისინი.

### **ცეცხლმოდებული მაცვალი**

**3** <sup>1</sup> და მწყემსავდა მოსე თავისი სიმამრის, მიდიანელი მღვდლის, ითროს, ცხვარს. და წაასხა ცხვარი უდაბნოს იქით და მიადგა ღვთის მთას, ხორებს. <sup>2</sup> და გამოეცხადა უფლის ანგელოზი ცეცხლის ალად შუაგულ მაცვალში. და ხედავს, აჰა, ცეცხლი უკიდია მაცვალს და არ იწვის მაცვალი. <sup>3</sup> და თქვა მოსემ: გავუხვევ და ვნახავ ამ დიდ სახილველს, რატომ არ იწვის მაცვალი. <sup>4</sup> და დაინახა უფალმა, რომ გაუხვია მოსემ სახილველად და დაუძახა ღმერთმა შუაგულ მაცვლიდან: მოსე! მოსე! და თქვა: აჰა მე ვარ. <sup>5</sup> და თქვა: ახლოს ნუ მოხვალ! გაიძრე ხამლები ფეხზე, რადგან ადგილი, სადაც შენ დგახარ, წმიდა მიწაა. <sup>6</sup> და თქვა: მე ვარ მამაშენის ღმერთი, აბრაამის ღმერთი, და ისაკის ღმერთი, და იაკობის ღმერთი. და დაიფარა სახე მოსემ, რადგან ღვთის ხილვისა შეეშინდა.

### **მოსეს მოწოდება**

<sup>7</sup> და თქვა უფალმა: დავინახე ჩაგვრა ჩემი ერისა ეგვიპტეში და მომესმა ბოქაულებისაგან გამწარებულთა ღალადი. და

რაკი გავიგე მისი გასაჭირი, <sup>8</sup> ჩამოვედი, რომ ვიხსნა იგი ეგვიპტის ხელიდან და წავიყვანო მაგ ქვეყნიდან კარგსა და ვრცელ ქვეყანაში, ქვეყანაში, სადაც ღვარად მოედინება რძე და თაფლი, ქანაანელთა, და ხეთელთა, და ამორეველთა, და ფერიზელთა, და ხივიელთა და იებუსელთა ადგილზე. <sup>9</sup> და ახლა, აჰა, მოაწია ჩემამდე ისრაელიანთა ღალატმა და ვიხილე კიდევ მათი ჩაგვრა, როგორ ჩაგრავენ მათ ეგვიპტელები. <sup>10</sup> და ახლა, მოდი, გაგზავნი ფარაონთან, რომ გამოიყვანო ეგვიპტიდან ჩემი ერი, ისრაელიანები. <sup>11</sup> და უთხრა მოსემ ღმერთს: მე ვინ ვარ, ფარაონთან რომ წავიდე და გამოვიყვანო ისრაელიანები ეგვიპტიდან? <sup>12</sup> და თქვა ღმერთმა: რადგან მე შენთან ვარ. და ეს გქონდეს იმის ნიშნად, რომ რომ ჩემი გაგზავნილი ხარ: როცა გამოიყვან ჩემს ერს ეგვიპტიდან, თაყვანი ეცით ღმერთს ამ მთაზე.

### ღვთის სახელი გამოცხადება

<sup>13</sup> და უთხრა მოსემ ღმერთს: აჰა, მივედი ისრაელიანებთან და ვუთხარი, თქვენი მამა-პაპის ღმერთმა გამოგზავნა-მეთქი და მკითხეს, რა არის მისი სახელიო, რა ვუთხრა მათ? <sup>14</sup> და უთხრა ღმერთმა მოსეს: მე ვარ, რომელიც ვარ\*. და თქვა: ასე უთხარი ისრაელიანებს: მე-ვარი მგზავნის თქვენთან. <sup>15</sup> და კვლავ უთხრა ღმერთმა მოსეს: ასე უთხარი ისრაელიანებს: უფალმა, თქვენი მამა-პაპის ღმერთმა, აბრაამის ღმერთმა, და ისაკის ღმერთმა, და იაკობის ღმერთმა გამოგზავნა თქვენთან. ეს არის ჩემი სახელი უკუნითი უკუნისამდე და ეს არის ჩემი სახსენებელი თაობიდან თაობამდე.

### დავალება

<sup>16</sup> წადი და შეკრიბე ისრაელის უხუცესები და უთხარი მათ: უფალი, თქვენი მამა-პაპის ღმერთი, გამოიმცხადა, აბრაამის

\* 'ეჰეჰ აშერ 'ეჰეჰ.

ღმერთი, და ისაკის ღმერთი და იაკობის ღმერთი და მითხრა: მოგხედეთ თქვენ და თქვენს გასაჭირს ეგვიპტეში. <sup>17</sup> და ვთქვი: გამოგიყვანთ ეგვიპტის სატანჯველიდან და წაგიყვანთ ქანაანელთა, და ხეთელთა, და ამორეველთა, და ხივიელთა და იებუსელთა ქვეყანაში, ქვეყანაში, სადაც ღვარად მოედინება რძე და თაფლი. <sup>18</sup> და მოისმენენ შენს ხმას და მიხვალთ შენ და ისრაელის უხუცესები ეგვიპტის მეფესთან, და ეტყვიot: უფალი, ებრაელთა ღმერთი, გამოგვეცხადა. და ახლა უდაბნოში წავალთ სამი დღის სავალზე, რომ მსხვერპლი შევწიროთ უფალს, ჩვენს ღმერთს.

<sup>19</sup> და მე ვიცი, რომ არ გაგიშვებთ ეგვიპტის მეფე, თუ მაგარმა ხელმა არ აიძულა. <sup>20</sup> და გავიწვდი ხელს და ვგვემ ეგვიპტეს ყველა ჩემი სასწაულით, რომლებსაც მოვახდენ მის შუაგულში. და ამის შემდეგ გაგიშვებთ თქვენ.

<sup>21</sup> და მაძლეს ვაპოვნინებ ეგვიპტელთა თვალში ამ ხალხს და, როცა წახვალთ, ხელგარიელი არ წახვალთ. <sup>22</sup> და ინათხოვრებს თქვენი დედაკაცი თავის მეზობლისაგან და თავისი სახლის მდგმურისაგან ვერცხლისა და ოქროს ჭურჭელს, და სამოსელს და აჭკიდებთ თქვენს ვაჟებსა და ასულებს. და გაძარცვავთ ეგვიპტეს.

### მოსე აღიჭურვება ძალმოსილებით

**4** <sup>1</sup> და მიუგო მოსემ და უთხრა: აჰა, რომ არ მიწმუნონ მე და არ ისმინონ ჩემი ხმა, რომ თქვან: არ გამოგცხადებიაო უფალი? <sup>2</sup> და უთხრა უფალმა: რა გიჭირავს ხელში? და თქვა: კვერთხი. <sup>3</sup> და თქვა: დააგდე მიწაზე! და დააგდო მიწაზე და იქცა გველად. და გაექცა მას მოსე. <sup>4</sup> და უთხრა უფალმა მოსეს: გაიწოდე ხელი და კუდზე მოკიდე. და გაიწოდა ხელი და მოკიდა, და ისევ კვერთხად იქცა მის ხელში. <sup>5</sup> ამით ირწმუნებენ, რომ გამოგეცხადა უფალი, მათი მამა-პაპის ღმერთი, აბრაამის ღმერთი, და ისაკის ღმერთი, და იაკობის ღმერთი. <sup>6</sup> და კვლავ უთხრა მას უფალმა: ჩაიყავი ხელი უბეში! და ჩაიყო ხელი უბე-

ში. და გამოიღო და, აჰა, ხელი კეთროვანია როგორც თოვლი. <sup>7</sup>და თქვა: ჩააბრუნე ხელი უბეში! და ჩააბრუნა ხელი უბეში. და გამოიღო უბიდან და, აჰა, აღდგა მისი ხორცი, როგორც იყო. <sup>8</sup>თუ არ გერწმუნენ შენ და არ ისმინეს პირველი სასწაულის ხმა, ერწმუნებიან მეორე სასწაულის ხმას. <sup>9</sup>თუ არ ერწმუნენ ამ ორ სასწაულს და არ ისმინეს შენი ხმა, ამოიღე წყალი ნილოსიდან და დაღვარე ხმელეთზე. და წყალი, რომელსაც ნილოსიდან ამოიღებ, იქცევა სისხლად ხმელეთზე. <sup>10</sup>და უთხრა მოსემ უფალს: გვედრები, უფალო! მჭევრმეტყველი კაცი არ ვყოფილვარ არც გუშინ, არც გუშინწინ და არც მას მერე, რაც ლაპარაკი დამიწყე შენს მსახურს. ბაგემძიმე და ენამძიმე ვარ.

<sup>11</sup>და უთხრა უფალმა: ვინ მისცა ბაგე ადამიანს, ვინ ბადებს მუნჯს ან ყრუს, თვალხილულს ან ბრმას, თუ არა მე, უფალი? <sup>12</sup>და ახლა წადი და მე ვიქნები შენს ბაგესთან და გასწავლი, რა უნდა ილაპარაკო. <sup>13</sup>და თქვა: გვედრები, უფალო, გაგზავნე, ვინც ხელთა გყავს გასაგზავნი. <sup>14</sup>და განურისხდა უფალი მოსეს და თქვა: განა შენი ძმა არ არის ლევიანი აარონი? ვიცი, რომ ლაპარაკით ის ლაპარაკობს. და, აჰა, გამოდის იგი შენს შესახვედრად, და დაგინახავს და გულით გაიხარებს. <sup>15</sup>და ელაპარაკე და ბაგეში ჩაუდე სიტყვები. და მე ვიქნები შენს ბაგესთან და მის ბაგესთან. და გასწავლით, რა უნდა გააკეთოთ. <sup>16</sup>და ის კი ილაპარაკებს ხალხთან შენს ნაცვლად და ის იქნება შენთვის ბაგედ, და შენ იქნები მისთვის ღმერთი. <sup>17</sup>და ეგ კვერთხი ხელში გეჭიროს, რომლითაც სასწაულებს მოახდენ.

## მოსე ტოვებს მიდიანს და ბრუნდება თავის ხალხთან

<sup>18</sup>და წავიდა მოსე და დაბრუნდა ითროსთან, თავის სიმამრთან, და უთხრა: წავალ, დავბრუნდები ჩემს ძმებთან ეგვიპტეში, ვნახავ, ცოცხლები არიან, თუ არა. და უთხრა ითრომ მოსეს: მშვიდობით იარე. <sup>19</sup>და უთხრა უფალმა მოსეს მიდიანში: წადი, დაბრუნდი ეგვიპტეში, რადგან ყველანი დაიხოცნენ, ვინც შენს სიცოცხლეს ეძებდა. <sup>20</sup>და აიყვანა მოსემ თავის ცოლი და

შვილები და შესხა სახედრებზე და წავიდა ეგვიპტის ქვეყანაში. და ეჭირა მოსეს ღვთის კვერთხი ხელში. <sup>21</sup> და უთხრა უფალმა მოსეს: ახლა მიდიხარ და, იცოდე, როცა დაბრუნდები ეგვიპტეში, ფარაონის წინაშე მოახდენ ყველა სასწაულს, რომელიც ხელში ჩაგიდები. და გავასასტიკებ მის გულს და არ გაუშვებს ხალხს. <sup>22</sup> და უთხარი ფარაონს, ასე ამბობს-თქო უფალი: ჩემი პირმშო ძეა ისრაელი. <sup>23</sup> და გეუბნები შენ: გაუშვი ჩემი ძე, რათა თაყვანი მცეს. და თუ არ გაუშვებ, აჰა, მოვკლავ შენს ძეს, შენს პირმშოს. <sup>24</sup> და გზაზე, ღამის სათევში, დაუხვდა მას უფალი და აპირებდა მის მოკვლას. <sup>25</sup> და აიღო ციფორამ კაჟი და ჩუჩა წაატრა თავის ძეს, და დააგდო მის ფეხებთან და თქვა: სისხლის სიძე ხარ ჩემი. <sup>26</sup> და გაეცალა მას. მაშინ თქვა: სისხლის სიძე წინადაცვეთით. <sup>27</sup> და უთხრა უფალმა აარონს: წადი, შეეგებე უდაბნოში მოსეს. და წავიდა და შეხვდა მას ღვთის მთასთან, და აკოცა. <sup>28</sup> და გამოუცხადა მოსემ აარონს ყოველი სიტყვა უფლისა, რომელმაც გამოგზავნა იგი, და ყველა სასწაული, რომლის აღსრულებაც უბრძანა. <sup>29</sup> და წავიდნენ მოსე და აარონი და შეკრიბეს ისრაელიანთა ყველა უხუცესი. <sup>30</sup> და გამოაცხადა აარონმა ყოველი სიტყვა, რაც უფალმა უთხრა მოსეს, და მოახდინა მოსემ სასწაულები ხალხის თვალწინ. <sup>31</sup> და ირწმუნა ხალხმა, როცა მოისმინა, რომ მოხედა უფალმა ისრაელიანებს და დაინახა მათი ჩაგვრა. და ქედი მოიხარეს და თაყვანი სცეს.

### პირველი შეხვედრა ფარაონთან

**5** <sup>1</sup> და მერე მივიდნენ მოსე და აარონი და უთხრეს ფარაონს: ასე ამბობს უფალი, ღმერთი ისრაელისა: გაუშვი ჩემი ხალხი, რომ დღესასწაული გამიმართონ უდაბნოში. <sup>2</sup> და თქვა ფარაონმა: ვინ არის უფალი, რომ მოვისმინო მისი ხმა და გავუშვა ისრაელი? არც უფალი ვიცი და არც ისრაელს გავუშვებ. <sup>3</sup> და თქვეს: ებრაელთა ღმერთი შეგვხვდა ჩვენ. და გავგიშვი უდაბნოში სამი დღის სავალზე და მსხვერპლს შევწირავთ უფალს, ჩვენს ღმერთს, თორემ გაგვწყვეტს ჭირით და მახვი-

ლით. <sup>4</sup> და უთხრა მათ ეგვიპტის მეფემ: რატომ აცდენთ, მოსე და აარონ, ხალხს საქმისაგან? *მიხედეთ* თქვენს სამუშაოებს. <sup>5</sup> და თქვა ფარაონმა: აჰა, ბევრია ახლა მიწის ხალხი და თქვენ აწყვეტინებთ მათ სამუშაოს.

### შრომის დამძიმება

<sup>6</sup> და უბრძანა ფარაონმა იმავე დღეს ხალხის ბოქაულებს და მის გზირებს და უთხრა: <sup>7</sup> აღარ მისცეთ ხალხს ბზე ალიზის მოსაბეღლად, როგორც გუშინ და გუშინწინ აძლევდით. და წავიდნენ და თავად მოაგროვონ ბზე. <sup>8</sup> და აგურების რაოდენობა, რამდენსაც გუშინ და გუშინწინ აკეთებდნენ, იმდენივე დაუწესეთ, არ შეუმციროთ, რადგან ბარმაცები არიან და ამიტომაც ყვირიან: წავალთ, ჩვენს ღმერთს მსხვერპლს შევწირავთო! <sup>9</sup> დაუძიმდეს შრომა *მაკ* ხალხს, იმუშაონ და ველარ მიუგდონ ყური ტყუილ სიტყვებს. <sup>10</sup> და გავიდნენ ხალხის ბოქაულები და მისი გზირები და გამოუცხადეს ხალხს, თქვეს: ასე თქვა ფარაონმა: აღარ მოგცემთ ბზეს. <sup>11</sup> თქვენვე წადით, მოაგროვეთ თქვენთვის ბზე, სადაც იპოვით. მაგრამ არ შემცირდება თქვენი სამუშაო.

<sup>12</sup> და მოეფინა ხალხი მთელს ეგვიპტის ქვეყანას, რომ ბზის სანაცვლოდ ნამჯა შეეგროვებინათ. <sup>13</sup> და ბოქაულები აჩქარებდნენ, ეუბნებოდნენ: ყოველდღიურად შეასრულეთ თქვენი სამუშაო, როგორც მაშინ, როცა ბზე გეძლეოდათ. <sup>14</sup> და სცემდნენ ისრაელიანთა გზირებს, რომლებიც მიუჩინეს მათ ფარაონის ბოქაულებმა, და ეუბნებოდნენ: რატომ აღარ აკეთებთ თქვენთვის დაწესებული რაოდენობის აგურს, როგორც გუშინ და გუშინწინ, როგორც დღემდე? <sup>15</sup> და მივიდნენ ისრაელიანთა გზირები და შეჰლაღადეს ფარაონს, თქვეს: რისთვის ექცევი ასე შენს მსახურებს? <sup>16</sup> ბზე აღარ ეძლევათ შენს მსახურებს და აგურები გააკეთეთო, გვეუბნებიან. და, აჰა, სცემენ შენს მსახურებს. შენს ხალხზეა ცოდვა. <sup>17</sup> და თქვა: ბარმაცები ხართ თქვენ, ბარმაცები. ამიტომ ამბობთ, წავალთ, მსხვერპლს შევწირავთო

უფალსო. <sup>18</sup> და ახლა წადით და იმუშავეთ! ბზე არ მოგეცემათ, აგური კი იმდენივე უნდა მიგვცეთ.

### ხალხის ჩივილი მოსესადმი

<sup>19</sup> და დაინახეს ისრაელიანთა გზირებმა, რომ ჭირში არიან, როცა ებრძანათ, არაფერი დააკლოთ ყოველდღიურად დასამზადებელი აგურების რაოდენობას.

<sup>20</sup> და როცა ფარაონისაგან გავიდნენ, შეეყარნენ მოსეს და აარონს, რომლებიც მათ შესახვედრად იდგნენ. <sup>21</sup> და უთხრეს მათ: უფალმა შეგხედოთ და განგსაჯოთ, რომ აამყრალეთ ჩვენი სუნი ფარაონის და მის მსახურთა წინაშე და ჩვენს ამოსახოცად მახვილი მიეცით ხელში. <sup>22</sup> და მიბრუნდა უფლისაკენ მოსე და თქვა: უფალო, რისთვის აჭირვებ ამ ხალხს? რისთვის გამოიმგზავნე?

<sup>23</sup> მას შემდეგ, რაც ფარაონთან მივედი, რომ შენი სახელით მელაპარაკნა, აჭირვებს ამ ხალხს ფარაონი და ხსნით კი არ იხსენი შენი ხალხი.

### უფლის პასუხი

**6** <sup>1</sup> და უთხრა უფალმა მოსეს: ახლა დაინახავ, რას დავმართებ ფარაონს, რადგან მაგარი ხელი აიძულეებს მას გაუშვას ისინი და მაგარი ხელი აიძულეებს გაყაროს თავისი ქვეყნიდან. <sup>2</sup> და ელაპარაკა ღმერთი მოსეს და უთხრა მას: მე ვარ უფალი, <sup>3</sup> და მე გამოგვცხადე აბრაამს, და ისაკს და იაკობს, როგორც ელ-შადაი\*. ხოლო ჩემი სახელი — უფალი — არ გამიმხელია მათთვის. <sup>4</sup> და აღთქმაც დაგუდევი მათ, რომ მიგცემდი მათ ქანაანის ქვეყანას, მათი მდგმურობის ქვეყანას, სადაც მდგმურობდნენ. <sup>5</sup> და მე ვისმინე კიდეც კვნესა ისრაელიანთა, რომლებიც ეგვიპტელებს ჰყავთ დამონებული, და გავიხსენე ჩემი აღთქმა. <sup>6</sup> ამიტომ უთხარი ისრაელიანებს: მე ვარ უფალი, მე

\* ჩვეულებრივ თარგმნიან როგორც „ყოვლადძლიერი ღმერთი“



გამოგიყვანთ ეგვიპტელთა კირთებისაგან, და მე გაგათავისუფლებთ მათი მონობისაგან, და მე გიხსნით თქვენ მოღერებული მკლავით და დიდი სასჯელებით. <sup>7</sup> და მიგიღებთ ჩემს ერად და ვიქნები თქვენი ღმერთი, და გეცოდინებათ, რომ მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, ეგვიპტელთა კირთებისაგან თქვენი გამომხსნელი. <sup>8</sup> და მიგიყვანთ ქვეყანაში, რომელიც ფიცით აღვუთქვი აბრაამს, და ისაკს და იაკობს. და ახლა თქვენ გაძლევთ მას დასამკვიდრებლად. მე ვარ უფალი. <sup>9</sup> და ასე ელაპარაკა მოსე ისრაელიანებს და არ უსმინეს მოსეს სულმოკლეობის გამო და სასტიკი შრომის გამო. <sup>10</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>11</sup> მიდი, ელაპარაკე ფარაონს, ეგვიპტის მეფეს, გაუშვას ისრაელიანები თავისი ქვეყნიდან,

<sup>12</sup> და ელაპარაკა მოსემ უფლის წინაშე სათქმელად: აჰა, არ მომისმინეს ისრაელიანებმა და როგორღა მომისმენს ფარაონი, მე ხომ ბაგედაუცვეთელი ვარ? <sup>13</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს და აარონს და ამცნობინა მათ ისრაელიანთათვის და ფარაონისათვის, ეგვიპტის მეფისათვის, რომ გაეშვა ისრაელიანები ეგვიპტის ქვეყნიდან.

## მოსეს და აარონის წარმოშობა

<sup>14</sup> ესენი არიან თავ-თავიანთ მამისსახლთა უფროსები: რეუბენის ძენი, ისრაელის პირმშოსი: ხანოქი, ფალუ, ხაცრონი და ქარმი. ესენია რეუბენის საგვარეულოები.

<sup>15</sup> და სიმეონის ძენი: იემუელი, იამინი, ოჰადი, იაქინი, ცოხარი და საული, ქანაანელი დედაკაცის შვილი. ესენია სიმეონის საგვარეულოები.

<sup>16</sup> და ესენია ლევის ძეთა სახელები თაობების მიხედვით: გერშონი, კეჰათი და მერარი. ლევის სიცოცხლის ხანი იყო ას ოცდაჩვიდმეტი წელი. <sup>17</sup> გერშონის ძენი: ლიბნი და შიმყი თავ-თავისი საგვარეულოების მიხედვით. <sup>18</sup> კეჰათის ძენი: ყამრამი, ხებრონი და ყუზიელი. ხოლო კეჰათის სიცოცხლის ხანი იყო ას

ოცდაცამეტი წელი.<sup>19</sup> და მერარის ძენი: მახლი და მუში. ესენია ლევის საგვარეულოები თაობათა მიხედვით.<sup>20</sup> და მოიყვანა ყამრამმა იოქებედი, თავისი მამიდა, ცოლად და უშვა ქალმა აარონი და მოსე. ყამრამის სიცოცხლის ხანი იყო ას ოცდაჩვიდმეტი წელი.<sup>21</sup> და იცჰარის ძენი: კორახი, ნეფეგი და ზიქრი.

<sup>22</sup> და ყუზიელის ძენი: მისაელი, ალცაფანი და სითრი.<sup>23</sup> და მოიყვანა აარონმა ცოლად ელისაბედი, ამინადაბის ასული, ნახშონის და. უშვა ნადაბი, ამიჰუ, ელიაზარი და ითამარი.<sup>24</sup> და კორახის ძენი: ასირი, ელკანა და აბიასაფი. ესენია კორახიანთა საგვარეულოები.<sup>25</sup> და ელიაზარმა, აარონის ძემ, მოიყვანა ცოლად ფუტიელის ასულთაგან და უშვა მან ფინხასი. ესენი არიან ლევიათა მამამთავარნი თავ-თავისი საგვარეულოების მიხედვით.<sup>26</sup> ეს არის აარონი და მოსე, რომელთაც უთხრა უფალმა: გაიყვანეთ ისრაელიანები ეგვიპტის ქვეყნიდან მწყობრად.<sup>27</sup> ესენი ელაპარაკებოდნენ ფარაონს, ეგვიპტის მეფეს, რომ გაეყვანათ ისრაელიანები ეგვიპტიდან. ეს არის მოსე და აარონი.

## მისიის განახლება

<sup>28</sup> იმ დღეს იყო, რომ ელაპარაკებოდა უფალი მოსეს ეგვიპტის ქვეყანაში.

<sup>29</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: მე ვარ უფალი. ელაპარაკე ფარაონს, ეგვიპტის მეფეს ყველაფერი, რაც მე გელაპარაკე.<sup>30</sup> და თქვა მოსემ უფლის წინაშე: აჰა, მე ბაგედაუცვეთელი ვარ და როგორ მომისმენს ფარაონი?

**7** <sup>1</sup> და უთხრა უფალმა მოსეს: იცოდე, ღმერთად დაგადგინე ფარაონზე და აარონი, შენი ძმა, შენი წინასწარმეტყველი იქნება. <sup>2</sup> შენ ილაპარაკებ ყველაფერს, რასაც მე გამცნებ, და აარონი, შენი ძმა, დაელაპარაკება ფარაონს, რომ გაუშვას ისრაელიანები თავისი ქვეყნიდან. <sup>3</sup> და მე გულის გავუსასტიკებ ფარაონს და გავამრავლებ ჩემს ნიშნებსა და ჩემს სასწაულებს

ეგვიპტის ქვეყანაში. <sup>4</sup> და არ მოგისმენთ ფარაონი და ხელს დავადებ ეგვიპტეს და დიდი სასჯელებით გამოვიყვან ჩემს კრებულს, ჩემს ერს, ისრაელიანებს ეგვიპტის ქვეყნიდან.

<sup>5</sup> და მოხვდებიან ეგვიპტელები, რომ მე უფალი ვარ, როცა მოვუღერებ ხელს ეგვიპტეს და გამოვიყვან მათგან ისრაელიანებს. <sup>6</sup> და გააკეთეს მოსემ და აარონმა. როგორც უბრძანა მათ უფალმა, ისე გააკეთეს. <sup>7</sup> და ოთხმოცი წლის იყო მოსე და ოთხმოცდასამი წლის იყო აარონი, როცა ლაპარაკი დაუწყეს ფარაონს.

### კვერთხის სასწაული

<sup>8</sup> და უთხრა უფალმა მოსეს და აარონს: <sup>9</sup> თუ დაგელაპარაკებათ ფარაონი, იტყვის, სასწაული მოახდინეთო, უთხარი აარონს: აიღე შენი კვერთხი და წინ დაუგდე ფარაონს და გველად იქცევა კვერთხი. <sup>10</sup> და მივიდნენ ფარაონთან მოსე და აარონი და ისე გააკეთეს, როგორც უბრძანა უფალმა. და დაადლო აარონმა თავისი კვერთხი ფარაონის და მისი მსახურების წინ, და იქცა გველად.

<sup>11</sup> და უხმო ფარაონმაც ბრძენკაცებს და ჯადოქრებს, და მათაც, ეგვიპტის გრძნეულებმა, თავიანთი ჯადოსნობით იგივე გააკეთეს. <sup>12</sup> და დაყარეს თავ-თავიანთი კვერთხები და იქცნენ გველებად. და შთანთქა აარონის კვერთხმა მათი კვერთხები. <sup>13</sup> და გაასასტიკდა ფარაონის გული და არ უსმინა მათ, როგორც ნათქვამი ჰქონდა უფალს.

### პირველი სასჯელი: ნილოსის სიხლად ქცევა

<sup>14</sup> და უთხრა უფალმა მოსეს: დამძიმდა ფარაონის გული, უარს ამბობს ხალხის გაშვებაზე. <sup>15</sup> წადი ფარაონთან დილით და, აჰა, წყალზე გამოვა და შენც დახვდი ნილოსის პირას. და კვერთხი, გველად რომ იქცა, ხელში გეჭიროს.

<sup>16</sup> და უთხარი მას: უფალმა, ებრაელთა ღმერთმა, გამოგვგზავნა შენთან სათქმელად: გაუშვი ჩემი ხალხი, რომ უდაბნოში თაყვანი მცენ. და, აჰა, არ მისმენდი აქამდე. <sup>17</sup> ასე თქვა უფალმა: ამით მიხვდები, რომ უფალი ვარ: აჰა, ამ კვერთხს, ხელში რომ მიჭირავს, დაგკრავ ნილოსის წყალს და სისხლად იქცევა.

<sup>18</sup> და გაწყდება თევზი, რომელიც ნილოსშია, და აყროლდება ნილოსი და შემზიდლებათ ეგვიპტელებს წყლის დაღევა ნილოსიდან. <sup>19</sup> და უთხრა უფალმა მოსეს: უთხარი აარონს, აიღე-თქო შენი კვერთხი და მოუღერე ხელი ეგვიპტის წყალს, და მდინარეებს და ნაკადულებს, და ჭაობებს და წყალთა ყოველ შესაკრებელს, და იქცევიან სისხლად, და სისხლი ჩადგება მთელს ეგვიპტის ქვეყანაში, ხეებში თუ ქვებში. <sup>20</sup> და ასე გააკეთეს მოსემ და აარონმა, როგორც ამცნო მათ უფალმა. და აღმართა კვერთხი და დაჰკრა ნილოსის წყალს ფარაონისა და მის მსახურთა თვალწინ, და იქცა სისხლად ნილოსის წყალი.

<sup>21</sup> და ამოწყდა თევზი, ნილოსში რომ იყო, და აყროლდა ნილოსი და ველარ სვამდნენ ეგვიპტელებს წყალს ნილოსიდან. და სისხლი იდგა მთელს ეგვიპტის ქვეყანაში. <sup>22</sup> და ასევე გააკეთეს ეგვიპტელმა გრძნეულებმა თავიანთი ჯადოსნობით. და გასასტიკდა ფარაონს გული და არ უსმინა მათ, როგორც თქვა უფალმა. <sup>23</sup> და პირი იბრუნა ფარაონმა და წავიდა თავის სახლში. არც ამას შეუძრავს მისი გული. <sup>24</sup> და იწყეს თხრა ეგვიპტელებმა ნილოსის გასწვრივ სასმელი წყლისათვის, რადგან ველარ სვამდნენ ნილოსის წყალს. <sup>25</sup> და შესრულდა შვიდი დღე მას მერე, რაც უფალმა დაჰკრა ნილოსს.

## **მეორე სასჯელი: გომბეშოების შემოსევა**

<sup>26</sup> და უთხრა უფალმა მოსეს: მიდი ფარაონთან და უთხარი, ასე ამბობს-თქო უფალი: გაუშვი ჩემი ხალხი, რათა თაყვანი მცენ. <sup>27</sup> თუ უარს იტყვის გაშვებაზე, აჰა, გომბეშოებით მოვწყლავ მთელს შენს ქვეყანას. <sup>28</sup> და აფუთფუთდებიან ნილოს-

ში გომბეშოები, და ამოვლენ და შეესევინა შენს სახლს, შენს საძილე ოთახს, შენს საწოლს, შენს მსახურთა სახლებს, შენს ხალხს, შენს თონეებს და შენს ვარცლებს, <sup>29</sup> და თავად შენ, შენს ხალხს და ყველა შენს მსახურს.

**8** <sup>1</sup> და უთხრა უფალმა მოსეს: უთხარი აარონს: მოუღერე შენი კვერთხით შენი ხელი მდინარეებს, და ნაკადულებს და ტაობებს, და ამოასხი გომბეშოები ეგვიპტის ქვეყანაზე. <sup>2</sup> და მოუღერა ხელი აარონმა ეგვიპტის წყლებს და ამოვიდნენ გომბეშოები და დაფარეს ეგვიპტის ქვეყანა. <sup>3</sup> და ასევე გააკეთეს გრძნეულებმა თავიანთი ჯადოსნობით და ამოვიდნენ გომბეშოები ეგვიპტის ქვეყნად. <sup>4</sup> და იხმო ფარაონმა მოსე და აარონი, და თქვა: შეევედრეთ უფალს, რომ მოგვაცილოს გომბეშოები მე და ჩემს ხალხს, და გავუშვებ ხალხს და შესწირონ მსხვერპლი უფალს. <sup>5</sup> და უთხრა მოსემ ფარაონს: მიბრძანე, როდის შევევედრო შენთვის და შენს მსახურთათვის, შენი ხალხისათვის, რომ მოგაშოროს გომბეშოები შენ და შენს სახლებს, და მხოლოდ ნილოსში დარჩნენ? <sup>6</sup> და თქვა: ხვალ. და თქვა მოსემ: შენი სიტყვისამებრ იყოს, რათა იცოდე, რომ არავინ არის, როგორც ჩვენი უფალი ღმერთია. <sup>7</sup> და მოგცილდებიან გომბეშოები შენ და შენს სახლებს, შენს მსახურებს და შენს ხალხს. მხოლოდ ნილოსში დარჩებიან. <sup>8</sup> და გამოვიდნენ მოსე და აარონი ფარაონისაგან. და შეჰღალადა მოსემ უფალს გომბეშოების გამო, ფარაონს რომ მიუსია. <sup>9</sup> და გააკეთა უფალმა მოსეს სიტყვისამებრ და ამოწყდნენ გომბეშოები სახლებში, და ებოებში და მინდვრებში. <sup>10</sup> და დახვავეს ისინი გროვებად და ამყრალდა ქვეყანა. <sup>11</sup> და დაინახა ფარაონმა, რომ იქნა შვება, და დაიძძიმა გული და არ უსმინა მათ, როგორც თქვა უფალმა.

### მესამე სასჯელი: მუმლი

<sup>12</sup> და უთხრა უფალმა მოსეს: უთხარი აარონს, მოიღერე შენი კვერთხი და დაჰკარი მიწის მტვერს და მუმლი მოედე-

ბა მთელს ეგვიპტის ქვეყანას. <sup>13</sup> და გააკეთა ასე. და მოიღერა აარონმა თავისი ხელი თავისი კვერთხით და დაჰკრა მიწის მტვერს და მოედო მუშლი კაცსა და პირუტყვს. მთელი მიწის მტვერი მუშლად იქცა მთელს ეგვიპტის ქვეყანაში. <sup>14</sup> და გააკეთეს ასე გრძნეულებმაც თავიანთი ჯადოსნობით, რომ გამოედევნათ მუშლი და ვერ შეძლეს. და იყო მუშლი მიწაზე და პირუტყვზე. <sup>15</sup> და უთხრეს გრძნეულებმა ფარაონს: ღვთის თითია ეს! და გასასტიკდა ფარაონის გული და არ ისმინა მათი, როგორც თქვა უფალმა.

### მეოთხე სასჯელი: ბუზანკალი

<sup>16</sup> და უთხრა უფალმა მოსეს: ადექი დილაადრიანად და წარდექი ფარაონის წინაშე. აჰა, წყალზე ჩადის და უთხარი, ასე ამბობს-თქო უფალი: გაუშვი ჩემი ხალხი, რომ თაყვანი მცეს. <sup>17</sup> თუ არ გაუშვებ ჩემს ხალხს, აჰა, მოგისევ შენ და შენს მსახურებს, და შენს ხალხს, და შენს სახლებს ბუზანკალს და აივსება ბუზანკალით ეგვიპტელთა სახლები და ის მიწაც, სადაც ისინი არიან.

<sup>18</sup> და გამოვარჩევ იმ დღეს გოშენის მხარეს, სადაც დგას ჩემი ხალხი, რომ არ იყოს იქ ბუზანკალი, ვინძლო დარწმუნდე, რომ ქვეყნის შუაგულში ვარ მე, უფალი. <sup>19</sup> და დავდებ სამანს ჩემს ხალხსა და შენს ხალხს შორის. ხვალ მოხდება ეს სასწაული. <sup>20</sup> და გააკეთა ასე უფალმა. და შეესია ძძიმე ბუზანკალი ფარაონის სახლს, და და მის მსახურთა სახლებს, და მთელს ეგვიპტის ქვეყანას. იღუპებოდა ქვეყანა ბუზანკლისაგან.

<sup>21</sup> და უხმო ფარაონმა მოსეს და აარონს და უთხრა: წადით, შესწირეთ მსხვერპლი თქვენს ღმერთს ჩემს ქვეყანაში. <sup>22</sup> და თქვა მოსემ: არ ეგების ასე, რადგან სისაძაგლეა ეგვიპტელთათვის ჩვენი მსხვერპლშეწირვა უფლის, ჩვენი ღმერთისადმი. აჰა, შევწირავთ სისაძაგლეს ეგვიპტელთა თვალწინ და ჩავგქოლავენ! <sup>23</sup> სამი დღის სავალზე გავალთ უდაბნოში და

იქ შევწირავთ მსხვერპლს უფალს, ჩვენს ღმერთს, როგორც გვითხრა. <sup>24</sup> და თქვა ფარაონმა: მე გაგიშვებთ და შესწირეთ მსხვერპლი თქვენს ღმერთს უდაბნოში, ოღონდ შორს ნუ წახვალთ. ილოცეთ ჩემთვის. <sup>25</sup> და თქვა მოსემ: აჰა, გავდივარ შენგან და შევევედრები უფალს და მოაშორებს ბუზანკალს ფარაონს და მის მსახურებს, და მის ხალხს ხვალვე. ოღონდ აღარ მოიტყუოს ფარაონმა და გაუშვას ხალხი უფლისათვის მსხვერპლის შესაწირად. <sup>26</sup> და გავიდა მოსე ფარაონისაგან და შეევედრა უფალს. <sup>27</sup> და გააკეთა უფალმა მოსეს სიტყვისამებრ და მოაშორა ბუზანკალი ფარაონს და მის მსახურთ, და მის ხალხს. ერთიც არ დარჩენილა.

<sup>28</sup> და გაიქვავა გული ფარაონმა ამჯერადაც და არ გაუშვა ხალხი.

### მეხუთე სასჯელი: საქონლის გაწყვეტა

**9** <sup>1</sup> და უთხრა უფალმა მოსეს: წადი ფარაონთან და ელაპარაკე. ასე ამბობს-თქო უფალი, ებრაელთა ღმერთი: გაუშვი ჩემი ხალხი, რათა თაყვანი მცეს. <sup>2</sup> თუ უარს იტყვი მათ გაშვებაზე და კიდევ დააკავებ, <sup>3</sup> აჰა, უფლის ხელი იქნება შენს საქონელზე, მინდვრად რომ გყავს: ცხენებზე, და სახედრებზე, და აქლემებზე, ხვასტაგზე და ცხვარზე — ძალზე მძიმე ჭირი. გამოარჩევს უფალი ისრაელიანთა საქონელს და ეგვიპტელთა საქონელს ერთმანეთისაგან და არაფერი დაეხოცებათ ისრაელიანებს. <sup>5</sup> და დანიშნა დრო უფალმა, თქვა: ხვალ აღასრულებს ამ საქმეს უფალი ქვეყანაში. <sup>6</sup> და აღასრულა უფალმა ეს საქმე მეორე დღეს და გაწყდა ეგვიპტელთა საქონელი და ისრაელიანთა საქონელიდან არც ერთი სული არ დაღუპულა. <sup>7</sup> და გაგზავნა და, აჰა, არც ერთი სული არ იყო დაღუპული ისრაელის საქონელიდან. და დამძიმდა ფარაონის გული და არ გაუშვა ხალხი.

### მეექვსე სასჯელი: მტვერი

<sup>8</sup> და უთხრა უფალმა მოსეს და აარონს: აიღეთ სავსე პეშვი ქურის ნაცრით და ცაში ააფრქვიოს მოსემ ფარაონის თვალ-წინ. <sup>9</sup> და მტვრად მოეფინება იგი მთელს ეგვიპტის ქვეყანას და ყვავილის მუწუკებად გამოეყრება კაცსა და პირუტყვს მთელს ეგვიპტის ქვეყანაში. <sup>10</sup> და აიღეს ქურის ნაცარი და წარდგნენ ფარაონის წინაშე. და ააფრქვია მოსემ ნაცარი ცაში და გამოეყარა კაცსა და პირუტყვს ყვავილის მუწუკები. <sup>11</sup> და ვერ შეძლეს გრძნეულებმა დამდგარიყვნენ მოსეს წინაშე გამონაყარის გამო, რადგან გამონაყარი ჰქონდათ გრძნეულებსაც და მთელს ეგვიპტეს. <sup>12</sup> და გაასასტიკა უფალმა ფარაონის გული და არ უსმინა მათ ფარაონმა, როგორც ელაპარაკა უფალი მოსეს.

### მეშვიდე სასჯელი: სეტყვა

<sup>13</sup> და უთხრა უფალმა მოსეს: ადექი დილაადრიანად, წარდექი ფარაონის წინაშე და უთხარი მას: ასე ამბობს-თქო უფალი, ებრაელთა ღმერთი: გაუშვი ჩემი ხალხი, რომ თაყვანი მცეს. <sup>14</sup> თორემ ამჯერად ყოველგვარ სენს შეეყრი შენს გულს, და შენს მსახურებს და შენს ხალხს, რათა იცოდეთ, რომ არავინ არის ჩემი მსგავსი მთელს ქვეყანაზე, <sup>15</sup> რომ ახლავე გავიწვდი ხელს და მოგსპობ შავი ჭირით შენ და შენს ხალხს, და წარიხოცებოდით ამ ქვეყნიდან. <sup>16</sup> და მხოლოდ იმისათვის დაგტოვებ, რომ გიჩვენო ჩემი ძალა და მოეთხროს ჩემი სახელი მთელს ქვეყანას. <sup>17</sup> აქამდე აბუჩად იგდებ ჩემს ერს და არ უშვებ მათ.

<sup>18</sup> აჰა, ჩამოვყრი ხვალ ამ დროს ძალზე მძიმე სეტყვას, რომლის მსგავსი არ ყოფილა ეგვიპტეში მისი დაფუძნებიდან აქამომდე. <sup>19</sup> და ახლა დაიფარე შენი საქონელი და ყველაფერი, რაც მიწვერად გყავს. ყოველი კაცი და პირუტყვი, რაც კი გარეთ დარჩება და ჭერს არ შეეფარება, დაისეტყვება და მოისპობა.

<sup>20</sup> და ვინც შეუშინდა უფლის სიტყვას ფარაონის მსახურთა-



გან, ჭერქვეშ შეაფარა თავისი მსახურები და საქონელი. <sup>21</sup>და ვინც არად ჩააგდო უფლის სიტყვა, მინდორში დატოვა თავისი მსახურები და საქონელი. <sup>22</sup>და უთხრა უფალმა მოსეს: ცისაკენ მოიღერე ხელი და დაისეტყვება მთელი ეგვიპტე, და კაცი, და პირუტყვი და მინდვრის ბალახი ეგვიპტის ქვეყანაში. <sup>23</sup>და მოიღერა მოსემ ცისაკენ თავისი კვერთხი და გამოსცა უფალმა ხმები და სეტყვა. და გაიარა ცეცხლმა მიწაზე და დასეტყვა უფალმა ეგვიპტის ქვეყანა. <sup>24</sup>და იყო სეტყვა და ცეცხლი გიზგიზებდა სეტყვაში. და ძალზე მძიმე იყო სეტყვა, რომლის მსგავსი არ ყოფილა მთელს ეგვიპტის ქვეყანაში, რა დროიდანაც ხალხისათვის არსებობს. <sup>25</sup>და გაანადგურა სეტყვამ ეგვიპტის ქვეყნად ყველაფერი, რაც კი გარეთ დარჩა. კაციდან პირუტყვამდე, და მინდვრის მთელი ბალახი გაანადგურა სეტყვამ და მინდორში მდგარი ყველა ხე დაღეწა.

<sup>26</sup>მხოლოდ გოშენის მიწაზე, სადაც ისრაელიანები იყვნენ, არ ყოფილა სეტყვა.

<sup>27</sup>და გაგზავნა ფარაონმა და უხმო მოსეს და აარონს და უთხრა: შევცოდე ამჯერად. მართალია უფალი და მე და ჩემი ხალხი დამნაშავენი ვართ.

<sup>28</sup>შევედრეთ უფალს, შეწყდეს ღვთის გრგვინვა და სეტყვა, და გაგიშვებთ და მეტს აღარ დაყოვნდებით. <sup>29</sup>და უთხრა მას მოსემ: როგორც კი გავალთ ქალაქიდან, ხელს გავიწვდი უფლისაკენ და შეწყდება გრგვინვა და აღარ იქნება სეტყვაც, ვინძლო მიხვდეთ, რომ უფლისაა ქვეყანა. <sup>30</sup>მაგრამ ვიცი, რომ შენ და შენს მსახურებს ჯერ კიდევ არ გექნებათ უფალი ღმერთის შიში. <sup>31</sup>და განადგურდა სელი და ქერი. რადგან ქერი ათავთავებული იყო და სელი ყვაოდა.

<sup>32</sup>და ხორბალი და ასლი არ განადგურებულა, რადგან საგვიანო იყო. <sup>33</sup>და გავიდა მოსე ფარაონისაგან ქალაქის გარეთ და გაიწოდა ხელი უფლისაკენ და შეწყდა გრგვინვა და სეტყვა და წვიმას აღარ უწვიმია მიწაზე. <sup>34</sup>და დაინახა ფარაონმა, რომ შეწყდა წვიმა, და გრგვინვა და სეტყვა, და კვლავ შესცოდა. და

გაიქვავეს გული მან და მისმა მსახურებმა. <sup>35</sup> და გასასტიკდა ფარაონის გული და არ გაუშვა ისრაელიანები, როგორც ილაპარაკა უფალმა მოსეს ხელით.

## მერვე სასჯელი: კალია

**10** <sup>1</sup>და უთხრა უფალმა მოსეს: მიდი ფარაონთან, რადგან ეს მე ვიყავი, რომ დავამძიმე მისი გული და მისი მსახურების გული, რომ მომეხდინა ეს ჩემი სასწაულები მის შუაგულში. <sup>2</sup>და რომ მოუთხრო შენს შვილსა და შვილთაშვილს, როგორ გავუსწორდი ეგვიპტეს და რა სასწაულები მოვუვლინე მას, რომ იცოდეთ, რომ უფალი ვარ. <sup>3</sup>და მივიდნენ მოსე და აარონი ფარაონთან და უთხრეს მას: ასე თქვა უფალმა, ებრაელთა ღმერთმა: როდემდის უნდა მეურჩებოდე? გაუშვი ჩემი ერი, რომ თაყვანი მცენ. <sup>4</sup>თუ კიდევ იურჩებ და არ გაუშვებ ჩემს ერს, აჰა, ხვალვე კალიას მივუსევ შენს საზღვრებს. <sup>5</sup>და დაფარავს მიწის თვალს და შეუძლებელი იქნება მიწის ხილვა. და შეგიჭამთ ყველაფერს, რაც სეტყვას გადაურჩა, და გადაჭამს ყველა ხეს, მინდვრად რომ გებრდებათ, <sup>6</sup>და აივსება შენი სახლები და შენს მსახურთა სახლები, და ყველა ეგვიპტელის სახლი, რაც არ უნახავს არც შენს მამებს, არც შენი მამების მამებს იმ დღიდან, რაც არსებობენ ამ მიწაზე, დღესამომდე. და გაბრუნდა მოსე და გავიდა ფარაონისაგან. <sup>7</sup>და უთხრეს ფარაონს მისმა მსახურებმა: როდემდის უნდა იყოს ეს ხაფანგად ჩვენთვის? გაუშვი ეგ კაცები და თაყვანი სცენ უფალს, თავიანთ ღმერთს. ვერ მიხვდი, რომ დაილუპა ეგვიპტე? <sup>8</sup>და დააბრუნეს მოსე და აარონი ფარაონთან და უთხრა მათ ფარაონმა: წადით და თაყვანი ეცით თქვენს უფალ ღმერთს. ვინ და ვინ წახვალთ? <sup>9</sup>და თქვა მოსემ: ჩვენი ყრმებითა და მოხუცებითურთ წავალთ, ჩვენი ასულებითა და ვაჟებით, ჩვენი ცხვრითა და ჩვენი ხვასტაგითურთ წავალთ, რადგან უფლის დღესასწაული გვაქვს. <sup>10</sup>და უთხრა მათ ფარაონმა: ისე უფალი იყოს თქვენ-

თან, როგორც მე თქვენ ბავშვებიანად გაგიშვით. იცოდეთ, უბედურებაა თქვენს წინ! <sup>11</sup> ასე არ იქნება. მამაკაცები წადით და თაყვანი ეცით უფალს, რაკი ამას ესწრაფით. და გაყარეს ისინი ფარაონისაგან. <sup>12</sup> და უთხრა უფალმა მოსეს: მოუღერე ხელი ეგვიპტის ქვეყანას კალიის გამოსახმობად და შეესევა კალია ეგვიპტის ქვეყანას და გადაჭამს ქვეყნის მთელ ბალახს, რაც სეტყვას გადაურჩა. <sup>13</sup> და მოუღერა კვერთხი მოსემ ეგვიპტის ქვეყანას და აღინა უფალმა აღმოსავლეთის ქარი ქვეყნად მთელს იმ დღესა და მთელს ღამეს. და დადგა დილა და წამოიღო აღმოსავლეთის ქარმა კალია. <sup>14</sup> და შეესია კალია, ძალზე მძიმე, ეგვიპტის ქვეყანას და მოეფინა ეგვიპტის ყოველ კუთხეს. არც მანამდე და არც მას მერე გამოჩენილა ასეთი კალია. <sup>15</sup> და დაფარა მთელი ქვეყნის თვალი და დაბნელდა ქვეყანა. და გადაჭამა ქვეყნის მთელი ბალახი და ხის მთელი ნაყოფი, რაც სეტყვას გადაურჩა. და არ შერჩა სიმწვანე არც ხეს, არც მინდვრის ბალახს მთელს ეგვიპტის ქვეყანაში. <sup>16</sup> და სასწრაფოდ უხმო ფარაონმა მოსეს და აარონს სათქმელად: ცოდვილი ვარ უფლის, თქვენი ღვთისა და თქვენს წინაშე. <sup>17</sup> და ახლა ერთხელ კიდევ მომიტევეთ ცოდვა და შეევედრეთ უფალს, თქვენს ღმერთს, ოღონდ ამარიდოს ეს სიკვდილი. <sup>18</sup> და გამოვიდა მოსე ფარაონისაგან და შეევედრა უფალს. <sup>19</sup> და შეაქცია უფალმა დასავლეთის ძალზე ძლიერი ქარი და წაიღო კალია და ჩაყარა მეწამულ ზღვაში. ერთი კალიც არ დარჩენილა ეგვიპტის საზღვრებში. <sup>20</sup> და გაასასტიკა უფალმა ფარაონის გული და არ გაუშვა ფარაონმა ისრაელიანები.

### მეცხრე სასჯელი: წყვდიადი

<sup>21</sup> და უთხრა უფალმა მოსეს: მოიღერე ხელი ცისაკენ და იქნება წყვდიადი ეგვიპტის ქვეყანაში და გაზრქელდება წყვდიადი. <sup>22</sup> და მოიღერა მოსემ ხელი ცისაკენ და იყო უკუნი წყვდიადი მთელს ეგვიპტის ქვეყანაში სამ დღეს. <sup>23</sup> და ვერ

ხედავდნენ ერთმანეთს და არავინ ამდგარა თავისი ადგილიდან სამ დღეს. და ისრაელიანებს ჰქონდათ სინათლე თავიანთ საცხოვრებლებში. <sup>24</sup> და უხმო ფარაონმა მოსეს და თქვა: წადით და თაყვანი ეცით უფალს, ოღონდ ცხვარი და ხვასტაგი დარჩეს. ბავშვები კი წავიდნენ თქვენთან ერთად. <sup>25</sup> და თქვა მოსემ: შენც უნდა მოგვცე საკლავები და აღსავლენები და გავუმზადებთ ჩვენს უფალ ღმერთს. <sup>26</sup> და ჩვენი საქონელიც უნდა წამოვიდეს ჩვენთან ერთად. ერთი ჩლიქიც არ უნდა დარჩეს, რადგან მათგან უნდა გამოვარჩიოთ თაყვანის საცემად უფლის, ჩვენი ღვთისათვის. ჩვენ არ ვიცით, როგორ უნდა უნდა ვცეთ თაყვანი უფალს, სანამ იქ არ მივალთ. <sup>27</sup> და გაასასტიკა უფალმა ფარაონის გული და არ ინება მან მათი გაშვება. <sup>28</sup> და უთხრა მას ფარაონმა: წადი ჩემგან! ფრთხილად იყავი, აღარ დაინახო ჩემი სახე, თორემ იმ დღესვე მოკვდები, რა დღესაც ჩემს სახეს დაინახავ. <sup>29</sup> და თქვა მოსემ: სწორს ამბობ: მეტკერ აღარ დავინახავ შენს სახეს.

**გაფრთხილება ეგვიპტელ პირმშოთა გაწყვეტის შესახებ**

**11** <sup>1</sup> და უთხრა უფალმა მოსეს: კიდევ ერთ სასჯელს მოუვლენ ფარაონს და ეგვიპტეს და მერე გაგიშვებთ აქედან ფარაონი. არათუ გაგიშვებთ, საბოლოოდ გაგყრით აქედან. <sup>2</sup> და უბრძანე ხალხს, რომ ინათხოვროს ყოველმა კაცმა თავისი მეზობელი კაცისაგან და ყოველმა ქალმა თავისი მეზობელი ქალისაგან ვერცხლისა და ოქროს ჭურჭელი და სამოსელი. <sup>3</sup> და მადლი აპოვნინა უფალმა ხალხს ეგვიპტელთა თვალში. კაცი მოსეც დიდი იყო ეგვიპტის ქვეყნად ფარაონის მსახურთა თვალში და ხალხის თვალში. <sup>4</sup> და თქვა მოსემ: ასე ამბობს უფალი: შუალამისას გამოვალ შუაგულ ეგვიპტეში. <sup>5</sup> და მოკვდება ყოველი პირმშო ეგვიპტის ქვეყანაში ტახტზე მჯდომარე ფარაონის პირმშოდან პირმშომდე მხევლისა, ხელსაფქვავებს რომ უზის, და ყოველი პირუტყვის პირველმოგებული. <sup>6</sup> და ატყდება დიდი გლოვა მთელს ეგვიპტეში, რომლის მსგავსი არ

ყოფილა და არც იქნება. <sup>7</sup>და ისრაელიანებს — კაციდან პირუტყვამდე — ძალიც არ შეუყფეს, რათა გეცოდინოთ, რომ განაცალკევა უფალმა ერთმანეთისაგან ეგვიპტელები და ისრაელიანები. <sup>8</sup>და ჩამოვლენ ჩემთან ეგ შენი მსახურნი, თაყვანს მცემენ, რომ მითხრან: გადით შენ და მთელი ხალხი, შენს ფეხებთან *მყოფი*. და ამის მერე გავალ. და გავიდა ფარაონისაგან მოსე განრისხებული. <sup>9</sup>და უთხრა უფალმა მოსეს: იმიტომ არ მოგისმენთ ფარაონი, რომ გამრავლდეს ჩემი სასწაულები ეგვიპტის ქვეყანაში. <sup>10</sup>და მოახდინეს ეს სასწაულები მოსემ და აარონმა ფარაონის თვალწინ. და გაუსასტიკა უფალმა გული ფარაონს და არ გაუშვა ისრაელიანები თავისი ქვეყნიდან.

**პასეჟის დღესასწაულის დასაბამი**

**12** <sup>1</sup>და უთხრა უფალმა მოსეს და აარონს ეგვიპტის ქვეყანაში: <sup>2</sup>თვეთა დასაბამი იყოს თქვენთვის ეს თვე. პირველი თვე იყოს იგი თქვენთვის წელიწადის თვეებში. <sup>3</sup>ელაპარაკეთ ისრაელის მთელს საზოგადოებას, რომ უთხრათ: ამ თვის მეათე დღეს მამისსახლზე თითოეულმა თითო კრავი დაიგულოს. ერთი კრავი სახლზე. <sup>4</sup>თუ კრავის შემტემლად მცირეა სახლი, შეუამხანაგდნენ ერთმანეთს კარის მეზობლები და სულადობის მიხედვით აიყვანონ კრავი. ვარაუდი იქონიეთ, ვის რამდენის შეტმა შეუძლია. <sup>5</sup>კრავი საღი, მამალი, წელგამოვლილი იყოლიეთ. ცხვართაგან და თხათაგან აიყვანეთ. <sup>6</sup>ამ თვის მეათოთხმეტე დღემდე შეინახონ და დაკლას ისრაელის მთელმა საზოგადოებამ საღამოხანს. <sup>7</sup>და აიღონ მისი სისხლი და სცხონ იმ სახლის ორთავ წირთხლსა და კარისთავს, სადაც შეტამენ მას. <sup>8</sup>და შეტამონ იმავე ღამეს ხორცი, ცეცხლზე შემწვარი, და ხმიადები, მწარე ბალახთან ერთად შეტამონ. <sup>9</sup>ნუ შეტამთ ნახევრადშემწვარს ან წყალში მოხარშულს. მხოლოდ ცეცხლზე შემწვარი ტამეთ თავფეხიანად და შიგნეულიანად. <sup>10</sup>და დილისათვის ნუ მოირჩინთ. რაც მოგრჩებათ, ცეცხლში დაწვით. <sup>11</sup>და ამგვარად ტამეთ: წელზე სარტყელი გერთყათ, ფეხზე გეცვათ,

ჯოხი გეჭიროთ ხელში. აჩქარებით ჭამეთ. უფლის პასექია ეს.<sup>12</sup> და მოვივლი იმ ღამით ეგვიპტის ქვეყანას და მოვაკვდინებ ყოველ პირმშოს ეგვიპტის ქვეყანაში კაციდან პირუტყვამდე, და განვსჯი ყველა ეგვიპტელ ღმერთს. მე ვარ უფალი.<sup>13</sup> და გქონდეთ ნიშნად სისხლი სახლებზე, სადაც ცხოვრობთ. და დავინახავ სისხლს და გვერდს ავივლით. და არ მოგეკარებათ დამლუპველი სენი, როცა ეგვიპტელთა შემუსრვას დავიწყებ.

<sup>14</sup> და იყოს ეს დღე თქვენთვის სამახსოვროდ და იდღესასწაულეთ იგი უფლის დღესასწაულად თაობიდან თაობაში. საუკუნო წესად გქონდეთ ეს დღესასწაული.<sup>15</sup> შვიდ დღეს ხმიადები ჭამეთ. პირველი დღიდანვე აღიკვეთეთ საფუარი სახლებში, რადგან ვინც კი შეჭამს საფუარიანს პირველი დღიდან მეშვიდე დღემდე, მოიკვეთება ისრაელიდან.<sup>16</sup> და პირველ დღეს წმიდა წვეულება გქონდეს, მეშვიდე დღესაც წმიდა წვეულება გქონდეთ. ამ დღეებში არა საქმე არ გაკეთდეს. რაც თითოეულს საჭმელად გჭირდებათ, მხოლოდ ის გაკეთდეს.<sup>17</sup> და შეინახეთ უფუარობა, რადგან სწორედ ამ დღეს გამოვიყვანე თქვენი მხედრობა ეგვიპტის ქვეყნიდან. და შეინახეთ ეს დღე თაობიდან თაობაში საუკუნო წესად.<sup>18</sup> პირველი თვის მეთოთხმეტე დღის საღამოდან ოცდამეერთე დღის საღამომდე ხმიადები ჭამეთ.<sup>19</sup> შვიდ დღეს არ იპოვებოდეს თქვენს სახლებში საფუარი, რადგან ვინც კი საფუარიანს შეჭამს, მოიკვეთება ისრაელის საზოგადოებიდან, როგორც მდგმური, ისე ქვეყნის მკვიდრი.<sup>20</sup> საფუარიანი არაფერი ჭამოთ. ყველგან, სადაც არ უნდა მოგიხდეთ ცხოვრება, მხოლოდ ხმიადი ჭამეთ.<sup>21</sup> და უხმო მოსემ მთელ ისრაელის უხუცესობას და უთხრა: წამოასხით ცხვარი თქვენ-თქვენი საგვარეულოსათვის და დაკალით პასექი.

<sup>22</sup> და აიღეთ უსუპის კონა და ამოავლეთ სისხლიან თასში, და სცხეთ სისხლი კარისთავსა და ორთავე წირთხლს სისხლიანი თასიდან. დილიდან არავინ გახვიდეთ კარში.<sup>23</sup> და ჩამოივლის უფალი ეგვიპტის შესამუსრავად და დაინახავს სისხლს კარისთავზე და ორთავე წირთხლზე და გვერდს აუვლის უფალი

თქვენს კარს, და არ შეუშვებს დამღუპველს თქვენს სახლებში თქვენს შესამუსრავად. <sup>24</sup> და წესად შეინახეთ ეს თქვენთვის და თქვენი შვილებისათვის, საუკუნოდ. <sup>25</sup> და როცა მიხვალთ იმ ქვეყანაში, რომელსაც უფალი გაძლევთ თავისი სიტყვისამებრ, იქაც შეინახეთ ეს მსახურება. <sup>26</sup> და როცა გეტყვიან თქვენი შვილები, ეს რა მსახურება გაქვთო, <sup>27</sup> უთხარით: პასექის მსხვერპლია-თქო უფლისადმი, რომელმაც გვერდი აუარა ისრაელიანთა სახლებს ეგვიპტეში, როცა მუსრავდა ეგვიპტეს, და იხსნათქო ჩვენი სახლები. და მუხლი მოიყარა ხალხმა და თაყვანი სცა. <sup>28</sup> და წავიდნენ და გააკეთეს ისრაელიანებმა. როგორც ამცნო უფალმა მოსეს და აარონს, ისე გააკეთეს.

### **მეათე სასჯელი: პირმშოთა გაწყვეტა**

<sup>29</sup> და შუალამისას მოაკვდინა უფალმა ყოველი პირმშო ეგვიპტის ქვეყანაში, ტახტზე მჯდომარე ფარაონის პირმშოდან დიღეგში მჯდარი პატიმრის პირმშომდე, და პირუტყვის ყოველი პირველმოგებული. <sup>30</sup> და ადგნენ იმ ღამით ფარაონი, მისი მსახურნი და მთელი ეგვიპტე, და შეიქნა დიდი გლოვა ეგვიპტეში, რადგან არ იყო სახლი, სადაც მკვდარი არ ჰყოლოდათ.

### **ისრაელის გასვლა ეგვიპტიდან**

<sup>31</sup> და უხმო ფარაონმა მოსეს და აარონს ღამითვე და უთხრა: ადექით, გადით ჩემი ხალხიდან შენც და ისრაელიანებიც და წადით, ემსახურეთ უფალს თქვენი სიტყვისამებრ. <sup>32</sup> თქვენი ცხვარიც, თქვენი ხვასტაგიც წაიყვანეთ, როგორც ამბობთ, და წადით და მეც დამლოცეთ. <sup>33</sup> და იძულებული გახდნენ ეგვიპტელები ხალხის გამო, რომ საჩქაროდ გაეშვათ ისინი ქვეყნიდან, რადგან თქვეს, ყველანი დავიხოცებითო. <sup>34</sup> და წაიღო ხალხმა თავისი ცომი, სანამ აფუვდებოდა, სამოსელში გამოხვეული მათი ვარცლები ზურგით. <sup>35</sup> და ისრაელიანები მოსეს სიტყვისამებრ მოიქცნენ: ინათხოვრეს ეგვიპტელთაგან ვერც-



ლისა და ოქროს ჭურჭელი და სამოსელი. <sup>36</sup> და მისცა უფალმა ხალხს მადლი ეგვიპტელთა თვალში და მათაც ათხოვეს. და გაძარცვეს ეგვიპტე.

<sup>37</sup> და დაიდრნენ ისრაელიანები რამსესიდან სუქოთისაკენ, ექვსას ათასამდე ქვეითი კაცი, ბავშვებს გარდა. <sup>38</sup> და უამრავი ჭრელი ხალხიც ამოვიდა მათთან ერთად, ცხვარი და ხვასტაგი, დიდძალი საქონელი. <sup>39</sup> და დააცხვეს ეგვიპტიდან წამოღებულნი ცომისაგან ხმიადის კოკრები, რადგან ვერ მოასწრო ცომმა აფუება, რადგან არ დააყენეს ისინი და გამოყარეს ეგვიპტიდან, ისე, რომ საგზალიც არ გაუმზადებიათ. <sup>40</sup> და ხანი ისრაელიანთა ცხოვრებისა ეგვიპტეში იყო ოთხას ოცდაათი წელი. <sup>41</sup> და გასრულდა ოთხას ოცდაათი წელი და სწორედ ამ დღეს გამოვიდა უფლის მთელი მხედრობა ეგვიპტის ქვეყნიდან.

### პასექის წესი

<sup>42</sup> სიფხიზლის ღამე იყო ეს უფლისათვის, რომ გამოეყვანა ისინი ეგვიპტის ქვეყნიდან. უფლის არის ეს ღამე, სიფხიზლისა ყველა ისრაელიანისათვის მათ თაობებში. <sup>43</sup> და უთხრა უფალმა მოსეს და აარონს: ასეთია პასექის წესი: უცხო თესლმა არ ჭამოს იგი. <sup>44</sup> და ვერცხლით ნაყიდმა ყოველმა მსახურმა, თუ წინადაცვეთილია, ჭამოს იგი. <sup>45</sup> ხიზანმა და ქირისკაცმა არ უნდა ჭამოს იგი.

<sup>46</sup> ერთ ჭერქვეშ უნდა შეიჭამოს. ხორცი სახლიდან გარეთ არ უნდა გაიტანოთ და არც ძვლები არ უნდა დაამტვრიოთ. <sup>47</sup> ისრაელის მთელმა საზოგადოებამ გააკეთოს ეს. <sup>48</sup> და თუ მდგმურობს თქვენთან მდგმური და *მოინდომებს* უფლისათვის პასექის გამზადებას, წინადაცვეთოს მისმა ყოველმა მამრმა და მაშინ შეუდგეს მის გამზადებას და იქნება როგორც ქვეყნის მკვიდრი. და არც ერთმა წინადაუცვეთელმა არ უნდა ჭამოს იგი. <sup>49</sup> ერთი რჯული ექნება მკვიდრსა და მდგმურს, თქვენ შორის რომ მდგმურობს. <sup>50</sup> და გააკეთეს ყველაფერი ისრაელიანებმა. როგორც უფალმა ამცნო მოსეს და აარონს, ისე გააკეთეს. <sup>51</sup> და



სწორედ ამ დღეს გამოიყვანა უფალმა ისრაელიანები ეგვიპტის ქვეყნიდან მხედრობებად.

### უფუარობის დღესასწაული

**13** <sup>1</sup>და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>2</sup>წმიდა ჰყავი ჩემთვის ისრაელიანთა ყოველი პირმშო, საშოს გამღები, კაციდან პირუტყვამდე. ჩემია იგი. <sup>3</sup>და უთხრა მოსემ ხალხს: გახსოვდეთ ეს დღე, რა დღესაც გამოვედით ეგვიპტიდან, მონობის სახლიდან, რადგან მაგარი ხელით გამოვიყვანათ იქიდან უფალმა. საფუარიანი არაფერი შეიტამოს. <sup>4</sup>დღეს გამოდინართ, გაზაფხულის თვეში. <sup>5</sup>როცა მიგიყვანს უფალი ქანაანელთა, და ხეთელთა, და ამორეველთა, და ხივიელთა და იებუსელთა ქვეყანაში, შენთვის რომ აღუთქვა უფალმა შენს მამა-პაპას, ქვეყანაში, სადაც ღვარად მოედინება რძე და თაფლი, ამ თვეს აღასრულე ეს მსახურება. <sup>6</sup>შვიდ დღეს ჭამე ხმიადი, მეშვიდე დღეს უფლის დღესასწაული გქონდეს. <sup>7</sup>ხმიადი შვიდ დღეს უნდა იჭამოს. საფუარი არ გაიჩერო შენს საზღვრებში. <sup>8</sup>და გამოუცხადე ამ დღეს შენს შვილს: ეს იმის გამოა, რაც გამიკეთა უფალმა, როცა ეგვიპტიდან გამოვდიოდი-თქო. <sup>9</sup>და გქონდეს ნიშნად ხელზე და თვალებს შორის სამახსოვროდ, რათა უფლის რჯული იყოს შენს ბაგეებში, რადგან მაგარი ხელით გამოვიყვანა უფალმა ეგვიპტიდან. <sup>10</sup>და ინახავდე ამ წესს მისთვის განკუთვნილ დროს, წლიდან წლამდე.

### პირმშონი

<sup>11</sup>და როცა მიგიყვანს უფალი ქანაანელთა ქვეყანაში, მოგცემს ამ ქვეყანას, როგორც აღგითქვათ უფალმა შენ და შენს მამა-პაპას, <sup>12</sup>მიუძღვენი უფალს საშოს ყოველი გამღები, ყოველი პირველმოგებული ნამატი პირუტყვისა. თუ მამალი იქნა, უფალს შესწირე. <sup>13</sup>და ყოველი პირველმოგებული ვირი

ცხვრით გამოისყიდე. თუ არ გამოისყიდი, კისერი გადაუმტვრე. ყოველი პირმშო შენს შვილთა შორის გამოისყიდე. <sup>14</sup> და როცა შეგეკითხება ხვალ შენი შვილი, ეს რა არისო? უთხარი: მაგარი ხელით გამოგვიყვანა-თქო უფალმა ეგვიპტიდან, მონობის სახლიდან. <sup>15</sup> და როცა იძულებით გვაკავებდა ფარაონი, მოაკვდინა-თქო უფალმა ყოველი პირმშო ეგვიპტის ქვეყანაში, კაცის პირმშოდან პირუტყვის პირმშომდე. ამიტომაც ვწირავ უფალს მსხვერპლად ყოველ პირველმოგებულ მამრს, ხოლო ყოველ ჩემ პირმშოს გამოვისყიდი-თქო. <sup>16</sup> და გქონდეს ხელზე ნიშნად და თვალებს შორის ბეჭდად, რადგან მაგარი ხელით გამოგიყვანა უფალმა ეგვიპტიდან.

### მეწამული ზღვისაკენ

<sup>17</sup> და როცა გაუშვა ფარაონმა ხალხი, არ წაუყვანია იგი უფალს ფილისტიმელთა ქვეყნის გზით, თუმცა მოკლე იყო ეს გზა. რადგან თქვა ღმერთმა: არ ინანოს ხალხს ომის დანახვისას და ეგვიპტეში არ დაბრუნდეს. <sup>18</sup> და შემოატარა ღმერთმა ხალხი უდაბნოს გავლით მეწამული ზღვისაკენ, და დარამულნი ამოვიდნენ ისრაელიანები ეგვიპტიდან.

<sup>19</sup> და თან წაიღო მოსემ იოსების ძვლები, რადგან ფიცით ჰყავდა დაფიცებული იოსებს ისრაელიანები: როცა ღმერთი მოგხედავთ, წაიყოლეთ აქედან ჩემი ძვლებიო. <sup>20</sup> და დაიძრნენ სუქოთიდან და დაიბანაკეს ეთამში, უდაბნოს კიდეზე. <sup>21</sup> და უფალი მიდიოდა მათ წინ, დღისით ღრუბლის სვეტში გზის საჩვენებლად და ღამით ცეცხლის სვეტში გზის გასანათებლად, რათა ევლოთ დღითა და ღამით. <sup>22</sup> არ მიჰფარებია ხალხის თვალს დღისით ღრუბლის სვეტი და ღამით ცეცხლის სვეტი.

**14** <sup>1</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>2</sup> ელაპარაკე ისრაელიანებს, გაემართონ ფი-ფახიროთისაკენ და დაიბანაკონ მიგდოლსა და ზღვას შორის, ბაალ-ცაფონის წინ, მის გასწვრივ, ზღვასთან დაიბანაკეთ. <sup>3</sup> და იფიქრებს ფარაონი

ისრაელიანებზე, გზა აებნათ ამ ქვეყანაში, უდაბნომ მოიმწყვდიაო.

<sup>4</sup> და გავუსასტიკებ გულს ფარაონს და უკან დაგედევნებათ. და გამოჩნდება ჩემი დიდება ფარაონზე და მთელს მის ლაშქარზე და მიხვდებიან ეგვიპტელები, რომ უფალი ვარ. და ასე გააკეთეს.

### მღევარი

<sup>5</sup> და ემცნო ეგვიპტის მეფეს, რომ გაიქცა ხალხი. მდა შეეცვალათ გუნება ფარაონს და მის მსახურთ ამ ხალხზე და თქვეს: ეს რა ვქენით, რომ გავათავისუფლეთ ისრაელიანები ჩვენი სამსახურისაგან? <sup>6</sup> და შეკაზმა ფარაონმა თავისი ეტლი და იახლა თავისი ხალხი. <sup>7</sup> და წაიყვანა ექვსასი რჩეული ეტლი, ეგვიპტის ყველა ეტლი და მათი მეთაურები. <sup>8</sup> და გაუსასტიკა უფალმა გული ფარაონს, ეგვიპტის მეფეს, და დაედევნა იგი ისრაელიანებს. და ისრაელიანები მალალი ხელის შემწეობით გადიოდნენ. <sup>9</sup> და უკან დაედევნენ მათ ეგვიპტელები და მიეწივნენ დაბანაკებულებს ფი-ფახიროთთან, ბაალ-ცაფონის გასწვრივ, ზღვის პირას, ფარაონის ეტლები, მისი მხედრები და მისი ჯარი.

<sup>10</sup> და მოახლოვდა ფარაონი, და გაიხედეს ისრაელიანებმა და, აჰა, მოსდევს მათ მთელი ეგვიპტე. და ძლიერ შეეშინდათ და შეჰბღავლეს ისრაელიანებმა უფალს. <sup>11</sup> და უთხრეს მოსეს: განა ეგვიპტეში ვერ დავიმარხებოდით, უდაბნოში რომ მოგვიყვანე სასიკვდილოდ? ეს რა გვიყავი, რატომ გამოგვიყვანე ეგვიპტიდან? <sup>12</sup> განა ამას არ გეუბნებოდით ეგვიპტეში: დაგვანებე თავი და დავემონებით ეგვიპტელებს, რადგან უდაბნოში სიკვდილს ეგვიპტის მონობაში ყოფნა გვირჩევნია? <sup>13</sup> და უთხრა მოსემ ხალხს: ნუ გეშინიათ, მტკიცედ იდექით და დაინახავთ უფლისაგან ხსნას, რასაც მოიმოქმედებს თქვენთვის. დღეს ხედავთ ეგვიპტელებს, მაგრამ ამიერიდან აღარასოდეს იხილავთ. <sup>14</sup> და უფალი იბრძოლებს თქვენთვის, თქვენ მშვიდად იყავით.

## სასწაული მეწამულ ზღვაზე

<sup>15</sup> და უთხრა უფალმა მოსეს: რას შემომბლავით? უთხარი, ისრაელიანებს, დაიძრან. <sup>16</sup> და შენ აღმართე შენი კვერთხი და ზღვას დააღირე ხელი, შუაზე გაიპობა იგი და მშრალად შევლენ ისრაელიანები შუაგულ ზღვაში. <sup>17</sup> და მე, აჰა, გულის გავუსასტიკებ ეგვიპტელებს და დაგედევნებიან, და გამოჩნდება ჩემი დიდება ფარაონზე, მთელს მის ჯარზე, მის ეტლებზე და მის მხედრებზე. <sup>18</sup> და მიხვდება ეგვიპტე, რომ მე უფალი ვარ, როცა გამოვაჩენ ჩემს დიდებას ფარაონზე, მის ეტლებზე და მის მხედრებზე. <sup>19</sup> და დაიძრა ისრაელის ბანაკის წინ მავალი ღვთის ანგელოზი და უკან გაჰყვა მათ. და დაიძრა ღრუბლის სვეტი მათ წინიდან და უკან შეუდგა მათ. <sup>20</sup> და შევიდა ეგვიპტელთა და ისრაელის ბანაკებს შორის და იყო ღრუბლად და წყვდიადად ეგვიპტელთათვის და ისრაელს ღამეს უნათებდა. და არ მიახლოვებიან ერთმანეთს მთელი ღამე. <sup>21</sup> და დააღირა მოსემ ხელი ზღვას და მთელი ღამე მიდენიდა უფალი ზღვას აღმოსავლეთის ძლიერი ქარით. და ხმელეთად იქცა ზღვა და გაიპო წყალი. <sup>22</sup> და მშრალად შევიდნენ ისრაელიანები შუაგულ ზღვაში, და წყალი კედლად ედგათ მარჯვნივ და მარცხნივ. <sup>23</sup> და დაედევნენ ეგვიპტელები და შევიდნენ მათ კვალზე ფარაონი, მისი ცხენები, მისი ეტლები და მისი მხედრები შუაგულ ზღვაში. <sup>24</sup> და გადმოხედა დილის სახმილავზე უფალმა ცეცხლისა და ღრუბლის სვეტიდან ეგვიპტელთა ბანაკს და არივ-დარია ეგვიპტელთა ბანაკი. <sup>25</sup> და დააძრო ბორბლები მათ ეტლებს და გაუძნელა სვლა. და თქვეს ეგვიპტელებმა: გავერიდოთ ისრაელს, რადგან მისი გულისათვის ებრძვის უფალი ეგვიპტელებს. <sup>26</sup> და უთხრა უფალმა მოსეს: დააღირე ზღვას ხელი და მიიქცევა წყალი ეგვიპტელებისაკენ, მათი ეტლებისა და მხედრობისაკენ. <sup>27</sup> და დააღირა ხელი ზღვას მოსემ და დილამდე მიიქცა ზღვა თავის ადგილას. და გაქცეული ეგვიპტელები მიაწყდნენ ზღვას და ჩაყარა ისინი უფალმა შუაგულ

ზღვაში. <sup>28</sup> და მიიქცა წყალი და დაფარა ეტლები, მხედრები და ფარაონის მთელი ლაშქარი, ზღვაში რომ შეჭყვინნ მათ. ერთიც არ გადარჩენილა. <sup>29</sup> და ისრაელიანები მშრალად გადიოდნენ შუაგულ ზღვაში და წყალი კედლად ედგათ მარჯვნივ და მარცხნივ. <sup>30</sup> და იხსნა უფალმა იმ დღეს ისრაელი ეგვიპტელთაგან და იხილა ისრაელმა დახოცილი ეგვიპტელები ზღვის ნაპირზე. <sup>31</sup> და იხილა ისრაელმა დიდი ხელი, რომელიც აღმართა უფალმა ეგვიპტელებზე. და შეეშინდა ხალხს უფლისა და ირწმუნეს უფალი და მისი მსახური მოსე.

### გამარჯვების სიმღერა

**15** <sup>1</sup> მაშინ უმღერეს მოსემ და ისრაელიანებმა ეს სიმღერა უფალს და ასე თქვეს: ვუმღერი უფალს, რადგან განდიდდა დიდად, ზღვაში გადაყარა ცხენი და მხედარი. <sup>2</sup> ჩემი ძალი და დიდებაა უფალი, მხსნელად მყავდა იგი, ჩემი ღმერთია და მას ვაქებ. ჩემი მამის ღმერთია და მას ვადიდებ. <sup>3</sup> მეომარია უფალი, უფალია მისი სახელი. <sup>4</sup> ფარაონი ეტლები და მისი ჯარი, ზღვაში ჩაყარა, მისი რჩეული მხედართმთავრები ჩაიძირნენ მეწამულ ზღვაში. <sup>5</sup> მორევმა ჩაიხვია ისინი, ქვებივით ჩაეშვინენ ღურღუმელში. <sup>6</sup> შენი მარჯვენა, უფალო, განთქმულია ძალით. შენი მარჯვენა, უფალო, ლეწავს შენს მტრებს. <sup>7</sup> და შენი უსაბომო დიდებით ამხოვ შენს წინააღმდეგომ, გზავნი შენს რისხვას და ჩალასავით გადაბუგავ მათ. <sup>8</sup> და შენი ნესტოების ქარით აზვირთდნენ წყლები, კედლად აღიმართნენ ზვირთები, შენივითა მორევი შუაგულ ზღვაში. <sup>9</sup> თქვა მტერმა: დავედევნები, მივეწევი, გავიყოფ ნადავლს, ჯავრს ვიყრი მათზე, მახვილს ვიშიშვლებ და მუსრს გაავლებს მათ ჩემი ხელი. <sup>10</sup> სული შეუბერე და ზღვამ დაფარა ისინი. ტყვიასავით ჩაიძირნენ ბობოქარ წყლებში. <sup>11</sup> ვინ არს შენი მსგავსი, უფალო, ღმერთთა შორის? ვინ არის, შენს მსგავსად რომ იყოს ძლიერი სიწმიდით, ქებათა ღირსი, სასწაულმოქმედი? <sup>12</sup> მოიღერე მარჯვენა და მიწამ ჩალაპა ისინი.

<sup>13</sup> ატარე შენი მადლით ეს ხალხი და გამოიხსენი, მიიყვანე შენი ძლიერებით შენი სიწმიდის სამკვიდრებელში. <sup>14</sup> გაიგონეს ხალხებმა და შეძრწუნდნენ, აცახცახდნენ ფელაშეთის მკვიდრნი. <sup>15</sup> მაშინ შეშფოთდნენ ედომის მთავრები, მოაბის ბელადები შეიპყრო შიშმა, დაღონდნენ ქანაანის მკვიდრნი. <sup>16</sup> დაეცათ თავბარი შენი ძლიერი მკლავისაგან. ქვასავით იდუმონ ვიდრე ჩაივლიდეს, უფალო, შენი ერი; ვიდრე ჩაივლიდეს ეს ხალხი, შენ რომ დაიხსენი. <sup>17</sup> შეიყვანე და დააფუძნე იგი შენს სამკვიდრო მთაზე, იმ ადგილას, შენს დასავანებლად რომ შექმენი, უფალო! იმ საწმიდარში, შენი ხელით რომ დაამყარე, მეუფევ!

<sup>18</sup> იმეფებს უფალი უკუნითი უკუნისამდე! <sup>19</sup> როცა შევიდნენ ზღვაში ფარაონის ცხენები, მისი ეტლები და მხედრები, ზღვის წყლები მიაქცია მათზე უფალმა და ისრაელიანები მშრალად გავიდნენ ზღვაში. <sup>20</sup> და აიღო ხალში დაფდაფი მირიამ წინასწარმეტყველმა, აარონის დამ, და მიჰყვნენ მას დედაკაცები დაფდაფებით და დააბეს ფერხული. <sup>21</sup> და შეუძახა მათ მირიამმა: უმღერეთ უფალს, რადგან დიდად განდიდდა იგი. ცხენი და მის მხედარი ჩაყარა ზღვაში.

### დრტვინვა უწყლობის გამო

<sup>22</sup> და დაძრა მოსემ ისრაელი მეწამული ზღვიდან და გავიდნენ შურის უდაბნოში. და იარეს სამ დღეს უდაბნოში და ვერ იპოვეს წყალი. <sup>23</sup> და მივიდნენ მარას, მაგრამ მარაში წყალი ვერ დალიეს, მწარე იყო. ამიტომაც ეწოდება სახელად მარა\*. <sup>24</sup> და შესჩივლა ხალხმა მოსეს და უთხრა: რა დავლიოთ? <sup>25</sup> და შეჰლაღადა მოსემ უფალს და დაანახა მას უფალმა მორი. და ჩააგდო წყალში და გამტკნარდა წყალი. იქ დაუდგინა უფალმა ხალხს წესი და სამართალი და იქ გამოსცადა იგი. <sup>26</sup> და თქვა: თუ შეისმენ უფლის, შენი ღვთის ხმას და სწორად მოიქცევი მის თვალში, და ყურადიღებ მის მცნებებს და შეინახავ ყველა მის

\* „მწარე“.

წესს, არ შეგყრი არც ერთ სენს, ეგვიპტეს რომ შეგყარე, რადგან მე ვარ უფალი, შენი გამკურნებელი.<sup>27</sup> და მივიდნენ ელიმში. და იქ იყო თორმეტი წყაროსთვალის და სამოცდაათი ფინიკის ხე. და დაიბანაკეს იქ, წყლებთან.

## მანანის ცვენა

**16** <sup>1</sup>და დაიძრნენ ელიმით და ეგვიპტიდან გამოსვლის მეორე თვის მეთხუთმეტე დღეს მივიდა ისრაელის მთელი საზოგადოება სინის უდაბნოში, რომელიც ელიმსა და სინაის მთას შორის მდებარეობს.<sup>2</sup> და შესჩივლა ისრაელიანთა მთელმა საზოგადოებამ მოსეს და აარონს უდაბნოში.<sup>3</sup> და უთხრეს მათ ისრაელიანებმა: ნეტავ უფლის ხელით გავმწყდარიყავით ეგვიპტის ქვეყანაში, როცა ხორციით სავსე ქვაბებს ვუსხედით და გაძღომამდე ვჭამდით პურს! მოგვიყვანე ამ უდაბნოში, რომ შიმშილით ამოგვწყვიტო მთელი კრებული!<sup>4</sup> და უთხრა უფალმა მოსეს: აჰა, პურს გაწვიმებთ ციდან, გამოვიდეს ხალხი და ყოველდღე აკრიფოს დღიური სამყოფი, რომ გამოვცადო, მისდევს თუ არა ჩემს რჯულს.<sup>5</sup> და მეექვსე დღეს დაამზადებენ მოტანილს და იმაზე ორჯერ მეტი გამოუვათ, რასაც ყოველდღიურად აგროვებენ.<sup>6</sup> და უთხრეს მოსემ და აარონმა ყველა ისრაელიანს: სალამო ხანს გაიგებთ, რომ უფალმა გამოგიყვანათ ეგვიპტის ქვეყნიდან.<sup>7</sup> და გათენდება და იხილავთ უფლის დიდებას. ისმინა მან თქვენი ჩივილი უფლის მიმართ. ჩვენ ვინა ვართ, ჩვენ რომ შემოგვიჩვიოთ?<sup>8</sup> და თქვა მოსემ: უფალი ხორცს მოგცემთ საჭმელად სალამოთი და პურს — დილით გასაძღომად, რადგან ისმინა უფალმა თქვენი ჩივილი, რომ ჩიოდით. ჩვენ ვინა ვართ? ჩვენ კი არა, უფალს შესჩიოდით.<sup>9</sup> და უთხრა მოსემ აარონს: უთხარი ისრაელიანთა მთელს საზოგადოებას: წარდექით უფლის წინაშე, რადგან ისმინა მან თქვენი ჩივილი.<sup>10</sup> და როცა ელაპარაკებოდა აარონი ისრაელიანთა მთელს საზოგადოებას, გაჰხედეს უდაბნოს და, აჰა,

გამოჩნდა ღრუბელში უფლის დიდება. <sup>11</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>12</sup> ვისმინე ისრაელიანთა ჩივილი. ელაპარაკე მათ, რომ უთხრა: სალამოთი შეჭამთ ხორცს და დილით დაძღვებით პურით, და მიხვდებით, რომ მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი. <sup>13</sup> და სალამოხანს მოფრინდა მწყერი და დაფარა მთელი ბანაკი. და დილით ცვრით იყო მოფენილი მთელი ბანაკი. <sup>14</sup> და აორთქლდა ცვრის ფენა და, აჰა, უდაბნოში რაღაც წვრილი და ხაოიანი, წვრილი, როგორც ჭირხლი მიწაზე. <sup>15</sup> და დაინახეს ისრაელიანებმა და ეუბნებოდნენ ერთმანეთს, ეს რა არისო, რადგან არ იცოდნენ, რა იყო. და უთხრა მათ მოსემ: ეს არის პური, საჭმელად რომ მოგცათ უფალმა. <sup>16</sup> ეს არის, რაც გვამცნო უფალმა: თითოეულმა იმდენი შეაგროვეთ, რამდენიც საჭმელად გჭირდებათ, კაცზე თითო გომერი, სულადობის კვალობაზე. თითოეულმა თქვენ-თქვენს კარავში მყოფთათვის შეაგროვეთ. <sup>17</sup> და ასე მოიქცნენ ისრაელიანები და შეაგროვეს, ვინ ბევრი, ვინ ცოტა. <sup>18</sup> და არწყეს გომერით და არც ბევრის შემგროვებელს აღმოაჩნდა ზედმეტი და არც მცირეს შემგროვებელს დაჰკლებია რამე. თითოეულმა მჭამელის კვალობაზე შეაგროვა. <sup>19</sup> და უთხრა მათ მოსემ: დილისათვის არავინ მოიტოვოს ნარჩენები. <sup>20</sup> და არ დაუჯერეს მოსეს და დილისათვის მოიტოვეს ნარჩენები. და გაუჩნდა მატლი და ამყრაღდა, და გაურისხდა მათ მოსე. <sup>21</sup> და აგროვებდნენ დილაობით, რამდენიც სჭირდებოდათ საჭმელად. და დააცხუნებდა მზე და დნებოდა. <sup>22</sup> და მეექვსე დღეს ორჯერ მეტი შეაგროვეს პური, ორი გომერი თითოზე. და მივიდნენ მოსესთან საზოგადოების თავკაცები და შეატყობინეს.

<sup>23</sup> და უთხრა მათ: ეს არის, რაც თქვა უფალმა: ხვალ უქმეა, უფლის წმიდა შაბათი. რის გამოცხოხასაც აპირებთ, გამოაცხვეთ და რის მოხარშვასაც აპირებთ, მოხარშეთ. და ყველაფერი, რაც მოგრჩებათ, გადადეთ დილისათვის შესანახად. <sup>24</sup> და გადადეს დილამდე, როგორც ბრძანა მოსემ და არ ამყრალებულა და არც მატლი გასჩენია. <sup>25</sup> და თქვა მოსემ: დღეს ჭა-



მეთ, რადგან დღეს უფლის შაბათია. ვერაფერს იპოვით დღეს ველზე. <sup>26</sup> ექვს დღეს აგროვით იგი, მეშვიდე დღეს კი შაბათია, არაფერი იქნება ამ დღეს. <sup>27</sup> და გავიდნენ მეშვიდე დღეს ზოგიერთები შესაგროვებლად და ვერაფერი იპოვეს. <sup>28</sup> და უთხრა უფალმა მოსეს: როდემდის უნდა არღვევდეთ ჩემს მცნებებს და ჩემს რჯულს? <sup>29</sup> იცოდეთ, შაბათი მოგცათ თქვენ უფალმა. ამიტომაც მოგცათ მან მეექვსე დღეს ორი დღის სამყოფი პური. თითოეული დარჩით თქვენს ადგილზე, არავინ გავიდეს თავისი სამყოფელიდან მეშვიდე დღეს. <sup>30</sup> და უქმობდა ხალხი მეშვიდე დღეს. <sup>31</sup> და დაარქვა მას ისრაელის სახლმა სახელად მანანა: ქინძის თესლის ოდენა იყო, თეთრი, თაფლიანი პურის გემო ჰქონდა. <sup>32</sup> და თქვა მოსემ: ეს არის, რაც გვამცნო უფალმა: აავსე მანანით გომერი შესანახად თაობიდან თაობაში, რათა იხილონ პური, რომელსაც გაჭმევდით უდაბნოში, როცა ეგვიპტის ქვეყნიდან გამოგიყვანეთ. <sup>33</sup> და უთხრა მოსემ აარონს: აიღე ერთი ბადია და ჩადე შიგ მანანით სავსე გომერი, და დადგი უფლის წინაშე თქვენს თაობებში შესანახად. <sup>34</sup> როგორც ამცნო უფალმა მოსეს, დადგა აარონმა იგი ღვთის კიდობნის წინ შესანახად. <sup>35</sup> და ჭამდნენ ისრაელიანები მანანას ორმოცი წელი, ვიდრე არ მიაღწიეს დასახლებულ ქვეყანას. მანანას ჭამდნენ, ვიდრე ქანაანის ქვეყნის საზღვარს არ მიაღწიეს. <sup>36</sup> და გომერი ეფას მეათედია.

## კლდიდან წყლის გადმოჩქეფება

**17** <sup>1</sup> და დაიძრა ისრაელის მთელი საზოგადოება სინის უდაბნოდან სამგზავროდ, უფლის ბრძანებისამებრ, და დაიბანაკეს რეფიდიმში, და არ იყო წყალი სასმელად ხალხისათვის. <sup>2</sup> და ედავებოდა ხალხი მოსეს და ეუბნებოდა: მოგვეცით სასმელი წყალი! და უთხრა მათ მოსემ: რატომ მედავებით, რატომ ცდით უფალს? <sup>3</sup> და სწყუროდა იქ ხალხს წყალი და უჩიოდა ხალხი მოსეს და ამბობდა: რისთვის ამოგიყვანე ეგვიპ-

ტიდან? წყურვილით რომ დაგეხოცეთ ჩვენ, ჩვენ შვილები და ჩვენი საქონელი? <sup>4</sup> და შეჰლაღადა მოსემ უფალს: რა ვუყო ამ ხალხს? ცოტაც და ჩამქოლავენ. <sup>5</sup> და უთხრა უფალმა მოსეს: ჩაიარე ხალხის წინ და წაიყოლე ისრაელის უხუცესთაგან. და შენი კვერთხი, რომელსაც სცემდი ნილოსს, ხელში დაიჭირე და წადი. <sup>6</sup> აჰა, ვიდგები შენს წინ იქ, ხორების კლდეზე და დაჰკარი კლდეს და გამოვა წყალი, და დაღევს ხალხი. და გააკეთა ასე მოსემ ისრაელის უხუცესთა თვალწინ. <sup>7</sup> და უწოდა სახელად იმ ადგილს მასა და მერიბა, ისრაელიანთა ცილობის გამო და იმის გამო, რომ უფალი გამოცადეს, როცა თქვეს: არის ჩვენში უფალი თუ არ არის?

### ბრძოლა ყამალეკთან

<sup>8</sup> და მოვიდა ყამალეკი და შეებრძოლა ისრაელს რეფიდიმში. <sup>9</sup> და უთხრა მოსემ იესოს: გამოარჩიე კაცები და გადი ხვალ ყამალეკთან საბრძოლველად. მე ბორცვის თავზე ვიდგები და ღვთის კვერთხი იქნება ჩემს ხელში. <sup>10</sup> და გააკეთა იესომ, როგორც უთხრა მას მოსემ, რომ შეებრძოლებოდა ყამალეკს. და მოსე, აარონი და ხური ბორცვზე ავიდნენ. <sup>11</sup> და როცა ხელს აღმართავდა მოსე, ძღვედა ისრაელი, როცა დაუშვებდა ხელს, ყამალეკი ძღვედა. <sup>12</sup> და დაუძიმდა ხელები მოსეს და მიუტანეს ქვა, და ქვეშ დაუდეს და დაჯდა მასზე. და აარონსა და ხურს მისი ხელები ეჭირათ, ერთს ერთი მხრიდან და მეორეს მეორე მხრიდან. და იყო მტკიცედ მისი ხელები მზის ჩასვლამდე. <sup>13</sup> და ძლია იესომ ყამალეკს და მის ხალხს მახვილით. <sup>14</sup> და უთხრა უფალმა მოსეს: ჩაწერე ეს სამახსოვროდ წიგნში და ჩაუდევი ყურში იესოს, რომ აღვგვი ყამალეკის სახსენებელს ცისქვეშეთიდან. <sup>15</sup> და ააგო მოსემ სამსხვერპლო და უწოდა სახელად აღონაი-ნისი\* <sup>16</sup> და თქვა: რადგან ხელი უფლის ტახტზეა: ომი აქვს უფალს ყამალეკთან თაობიდან თაობაში.

\* „უფალი — ალაში ჩემი“.

**ითრო ისრაელის ბანაკში**

**18** <sup>1</sup>და შეიტყო მიდიანელმა მღვდელმა, ითრომ, მოსეს სიმამრმა, ყველაფერი, რაც გაუკეთა ღმერთმა მოსეს და ისრაელს, თავის ხალხს, როდესაც გამოჰყავდა უფალს ისრაელი ეგვიპტიდან. <sup>2</sup>და წამოიყვანა ითრომ, მოსეს სიმამრმა, ციფორა, მოსეს ცოლი, რომელიც გაშვებული ჰყავდა მოსეს, <sup>3</sup>და მისი ორი ვაჟი, რომელთაგან ერთს ერქვა სახელად გერშომი, რადგან თქვა: მდგმური ვიყავი უცხო ქვეყანაში. <sup>4</sup>და მეორეს სახელად — ელიაზარი, რადგან თქვა: მამაჩემის ღმერთი შემწედ მყავდა და მიხსნა ფარაონის მახვილისაგან. <sup>5</sup>და მივიდა ითრო, მოსეს სიმამრი, მოსეს ცოლითა და მისი შვილებითურთ მოსესთან უდაბნოში, სადაც ბანაკად იდგა იგი ღვთის მთასთან. <sup>6</sup>და უთხრა მოსეს: მე, შენი სიმამრი ითრო, მოვედი შენთან, შენი ცოლითა და მისი ორი ვაჟიშვილითურთ. <sup>7</sup>და მიეგება მოსე თავის სიმამრს, და თაყვანი სცა და გადაკოცნა. და მშვიდობით მოიკითხეს ერთმანეთი და შევიდნენ კარავში. <sup>8</sup>და უამბო მოსემ თავის სიმამრს ყველაფერი, რაც დამართა უფალმა ფარაონს და ეგვიპტელებს ისრაელის გამო, ყველა გასაჭირი, რაც გზაში შეხვდათ და იფარავდა მათ უფალი. <sup>9</sup>და გაიხარა ითრომ ყველა იმ სიკეთით, რაც უფალმა უყო ისრაელს, როცა იხსნა იგი ეგვიპტელთა და ფარაონის ხელიდან. <sup>10</sup>და თქვა ითრომ: კურთხეულია უფალი, რომელმაც გიხსნათ ეგვიპტელთა და ფარაონის ხელიდან, რომელმაც იხსნა ერი ეგვიპტელთა მონობისაგან. <sup>11</sup>ახლა კი ვიცი, რომ ყველა ღმერთზე დიდია უფალი, რადგან იხსნა ხალხი ეგვიპტელთა ხელიდან, როდესაც ზვაობდნენ მასზე. <sup>12</sup>და მიუტანა ითრომ, მოსეს სიმამრმა, ღმერთს აღსავლენი და საკლავები. და მივიდნენ აარონი და ისრაელის მთელი უხუცესობა, რათა ეტამათ პური მოსეს სიმამართან ერთად ღვთის წინაშე.

## მსაჯულთა დანიშვნა

<sup>13</sup> და მეორე დღეს დაჯდა მოსე ხალხის განსასჯელად. და იდგა ხალხი მოსეს წინაშე დილიდან საღამომდე. <sup>14</sup> და დაინახა მოსეს სიმაძრმე ყველაფერი, რასაც უკეთებდა ხალხს და თქვა: რა არის ეს, რომ უკეთებ ხალხს? რატომ ზიხარ მართო და მთელი ხალხი დილიდან საღამომდე ფეხზე დგას შენს წინაშე? <sup>15</sup> და უთხრა მოსემ სიმაძრმე: რადგან ჩემთან მოდის ხალხი ღვთის ნების საკითხავად. <sup>16</sup> როცა რამე საქმე გაუჩნდებათ, ჩემთან მოდიან და მეც განვსჯი მათ სამართალს, და ვუცხადებ ღვთის წესებსა და რჯულს. <sup>17</sup> და უთხრა სიმაძრმე მოსეს: არ არის კარგი, რასაც შენ აკეთებ. <sup>18</sup> გაიტანჯებით შენც და ეს ხალხიც, შენთან რომ არის, რადგან მძიმეა შენთვის ეს საქმე. მართო შენ ვერ აუხვალ მას. <sup>19</sup> ახლა გაიგონე ჩემი სიტყვა. რჩევას მოგცემ და შენთან იქნება ღმერთი. იყავი ხალხის შუამავალი ღმერთთან და წარუდგინე ღმერთს მათი სარჩელი. <sup>20</sup> და განუმარტე მათ წესები და რჯული, და ასწავლე მათ გზა, რითაც უნდა იარონ, და საქმეები, რაც უნდა აკეთონ. <sup>21</sup> და შენ გამონახე მთელ ხალხში მაგარი კაცები, ღვთისმოშიშნი, ანგარების მოძულენი, წრფელი ხალხი, და ათასისთავებად, ასისთავებად და ათისთავებად დაუდგინე ხალხს. <sup>22</sup> და განსაჯონ ხალხი ყოველ დროს. და დიდი საქმეები შენ მოგახსენონ და ყველა წვრილმანი საქმე თავად განსაჯონ. და შეგიმსუბუქდება ტვირთი, როცა გაინაწილებენ შენთან ერთად. <sup>23</sup> თუ ასე გააკეთებ და ღმერთიც მოგცემს დარიგებებს, მაშინ გაუძლებ და ეს ხალხიც მშვიდობით დაბრუნდება თავის ადგილზე. <sup>24</sup> და ისმინა მოსემ თავისი სიმაძრმის ხმა და შეასრულა ყოველი მისი ნათქვამი. <sup>25</sup> და აარჩია მოსემ მაგარი კაცები მთელი ისრაელიდან და დაუდგინა ისინი ხალხს თავკაცებად — ათასისთავებად, ასისთავებად, ორმოცდაათისთავებად და ათისთავებად. <sup>26</sup> და განსჯიდნენ ისინი ხალხს ყოველ დროს. მძიმე საქმეს მოსეს მოახსენებდნენ და ყველა წვრილმან საქმეებს თავად განს-

ჯიდნენ. <sup>27</sup> და გაისტუმრა მოსემ თავისი სიმამრი და ისიც წავიდა თავისთვის თავის ქვეყანაში.

## სინაის მთასთან

**19** <sup>1</sup> ეგვიპტიდან გამოსვლის მესამე თვეს, ამ დღეს მიადგნენ ისრაელიანები სინაის უდაბნოს. <sup>2</sup> და დაიძრნენ რეფიდიმიდან და მიადგნენ სინაის უდაბნოს და დაიბანაკეს უდაბნოში, და მთის გასწვრივ დაბანაკდა ისრაელი. <sup>3</sup> და მოსე ავიდა ღმერთთან და უხმო მას უფალმა მთიდან, უთხრა: ასე უთხარი იაკობის სახლს და გამოუცხადე ისრაელიანებს: <sup>4</sup> თქვენ ნახეთ, რა დავმართე ეგვიპტეს და აგიტაცეთ არწივის ფრთებით და ჩემთან მოგიყვანეთ. <sup>5</sup> ამიერიდან, თუ შეისმენთ ჩემს ხმას და შეინახავთ ჩემს აღთქმას, ჩემი უნჯი იქნებით ყველა ხალხიდან, რადგან ჩემია მთელი ქვეყანა. <sup>6</sup> და თქვენ მღვდელთა სამეფო და წმიდა ერი იქნებით ჩემთვის. აი, სიტყვები, რასაც ეტყვი ისრაელიანებს. <sup>7</sup> და მივიდა მოსე და მოუხმო ხალხის უხუცესობას, და გადასცა მათ ყველა ეს სიტყვა, რანიც უფალმა ელაპარაკა. <sup>8</sup> და ერთხმად მიუგო ხალხმა და თქვა: ყველაფერს შევასრულებთ, რაც ილაპარაკა უფალმა. და წაუღო მოსემ უფალს ხალხის ნათქვამი. <sup>9</sup> და უთხრა უფალმა მოსეს: აჰა, მე მოვალ შენთან ბრძელ ღრუბელში, რათა მოისმინოს ხალხმა ჩემი ლაპარაკი შენთან და შენც სამუდამოდ გერწმუნოს. და გამოუცხადა მოსემ ხალხის ნათქვამი უფალს.

<sup>10</sup> და უთხრა უფალმა მოსეს: წადი ხალხში და განწმიდე ისინი დღეს და ხვალ, და სამოსელი გაირეცხონ. <sup>11</sup> და მზად იყვნენ ზეგისათვის, რადგან ზეგ ჩამოვა უფალი ხალხის თვალწინ სინაის მთაზე. <sup>12</sup> და შემოუწერე საზღვარი ხალხს ირგვლივ და უთხარი: მოერიდეთ მთაზე ასვლას და მის კალთების მიკარებას. ვინც მიეკარება მთას, მოკვდება. <sup>13</sup> ხელი არავინ მიაკაროს მას, თორემ ჩაიქოლება ან შუბით განიგმირება. პირუტყვი იქნება თუ კაცი, ვერ იცოცხლებს. ბუკის დაყვირებაზე ავლენ ისინი მთაზე. <sup>14</sup> და ჩამოვიდა მოსე მთიდან ხალხთან და განწმიდა

ხალხი. და გაირეცხეს მათ სამოსელი.

<sup>15</sup> და უთხრა ხალხს: ზეგისათვის მზად იყავით, დედაკაცს არ მიეკაროთ.

### თეოფანია სინაიზე

<sup>16</sup> და იყო მესამე დღეს, გათენებისას, და იყო გრგვინვა და მებისტეხა, და ზრქელი ღრუბელი ჩამოწვა მთაზე, და გაისმა ბუკის ხმა, ძალზე ძლიერი, და შეძრწუნდა მთელი ხალხი, ვინც ბანაკში იყო. <sup>17</sup> და გამოიყვანა მოსემ ხალხი ბანაკიდან ღვთის შესახვედრად და დადგნენ მთის ძირას. <sup>18</sup> და ბოლავდა მთელი სინაის მთა, რადგან უფალი იყო მასზე ჩამოსული ცეცხლის ალში. როგორც ქურას, ისე ასდიოდა კვამლი, და ძლიერად ირყეოდა მთა. <sup>19</sup> და თანდათან ძლიერდებოდა ბუკის ხმა. ლაპარაკობდა მოსე და ეხმიანებოდა ღმერთი. <sup>20</sup> და ჩამოვიდა უფალი სინაის მთაზე, მთის წვერზე. და მოუხმო უფალმა მოსეს მთის წვერისაკენ, და ავიდა მოსე. <sup>21</sup> და უთხრა უფალმა მოსეს: ჩადი და გააფრთხილე ხალხი, არ მოიჭრას უფლის სახილველად, თორემ დაეცემა ბევრი მათგანი. <sup>22</sup> და მღვდლებიც, რომლებიც მიეახლებიან უფალს, უნდა განიწმიდონ, რომ არ გაწყვიტოს ისინი უფალმა. <sup>23</sup> და უთხრა მოსემ უფალს: ვერ ამოვა ხალხი სინაის მთაზე, რადგან გაგვაფრთხილე, საზღვარი შემოავლე მთას და განწმიდეო იგი. <sup>24</sup> და უთხრა მას უფალმა: ჩადი და ამოდი აარონთან ერთად. და მღვდლები და ხალხი ნუ მოიჭრებიან უფალთან ამოსავლელად, რომ არ გაწყვიტოს ისინი. <sup>25</sup> და ჩავიდა მოსე ხალხთან და ელაპარაკა მათ.

### ათი მცნება

**20** <sup>1</sup> და ილაპარაკა ღმერთმა ყველა ეს სიტყვა სათქმელად: <sup>2</sup> მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, რომელმაც გამოგიყვანეთ ეგვიპტის ქვეყნიდან, მონობის სახლიდან. <sup>3</sup> არ იყოლიო სხვა ღმერთები ჩემს გარდა. <sup>4</sup> არ გაიკეთო კერპები, არც რაიმე ხატი იმისა, რაც არის მაღლა ცაში, რაც არის დაბლა მიწაზე და

რაც არის წყალში, მიწის დაბლა. <sup>5</sup> არ სცე თაყვანი მათ და არ ემსახურო, რადგან მე ვარ უფალი, შენი ღმერთი, შურისმგებელი ღმერთი, მამათა ცოდვის მოძკითხავი შვილთაგან მესამე და მეოთხე თაობაში, ჩემს მოძულეთაგან <sup>6</sup> და წყალობისმყოფელი ათასთათვის, ჩემს მოყვარულთა და ჩემს მცნებათა დამმარხველთათვის. <sup>7</sup> არ ახსენო ფუჭად უფლის, შენი ღმერთის სახელი, რადგან დაუსჯელს არ დასტოვებს უფალი თავისი სახელის ფუჭად მომხსენებელს. <sup>8</sup> გახსოვდეს შაბათი დღე და წმიდა ჰყავი იგი. <sup>9</sup> ექვს დღეს იშრომე და აკეთე ყველა შენი საქმე. <sup>10</sup> და მეშვიდე დღე უფლის, შენი ღმერთის შაბათია. არა საქმე არ აკეთო არც შენ, არც შენმა ვაჟმა, არც შენმა ასულმა, არც შენმა მსახურმა, არც შენმა მხევალმა, არც შენმა პირუტყვმა, არც შენმა მდგმურმა, სახლში რომ გყავს. <sup>11</sup> რადგან ექვს დღეში შექმნა უფალმა ცა და მიწა, ზღვა და ყველაფერი, რაც მასშია, და მეშვიდე დღეს შეისვენა. ამიტომაც აკუროთხა უფალმა შაბათი დღე და წმიდაჰყო იგი. <sup>12</sup> პატივი ეცი შენს მამას და შენს დედას, რათა დღეგრძელი იყო მიწაზე, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი გაძლევს. <sup>13</sup> არა კლა. <sup>14</sup> არ იმრუში, <sup>15</sup> არ იპარო. <sup>16</sup> არ გამოხვიდე ცრუ მოწმედ შენი ახლობლის წინააღმდეგ; <sup>17</sup> არ ინდომო შენი ახლობლის სახლი; არ ინდომო შენი ახლობლის ცოლი, არც მისი მსახური, არც მისი მხევალი, არც მისი ხარი, არც მისი სახედარი, არც არაფერი შენი ახლობლისა. <sup>18</sup> და მთელი ხალხი ხედავდა გრგვინვას და ცეცხლის ალს, და ბუკის ხმას და აკვამლებულ მთას. და დაინახა ხალხმა და შეძრწუნდა და მოშორებით დადგა. <sup>19</sup> და უთხრეს მოსეს: შენ გველაპარაკე და მოგისმენთ, ოღონდ ღმერთი ნუ დაგველაპარაკება, თორემ დავიხოცებით. <sup>20</sup> და უთხრა მოსემ ხალხს: ნუ გეშინიათ, თქვენს გამოსაცდელად მოვიდა ღმერთი, რომ მისი შიში გქონდეთ და არ შესცოდოთ.

<sup>21</sup> და დადგა ხალხი მოშორებით და მოსე მიადგა ნისლს, სადაც ღმერთი იყო.

## კანონები

### სამსხვერპლოს შესახებ

<sup>22</sup> და უთხრა ღმერთმა მოსეს: ასე უთხარი ისრაელიანებს: თქვენ დაინახეთ, რომ გელაპარაკებოდით ციდან.

<sup>23</sup> არ გაიკეთო ვერცხლისა და ოქროს კერპი,

<sup>24</sup> სამსხვერპლო მიწისაგან გამიკეთე და იქ შემომწირე შენი აღსავლენები და სამშვიდობოები, შენი ცხვარი და შენი ხვასტაგი. ყოველ ადგილას, სადაც კი დავთქვამ ჩემი სახელის ხსენებას, მოვალ შენთან და გაკურთხებ.

<sup>25</sup> და თუ ქვის სამსხვერპლოს გამიკეთებ, თლილი ქვისაგან არ ააშენო, რადგან აღმართავ თუ არა შენს კვერს, გაარიოშებ მას.

<sup>26</sup> და ნუ ახვალ საფეხურებით ჩემს სამსხვერპლოზე, რომ არ გამოჩნდეს იქ შენი სიშიშვლე.

### მონების შესახებ

**21** <sup>1</sup> და ესენია განჩინებანი, რომლებიც უნდა დაუდგინო მათ: <sup>2</sup> თუ ებრაელ მონას იყიდი, ექვსი წელი გემსახუროს და მეშვიდე წელს უსასყიდლოდ გათავისუფლდეს. <sup>3</sup> თუ მარტო მოვიდა, მარტო წავიდეს; თუ ცოლიანი იყო, ცოლიც მასთან ერთად წავიდეს. <sup>4</sup> თუ პატრონმა უთხოვა ცოლი და ცოლმა ვაჟები და ასულები უშვა, ცოლიც და მისი შვილებიც პატრონისაა. და თავად მარტო წავიდეს. <sup>5</sup> და თუ მონა იტყვის: მიყვარს ჩემი პატრონი, და ჩემი ცოლი და ჩემი შვილები, არ წავალ თავისუფლად, <sup>6</sup> და მიიყვანოს იგი მისმა პატრონმა ღვთის სამსჯავროზე, და მიიყვანოს იგი კართან ან წირთხლთან, და გაუხვრიტოს მისმა პატრონმა სადგისით ყური და მისი მონა იქნება საუკუნოდ.

<sup>7</sup> და თუ კაცი ვინმე მხევლად გაყიდის თავის ქალიშვილს, არ უნდა წავიდეს იგი, როგორც მონები მიდიან. <sup>8</sup> თუ თვალში არ მოუვიდა პატრონს, რომლის დანიშნულიც არის, თავი უნდა გამოასყიდვინოს. უფლება არა აქვს, უცხო ხალხს მიჰყიდოს იგი,



რადგან პირი უშალა. <sup>9</sup> და თუ თავის ვაჟზე დანიშნავს, ასულთა სამართლის მიხედვით უნდა მოექცეს. <sup>10</sup> თუ სხვა ქალს მოუყვანს მას, საკვები და სამოსელი და სარეცელი არ უნდა წაერთვას. <sup>11</sup> და თუ ამ სამით არ უზრუნველჰყოფს მას, უსასყიდლოდ, ვერცხლის გარეშე წავა.

### მკვლელობის შესახებ

<sup>12</sup> ცემით კაცის მკვლეელი უნდა მოკვდეს. <sup>13</sup> და თუ განზრახვა არ ყოფილა და ღმერთმა შეამთხვია, მე დაგინიშნავ ადგილს, სადაც უნდა შეათაროს თავი.

<sup>14</sup> თუ კაცს ჯავრი სჭირდა და მზაკვრულად მოკლა იგი, ჩემი სამსხვერპლოდან წაიყვანე მოსაკლავად. <sup>15</sup> თავისი მამის და თავისი დედის მცემელი უნდა მოკვდეს. <sup>16</sup> ვინც კაცს მოიპარავს და გაყიდის, ან მის ხელში აღმოჩნდება, უნდა მოკვდეს. <sup>17</sup> თავისი მამის და თავისი დედის შემაგინებელი უნდა მოკვდეს.

### ფიზიკური ზიანი

<sup>18</sup> და თუ კაცები ერთმანეთს წაეკიდნენ, ერთმა მეორეს ქვა ან მუშტი დაჭრა, კაცი გადარჩა, მაგრამ ლოგინად ჩავარდა, <sup>19</sup> მერე თუ ფეხზე წამოდგა და ჯობით გარეთ სიარული შეძლო, მისი მცემელი არ უნდა მოკვდეს, მხოლოდ გაცდენილ დროს აუნაზღაურებს და უმკურნალებს. <sup>20</sup> და თუ კაცი კეტით სცემს თავის მონას ან მხევალს და ის მოკვდება მის ხელში, პასუხი უნდა აგოს.

<sup>21</sup> ოღონდ თუ ერთს ან ორ დღეს გააწია, პასუხი არ მოეთხოვება, რადგან მისი ვერცხლია\* იგი. <sup>22</sup> და თუ კაცები ერთმანეთთან ჩხუბის დროს ორსულ ქალს გაჭკრავენ ხელს და მუცელს მოუწყვეტენ, მაგრამ უბედური შემთხვევა არ იქნება, ჯარიმა გადახდებათ, რამდენსაც ქალის ქმარი დაუნიშნავს და მსაჯულები დაადგენენ. <sup>23</sup> და თუ უბედურება მოხდა, მიეცი სიცოცხ-

\* ე. ი. ვერცხლით ნაყიდი.

ლე სიცოცხლის წილ, <sup>24</sup> თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ, ფეხი ფეხის წილ, <sup>25</sup> დამწვრობა დამწვრობის წილ, ჭრილობა ჭრილობის წილ, ნატკენი ნატკენის წილ. <sup>26</sup> და თუ კაცი თავის მონას ან მხევალს თვალში ჩაარტყამს და გაუფუჭებს, თვალის წილ უნდა გაათავისუფლოს. <sup>27</sup> და თუ მონას ან მხევალს კბილს ჩაუმტვრევს, კბილის წილ უნდა გაათავისუფლოს. <sup>28</sup> და თუ ხარი კაცს ან ქალს ურქენს და მოკლავს, ხარი უნდა ჩაიქოლოს; მისი ხორცი არ იჭმება. ხარის პატრონი უბრალოა. <sup>29</sup> და თუ ხარი გუშინ და გუშინწინაც მორქენალი იყო და პატრონიც გაფრთხილებული ჰყავდათ, მაგრამ არ დააბა და ხარმა მოკლა კაცი ან ქალი, უნდა ჩაიქოლოს და მისი პატრონიც უნდა მოკვდეს.

<sup>30</sup> თუ გამოსასყიდს დაუწესებენ, გაილოს სიცოცხლის გამოსასყიდად, რასაც დაუწესებენ. <sup>31</sup> ან თუ ვაჟს ურქენს ან ქალიშვილს ურქენს, ამ სამართლის მიხედვით მოექცნენ. თუ მონას ურქენს ხარი ან მხევალს, ოცდაათი შეკელი ვერცხლი გადაუხადოს მათ პატრონს და ხარი ჩაქოლონ. <sup>33</sup> და თუ კაცი თავს ახდის ორმოს ან თუ ამოიღებს ორმოს და არ გადახურავს, და შიგ ხარი ან ვირი ჩავარდება, <sup>34</sup> ორმოს პატრონმა უნდა აუნაბლაუროს, ვერცხლი დაუბრუნოს მის პატრონს და მკვდარი მას დარჩება. <sup>35</sup> და თუ ვინმეს ხარი მისი მახლობლის ხარს ურქენს და მოკლავს, გაყიდონ ცოცხალი ხარი და მისი ფასი თანასწორად გაინაწილონ, და მოკლულიც თანასწორად გაინაწილონ. <sup>36</sup> ან თუ ხარი ადრეც მორქინალი იყო და პატრონს დაბმული არ ჰყავდა, ხარის წილი ხარი უნდა უზღოს მკვდარი მას დარჩება.

### პირუტყვის ქურდობა

<sup>37</sup> თუ კაცი ხარს ან ცხვარს მოიპარავს და დაკლავს ან გაყიდის, ხარის წილ ხუთი ხარი და ცხვრის წილ ოთხი ცხვარი უნდა ზღოს.

**22** <sup>1</sup>თუ ქურდს ხვრელის თხრისას წაასწრეს, და სცემეს და მოკვდა, სისხლი არ მოეკითხება მას. <sup>2</sup>თუ მზე ამოვიდა მასზე, სისხლი მასზეა. *მპარავმა* უნდა ზლოს. თუ არაფერი აქვს, ქურდობის გამო უნდა გაიყიდოს იგი. <sup>3</sup>თუ მის ხელში ცოცხლად აღმოჩნდება ნაქურდალი, ხარი იქნება, ვირი თუ ცხვარი, ორმაგად უნდა ზლოს.

### ზარალის ანაზღაურება

<sup>4</sup>თუ კაცი მიუშვებს თავის პირუტყვს და სხვის ყანას ან ვენახს მოაძოვინებს, საკუთარი ყანიდან და საკუთარი ვენახიდან საუკეთესო ნაყოფით უნდა ზლოს.

<sup>5</sup>თუ ცეცხლი გაჩნდება და ძეძვს მოედება, და ზვინი ან პურის ყანა ან მინდორი გადაიწვევება, ხანძრის გამჩენმა უნდა ზლოს. <sup>6</sup>თუ კაცი თავის ახლობელს მისცემს ვერცხლოს ან რაიმე ნივთს შესანახად და ამ კაცის სახლიდან მოიპარავენ, ქურდმა, თუ იპოვეს, ორმაგად უნდა ზლოს. <sup>7</sup>თუ ქურდი ვერ იპოვეს, სახლის პატრონი ღვთის წინაშე უნდა წარდგეს, და დაიფიცოს, რომ ხელი არ უხლია თავისი ქონებისათვის. <sup>8</sup>ყოველგვარ დანაშაულზე, ხარის საქმე იქნება, ვირის, ცხვრისა თუ ტანისამოსის, ყოველ დაკარგულ ნივთზე, რომელზეც ითქმის ეს არისო, ამ ორის საქმე ღვთის სამსჯავრომდე\* უნდა მივიდეს, ვისაც ღვთის სამსჯავრო გაამტყუნებს, მან ორმაგად უნდა უზლოს თავის ახლობელს. <sup>9</sup>თუ კაცი თავის ახლობელს მისცემს ვირს, ხარს, ცხვარს ან რაგინდარა პირუტყვს შესანახად, და მოკვდება ან დაიმტვრევა, ან გატაცებული იქნება, მხილველი კი არ არის, <sup>10</sup>უფლის ფიცი უნდა ითქვას ამ ორს შორის, რომ ხელი არ უხლია თავისი მახლობლის ქონებისათვის, და მისი პატრონი მიიღებს *ფიცს* და ის არაფერს ზღავს. <sup>11</sup>და თუ მოჰპარეს მას, უნდა უზლოს მის პატრონს. <sup>12</sup>თუ მხეცმა დაგლიჯა, მოიტანოს ნამხეცავი და არ ზღავს.

<sup>13</sup>თუ კაცი თავისი ახლობლისაგან პირუტყვს ინათხოვრებს და დაიმტვრევა ან მოკვდება, პატრონი კი მასთან არ იყო, უნდა

\* დედანში: „ღმერთამდე“.

ზღოს. <sup>14</sup> თუ პატრონი მასთან იყო, არ უნდა ზღოს. თუ ქირის კაცია, ქირიდან გამოექვითება.

## ქალწულის გაუპატიურება

<sup>15</sup> და თუ კაცი შეაცდენს ქალწულს, რომელიც დანიშნული არ არის, და დაწვება მასთან, ურვადი უნდა გადაუხადოს ცოლობისათვის.

<sup>16</sup> თუ მისი მამა წინააღმდეგია, რომ მიათხოვოს მას, ქალწულლობის ურვადის საფასური ვერცხლი უნდა მიუწონოს.

## მორალური და რელიგიური კანონები

<sup>17</sup> ჯადოქარი არ აცოცხლო. <sup>18</sup> ყოველი, ვინც პირუტყვთან დაწვება, უნდა მოკვდეს. <sup>19</sup> ვინც უფლის გარდა სხვა ღმერთებს სწირავს მსხვერპლს, უნდა განადგურდეს. <sup>20</sup> მდგმურს ნუ შეავიწროვებ და ნუ დაჩაგრავ, რადგან თქვენც მდგმურები იყავით ეგვიპტელთა ქვეყანაში. <sup>21</sup> ნურც ერთ ქვრივს და ობოლს ნუ დაჩაგრავ. <sup>22</sup> თუ დაჩაგრავ, მე შემომჩივლებენ და შევისმენ მათ ჩივილს. <sup>23</sup> რისხვით ავინთები და მახვილით დაგხოცავთ, და ცოლები დაგიქვრივდებათ და შვილები დაგიობლდებათ. <sup>24</sup> თუ ვინმეს ჩემი ხალხიდან ღარიბ-ღატაკს, შენთან *მყოფს*, ვერცხლს ასესხებ, მევახშესავით ნუ მოექცევი, ვახშს ნუ დაუწესებ. <sup>25</sup> თუ შენი ახლობლისაგან ტანსაცმელს დაიგირავებ, მზის ჩასვლამდე დაუბრუნე. <sup>26</sup> რადგან იგი მისი ერთადერთი შესამოსელია, მისი კანის საფარველია. რაში დაიძინოს? როცა შემომჩივლებს, შევისმენ, რადგან გულმოწყალე ვარ. <sup>27</sup> ღმერთს ნუ შეურაცხყოფ და მთავარს შენს ხალხში ნუ დაწყევლი.

## პირველმოწეული და პირველმოგებული

<sup>28</sup> შენი მწიფე თაველი და შენი დაწურული არ დამიგვიანო. შენს შვილებში პირმშო მე უნდა მომცე. <sup>29</sup> ასე გაკეთე ხარისათ-

ვის და ცხვრისათვის: შვიდ დღეს დედასთან იყოს, მერვე დღეს მე უნდა მომცე. <sup>30</sup> და წმიდა კაცები იყავით ჩემთვის და ველზე დაგდებული ნამხეცავი არ ჭამოთ, ძალღს გადაუგდეთ.

## სამართალი

**23** <sup>1</sup>ცრუ ხმები არ დაყარო, მხარი არ დაუჭირო უკეთურს უსამართლო მოწმეობით.

<sup>2</sup>ნუ იქნები უმრავლესობის მხარეს ბოროტ საქმეში და ნუ გადაიხრები დავის დროს უმრავლესობისაკენ *სამართლის* გასამრუდებლად. <sup>3</sup>და გაჭირვებულის მიმართ ნუ იქნები მიკერძოებული მის დავაში. <sup>4</sup>თუ წააწყდები შენი მტრის დაკარგულ ხარს ან სახედარს, დაუბრუნე პატრონს. <sup>5</sup>თუ დაინახავ შენი მტრის სახედარს, ტვირთის ქვეშ მოყოლილს, ნუ მიატოვებ, გამოსხნაში დაეხმარე.

<sup>6</sup>ნუ გაამრუდებ შენი ღარიბ-ღატაკის სამართალს მის დავაში. <sup>7</sup>ცრუ ბრალდებას ერიდე და უდანაშაულოს და მართალს ნუ მოკლავ, რადგან უკეთურს არ გავამართლებ. <sup>8</sup>და ქრთამს ნუ აიღებ, რადგან ქრთამი აბრმავებს თვალებილულს და ასხვაფერებს მართალთა საქმეებს. <sup>9</sup>და მდგმურს ნუ შეავიწროვებ, თქვენ იცით მდგმურის სული, რადგან მდგმურები იყავით ეგვიპტელთა ქვეყანაში.

## შაბათი

<sup>10</sup>და ექვს წელიწადს თესე მიწა და აიღე მისი მოსავალი. <sup>11</sup>და მეშვიდე წელს არ დაამუშავო, და მიაგდე იგი და ჭამონ შენი ხალხის ღარიბ-ღატაკებმა, და მისი ნარჩენები ჭამოს გარეულმა ცხოველმა. ასევე მოიქეცი შენი ვენახისა და ზეთისხილის მიმართ. <sup>12</sup>ექვს დღეს აკეთე შენი საქმეები და მეშვიდე დღეს იუქმე, რომ შეისვენოს შენმა ხარმა და სახედარმა, სული მოითქვან შენი მხევლის შვილმა და მდგმურმა. <sup>13</sup>და რაც გით-

ხარით, ყველაფერი დაიცავით და სხვა ღმერთების სახელი არ ახსენოთ, არ გაისმას თქვენი ბაგეებიდან.

### დიდი დღესასწაულები

<sup>14</sup>სამჯერ გამიმართე დღესასწაული წელიწადში. <sup>15</sup>უფუარობის დღესასწაული დაიცავი: შვიდ დღეს ჭამე ხმიადი, განკუთვნილ დროს, აბიბის თვეში, როგორც გამცნე, რადგან ამ დროს გამოხვედი ეგვიპტიდან. და ხელცარიელები არ დამენახონ. <sup>16</sup>და იზეიმე დღესასწაული შენი შრომის პირველნაყოფთა მოწვევისა, რაც კი ყანაში დაგიტესავს, და დღესასწაული კრეფისა წლის დამლევს, როცა შეუდგები ყანაში შენი ნამუშავევის აკრეფას. <sup>17</sup>წელიწადში სამჯერ დაენახოს ყოველი შენი მამრი უფალ ღმერთს. <sup>18</sup>არ შესწირო საფუართან ერთად ჩემი საკლავის სისხლი. არ დარჩეს დილამდე ჩემი დღესასწაულის ცხიმი. <sup>19</sup>შენი მიწის პირველმოწეული ნაყოფი მიიტანე უფლის, შენი ღმერთის სახლში. არ მოხარშო თიკანი თავისი დედის რძეში. <sup>20</sup>აჰა, წაგიძღვარებ ანგელოზს, რომ გიფარავდეს გზაში და მიგიყვანოს იმ ადგილას, რომელიც შენთვის გავამზადე.

### აღთქმები და გაფრთხილებანი ქანაანში შესვლისას

<sup>21</sup>იფრთხილე მის წინაშე და ისმინე მისი ხნა, ნუ ეურჩები; არ გაპატიებთ შეცოდებას, რადგან მასშია ჩემი სახელი. <sup>22</sup>თუ შეისმენ ჩემს ხმას და ყველაფერს აღასრულებ, რასაც გეუბნები, მტრად მოვეკიდები შენს მტრებს და წინაღუდგები შენს წინააღმდეგმელთ. <sup>23</sup>როცა წაგიძღვება ჩემი ანგელოზი და მიგიყვანს ამორეველებთან, და ხეთელებთან, და ფერიზელებთან, და ქანაანელებთან, და ხივიელებთან, და იებუსელებთან და მოვსპობ მათ,

<sup>24</sup>თავყანი არა სცე მათ ღმერთებს და არ ემსახურო, და არ აკეთო მათებური საქმეები, არამედ ჩაშალე ისინი და დაღეწე

მათი სვეტები. <sup>25</sup> და ემსახურეთ უფალს, თქვენს ღმერთს, და გიკურთხებით იგი პურსა და წყალს, და განვარიდებ სნეულებას შენი წიალიდან. <sup>26</sup> არ იქნება შენს ქვეყანაში მუცელმომწყდარი და ბერწი, ავავსებ რიცხვს შენი დღეებისას. <sup>27</sup> წინ წაგიმძღვარებ ჩემს შიშისზარს და შევაძრწუნებ ყველა ხალხს, ვისთანაც კი მიხვალ. და ბურგს შევაქცევინებ შენთვის შენს მტრებს. <sup>28</sup> და წინ წაგიმძღვარებ კრაზანებს და აყრიან ისინი ხივიელებს, და ქანაანელებს და ხეთელებს თქვენს წინაშე. <sup>29</sup> არ ავყრი მათ ერთ წელიწადს, რომ არ გაუკაცრიელდეს ქვეყანა და არ მოგეძალონ გარეული ცხოველები. <sup>30</sup> თანდათანობით ავყრი მათ, რომ მოასწრო გამრავლება და დაიმკვიდრო ქვეყანა. <sup>31</sup> და დაგიდებ ზღვარს მეწამული ზღვიდან ფილისტიმელთა ზღვამდე, უდაბნოდან მდინარემდე, როცა ხელში ჩაგაგდებიან ქვეყნის მკვიდრთ და აყრი მათ. <sup>32</sup> ნუ შეეკვრები ნურც მათ და ნურც მათ ღმერთებს. <sup>33</sup> არ უნდა იცხოვრონ მათ შენს ქვეყანაში, რომ ცოდვა არ ჩაადენინონ ჩემს მიმართ, რადგან თუ ემსახურე მათ ღმერთებს, მახეში გაებმები.

## მოსე სინაის მთაზე

**24** <sup>1</sup> და მოსეს უთხრა: ადით უფალთან შენ, აარონი, ნადაბი და აბიჰუ და ისრაელის სამოცდაათი უხუცესი, და შორიდან ეცით თაყვანი. <sup>2</sup> და მხოლოდ მოსე მიუახლოვდეს უფალს და ისინი არ მიუახლოვდნენ. და ხალხი არ ავიდეს მასთან ერთად. <sup>3</sup> და მივიდა მოსე და შეატყობინა ხალხს უფლის ყოველი სიტყვა და ყოველი წესი. და მიუგო ხალხმა ერთხმად და უთხრა: ყველა სიტყვას, რაც თქვა უფალმა, შევასრულებთ. <sup>4</sup> და დაწერა მოსემ უფლის ყოველი სიტყვა. და ადგა დილაადრიანად და აღმართა მთის ძირას სამსხვერპლო და თორმეტი სვეტი ისრაელის თორმეტი შტოსათვის. <sup>5</sup> და გააგზავნა ყმაწვილები ისრაელიანთაგან და აღავლინეს აღსავლენები, და დაუკლეს სამშვიდობო *მსხვერპლად* უფალს ხარები. <sup>6</sup> და აიღო

მოსემ ნახევარი სისხლი და თასებში ჩაასხა და ნახევარი სამსხვერპლოს ასხურა. <sup>7</sup>და აიღო აღთქმის წიგნი და წაიკითხა ხალხის გასაკონად და თქვეს: ყველაფერს, რაც თქვა უფალმა, აღვასრულებთ და შევისმენთ. <sup>8</sup>და აიღო მოსემ სისხლი და დაასხურა ხალხს და თქვა: აჰა, სისხლი აღთქმისა, რომელიც დაგიდოთ უფალმა ყველა ამ სიტყვაზე. <sup>9</sup>და ავიდნენ მოსე და აარონი, ნადაბი და აბიჰუ და ისრაელიანთა სამოცდაათი უხუცესი, <sup>10</sup>და იხილეს ისრაელის ღმერთი და მის ფერხთით იყო რაღაც მსგავსი საფირონის ქვაფენილისა, სუფთა, როგორც თავად ზეცა. <sup>11</sup>და ისრაელიანთა წარჩინებულებზე არ აღუმართავს ხელი. და იხილეს ღმერთი, და ჭამეს და სვეს. <sup>12</sup>და უთხრა უფალმა მოსეს: ამოდი ჩემთან მთაზე და აქ იყავი. და მოგცემ ქვის დაფებს, რჯულსა და მცნებებს, მათ დასამოძღვრად რომ დავწერე. <sup>13</sup>და ადგა მოსე და მისი მსახური იესო, და ავიდა მოსე ღვთის მთაზე. <sup>14</sup>და უხუცესებს უთხრა: დარჩით აქ, ვიდრე თქვენთან მოვბრუნდებოდეთ. და, აჰა, თქვენთან არიან აარონი და ხური. ვისაც რამე საქმე აქვს, მათთან მივიდეს. <sup>15</sup>და ავიდა მოსე მთაზე და დაფარა ღრუბელმა მთა.

<sup>16</sup>და დაივანა უფლის დიდებამ სინაის მთაზე. და ექვს დღეს ეფარა მას ღრუბელი და მეშვიდე დღეს მოუწოდა უფალმა ღრუბლიდან. <sup>17</sup>და გამოჩნდა უფლის დიდება შემტმელი ცეცხლივით ისრაელიანთა თვალწინ. და შევიდა მოსე ღრუბლის შიგნით და ავიდა მთაზე. და იყო მოსე მთაზე ორმოცი დღე და ორმოცი ღამე.

### შემოწირულობანი საწმიდრისათვის

**25** <sup>1</sup>და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>2</sup>ელაპარაკე ისრაელიანებს, რომ აკრიფონ ჩემთვის შესაწირავი. ყველასაგან, ვისაც გული უთქვამს, აკრიფეთ შესაწირავი. <sup>3</sup>და ეს არის შესაწირავი, რომელიც უნდა აკრიფონ მათგან: ოქრო, ვერცხლი და ბრინჯაო; <sup>4</sup>ლურჯი, ძოწეული და ჭიაფერი მატ-



ყლი, სელი და თხისური; <sup>5</sup> და დათრიმლული ცხვრის ტყავები და თახაშის ტყავები და ურთხელის ძელები; <sup>6</sup> ზეთი გასანათებლად და სურნელებანი ცხების ზეთისათვის და სურნელოვანი საკმევლისათვის; <sup>7</sup> სარდიონის თვლები და ეფოდისა და სამკერდულის მოსაოჭავი თვლები. <sup>8</sup> და გამიკეთონ საწმიდარი, რომ დავივანო მათ შორის. <sup>9</sup> როგორც მე გიჩვენებთ სავანის სახეს და მთელი მისი მოწყობილობის სახეს, იმგვარად გააკეთეთ ყველაფერი.

### მოწმობის კიდობანი

<sup>10</sup> და გააკეთონ კიდობანი ურთხელისაგან. სიგრძე ორნახევარი წყრთა, სიგანე ერთნახევარი წყრთა და სიმაღლე ერთნახევარი წყრთა. <sup>11</sup> და მოჭედე ხალასი ოქროთი, შიგნიდან და გარედან მოჭედე იგი და ოქროს გვირგვინი გაუკეთე ირგვლივ. <sup>12</sup> და ჩამოასხი ოთხი ოქროს რგოლი და ოთხსავე კუთხეში მიუმაგრე. ორი რგოლი ერთ მხარეს, ორი რგოლი მეორე მხარეს. <sup>13</sup> და გააკეთე კეტები ურთხელისაგან და ოქროთი მოჭედე. <sup>14</sup> და გაუყარე კეტები რგოლებში კიდობნის გვერდების გასწვრივ, რომ კიდობნის ტარება შეიძლებოდეს. <sup>15</sup> კიდობნის რგოლებში იყოს გაყრილი კეტები, არ გამოაძროთ მათგან. <sup>16</sup> და ჩადე კიდობანში მოწმობა, რომელსაც გაძღვე. <sup>17</sup> და გაუკეთე სარქველი ხალასი ოქროსაგან. ორნახევარი წყრთა იყოს სიგრძე, ერთნახევარი წყრთა — სიგანე.

<sup>18</sup> და გააკეთე ოქროსაგან ორი ქერუბიმი და დაამაგრე სარქველის ორსავე კიდეზე. <sup>19</sup> და ერთ ქერუბიმი ერთს კიდეზე დაამაგრე, მეორე ქერუბიმი — მეორე კიდეზე. სარქველს ზემოთ ორსავე კიდეზე დაამაგრე ქერუბიმები. <sup>20</sup> და ქერუბიმებს ფრთები ჰქონდეთ გადმოშლილი ზემოდან და ფრთებით ფარავდნენ სარქველს. და პირი ერთმანეთისაკენ ჰქონდეთ, სარქველისაკენ ჰქონდეთ პირი ქერუბიმებს. <sup>21</sup> და დაახურე სარქველი კიდობანს ზემოდან და ჩადე კიდობანში მოწმობა, რო-

მელსაც გაძღვევ. <sup>22</sup> და შეგხვდები მანდ და გეტყვი სარქველს ზემოდან, ორ ქერუბიმს შორის, მოწმობის კიდობანზე რომ არიან, ყველაფერს, რაც უნდა გამცნო შენ ისრაელიანებისათვის.

### ტაბლა საზედაშეო პურებისათვის

<sup>23</sup> და გააკეთე ტაბლა ურთხელისაგან: სიგრძე ორი წყრთა იყოს, სიგანე — ერთი წყრთა, სიმაღლე — ერთნახევარი წყრთა. <sup>24</sup> და მოჭედე ხალასი ოქროთი და გაუკეთე ოქროს გვირგვინი ირგვლივ. <sup>25</sup> და გაუკეთე ერთი მტკაველი სიმაღლის კედელი და გაუკეთე კედელს ოქროს გვირგვინი ირგვლივ. <sup>26</sup> და გაუკეთე ოთხი ოქროს რგოლი და მიუმაგრე რგოლები ოთხსავე კიდეზე, ოთხსავე ფეხთან.

<sup>27</sup> კედელს უნდა გასდევდეს რგოლები კეტების გასაყრელად, რომ ტაბლის ტარება შეიძლებოდეს. <sup>28</sup> და გააკეთე კეტები ურთხელისაგან და მოჭედე ოქროთი. და ატარონ მათი მეშვეობით ტაბლა. <sup>29</sup> და გააკეთე მისი თეფშები და მისი კოვზები, და მისი თასები და მისი სამწდოეობი, რომლებითაც დაიღვრება საღვრელი. ხალასი ოქროსაგან გააკეთე ისინი. <sup>30</sup> და დაწყვე ტაბლაზე საწინაშეო პური ჩემს წინაშე, მუდმივად.

### სასანთლე

<sup>31</sup> და გააკეთე სასანთლეები. ხალასი ოქროსაგან ნაკვეთი იყოს სასანთლე. მისი ღერო და მისი რტოები, და მისი ჯამები, და მისი კვირტები, და მისი ყვავილები მისგანვე უნდა იყოს. <sup>32</sup> და ექვსი რტო უნდა გამოდიოდეს მისი ღეროდან: სასანთლის სამი რტო ერთი მხრიდან, სასანთლის სამი რტო მეორე მხრიდან.

<sup>33</sup> სამი ნუშისებრი ჯამი ერთ რტოზე, კვირტი და ყვავილი. და სამი ნუშისებრი ჯამი მეორე რტოზე, კვირტი და ყვავილი. ასე ექვსსავე რტოზე, რომლებიც სასანთლიდან გამოდიან. <sup>34</sup> და

სასანთლებზე ოთხი ნუშისებრი ჯამი თავ-თავისი კვირტებითა და ყვავილებით. <sup>35</sup> ერთი კვირტი ორ რტოს ქვეშ, ერთი კვირტი კიდევ ორ რტოს ქვეშ, და ერთი კვირტიც კიდევ ორ რტოს ქვეშ — ექვსსავე რტოს ქვეშ, რომლებიც სასანთლის ღეროდან გამოდიან. <sup>36</sup> მათი კვირტები და მათი რტოები მისგანვე უნდა იყოს, ერთიანად ნაკვეთი იყოს, მთლიანი ხალასი ოქროსაგან იყოს. <sup>37</sup> და გააკეთე მისი შვიდი ლამპარი, რომ აანთონ მისი ლამპრები, რომ გაანათონ მისი წინა მხარე. <sup>38</sup> და მისი მაშები და მისი აქანდაბები ხალასი ოქროსაგან. <sup>39</sup> ერთი ქანქარი ხალასი ოქროსაგან გააკეთე იგი და მთელი ეს ტურტელი. <sup>40</sup> და იცოდე, იმ ნიშუმის მიხედვით გააკეთე ისინი, როგორც მთაზე იხილე.

## სავანე

**26** <sup>1</sup> და სავანე გააკეთე გრებილი სელის და ლურჯი და ძოწეული, და ჭიაფერი ქსოვილის ათი ნაჭრისაგან. ქერუბიმები ამოქარგე მათზე. <sup>2</sup> თითოეული ნაჭრის სიგრძე ოცდარვა წყრთა იყოს, სიგანე — ოთხი წყრთა. ყველა ნაჭერი ერთი ზომისა იყოს. <sup>3</sup> ხუთი ნაჭერი ერთმანეთს გადაეკეროს, სხვა ხუთი ნაჭერი — ერთმანეთს. <sup>4</sup> და გაუკეთე ლურჯი კილოები ერთ ნაჭერს კიდებზე, ბოლოში, გადანაკერთან. და ასევე გააკეთე ბოლო ნაჭრის კიდებზე მეორე გადანაკერთან.

<sup>5</sup> ორმოცდაათი კილო გაუკეთე ერთ ნაჭერს; ორმოცდაათი კილო გაუკეთე ნაჭერს ბოლოში, მეორე გადანაკერთან; კილოები მიესადაგონ ერთმანეთს.

<sup>6</sup> და გააკეთე ორმოცდაათი ოქროს კაუჭი და შეკარი კაუჭებით ნაჭრები და სავანე მთლიანი იქნება. <sup>7</sup> და გააკეთე თხისურის ფარდები კარვისათვის სავანის გადასახურავად. თერთმეტი ასეთი ფარდა გააკეთე. <sup>8</sup> ერთი ფარდის სიგრძე ოცდაათი წყრთა, სიგანე — ოთხი წყრთა. თერთმეტივე ფარდა ერთი ზომისა იყოს. <sup>9</sup> და შეკარი ხუთი ფარდა ცალკე და ექვსი ფარდა

ცალკე. და ორად მოკეცე მეექვსე ფარდა კარვის წინა მხარეს. <sup>10</sup> და გაუკეთე ორმოცდაათი კილო ბოლო ფარდას კიდეზე, გადანაკერთან, და ორმოცდაათი კილო მეორე ფარდას კიდეზე, გადანაკერთან. <sup>11</sup> და გააკეთე ორმოცდაათი სპილენძის კაუჭი და გაუყარე კილოებს კაუჭები, და შეკარი კარავი და ერთიანი იქნება. <sup>12</sup> კარავს მორჩენილი ფარდის ნახევარი სავანის უკანა მხარეს იყოს ჩამოშვებული.

<sup>13</sup> სიგრძეზე მორჩენილი ფარდის ნაწილი სავანის ორივე მხარეს თითო წყრთაზე იყოს ჩამოშვებული, აქეთ და იქით მის დასაფარავად. <sup>14</sup> და გააკეთე კარვის გადასაფარი დათრიმ-ლული ცხვრის ტყვავისაგან და გადასაფარი თახაშის ტყავისაგან ზემოდან. <sup>15</sup> და გააკეთე ბოძები სავანისათვის ურთხელის სწორი ძელებისაგან. <sup>16</sup> ათი წყრთა იყოს ბოძის სიგრძე, ერთნახევარი წყრთა — სიგანე. <sup>17</sup> ორ-ორი რიკი ჰქონდეს თითოეულ ბოძს, ერთმანეთს მისადაგებული. ასე გაუკეთე კარვის ყოველ ბოძს. <sup>18</sup> და გააკეთე ბოძები სავანისათვის: ოცი ბოძი სამხრეთის მხარეს. <sup>19</sup> და ორმოცი ვერცხლის ფეხი გაუკეთე ქვეშ ოცივე ბოძს. ორ-ორი ფეხი ერთი ბოძის ქვეშ მისი ორი რიკისათვის და ორი ფეხი მეორე ბოძის ქვეშ მისი ორი რიკისათვის. <sup>20</sup> და სავანის მეორე გვერდისათვის ჩრდილოეთის მხარეს ოცი ბოძი <sup>21</sup> და მათი ორმოცი ვერცხლის ფეხი; ორი ფეხი ერთი ბოძის ქვეშ, ორი ფეხი მეორე ბოძის ქვეშ. <sup>22</sup> სავანის უკანა მხარეს, დასავლეთით, ექვსი ბოძი გააკეთე. <sup>23</sup> და ორი ბოძი გააკეთე სავანის კუთხეებისათვის უკანა მხრისაკენ. <sup>24</sup> და იყოს შეტყუებული ქვემოთ და ზემოთ ერთი რგოლით, ორივესათვის ასე იყოს. ორივე კუთხისათვის იყოს. <sup>25</sup> და იყოს რვა ბოძი და თექვსმეტი ვერცხლის ფეხი, ორ-ორი ფეხი თითოეული ბოძისათვის.

<sup>26</sup> და გააკეთე ლარტყები ურთხელისაგან, ხუთი — სავანის ერთი მხარის ბოძებისათვის, <sup>27</sup> და ხუთი ლარტყი სავანის მეორე მხარის ბოძებისათვის, და ხუთი ლარტყი სავანის უკანა მხარის ბოძებისათვის, დასავლეთით. <sup>28</sup> და შუათანა ლარტყი

ერთი კიდიდან მეორე კიდემდე უნდა გასდევდეს ბოძებს.

<sup>29</sup>და ბოძები ოქროთი მოჭედე მისი რგოლები, ლარტყების გასაყრელები, ოქროსი გააკეთე, ლარტყებიც ოქროთი მოჭედე. <sup>30</sup>და აღმართე სავანე იმ წესით, როგორც მთაზე იხილე. <sup>31</sup>და გააკეთე კრეტსაბმელი ლურჯი, ძოწისფერი და ჭიაფერი ქსოვილისაგან და გრეხილი სელისაგან. ქერუბიმები ამოქარგე მათზე. <sup>32</sup>და ჩამოკიდე ისინი ურთხელის ოქროთი მოჭედილ ოთხ სვეტზე, და მათი კაუჭები ოქროსი იყოს, ვერცხლის ოთხ ფეხზე იდგას. <sup>33</sup>და ჩამოკიდე კრეტსაბმელი ბოძებზე და შეიტანე იქ, კრეტსაბმელის შიგნით, მოწმობის კიდობანი და გაგიმიჯნავთ კრეტსაბმელი წმიდას წმიდათა წმიდისაგან. <sup>34</sup>და დაახურე სარქველი მოწმობის კიდობანს წმიდათა წმიდაში.

<sup>35</sup>და დადგი ტაბლა კრეტსაბმელს გარეთ და ლამპარი ტაბლის პირდაპირ სავანის გვერდით, სამხრეთის მხარეს. და ტაბლა დადგი ჩრდილოეთის მხარეს.

<sup>36</sup>და გაუკეთე კარვის შესასვლელს ჩამოსაფარებელი ლურჯი, ძოწისფერი და ჭიაფერი ქსოვილისაგან და გრეხილი, სელისაგან, მქარგველის ნაკეთობით.

<sup>37</sup>და გააკეთე ჩამოსაფარებლისათვის ხუთი სვეტი ურთხელისაგან და ოქროთი მოჭედე კაუჭები ოქროსი იყოს. ხუთი სპილენძის ფეხი ჩამოასხი მათთვის.

## აღსავლენის სამსხვერპლო

**27** <sup>1</sup>და გააკეთე სამსხვერპლო ურთხელისაგან. ხუთი წყრთა ჰქონდეს სიგრძე, ხუთი წყრთა — სიგანე. ოთხკუთხა იყოს სამსხვერპლო და სამი წყრთა ჰქონდეს სიმაღლე. <sup>2</sup>გაუკეთე რქები ოთხსავე კუთხეში. კუთხეებიდან გამოდიოდეს რქები. სპილენძით მოჭედე ისინი. <sup>3</sup>და გააკეთე ქვაბები ნაცრისათვის, და ნიჩბები, და ჩანგლები და აქანდაზები. მისი ყველა იარაღი სპილენძისაგან გააკეთე. <sup>4</sup>და გაუკეთე მას ბადისებური ნაკეთობის ცხაური სპილენძისაგან, და გაუკეთე ბა-

დეს სპილენძის ოთხი რგოლი ოთხსავე კუთხეში. <sup>5</sup> და დადგი იგი სამსხვერპლოს ჩარჩოს ქვეშ დაბლიდან და იქნება ბადე სამსხვერპლოს შუამდე. <sup>6</sup> და გაუკეთე კეტები სამსხვერპლოს, ურთხელის კეტები, და სპილენძით მოჭედე. <sup>7</sup> და გაუყარე კეტები რგოლებში და იქნება კეტები სამსხვერპლოს ორივე მხარეს მის სატარებლად. <sup>8</sup> ღრუ გააკეთე იგი ფიცრებისაგან. როგორც მთაზე გეჩვენა შენ, ისე გააკეთონ.

### სავანის ეზო

<sup>9</sup> და მოაწყვე სავანის ეზო. სამხრეთ მხარეს ფარდები ჰქონდეს ეზოს გრებილი სელისაგან. ასი წყრთა ჰქონდეს სიგრძე ერთ მხარეს. <sup>10</sup> და ოცი სვეტი და ოცი მისი ფეხი სპილენძისა და სვეტების კაუჭები და მათი სამაგრები ვერცხლისა.

და ასევე ჩრდილოეთ მხარეს მთელს სიგრძეზე ასი წყრთა სიგრძის ფარდა და ოცი სვეტი, და ოცი სპილენძის ფეხი, და სვეტების კავები და მათი სამაგრები ვერცხლისა. <sup>12</sup> და ეზოს სიგანეზე დასავლეთ მხარეს ფარდები ორმოცდაათი წყრთა და მათი ათი სვეტი, და მათი ათი ფეხი. <sup>13</sup> ეზოს სიგანეზე აღმოსავლეთის მხარეს ფარდა ორმოცდაათი წყრთა. <sup>14</sup> და თხუთმეტი წყრთა ფარდა ერთი ფრთისათვის და სამი სვეტი და სამი ფეხი. <sup>15</sup> და მეორე ფრთისათვის თხუთმეტი ფარდა და მათი სამი სვეტი, და მათი სამი ფეხი.

<sup>16</sup> და ეზოს კარისათვის ჩამოსაფარებელი ოცი წყრთა ლურჯი, ძოწისფერი ქსოვილისაგან და გრებილი სელისაგან, მოქარგული. მათი ოთხი სვეტი და მათი ოთხი ფეხი. <sup>17</sup> ეზოს ყველა სვეტს ირგვლივ ვერცხლის სამაგრები ჰქონდეს. და ვერცხლის კაუჭები და სპილენძის ფეხები. <sup>18</sup> ეზოს სიგრძე ასი წყრთა, სიგანე ორმოცდაათი წყრთა, სიმაღლე ხუთი წყრთა. ფარდები გრებილი სელისა და ფეხები სპილენძისა. <sup>19</sup> სავანის მთელი სამსახურებელი ჭურჭელი და ყველა მისი პალო და ეზოს ყველა პალო სპილენძის უნდა იყოს.

## ლამპრის ზეთი

<sup>20</sup>და შენ ამცნე ისრაელიანებს, მოგიტანონ ზეთისხილის სუფთა დაწურული ზეთი გასანათებლად, რომ მუდმივად ენ-  
თოს ლამპარი. <sup>21</sup>თავშეყრის კარავში, კრეტსაბმელის გარეთ,  
მოწმობის წინ რომ არის. გამზადებული ჰქონდეთ იგი აარონს  
და მის შვილებს მწუხრიდან დილამდე უფლის წინაშე. ეს არის  
საუკუნო წესი ისრაელიანთაგან მათი თაობებისათვის.

## სამღვდლო შესამოსელი

**28** <sup>1</sup>და შენ მიიახლოვე აარონი, შენი ძმა, და მისი ძენი მას-  
თან ერთად, ისრაელიანთაგან, რომ მღვდლობა გამი-  
წიოს. აარონი, ნადაბი, და აბიჰუ, და ელიაზარი და ითამარი —  
აარონის ძენი. <sup>2</sup>და გაუკეთე წმიდა შესამოსელი აარონს, შენს  
ძმას, დიდებისა და მშვენებისათვის. <sup>3</sup>და შენ ელაპარაკე ყველა  
გულით ბრძენს, რომელიც ავაგსე სიბრძნის სულით, გაუკეთონ  
შესამოსელი აარონს, რომ ჩემს მღვდლად იკურთხოს იგი. <sup>4</sup>და  
ესენია შესამოსლები, რომლებიც უნდა გაუკეთონ: სამკერდუ-  
ლი, და ეფოდი, და წამოსასხამი, და ნაქსოვი კვართი, და თავ-  
საბურავი და სარტყელი. და გაუკეთონ წმიდა შესამოსელნი  
შენს ძმას აარონს და მის შვილებს, რომ მღვდლობა გამიწიონ.

<sup>5</sup>და მათ აიღონ ოქრო და ლურჯი, და ძოწისფერი და ჭიაფე-  
რი ქსოვილი და სელი, <sup>6</sup>და გააკეთონ ეფოდი ოქროსფერი და  
ლურჯი, ძოწისფერი და ჭიაფერი ქსოვილისაგან და გრეხილი  
სელისაგან, ოსტატის ნახელავი. <sup>7</sup>ორი მისამაგრებელი სამხრე  
უნდა ჰქონდეს ორსავე ბოლოში, კიდებზე, და იკვრებოდეს. <sup>8</sup>და  
სარტყელი მისი ეფოდისა, რომელიც მასზეა, ამგვარადვე ნა-  
ხელავი იყოს — ოქროს, ლურჯი, ძოწისფერი და ჭიაფერი ქსო-  
ვილისაგან და გრეხილი სელისაგან. <sup>9</sup>და აიღე ონიქსის ორი  
თვალი და ზედ ისრაელიანთა სახელები ამოკვეთე. <sup>10</sup>ექვსი ამ  
სახელთაგან ერთ თვალზე, დანარჩენი ექვსი სახელი მეორე  
თვალზე, მათი შობისდა მიხედვით. <sup>11</sup>ქვაზე ამომკვეთელის ხე-

ლოვნებით, როგორც საბეჭდავის ტვიფარს აკეთებენ, ამოტვიფრე ორ თვალზე ისრაელიანთა სახელები და ოქროს ბუდეში ჩასვი. <sup>12</sup> და მიამაგრე ეს ორი თვალი ეფოდის სამხრეებს, ისრაელიანთა სამახსოვრო თვლები. ატაროს ეს სახელები აარონმა თავის ორ სამხრეზე უფლის წინაშე სამახსოვროდ.

<sup>13</sup> ბუდეები ოქროსი გააკეთე, <sup>14</sup> და ორი ძეწკვიც ხალასი ოქროსი, წნულ თასმებად გააკეთე ისინი და მიამაგრე წნული ძეწკვიცები ბუდეებზე. <sup>15</sup> და გააწყვე განკითხვის სამკერდული, ოსტატის ნახელავი, ისევე როგორც ეფოდია გაწყობილი. ოქროსაგან, ლურჯი, ძოწისფერი და ჭიაფერი ქსოვილისაგან და დაგრეხილი სელისაგან გააწყვე. <sup>16</sup> ოთხკუთხედი უნდა იყოს, ორკეცი. სიგრძით ერთი მტკაველი, სიგანითაც ერთი მტკაველი. <sup>17</sup> ოთხრიგად გააწყვე მასზე თვლები თავის ბუდეებით. ერთ რიგში: ლალი, ტოპაზი და ზურმუხტი — პირველი რიგი. <sup>18</sup> მეორე რიგი: ფირუზი, საფირონი და იასპი. <sup>19</sup> მესამე რიგი: იაგუნდი, აქატი და ამეთვისტო. <sup>20</sup> მეოთხე რიგი: ქრიზოლითი, ონიქსი და ბერილი. თავ-თავის ოქროს ბუდეებში უნდა იყვნენ ჩასმულნი. <sup>21</sup> და თვლები ისრაელიანთა სახელების მიხედვით უნდა იყოს, თორმეტი თვალი მათი სახელების მიხედვით. თითოეულზე ამოტვიფრული უნდა იყოს თითო შტოს სახელი თორმეტიდან. <sup>22</sup> და გაუკეთე სამკერდულს ხალასი ოქროს წნული ძეწკვი. <sup>23</sup> და გაუკეთე სამკერდულს ორი ოქროს რგოლი და მიამაგრე ეს ორი რგოლი სამკერდულის ორსავე კიდეს. <sup>24</sup> და გაუყარე ორი ოქროს წნული ორ რგოლში სამკერდულის კიდებზე. <sup>25</sup> და ორი წნული ძეწკვის ორივე ბოლო ბუდეებს და მიამაგრე ეფოდის სამხრეს წინა მხრიდან. <sup>26</sup> და გააკეთე ორი ოქროს რგოლი და მიამაგრე სამკერდულის ორ კიდეს, ნაპირზე, რომელიც ეფოდის შიდა მხარეს არის მოქცეული. <sup>27</sup> და გააკეთე ორი ოქროს რგოლი და მიამაგრე ეფოდის ორსავე სამხრეს ქვემოდან, წინა მხარეს, შესაკრავთან, ეფოდის სარტყელს ზემოთ. <sup>28</sup> და გადააბან სამკერდულის რგოლები ეფოდის რგოლებს ლურჯი ძაფით, რომ არ ასცდეს სამკერდული ეფოდს და



დამაგრდეს ეფოდის სარტყელს ზემოთ. <sup>29</sup> და ატაროს აარონმა ისრაელიანთა სახელები განკითხვის სამკერდულზე თავის გულთან სამახსოვროდ, როცა შევა საწმიდარში უფლის წინაშე, მუდმივად. <sup>30</sup> და მიამაგრე განკითხვის სამკერდულს ურში და თუმიმი და ჰქონდეს ისინი აარონს გულთან, როცა შევა უფლის წინაშე. და ატაროს აარონმა ისრაელიანთა განკითხვა თავის გულთან ახლოს უფლის წინაშე მუდმივად. <sup>31</sup> და გააკეთე ეფოდის მოსასხამი მთლიანად ლურჯი ქსოვილისაგან. <sup>32</sup> და ჰქონდეს თავის გასაყოფი მის შუაში. ამოჭრილის პირს ორგვლივ არშია უნდა გასდევდეს ნაქსოვისაგან, როგორც ჯაჭვის პერანგის სათაურს, რომ არ შემოირღვეს. <sup>33</sup> და გამოიყვანე მის კალთებზე ირგვლივ ბროწეულები ლურჯი, ძოწეული და ჭიაფერი ძაფით და ოქროს ეჟუნები ჩამოიკიდე ირგვლივ მათ შორის. <sup>34</sup> ოქროს ეჟვანი და ბროწეული, ოქროს ეჟვანი და ბროწეული მოსასხამის კალთაზე, ირგვლივ. <sup>35</sup> და ჰქონდეს ეს აარონს მსახურების დროს. და გაისმება მისი ხმა საწმიდარში მისი შესვლისას უფლის წინაშე და გამოსვლისას, და არ მოკვდება. <sup>36</sup> და გააკეთე ხალასი ოქროს ჯილა და ამოტვიფრე მასზე ბეჭდის ტვიფარით: სიწმიდე უფლისათვის.

<sup>37</sup> და მიამაგრე იგი ლურჯი თასმით თავსაბურველს, თავსაბურველის წინა მხარეს უნდა იყოს. <sup>38</sup> და ჰქონდეს აარონს შუბლზე და იტვირთოს აარონმა იმ შეწირულებათა ცოდვა, რომლებსაც შესწირავენ ისრაელიანები ყოველი შეწირვისას. მუდამ შუბლზე ეკეთოს, რომ წყალობა ჰქონდეთ უფლის წინაშე.

<sup>39</sup> და მოქსოვე სელის კვართი და გააკეთე სელის თავსაბურველი, სარტყელიც გააკეთე, ნაყშიანი. <sup>40</sup> და აარონის შვილებსაც გაუკეთე კვართები, და გაუკეთე სარტყლები და ქუდებიც გაუკეთე სადიდებლად და დასამშვენებლად. <sup>41</sup> და შემოსე ამით შენი ძმა აარონი და მისი შვილები. და ბეთი სცხე მათ და ხელი აუკვე, და განწმიდე, რომ მღვდლობა გამიწიონ. <sup>42</sup> და გაუკეთე მათ ტილოს საწმერთული შიშველი ხორცის დასაფარავად. წელიდან თეძობამდე უნდა იყოს.

<sup>43</sup>და ეცვათ იგი აარონს და მის შვილებს, როცა თავშეყრის კარავში შევლენ ან როცა სამსხვერპლოს მიუახლოვდებიან წმიდაში მსახურებისათვის, რომ ცოდვა არ დაედოთ და არ დაიხოცონ. ეს არის საუკუნო წესი მისთვის და მისი შთამომავლობისადა თვის.

## მღვდლად კურთხევა

**29** <sup>1</sup>აი, რა უნდა გააკეთოთ მათ გასაწმედად, რომ მღვდელოება გამიწიონ. აიყვანე ერთი მოზვერი და ორი საღი ვერძი. <sup>2</sup>და აიღე უფუარი პურები, და ზეთში მოხელილი უფუარი ნამცხვრები და ზეთნაცხები უფუარი კვერები. ხორბლის გამტკიცული ფქვილისაგან იყოს გამომცხვარი. <sup>3</sup>და ჩააწყვე ერთ კალათაში და მოიტანე კალათით, მოზვერი და ორი ვერძი მოიყვანე. <sup>4</sup>და მიიყვანე აარონი და მისი შვილები თავშეყრის კარვის შესასვლელთან და წყლით განბანე. <sup>5</sup>და აიღე შესამოსელი და შემოსე აარონი კვართით, და ეფოდის მოსასხამით, და ეფოდით და სამკერდულით. და წელზე ეფოდის სარტყელი შემოარტყი. <sup>6</sup>და დაახურე თავსაბურველი თავზე და სიწმიდის გვირგვინი მიუმაგრე თავსაბურველზე. <sup>7</sup>აიღე ცხების ბეთი და თავზე დაუღვარე, და სცხე. <sup>8</sup>და მისი შვილებიც მოიყვანე და ისინიც შემოსე კვართით. <sup>9</sup>და სარტყელი შემოარტყი მათ, აარონს და მის შვილებს. და ჩაჩები შემოაგრაგნე და მათი იქნება მღვდლობა საუკუნო წესით. და აუვსე ხელი აარონს და მის შვილებს. <sup>10</sup>და მიიყვანე მოზვერი თავშეყრის კარვის წინ და თავზე დაადონ ხელები აარონმა და მისმა შვილებმა. <sup>11</sup>და დაკალი მოზვერი უფლის წინაშე, თავშეყრის კარვის შესასვლელთან. <sup>12</sup>და აიღე მოზვრის სისხლი და სცხე თითებით სამსხვერპლოს რქებს, და მთელი დანარჩენი სისხლი სამსხვერპლოს ძირში დაღვარე. <sup>13</sup>და აიღე მთელი ქონი, შიგნეულს რომ აკრავს, ორივე თირკმელი მათი ქონითურთ და სამსხვერპლოზე დაწვი საკმევად. <sup>14</sup>და მოზვრის ხორცი, და მისი ტყავი

და განავალი ცეცხლში დაწვი ბანაკის გარეთ, რადგან ცოდვის მსხვერპლია ეს. <sup>15</sup> და მოიყვანე ერთი ვერძი და თავზე დაადონ ხელები აარონმა და მისმა შვილებმა. <sup>16</sup> და დაკალი ვერძი, და აიღე მისი სისხლი და ირგვლივ მოასხურე სამსხვერპლოს. <sup>17</sup> და ნაწილებად დატერი ვერძი, და გარეცხე შიგნეული და კიდურები და დააწყვე ისინი ამ ნაწილებზე და თავზე. <sup>18</sup> და დაწვი საკმევად მთელი ვერძი სამსხვერპლობე, რადგან ეს აღსავლენი მსხვერპლია უფლისათვის, ამოდსაყნოსელი. საცეცხლო მსხვერპლია ეს უფლისათვის. <sup>19</sup> და მოიყვანე მეორე ვერძი და თავზე დაადონ ხელი ვერძს აარონმა და მისმა შვილებმა. <sup>20</sup> და დაკალი ვერძი, და აიღე მისი სისხლი და სცხე აარონს მარჯვენა ყურის ბიბილოზე, მის შვილებს მარჯვენა ყურის ბიბილოზე, მარჯვენა ხელის ცერზე, და მარჯვენა ფეხის ცერზე. და ირგვლივ მოასხურე სისხლი სამსხვერპლოს. <sup>21</sup> და აიღე სისხლიდან სამსხვერპლობე რომ არის, და ცხების ბეთი და ასხურე აარონს, და მის შესამოსელს, და მის შვილებს და მათ შესამოსელს. და განწმიდე იგი და მისი შესამოსელი, და მასთან ერთად მისი შვილები და მათი შესამოსელი. <sup>22</sup> და აიღე ვერძიდან ქონი, და დუმა და ქონი, შიგნეულს რომ აკრავს, ღვიძლის ბადექონი, ორივე თირკმელი ქონიანად, მარჯვენა ბეჭი (რადგან ეს არის ხელავსების ვერძი),

<sup>23</sup> და ერთი პურის კოკორი, და ერთი ბეთიანი ნამცხვარი, და ერთი კვერი ხმიადებიანი კალათიდან, უფლის წინაშე რომ დგას, — <sup>24</sup> და დაუწყვე ეს ყველაფერი ხელზე აარონს და მის შვილებს და შეარხიე უფლის წინაშე.

<sup>25</sup> და გამოართვი ისინი ხელიდან ეს ყველაფერი და აკმიე სამსხვერპლობე აღსავლენად, კეთილსურნელებად უფლის წინაშე. საცეცხლო მსხვერპლია ეს უფლისათვის. <sup>26</sup> და აიღე ხელავსების ვერძის მკერდი, აარონისათვის რომ არის განკუთვნილი, და შეარხიე იგი უფლის წინაშე. ეს იქნება შენი წილი. <sup>27</sup> და განწმიდე შესარხეველი მკერდი და აღსამართავი ბეჭი, რომლებიც შეირხა და აღიმართა ხელავსების ვერძისაგან,

აარონისა და მისი შვილებისათვის რომ არის განკუთვნილი. <sup>28</sup>ეს იყოს აარონისათვის და მისი შვილებისათვის წესი ისრა-ელიანთაგან შესასრულებლად, რადგან აღმართვაა ეს და აღ-სამართავი უნდა იყოს ისრაელიანთაგან. სამშვიდობო მსხვერ-პლიდან უნდა აღმართოს იგი უფლისათვის. <sup>29</sup>და აარონის წმიდა შესამოსელი მის შემდეგ მისი შვილებისა იქნება, რომ ამ შესამოსელში სცხონ მათ და აუვსონ ხელი. <sup>30</sup>შვიდ დღეს უნდა ემოსოს ეს შესამოსელი მის შვილს, ვინც მის ნაცვლად იქნება მღვდლად და მოვა თავშეყრის კარავთან, რომ სამსახური გას-წიოს საწმიდარში. <sup>31</sup>და აიყვანე ხელავსების ვერძი და წმიდა ადგილზე მოხარშე მისი ხორცი. <sup>32</sup>და ჭამონ აარონმა და მისმა შვილებმა ვერძის ხორცი და პური, რომელიც კალათშია, თავ-შეყრის კარვის შესასვლელთან. <sup>33</sup>და ჭამონ ეს, რომლითაც მიღებული აქვთ შენდობა ხელავსებისათვის და განწმედისათ-ვის. უცხო კაცმა არ უნდა ჭამოს, რადგან წმიდაა იგი. <sup>34</sup>და თუ დილისათვის დარჩა ხელავსების ხორცი და პური, ცეცხლში დაწვი მონარჩენი — არ იჭმევა, რადგან წმიდაა იგი. <sup>35</sup>და გა-უკეთე აარონსა და მის შვილებს ყველაფერი ისე, როგორც მე გამცნე. შვიდ დღეში აუვსე მათ ხელი.

### სამსხვერპლოს განწმედა

<sup>36</sup>და ცოდვის მოზვერი გააგზავნე ყოველდღიურად შესან-დობელთან ერთად და ცოდვას ჩამორეცხავ სამსხვერპლო-დან, როცა შენდობას მოიღებ მასზე, და ზეთს სცხებ მას გან-საწმედად. <sup>37</sup>შვიდ დღეს მოიღე შენდობა სამსხვერპლოზე და განწმიდე იგი, და წმიდათა წმიდა გახდება სამსხვერპლო. რაც კი მიეკარება სამსხვერპლოს, წმიდა გახდება ყველაფერი.

### ყოველდღიური აღსავლენი

<sup>38</sup>აი, რა უნდა გქონდეს გამზადებული სამსხვერპლოსათ-ვის: ორი წელგამოვლილი კრავი ყოველდღიურად, მუდმივად.

<sup>39</sup>ერთი კრავი დილისათვის გაამზადე, მეორე კრავი საღამოსათვის. <sup>40</sup>და ჰინის ნაოთხალ გამოხდილ ბეთში აბელილი ეფის მეთადი გამტკიცული ფქვილი და ჰინის ნაოთხალი ღვინო საღვრელად ერთი კრავისათვის. <sup>41</sup>და მეორე კრავი საღამოსათვის გაამზადე, როგორც დილის კრავი, ესეც ფქვილთან და საღვრელთან ერთად ამოდ საყნოსელ საცეცხლო მსხვერპლად შესწირე უფალს. <sup>42</sup>მუდმივ აღსავლენად თქვენს თაობებში თავშეყრის კარვის შესასვლელთან უფლის წინაშე, სადაც გამოვეცხადები, რომ შენ გელაპარაკო იქ. <sup>43</sup>იქ გამოვეცხადები ისრაელიანებს და განიწმიდება ჩემი დიდებით ეს ადგილი. <sup>44</sup>და გავწმედ თავშეყრის კარავს და სამსხვერპლოს, დასაარონს და მის შვილებს გავწმედ, რომ მღვდლობა გამიწიონ. <sup>45</sup>და დავივანებ ისრაელიანთა შორის და ღმერთი ვიქნები მათთვის. <sup>46</sup>და მიხვდებიან, რომ მე ვარ უფალი, მათი ღმერთი, რომელმაც გამოვიყვანე იგინი ეგვიპტელთა ქვეყნიდან, რომ მათ შორის დავივანო. მე ვარ უფალი, მათი ღმერთი.

### საკმევლის სამსხვერპლო

**30** <sup>1</sup>და გააკეთე სამსხვერპლო საკმევლად. ურთხელისაგან გააკეთე იგი. <sup>2</sup>სიგრძით ერთი წყრთა და სიგანით ერთი წყრთა. ოთხკუთხედი უნდა იყოს. სიმაღლე ორი წყრთა ჰქონდეს, რქები უნდა გამოდიოდეს მისგან. <sup>3</sup>და ხალასი ოქროთი მოჭედე იგი, მისი სახურავი და გარშემო კედლები და რქები. ოქროს გვირგვინი შემოავლე ირგვლივ. <sup>4</sup>და ორი ოქროს რგოლი გაუკეთე გვირგვინს ქვემოთ ორსავე გვერდზე, ორსავე მხარეს გაუკეთე, კეტების გასაყრელად იყოს, რომ მისი ტარება შეიძლებოდეს. <sup>5</sup>და გააკეთე კეტები ურთხელისაგან და ოქროთი მოჭედე. <sup>6</sup>და დადგი იგი კრეტსაბმელის წინ, მოწმობის კიდობნის პირდაპირ რომ არის, სარქველის წინ, მოწმობის კიდობანს რომ ახურავს, სადაც მე გამოვეცხადებით. <sup>7</sup>და აკმიოს მასზე აარონმა სურნელოვანი საკმეველი. დილაობით, როცა ლამპრებს გაამზადებს, აკმიოს იგი. <sup>8</sup>და როცა აანთებს

აარონი ლამპრებს საღამო ხანს, აკმიოს საკმეველი. ეს იყოს მუდმივსაკმევად უფლის წინაშე თქვენს თაობებში. <sup>9</sup>ნუ დადებთ მასზე უცხო საკმეველს, ნურც აღსავლენს, ნურც ფქვილს, ნურც საღვრელს ნუ დაღვრით მასზე. <sup>10</sup>და შეასრულებს აარონი შენდობის წესს მის რქებზე წელიწადში ერთხელ. ცოდვის შესანდობელი მსხვერპლის სისხლით შეასრულებს შენდობის წესს წელიწადში ერთხელ თქვენს თაობებში. წმიდათა წმიდა არის ეს უფლისათვის.

### აღრიცხვის გადასახადი

<sup>11</sup>და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>12</sup>როცა შეუდგები ისრაელიანთა აღრიცხვას მათი სათვალავის გასაგებად, გადაუხადოს თითოეულმა აღრიცხვის დროს თავისი სულის გამოსასყიდად უფალს, რომ ჟამი არ მოედოთ აღრიცხვისას. <sup>13</sup>ეს უნდა გადაიხადოს ყველამ, ვინც სათვალავში გადის: ნახევარი შეკელი, საწმიდარის შეკელის მიხედვით (ოცი გერაა შეკელში). ნახევარი შეკელი საუფლო ძღვენია. <sup>14</sup>ყველამ, ვინც კი სათვალავში გადის, ოცი წლის ასაკიდან მოყოლებული, ძღვენი უნდა მიართვას უფალს.

<sup>15</sup>მდიდარმა არ უნდა გადაამეტოს და ღარიბმა არ უნდა დააკლოს ნახევარ შეკელს, რასაც უფალს აძლევთ ძღვნად თქვენი სულის გამოსასყიდად.

<sup>16</sup>და აკრიფე გამოსასყიდი ვერცხლი ისრაელიანთაგან და გაეცი თავშეყრის კარვის სამსახურისათვის. იყოს სამახსოვროდ ისრაელიანთათვის უფლის წინაშე თქვენი სულის გამოსასყიდად.

### სპილენძის საბანელი

<sup>17</sup>და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>18</sup>და გააკეთე სპილენძის საბანელი და სპილენძის კვარცხლბეკი განსაბანად. და დადგი იგი თავშეყრის კარავსა და სამსხვერპლოს შო-

რის და წყალი ჩაასხი შიგ.

და განიბანონ აარონმა და მისმა შვილებმა აქ ხელები და ფეხები. <sup>20</sup>და თავშეყრის კარავში შესვლისას განიბანონ წყლით, რათა არ დაიხოცონ, ან მაშინ, როცა სამსხვერპლოსთან მივლენ სამსახურის აღსასრულებლად, უფლისადმი საცეცხლო მსხვერპლის საკმევად. <sup>21</sup>და განიბანონ ხელები და ფეხები, რათა არ დაიხოცონ, საუკუნო წესად ჰქონდეთ ეს მას და მის შთამომავლობას, თქვენს თაობებში.

### წმიდა ცხების ზეთი

<sup>22</sup>და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>23</sup>და შენ აიღე ხუთასი შეკელი სუფთა მური, და მისი ნახევარი ორასორმოცდაათი შეკელი სურნელოვანი დარიჩინი, და ორასორმოცდაათი შეკელი სურნელოვანი ლერწამი. <sup>24</sup>და კასია ხუთასი შეკელი საწმიდარის შეკელის მიხედვით და ერთი ჰინი ზეთისხილის ზეთი. <sup>25</sup>და დაამზადე ყოველივე ამისაგან წმიდა ცხების ზეთი, შეზავებული მენელსაცხებელთა ხელოვნებით. წმიდა ცხების ზეთი იქნება ეს. <sup>26</sup>და ცხე ეს თავშეყრის კარავს და მოწმობის კიდობანს, <sup>27</sup>და ტაბლას და მთელს მის ჭურჭელს, და ლამპარს და მთელს მის ჭურჭელს, და საკმეველის სამსხვერპლოს, <sup>28</sup>და აღსავლენის სამსხვერპლოს და მთელს მის ჭურჭელს, და საბანელს და მის კვარცხლბეკს. <sup>29</sup>განწმიდე ისინი და წმიდათა წმიდა გახდებიან. ყველა, ვინც მათ შეეხება, განიწმიდება. <sup>30</sup>და ცხე აარონს და მის შვილებს და განწმიდე ისინი, რომ მღვდლობა გამიწიონ მე. <sup>31</sup>და ისრაელიანებს ელაპარაკე, რომ უთხრა: ეს მექნება წმიდა ცხების ზეთიდან თქვენს თაობებში.

<sup>32</sup>არავის სხეულს არ უნდა ეცხოს, და ნურც მის მსგავს ნაგავს დაამზადებთ სახმარად, რადგან სიწმიდეა იგი, სიწმიდე უნდა იყოს თქვენთვის.

<sup>33</sup>ვინც ამის მსგავს რასმე შეაზავებს და ვინც უცხოს სცხებს მას, მოიკვეთება თავისი ხალხიდან.

## საკმეველი

<sup>34</sup>და უთხრა უფალმა მოსეს: აიღე შენთვის სურნელებანი: შტახსი, ამბრი, და სურნელის ხელბანა და სუფთა გუნდრუკი. თანაბრად იყოს. <sup>35</sup>და დაამზადე მისგან სასაკმეველე ნაზავი მენელსაცხებელთა ხელოვნებით შეზავებული — სუფთა, წმიდა. <sup>36</sup>და წვრილად დანაყე ისინი და დადვეი მოწმობის კიდობნის წინ თავშეყრის კარავში, სადაც მე გამოგეცხადებით. წმიდათა წმიდა იყოს ეს თქვენთვის. <sup>37</sup>და არ დაამზადოთ ამგვარად შეზავებული საკმეველი მოსახმარად. სიწმიდედ გქონდეს იგი უფლისათვის. <sup>38</sup>ვინც ამის მსგავსს დაამზადებს საყნოსავად, მოიკვეთება თავისი ხალხიდან.

## ბეცალიელის ხელოვნება

**31** <sup>1</sup>და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>2</sup>აჰა, მოვუწოდე სახელით ბეცალიელს, ძესა ურისა, ძისა ხურისა, იუდას შტოდან. <sup>3</sup>და ავაკვე იგი ღვთის სულით, და სიბრძნით, და გონიერებით, და ცოდნით და ყოველი ხელოვნებით,

<sup>4</sup>რომ შეეძლოს ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის დამუშავება, <sup>5</sup>მოსაოჭველი თვლების გათლა და ხეზე კვეთა ხელოვნურ ნივთთა დასამზადებლად. <sup>6</sup>და, აჰა, მე მივუჩინე მას ოჭოლიაბ ახისამაქის ძე დანის ტომიდან და სიბრძნე ჩავუდევი ყოველ გულბრძენს გულში, რათა ყველაფერი გააკეთონ, რაც გამოგიცხადე.

<sup>7</sup>თავშეყრის კარავი, და მოწმობის კიდობანი სახურავითურთ და კარვის ყოველი ჭურჭელი, <sup>8</sup>და ტაბლა და მისი ჭურჭელი, და წმიდა ლამპარი და ყველა მისი ჭურჭელი, საკმეველის სამსხვერპლო, <sup>9</sup>და აღსავლენის სამსხვერპლო და ყველა მისი ჭურჭელი, და საბანელი თავისი კვარცხლბეკითურთ, <sup>10</sup>და საწესო შესამოსელნი და წმიდა შესამოსელნი აარონ მღვდლისათვის და მის ძეთა შესამოსელნი სამღვდელმსახუროდ. <sup>11</sup>და



ცხების ზეთი და სურნელოვანი საკმეველი საწმიდრისათვის. ყველაფერი, როგორც მე გამცნე, გააკეთე.

## შაბათის წესები

<sup>12</sup> და უთხრა უფალმა მოსეს სათქმელად: <sup>13</sup> და შენ ელაპარაკე ისრაელიანებს, რომ უთხრა: ოღონდ შეინახეთ ჩემი შაბათები, რადგან ეს იქნება ნიშანი ჩვენს შორის თქვენს თაობებში იმის საცოდნელად, რომ მე ვარ უფალი, თქვენი განმწმედელი.

<sup>14</sup> და შეინახეთ შაბათი, რადგან წმიდაა იგი თქვენთვის. მისი გამრიოშებელი უნდა მოკვდეს. რადგან ყველა, ვინც შაბათობით საქმეს აკეთება, უნდა მოიკვეთოს თავის ხალხიდან. <sup>15</sup> ექვს დღეს აკეთონ საქმე, მეშვიდე დღეს შვების შაბათია, უფლის წმიდა. ყველა, ვინც შაბათ დღეს საქმეს გააკეთებს, უნდა მოკვდეს. <sup>16</sup> და შეინახონ ისრაელიანებმა შაბათი, რომ დღესასწაულობდნენ შაბათს თაობიდან თაობაში საუკუნო აღთქმად. <sup>17</sup> ეს იყოს საუკუნო ნიშნად ჩემსა და ისრაელიანებს შორის, რადგან ექვს დღეში შექმნა უფალმა ცა და მიწა და მეშვიდე დღეს იუქმა და დაისვენა. <sup>18</sup> და მისცა მოსეს, როცა შეწყვიტა მასთან ლაპარაკი სინაის მთაზე, მოწმობის ორი დაფა, ღვთის თითოთ ნაწერი ქვის დაფები.

## ოქროს ხბო

**32** <sup>1</sup> და დაინახა ხალხმა, რომ აგვინებდა მოსე მთიდან ჩამოსვლას, და შეიკრიბა ხალხი აარონთან და უთხრეს მას: ადექი და გაგვიკეთე ღმერთები, რომლებიც წინ მიგვიძღვოდნენ, რადგან ამ მოსეს, კაცს, რომელმაც ეგვიპტიდან გამოგვიყვანა, არ ვიცით, რა დაემართა. <sup>2</sup> და უთხრა მათ აარონმა: ჩამოხსენით ოქროს რგოლები თქვენს ცოლებს, და ვაჟებსა და ასულებს, და აქ მომიტანეთ.

<sup>3</sup>და ჩამოიხსნა მთელმა ხალხმა რგოლები ყურებზე რომ ჰქონდათ, და მიუტანა აარონს. <sup>4</sup>და გამოართვა აარონმა, და გამოსახა საჭრეთელით და შეუქმნა მათ ჩამოსხმული ხბო. და თქვეს: ესენი არიან, ისრაელ, შენი ღმერთები, რომლებმაც ეგვიპტიდან გამოგვიყვანეს. <sup>5</sup>და დაინახა აარონმა და ააგო სამსხვერპლო მის წინ, და გამოაცხადა აარონმა და თქვა: უფლის დღესასწაულია ხვალ!

<sup>6</sup>და ადგნენ მეორე დღეს და შეწირეს აღსავლენი, და მიიტანეს სამშვიდობო მსხვერპლი. და დასხდა ხალხი საჭმელად და სასმელად, და ადგნენ სალაღობოდ.

<sup>7</sup>და ელაპარაკა უფალ მოსეს: ძირს ჩადი, რადგან გაირყვნა შენი ხალხი, რომელიც ეგვიპტიდან გამოიყვანე. <sup>8</sup>მალე გადაუხვიეს გზიდან, რომელიც ვამცნე. გაიკეთეს ჩამოსხმული ხბო და თაყვანს სცემენ მას, და მსხვერპლს სწირავენ. და ამბობენ: ესენი არიან, ისრაელ, შენი ღმერთები, რომლებმაც ეგვიპტიდან გამოგვიყვანესო. <sup>9</sup>და უთხრა უფალმა მოსეს: ვნახე ეს ხალხი და, აჰა, ჯიუტია იგი. <sup>10</sup>და ახლა მიმიშვი და აინთება ჩემი რისხვა მათზე და მოვსპობ მათ, და შენ შეგქმნი დიდ ხალხად. <sup>11</sup>და იგულშემატკივრა მოსემ უფლის, თავისი ღმერთის წინაშე, და თქვა: რისთვის უნდა აინთოს შენი რისხვა, უფალო, ამ ხალხის მიმართ, რომელიც ეგვიპტიდან გამოიყვანე დიდი ძალითა და მაგარი მკლავით? <sup>12</sup>რისთვის უნდა ათქმევინო ეგვიპტეს, დასაღუპავად გაიყვანა ისინი, რომ მთებში ამოეხოცა და მიწის პირისაგან აღეგავაო. დაიცხრე რისხვა და გადაიფიქრე ამ ხალხის დაღუპვა. <sup>13</sup>გაიხსენე აბრაამი, და ისაკი და ისრაელი, შენი მსახურნი, რომელთაც შენ თავი დაუფიცე და უთხარი: ცის ვარსკვლავებივით გაგიმრავლებთ შთამომავლობას და მივცემ მთელს ამ აღთქმულ მიწას თქვენს შთამომავლობას, რომ საუკუნოდ დაიმკვიდრონ. <sup>14</sup>და ინანა უფალმა, უბედურების მოწევნა რომ ბრძანა თავის ერზე. <sup>15</sup>და პირი იბრუნა მოსემ და ჩამოვიდა მთიდან და ხელში მოწმობის ორი დაფა ეჭირა, ორსავე მხარეს წარაწერილი დაფები. აქეთაც და იქე-

თაც წარწერები იყო.

<sup>16</sup> და ღვთის ნაკეთები იყო ეს დაფები და ნაწერიც ღვთისა იყო, დაფებზე ამოკვეთილი. <sup>17</sup> და მოესმა იესოს ხალხის ყვირილის ხმა და უთხრა მოსეს: ომის ხმაა ბანაკში. <sup>18</sup> და თქვა: ეს ხმა არც გამარჯვების ყიჟინაა და არც დამარცხების ყიჟინა, სიმღერის ხმა მესმის. <sup>19</sup> და როგორც კი მიუახლოვდა ბანაკს და დაინახა ხბო და როკვა, რისხვით აღინთო მოსე და ხელიდან გააგდო დაფები და მიაშხვრია მთის ძირას. <sup>20</sup> და აიღო მათი გაკეთებული ხბო, და ცეცხლში დაწვა, და მტვრად აქცია, და წყალზე მოაფრქვია და ისრაელიანებს შეასვა. <sup>21</sup> და უთხრა მოსემ აარონს: რა გაგიკეთა ამ ხალხმა, ასეთ დიდ ცოდვაში რომ ჩააგდე? <sup>22</sup> და უთხრა აარონმა: რისხვით ნუ აინთება ჩემი ბატონი. შენ იცნობ ამ ხალხს, რომ ბოროტებაშია იგი. <sup>23</sup> და მითხრეს მე: გაგვიკეთე ჩვენ ღმერთები, რომლებიც მიგვიძღვოდნენ წინ, რადგან ამ მოსეს, კაცს, რომელმაც ეგვიპტიდან ამოგვიყვანა, არ ვიცი, რა დაემართა. <sup>24</sup> და ვუთხარი მათ: ვისა გაქვთ ოქრო? მათაც მოიხსნეს და მე მომცეს. და ცეცხლში ჩავყარე და ეს ხბო გამოვიდა.

## ლევიალების გამოჩენა

<sup>25</sup> და დაინახა მოსემ, რომ მიშვებულია ეს ხალხი, რომ მიუშვა იგი აარონმა მისი მტრების ყბადასაღებად. <sup>26</sup> და ჩადგა მოსე ბანაკის კარიბჭეში და თქვა: ყველა, ვინც უფლისაა, ჩემთან! და შეიკრიბა მასთან ყველა ლევიანი. <sup>27</sup> და უთხრა მათ: ასე ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი: შეიბას კაცად-კაცადმა თავისი მახვილი, და მოიარეთ ბანაკი კარიბჭიდან კარიბჭემდე და მოკალით ძმამ ძმა, ახლობელმა ახლობელი, მეგობარმა მეგობარი. <sup>28</sup> და მოსეს სიტყვისამებრ მოიქცნენ ლევიანები და დაეცა ხალხიდან იმ დღეს სამი ათასამდე კაცი. <sup>29</sup> და თქვა მოსემ: აივსეთ ხელი დღეს უფლისათვის, რადგან კაცი თავისი ძითა და ძმით არის, რათა კურთხევა გადმოვიდეს დღეს თქვენზე.

## მოსე ევედრება უფალს თავისი ხალხისათვის

<sup>30</sup> და იყო, მეორე დღეს უთხრა მოსემ ხალხს: დიდი ცოდვა გაქვთ ჩადენილი. ახლა ავალ უფალთან, ვინძლო შენდობა გამოვიტხოვო თქვენი ცოდვისთვის.

<sup>31</sup> და დაბრუნდა მოსე უფალთან და უთხრა: დიდი ცოდვა ჩაიდინა ამ ხალხმა: ოქროს ღმერთები გააკეთა. <sup>32</sup> და ახლა თუ მიუტევებ მათ ამ ცოდვას? თუ არა და, ამომშალე შენი დაწერილი წიგნიდან. <sup>33</sup> და უთხრა უფალმა მოსეს: ვინც შემცოდა, იმას ამოვშლი ჩემი წიგნიდან. <sup>34</sup> და ახლა წადი და წაიყვანე ხალხი, სადაც გითხარი. აჰა, ჩემი ანგელოზი წაგიძღვება წინ. და განკითხვის დღეს მოვკითხავ მათ ცოდვებს. <sup>35</sup> და გაწყვიტა უფალმა ხალხი იმის გამო, რომ გააკეთეს ხბო, რომელიც აარონმა გააკეთა.

## ქედფიცხელი ხალხი

**33** <sup>1</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს: წადით, გაემართეთ აქედან შენ და ხალხი, ეგვიპტიდან რომ ამოიყვანე, იმ ქვეყნისაკენ, რომელიც აღვუთქვი აბრაამს, და ისაკს და იაკობს, შენს შთამომავლობას მივცემ-მეთქი. <sup>2</sup> და წაგიძღვარებთ წინ ანგელოზს და ავყრი ქანაანელებს, ამორეველებს, და ხეთელებს, და ფერიზელებს, და ხივიელებს და იებუსელებს. <sup>3</sup> იმ ქვეყნისაკენ, სადაც ღვარად მოედინება რძე და თაფლი; მე აღარ ვივლი შენს შორის, რადგან ქედფიცხელი ხალხი ხარ შენ და, ვაითუ, მოგსპო გზაში. <sup>4</sup> და მოისმინა ხალხმა ეს ავი სიტყვა და იწყო გლოვა, და არავის გაუკეთებია სამკაული. <sup>5</sup> და უთხრა უფალმა ისრაელიანებს: ქედფიცხელი ხალხი ხართ თქვენ: ერთი წამითაც რომ გავიარო შენს შორის, მოგსპობ. და ახლა ჩამოიხსენი შენი სამკაულები და მე ვიცი, რას გიზამ. <sup>6</sup> და მოიხსნეს ისრაელიანებმა თავიანთი სამკაულები ხორების მთასთან.

## თავშეყრის კარავი

<sup>7</sup>და მოსემ აიღო კარავი და გაშალა ბანაკს გარეთ, ბანაკის მოშორებით, და უწოდა მას თავშეყრის კარავი. და ყველა, ვისაც კი რამე შესაკითხი ჰქონდა უფალთან, მიდიოდა თავშეყრის კარავთან, რომელიც ბანაკს გარეთ იდგა.

<sup>8</sup>და როგორც კი გამოვიდოდა კარვისაკენ მოსე, ადგებოდა მთელი ხალხი და თითოეული თავისი კარვის შესასვლელთან გაჩერდებოდა და თვალს ადევნებდა მოსეს, ვიდრე კარავში არ შევიდოდა იგი. <sup>9</sup>და როგორც კი შევიდოდა მოსე კარავში, ჩამოეშვებოდა ღრუბლის სვეტი და დადგებოდა კარვის კართან. და დაელაპარაკებოდა უფალი მოსეს. <sup>10</sup>და დაინახავდა მთელი ხალხი ღრუბლის სვეტს, კარვის შესასვლელთან აღმართულს, და ადგებოდა მთელი ხალხი და თითოეული თავისი კარვის შესასვლელთან სცემდა თავყვანს. <sup>11</sup>და ელაპარაკებოდა უფალი მოსეს პირისპირ, როგორც კაცი ელაპარაკება კაცს. და ბრუნდებოდა ბანაკში. და მისი მსახური, იესო ნავეს ძე, ყმაწვილი კაცი, არ ტოვებდა კარავს.

## მოსეს და უფლის დიალოგი

<sup>12</sup>და უთხრა მოსემ უფალს: აჰა, შენ მეუბნები, დასძარიო ეს ხალხი და არ გაგიმხელია, ვის აგზავნი ჩემთან ერთად. და შენ თქვი: სახელით გიცნობ და მადლიც გაქვს ნაპოვნი ჩემს თვალში. <sup>13</sup>და ახლა, თუ მართლაც მადლი მიპოვნია შენს თვალში, მასწავლე შენი გზა და მეცოდინება, რისთვის ვპოვე მადლი შენს თვალში. და იცოდე, რომ შენი ერია ეს ხალხი. <sup>14</sup>და თქვა უფალმა: ჩემი პირი წავიძღვება და მე დაგავანებ. <sup>15</sup>და უთხრა მას: შენი პირი თუ არ წავიძღვება, ვერ გავალთ აქედან. <sup>16</sup>და როგორღა მივხვდეთ, რომ მადლი ვპოვეთ შენს თვალში მე და შენმა ერმა? განა იმით არა, რომ ჩემთან ერთად ივლი და გამორჩეული ვიქნებით მე და შენი ერი ყველა ხალხისაგან, რომელიც კი მიწის პირზეა? <sup>17</sup>და უთხრა უფალმა მოსეს: მაგ შენ

ნათქვამსაც ავასრულებ, რადგან მადლი გაქვს ნაბოვნი ჩემს თვალში და სახელით გიცნობ.

<sup>18</sup> და თქვა: მახილვინე შენი დიდება. <sup>19</sup> და თქვა: ჩამოვატარებ მთელს ჩემს სიკეთეს შენს წინ და მოვუხმობ უფლის სახელს შენს წინაშე, და შევიწყალებ, ვისაც შევიწყალებ, და შევიბრალებ, ვისაც შევიბრალებ. <sup>20</sup> და თქვა: ვერ იხილავ ჩემს პირს, რადგან ვერ შეძლებს ადამიანი, რომ მიხილოს და ცოცხალი დარჩეს. <sup>21</sup> და თქვა უფალმა: აჰა, ადგილია ჩემთან. დადექი კლდეზე.

<sup>22</sup> და როცა ჩავივლის ჩემი დიდება, კლდის ნაპრალებში მეყოლები და ვიდრე არ ჩავივლი, ხელი მექნება შენთვის აფარებული. <sup>23</sup> და როცა ხელს მოგაშორებ, ჩემს ზურგს დაინახავ და პირი უხილავი იქნება.

### ახალი დაფები

**34** <sup>1</sup> და უთხრა უფალმა მოსეს: გამოთალე იმ პირველთა მსგავსი ქვის ორი დაფა და მე დავწერ დაფებზე სიტყვებს, რომლებიც ეწერა იმ პირველ დაფებზე, შენ რომ დაამსხვრიე. <sup>2</sup> და მზად იყავი დილისათვის. დილას სინაის მთაზე ახვალ და იქ, მთის წვერზე დამიდგები. <sup>3</sup> და კაციშვილი არ ამოგყვეს, კაციშვილი არ გამოჩნდეს მთაზე. არც ცხვარი, არც ხვასტავი არ უნდა ძოვდეს ამ მთის წინ.

<sup>4</sup> და გამოთალა მოსემ ქვის ორი დაფა, იმ პირველთა მსგავსი. და ადგა დილაადრინად და ავიდა სინაის მთაზე, როგორც ამცნო უფალმა. და ქვის ორი დაფა ეჭირა ხელში.

### მოსე უფლის წინაშე

<sup>5</sup> და ჩამოვიდა უფალი ღრუბელში და დადგა იქ მასთან. და მოუხმო უფალს სახელით. <sup>6</sup> და ჩაიარა უფალმა მის წინ და შეჭლალადა მოსემ: უფალო, უფალო! ღმერთო მწყალობელო და შემბრალებელო, სულგრძელო, დიდმადლიანო და ჭეშმა-

რიტო. <sup>7</sup>შემნახავო სიყვარულისა ათასთა მიმართ, დანაშაულთა, ცოდვათა და ბრალთა მიმტევებელო და შურისმგებელო. მამათა ცოდვის მომკითხავო შვილთაგან და შვილიშვილთაგან მესამე და მეოთხე თაობაში. <sup>8</sup>და ისწრაფა მოსემ და მიწად დაიხარა, და თაყვანი სცა. <sup>9</sup>და თქვა: თუ მადლი მიპოვნია შენს თვალში, ჩემო მეუფევ, ჩვენს შორის იაროს ჩემმა მეუფემ. რადგან ქედფიცხელია ეს ხალხი, და შეგვირდე დანაშაული და შეცოდება და დაგვიმკვიდრე\*.

### აღთქმა

<sup>10</sup>და თქვა: აჰა, ვდებ აღთქმას: მთელი შენი ხალხის წინაშე მოვახდენ სასწაულებს, როგორც არც ერთ ქვეყანაში და არც ერთ ხალხში არ მომხდარა. და დაინახავს მთელი ხალხი, რომლის შუაგულში ხარ, უფლის საქმეს, რომ ზარდამცემია იგი, რასაც უფალი აკეთებს შენთვის. <sup>11</sup>შეინახე, რასაც ახლა გამცნობ. აჰა, ავყრი თქვენგან ამორეველებს, და ქანაანელებს, და ხეთელებს, და ფერიზელებს, და ხივიელებს და იებუსელებს. <sup>12</sup>გაფრთხილდი, არ დაუდო აღთქმა იმ ქვეყნის მკვიდრს, სადაც შეხვალ, რომ მახეში არ გაება. <sup>13</sup>არამედ დაღეწეთ მათი სამსხვერპლოები, და გაანადგურეთ მათი სვეტები, და აჩეხეთ მათი აშერები. <sup>14</sup>რადგან არ უნდა სცემდეთ თაყვანს უცხო ღმერთს. ვინაიდან ეჭვიანია უფლის სახელი, ეჭვიანი ღმერთია იგი. <sup>15</sup>ნუ დაუდებ აღთქმას ქვეყნის მკვიდრს, თორემ დაიწყებენ გარყვნილებას თავიანთი ღმერთების კვალზე და მსხვერპლს შესწირავენ თავიანთ ღმერთებს, და შენც დაგიძახებენ და შეჭამ მათ მსხვერპლს. <sup>16</sup>და მოიყვან მათ ასულთაგან შენი ვაჟებისათვის და დაიწყებენ გარყვნილებას მათი ასულები თავიანთი ღმერთების კვალზე და გარყვნიან შენს ვაჟებსაც თავიანთი ღმერთების კვალზე. <sup>17</sup>ჩამოსხმულ ღმერთებს ნუ გაიკეთებ.

<sup>18</sup>შეინახე უფუარობის დღესასწაული. შვიდ დღეს ჭამე უფუარი, როგორც გამცნე, დათქმულ დროს, აბიბის თვეში, რად-

\* “შენს სამკვიდროდ გაგვხადე”.

გან აბიბის თვეში გამოგიყვანეთ ეგვიპტიდან. <sup>19</sup>საშოს ყოველი გამღები ჩემია და ყოველი მამალი პირუტყვი, საშოს გამღები, ხარი და ცხვარი. <sup>20</sup>და საშოს გამღები სახედარი ცხვრით გამოისყიდე. და თუ არ გამოისყიდი, კისერი გადაუმტვრიე. ყოველი პირმშო შენს შვილებში გამოისყიდე. ნუ ეჩვენებიან ჩემს პირს ხელცარიელნი.

<sup>21</sup>ექვს დღეს იმუშავე და მეშვიდე დღეს შეისვენე; ხვნისას და მკისას შეისვენე.

<sup>22</sup>და შვიდეულის დღესასწაული იბეიმე, პირველმოწეული ხორბლის მოკრეფისა, და რთვლის დღესასწაული წლიდან წლამდე. <sup>23</sup>წელიწადში სამგზის უნდა ეჩვენოს ყოველი შენი მამროვანი მეუფეს, უფალს, ისრაელის ღმერთს. <sup>24</sup>რადგან აგყრი ხალხებს შენგან და გაგიფართოვებ საზღვრებს. და არავინ დაეხარბება შენს მიწას, როცა წახვალ უფლის, შენი ღმერთის პირის სახილველად წელიწადში სამგზის. <sup>25</sup>ნუ დაღვრი საფუარზე ჩემი მსხვერპლის სისხლს. და დილისთვის ნუ მოიტოვებ პასექის დღესასწაულის მსხვერპლს.

<sup>26</sup>შენი მიწის პირველმოწეული ნაყოფები მიიტანე უფლის, შენი ღვთის სახლში. ნუ მოხარშავ ციკანს დედამისის რძეში. <sup>27</sup>და უთხრა უფალმა მოსეს: ჩაიწერე ეს სიტყვები, რადგან ამ სიტყვებით გიდებთ აღთქმას შენ და ისრაელს.

## მოსეს სახე

<sup>28</sup>და იყო იქ, უფალთან, ორმოც დღეს და ორმოც ღამეს. პური არ უჭამია, და წყალი არ შეუსვამს. და დაწერა დაფებზე აღთქმის სიტყვები, ათი სიტყვა.

<sup>29</sup>და იყო, როცა ჩამოდიოდა მოსე სინაის მთიდან, — და მოწმობის ორი დაფა იყო მოსეს ხელში მთიდან ჩამოსვლისას — არ იცოდა მოსემ, რომ ბრწყინავდა მისი პირისკანი მასთან ლაპარაკის გამო. <sup>30</sup>და დაინახეს აარონმა და ისრაელიანებმა მოსე და აჰა, ბრწყინავდა მისი პირისკანი და ვერ გაბედა მიახლოვება. <sup>31</sup>და დაუძახა მათ მოსემ და მიბრუნდნენ მისკენ



აარონი და საზოგადოების მთავრები და ელაპარაკა მათ მოსე.<sup>32</sup> და ამის შემდეგ მიუახლოვდნენ მას ისრაელიანები და ამცნო მათ ყველაფერი, რაც უფალმა უთხრა მას სინაის მთაზე.<sup>33</sup> და შეწყვიტა მოსემ მათთან ლაპარაკი და რიდე ჩამოიფარა სახეზე.<sup>34</sup> და როცა შედიოდა მოსე უფლის წინაშე მასთან სალაპარაკოდ, იხსნიდა რიდეს გარეთ გამოსვლამდე. და გამოდიოდა და ეუბნებოდა ისრაელიანებს, რაც ემცნო მას.<sup>35</sup> და ხედავდნენ ისრაელიანები მოსეს სახეს, რომ ბრწყინავდა მოსეს პირისკანი, და ისევე იფარებდა მოსე სახეზე რიდეს, სანამ მასთან სალაპარაკოდ შევიდოდა.

### შემოწირულებანი სავანისათვის

**35** <sup>1</sup>და შეკრიბა მოსემ ისრაელიანთა მთელი საზოგადოება და უთხრა მათ: ეს არის, რისი გაკეთება გვამცნო უფალმა სათქმელად: <sup>2</sup>ექვს დღეს აკეთეთ საქმე და მეშვიდე დღე წმიდა იყოს თქვენთვის, უფლის განსვენების შაბათი. ყველა, ვინც კი საქმეს გააკეთებს ამ დღეს, უნდა მოკვდეს.<sup>3</sup> ცეცხლს ნუ დაანთებთ თქვენს საცხოვრებლებში შაბათ დღეს.<sup>4</sup> და უთხრა მოსემ ისრაელიანთა მთელს საზოგადოებს სათქმელად: ეს არის, რაც გამომიცხადა უფალმა თქვენთვის სათქმელად: <sup>5</sup>გაიღეთ თქვენგან აღსამართავი უფლისათვის. ყველამ თავისი გულის სურვილით მიიტანოს უფლის აღსამართავი — ოქრო, ვერცხლი და სპილენძი,<sup>6</sup> და ლურჯი, და ძოწეული და ჭიაფერი ქსოვილი, და სელი და თხისური.<sup>7</sup> და დათრიმლული ტყავები, და თახაშის ტყავები და ურთხელის ძელები,<sup>8</sup> და ზეთი გასანათებლად, და სურნელებანი ცხების ზეთისათვის და საკმევლისათვის,<sup>9</sup> და ონიქსის თვლები და ეფოდისა და სამკერდულის მოსაოჭავი თვლები.<sup>10</sup> და ყოველი გულბრძენი, ვინც კი არის თქვენში, მოვიდეს და გააკეთოს ყველაფერი, რაც ამცნო უფალმა: <sup>11</sup>სავანე და მისი კარავი გადასახურავითურთ, მისი კაუჭები და კოჭები, მისი სვეტები და კვარცხლბეკები,<sup>12</sup> კიდობანი და მისი კეტები, სახურავი და ჩამოსაფარებელი ფარდა,

<sup>13</sup> ტაბლა და მისი კეტები, მთელი მისი ჭურჭელი და საწინაშეო პურები, <sup>14</sup> და სასანთლე გასანათებლად, და მისი მოწყობილობა და ლამპრები, და ზეთი გასანათებლად. <sup>15</sup> და საკმევლის სამსხვერპლო და მისი კეტები, და ცხების ზეთი და სურნელოვანი საკმეველი, და ჩამოსაფარებელი ფარდა სავანის შესასვლელისათვის, <sup>16</sup> სამსხვერპლო აღსავლენის სამსხვერპლო და მისი სპილენძის ცხაური, მისი კეტები და მისი მოწყობილობა, საბანელი და მისი კვარცხლბეკი, <sup>17</sup> ეზოს ფარდები თავისი სვეტებითა და კვარცხლბეკებითურთ, და ეზოს კარიბჭის ფარდა, <sup>18</sup> სავანის პალოები, და ეზოს პალოები მათი ბაგირებითურთ, <sup>19</sup> საწესო შესამოსელნი საწმიდარში მსახურებისათვის, წმიდა შესამოსელნი აარონ მღვდლისათვის და მის ძეთა შესამოსელნი სამღვდელმსახუროდ. <sup>20</sup> და გავიდა ისრაელიანთა მთელი საზოგადოება მოსესაგან. <sup>21</sup> და მივიდა ყოველი კაცი, ვისაც კი გულმა გაუწია და ვინც კი სულით აღიძრა, და მიიტანა უფლის აღსამართავი თავშეყრის კარვის მოსაწყობად, ყოველი მისი სამსახურისათვის და წმიდა შესამოსელისათვის.

<sup>22</sup> და მოდიოდნენ კაცები ქალებთან ერთად, სრული გულის სურვილით მოქონდათ დასამშვენებელი რგოლები, და საყურეები, და ბეჭდები, და ყელსაბამები, ყოველგვარი ოქროს ნივთი. თითოეულს თავისი წილი შესაწირავი ოქრო მიჰქონდა უფლისათვის. <sup>23</sup> და ყველას, ვისაც კი მოეპოვებოდა, მოქონდა ლურჯი, და ძოწეული და ჭიაფერი ქსოვილი და სელი, და თხისური, წითლად შეღებილი ცხვრის ტყავები და თახამის ტყავები. <sup>24</sup> ყველას, ვისაც კი სურდა ვერცხლისა და სპილენძის აღსამართად მიტანა უფლისათვის, ყველას, ვისაც კი მოეპოვებოდა ურთხელის ძელები რაიმე საქმისათვის გამოსაყენებლად, მოქონდა.

<sup>25</sup> და ყველა გულბრძენ და მარჯვე დედაკაცს, ვისაც კი ნართის რთვა შეეძლო თავისი ხელით, მოჰქონდა ლურჯი, და მეწამული და ჭიაფერის ნართი და სელი. <sup>26</sup> და ყველა დედაკაცი,

ვისაც კი გული უწევდა და გაწაფული იყო, ართავდა თხისურს. <sup>27</sup>და მთავრებს მოქონდათ ონიქსის თვლები და ეფოდისა და სამკერდულის მოსაოჭავი თვლები, <sup>28</sup>და ნელსურნელება, და ზეთი გასანათებლად, ცხების ზეთისათვის და სურნელოვანი საკმევლისათვის. <sup>29</sup>ყველა კაცსა და ქალს, ვისაც კი თავისი გული სთხოვდა, მიეტანა ყოველი საქმისათვის, რისი გაკეთებაც ამცნო უფალმა მოსეს პირით, უხვად მიქონდათ ისრაელიანებს ნებაყოფლობითი შესაწირავი უფლისათვის.

### ბეცალიელი – საგანის მშენებელი

<sup>30</sup>და უთხრა მოსემ ისრაელიანებს: ნახე, უფალმა მოუხმო სახელით ბეცალიელს, ძესა ურისა, ძისა ხურისა, იუდას შტოდან. <sup>31</sup>და აავსო იგი ღვთის სულით, სიბრძნით, გონებით, და ცოდნით და ყოველი ხელოვნებით, <sup>32</sup>რათა შეასრულოს ჩანაფიქრი, დაამუშავოს ოქრო, ვერცხლი და სპილენძი, <sup>33</sup>და გამოთალოს თვლები მოსაოჭავად, და გამოთალოს ხე ყოველი ხელოვნურ ნივთის შესაქმნელად. <sup>34</sup>და გულში ჩაუდო სხვათა დამოდღვრის უნარი, მას და ოჭოლიაბს, ახისამაქის ძეს, დანის შტოდან. <sup>35</sup>აავსო ისინი გულის სიბრძნით, რომ აკეთონ ხარატის და მქსოველის ყოველგვარი საქმე, ქარგონ ლურჯ, ძოწეულ და ჭიაფერ ქსოვილზე და სელზე, აკეთონ მქსოველის, ხელოვანის ყოველგვარი საქმე.

**36** <sup>1</sup>და შეუდგნენ საქმეს ბეცალიელი, და ოჭოლიაბი და ყველა გულბრძენი, რომელთაც მინიჭა უფალმა სიბრძნე და გონიერება საწმიდარისათვის საჭირო საგნების გასაკეთებლად, როგორც ამცნო უფალმა. <sup>2</sup>და მოუხმო მოსემ ბეცალიელს და ოჭოლიაბს და ყველა გულბრძენს, რომელსაც უფალმა ჩაუდო სიბრძნე გულში, და ყველას, ვისაც გული მიუწევდა შედგომოდა საქმეს და ემუშავა. <sup>3</sup>და მიიღეს მოსესაგან მთელი შემოწირულობა, რაც კი მოტანილი ჰქონდათ ისრაელიანებს საწმიდარისათვის განკუთვნილი ჭურჭლის გასაკე-

თებლად. და კვლავაც გულუხვად მოქონდათ მასთან ყოველ დილას.

### სავანის აღჭურვილობანი

<sup>4</sup>და მოვიდა ყველა ბრძენი, საწმიდრის ყოველგვარი საქმის მკეთებელი, თავ-თავისი საქმის მცოდნენი, ვის რისი გაკეთებაც შეეძლო. <sup>5</sup>და უთხრეს მოსეს სათქმელად: უფრო მეტი მოაქვს ხალხს, ვიდრე საქმისთვის არის საჭირო, რაც უფალმა ამცნო გასაკეთებლად. <sup>6</sup>და ამცნო მოსემ და გაავრცელეს ხმა ბანაკში: ნურც მამაკაცი, ნურც დედაკაცი ნულარაფერს გაამზადებს საწმიდრისათვის შესაწირავად. და შეწყვიტა ხალხმა მოტანა. <sup>7</sup>და რაც შემოტანილი იყო, საკმარისი აღმოჩნდა მთელი საქმის გასაკეთებლად, და ზედმეტიც იყო.

<sup>8</sup>და გააკეთა ყველა გულბრძენმა, რაც სავანისათვის ჰქონდათ გასაკეთებელი: გრეხილი სელის და ლურჯი, ძოწეული და ჭიაფერი ქსოვილის ათი ნაჭერი. ქერუბიმებიც ამოქარგეს ზედ. <sup>9</sup>თითოეული ფარდის სიგრძე ოცდარვა წყრთა იყო და თითოეული ფარდის სიგანე — ოთხი წყრთა. ყველა ნაჭერი ერთი ზომისა იყო. <sup>10</sup>ხუთი ფარდა ერთმანეთს გადააკერა. და მეორე ხუთი ფარდაც ერთმანეთს გადააკერა. <sup>11</sup>და გაუკეთა ლურჯი კილოები ერთ ფარდას ბოლო გადანაკერის კიდეზე. ასევე გაუკეთა მეორე ფარდას უკანასკნელი გადანაკერის კიდეზე. <sup>12</sup>ორმოცდაათი კილო გაუკეთა ერთ ფარდას და ორმოცდაათი კილო გაუკეთდა მეორე ფარდას ბოლო გადანაკერის კიდეზე ისე, რომ კილოები ერთმანეთს მისადაგებოდა. <sup>13</sup>და გააკეთა ორმოცდაათი ოქროს კაუჭი და გადააბა ერთმანეთს ფარდები კაუჭებით, და ერთი მთლიანი კარავი გამოვიდა. <sup>14</sup>და გააკეთა ფარდა თხისურისაგან სავანის გადასაფარებლად. თორმეტი ასეთი ფარდა გააკეთა. <sup>15</sup>ერთი ფარდის სიგრძე ოცდაათი წყრთა იყო და სიგანე ერთი ფარდისა — ოთხი წყრთა. ერთი ზომისა იყო დანარჩენი თერთმეტი ფარდა. <sup>16</sup>და ხუთი ფარდა

ცალკე გადააბა ერთმანეთს, ხუთი — ცალკე. <sup>17</sup> და გააკეთა ორმოცდაათი კილო ბოლო ფარდის კიდებზე, გადასაბმელთან, და ორმოცდაათი კილო გააკეთა მეორე გადასაბმელი ფარდის კიდებზე. <sup>18</sup> და გააკეთა ორმოცდაათი სპილენძის კაუჭი გადასაფარებლის გადასაბმელად, რომ ერთი მთლიანი გამოსულიყო. <sup>19</sup> და გაუკეთა გადასაფარებელს გადასახურავი დათრიმლული ტყავებისაგან და ზემოდან გადასახურავი თახაშის ტყავებისაგან. <sup>20</sup> და გაუკეთა ურთხელის ძელები სვეტებად სავანეს. <sup>21</sup> ათი წყრთა იყო ძელის სიგრძე, წყრთანახევარი იყო თითოეული ძელის სიგანე. <sup>22</sup> ორ-ორი რიკი ჰქონდა თითოეულ ძელს, ერთმანეთს მისადაგებული. ასე გაუკეთა სავანის ყველა ძელს. <sup>23</sup> და გაუკეთა სავანეს ძელები, ოცი ძელი სამხრეთით. <sup>24</sup> და ორმოცი ვერცხლის ფეხი დაუყენა ქვეშ ოც ძელს: ორი ფეხი ერთი ძელის ქვეშ მისი ორი რიკისათვის და ორი ფეხი მეორე ძელის ქვეშ მისი ორი რიკისათვის. <sup>25</sup> სავანის მეორე გვერდისათვის ჩრდილოეთის მხარეს გააკეთა ოცი ძელი. <sup>26</sup> და ორმოცი ვერცხლის ფეხი — ორი ფეხი ერთი ძელის ქვეშ, ორი ფეხი მეორე ძელის ქვეშ. <sup>27</sup> და სავანის უკანა მხარეს დასავლეთისაკენ გააკეთა ექვსი ძელი. <sup>28</sup> და ორი ძელი გააკეთა სავანის კუთხეებისათვის, უკანა მხარეს. <sup>29</sup> და შეერთებული იყო ქვემოდან და ზემოდან თითო რგოლით: ასე გააკეთა ორივესათვის ორსავე კუთხეში. <sup>30</sup> და იყო სულ რვა ძელი და თექვსმეტი ვერცხლის ფეხი. ორ-ორი ფეხი თითო ძელის ქვეშ. <sup>31</sup> და გააკეთა ურთხელის ლარტყები: ხუთი — სავანის ერთი გვერდის ძელებისათვის <sup>32</sup> და ხუთიც — სავანის მეორე გვერდის ძელებისათვის. ხუთიც — სავანის უკანა მხარის ძელებისათვის, დასავლეთით. <sup>33</sup> და გააკეთა შუათანა ლარტყი, რომელიც გასდევს ძელებს ერთი ბოლოდან მეორე ბოლომდე. <sup>34</sup> და ძელები ოქროთი მოჭედა, და რგოლები ოქროსაგან გააკეთა. აგრეთვე ლარტყების ჩასადგმელები. ლარტყებიც ოქროთი მოჭედა. <sup>35</sup> და გააკეთა ჩამოსაფარებელი ლურჯი, და ძოწეული და ჭიაფერი ქსოვილისაგან და გრებილი სელისაგან. ზედ ქერუბიმები ამოქარგა. <sup>36</sup> და გაუკეთა მას ურ-

თხელის ოთხი სვეტი ოქროს კაუჭებითურთ და ოქროთი მოჭედა. ჩამოსახა მათთვის ოთხი ვერცხლის ფეხი. <sup>37</sup> და გააკეთა მოხატული კრეტსაბმელი სავანის შესავლელისათვის ლურჯი, ძოწეული და ჭიაფერი ქსოვილისაგან და გრეხილი სელისაგან, <sup>38</sup> და ხუთი სვეტი კაუჭებითურთ. და ოქროთი მოჭედა მათი თავები და სალტეები, გააკეთა სპილენძის ხუთი ფეხი.

### მოწმობის კიდობანი

**37** <sup>1</sup> და გააკეთა ბეცალიელმა ურთხელისაგან კიდობანი. ორწყროთანახევარი იყო მისი სიგრძე, წყროთანახევარი სიგანე და წყროთანახევარი სიმაღლე. <sup>2</sup> და მოჭედა იგი ხალასი ოქროთი შიგნიდან და გარედან და ოქროს გვირგვინი შემოავლო გარშემო. <sup>3</sup> და ჩამოსახა მისთვის ოთხი ოქროს რგოლი მის ოთხსავე კუთხეებზე დასამაგრებელი: ორი რგოლი ერთ მხარეზე და ორი რგოლი მეორე მხარეზე. <sup>4</sup> და გააკეთა კეტები ურთხელისაგან და ოქროთი მოჭედა. <sup>5</sup> და გაუყარა კეტები რგოლებში კიდობნის გვერდებზე კიდობნის სატარებლად.

<sup>6</sup> და გააკეთა სახურავი ხალასი ოქროსაგან. სიგრძე ორწყროთანახევარი ჰქონდა, და სიგანე — წყროთანახევარი. <sup>7</sup> და გააკეთა ოქროს ორი ქერუბიმი, ოქროსაგან გამოჭედა ისინი, სახურავის ორსავე კიდეზე განალაგა, <sup>8</sup> ერთი ქერუბიმი ერთ კიდეზე, და მეორე ქერუბიმი მეორე კიდეზე. სახურავიდან გამოიყვანა ქერუბიმები ორსავე კიდეზე. <sup>9</sup> და ფრთები გაშლილი ჰქონდათ ქერუბიმებს და ფარავდნენ თავიანთი ფრთებით სახურავს, სახით ერთმანეთისაკენ იყვნენ მიქცეულნი, სახურავისაკენ ჰქონდათ მიქცეული სახეები.

### ტაბლა, სასანთლე და საკმევლის სამსხვერპლო

<sup>10</sup> და გააკეთა ტაბლა ურთხელისაგან. ორი წყროთა ჰქონდა და სიგრძე, და ერთი წყროთა სიგანე და ერთნახევარი წყროთა

სიგანე. <sup>11</sup>და ხალასი ოქროთი მოჭედა და ოქროს გვირგვინი შემოავლო გარშემო. <sup>12</sup>და გაუკეთა ირგვლივ ერთი მტკაველი კედელი და კედელსაც ოქროს გვირგვინი შემოავლო გარშემო.

<sup>13</sup>და ჩამოასხა მისთვის ოთხი ოქროს რგოლი და ოთხსავე კუთხეზე, ოთხ ფეხთან დაამაგრა. <sup>14</sup>კედელზე მიმაგრებული რგოლები კეტების გასაყრელი იყო, რომ ტაბლა ეტარებინათ. <sup>15</sup>და გააკეთა ურთხელის კეტები, ოქროთი მოჭედილი, ტაბლის სატარებლად. <sup>16</sup>და გააკეთა ტაბლის ჭურჭელი: თეფშები და კოვზები, და თასები და საღვრელის დასაღვრელი საწდეები ხალასი ოქროსაგან. <sup>17</sup>და გააკეთა სასანთლე ხალასი ოქროსაგან. ნაჭედი გააკეთა სასანთლე, მისი ღერო, მისი რტო, და მისი ჯამები, და მისი კოკრები და მისი ყვავილები ერთიანი იყო. <sup>18</sup>და ექვსი რტო გამოდიოდა მისი გვერდებიდან: სასანთლის სამი ღერო ერთი გვერდიდან და სასანთლის სამი ღერო მეორე გვერდიდან. <sup>19</sup>ნუშისებრი სამი ჯამი ერთ რტოზე, კოკორი და ყვავილი. ნუშისებრი სამი ჯამი მეორე რტოზე, კოკორი და ყვავილი. ასე ექვსსავე რტოზე, რომლებიც სასანთლიდან გამოდიან. <sup>20</sup>და სასანთლეზე ოთხი ნუშისებრი ჯამი, მისი კოკრები და მისი ყვავილები. <sup>21</sup>და ერთი კოკორი ორ რტოს ქვეშ და ერთი კოკორი ორ რტოს ქვეშ. ასე ექვსსავე რტოსათვის, რომლებიც სასანთლიდან გამოდიან. <sup>22</sup>მათი კოკრები და მათი რტოები მისგანვე იყო ნაკეთები. მთლიანად ჭედური იყო ერთიანი ხალასი ოქროსაგან. <sup>23</sup>და გაუკეთა შვიდი ლამპარი და მაშები და აქანდაზები ხალასი ოქროსაგან. <sup>24</sup>ერთი ქანქარი ხალასი ოქროსაგან გააკეთა ისიც და მთელი მისი ჭურჭელი. <sup>25</sup>და გააკეთა საკმევლის სამსხვერპლო ურთხელისაგან: ერთი წყრთა სიგრძე ჰქონდა, და ერთი წყრთა სიგანე, და ერთი წყრთა სიმაღლე. მისგანვე იყო ნაკეთები მისი რქები. <sup>26</sup>და მოჭედა ხალასი ოქროთი მისი სახურავი, მისი კედლები ირგვლივ და რქები, და ოქროს გვირგვინი გაუკეთა მას გარშემო. <sup>27</sup>და ორი ოქროს რგოლი მიამაგრა ქვემოდან სალტეს ორსავე გვერდზე, ორსავე მხარეს კეტების გასაყრელად, რათა ეტარე-

ბინათ სამსხვერპლო. <sup>28</sup> და გააკეთა კეტები ურთხელისაგან და ოქროთი მოჭედა. <sup>29</sup> და დაამზადა წმიდა ცხების ზეთი და სურნელოვანი, სუფთა საკმეველი, მენელსაცხებელთა ნახელავი.

### აღსავლენის სამსხვერპლო, საბანელი

**38** <sup>1</sup> და გააკეთა ურთხელისაგან აღსავლენის სამსხვერპლო, სიგრძით ხუთი წყრთა, და სიგანით ხუთი წყრთა, ოთხკუთხედი, და სიმაღლით სამი წყრთა. <sup>2</sup> და გაუკეთა რქები ოთხსავე კუთხეში — მისგანვე გამოდიოდა რქები — და სპილენძით მოჭედა. <sup>3</sup> და გააკეთა სამსხვერპლოს მთელი ჭურჭლეულობა: ქვაბები, და აქანდაზები, და სასხურებლები, ჩანგლები და მაშები, მთელი მისი ჭურჭელი სპილენძისაგან გააკეთა. <sup>4</sup> და გაუკეთა სამსხვერპლოს ცხაური, სპილენძისა, ბადის მაგვარი, ქვემოდან მის ნახევრამდე. <sup>5</sup> და ჩამოასხა ოთხი რგოლი სპილენძის ცხაურის ოთხივე კუთხისათვის კეტების გასაყრელად.

<sup>6</sup> და გააკეთა კეტები ურთხელისაგან და სპილენძით მოჭედა. <sup>7</sup> და გაუყარა კეტები რგოლებში სამსხვერპლოს გვერდებზე, რომ მისი ტარება შეძლებოდათ. ღრუ გააკეთა იგი ფიცრისაგან. <sup>8</sup> და გააკეთა სპილენძის საბანელი და მისი სპილენძის კვარცხლბეკი დედაკაცთა სარკეებისაგან, რომლებიც მოჭქონდათ მათ თავშეყრის კარვის შესავლელთან.

### ეზო

<sup>9</sup> და მოაწყო ეზო. სამხრეთის მხარეს ეზოს ფარდები გრეხილი სელისაგან იყო, ასი წყრთა. <sup>10</sup> მისი ოცი სვეტი და ოცი ფეხი სპილენძისაგან, და სვეტების კაუჭები და სამაგრები ვერცხლისაგან. <sup>11</sup> და ჩრდილოეთ მხარეს ასი წყრთა ფარდა, მისი ოცი სვეტი და ოცი ფეხი სპილენძისა, და სვეტების კაუჭები და სამაგრები ვერცხლისა. <sup>12</sup> და დასავლეთ მხარეს ორმოცდაათი წყრთა ფარდა, მისი ათი სვეტი და ათი ფეხი, და სვეტების კა-



უტები და მათი სამაგრები ვერცხლისა. <sup>13</sup> და აღმოსავლეთ მხარეს ორმოცდაათი წყრთა ფარდა. <sup>14</sup> თხუთმეტი წყრთა ფარდა ერთ ფრთაზე, მისი სამი სვეტი სამი ფეხითურთ.

<sup>15</sup> და მეორე ფრთისათვის ეზოს კარის ორსავე მხარეს, აქეთ და იქით თხუთმეტი წყრთა ფარდა. მისი სამი სვეტი სამი ფეხითურთ. <sup>16</sup> ეზოს ყველა ფარდა ირგვლივ გრეხილი სელისა იყო. <sup>17</sup> და სვეტების ფეხები სპილენძისა, სვეტების კაუტები და სამაგრები ვერცხლისა, თავები ვერცხლით მოჭედილი. და ეზოს ყველა სვეტი ვერცხლის სამაგრებით იყო დამაგრებული. <sup>18</sup> და ეზოს კარის ჩამოსათარებელი ლურჯი, ძოწისფერი და ჭიაფერი ქარგებიანი ქსოვილისა და გრეხილი სელისა იყო, სიგრძით ოცი წყრთა, სიმაღლით ხუთი წყრთა მთელს სიგანეზე, ეზოს ფარდების შესაბამისად. <sup>19</sup> მისი ოთხი სვეტი ოთხი ფეხითურთ სპილენძისა, და მისი კაუტები ვერცხლისა, და მათი თავები ვერცხლით მოჭედილი და მათი სამაგრები ვერცხლისა. <sup>20</sup> და სავანისა და ეზოს ირგვლივ ყველა პალო სპილენძისა იყო.

### სამუშაოთა ანგარიში

<sup>21</sup> ეს არის სავანის, მოწმობის სავანის ანგარიში, რომელიც ნაანგერიშევი იყო მოსეს ბრძანებით, ლევანთა მთელი სამუშაო ითამარ აარონის ძის, მღვდლის, ხელმძღვანელობით. <sup>22</sup> და ბეცალიელმა, ძემ სურისა, ძისა ხურისა, იუდას შტოდან, გააკეთა ყველაფერი, რაც ამცნო უფალმა მოსეს. <sup>23</sup> და მასთან ერთად ოჰოლიაბ ახისამაქის ძემ, დანის შტოდან, ხარატმა, მქსოველმა ლურჯი, ძოწისფერი და ჭიაფერი ქსოვილისა და სელისა. <sup>24</sup> მთელი ოქრო, რაც დაიხარჯა საწმიდრის ყველა საქმეზე, მთელი შემოწირული ოქრო ოცდაცხრა ქანქარი და შვიდას ოცდაათი შეკელი იყო, საწმიდრის შეკელით. <sup>25</sup> და ვერცხლი მთელი საზოგადოებისა, რაც დათვლილი იყო, შეადგენდა ას ქანქარს და ათას შვიდას სამოცდათხუთმეტ შეკელს, საწმიდრის შეკელით. <sup>26</sup> თითოეულისაგან ერთი ბეკაცი, ანუ

ნახევარი შეკელი, საწმიდრის შეკელით, ყველასაგან, ვინც კი აღრიცხული იყო ოცი წლის ასაკიდან ზემოთ, სულ ექვსას სამი ათას ხუთას ორმოცდაათი კაცისაგან. <sup>27</sup> და ასი ქანქარი ვერცხლი მოხმარდა საწმიდრის ფეხების და ფარდის ფეხების ჩამოსხმას — ასი ფეხი ასი ქანქარისაგან, თითო ქანქარი თითო ფეხისათვის. <sup>28</sup> და ათას შვიდას სამოცდათხუთმეტი შეკელი ვერცხლისაგან გააკეთა სვეტების კაუჭები და მოუჭედა თავები და სამაგრები გაუკეთა. <sup>29</sup> შემოწირული სპილენძი იყო სულ სამოცდაათი ქანქარი და ორიათას ოთხასი შეკელი. <sup>30</sup> და გააკეთა მისგან ფეხები თავშეყრის კარვის შესასვლელთან და სპილენძის სამსხვერპლო სპილენძისავე ცხაურითურთ და სამსხვერპლოს მთელი ჭურჭელი, <sup>31</sup> და ფეხები ეზოს ირგვლივ სვეტებისათვის და ეზოს კარის ფეხები, და საგანის ყველა პალო და ეზოს ირგვლივ ყველა პალო.

### საწესო შესამოსელი

**39** <sup>1</sup> და ლურჯი, ძოწისფერი და ჭიაფერი ქსოვილისაგან გააკეთეს საწესო შესამოსელი საწმიდარში მსახურებისათვის. წმიდა შესამოსელი გაუკეთეს აარონს, როგორც ამცნო უფალმა მოსეს. <sup>2</sup> და გააკეთა ეფოდი ოქროსაგან, ლურჯი, და ძოწისფერი და ჭიაფერი ქსოვილისაგან და გრეხილი სელისაგან.

<sup>3</sup> და გაგლინეს ოქროს ფირფიტები და ძაფებად დაჭრეს, რომ დაეტნიათ ლურჯ და ძოწისფერ და ჭიაფერ ქსოვილსა და სელს შორის. <sup>4</sup> გაუკეთეს მისამაგრებელი სამხრები. ორივე ბოლოთი იყო მიმაგრებული. <sup>5</sup> და მასზე შემოსართყმელი ზონარი იმავე მასალისა და მსგავსი ნახელავი — ოქროსაგან, ლურჯი, და ძოწისფერი და ჭიაფერი მატყლის ქსოვილისაგან და გრეხილი სელისაგან, როგორც ამცნო უფალმა მოსეს. <sup>6</sup> და გააკეთეს ოქროს ბუდეებში ჩასასმელი ონიქსის თვლები, რომლებზედაც ამოტვიფრული იყო ისრაელიანთა სახელები.

7 და განალაგა ისინი ეფოდის სამხრეებზე, ისრაელიანთა სამახსოვრო თვლები, როგორც ამცნო უფალმა მოსეს. 8 და გააკეთა სამკაული ამოქარგული ისევე, როგორც ეფოდი ოქროსაგან, ლურჯი, და ძოწისფერი და ჭიაფერი მატყლის ქსოვილისაგან და გრეხილი სელისაგან. 9 ოთხკუთხედი იყო იგი, ორკეცი გააკეთეს სამკერდული, სიგრძით ერთი მტკაველი და სიგანით ერთი მტკაველი, ორკეცი. 10 და ოთხრიგად გააწყვეს მასზე თვლები: ერთ რიგში ლალი, ტოპაზი და ზურმუხტი — პირველი რიგი. 11 და მეორე რიგი: ფირუზი, საფირონი და იასპი, 12 და მესამე რიგი: იაგუნდი, აქატი და ამეთვისტო. 13 და მეოთხე რიგი: ქრისოლითი, ონიქსი და ბერილი. შემოჩარჩოებულ თავ-თავის ოქროს ბუდეებში იყო ჩასმული. 14 და თვლები ისრაელიანთა სახელების მიხედვით იყო, თორმეტი, მათი სახელის მიხედვით. თორმეტივე ტომის სახელი იყო ამოტვიფრული. 15 და გაუკეთა სამკერდულს წნული ძეწკვი ხალასი ოქროსაგან. 16 და გააკეთა ორი ოქროს ბუდე და ორი ოქროს რგოლი, და მიამაგრა ორი რგოლი სამკერდულის ორსავე კიდეს. 17 და გაუყარა ორი ოქროს წნული ორ რგოლში სამკერდულის კიდეებზე. 18 და ორი წნული ძეწკვის ორი ბოლო მიამაგრა ორ ბუდეს და წინიდან მიაბა ისინი ეფოდის სამხრეებს. 19 და გააკეთა ორი ოქროს რგოლი და მიამაგრა სამკერდულის ორ კიდეს ნაპირზე, რომელიც ეფოდის შიდა მხარეს არის მოქცეული. 20 და გააკეთა ორი ოქროს რგოლი და მიამაგრა ეფოდის ორ სამხრეს ქვემოდან წინა მხარეს, შესაკრავთან, ეფოდის სარტყელს ზემოთ. 21 და გადააბეს სამკერდული მისი რგოლებით ეფოდის რგოლებს ლურჯი ძაფით, რომ ყოფილიყო ეფოდის სარტყელს ზემოთ და არ ასცდენოდა სამკერდული ეფოდს, როგორც ამცნო უფალმა მოსეს. 22 და გააკეთა ეფოდის მოსასხამი, ნაქსოვი მთლიანად ლურჯი ქსოვილისაგან. 23 და შუაში ამოჭრილი იყო მოსასხამი ჯაჭვის პერანგივით. ჭრილის კიდეს არშია გასდევდა, რომ არ შემორღვეულიყო. 24 და გააკეთეს მოსასხამის კალთებზე ბროწეულები ლურჯი, ძოწეული და ჭიაფერი გრეხილი ძაფებით.

<sup>25</sup> გააკეთეს ეჟვნები ხალასი ოქროსაგან და ჩამოჰკიდა ეჟვნები ბროწეულებს შორის მოსასხამის კალთებზე ირგვლივ, ბროწეულებს შორის. <sup>26</sup> ეჟვანი და ბროწეული მოსასხამის კალთებზე ირგვლივ, მსახურებისთვის, როგორც ამცნო უფალმა მოსეს. <sup>27</sup> და გააკეთეს კვართი სელისაგან, ნაქსოვი, აარონისათვის და მისი შვილებისათვის, <sup>28</sup> და თავსაბურველი სელისაგან, ქუდი სელისაგან და ტილოს შარვალი გრეხილი სელისაგან, <sup>29</sup> და სარტყელი გრეხილი სელისაგან და ლურჯი, და ძოწეული და ჭიაფერი ქსოვილისაგან ნაქარგი, როგორც ამცნო უფალმა მოსეს. <sup>30</sup> და გააკეთა ჯილა — სიწმიდის გვირგვინი — ხალასი ოქროსაგან და ამოტვიფრა მასზე წარწერა, როგორც ბექედზე: უფლის სიწმიდე. და გამოაბა მას ლურჯი ძაფი, რომ თავსაბურველზე მიემაგრებინა ზემოდან, როგორც ამცნო უფალმა მოსეს. <sup>32</sup> და დასრულდა სავანის თავშეყრის კარვის მთელი სამუშაო. ყველაფერი გააკეთეს ისრაელიანებმა, როგორც ამცნო უფალმა მოსეს, ისე გააკეთეს. <sup>33</sup> და მიუტანეს სავანე მოსეს, კარავი და მთელი მისი მოწყობილობა, მისი კაუჭები, მისი ძელები, და მისი ლარტყები, და მისი ფეხები, <sup>34</sup> და დათრიმლული ტყავის გადასაფარებლები, თახაშის ტყავის გადასაფარებელი, და კრეტსაბმელი. <sup>35</sup> და მოწმობის კიდობანი, მისი კეტები და სარქველი, <sup>36</sup> ტაბლა, მთელი მისი ჭურჭელი და საწინაშეო პური. <sup>37</sup> სუფთა სასანთლე და მისი ლამპრები, ჩასამწკრივებელი ლამპრები მთელი მათი მოწყობილობითურთ, და ზეთი გასანათებლად, <sup>38</sup> და ოქროს სამსხვერპლო, ცხების ზეთი, და სურნელოვანი საკმეველი, ჩამოსაფარებელი კარვის კარისათვის. <sup>39</sup> სპილენძის სამსხვერპლო და სპილენძის ცხაური, მისი კეტები და მთელი მისი მოწყობილობა, საბანელი და მისი კვარცხლბეკი, <sup>40</sup> ეზოს ფარდები, მისი სვეტები და მათი ფეხები, და ეზოს კარიბჭის ჩამოსაფარებელი, მისი ბაგირები, და მისი პალოები და ყოველი ჭურჭელი თავშეყრის კარვისათვის. <sup>41</sup> საწესო შესამოსელნი საწმიდარში მსახურებისათვის, წმიდა შესამოსელნი აარონ მღვდლისათვის და მის ძეთა შესამოსელნი

სამღვდელმსახუროდ. <sup>42</sup> როგორც ამცნო უფალმა მოსეს, ყველაფერი ისე გააკეთეს ისრაელიანებმა. <sup>43</sup> და ნახა მოსემ მთელი ნამუშევარი და აჰა, გაუკეთებიათ ყველაფერი, როგორც ამცნო უფალმა, ისე გაუკეთებიათ, და აკურთხა ისინი მოსემ.

### საწმიდარი აღმართულია და ნაკურთხია

**40** <sup>1</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>2</sup> პირველი თვის პირველ დღეს აღმართე სავანე, თავშეყრის კარავი. <sup>3</sup> და დადგი იქ მოწმობის კიდობანი და მოაფარე კრეტსაბმელი კიდობანს. <sup>4</sup> და შეიტანე ტაბლა და დააწყვე მასზე, რაც დასაწყობია. და შეიტანე სასანთლე და აანთე ლამპრები. <sup>5</sup> და დადგი ოქროს სამსხვერპლო საკმეველისათვის მოწმობის კიდობნის წინ და ფარდა ჩამოუფარე კარვის შესასვლელს. <sup>6</sup> და დადგი სამსხვერპლო აღსავლენისათვის სავანის, თავშეყრის კარვის შესასვლელთან. <sup>7</sup> და დადგი საბანელი თავშეყრის კარვისა და სამსხვერპლოს შორის და ჩაასხი შიგ წყალი. <sup>8</sup> და მოაწყვე გარშემო ეზო და ჩამოჰკიდე ფარდა ეზოს ტიშკართან. <sup>9</sup> და აიღე ცხების ბეთი და სცხე სავანეს და ყველაფერს, რაც მასშია. განწმიდე მთელი მისი ჭურჭელი და წმიდა იქნება. <sup>10</sup> და სცხე აღსავლენის სამსხვერპლოს და მთელს მის ჭურჭელს, განწმიდე სამსხვერპლო და წმიდათა წმიდა იქნება სამსხვერპლო. <sup>11</sup> და სცხე საბანელს და მის კვარცხლბეკს და განწმიდე იგი. <sup>12</sup> და მიიყვანე აარონი და მისი შვილები თავშეყრის კარვის შესასვლელთან და წყლით განბანე. <sup>13</sup> და შემოსე აარონი წმიდა შესამოსელით, და სცხე მას და განწმიდე იგი, რომ მღვდლობა გამიწიოს მე. <sup>14</sup> და მისი შვილებიც მიიყვანე და შემოსე ისინი კვართით. <sup>15</sup> და სცხე მათ, როგორც მათ მამას სცხე, რომ მღვდლობა გამიწიონ მე და იყოს მათთვის მათი ცხება საუკუნო მღვდლობისათვის თქვენს თაობებში. <sup>16</sup> და გააკეთა მოსემ ყველაფერი, როგორც ამცნო მას უფალმა, ისე გააკეთა. <sup>17</sup> და იყო, მეორე წლის პირველ თვეს, თვის პირველში აღმართა სავანე. <sup>18</sup> და აღმართა მოსემ სავანე, და

დადგა მისი ფეხები, და განაღება ძელები, და დაამაგრა ლარტყები და აღმართა სვეტები. <sup>19</sup> და გადაფინა გადასაფარებელი სავანეზე და გაუკეთა მას სარქველი ზემოდან, როგორც ამცნო უფალმა მოსეს. <sup>20</sup> და აიღო მოწმობა და ჩადო კიდობანში, და გაუყარა კეტები კიდობნის რგოლებში და თავი დაახურა კიდობანს. <sup>21</sup> და შეიტანა კიდობანი სავანეში, და ჩამოჰკიდა კრეტსაბმელი და დაფარა მოწმობის კიდობანი, როგორც ამცნო უფალმა მოსეს. <sup>22</sup> და დადგა ტაბლა თავშეყრის კარავში, სავანის ჩრდილო მხარეს, ფარდის გარეთ. <sup>23</sup> და დააწყო მასზე პური რიგის მიხედვით უფლის წინაშე, როგორც ამცნო უფალმა მოსეს. <sup>24</sup> და დადგა სასანთლე თავშეყრის კარავში ტაბლის პირდაპირ, სავანის სამხრეთ მხარეს. <sup>25</sup> და ანთო ლამპრები უფლის წინაშე, როგორც ამცნო უფალმა მოსეს. <sup>26</sup> და დადგა ოქროს სამსხვერპლო თავშეყრის კარავში, ფარდის წინ. <sup>27</sup> და აკმია მასზე სურნელოვანი საკმეველი, როგორც ამცნო უფალმა მოსეს. <sup>28</sup> და ჩამოჰკიდა კრეტსაბმელი სავანის შესასვლელთან. <sup>29</sup> და აღსავლენის სამსხვერპლო დადგა სავანის, თავშეყრის კარვის, შესასვლელთან და აღავლინა მასზე აღსავლენი და ძღვენი, როგორც ამცნო უფალმა მოსეს. <sup>30</sup> და დადგა საბანელი თავშეყრის კარავსა და სამსხვერპლოს შორის და ჩაასხა შიგ წყალი განსაბანად. <sup>31</sup> და განიბანდნენ მით მოსე და აარონი და მისი ძენი ხელებსა და ფეხებს. <sup>32</sup> როცა შევიდოდნენ თავშეყრის კარავში და მიუახლოვდებოდნენ სამსხვერპლოს, განიბანდნენ, როგორც ამცნო უფალმა მოსეს. <sup>33</sup> და აღმართა ეზო სავანისა და სამსხვერპლოს ირგვლივ და ჩამოჰკიდა ფარდა ეზოს ჭიშკარში და დაასრულა მოსემ სამუშაო.

### ღვთიური ღრუბელი

<sup>34</sup> და დაფარა ღრუბელმა თავშეყრის კარავი და უფლის დიდებამ აავსო სავანე.

<sup>35</sup> და ვერ შევიდა მოსე თავშეყრის კარავში, რადგან ღრუბელი იყო დავანებული მასზე და უფლის დიდებას აევსო სავანე.

<sup>36</sup> და როცა ასცილდებოდა ღრუბელი სავანეს, მაშინ დაიძრებოდნენ ისრაელიანები სამგზავროდ. <sup>37</sup> და თუ არ ასცილდებოდა ღრუბელი, არ დაიძრებოდნენ, ვიდრე არ ასცილდებოდა.

<sup>38</sup> რადგან უფლის ღრუბელი ადგა სავანეს დღისით, ღამ-ღამობით კი ცეცხლი ჩანდა შიგ მთელი ისრაელის სახლის თვალებში, მთელს მათ გზაზე.

# წიგნი ლევიანთა

## აღსავლენი მსხვერპლი

**1** <sup>1</sup> და მოუწოდა მოსეს უფალმა და ელაპარაკა მას თავშეყრის კარვიდან სათქმელად: <sup>2</sup> ელაპარაკე ისრაელიანებს და უთხარი მათ: თუ თქვენგან ვინმე შესაწირავს სწირავს უფალს, შინაური პირუტყვიდან — ხვასტაგიდან და ცხვირიდან შესწირეთ თქვენი შესაწირავი. <sup>3</sup> თუ აღსავლენია მისი შესაწირავი, ხვასტაგიდან შესწირავს მას, მამალს, საღს. თავშეყრის კარვის შესასვლელთან შესწირავს მას უფლის წინაშე მისი წყალობის მოსაპოვებლად. <sup>4</sup> და დაადებს ხელს აღსავლენს თავზე და მიეცემა წყალობა, რომ შეენდოს. <sup>5</sup> და დაკლავს მოზვერს უფლის წინაშე და შეწირავენ აარონიანი მღვდლები სისხლს და გარშემო ასხურებენ სისხლს სამსხვერპლოს, რომელიც თავშეყრის კარვის შესასვლელთანაა. <sup>6</sup> და გაატყავებენ აღსავლენს და წილობებად დაანაწილებენ. <sup>7</sup> და დაანთებენ ცეცხლს აარონიანი მღვდლები სამსხვერპლოზე და შეშას დააწყობენ ცეცხლზე. <sup>8</sup> დააწყობენ აარონიანი მღვდლები წილობებს, თავსა და ქონს შემაზე, რომელიც ცეცხლზეა, სამსხვერპლოზე. <sup>9</sup> და მისი შიგნეულს და კიდურებს წყალში გარეცხავს და აკმევს მღვდელი ყველაფერს სამსხვერპლოზე. *ეს არის* აღსავლენი, საცეცხლო მსხვერპლი კეთილსურნელებად უფლისათვის. <sup>10</sup> და თუ მისი შესაწირავი ცხვარი იქნება აღსავლენად, მამალს, საღს შესწირავს. <sup>11</sup> და დაკლავს მას სამსხვერპლოს ჩრდილო მხარეს უფ-



ლის წინაშე და გარშემო ასხურებს აარონიანი მღვდელი მის სისხლს სამსხვერპლოს. <sup>12</sup> და დაანაწილებს წილობებად და დააწყობს მღვდელი მის თავსა და ქონს შეშაზე, რომელიც ცეცხლზეა, სამსხვერპლოზე. <sup>13</sup> და შიგნეულს და კიდურებს წყალში გარეცხავს და შესწირავს მღვდელი ყველაფერს და სამსხვერპლოზე დაწვავს. ეს არის აღსავლენი, საცეცხლო მსხვერპლი, კეთილსურნელებად უფლისათვის. <sup>14</sup> და თუ უფლისათვის აღსავლენი შესაწირავი ფრინველია, გვრიტს ან მტრედის ხუნდებს შესწირავს შესაწირავად. <sup>15</sup> და შესწირავს მღვდელი სამსხვერპლოზე; თავს მოაცლის და დაწვავს სამსხვერპლოზე, მის სისხლს კი სამსხვერპლოს კედელს მიაწურავს. <sup>16</sup> და ბუმბულიანად მოაცლის ჩიჩახვს და სამსხვერპლოსთან დააგდებს, აღმოსავლეთით, სადაც ნაცარია. <sup>17</sup> და გადაუმტვრევს ფრთებს, არ მოაშორებს, და დაწვავს მღვდელი სამსხვერპლოზე, შეშაზე, რომელსაც ცეცხლი უკიდია. ეს არის აღსავლენი, საცეცხლო მსხვერპლი, კეთილსურნელებად უფლისათვის.

## მცენარეული შესაწირავი

**2** <sup>1</sup> და თუ ვინმე შესაწირავს სწირავს ძღვნად უფალს, გამტკიცული ფქვილი იყოს მისი შესაწირავი. დააღვრის ზეთს და საკმეველს დაადებს ზედ. <sup>2</sup> და მიუტანს აარონიან მღვდლებს, ერთ-ერთი მღვდელი სავსე მუჭით აიღებს ზეთიან ფქვილს საკმეველთან ერთად და აკმევს სამსხვერპლოზე შემახსენებელ ნაწილს. ეს არის საცეცხლო მსხვერპლი, კეთილსურნელებად უფლისათვის. <sup>3</sup> და რაც ამ შესაწირავს მორჩება, აარონსა და მის შვილებს ეკუთვნის, ეს წმიდათა წმიდაა უფლის საცეცხლო მსხვერპლიდან. <sup>4</sup> და თუ ღუმელში გამომცხვარს შესწირავ ძღვნად, გამტკიცული ფქვილისაგან იყოს ნამცხვრები, უსაფუარო, ზეთში აზელილი და კვერები უსაფუარო და ზეთნაცხები. <sup>5</sup> და თუ შენი შესაწირავი ტაფაზეა გამომცხვარი, ზეთში აზელილი გამტკიცული ფქვილისაგან, უსაფუარო უნდა იყოს. <sup>6</sup> და

დააქუცმაცე იგი და ზეთი დაღვარე ზედ. ეს არის ძღვენი. <sup>7</sup>და თუ მაყლიდან არის შენი ძღვენი, ზეთიანი გამტკიცული ფქვილისგან იყოს მომზადებული. <sup>8</sup>და მიუტანე ამგვარად მომზადებული ძღვენი უფალს. მიუტანე იგი მღვდელს და ის შესწირავს მას სამსხვერპლოზე. <sup>9</sup>და აღმართავს მღვდელი ძღვენიდან შემახსენებელ ნაწილს და აკმევს სამსხვერპლოზე. ეს არის საცეცხლო მსხვერპლი კეთილსურნელებად უფლისათვის. <sup>10</sup>და რაც ძღვენს გადარჩება, აარონს და მის შვილებს ეკუთვნის. ეს წმიდათა წმიდაა უფლის საცეცხლო მსხვერპლიდან. <sup>11</sup>არც ერთი ძღვენი, რომელსაც უფალს სწირავ, საფუარით არ იყოს მომზადებული, რადგან არც საფუარი, არც თაფლი არ უნდა დაიწვას საცეცხლო სმხვერპლად უფლისათვის. <sup>12</sup>როგორც პირველნაყოფთა შესაწირავი, ისე შესწირე უფალს და სამსხვერპლოზე არ აიტანო კეთილსურნელებად. <sup>13</sup>და ყოველი შესაწირავი, შენი ძღვენი, მარილით დაამარილე და არ დატოვო ძღვენი შენი ღვთის აღთქმის მარილის გარეშე, ყოველ შესაწირავზე მიიტანე მარილი. <sup>14</sup>და თუ პირველმოწეული ნაყოფებიდან შესწირავ უფალს ძღვენს, ცეცხლზე მოხალული თავთავი და ღერდილი შესწირე შენი პირველმოწეული ნაყოფებისაგან. <sup>15</sup>და დაღვარე ზეთი და დადე ზედ საკმეველი. ეს არის ძღვენი. <sup>16</sup>და აკმევს მღვდელი შემახსენებელ ნაწილს — დაღერდილ და ზეთიან მარცვლებს მთელი საკმეველითურთ. ეს არის საცეცხლო უფლისათვის.

### სამშვიდობო მსხვერპლი

**3** <sup>1</sup>და თუ სამშვიდობო მსხვერპლია მისი შესაწირავი: ხვასტაგიდან თუ სწირავს, მამალი იქნება თუ დედალი, საღს შესწირავს უფლის წინაშე. <sup>2</sup>და დაადებს ხელს თავის შესაწირავს და დაკლავს თავშეყრის კარვის შესასვლელთან, და მოასხურებენ სამსხვერპლოს ირგვლივ სისხლს აარონიანები. <sup>3</sup>და შესწირავს უფალს სამშვიდობო მსხვერპლიდან საცეცხ-

ლოდ: ქონს, რომელიც შიგნეულს აფენია, მთელ ქონს, რაც შიგნეულზეა, <sup>4</sup> და ორივე თირკმელს და ქონს, რომელიც აკრავს, რომელიც ფერდებზეა, და მოაცლის ქონის ფენას ღვიძლს და თირკმელებს. <sup>5</sup> და დაწვავენ მას აარონიანები სამსხვერპლოზე აღსავლენთან ერთად, რომელიც შეშის ზემოთ დევს, ცეცხლზე. ეს არის საცეცხლო მსხვერპლი კეთილსურნელებად უფლისათვის. <sup>6</sup> თუ ცხვრიდან არის მისი შესაწირავი, სამშვიდობო მსხვერპლად უფლისათვის, მამალი იქნება თუ დედალი, საღს შესწირავს. <sup>7</sup> და თუ ცხვარს სწირავს შესაწირავად, შესწირავს მას უფლის წინაშე. <sup>8</sup> და დაადებს ხელს თავის შესაწირავს თავზე და დაკლავს თავშეყრის კარვის შესასვლელთან, და მოასხურებენ სამსხვერპლოს ირგვლივ სისხლს აარონიანები. <sup>9</sup> და შესწირავს სამშვიდობო მსხვერპლიდან უფალს საცეცხლო მსხვერპლად: მის ქონს, და მთელ დუმას თეძოსთავამდე მოაცლის მას; ქონს, რომელიც შიგნეულს აფენია, მთელ ქონს, რაც შიგნეულზეა. <sup>10</sup> და ორივე თირკმელს და ქონს, რომელიც მათ აკრავს, რომელიც ფერდებზეა; და მოაცლის ქონის ფენას ღვიძლს და თირკმელებს. <sup>11</sup> და დაწვავს მღვდელი სამსხვერპლოზე. ეს არის პური, საცეცხლო მსხვერპლი უფლისათვის. <sup>12</sup> და თუ მისი შესაწირავი თხა არის, შესწიროს უფლის წინაშე. <sup>13</sup> და დაადებს ხელს თავზე და დაკლავს მას თავშეყრის კარვის შესასვლელთან, და მოასხურებენ აარონიანები მის სისხლს სამსხვერპლოს ირგვლივ. <sup>14</sup> და შესწირავს მისგან საცეცხლო მსხვერპლს უფალს: ქონს, რომელიც შიგნეულს აფენია და მთელი ქონს, რაც შიგნეულზეა, <sup>15</sup> ორივე თირკმელს და ქონს, რომელიც მათ აკრავს, რომელიც ფერდებზეა, მოაცლის ქონის ფენას ღვიძლს და თირკმელებს. <sup>16</sup> და დაწვავს მას მღვდელი სამსხვერპლოზე პურად, საცეცხლო მსხვერპლად, კეთილსურნელებად. მთელი ქონი უფლისაა. <sup>17</sup> ეს არის საუკუნო წესი თქვენი თაობებისთვის ყველგან, თქვენს საცხოვრებლებში. არავითარი ქონი და სისხლი არ შეჭამოთ.

## ცოდვის გამოსასყიდი მსხვერპლი მღვდელმთავრისთვის

**4** <sup>1</sup>და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>2</sup>ელაპარაკე ისრაელიანებს, რომ უთხრა: თუ ვინმე უნებურად შესცოდავს და დაარღვევს უფლის მცნებებს, აკრძალულს რასმე ჩაიდენს, <sup>3</sup>თუ ცხებული მღვდელი შესცოდავს და ხალხსაც დანაშაულში გარევეს, შესწიროს უფალს ცოდვის გამოსასყიდ მსხვერპლად სალი მოზვერი. <sup>4</sup>მიიყვანს მოზვერს თავშეყრის კარვის შესასვლელთან უფლის წინაშე და დაადებს ხელს თავზე და დაკლავს მოზვერს უფლის წინაშე. <sup>5</sup>და აიღებს ცხებული მღვდელი მოზვერის სისხლს და შეიტანს მას თავშეყრის კარავში. <sup>6</sup>და ამოაწებს თითს სისხლში და შვიდგზის მოასხურებს სისხლს წმიდის ფარდას უფლის წინაშე. <sup>7</sup>და ცხებს სისხლს მღვდელი უფლის წინაშე სურნელებათა საკმევი სამსხვერპლოს რქებს, რომელიც თავშეყრის კარავშია. და მოზვერის მთელ სისხლს დაღვრის აღსავლენი სამსხვერპლოს ძირას, თავშეყრის კარვის შესასვლელთან რომ არის. <sup>8</sup>და აართმევს ცოდვის გამოსასყიდ მოზვერს მთელ ქონს, რომელიც შიგნეულს აფენია და მთელ ქონს, რაც შიგნეულზეა, <sup>9</sup>ორივე თირკმელს და ქონს, რომელიც მათ აკრავს, რომელიც ფერდებზეა. მოაცლის ქონის ფენას ღვიძლსა და თირკმელებს, <sup>10</sup>როგორც ხარს, სამშვიდობო მსხვერპლს, აართმევენ ხოლმე, და დაწვავს მათ მღვდელი აღსავლენ სამსხვერპლობე. <sup>11</sup>და მოზვერის ტყავს, მთელ მის ხორცს, თავ-ფეხს, შიგნეულს და განავალს, <sup>12</sup>მთელ მოზვერს გაიტანს ბანაკის გარეთ სუფთა ადგილზე, სადაც ნაცარს ყრიან, და შეშაზე დაწვავს ცეცხლში. ნაცრის დასაყრელზე უნდა დაიწვას.

## ცოდვის გამოსასყიდი მსხვერპლი მთელი ისრაელისათვის

<sup>13</sup>და თუ მთელმა ისრაელის საზოგადოებამ შესცოდა უნებურად და ეს საქმე დაიფარა კრებულის თვალთაგან, უფ-

ლისაგან აკრძალულს გააკეთებენ და დააშავებენ, და <sup>14</sup>მერე ჩადენილი ცოდვა გამომჟღავნდება, მაშინ კრებული ცოდვის გამოსასყიდად მოზვერს შესწირავს, თავშეყრის კარვის წინაშე მიიყვანს მას. <sup>15</sup> და დაადებენ მოზვერს ხელს თავზე საზოგადოების უხუცესები უფლის წინაშე და დაკლავენ მოზვერს უფლის წინაშე. <sup>16</sup> და შეიტანენ ცხეხული მღვდლები მოზვერის სისხლს თავშეყრის კარავში. <sup>17</sup> და ამოაწიებს მღვდელი სისხლში თითს და შვიდგზის მოასხურებს ფარდებს უფლის წინაშე. <sup>18</sup> და ცხებს სისხლს სამსხვერპლოს რქებს, რომელიც უფლის წინაშე დგას, თავშეყრის კარავში, დანარჩენ სისხლს კი დაღვრის აღსავლენის სამსხვერპლოს ძირში, რომელიც თავშეყრის კარვის შესასვლელთან არის. <sup>19</sup> და აართმევს მთელ ქონს და სამსხვერპლოზე დაწვავს. <sup>20</sup> და გაამზადებს მოზვერს, როგორც ცოდვის გამოსასყიდი მოზვერი გაამზადა, ისე გაამზადებს და შენდობას გამოითხოვს მათთვის მღვდელი და მიეტევათ მათ. <sup>21</sup> და გაიტანს მოზვერს ბანაკის გარეთ და დაწვავს, როგორც ის პირველი მოზვერი დაწვა. ეს არის ცოდვის გამოსასყიდი მსხვერპლი.

**ცოდვის გამოსასყიდი მსხვერპლი  
თავკაცისათვის**

<sup>22</sup> და თუ თავკაცი ვინმე შესცოდავს — უფლის, თავისი ღვთის აკრძალულს რასმე ჩაიდენს უნებურად და დააშავებს, <sup>23</sup> და მერე მიხვდება თავის ცოდვას, რაც ჩაიდინა, მამალ, საღ თხას მიიყვანს შესაწირავად. <sup>24</sup> და დაადებს თხას თავზე ხელს და დაკლავს იმ ადგილზე, სადაც აღსავლენი იკვლება უფლის წინაშე. ეს არის ცოდვის გამოსასყიდი. <sup>25</sup> და აიღებს მღვდელი თითით ცოდვის გამოსასყიდის სისხლს და ცხებს აღსავლენის სამსხვერპლოს რქებს, დანარჩენ სისხლს კი აღსავლენის სამსხვერპლოს ძირში დაღვრის. <sup>26</sup> და მთელ მის ქონს სამსხვერპლოზე დაწვავს, როგორც სამშვიდობო მსხვერპლს, და შეუნდობს მღვდელი ცოდვას და მიეტევა მას.

**ცოდვის გამოსასყიდი მსხვერპლი  
რიგითი ისრაელიანისთვის**

<sup>27</sup>და თუ ვინმე უბრალო ხალხიდან უნებურად შესცოდავს, უფლისგან აკრძალულს რასმე ჩაიდენს და დააშავებს <sup>28</sup>და მერე მიხვდება თავის ჩადენილ ცოდვას, დედალის, სალი თხა შესწიროს ჩადენილი ცოდვის გამოსასყიდად. <sup>29</sup>და დაადებს თავზე ხელს ცოდვის გამოსასყიდს და დაკლავს ცოდვის გამოსასყიდის აღსავლენის ადგილას. <sup>30</sup>და აიღებს მღვდელი თითოთ სისხლს და ცხებს აღსავლენის სამსხვერპლოს რქებს, დანარჩენ სისხლს კი სამსხვერპლოს ძირში დაღვრის. <sup>31</sup>და აართმევს მთელ ქონს, როგორც ეცლება ქონი სამშვიდობო მსხვერპლს, და დაწვავს მას მღვდელი სამსხვერპლოზე კეთილსურნელებად უფლისათვის. და შეუნდობს მას მღვდელი და მიეტევება მას. <sup>32</sup>და თუ ცხვარს სწირავს ცოდვის გამოსასყიდად, დედალი, სალი შესწიროს. <sup>33</sup>და დაადებს თავზე ხელს ცოდვის გამოსასყიდს და დაკლავს ცოდვის გამოსასყიდად, როგორც აღსავლენი იკვლის. <sup>34</sup>და აიღებს მღვდელი თითოთ სისხლს და ცხებს აღსავლენის სამსხვერპლოს რქებს, დანარჩენ სისხლს კი სამსხვერპლოს ძირში დაღვრის. <sup>35</sup>და აართმევს მთელ ქონს, როგორც ეცლება ქონი სამშვიდობო მსხვერპლად შეწირულ ცხვარს, და დაწვავს მღვდელი სამსხვერპლოზე უფლის საცეცხლო მსხვერპლთან ერთად. და შეუნდობს მღვდელი ცოდვას, რაც სცოდა, და მიეტევება მას.

**ცოდვის გამოსასყიდი მსხვერპლი  
ზოგიერთი შემთხვევა**

**5** <sup>1</sup>და თუ ვინმემ შესცოდა იმით, რომ გაიგონა ფიცის ხმა და მოწმე იყო, გინა დაინახა, გინა იცოდა, მაგრამ არ გააცხადა, დამნაშავეა. <sup>2</sup>თუ ვინმე, ვინც თავისდა უნებურად შეეხება რაიმე ბინძურ საგანს: გინა ბინძური მხეცის მძორს, გინა ბინძური საქონლის მძორს, გინა ბინძური ქვემძრომის მძორს,

გაბინძურებულია და დამნაშავეა. <sup>3</sup> ან თუ უნებურად შეეხება რაიმე სიბინძურეს, რითაც ბინძურდება კაცი, და გაიგებს, დამნაშავეა. <sup>4</sup> და თუ ვისმე ბაგიდან წასცდება ფიცი ავზე ან კარგზე, ყველაფერზე, რაზეც კაცს წასცდება ხოლმე ფიცი და მიხვდება, რომ დამნაშავეა ერთ-ერთ ამათგანში, <sup>5</sup> და თუ დამნაშავეა ერთ-ერთ ამათგანში, აღიაროს, რომ ცოდვას მასზე, <sup>6</sup> და მიუყვანოს უფალს ჩადენილი ცოდვის გამოსასყიდი დედალი ცხვარი ან თხა, და მღვდელი შეუნდობს ცოდვას.

**ცოდვის გამოსასყიდი მსხვერპლი  
რიგითი ისრაელიანისათვის (გაგრძელება)**

<sup>7</sup> თუ ცხვარზე ხელი არ მიუწვდება, მიუყვანოს უფალს ჩადენილი დანაშაულის გამოსასყიდად ორი გვრიტი ან მტრედის ორი ხუნდი, ერთი ცოდვის გამოსასყიდად, მეორე აღსავლენად. <sup>8</sup> და მიუყვანს მათ მღვდელს და მღვდელი ჯერ ცოდვის გამოსასყიდს შესწირავს: კისერს გადაუგრებს, მაგრამ თავს არ მოაცლის. <sup>9</sup> და მიახხურებს ცოდვის გამოსასყიდის სისხლს სამსხვერპლოს კედელს და დანარჩენ სისხლს სამსხვერპლოს ძირში ჩაწურავს. ეს არის ცოდვის გამოსასყიდი. <sup>10</sup> მეორე აღსავლენად უნდა გაამზადოს წესისამებრ და შეუნდობს მღვდელი ცოდვას, რაც შესცოდა, და მიეტევა მას. <sup>11</sup> და თუ ხელი არ მიუწვდება ორ გვრიტზე და მტრედის ორ ხუნდზე, მიიტანს ცოდვის გამოსასყიდად ერთ მეთათედ ეფა გამტკიცულ ფქვილს. ნუ დაღვრის მასზე ზეთს და ნურც საკმეველს დადებს ზედ, რადგან ეს ცოდვის გამოსასყიდაა. <sup>12</sup> და მიუტანს მას მღვდელს. და აიღებს მისგან მღვდელი სავსე მუჭა შესახსენებელს და აკმევს სამსხვერპლოზე უფლის საცეცხლო მსხვერპლად. ეს არის ცოდვის გამოსასყიდი. <sup>13</sup> და შეუნდობს მღვდელი ცოდვას, რაც შესცოდა, და მიეტევა მას. და რაც დარჩება, მღვდელს ეკუთვნის, როგორც ძღვენი.



## ზიანის ანაზღაურება

<sup>14</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>15</sup> თუ ვინმე უპატიოსნოდ მოიქცევა და უნებურად შესცოდავს უფლის სიწმიდეთა მიმართ, დანაშაულის გამოსასყიდად შესწირავს უფალს ფარიდან გამოყვანილ საღ ვერძს, რამდენი შეკელიც ელირება (საწმიდარის შეკელის მიხედვით). <sup>16</sup> და რა სიწმიდესაც შესცოდა, ზღავს და მის მეხუთედსაც დაუმატებს და მისცემს მღვდელს და მღვდელი შეუნდობს მას გამოსასყიდი ვერძით და მიეტევება მას. <sup>17</sup> თუ ვინმე უნებურად შესცოდავს, ჩაიდენს უფლის მცნების საწინააღმდეგოს რასმე, რისი გაკეთებაც არა ხამს, დადანაშაულდება და ცოდვა დაედება, <sup>18</sup> მიუყვანოს მღვდელს ცოდვის გამოსასყიდად საღი ვერძი ფარიდან, რაც უნდა ღირდეს, და შეუნდობს მღვდელი ცოდვას, რომელიც განუზრახველად და უნებურად ჰქონდა ჩადენილი, და მიეტევება. <sup>19</sup> ეს არის დანაშაულის გამოსასყიდი, რა დანაშაულიც ჩაიდინა უფლის წინაშე. <sup>20</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>21</sup> თუ ვინმე შესცოდავს და უპატიოსნოდ მოიქცევა უფლის მიმართ — უარს იტყვის თავის მეზობელს შესანახად მიბარებულზე და მითვისებულზე, ან წართმეულზე, ან რამეს გამოსტყუებს თავის მეზობელს, <sup>22</sup> ან იპოვნის დაკარგულს, მაგრამ იუარებს, ცრუდ დაიფიცავს რაიმეზე, რასაც ადამიანი აკეთებს და სცოდავს; <sup>23</sup> და როცა შესცოდავს და ბრალი დაედება, დააბრუნოს წართმეული, რაც წაართვა, ან გამოტყუებული, რაც გამოსტყუა, ან მიბარებული, რაც მიიბარა, ან დაკარგული, რაც იპოვნა; <sup>24</sup> ან რაზეც ცრუდ დაიფიცა, და სრულად ზღოს თავნი და მისი მეხუთედიც დაუმატოს ზედ. მისცეს პატრონს ბრალდების დღესვე. <sup>25</sup> და დანაშაულის გამოსასყიდად მიუყვანოს მღვდელს უფლისათვის საღი ვერძი ფარიდან, დანაშაულის კვალობაზე, <sup>26</sup> და შეუნდობს მას მღვდელი უფლის წინაშე და მიეტევება მას ყოველი დანაშაული, რაც კი ჩადენილი აქვს.



**სამღვდელი მსახურება  
აღსავლენი მსხვერპლი**

**6** <sup>1</sup>და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>2</sup>ამცნე აარონს და მის შვილებს: ეს არის-თქო აღსავლენის წესი: სამსხვერპლოზე იდოს აღსავლენი მთელი ღამე დილამდე. სამსხვერპლოს ცეცხლი ენთოს იქ. <sup>3</sup>და შეიმოსოს მღვდელმა თავისი სელის შესამოსელი და შიშველ ტანზე სელის საცვალი ჩაიცვას, გადმოიღოს ნაცარი, რომელიც სამსხვერპლოზე დარჩა აღსავლენის დაწვის შემდეგ, და სამსხვერპლოს გვერდით დაყაროს. <sup>4</sup>და გამოიცვალოს შესამოსელი და ბანაკის გარეთ, სუფთა ადგილზე გაიტანოს ნაცარი. <sup>5</sup>და ცეცხლი ენთოს სამსხვერპლოზე, არ ჩაქრეს. და შეუკეთოს მღვდელმა ყოველ დილას შეშა და აღსავლენი დააწყოს ზედ. და დაწვას მასზე სამშვიდობო მსხვერპლის ქონი. <sup>6</sup>მუდმივი ცეცხლი ენთოს სამსხვერპლოზე, არ ჩაქრეს.

**სამღვდელი მსახურება  
მცენარეული შესაწირავი — ძღვენი**

<sup>7</sup>ეს არის ძღვენის რჯული: შესწირონ იგი აარონიანებმა უფლის წინაშე სამსხვერპლოს წინა მხარეს. <sup>8</sup>და აღმართოს მისგან მუჭით განმტკიცული ფქვილიდან *მცენარეული* ძღვენი, და ზეთიდან და მთელი საკმეველი, ძღვენს ზემოთ რომ არის, და უკმიოს სამსხვერპლოზე უფალს კეთილსურნელებად, შესახსენებელი *ნაწილი*. <sup>9</sup>და რაც მისგან დარჩება, აარონმა და მისმა შვილებმა შეჭამონ. უფუვრად უნდა შეიჭამოს წმიდა ადგილზე, თავშეყრის კარვის ეზოში უნდა შეჭამონ. <sup>10</sup>საფუარიანი არ უნდა გამოცხვეს. ამას ვაძღვევ მათ წილად საცეცხლო მსხვერპლიდან. ეს წმიდათა წმიდაა, როგორც ცოდვისა და დანაშაულის გამოსასყიდი. <sup>11</sup>ყოველმა მამაკაცმა აარონიანთაგან შეჭამოს. ეს გქონდეთ თქვენს თაობებში საუკუნო არჩევად უფლის საცეცხლო მსხვერპლიდან. ყველაფერი, რაც მას მიეკარება, წმიდაა. <sup>12</sup>ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად:

<sup>13</sup>ეს არის აარონის და მისი შვილების შესაწირავი, რომელიც უნდა შესწირონ უფალს მისი ცხების დღეს: მეათედი ეფა გამტკიცული ფქვილი მუდმივ ძღვენად, ნახევარი დილისთვის, ნახევარი სალამოსთვის. <sup>14</sup>ტაფაზე ზეთში უნდა მომზადდეს, მოზელილი უნდა მოიტანო, ნამცხვრის წილობებად უნდა შესწიროს უფალს კეთილსურნელებად. <sup>15</sup>მღვდელმა, ცხებულმა, ან ვინმემ მის შვილთაგან მის მაგივრად შეასრულოს ეს საუკუნო წესი უფლისთვის. მთლიანად უნდა დაიწვას. <sup>16</sup>მღვდლის მთელი ძღვენი მთლიანად იყოს, არ შეიჭამოს.

### სამღვდლო მსახურება

#### ცოდვის გამოსასყიდი

<sup>17</sup>და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>18</sup>ელაპარაკე აარონს და მის შვილებს: აჰა, ეს არის ცოდვის გამოსასყიდის რჯული: იმ ადგილას, სადაც აღსავლენი იკვლება, დაიკლას უფლის წინაშე ცოდვის გამოსასყიდი. ეს წმიდათა წმიდაა. <sup>19</sup>მღვდელმა, რომელიც სწირავს ცოდვის გამოსასყიდს, უნდა შეჭამოს იგი, წმიდა ადგილას შეიჭამოს, თავშეყრის კარვის ებოში. <sup>20</sup>ყველა, ვინც იმ ხორცს მიეკარება, წმიდაა. თუ სისხლი მიესხურება სამოსელს, სხურებული წმიდა ადგილზე გარეცხე. <sup>21</sup>თიხის ჭურჭელი, რომელშიც იგი მოიხარშა, უნდა დაიმტვრეს. თუ სპილენძის ჭურჭელში მოიხარშა, უნდა გაიხეხოს და წყლით გაირეცხოს. <sup>22</sup>ყველა მამაკაცმა სამღვდლოთაგან ჭამოს — წმიდათა წმიდაა იგი. <sup>23</sup>ცოდვის გამოსასყიდი არც ერთი მსხვერპლი, რომლის სისხლი თავშეყრის კარავში შეაქვთ საწმიდარში შესანდობად, არ შეიჭამოს, ცეცხლში დაიწვას.

### სამღვდლო მსახურება

#### ზიანის ანაზღაურება

**7** <sup>1</sup>ეს არის დანაშაულის გამოსასყიდის რჯული, წმიდათა წმიდაა იგი. <sup>2</sup>სადაც აღსავლენი იკვლის, იმ ადგილზე უნდა დაიკლას დანაშაულის გამოსასყიდიც და მისი სისხლი

ირგვლივ მოესხუროს სამსხვერპლოს. <sup>3</sup> და შესწიროს მისგან მთელი ქონი, დუმა და ქონი, რომელიც შიგნეულს აფენია. <sup>4</sup> ორივე თირკმელი და ქონი, რომელიც მათ აკრავს, რომელიც ფერდებზეა, და ქონის ფენა ღვიძლზე და თირკმელებზე მოაცალოს. <sup>5</sup> და დაწვას ისინი მღვდელმა სამსხვერპლოზე საცეცხლო მსხვერპლად უფლისათვის. ეს არის დანაშაულის გამოსასყიდი. <sup>6</sup> ყოველმა მამაკაცმა მღვდელთაგან ჭამოს იგი, წმიდა ადგილზე ჭამონ. წმიდათა წმიდაა იგი.

**სამღვდლო მსახურება  
მღვდლის უფლებები**

<sup>7</sup> ერთი რჯული აქვს ცოდვის გამოსასყიდს და დანაშაულის გამოსასყიდს: იგი ეკუთვნის მღვდელს, რომელიც მისი მეოხებითაც შეუნდობს. <sup>8</sup> და ტყავი აღსავლენისა, რომელიც მიჰყავთ მღვდელთან, ეკუთვნის მღვდელს, აღსავლენის შემწირველს; <sup>9</sup> და ყოველი ძღვენი, რომელიც ცხვება თონეში და ყველაფერი, რაც მაყალზე ან ტაფაზე მზადდება, ეკუთვნის მღვდელს, რომელიც სწირავს მას. <sup>10</sup> და ყოველი ძღვენი, ზეთში აზელილი თუ მშრალი, ყველას ეკუთვნის აარონიანთაგან, როგორც ერთს, ისე მეორეს.

**სამღვდლო მსახურება  
სამშვიდობო მსხვერპლი**

<sup>11</sup> ეს არის რჯული სამშვიდობო მსხვერპლისა, რომელსაც სწირავს კაცი უფალს. <sup>12</sup> თუ სამადლობელოს სწირავს, შესწიროს მღვდლობის მსხვერპლად ზეთში აზელილი უსაფუარო ნამცხვრები, ზეთწაცხებული უსაფუარო კვერები და ზეთით გაჟღენთილი გამტკიცული ფქვილი, ზეთში აზელილი ნამცხვრები. <sup>13</sup> ნამცხვრებს გარდა შესწიროს საფუარიანი პური თავის შესაწირავად მადლობის სამშვიდობო მსხვერპლთან ერთად.

<sup>14</sup> ერთი ნაწილი თითოეული შესაწირავიდან უფლისადმი აღსამართავი იყოს. იგი ეკუთვნის მღვდელს, რომელიც ასხურებს სამშვიდობო მსხვერპლის სისხლს. <sup>15</sup> სამშვიდობო მსხვერპლის ხორცი შეწირვის დღეს უნდა შეიტამოს, დილისთვის არ უნდა დარჩეს.

### ნებაყოფლობითი შესაწირავი

<sup>16</sup> თუ მისი შესაწირავი აღთქმული ან ნებაყოფლობითი მსხვერპლია, შეწირვის დღეს შეიტმება იგი. რაც მორჩება, მეორე დღესაც შეიძლება შეიტამოს. <sup>17</sup> მსხვერპლის ხორციდან, რაც მესამე დღეს მორჩება, ცეცხლში უნდა დაიწვას.

### ზოგადი წესები

#### სიწმიდის ჭამის წესი

<sup>18</sup> თუ სამშვიდობო მსხვერპლის ხორციდან მესამე დღეს შეჭამს, არ იქნება სათნო: არაფრად ჩაეთვლება მის შემწირველს, სიბილწე იქნება ეს და ცოდვა დაედება მის მჭამელს. <sup>19</sup> ხორცი, რომელიც რამე ბინძურს მიეკარება, არ იჭმევა, ცეცხლში უნდა დაიწვას. მხოლოდ სუფთას შეუძლია შეჭამოს. <sup>20</sup> თუ ვინმე ბინძურობისას შეჭამს უფლის სამშვიდობო მსხვერპლის ხორცს, უნდა მოიკვეთოს თავისი ხალხიდან. <sup>21</sup> თუ ვინმე ბინძურს რასმე შეეხება, იქნება ეს ადამიანის სიბინძურე, ბინძური პირუტყვი, გინა რაიმე ბინძური ქვემძრომი, და შეჭამს უფლის სამშვიდობო მსხვერპლის ხორცს, უნდა მოიკვეთოს თავისი ხალხიდან. <sup>22</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>23</sup> ელაპარაკე ისრაელიანებს: არ ჭამოთ არც ხარის, არც ცხვრის, და არც თხის ქონი, <sup>24</sup> ლეშის ქონი და ნამხეცავის ქონი გამოიყენეთ ყველა საქმეში, ჭამით კი არ ჭამოთ. <sup>25</sup> რადგან ვინც შეჭამს პირუტყვის ქონს, რომელიც შეწირულია საცეცხლოდ უფლისადმი, მოიკვეთება თავისი ხალხიდან. <sup>26</sup> არსად არ ჭამოთ თქვენს საცხოვ-

რებლებში არავითარი სისხლი, არც ფრინველისა და არც პირუტყვისა. <sup>27</sup> ყველა, ვინც კი შეჭამს რაიმე სისხლს, მოიკვეთება თავისი ხალხიდან.

### სამღვდელი წილი

<sup>28</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>29</sup> ელაპარაკე ისრაელიანებს: უფლისათვის თავისი სამშვიდობო მსხვერპლის შემწირველმა მიუტანოს თავისი შესაწირავი უფალს სამშვიდობო მსხვერპლიდან. <sup>30</sup> საკუთარი ხელით მიუტანოს უფალს საცეცხლო მსხვერპლი: ქონი მკერდთან ერთად მიუტანოს, რომ შეარხიოს მკერდი შესარხეველ მსხვერპლად უფლის წინაშე. <sup>31</sup> და დაწვას მღვდელმა ქონი სამსხვერპლოზე, მკერდი კი აარონისა და მისი შვილებისაა. <sup>32</sup> მარჯვენა ბეჭი თქვენი სამშვიდობო შესაწირავიდან მიეცი მღვდელს აღსამართავად. <sup>33</sup> ვინც სამშვიდობო მსხვერპლის სისხლს და ქონს სწირავს აარონიანთაგან, მას ეკუთვნის წილად მარჯვენა ბეჭი. <sup>34</sup> რადგან შესარხეველი მკერდი და აღსამართავი ბეჭი გამოვართვი ისრაელიანებს მათი სამშვიდობო მსხვერპლიდან და დავუწესე აარონს და მის შვილებს საუკუნო არჩევად ისრაელიანთაგან. <sup>35</sup> ეს არის წილი აარონისა და წილი მისი შვილებისა უფლისათვის შეწირული საცეცხლოდან მას შემდეგ, რაც წარდგენილ იქნენ ისინი სამღვდელიოდ უფლის წინაშე, <sup>36</sup> რომელიც დააწესა უფალმა მათთვის მისაცემად ისრაელიანთაგან მათი ცხების დღეს. ეს არის საუკუნო წესი მათ თაობებში. <sup>37</sup> ეს არის რჯული აღსავლენისათვის, ძღვნისათვის, ცოდვისათვის, დანაშაულისათვის, ხელავსებისათვის და სამშვიდობო მსხვერპლისათვის, <sup>38</sup> რომელიც დაუწესა უფალმა მოსეს სინაის მთაზე, როდესაც ამცნო ისრაელიანებს, რომ სინაის უდაბნოში მსხვერპლი შეეწირათ უფლისათვის.

**მღვდლად კურთხევის რიტუალები**

**8** <sup>1</sup>და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>2</sup>წაიყვანე აარონი და მისი შვილები მასთან ერთად, აიღე შესამოსელი, ცხების ზეთი, ცოდვის გამოსასყიდი მოზვერი, ორი ვერძი და ერთი კალათა ხმიადი. <sup>3</sup>და შეჭყარე მთელი საზოგადოება თავშეყრის კარვის შესასვლელთან. <sup>4</sup>და გააკეთა მოსემ, როგორც უფალმა ამცნო, და შეჭყარა მთელი საზოგადოება თავშეყრის კარვის შესასვლელთან. <sup>5</sup>და უთხრა მოსემ საზოგადოებას: აი, რას გვიბრძანებს უფალი გასაკეთებლად. <sup>6</sup>მიიყვანა მოსემ აარონი და მისი შვილები და წყლით დაბანა ისინი. <sup>7</sup>და ჩააცვა კვართი, შემოარტყა სარტყელი, მოახსა მოსასხამი, გადააცვა ეფოდი, შემოარტყა ეფოდის სარტყელი და დაუმაგრა ეფოდი. <sup>8</sup>და გაუკეთა გულისპირი და გულისპირზე ურიმი და თუმიმი მიუმაგრა. <sup>9</sup>და დაადგა თავზე მიტრა და მიტრაზე წინა მხრიდან მიუმაგრა ოქროს ჯილა, სიწმიდის გვირგვინი, როგორც ამცნო უფალმა მოსეს. <sup>10</sup>და აიღო მოსემ ცხების ზეთი და სცხო საგანეს და ყველაფერს, რაც მასში იყო, და განწმიდა. <sup>11</sup>და ასხურა სამსხვერპლოს შვიდგზის და სცხო სამსხვერპლოს და მთელს ტურტელს, საბანელს და მის კვარცხლბეკს მათ განსაწმედად. <sup>12</sup>და დააღვარა ცხების ზეთი თავზე აარონს და სცხო მას განსაწმედად. <sup>13</sup>და მიიყვანა მოსემ არონიანები და შემოსა ისინი კვართით, შემოარტყა სარტყელი და მოახვია თავსაბურავი, როგორც ამცნო უფალმა მოსეს. <sup>14</sup>და მოიყვანა ცოდვის გამოსასყიდი მოზვერი და დაადეს თავზე ხელები აარონმა და მისმა შვილებმა ცოდვის გამოსასყიდ მოზვერს. <sup>15</sup>და დაკლა მოსემ და მოიღო სისხლი და ცხო ირგვლივ სამსხვერპლოს რქებს თითებით და მოჭხოცა ცოდვა სამსხვერპლოს. დანარჩენი სისხლი კი დაღვარა სამსხვერპლოს ძირში და განწმიდა, რათა შენდობოდა. <sup>16</sup>და აიღო მთელი ქონი, რაც შიგნეულზე იყო, ღვიძლის ბადექონი, ორივე თირკმელი და მათი ქონი და დაწვა ისინი მოსემ სამსხვერპლოზე. <sup>17</sup>და მოზგ-

რის ტყავი, მისი ხორცი და მისი განავალი ცეცხლში დაწვა ბანაკის გარეთ, როგორც ამცნო უფალმა მოსეს. <sup>18</sup> და მოიყვანა აღსავლენი ვერძი და დაადეს თავზე ხელები აარონმა და მისმა შვილებმა ვერძს. <sup>19</sup> და დაკლა იგი მოსემ და მისი სისხლი სამსხვერპლოს მოასხურა ირგვლივ. <sup>20</sup> და ასო-ასო აქნა ვერძი და დაწვა მოსემ მისი თავი, ნაჭრები და ქონი. <sup>21</sup> და შიგნეული და კიდურები წყალში გარეცხა მოსემ და დაწვა მთელი ვერძი სამსხვერპლოზე. ეს არის აღსავლენი კითილსურნელება. ეს არის საცეცხლო მსხვერპლი უფლისათვის. <sup>22</sup> და მოიყვანა მოსემ მეორე ვერძი, ხელავსების ვერძი, და დაადეს თავზე ხელები აარონმა და მისმა შვილებმა ვერძს. <sup>23</sup> და დაკლა მოსემ და მოიღო მისი სისხლიდან და სცხო აარონს მარჯვენა ყურის ბიბილოზე, მარჯვენა ხელის ცერზე და მარჯვენა ფეხის ცერზე. <sup>24</sup> და მოიყვანა აარონიანები და სცხო მათაც სისხლი მარჯვენა ყურის ბიბილოზე, მარჯვენა ხელის ცერზე და მარჯვენა ფეხის ცერზე. დანარჩენი სისხლი კი მოასხურა მოსემ სამსხვერპლოს ირგვლივ. <sup>25</sup> და აიღო ქონი, დუმა, შიგნეულის მთელი ქონი, ღვიძლის ბადექონი, ორივე თირკმელი და მათი ქონი და მარჯვენა ბეჭი, <sup>26</sup> და ხმიადის კალათიდან, რომელიც უფლის წინაშე იყო, აიღო ერთი უსაფუარო ნამცხვარი, ერთი ბეთიანი ნამცხვარი, ერთი კვერი და ქონებზე და მარჯვენა ბეჭზე დააწყო ისინი. <sup>27</sup> და დაუწყო ხელებზე აარონს და მის შვილებს და შეარხია ისინი უფლის წინაშე შესარხეველ მსხვერპლად. <sup>28</sup> და აიღო ისინი მოსემ მათი ხელიდან და დაწვა სამსხვერპლოზე აღსავლენთან ერთად. ეს არის ხელავსების შესაწირავი კითილსურნელება. ეს არის საცეცხლო მსხვერპლი უფლისათვის. <sup>29</sup> და აიღო მოსემ მკერდი და შეარხია იგი შესარხეველ მსხვერპლად უფლის წინაშე. ხელავსების ვერძიდან წილი ჰქონდა მოსეს, როგორც როგორც ამცნო უფალმა მოსეს. <sup>30</sup> და აიღო მოსემ ცხების ბეთი და სისხლი, რომელიც სამსხვერპლოზე იყო, და შესამოსელზე ასხურა აარონს და მის შვილებს. და განწმიდა აარონი და მისი შესამოსელი, და აარონის შვილები

და მათი შესამოსელი. <sup>31</sup> და უთხრა მოსემ აარონს და მის შვილებს: მოხარშეთ ხორცი თავშეყრის კარვის შესასვლელთან და იქ ჭამეთ ხორცი და პური, რომელიც ხელავსების კალათშია, როგორც გამცნეთ, აარონმა მისმა შვილებმა ჭამონ-მეთქი. <sup>32</sup> და მორჩენილი ხორცი და პური ცეცხლში დაწვით. <sup>33</sup> და არ მოსცილდეთ თავშეყრის კარვის შესასვლელს შვიდ დღეს, სანამ თქვენი ხელავსების დღეები არ გასრულდება, რადგან შვიდ დღეს უნდა ივსებოდეს თქვენი ხელი. <sup>34</sup> როგორც დღეს გაკეთდა, ასე ამცნო უფალმა, რომ გაკეთებულიყო თქვენს შესანდობად. <sup>35</sup> და თავშეყრის კარვის შესასვლელთან იყავით დღისით და ღამით, შვიდ დღეს, და შეასრულეთ უფლის სამსახური, რომ არ დაიხოცოთ, რადგან ასე გამცნეთ. <sup>36</sup> ყველაფერი ისე გააკეთეს აარონმა და მისმა შვილებმა, როგორც ამცნო უფალმა მოსეს ხელით.

### მღვდლის ფუნქციები

**9** <sup>1</sup> და იყო მერვე დღეს, უხმო მოსემ აარონს, მის შვილებს და ისრაელის უხუცესებს. <sup>2</sup> და უთხრა აარონს: აიყვანე ხბო, მოზვერი, ცოდვის გამოსასყიდად და ვერძი აღსავლენად, საღნი, და შესწირე უფლის წინაშე. <sup>3</sup> და ისრაელიანებს ელაპარაკე, რომ უთხრა: აიყვანეთ თხა ცოდვის გამოსასყიდად, ხბო და კრავი, წელგამოვლილნი, საღნი, აღსავლენად, <sup>4</sup> ხარი და ვერძი სამშვიდობოდ, მსხვერპლად უფლის წინაშე, და ძღვენი, ზეთში აბელილი, რადგან დღეს გამოგეცხადებათ უფალი. <sup>5</sup> და მოიყვანეს თავშეყრის კარვის წინ ყოველივე, რაც მოსემ ამცნო, და ახლოს მოდგა მთელი საზოგადოება და გაჩერდა უფლის წინაშე. <sup>6</sup> და თქვა მოსემ: ეს არის, რისი გაკეთებაც ბრძანა უფალმა, და თქვენც გამოგეცხადებათ უფლის დიდება. <sup>7</sup> და უთხრა მოსემ აარონს: ახლოს მოდი სამსხვერპლოსთან და შესწირე შენი ცოდვის გამოსასყიდი მსხვერპლი და აღსავლენი, და გამოითხოვე შენდობა შენთვის და ერისთვის. და მიიტანე ერის შესაწირავი და გამოითხოვე მისთვის შენდობა,



როგორც ბრძანა უფალმა. <sup>8</sup> და ახლოს მივიდა აარონი სამსხვერპლოსთან და დაკლა ხბო თავისი ცოდვის გამოსასყიდად. <sup>9</sup> და მოიტანეს სისხლი აარონიანებმა და მან თითი ამოაწო სისხლში და სცხო სამსხვერპლოს რქებს. და დანარჩენი სისხლი სამსხვერპლოს ძირში დაღვარა. <sup>10</sup> და თავისი ცოდვის გამოსასყიდის ქონი, თირკმელები და ღვიძლის ბადექონი სამსხვერპლოზე დაწვა, როგორც ამცნო უფალმა მოსეს. <sup>11</sup> და ხორცი და ტყავი ბანაკის გარეთ დაწვა ცეცხლში. <sup>12</sup> და დაკლა აარონმა აღსავლენი და მიუტანეს მას აარონიანებმა სისხლი და დაღვარა სამსხვერპლოს ირგვლივ. <sup>13</sup> და აღსავლენი ნაჭრებად მიუტანეს თავთან ერთად და დაწვა იგი სამსხვერპლოზე. <sup>14</sup> და გარეცხა შიგნეული და კიდურები და დაწვა ისინი აღსავლენთან ერთად. <sup>15</sup> და შესწირა ერის შესაწირავი: მოიყვანა თხა ერის ცოდვის გამოსასყიდად და დაკლა, და შესწირა ცოდვისათვის, როგორც პირველი. <sup>16</sup> და მიიტანა აღსავლენი და წესისამებრ გაამზადა. <sup>17</sup> და მიიტანა ძღვენი და ხელი აივსო იმით, და დაწვა სამსხვერპლოზე, დილის აღსავლენის გარდა. <sup>18</sup> და დაკლა ხარი და ვერძი სამშვიდობო მსხვერპლად ხალხისაგან და მიუტანეს აარონიანებმა მას სისხლი, და დაღვარა სამსხვერპლოს ირგვლივ. <sup>19</sup> და ხარის ქონები და ვერძის დუმა, შიგნეულის ქონი, თირკმელები და ღვიძლის ბადექონი, <sup>20</sup> დაადეს ქონები მკერდს და დაწვა ქონები სამსხვერპლოზე. <sup>21</sup> და მკერდი და მარჯვენა ბეჭი შეარხია აარონმა შესარხველად უფლის წინაშე, როგორც ამცნო უფალმა მოსეს. <sup>22</sup> და გაიწოდა ხელი აარონმა ერის მიმართ და აკურთხა ისინი, და ჩამოვიდა, როცა მორჩა ცოდვის გამოსასყიდს, აღსავლენს და სამშვიდობო მსხვერპლს. <sup>23</sup> და შევიდნენ მოსე და აარონი თავშეყრის კარავში, და გამოვიდნენ და აკურთხეს ერი. და გამოეცხადა მთელს ერს უფლის დიდება. <sup>24</sup> და გამოვიდა ცეცხლი უფლისაგან და შეჭამა სამსხვერპლოზე დაწყობილი აღსავლენი და ქონები. და იხილა მთელმა ერმა და სიხარულით შეყვირეს და პირქვე დაემხნენ.

**უცხო ცეცხლი**

**10** <sup>1</sup>და აიღეს აარონიანებმა — ნადაბმა და აბიჰუმ თავ-თავისი საცეცხლურები, და ჩადეს შიგ ცეცხლი, და დააყარეს ზედ საკმეველი და მიიტანეს უფლის წინაშე უცხო ცეცხლი, რაც არ უბრძანებია მათთვის. <sup>2</sup>და გამოვიდა ცეცხლი უფლისაგან და შეჭამა ისინი, და დაიხოცნენ უფლის წინაშე. <sup>3</sup>და უთხრა მოსემ აარონს: ეს არის, რაც ილაპარაკა უფალმა სათქმელად: ჩემს ახლობლებში სიწმიდეს გამოვაჩინ და მთელი ერის წინაშე განვდიდდები. და დადუმდა აარონი. <sup>4</sup>და მოუხმო მოსემ მისაელს და ელცაფანს, აარონის ბიძის, ყუზიელის შვილებს, და უთხრა: მიდით და წმიდიდან ბანაკის გარეთ გაიტანეთ თქვენი ძმები. <sup>5</sup>და მივიდნენ და კვართიანად გაიტანეს ისინი ბანაკის გარეთ, როგორც ელაპარაკა მოსე. <sup>6</sup>და უთხრა მოსემ აარონს და მის შვილებს — ელიაზარს და ითამარს: თავს ნუ გაიშიშვლებთ და შესამოსელს ნუ შემოიგლეჯთ, რომ არ დაიხოცოთ, რომ რისხვა არ დაატყდეს მთელს საზოგადოებას. თქვენმა ძმებმა, მთელმა ისრაელის სახლმა, იტიროს დამწვარი, რაც დაწვა უფალმა. <sup>7</sup>და ნუ მოსცილდებით თავშეყრის კარვის შესასვლელს, თორემ დაიხოცებით, რადგან საუფლო ცხების ზეთია თქვენზე. და მოსეს სიტყვისამებრ მოიქცნენ. <sup>8</sup>და ელაპარაკა უფალი აარონს სათქმელად: <sup>9</sup>ღვინოს და მათრობელ სასმელს ნუ დაღვეთ შე და შენი შვილები თავშეყრის კარავში შესვლისას, რომ არ დაიხოცოთ. ეს არის საუკუნო წესი თქვენს თაობებში, <sup>10</sup>რომ გაირჩეს წმიდა და სადაგი, ბინძური და სუფთა, <sup>11</sup>რომ ასწავლოთ ისრაელიანებს ყოველი წესი, რომელიც მოსეს ხელით ბრძანა უფალმა.

**სამღვდელო წილი შეწირვისას**

<sup>12</sup>და უთხრა მოსემ აარონს და მის დარჩენილ შვილებს — ელიაზარს და ითამარს: აიღეთ ძღვენი, რაც უფლის საცეცხლო მსხვერპლს გადარჩა, და შეჭამეთ სამსხვერპლოს გვერდით, რადგან წმიდათა წმიდაა იგი. <sup>13</sup>და ჭამეთ იგი წმიდა ადგილ-

ზე, რადგან ეს შენი და შენი შვილების არჩივია უფლის საცეცხლო მსხვერპლიდან, რადგან ასე მემცნო მე. <sup>14</sup> და შესარხეველი მკერდი და აღსამართავი ბეჭი ჭამეთ განწმედილ ადგილზე შენც და შენმა შვილებმაც და შენმა ასულებმაც, რადგან ეს არის შენი და შენი შვილების არჩივი, რომელიც ისრაელიანთაგან შეწირული სამშვიდობო მსხვერპლიდან მოგეცათ. <sup>15</sup> აღსამართავი ბეჭი და შესარხეველი მკერდი საცეცხლო ქონთან ერთად მიიტანონ, რათა შეარხიონ უფლის წინაშე შესარხეველ მსხვერპლად. ეს იყოს შენტვის და შენი შვილებისთვის საუკუნო არჩივად, როგორც ამცნო უფალმა.

### ცოდვის გამოსასყიდის ესები

<sup>16</sup> და ცოდვის გამოსასყიდი თხაც მოითხოვა მოსემ და, აჰა, დამწვარი იყო იგი. და განრისხდა მოსე ელიაზარზე და ითამარზე, აარონის გადარჩენილ შვილებზე, და თქვა: <sup>17</sup> რატომ არ შეჭამეთ ცოდვის გამოსასყიდი მსხვერპლი წმიდა ადგილზე? ეს ხომ წმიდათა წმიდაა და იმისთვის მოგეცათ, რომ გეტვირთათ საზოგადოების შეცოდება და მისთვის შენდობა გამოგეთხოვათ უფლის წინაშე? <sup>18</sup> აჰა, არ ყოფილა შეტანილი მისი სისხლი საკურთხევლის შიგნით. თქვენ უნდა გეჭამათ იგი წმიდაში, როგორც გამცნეთ. <sup>19</sup> და უთხრა აარონმა მოსეს: დღეს შესწირეს მათ ცოდვის გამოსასყიდი და აღსავლენი მსხვერპლი უფლის წინაშე და, აჰა, რა შემემთხვა. რომ შემეტყამა მოეწონებოდა უფალს? <sup>20</sup> და მოისმინა მოსემ და მოეწონა.

### სუფთა და უსურმაგი ცხოველი

**11** <sup>1</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს და აარონს სათქმელად: <sup>2</sup> ელაპარაკეთ ისრაელიანებს, რომ უთხრათ: ეს ცხოველებია, რომლებიც გეტმევთ ყველა პირუტყვს შორის მიწაზე: <sup>3</sup> ყველა პირუტყვი, რომელსაც ჩლიქი გაპობილი აქვს და იცოხნის, გეტმევთ. <sup>4</sup> ოლონდ ისინი არ გეტმევთ, რომელნიც

იცოხნიან, მაგრამ ჩლიქი არა აქვთ გაპობილი: აქლემი, რომელიც იცოხნის, მაგრამ გაუპობელი ჩლიქი აქვს, ბინძურია თქვენთვის; <sup>5</sup> ბოცვერი, რომელიც იცოხნის, მაგრამ გაუპობელი ჩლიქი აქვს, ბინძურია თქვენთვის; <sup>6</sup> კურდღელი, რომელიც იცოხნის, მაგრამ გაუპობელი ჩლიქი აქვს, ბინძურია თქვენთვის; <sup>7</sup> ღორი, რომელსაც ჩლიქი გაპობილი აქვს, მაგრამ არ იცოხნის, ბინძურია თქვენთვის. <sup>8</sup> მათი ხორცი არ შეჭამოთ, მათ ლეშს არ მიეკაროთ, ბინძურებია ისინი თქვენთვის. <sup>9</sup> აი, რა გეტყვით წყლის არსებათაგან: ყველაფერი, რასაც ფარფლები და ქერეჭი აქვს წყალში, ზღვებში თუ მდინარეებში, გეტყვით. <sup>10</sup> ყველაფერი, რასაც ფარფლები და ქერეჭი არა აქვს ზღვებში თუ მდინარეებში, წყლის რა სულდგმულიც არ უნდა იყოს, უსურმაგია თქვენთვის. <sup>11</sup> უსურმაგი უნდა იყოს ისინი თქვენთვის, მათი ხორცი არ უნდა ჭამოთ, მათი ლეში უნდა გძაგდეთ. <sup>12</sup> ყველაფერი, რასაც ფარფლები და ქერეჭი არა აქვს წყალში, უსურმაგია თქვენთვის. <sup>13</sup> ესენი გძაგდეთ ფრინველთაგან, არ ჭამოთ, უსურმაგნი არიან: არწივი, სვაგი, ფსოვი, <sup>14</sup> ძერა, ქორი და მათი გვარისანი; <sup>15</sup> ყველანაირი ყორანი, <sup>16</sup> სირაქლემა, ბუ, თოლია, მიმინო და მათი გვარისანი; <sup>17</sup> ჭოტი, ჩვამა, წერო, <sup>18</sup> ბუკიოტი, ვარხვი, კოდალა, <sup>19</sup> ყარყატი, ყანჩა და მათი გვარისანი; ოფოფი, ღამურა, <sup>20</sup> ყოველნაირი მწერი — მფრინავი თუ ოთხზე მოსიარულე — უსურმაგი უნდა იყოს თქვენთვის. <sup>21</sup> გეტყვით ყოველი მფრინავი თუ ოთხზე მოსიარულე მწერი, რომელსაც მუხლიანი წვივები აქვს მიწაზე სახტომად. <sup>22</sup> ამათაგან ესენი გეტყვით: კალია და მისი გვარისანი; სალყამი და მისი გვარისანი; ხარგოლი და მისი გვარისანი, ხაგაბი და მისი გვარისანი. <sup>23</sup> ყველა სხვა მწერი — ფრთიანი და ოთხფეხი — უსურმაგია თქვენთვის.

### უსურმაგის შეხება

<sup>24</sup> მათი სიბინძურე თქვენზე გადმოვა. ყველა, ვინც კი მათ ლეშს შეეხება, გაბინძურებული იქნება საღამომდე. <sup>25</sup> და ვისაც

რამე მოედება მათი ლეშისგან, სამოსელი უნდა გაირეცხოს და გაბინძურებული იქნება საღამომდე.<sup>26</sup> ყოველი პირუტყვი, რომელსაც ჩლიქი გაპობილი აქვს, მაგრამ არა აქვს ღრმა ტრილი და არც იცობნება, უსურმაგია თქვენთვის. ყველა, ვინც კი მას მიეკარება, გაბინძურდება.<sup>27</sup> და ყოველი ოთხფეხი მხეცი, რომელიც თათებზე დადის, უსურმაგია თქვენთვის. ყველა, ვინც კი მას მიეკარება, გაბინძურებული იქნება საღამომდე.<sup>28</sup> და ვისაც რამე მოედება მათი ლეშისგან, სამოსელი გაირეცხოს. გაბინძურებული იქნება საღამომდე. უსურმაგები არიან ისინი თქვენთვის.<sup>29</sup> ესენი არიან თქვენთვის უსურმაგები მიწაზე მძრომებში: კვერნა, თაგვი, ხვლიკი და მათი გვარისანი; <sup>30</sup> ზღარბი, ბაყაყი, კუ, ლოკოკინა და თხუნელა. <sup>31</sup> ესენია თქვენთვის უსურმაგნი ქვემძრომებში. ვინც კი მათ ლეშს შეეხება, გაბინძურებული იქნება საღამომდე.<sup>32</sup> და ყველაფერი, რაზეც კი რომელიმე მათგანი დაეცემა, ხის რაიმე ჭურჭელი იქნება, ტყავის თუ ჯვალოს სამოსელი, რაგინდარა სახმარი ნივთი, გაბინძურდება. წყალში უნდა ჩაიდოს და საღამომდე გაბინძურებული იქნება, მერე კი გაწმიდავდება.<sup>33</sup> თუ რაიმე თიხის ჭურჭელში ჩავარდება, ყველაფერი, რაც ჭურჭელშია, გაბინძურდება, უნდა დაამტვრიოთ.<sup>34</sup> თუ რამე საჭმელს, რასაც ჭამთ, წყალი დაეხსა, გაბინძურდება. ყოველი სასმელი, რომელსაც რამე ჭურჭლიდან სვამთ, გაბინძურდება.<sup>35</sup> ყველაფერი, რასაც მათი ლეშიდან რამე მოხვდება, გაბინძურებულია. ღუმელი იქნება თუ კერა, უნდა დაიმტვრეს, ბინძურია ისინი და თქვენთვისაც ბინძური უნდა იყოს.<sup>36</sup> მხოლოდ წყარო და ჭა, წყალსატევი იქნება სუფთა, მათი ლეშის შემხებელი კი გაბინძურდება.<sup>37</sup> თუ მათი ლეშიდან რამე მოხვდა სათესლე მარცვალს, სუფთა დარჩება.<sup>38</sup> თუ თესლს წყალი დაეხსა და მათი ლეშიდან რამე დაეცა ზედ, გაბინძურებული იქნება იგი თქვენთვის.<sup>39</sup> თუ ისეთი პირუტყვი მოკვდება, რომელიც გეტმევათ, და მის ლეშს ვინმე მიეკარება, გაბინძურებული იქნება იგი საღამომდე.<sup>40</sup> და მისი ლეშის მჭამელმა ტანსაცმელი უნდა გაირეცხოს და საღამომ-

დე გაბინძურებული იქნება. მისი ლეშის წამლებმა ტანსაცმელი გაირეცხოს და საღამომდე გაბინძურებული იქნება. <sup>41</sup>და ყველაფერი, რაც კი მიწაზე დაძვრება, უსურმაგია, არ გეტმევათ. <sup>42</sup>არანაირი მუცელზე მხოხავი, არანაირი მრავალფეხა, არანაირი მიწაზე მძრომი არ გეტმევათ, რადგან უსურმაგები არიან. <sup>43</sup>არ წაიბილწოთ სული ქვემძრომით და არ გაბინძურდეთ მისგან. <sup>44</sup>რადგან მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი. განიწმიდეთ და წმიდა იქნებით, როგორც მე ვარ წმიდა. არ გაბინძუროთ თავი არანაირი ქვემძრომით, რომელიც მიწაზე დალოღავს, <sup>45</sup>რადგან მე ვარ უფალი, რომელმაც გამოგიყვანეთ ეგვიპტის ქვეყნიდან, რომ თქვენი ღმერთი ვყოფილიყავი. იყავით წმიდები, როგორც მე ვარ წმიდა. <sup>46</sup>ეს არის პირუტყვის, ფრინველის და ყოველი სულდგმულის, წყალში მცურავისა და მიწაზე მლოღავის წესი, <sup>47</sup>რომ ერთმანეთისაგან გაირჩეს ბინძური და სუფთა, ცხოველი, რომელიც იჭმევა, და ცხოველი, რომელიც არ იჭმევა.

### მშობიარის სუფთაყოფა

**12** <sup>1</sup>და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>2</sup>ელაპარაკე ისრაელიანებს: თუ დედაკაცი დაორსულდა და ვაჟი გააჩინა, შობის შემდეგ შვიდ დღეს ბინძურია იგი. როგორც წიღოვანების დროს, ისე ბინძურდება. <sup>3</sup>და მეშვიდე დღეს უნდა წააჭრან ბავშვს ჩუჩა. <sup>4</sup>და ოცდაცამეტი დღის მანძილზე უნდა დარჩეს ქალი სუფთაყოფის სისხლში. წმიდას არაფერს შეეხოს, არც ტაძარში არ შევიდეს, ვიდრე მისი სუფთაყოფის ვადა არ გავა. <sup>5</sup>და თუ გოგო შვა, ორ კვირას იქნება გაბინძურებული, როგორც წიღოვანების დროს. სამოცდაექვსი დღის მანძილზე უნდა დარჩეს სუფთაყოფის სისხლში. <sup>6</sup>და როცა გავა სუფთაყოფის ვადა ვაჟისა თუ გოგოსათვის, მიუყვანონ მღვდელს თავშეყრის კარავთან წელგამოვლილი კრავი აღსავლენად და მტრედის ხუნდი ან გვრიტი ცოდვის გამოსასყიდად, <sup>7</sup>და შესწი-

რავს მას უფლის წინაშე, გამოითხოვს მისთვის შენდობას და გასუფთავდება ქალი წიდოვანებისაგან. ეს არის ვაჟისა თუ გოგოს შობის რჯული. <sup>8</sup> თუ ცხვარზე არ მიუწვდება ხელი, მიიყვანოს ორი გვრიტი ან ორი ხუნდი — ერთი აღსავლენად, მეორე ცოდვის გამოსასყიდად და შენდობას გამოითხოვს მისთვის მღვდელი და გასუფთავდება.

### დაავადებანი

**13** <sup>1</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს და აარონს სათქმელად: <sup>2</sup> თუ ვინმეს ტანზე სიმსივნე, ან სირსველი, ან ლაქა გამოაჩნდება და სხეულის კანზე კეთრის წყლულად გადაიქცევა, აარონ მღვდელს ან ერთ-ერთ მის შვილს, მღვდელთაგანს, უნდა მიუყვანონ იგი. <sup>3</sup> და ნახავს მღვდელი მისი სხეულის კანზე წყლულს და, თუ თმა წყლულზე გათეთრებული აქვს, წყლულიც ღრმად აქვს ჩამჯდარი კანში, ეს კეთრის წყლულია. და ნახავს მას მღვდელი და ბინძურად ცნობს. <sup>4</sup> თუ წყლული თეთრია მისი სხეულის კანზე, მაგრამ წყლული ღრმად არ არის კანში ჩასული და თმაც არა აქვს გათეთრებული, მღვდელმა შვიდი დღით უნდა ჩაკეტოს დაწყლულებული. <sup>5</sup> და ნახავს მას მღვდელი მეშვიდე დღეს და, თუ წყლული თვალში საცემია, მაგრამ არ გავრცელებულა კანზე, კიდევ შვიდ დღეს უნდა ჩაკეტოს იგი მღვდელმა. <sup>6</sup> და მეორედ ნახავს მას მღვდელი მეშვიდე დღეს და, თუ წყლული გამკრთალებულია და არ გავრცელებულა კანზე, სუფთად ცნობს მას მღვდელი. ეს სირსველია, ტანსაცმელი უნდა გაირეცხოს და გასუფთავდება. <sup>7</sup> და თუ მას შემდეგ, რაც მღვდელს გასასუფთავებლად ეჩვენა, სირსველმა კანზე გავრცელება დაიწყო, მეორედ უნდა ეჩვენოს მღვდელს. <sup>8</sup> და ნახავს მას მღვდელი და, თუ სირსველი გავრცელებულია კანზე, მღვდელი ბინძურად ცნობს მას. ეს კეთრია. <sup>9</sup> თუ ვინმეს კეთრის წყლული გამოაჩნდება, მღვდელს უნდა მიუყვანონ იგი. <sup>10</sup> და ნახავს მღვდელი და, თუ კანზე სიმსივნე თეთრია,



თმაც ამის გამო გათეთრებული და დაწყლულებული, ხორცი ცოცხალია, <sup>11</sup> მისი სხეულის კანზე კეთრი შეებრებული ყოფილა. მღვდელი მას ბინძურად სცნობს და ჩაკეტავს, რადგან ბინძურია იგი. <sup>12</sup> და თუ კეთრი გაეფურჩქნება კანზე და კეთრი დაუფარავს მთელ დაწყლულებულ კანს თავიდან ფეხებამდე, სადამდისაც მღვდლის თვალი გასწვდება, <sup>13</sup> და დაინახავს მღვდელი, რომ კეთრმა დაუფარა მთელი სხეული, და წყლულს გასუფთავებულად სცნობს. თუ მთლიანად გათეთრებულია, სუფთაა იგი. <sup>14</sup> და როცა მასზე ცოცხალი ხორცი აღმოჩნდება, ბინძურია იგი. <sup>15</sup> დაინახავს მღვდელი ცოცხალ ხორცს და ბინძურად ცნობს მას, ცოცხალი ხორცი ბინძურია, ეს კეთრია. <sup>16</sup> თუ ცოცხალი ხორცი შეეცვლება და გაუთეთრდება, მღვდელთან უნდა მივიდეს. <sup>17</sup> და ნახავს მას მღვდელი და, თუ წყლული გათეთრებული აქვს, მღვდელი წყლულს გასუფთავებულად ცნობს. სუფთაა იგი. <sup>18</sup> და თუ სხეულის კანზე გამოაჩნდება გამონაყარი და მოუშუშდება, <sup>19</sup> გამონაყარის ადგილზე იქნება თეთრი სიმსივნე ან მოთეთრო-მოწითალო ლაქა, მღვდელს უნდა ეჩვენოს. <sup>20</sup> და ნახავს მას მღვდელი და, თუ ეს აღმოჩნდა კანქვეშ და თმაც გათეთრებული აქვს, მღვდელი მას ბინძურად ცნობს. ეს კეთრის წყლულია, გამონაყარზე გაფურჩქნული. <sup>21</sup> და თუ ნახავს მას მღვდელი და, აჰა, თმა გათეთრებული არა აქვს, წყლული კანქვეშ არ არის და მკრთალია, მღვდელმა უნდა ჩაკეტოს იგი შვიდ დღეს. <sup>22</sup> და თუ კანზე გავრცელდება, მღვდელი ბინძურად ცნობს მას. ეს წყლულია. <sup>23</sup> და თუ ლაქა თავის ადგილზე დარჩება, არ გავრცელდება, ეს გამონაყარის ანთებაა, და სუფთად ცნობს მას მღვდელი. <sup>24</sup> თუ სხეულზე, მის კანზე, დამწვრობა ექნება და მოშუშების შემდეგ მოთეთრო-მოწითალო ან თეთრი ლაქა დააჩნდება, <sup>25</sup> ნახავს მას მღვდელი და, თუ ლაქაზე თმა გათეთრებული აქვს და ლაქა კანშია ჩამკდარი, ეს კეთრია, დამწვარზე გაფურჩქნული. მღვდელი ბინძურად ცნობს მას. ეს კეთრის წყლულია. <sup>26</sup> და თუ მღვდელი ნახავს მას და, აჰა, ლაქაზე თეთრი თმა არა აქვს, ლაქა კანქვეშ



არ არის და მკრთალია, მღვდელმა იგი შვიდ დღეს უნდა ჩაკეტოს. <sup>27</sup> და ნახავს მას მღვდელი მეშვიდე დღეს და, თუ კანზეა გავრცელებული, მღვდელი ბინძურად ცნობს მას. ეს კეთრის წყლულია. <sup>28</sup> და თუ ლაქა ადგილზე დარჩა, არ გავრცელდა კანზე და მკრთალია, ეს სიდამწვრის სიმსივნეა. და სუფთადაცნობს მას მღვდელი, რადგან ეს სიდამწვრის ანთებაა. <sup>29</sup> კაცს ან ქალს თუ თავზე ან ლოყაზე წყლული გამოაჩნდება, <sup>30</sup> ნახავს მღვდელი წყლულს და, თუ კანქვეშ ღრმად ჩანს, მასზე თმა ყვითელია და თხელი, მღვდელი ბინძურად ცნობს მას. ეს მუნია. ეს თავის ან ლოყის კეთრია. <sup>31</sup> და თუ მღვდელი გასინჯავს მუნის წყლულს და, თუ ის კანქვეშ ღრმად არ ჩანს და შავი თმაც არ არის მასზე, მღვდელმა შვიდი დღით უნდა ჩაკეტოს მუნია. <sup>32</sup> და ნახავს მღვდელი წყლულს მეშვიდე დღეს და, თუ მუნი არ არის გავრცელებული, ყვითელი თმაც არ არის მასზე და კანქვეშ ღრმად არ ჩანს, <sup>33</sup> იგი უნდა გაიპაროს, ოღონდ მუნია ადგილი არ უნდა მოპაროს. მღვდელმა კიდევ შვიდი დღით უნდა ჩაკეტოს მუნია. <sup>34</sup> და ნახავს მღვდელი მუნს მეშვიდე დღეს და, აჰა, მუნი არ გავრცელებულა და კანქვეშ ღრმად არ ჩანს, და გასუფთავებულად ცნობს მას მღვდელი, ტანისამოსი გაირეცხოს და გასუფთავდება. <sup>35</sup> და თუ მუნი გავრცელდა კანზე მისი სუფთაყოფის შემდეგ, <sup>36</sup> ნახავს მას მღვდელი და, აჰა, მუნი გავრცელებულია კანზე, მღვდელი ნუ დაუწყებს ძებნას გაყვითლებულ თმას: ბინძურია იგი. <sup>37</sup> და თუ მუნი თვალით შესამჩნევია და შავი თმა მასზე ამოსული, მუნი მორჩენილა, სუფთაა იგი და სუფთად ცნობს მას მღვდელი. <sup>38</sup> როდესაც კაცს ან ქალს სხეულის კანზე ლაქები, თეთრი ლაქები გამოაჩნდება, <sup>39</sup> ნახავს მღვდელი და, აჰა, მათი სხეულის კანზე მკრთალი თეთრი ლაქებია, ეს სირსველია, კანზე გაფურჩქნული. წმიდაა იგი. <sup>40</sup> როდესაც კაცს თავზე თმა დასცვივდება, იგი ქაჩალია, სუფთაა იგი. <sup>41</sup> და თუ წინა მხრიდან გაუშიშვლდება თავი, იგი მელოტია, სუფთაა. <sup>42</sup> თუ ქაჩალ ან მელოტ ადგილზე მოთეთრო-მოწითალო წყლული იქნება, ეს კეთრია, ქაჩალ ან

მელოტ ადგილზე გაფურჩქნული. <sup>43</sup> ნახავს მას მღვდელი და, აჰა, წყლულის სიმსივნე მოთეთრო-მოწითალო ფერისაა ეახალ ან მელოტ ადგილზე, როგორც სხეულის კანის კეთრია ხოლმე, <sup>44</sup> ეს კაცი კეთროვანია, ბინძურია, მღვდელი ბინძურად ცნობს მას. თავზე აქვს წყლული. <sup>45</sup> დაწყლულებულის ტანისამოსი უნდა დაირღვეს. თავი შიშველი უნდა ჰქონდეს, პირამდე შებურვილი უნდა იყოს და ყვიროდეს: ბინძური, ბინძური! <sup>46</sup> რამდენ ხანსაც წყლულია მასზე, იმდენ ხანს იქნება გაბინძურებული. ბინძურია იგი. განცალკევებით უნდა ცხოვრობდეს თავისი საცხოვრებელი ბანაკის გარეთ. <sup>47</sup> და თუ ტანისამოსზე იქნა კეთრის წყლული — მატყლის ტანისამოსზე ან სელის ტანისამოსზე, <sup>48</sup> ან მატყლის ან სელის ქსელზე, ან ტყავზე, ან ტყავის რომელიმე საგანზე, <sup>49</sup> მომწვანო ან მოწითალო ფერის წყლული ტანისამოსზე, ან ტყავზე, ან ქსელზე, ან ტყავის რაიმე საგანზე იქნება, ეს კეთრის წყლულია და მღვდელს უნდა ეჩვენოს. <sup>50</sup> და ნახავს მღვდელი წყლულს და შვიდი დღით ჩაკეტავს მას. <sup>51</sup> და ნახავს წყლულს მეშვიდე დღეს და, თუ წყლული გადასულია ტანისამოსზე, ან ქსელზე, ან ტყავის რაიმე ნივთზე, რაც ტყავისგან არის დამზადებული, ეს გამიზებებული კეთრია, ბინძური წყლულია. <sup>52</sup> და უნდა დაწვას ტანისამოსი, ან მატყლის ან სელის ქსელი, ან ტყავის ნივთი, რომელზეც წყლული იყო, რადგან გამიზებებული კეთრია იგი. ცეცხლში უნდა დაიწვას. <sup>53</sup> და თუ ნახავს მღვდელი და, აჰა, წყლული არ გადასულა ტანისამოსზე, ან ქსელზე, ან ტყავის საგანზე, <sup>54</sup> მღვდელმა უნდა მოაბანინოს ის ადგილი, რაზედაც წყლული იყო, და კიდევ შვიდი დღით ჩაკეტოს იგი. <sup>55</sup> და ნახავს მღვდელი მობანვის შემდეგ წყლულს და, თუ წყლულს სახე არ უცვლია და წყლული არ გავრცელებულა, ქსოვილი გაბინძურებულია, ცეცხლში დაწვი. ამოჭმულია მისი წალმა პირი ან უკულმა პირი. <sup>56</sup> თუ ნახავს მღვდელი, რომ წყლული მობანვის შემდეგ გაფერმკრთალდა, ტანისამოსს, ან ტყავს, ან ქსელს, ან მისაქსელს უნდა მოაცილოს იგი. <sup>57</sup> და თუ კვლავ გამოჩნდა ტანისამოსზე ან ქსელ-

ზე, ან მისაქსელზე, ან ტყავის რაიმე საგანზე, გაფურჩქნული წყლულია, ცეცხლში უნდა დაწვა ყველაფერი, რაზედაც წყლული გადავიდა. <sup>58</sup> ტანისამოსი, ან ქსოვილი, ან ტყავის რაიმე საგანი, რომელსაც გარეცხავ და წყლული მოეცლება, ხელახლა გაირეცხოს და გასუფთავდება. <sup>59</sup> ეს არის რჯული კეთრის წყლულისა მატყლის ან სელის ტანისამოსზე, ან ქსოვილზე, ან ტყავის რაიმე ნივთზე, სუფთაა იგი თუ ბინძური.

### კანის სნეულებათაგან სუფთაყოფა

**14** <sup>1</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>2</sup> ეს არის კეთროვანის რჯული: როცა გასასუფთავებელია, მღვდელთან უნდა მიიყვანონ. <sup>3</sup> და გავა მღვდელი ბანაკს გარეთ და ნახავს მღვდელი და, აჰა, კეთროვანს მოურჩა კეთრის წყლული, <sup>4</sup> მოატანინებს მღვდელი გასასუფთავებლისათვის ორ ცოცხალ შიდა ფრინველს, კედარის ხეს, ჭიაფერ ნართს და უსუპს, <sup>5</sup> და დააკვლევიანებს მღვდელი ერთ ფრინველს თიხის ჭურჭელთან, წყაროს წყალზე. <sup>6</sup> და ცოცხალ ფრინველს და ნაძვის ტოტს, და ძოწეულის ნართს, და უსუპს აიღებს და მათ ცოცხალ ფრინველთან ერთად ჩააწობს დაკლული ფრინველის სისხლში ცოცხალ წყალთან. <sup>7</sup> და ასხურებს კეთრისაგან გასასუფთავებელს შვიდგზის და სუფთად სცნობს მას და მინდორში გაუშვებს ცოცხალ ფრინველს. <sup>8</sup> და გაირეცხავს გასასუფთავებელი ტანისამოსს, გაიპარსავს მთელს თმას, წყალში განიბანება და გასუფთავდება. ამის მერე ბანაკში შევა და შვიდ დღეს კარვის გარეთ იცხოვრებს. <sup>9</sup> და მეშვიდე დღეს მთლიანად მოიპარსავს თავს, წვერს, წარბებს, მოიპარსავს მთელს თმას, გაირეცხავს ტანისამოსს, დაიბანს ტანს წყალში და გასუფთავდება. <sup>10</sup> და მერვე დღეს აიყვანს ორ საღ კრავს და ერთ წელგამოვლილ, საღ დედალ ცხვარს, აიღებს ეფის სამ მეთაედ გამტკიცულ ფქვილს, ძღვენს, ზეთში შერეულს, და ერთ ლოგ ზეთს. <sup>11</sup> და დააყენებს გამსუფთავებელი მღვდელი გასასუფ-

თავებელ კაცს და ყველაფერს ამას უფლის წინაშე, თავშეყრის კარვის შესასვლელთან.<sup>12</sup> და აიყვანს მღვდელი ერთ კრავს და მიიტანს მას დანაშაულის გამოსასყიდად, და ერთ ლოგ ბეთს და შეარხევს მათ უფლის წინაშე.<sup>13</sup> და დაკლავს კრავს იმ ადგილზე, სადაც იკვლის ცოდვის გამოსასყიდი და აღსავლენი, წმიდა ადგილზე, რადგან ცოდვის გამოსასყიდივით დანაშაულის გამოსასყიდიც მღვდელს ეკუთვნის. ეს წმიდათა წმიდაა.<sup>14</sup> და აიღებს მღვდელი დანაშაულის გამოსასყიდის სისხლს და სცხებს მღვდელი გასასუფთავებელს მარჯვენა ყურის ბიბილოზე, მარჯვენა ხელის ცერზე და მარჯვენა ფეხის ცერზე.<sup>15</sup> და აიღებს მღვდელი ბეთს და დაისხამს მარცხენა ხელისგულზე,<sup>16</sup> და ჩააწობს მღვდელი მარჯვენა თითს ბეთში, რომელიც მის მარცხენა ხელისგულზეა, და ასხურებს ბეთს თავისი თითიდან შვიდგზის უფლის წინაშე.<sup>17</sup> და დანარჩენი ბეთიდან, რომელიც მის ხელისგულზეა, მღვდელი სცხებს გასასუფთავებელს მარჯვენა ყურის ბიბილოზე, მარჯვენა ხელის ცერზე და მარჯვენა ფეხის ცერზე, სადაც დანაშაულის მსხვერპლის სისხლი სცხია.<sup>18</sup> და დანარჩენ ბეთს, რომელიც მღვდლის ხელისგულზეა, თავზე სცხებს გასასუფთავებელს და შეუნდობს მას უფლის წინაშე.<sup>19</sup> და შესწირავს მღვდელი ცოდვის გამოსასყიდ მსხვერპლს და შეუნდობს გასასუფთავებელს მის სიბინძურეს და მერე დაკლავს აღსავლენ მსხვერპლს.<sup>20</sup> და აღავლენს მღვდელი აღსავლენს და ძღვენს სამსხვერპლოზე და შეუნდობს მას მღვდელი და გასუფთავდება იგი.<sup>21</sup> თუ ღარიბია იგი და ხელი არ მიუწვდება, აიყვანოს ერთი კრავი, დანაშაულის გამოსასყიდი მსხვერპლი — შესარხევად, რომ შეენდოს, და ეფის მეთაუდი გამტკიცული ფქვილი, ბეთში აბელილი, ძღვენად, და ერთი ლოგი ბეთი,<sup>22</sup> ორი გვრიტი ან ორი მტრედის ხუნდი, რაზედაც ხელი მიუწვდება. ერთი ცოდვის გამოსასყიდი იქნება, მეორე — აღსავლენი.<sup>23</sup> და მიუტანოს ესენი თავისი სუფთაყოფის მეშვიდე დღეს მღვდელს თავშეყრის კარვის შესასვლელთან უფლის წინაშე.<sup>24</sup> და აიყვანს მღვდელი დანაშაულის გამო-

სასყიდ კრავს და ერთ ლოგ ზეთს და შეარხევს მათ მღვდელი უფლის წინაშე. <sup>25</sup> და დაკლავს დანაშაულის გამოსასყიდ კრავს და აიღებს მღვდელი დანაშაულის გამოსასყიდის სისხლს და სცხებს გასასუფთავებელს მარჯვენა ყურის ბიბილოზე, მარჯვენა ხელის ცერზე და მარჯვენა ფეხის ცერზე. <sup>26</sup> და ზეთიდან დაიღვრის მღვდელი მარცხენა ხელისგულზე <sup>27</sup> და ასხურებს მღვდელი მარჯვენა ხელის თითით ზეთს, რომელიც მის მარცხენა ხელისგულზეა, შვიდგზის უფლის წინაშე. <sup>28</sup> და სცხებს მღვდელი ზეთიდან, რომელიც მის ხელისგულზეა, გასასუფთავებელს მარჯვენა ყურის ბიბილოზე, მარჯვენა ხელის ცერზე და მარჯვენა ფეხის ცერზე, სადაც დანაშაულის გამოსასყიდის სისხლია. <sup>29</sup> და ხელისგულზე დარჩენილი ზეთიდან მღვდელი სცხებს თავზე გასასუფთავებელს, რომ შეუნდოს მას უფლის წინაშე. <sup>30</sup> და გაამზადებს ერთ-ერთს გვრიტთაგან ან მტრედის ხუნდს, რაზეც ხელი მიუწვდება. <sup>31</sup> რაზეც ხელი მიუწვდება: ერთს ცოდვის გამოსასყიდად, მეორეს აღსავლენად ძღვენთან ერთად და შეუნდობს მღვდელი გასასუფთავებელს უფლის წინაშე. <sup>32</sup> ასეთია რჯული, თუ ვინმეს კეთრის წყლული გამოაჩნდება და სუფთაყოფის დროს ხელი არ მიუწვდება.

## კედლის წყლული

<sup>33</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს და აარონს სათქმელად: <sup>34</sup> როდესაც შეხვალ ქანაანის ქვეყანაში, რომელსაც სამკვიდრებლად გაძლევთ, და კეთრის წყლულს შევყრი თქვენი სამკვიდრებელი ქვეყნის სახლს, <sup>35</sup> მივიდეს, ვისი სახლიც იქნება, მღვდელთან და შეატყობინოს, წყლულივით რაღაც გაჩნდა ჩემს სახლშიო. <sup>36</sup> გამოაცარიელებინებს მღვდელი სახლს, ვიდრე მღვდელი წყლულის სანახავად მივიდოდეს, რომ არ გაბინძურდეს ყველაფერი, რაც სახლშია. და ამის შემდეგ შევა მღვდელი სახლის დასათვალიერებლად. <sup>37</sup> და ნახავს წყლულს და, აჰა, წყლული სახლის კედლებზეა — მომწვანო ან მოწი-

თალო ღრმულები — და ჩაღრმავებულად ჩანს კედელზე, <sup>38</sup> და გავა მღვდელი სახლიდან გასასვლელისაკენ და შვიდი დღით გამოკეტავს სახლს. <sup>39</sup> და მიბრუნდება მღვდელი მეშვიდე დღეს და ნახავს: თუ წყლული მოდებულია სახლის კედლებზე, <sup>40</sup> მღვდელი გამოანგრევიანებს ქვებს, რომლებზედაც წყლულია და ქალაქის გარეთ, ბინძურ ადგილზე გადააყრევიანებს. <sup>41</sup> და სახლი მოფხიკონ შიგნიდან ირგვლივ და ანაფხეკი ბათქაში ქალაქის გარეთ, ბინძურ ადგილზე გადაყარონ. <sup>42</sup> და აიღონ ახალი ქვები და ჩააწყონ იმ ქვების ნაცვლად, და მოიტანონ ახალი ბათქაში და შელესონ სახლი. <sup>43</sup> და თუ წყლული ისევ გაჩნდება და აყვავდება სახლში მის შემდეგ, რაც ქვები გამოყარეს, სახლი გაფხიკეს და შელესეს, <sup>44</sup> მღვდელი მივიდეს და ნახოს: თუ წყლული მოდებულია სახლში, ეს მწვავე კეთრია. ბინძურია იგი. <sup>45</sup> და დაანგრეონ სახლი, ქვები, ძელები და სახლის მთელი ბათქაში და ქალაქის გარეთ, ბინძურ ადგილზე, გაიტანონ. <sup>46</sup> თუ ვინმე შევა სახლში მას შემდეგ, რაც გამოკეტეს იგი, გაბინძურებული იქნება საღამომდე. <sup>47</sup> ვისაც ეძინა ამ სახლში, ტანისამოსი უნდა გაირეცხოს, ვისაც ნაჭამი აქვს სახლში, ტანისამოსი უნდა გაირეცხოს. <sup>48</sup> და თუ მღვდელი შევა და ნახავს, რომ წყლული არ არის მოდებული სახლში მისი შესვლის შემდეგ, მღვდელი სახლს გასუფთავებულად სცნობს, რადგან წყლული განკურნებულია. <sup>49</sup> და აიღებს სახლის გასასუფთავებლად ორ ჩიტს, ნაძვის ტოტს, მეწამულ ძაფს და უსუპს. <sup>50</sup> და დაკლავს ერთ ჩიტს თიხის ჭურჭელზე, ცოცხალ წყალთან, <sup>51</sup> და აიღებს ნაძვის ტოტს, უსუპს, მეწამულ ძაფს, ცოცხალ ჩიტს და ამოაწებს მათ დაკლული ჩიტის სისხლში და წყაროს წყალში და შვიდგზის ასხურებს სახლს. <sup>52</sup> და სუფთა-ჰყვეს სახლს ჩიტის სისხლით და ცოცხალი წყლით, ცოცხალი ჩიტით, ნაძვის ტოტით, უსუპით და მეწამული ძაფით, <sup>53</sup> და გაუშვებს ცოცხალ ჩიტს ქალაქის გარეთ, მინდორში და შეუნდობს სახლს და გასუფთავდება. <sup>54</sup> ეს არის რჯული კეთრის ყოველგვარი წყლულისა და მუნის, <sup>55</sup> ტანისამოსზე და სახლზე მოდებული კეთრი-

სა, <sup>56</sup> სიმსივნისა, ქეცისა და ლაქებისა, <sup>57</sup> რომ იცოდეთ, თუ როდის არის ბინძური და როდის სუფთა. ეს არის კეთრის რჯული.

**სექსუალური სიბინძურე —  
მამაკაცის**

**15** <sup>1</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს და აარონს სათქმელად: <sup>2</sup> ელაპარაკე ისრაელიანებს, რომ უთხრა: ვისაც სხეულიდან გამონადენი აქვს, ბინძურია იგი თავისი გამონადენის გამო. <sup>3</sup> ეს იქნება მისი სიბინძურე: სხეულიდან სდის გამონადენი თუ უკავდება სხეულში გამონადენი. ეს მისი სიბინძურეა. <sup>4</sup> ყოველი საწოლი, სადაც წევს გამონადენიანი, გაბინძურებულია, ყოველი ნივთი, რაზეც ზის იგი, გაბინძურებულია. <sup>5</sup> და ვინც შეეხება მის საწოლს, მან ტანისამოსი უნდა გაირეცხოს, წყალში განიბანოს და საღამომდე გაბინძურებული იქნება. <sup>6</sup> ვინც დაჯდება ნივთზე, რომელზეც გამონადენის მქონე იჯდა, მან ტანისამოსი უნდა გაირეცხოს, წყალში იბანოს და საღამომდე ბინძური იქნება. <sup>7</sup> და ვინც შეეხება გამონადენიანის სხეულს, მან ტანისამოსი უნდა გაირეცხოს, წყალში იბანოს და საღამომდე გაბინძურებული იქნება. <sup>8</sup> და თუ გამონადენიანი სუფთას მიაფურთხებს, მან ტანისამოსი უნდა გაირეცხოს, წყალში იბანოს და საღამომდე გაბინძურებული იქნება. <sup>9</sup> და ყოველი ურემი, რომელზედაც გამონადენიანი იჯდა, ბინძურია. <sup>10</sup> და ყველა, ვინც კი მიეკარება რაიმეს, რაც მის ქვეშ არის, გაბინძურებულია საღამომდე, და მისმა მტვირთველმა ტანისამოსი უნდა გაირეცხოს, წყალში იბანოს და გაბინძურებული იქნება საღამომდე. <sup>11</sup> და ყველამ, ვისაც კი გამონადენი მიეკარება და ხელი არ ექნება დაბანილი, ტანისამოსი უნდა გაირეცხოს, წყალში იბანოს და გაბინძურებული იქნება საღამომდე. <sup>12</sup> და ყოველი თიხის ჭურჭელი, რომელსაც გამონადენიანი მიეკარება, უნდა დაიმტვრეს; და ყოველი ხის ჭურჭელი წყალში უნდა გაირეცხოს. <sup>13</sup> როდესაც გამონადენიანი თავისი გამონა-



დენისაგან სუფთავდება, შვიდი დღე უნდა იანგარიშოს გასასუფთავებლად, და ტანისამოსს გაირეცხავს, ტანს დაიბანს წყაროს წყალში და გასუფთავდება. <sup>14</sup> და მეშვიდე დღეს აიყვანს ორ გვრიტს, ან მტრედის ორ ხუნდს, და მივა უფლის წინაშე, თავშეყრის კარვის შესასვლელთან, და მღვდელს მისცემს მას. <sup>15</sup> და გაამზადებს მათ მღვდელი: ერთს — ცოდვის გამოსასყიდად, მეორეს — აღსავლენად, და შეუნდობს მას მღვდელი უფლის წინაშე მისი გამონადენის გამო. <sup>16</sup> და თუ ვინმეს თესლის დენა შეემთხვა, წყალში უნდა დაიბანოს მთელი სხეული და გაბინძურებული იქნება საღამომდე. <sup>17</sup> და ყოველი სამოსელი, სხეულის ყოველი ნაწილი, რაზეც თესლი დაიღვარა, წყალში უნდა განიბანოს და გაბინძურებული იქნება საღამომდე. <sup>18</sup> და თუ ცოლ-ქმარი დაწვა ერთად თესლის დენით, წყალში უნდა იბანონ და გაბინძურებულნი იქნებიან საღამომდე.

### **სექსუალური სიბინძურე - ქალის**

<sup>19</sup> და თუ ქალს გამონადენი აქვს, სისხლი სდის სხეულიდან, შვიდ დღეს წიდოვნებაშია, ვინც კი შეეხება მას, გაბინძურებული იქნება საღამომდე. <sup>20</sup> და ყველა, ვინც კი დაწვება მასთან მისი წიდოვნებისას, გაბინძურდება და ყველაფერი, რაზედაც დაჯდება, გაბინძურდება. <sup>21</sup> ყველამ, ვინც კი შეეხება მის საწოლს, ტანისამოსი უნდა გაირეცხოს, წყალში იბანოს და გაბინძურებული იქნება საღამომდე. <sup>22</sup> და ყველამ, ვინც კი მიეკარება რაიმე საგანს, რომელზეც იგი იჯდა, ტანისამოსი უნდა გაირეცხოს, წყალში იბანოს და გაბინძურებული იქნება საღამომდე. <sup>23</sup> და თუ რამე იდება საწოლზე ან საგანზე, რაზეც ის წევს, და ამას ვინმე შეეხება, გაბინძურებული იქნება საღამომდე. <sup>24</sup> და თუ ქმარი დაწვება მასთან, ქალი კი ამ დროს წიდოვანია, შვიდ დღეს გაბინძურებული იქნება. და მთელი საწოლი, რომელზედაც წევს, გაბინძურებულია. <sup>25</sup> და თუ ქალი წიდოვანი არ არის



და დიდი ხნის განმავლობაში სდის სისხლი ან გამონადენი აქვს წიდოვნობის ვადაზე მეტ ხანს, მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც გამონადენი აქვს, წიდოვნად ჩაითვლება, გაბინძურებულია.<sup>26</sup> ყოველი საწოლი, სადაც დაწვება გამონადენობის დროს, ბინძურია, როგორც წიდოვნობის დროს არის. და ყოველი საგანი, რაზეც დაჯდება, გაბინძურებული იქნება, როგორც წიდოვნობის დროს არის გაბინძურებული.<sup>27</sup> და ყველა, ვინც კი მათ მიეკარება, გაბინძურებულია. და უნდა გაირეცხოს ტანისამოსი, წყალში იბანოს და გაბინძურებული იქნება საღამომდე.<sup>28</sup> და როცა სუფთავდება თავისი გამონადენისაგან, უნდა გადაითვალოს შვიდი დღე, რის შემდეგაც გასუფთავდება.<sup>29</sup> და მერვე დღეს აიყვანოს ორი გვრიტი, ან ორი მტრედის ხუნდი და მიუყვანოს ისინი მღვდელს თავშეყრის კარვის შესასვლელთან.<sup>30</sup> და შესწირავს მღვდელი ერთს ცოდვის გამოსასყიდად, მეორეს — აღსავლენად და შეუნდობს მას მღვდელი უფლის წინაშე მისი გამონადენის სიბინძურს.<sup>31</sup> და განარიდეთ ისრაელიანები მათი სიბინძურისაგან, რომ თავიანთ სიბინძურეში არ დაიხოცონ და არ გააბინძურონ ჩემი სავანე, რომელიც მათ შორის არის.<sup>23</sup> ეს არის რჯული გამონადენიანისა და იმისა, ვისაც თესლის დენა აქვს და ბინძურდება,<sup>33</sup> და წიდოვანისა და გამონადენიანისა — მამაკაცი იქნება თუ დედაკაცი, და კაცისა, რომელიც გაბინძურებულ ქალთან დაწვება.

## შენდობის დღე

**16**<sup>1</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს აარონის ორი შვილის სიკვდილის შემდეგ, როცა წარდგნენ ისინი უფლის წინაშე და დაიხოცნენ.<sup>2</sup> და უთხრა უფალმა მოსეს: უთხარი აარონს, შენს ძმას, ყოველ დროს ნუ შევა წმიდაში, კრეტსაბმელის იქით, სარქველის წინ, რომელიც კიდობანს ახურავს, რათა არ მოკვდეს. რადგან ღრუბელში გამოვჩნდები თავსარქველზე.<sup>3</sup> აი, რით უნდა შევიდეს აარონი წმიდაში: მოზვრით — ცოდ-

ვის გამოსასყიდად და ვერძით — აღსავლენად. <sup>4</sup>სელის წმიდა კვართი ეცვას ტანზე, სელის სარტყელი ერტყას, და სელის თავსაბური ებუროს — ესენი წმიდა შესამოსლებია. და წყალში გაიბანოს ტანი და შეიმოსოს. <sup>5</sup>და ისრაელიანთა საზოგადოებიდან აიყვანოს ორი ვაცი ცოდვის გამოსასყიდად და ერთი ვერძი აღსავლენად, <sup>6</sup>და შესწიროს აარონმა თავისი ცოდვის გამოსასყიდი მოზვერი და შეუნდოს საკუთარ თავს და თავის სახლს. <sup>7</sup>და აიყვანოს ორი ვაცი და დააყენოს ისინი უფლის წინაშე თავშეყრის კარვის შესასვლელთან. <sup>8</sup>და წილი ჰყაროს აარონმა ამ ორ ვაცზე: ერთი წილი უფლისათვის, ერთი წილი აზაბელისათვის. <sup>9</sup>და მიუყვანოს აარონმა უფლის წილხვდომილი ვაცი უფალს და შესწიროს ცოდვის გამოსასყიდად. <sup>10</sup>და ვაცი, რომელსაც აზაბელისათვის ხვდა წილი, ცოცხლად დაუყენოს უფალს, რათა შეუნდოს მას, და გაუშვას აზაბელისათვის უდაბნოში. <sup>11</sup>და მიიყვანოს აარონმა თავისი ცოდვის გამოსასყიდი მოზვერი და შეუნდოს საკუთარ თავს და თავის სახლს და დაკლას თავისი ცოდვის გამოსასყიდი მოზვერი. <sup>12</sup>და აიღოს მოგიზგიზე ნაკვერცხლებით სავსე სასაკმეველე სამსხვერპლოდან, უფლის წინაშე რომ დგას, და სავსე მუჭა დაფხვნილი სურნელოვანი საკმეველი და შეიტანოს კრეტსაბმელს იქით. <sup>13</sup>და დაყაროს საკმეველი ცეცხლზე უფლის წინაშე და დაფარავს საკმეველის კვამლი სარქველს, მოწმობას რომ ახურავს, რათა არ მოკვდეს. <sup>14</sup>და აიღოს მოზვრის სისხლი და თითო ასხუროს თავსარქველს წინა მხრიდან, და სარქველის წინა კი შვიდგმის ასხუროს სისხლი თითოთ. <sup>15</sup>და დაკლას ხალხის ცოდვის გამოსასყიდი ვაცი და შეიტანოს მისი სისხლი კრეტსაბმელის იქით, და იხმაროს მისი სისხლი, როგორც მოზვრის სისხლი იხმარა. და დაასხუროს იგი სარქველზე და სარქველის წინ. <sup>16</sup>და შეუნდობს წმიდას ისრაელიანთა სიბინძურეს და მათ შეცოდებას და ყოველ ცოდვას. ასე უნდა მოიქცეს თავშეყრის კარვის მიმართ, რომელიც მათთან არის, მათ სიბინძურეთა შორის. <sup>17</sup>და არც ერთი კაცი არ უნდა იმყოფებოდეს თავშეყ-

რის კარავში, როცა იგი წმიდის შესანდობად არის შესული. და შეუნდობს საკუთარ თავს, თავის სახლს და მთელს ისრაელის კრებულს. <sup>18</sup> და გამოვა სამსხვერპლოსთან, უფლის წინაშე რომ არის, და შეუნდობს მას. და აიღებს მოზვრის სისხლს და სამსხვერპლოს რქებზე დადებს ირგვლივ. <sup>19</sup> და ასხურებს მას სისხლს თავისი თითით შვიდგზის, სუფთა-ჰყვეს და განწმედს მას ისრაელიანთა სიბინძურისგან. <sup>20</sup> და მორჩება წმიდის, თავშეყრის კარვის და სამსხვერპლოს განწმედას და მიიყვანს ცოცხალ ვაცს, <sup>21</sup> და თავზე დაასხამს ორთავე ხელს აარონი ცოცხალ ვაცს და აღიარებს მასზე ისრაელიანთა ყველა უკეთურებას, ყველა შეცოდებას და ყველა ცოდვას, და დაადებს მათ თავზე ვაცს და გაუშვებს უდაბნოში საგანგებო კაცის ხელით. <sup>22</sup> და წაიღებს ვაცი ყველა მათ უკეთურებას მოწყვეტილი ქვეყნისაკენ, და გაუშვებს თხას უდაბნოში. <sup>23</sup> და შევა აარონი თავშეყრის კარავში, და გაიხდის სელის შესამოსლებს, რომლებითაც შეიმოსა წმიდაში შესვლის წინ, და იქ დატოვებს მათ, <sup>24</sup> და დაიბანს ტანს წყლით წმიდა ადგილას, ჩაიცვამს თავის ტანისამოსს, გამოვა გარეთ და შეწირავს აღსავლენს თავის-თვის და აღსავლენს ერისათვის და განწმედს თავის თავს და ერს. <sup>25</sup> და ცოდვის გამოსასყიდ ქონს დაწვავს სამსხვერპლობე. <sup>26</sup> და განტევების ვაცის წამყვანმა უნდა გაირეცხოს ტანისამოსი და წყლით დაიბანოს ტანი, და ამის შემდეგ შევიდეს ბანაკში. <sup>27</sup> და ცოდვის გამოსასყიდი მოზვერი და ცოდვის გამოსასყიდი ვაცი, რომელთა სისხლი შესანდობად იქნა შეტანილი წმიდაში, უნდა წაიღონ ბანაკის გარეთ და ცეცხლში დაწვან მათი ტყავები, ხორცი და განავალი. <sup>28</sup> და ვინც მათ დაწვავს, ტანისამოსი უნდა გაირეცხოს, ტანი წყლით უნდა დაიბანოს და ამის შემდეგ შევიდეს კარავში. <sup>29</sup> და იყოს თქვენთვის სამარადისო წესად: მეშიდე თვეს, თვის მეათე დღეს, დაიმდაბლეთ თავი, არაფერი საქმე აკეთოთ, არც მკვიდრმა და არც მდგმურმა, თქვენთან რომ მდგმურობს, <sup>30</sup> რადგან ამ დღეს შეგინდოთ თქვენ, რომ გასუფთავებულიყავით ყველა თქვენი ცოდვისაგან. უფლის

წინაშე უნდა გასუფთავდეთ. <sup>31</sup> განსვენების შაბათია ეს თქვენთვის და დაიმდაბლეთ თავი. ეს არის სამარადისო წესი. <sup>32</sup> და შეუნდობს მღვდელი, რომელსაც სცხეს ზეთი და რომელსაც აუვსეს ხელი სამღვდლოდ მამამისის ნაცვლად. და შეიმოსავს სელის შესამოსლებს, საწესო შესამოსლებს. <sup>33</sup> და გაწმედს წმიდათა წმიდას, თავშეყრის კარავს და სამსხვერპლოს. შეუნდობს მღვდლებს და მთელი კრებულის ხალხსაც შეუნდობს. <sup>34</sup> და იყოს ეს თქვენთვის სამარადისო წესად, რომ შეენდოთ ისრაელიანებს თავიანთი ცოდვები წელიწადში ერთხელ, როგორც ამცნო უფალმა მოსეს.

### სისხლის რჯული

**17** <sup>1</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>2</sup> ელაპარაკე აარონს, მის შვილებს, მთელს ისრაელობას და უთხარი ეს სიტყვა, რომელიც უფალმა ბრძანა. <sup>3</sup> თუ ვინმე ისრაელის სახლიდან ან ხარს, ან ცხვარს, ან თხას ბანაკში დაკლავს, ან ბანაკის გარეთ დაკლავს, <sup>4</sup> თავშეყრის კარვის შესასვლელთან არ მიიყვანს, რომ უფლის სავანესთან შესწიროს უფალს, ამ კაცს სისხლი მოეკითხება. მან სისხლი დაღვარა და უნდა მოიკვეთოს თავისი ხალხიდან. <sup>5</sup> რათა მიყავდეთ ისრაელიანებს საკლავი, რომელსაც ველზე კლავენ, რომ მიყავდეთ მღვდელთან თავშეყრის კარავთან უფლისათვის და უკლავდნენ სამშვიდობო მსხვერპლად უფალს. <sup>6</sup> და დაღვაროს მღვდელმა სისხლი უფლის სამსხვერპლოზე თავშეყრის კარვის შესასვლელთან და აკმიოს ქონი უფლისათვის კეთილსურნელებად. <sup>7</sup> და აღარ შეწირონ მსხვერპლი ვაცებს, რომელთა კვალზეც გარყვნილობენ. ეს ჰქონდეთ სამარადისო წესად თაობიდან თაობაში. <sup>8</sup> და უთხარი მათ: თუ ვინმე ისრაელიანი, ან ვინმე მდგმური, რომელიც მდგმურობს თქვენთან, შესწირავს აღსავლენს ან მსხვერპლს, <sup>9</sup> და თავშეყრის კარვის შესასვლელთან არ მიიტანს უფლისათვის გასამზადებლად, ეს კაცი უნდა მოიკ-

ვეთოს თავისი ხალხიდან. <sup>10</sup> და თუ ვინმე ისრაელიანი, ან ვინმე მდგმური, რომელიც მდგმურობს თქვენთან, შეჭამს სისხლს, მივმართავ ჩემს პირს სისხლის მჭამელისაკენ და მოვკვეთავ მას ხალხის წიაღიდან. <sup>11</sup> რადგან სისხლშია ხორციელის სული. მე დაგიწესეთ იგი სამსხვერპლოსათვის, თქვენი სულის შესანდობად, რადგან სისხლია, რომ შეუნდობს სულს. <sup>12</sup> ამიტომაც ვუთხარი ისრაელიანებს: არავინ თქვენგანმა არ ჭამოს სისხლი, არც მდგმურმა, რომელიც თქვენთან მდგმურობს, არ ჭამოს სისხლი. <sup>13</sup> თუ ვინმე ისრაელიანთაგან და მდგმურთაგან, რომლებიც მდგმურობენ თქვენ შორის, მოინადირებს ცხოველს, ან ფრინველს, რომელიც იჭმევა, სისხლი უნდა გამოუშვას და მიწით დაფაროს. <sup>14</sup> რადგან სული ყოველი ხორციელისა მისი სისხლია, მის სულშია იგი. და ვუთხარი ისრაელიანებს: არა ხორციელის სისხლი არ ჭამოთ, რადგან ყოველი ხორციელის სული მისი სისხლია. ყოველი მისი მჭამელი მოიკვეთოს. <sup>15</sup> და ყველამ, ვინც ლეშს, ან ნამხეცავს შეჭამს, მკვიდრი იქნება, თუ მდგმური, ტანისამოსი წყლით უნდა გაირეცხოს და გაბინძურებული იქნება საღამომდე და გასუფთავდება. <sup>16</sup> და თუ არ გარეცხავს და ტანს არ დაიბანს, დანაშაული დაეკისრება.

## სექსუალური აკრძალვები

**18** <sup>1</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>2</sup> ელაპარაკე ისრაელიანებს და უთხარი: მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი. <sup>3</sup> ნუ მოიქცევით ისე, როგორც იქცეოდით ეგვიპტეში, სადაც თქვენ ცხოვრობდით. ნუ მოიქცევით ისე, როგორც იქცევინ ქანაანის ქვეყანაში, სადაც მიმყავხართ. ნუ მიყვებით მათ წესებს. <sup>4</sup> ჩემი სამართალი აღასრულეთ და ჩემი წესები შეინახეთ, მათ მიყვით. მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი. <sup>5</sup> და შეინახეთ ჩემი წესები და ჩემი სამართალი. ადამიანი, რომელიც მათ აღასრულებს, ცოცხალი იქნება მათი წყალობით. მე ვარ უფალი. <sup>6</sup> არავინ მიუახლოვდეს თავის ხორციით ნათესავს მისი

სიშიშვლის გამოსაჩენად. მე ვარ უფალი. <sup>7</sup>სიშიშვლე მამაშენისა და სიშიშვლე დედაშენისა არ გამოაჩინო, დედაა შენი, არ გამოაჩინო მისი სიშიშვლე. <sup>8</sup>სიშიშვლე მამაშენის ცოლისა არ გამოაჩინო, ეს მამაშენის სიშიშვლეა. <sup>9</sup>სიშიშვლე შენის დისა, მამაშენის ასულისა, ან დედაშენის ასულისა, შინ დაბადებული-სა, ან გარეთ დაბადებულისა არ გამოაჩინო. <sup>10</sup>სიშიშვლე შენი ვაჟის ასულისა, ან შენი ქალიშვილის ასულისა არ გამოაჩინო, რადგან ეს შენი სიშიშვლეა. სიშიშვლე მამაშენის ცოლის ასულისა, მამაშენის ნაშობისა არ გამოაჩინო. შენი და არის იგი. <sup>12</sup>სიშიშვლე მამაშენის დისა არ გამოაჩინო, მამაშენის ხორცია იგი. <sup>13</sup>სიშიშვლე დედაშენის დისა არ გამოაჩინო, რადგან დედაშენის ხორცია იგი. <sup>14</sup>სიშიშვლე მამაშენის ძმისა არ გამოაჩინო, ნუ მიეკარები მის ცოლს: შენი ბიცოლაა იგი. <sup>15</sup>სიშიშვლე შენი რძლისა არ გამოაჩინო, შენი ვაჟის ცოლია იგი, არ გამოაჩინო მისი სიშიშვლე. <sup>16</sup>სიშიშვლე შენი ძმის ცოლისა არ გამოაჩინო, შენი ძმის სიშიშვლეა ეს. <sup>17</sup>სიშიშვლე ცოლისა და მის ასულისა არ გამოაჩინო. არ ითხოვო მისი ვაჟის ასული და მისი ქალიშვილის ასული სიშიშვლის გამოსაჩენად. შენი ხორცია ისინი. ეს გარყვნილებათ. <sup>18</sup>შენი ცოლის და არ ითხოვო ერთმანეთის სამტროდ, რომ აჩენდე მის სიშიშვლეს მის გვერდით მთელი მისი სიცოცხლე. <sup>19</sup>ცოლს წიდოვნების დროს არ მიეკარო სიშიშვლის გამოსაჩენად. <sup>20</sup>შენი მეზობლის ცოლს არ შეეყო თესლით, რომ არ გაბინძურდე მისგან. <sup>21</sup>შენი თესლიდან არავინ მისცე მოლექის ცეცხლში გასატარებლად, არ შეაგინო შენი ღვთის სახელი. მე უფალი ვარ. <sup>22</sup>მამაკაცთან არ დაწვე დედაკაცური წოლით. ეს სისაძაგლეა. <sup>23</sup>არანაირ ცხოველთან არ იქონიო კავშირი, რათა არ გაბინძურდე მისგან. და არც ქალი არ დადგეს ცხოველის წინ სამაკინტლოდ, ეს სიბილწეა. <sup>24</sup>არც ერთით ამ სისაძაგლეთაგან არ გაიბინძუროთ თავი, რადგან ყოველივე ამით ბინძურდებიან ის ხალხები, რომლებსაც ვდევნი თქვენგან. <sup>25</sup>და გაბინძურდა მიწა და მე დავხედე მათ უკეთურებებს და ამოანთხია მიწამ თავისი მკვიდრნი. <sup>26</sup>და

დაიცავით ჩემი წესები და სამართალი, არ ჩაიდინოთ ეს სისაძაგლეები არც მკვიდრმა და არც მდგმურმა, თქვენს შორის რომ მდგმურობს. <sup>27</sup> რადგან ყველა ამ სისაძაგლეს სჩადის იმ ქვეყნის ხალხი, რომელიც თქვენს წინაშეა, და გაბინძურდეს მიწა. <sup>28</sup> რომ არ ამოგანთხიოთ მიწამ, როცა გააბინძურებთ მას, როგორც ამოანთხია ის ხალხები, რომლებიც თქვენამდე იყვნენ. <sup>29</sup> რადგან ამ სისაძაგლეთა ჩამდენნი თავისი ხალხის წიაღიდან მოიკვეთებიან. <sup>30</sup> და დაიცავით ჩემი გაფრთხილება, რომ არ შეასრულოთ საძაგელი წესები, თქვენამდე რომ სრულდებოდა, და არ გაბინძუროთ თავი. მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი.

**მორალური და რელიგიური სამართალი**

**19** <sup>1</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>2</sup> ელაპარაკე ისრაელიანთა მთელს საზოგადოებას და უთხარი: წმიდები იყავით, რადგან წმიდა ვარ მე, უფალი, თქვენი ღმერთი. <sup>3</sup> დედისა და მამის მოწიწება ჰქონდეს ყველას, შეინახეთ შაბათები! მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი. <sup>4</sup> პირს ნუ მიაქცევთ კერპებისაკენ და ნუ გაიჩნთ ჩამოსხმულ ღმერთებს. მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი. <sup>5</sup> და როცა უფლისათვის სამშვიდობო მსხვერპლის შეწირვას დააპირებთ, თქვენს სამწყალობნოდ შესწირეთ იგი. <sup>6</sup> მსხვერპლის შეწირვის დღესაც ჭამეთ და მეორე დღესაც. მესამე დღეს მორჩენილი ცეცხლში დაიწვას. <sup>7</sup> თუ მესამე დღეს შეიჭამა საკლავი, ეს სისაძაგლე იქნება. წყალობა არ იქნება. <sup>8</sup> მის შემჭმელს ცოდვა დაედება, რადგან უფლის სიწმიდე წაბილწა და მოიკვეთება თავისი ხალხიდან. <sup>9</sup> და როცა სამკალი გექნებათ თქვენს მიწაზე, ერთიანად ნუ მომიკი შენს ყანას: სამკალში დაცვენილს ნუ აკრებ. <sup>10</sup> ვენახსაც ნუ მოიმცვრევ, ყურძნის ბიმბილებს ნუ აკრებ ძირიდან, ღარიბ-ღატაკსა და მდგმურს დაუტოვე ისინი. მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი! <sup>11</sup> არ იქურდოთ, არ ითვალთმაქცოთ, ერთ-



მანეთი არ მოატყუოთ, <sup>12</sup> ცრუ ფიცი არ თქვათ ჩემი სახელით, თორემ შეაგინებთ თქვენი ღვთის სახელს. მე ვარ უფალი! <sup>13</sup> ნუ შეავიწროებ შენს ახლობელს და ნუ გაძარცვავ, ნუ დაიტოვებ დილამდე ქირის კაცის გასამრჯელოს. <sup>14</sup> ნუ დააამცირებ ყრუს და ნუ დაუდებ ბრმას წინ საბრკოლს. გეშინოდეს შენი ღვთისა. მე ვარ უფალი! <sup>15</sup> ნუ გაამრუდებ სამართალს სასამართლოში, ზედმეტად ნუ მოუფონებ საწყალს და ზედმეტ პატივს ნუ მი- აგებ დიდკაცს. სიმართლით განიკითხე შენი მეზობელი. <sup>16</sup> ცი- ლისწამებას ნუ გაავრცელებ შენს ხალხში, ნუ აღდგები შენი ახლობლის სისხლის წინააღმდეგ. მე ვარ უფალი! <sup>17</sup> ნუ უმტ- რობ გულში შენს ძმას. მხილებით ამხილე შენი მეზობელი და ცოდვა არ იქნება შენზე. <sup>18</sup> ნუ იქნები შურისმაძიებელი და ბოლ- მას ნუ ჩაიდებ შენი ხალხის შვილზე, და გიყვარდეს შენი ახ- ლობელი, როგორც თავი შენი. მე ვარ უფალი! <sup>19</sup> დაიცავი ჩემი წესები: შენს პირუტყვებს ერთმანეთთან ნუ შეაჯვარებ; შენს ყანაში ორნაირ თესლს ნუ დათესავ; მატყლისა და სელისგან მოქსოვილ ტანისამოსს ნუ ჩაიცვამ. <sup>20</sup> და თუ ვინმე ქალთან დაწვება თესლის მიღვრით, ის კი ქმრის დანიშნული მხევალია, არ არის გამოსყიდულ, ან თავისუფლება არა აქვს მიცემული, დანაშაულად შეირაცხება. თუმცა იგი არ არის მოსაკვდინებე- ლი, რადგან ქალი გათავისუფლებული არ ყოფილა. <sup>21</sup> და მი- უტანოს დანაშაულის გამოსასყიდად უფალს თავშეყრის კარ- ვის შესასვლელთან დანაშაულის ვერძი, <sup>22</sup> და შეუნდობს მას მღვდელი დანაშაულის ვერძით უფლის წინაშე ცოდვას, რომე- ლიც ჩადენილი აქვს, და ეპატიება ცოდვა, რომელიც ჩადენილი აქვს. <sup>23</sup> და როცა შეხვალთ ქვეყანაში და დარგავთ რაიმე ხე- ხილს, დაუცვეთელად შერაცხეთ მისი ნაყოფი, სამ წელიწადს დაუცვეთელი იყოს თქვენთვის, არ იჭმევა. <sup>24</sup> და მეოთხე წელს ყოველი მისი ნაყოფი უფლისათვის შეიწიროს. <sup>25</sup> და მეხუთე წელს ჭამეთ მისი ნაყოფი, რომ გემატოთ მისი მოსავალი. მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი. <sup>26</sup> ნურაფერს შეჭამთ სისხლთან ერთად. ნუ იჯადოქრებთ და ნუ იმკითხავებთ. <sup>27</sup> ნუ მოიკრეჭთ



თავის კიდევებს და ნუ მოსპობთ წვერის კიდევებს. <sup>28</sup> ნაკაწრებს ნუ გაიკეთებთ ტანზე თქვენი მკვდრის გულისათვის და წარწერებს ნუ გაიკეთებთ. მე ვარ უფალი! <sup>29</sup> ნუ მიუშვებ შენს ასულს გასარყვნელად, რათა არ გაირყვნას ქვეყანა და არ აივსოს ბიწიერებით. <sup>30</sup> ჩემი შაბათები შეინახეთ და ჩემი საწმიდრის გემინოდეთ. მე ვარ უფალი. <sup>31</sup> ნუ მიმართავთ მესულთანებს და მჩხიბავებს, და მისნებს, რომ არ გაიბინძუროთ თავი მათით. მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი! <sup>32</sup> ჭალარის წინაშე წამოდექი, პატივი მიაგე მოხუცს და შენი ღვთისა გემინოდეს. მე ვარ უფალი! <sup>33</sup> თუ დაგიდგება მდგმურად ვინმე თქვენს ქვეყანაში, ნუ შეავიწროვებ მას. <sup>34</sup> როგორც მკვიდრი, ერთი თქვენთაგანი, იყოს თქვენთვის მდგმური, რომელიც მდგმურობს თქვენთან და გიყვარდეთ იგი, როგორც თქვენი თავი, რადგან თქვენც მდგმურები იყავით ეგვიპტის ქვეყანაში. მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი. <sup>35</sup> ნუ ჩაიდენ უსამართლობას სასამართლოზე, ნურც ბომა-წონაში და ნურც საწყაოში. <sup>36</sup> სწორი სასწორი, სწორი საწონები, სწორი ეფა, სწორი პინა გქონდეთ. მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, რომელმაც ეგვიპტის ქვეყნიდან გამოგიყვანეთ. <sup>37</sup> დაიცავით ჩემი წესები და ჩემი სამართალი, შეასრულეთ ისინი. მე ვარ უფალი!

### რელიგიური დანაშაულები

**20** <sup>1</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>2</sup> ისრაელიანებს უთხარი: თუ ვინმე ისრაელიანთაგან, ან მდგმურთაგან, რომელიც ისრაელში მდგმურობს, თავის თესლთაგანს მოლექისათვის შესაწირავად მისცემს, იგი უნდა მოკვდეს. ქვეყნის ერმა ქვებით უნდა ჩაქოლოს. <sup>3</sup> და მე პირს მივაქცევ ამ კაცისაკენ და მოვკვებ მას თავისი ხალხის წიაღიდან, რადგან თავისი ნაშიერი გასწირა მოლექისათვის, რომ ჩემი საწმიდარი გაერიოშებიანა და ჩემი წმიდა სახელი შეეგინებიანა. <sup>4</sup> და თუ ხალხი თვალს მოარიდებს ამ კაცს, როდესაც იგი თავის შვილს

მოლექისათვის სწირავს, და არ მოკლავს მას, <sup>5</sup> მე მივაქცევ პირს ამ კაცისაკენ და მისი საგვარეულოსაკენ და ხალხის წი-  
ალიდან მოვკვეთ მას და მის კვალზე ყველა გაუკულმართე-  
ბულს, რომლებიც უკულმართობენ მოლექის კვალზე. <sup>6</sup> და თუ  
ვინმე ჯადოქრებს და მკითხავებს მიმართავს, რომ მათ კვალზე  
იუკულმართოს, მე პირს მივაქცევ მისკენ და მოვკვეთ თავისი  
ხალხის წიალიდან. <sup>7</sup> და წმიდაჰყავით თქვენი თავი და წმიდები  
იყავით, რადგან მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი. <sup>8</sup> და დაიცა-  
ვით ჩემი წესები და შეასრულეთ ისინი, მე ვარ უფალი, თქვენი  
გამწმედელი.

### დანაშაული ოჯახის წინააღმდეგ

<sup>9</sup> და კაცი, რომელიც თავის მამას და თავის დედას შეურაცხ-  
ყოფს, უნდა მოკვდეს. თავისი მამა და თავისი დედა შეურაცხ-  
ყო, მასზეა მისი სისხლი. <sup>10</sup> და კაცი, რომელიც იმრუშებს კაცის  
ცოლთან იმრუშებს, თავისი ახლობლის ცოლთან, უნდა მოკვ-  
დეს, როგორც მემრუშე კაცი, ისე მემრუშე ქალი. <sup>11</sup> და კაცი, რო-  
მელიც მამის ცოლთან დაწვება, თავისი მამის სიშიშვლეს გა-  
მოაჩენს, ორივენი უნდა მოკვდნენ. მათზეა მათი სისხლი. <sup>12</sup> და  
კაცი, რომელიც თავის რძალთან დაწვება, ორივენი უნდა მოკ-  
ვდნენ. სისაძაგლე აქვთ ჩადენილი. მათზეა მათი სისხლი. <sup>13</sup> და  
კაცი, რომელიც მამაკაცთან დაწვება დედაკაცური წოლით, სი-  
ბილწეს ჩაიდენენ ორივენი. უნდა მოკვდნენ. მათზეა მათი სის-  
ხლი. <sup>14</sup> და კაცი, რომელიც ცოლად ითხოვს ქალიშვილს და მის  
დედას, ეს გარყვნილება იქნება. ცეცხლში უნდა დაიწვან კაციც  
და ქალებიც, რომ არ იყოს გარყვნილება თქვენს შორის. <sup>15</sup> და  
ვინც პირუტყვთან დაიჭერს კავშირს, უნდა მოკვდეს და პირუტ-  
ყვიც უნდა მოკლათ. <sup>16</sup> და თუ ქალი პირუტყვთან სამაკინტლოდ  
მივა, მოკალი ქალიც და პირუტყვიც. უნდა დაიხოცონ. მათზეა  
მათი სისხლი. <sup>17</sup> და კაცი, რომელიც მოიყვანს თავის დას, თავი-  
სი მამის ასულს, ან თავისი დედის ასულს, და დაინახავს მის სი-

შიშვლეს, და (ქალი) დაინახავს (კაცის) სიშიშვლეს, სამარცხვინოა ეს და უნდა მოიკვეთონ თავისი ხალხის თვალწინ. თავისი დის სიშიშვლე გამოაჩინა, ცოდვა დაიდო. <sup>18</sup> და კაცი, რომელიც წიდოვან ქალთან დაწვება და მის სიშიშვლეს გამოაჩენს, კაცი სადინელს გაუშიშვლებს და ქალი სისხლის სადინელს გამოაჩენს, ორივენი უნდა მოიკვეთონ თავისი ხალხის წიაღიდან. <sup>19</sup> შენი დედის დის და შენი მამის დის სიშიშვლე არ გამოაჩინო, რადგან ეს მისი ხორცის გაშიშვლებაა, ცოდვა დაიდეს. <sup>20</sup> კაცი, რომელიც ბიცოლასთან დაწვება, ბიძის სიშიშვლეს გამოაჩენს. ცოდვა დაიდეს. უშვილოები დაიხოცებიან. <sup>21</sup> და კაცი, რომელიც ძმის ცოლს ითხოვს, ეს აღრევა იქნება. ძმის სიშიშვლე გამოაჩინა. უშვილოები იქნებიან. <sup>22</sup> და დაიცავით ყველა ჩემი წესი და ყველა ჩემი სამართალი, შეასრულეთ ისინი, რომ არ გამოგანთხიოთ ქვეყანამ, სადაც შეგიყვანთ საცხოვრებლად.

### გაფრთხილებები

<sup>23</sup> და ნუ მოიქცევით იმ ხალხთა წესებზე, რომლებიც უნდა ავყარო თქვენგან, რადგან ყველაფერს ამას ისინი სჩადიან, და მე განვურისხდი მათ. <sup>24</sup> და გითხარით თქვენ: თქვენ დაისაკუთრებთ მათ მიწა-წყალს. და მე გაძლევთ მას დასასაკუთრებლად, — ქვეყანას, სადაც რძე და თაფლი მოედინება. მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, რომელმაც გამოგარჩიეთ სხვა ხალხებისაგან. <sup>25</sup> და გაარჩიეთ ერთმანეთისაგან სუფთა და ბინძური ცხოველი, სუფთა და ბინძური ფრინველი და ნუ წაიბილწავთ თავს ცხოველით, ფრინველით და ყველაფრით, რაც მიწაზე დახოხავს, რომელიც გაგიცალკევებთ, როგორც უსურმაგნი. <sup>26</sup> და იყავით წმიდები ჩემთვის, რადგან წმიდა ვარ მე, უფალი, და გამოგარჩიეთ სხვა ხალხებისაგან, რომ ჩემი იყოთ. <sup>27</sup> და თუ ვინმე აღმოჩნდა თქვენში ჯადოქარი ან მკითხავი — კაცი იქნება თუ ქალი, უნდა მოკვდეს, ქვებით უნდა ჩაქოლონ. მათზეა მათი სისხლი.

**სამღვდელთა სიწმიდე**

**21** <sup>1</sup>და უთხრა უფალმა მოსეს: უთხარი მღვდლებს, აარონიანებს და უთხარი მათ: არავინ გაიბინძუროს თავი მკვდრის შეხებით თავის ხალხში. <sup>2</sup>და თუ მისი ხორცით ნათესავია — დედა ან მამა, ვაჟი ან ასული, ძმა, <sup>3</sup>ან ქალწული და, ან ნათესავი ქალი, რომელიც გათხოვილი არ ყოფილა, მხოლოდ მაშინ შეიძლება გაიბინძუროს თავი. <sup>4</sup>ქმარმა არ გაიბინძუროს თავი თავის ხალხში, რომ არ წაიბილწოს. <sup>5</sup>თავს ნუ გადაიკრეჭენ, ლაწვებზე თმას ნუ მოიპარსავენ, ტანზე ნაკაწრებს ნუ გაიკეთებენ. <sup>6</sup>წმიდები უნდა იყვნენ თავიანთი ღვთისათვის და არ შეურაცხყონ თავიანთი ღვთის სახელი, რადგან უფლის საცეცხლო მსხვერპლს, თავიანთი ღვთის პურს სწირავენ ისინი, წმიდები უნდა იყვნენ. <sup>7</sup>ქალი ბოზი და გარყვნილი არ ითხოვონ ცოლად, არც ქმარს გაცილებული არ ითხოვონ, რადგან წმიდა არის არის იგი თავისი ღვთისათვის. <sup>8</sup>წმიდაჰყავით იგი, რადგან ის სწირავს შენი ღვთის პურს. წმიდა იყოს იგი შენტვის, რადგან წმიდა ვარ მე, უფალი, თქვენი წმიდამყოფელი. <sup>9</sup>მღვდლის ქალიშვილი, რომელმაც ბოზობით თავი შეირცხვინა, მამამისის შემარცხვენელია, ცეცხლში უნდა დაიწვას. <sup>10</sup>და მღვდელმთავარი თავისი საძმოდან, რომელსაც თავზე ცხების ზეთი აქვს ცხებული და ხელი აქვს ავსებული შესამოსელის სატარებლად, თავს არ უნდა იშიშვლებდეს და შესამოსელს არ უნდა იხევედეს. <sup>11</sup>და არც ერთ მკვდარს არ უნდა მიეკაროს, არც მამას და არც დედას, რომ არ გაბინძურდეს. <sup>12</sup>და საწმიდარიდან არ უნდა გადიოდეს, არ უნდა გაარიოშოს თავისი ღვთის საწმიდარი, რადგან მისი ღვთის ცხების ზეთით არის ცხებული. მე ვარ უფალი. <sup>13</sup>ცოლად ქალწული უნდა ითხოვოს. <sup>14</sup>ქვრივი, ქმარს გაცილებული, შერცხვენილი, ბოზი და ამგვარნი არ ითხოვოს. მხოლოდ ქალწული ითხოვოს ცოლად თავისი ხალხიდან. <sup>15</sup>და არ გაარიოშოს თავისი თესლი თავის ხალხში, რადგან მე ვარ უფალი, მისი წმიდამყოფელი. <sup>16</sup>ელაპარაკა უფალი მოსეს სათ-

ქმელად: <sup>17</sup> ელაპარაკე აარონს, რომ უთხრა: ნაკლოვანმა კაც-  
მა შენს შთამომავალთაგან არ შესწიროს თავისი ღვთის პური.  
<sup>18</sup> რადგან არავის, ვისაც რამე ნაკლი აქვს, არა აქვს შეწირვის  
უფლება; არც ბრმას, არც კოჭლს, არც ცხვირჩაჭლეტილს, არც  
ცხვირწაშვერილს, <sup>19</sup> არც ფეხმოტეხილს, არც ხელმოტეხილს,  
<sup>20</sup> არც კუზიანს, არც დამჭლევებულს, არც თვალლიბრიანს, არც  
მუნიანს, არც ქეციანს, არც კვერცხებჩაჭყლეტილს, <sup>21</sup> არავის,  
ვისაც რამე ნაკლი აქვს აარონ მღვდლის შთამომავლობაში,  
არა აქვს უფლება უფლის საცეცხლო მსხვერპლის შეწირვისა  
— ნაკლია მასში. არა აქვს უფლება თავისი ღვთის პურის შე-  
წირვისა. <sup>22</sup> თავისი ღვთის პურს წმიდათა წმიდადან და წმიდა-  
დან ჭამს. <sup>23</sup> ოღონდ კრეტსაბმელთან ვერ მივა და სამსხვერპ-  
ლოს ვერ მიეკარება, რადგან ნაკლი აქვს. არ უნდა გაარიოშოს  
ჩემი საწმიდარები, რადგან მე ვარ უფალი, მათი წმიდამყოფე-  
ლი. <sup>24</sup> და ელაპარაკა მოსე აარონს, მის შვილებს და ყველა ის-  
რაელიანს.

### საკლავის სიწმიდე

**22** <sup>1</sup> ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>2</sup> ელაპარა-  
კე აარონს და მის შვილებს, ეკრძალონ ისრაელიანთა  
სიწმიდეებს და არ გაარიოშონ ჩემი წმიდა სახელი. არიან ჩემი  
შემომწირველნი ისინი. მე ვარ უფალი. <sup>3</sup> უთხარი მათ: ყველა,  
ვინც კი თქვენი თესლთაგანი თქვენს მოდგმაში გაბინძურე-  
ბული მიუახლოვდება სიწმიდეებს, რომლებსაც ისრაელიანე-  
ბი სწირავენ უფალს, უნდა მოიკვეთოს ჩემი პირიდან. მე ვარ  
უფალი. <sup>4</sup> კეთროვანი ან გამონადენიანი აარონის შთამომა-  
ვალთაგან ვერ შეჭამს სიწმიდეებს, ვიდრე არ გასუფთავდება.  
ის, ვინც მიეკარება რაიმეს, მკვდრისგან გაბინძურებულს, ან  
ვისაც თესლის დენა აქვს, <sup>5</sup> ან ვინც მიეკარება რომელიმე ქვე-  
წარმავალს, რომლისაგანაც გაბინძურდება, ან კაცს, რომელიც  
გაბინძურებს მას რაიმე სიბინძურით, <sup>6</sup> კაცი, რომელიც ყოვე-

ლივე ამას მიეკარება, სალამომდე გაბინძურებულია და წმიდას ვერ შეჭამს, თუ ტანი წყლით არ დაიბანა. <sup>7</sup> და ჩავა მზე და ისიც გასუფთავდება. მაშინ შეუძლია შეჭამოს წმიდა, რადგან ეს მისი პურია. <sup>8</sup> ლეში და ნამხეცავი არ ჭამოს, რომ არ გაბინძურდეს. მე ვარ უფალი. <sup>9</sup> და დაიცვან ჩემი გაფრთხილება და ცოდვა არ დაიდონ და ცოდვაში არ დაიხოცონ, როცა გაარიოშებენ მათ. მე ვარ უფალი, მათი წმიდამყოფელი. <sup>10</sup> და უცხომ არავინ ჭამოს წმიდა, მღვდლის მდგმურმა და ქირის კაცმა არ ჭამოს წმიდა. <sup>11</sup> თუ მღვდელი იყიდის თავისი ვერცხლით, მას შეუძლია ჭამოს იგი. მის სახლში დაბადებულებს შეუძლიათ ჭამონ მისი პური. <sup>12</sup> და მღვდლის ქალიშვილი, რომელიც უცხო კაცზეა გათხოვილი, ვერ შეჭამს შეწირულ წმიდებს. <sup>13</sup> მღვდლის ქალიშვილი, რომელიც დაქვრივებულია ან ქმარგაცილებული, ნაშიერი არა ჰყავს და მამის სახლშია დაბრუნებული, როგორც ყმაწვილქალობისას იყო, შეჭამს მამამისის პურს. უცხომ არავინ ჭამოს. <sup>14</sup> და ვინც შეცდომით შეჭამს წმიდას, მისი მეხუთედი უნდა დაუმატოს და მღვდელს მისცეს წმიდა. <sup>15</sup> რომ არ გაარიოშონ ისრაელის წმიდები, რომლებსაც უფალს სწირავენ. <sup>16</sup> რომ არ დააკისრონ სასჯელი ცოდვისათვის წმიდათა ჭამით, რადგან მე ვარ უფალი. მათი წმიდამყოფელი.

### სამსხვერპლო პირუტყვი

<sup>17</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>18</sup> ელაპარაკე აარონს და მის შვილებს და ყველა ისრაელიანს, რომ უთხრა: თუ ვინმე ისრაელის სახლიდან ან ისრაელის მდგმურთაგან მიიტანს თავის შესაწირავს, შეთქმულს ან ნებაყოფლობითს, რასაც აღსავლენად სწირავენ უფალს, <sup>19</sup> იმისათვის, რომ დამწყლობნდეთ, საკლავი უნაკლო უნდა იყოს, ხვასტაგი იქნება, ვერძი თუ ვაცი. <sup>20</sup> არ შესწიროთ საკლავი, რომელსაც რაიმე ნაკლი აქვს, რადგან ვერ დამწყლობნდებით. <sup>21</sup> თუ ვინმე შესწირავს უფალს სამშვიდობო მსხვერპლს აღთქმის თანახმად თუ ნებაყოფლობით — ხვასტაგს ან ცხვარს, უნაკლო უნდა

იყოს. არავითარი ნაკლი არ უნდა ჰქონდეს. <sup>22</sup> ბრმა ან დამტვრეული, ან დასახიჩრებული, ან დამუწუკებული, ან ქეციანი, ან მუნიანი არ შესწიროთ უფალს, არც საცეცხლო მსხვერპლად არ დაუდოთ უფალს სამსხვერპლოზე. <sup>23</sup> ხარი ან ცხვარი, რომელსაც ყური ან კუდი მოგლეჯილი აქვს, ნებაყოფლობით მსხვერპლად შესწირე, შეთქმულისათვის კი დამწყალობნდება. <sup>24</sup> რომელსაც ყვერები დატლეთილი ან დაჩეჩქვილი, ან მოგლეჯილი, ან მოჭრილი აქვს, არ შესწირო უფალს. თქვენს მიწაზე ეს არ გააკეთოთ. <sup>25</sup> უცხოელის ხელიდან მოცემულ პურს ნუ შესწირავთ თქვენს ღმერთს, რადგან გაფუჭებულია, ნაკლი აქვს. არ დამწყალობდებით. <sup>26</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>27</sup> როცა გაჩნდება ხარი, ან ცხვარი, ან თხა, შვიდ დღეს დედასთან ამყოფეთ. რვა დღის შემდეგ უკვე ივარგებს საცეცხლო მსხვერპლად უფლისათვის. <sup>28</sup> არ დაკლათ ხარი, ან ცხვარი, ან თხა, ერთ დღეს თავის ნაშიერთან ერთად. <sup>29</sup> და როდესაც სამშვიდობო მსხვერპლს უკლავთ უფალს, თქვენს სამწყალობნოდ შესწირეთ. <sup>30</sup> იმავე დღეს შეჭამეთ, დილამდე არ მოიჩინოთ. მე ვარ უფალი. <sup>31</sup> და დაიცავით ჩემი მცნებები და შეასრულეთ ისინი. მე ვარ უფალი. <sup>32</sup> არ გაარიოშოთ ჩემი წმიდა სახელი, რომ წმიდა ვიყო ისრაელიანთა შორის. მე ვარ უფალი, თქვენი წმიდამყოფელი, რომელმაც გამოგიყვანეთ ეგვიპტის ქვეყნიდან, რომ თქვენი ღმერთი ვიყო. მე ვარ უფალი.

### წლიური დღესასწაულები

**23** <sup>1</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>2</sup> ელაპარაკე ისრაელიანებს და უთხარი: უფლის დღესასწაულები, როდესაც უნდა გამართო ისინი, წმიდა წვეულებანი, ესენია ჩემი დღესასწაულები. <sup>3</sup> ექვსი დღე აკეთეთ საქმე, მეშვიდე დღეს კი განსვენების შაბათია, წმიდა წვეულება, არაფერი საქმე არ აკეთოთ. ეს იყოს უფლის შაბათი ყველა თქვენს საცხოვრებელში. <sup>4</sup> ესენია უფლის დღესასწაულები, წმიდა წვეულებანი, რომლებიც უნდა გამართოთ თავ-თავის დროზე:



<sup>5</sup> პირველ თვეს, თვის მეთოთხმეტე დღეს, სალამოხანს უფლის პასექია. <sup>6</sup> ამავე თვის მეთხუთმეტე დღეს უფლის უფუარობის დღესასწაულია. შვიდ დღეს უფუარი ჭამეთ, <sup>7</sup> პირველ დღეს წმიდა წვეულება გქონდეთ, არაფერი საქმე არ აკეთოთ. <sup>8</sup> და შესწირეთ საცეცხლო მსხვერპლი უფალს შვიდი დღის განმავლობაში. მეშვიდე დღეს წმიდა წვეულებაა, არაფერი საქმე არ აკეთოთ. <sup>9</sup> ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>10</sup> ელაპარაკე ისრაელიანებს და უთხარი: როდესაც შეხვალთ ქვეყანაში, რომელსაც გაძლევთ, და სამკალს მკას დაუწყებთ, პირველმომკილი ძნა მღვდელს მიუტანეთ. <sup>11</sup> და შეარხევს მას მღვდელი უფლის წინაშე თქვენს დასამწყალობინებლად. <sup>12</sup> და მოამზადეთ ძნის შერხევის დღეს ერთწლიანი საღი ცხვარი უფლისათვის აღსავლენად. <sup>13</sup> სამაგისო ძღვენი — ეფის მეთათედი გამტკიცული ფქვილი, ზეთში აბელილი, საცეცხლო მსხვერპლად უფლისათვის, კეთილსურნელებად, და სამაგისო ზედაშე — მეოთხედი ჰინი ღვინო. <sup>14</sup> და არც პური, არც ქუმელი არ ჭამოთ ამ დღემდე, ვიდრე უფალს შესაწირავს არ მიუტანთ. ეს გქონდეთ საუკუნო წესად თაობიდან თაობაში, ყველა თქვენს საცხოვრებელში. <sup>15</sup> და გადაითვალეთ შაბათის მეორე დღიდან, იმ დღიდან, როცა შესარხევი ძნა მიიტანეთ, შვიდი სრული შაბათი. <sup>16</sup> მეშვიდე შაბათის მეორე დღემდე გადაითვალეთ ორმოცდაათი დღე და შესწირეთ ახალი ძღვენი უფალს. <sup>17</sup> თქვენთქვენი საცხოვრებლებიდან მიიტანეთ შესარხეველი თქვენი პური. ორი მეთათედი ეფა განტკიცული ფქვილისგან უნდა იყოს, საფუარიანი უნდა გამოცხვეს — პირველმოწეულ ნაყოფად უფლისათვის. <sup>18</sup> და მიაყოლეთ პურს შვიდი წელგამოვლილი საღი კრავი, ერთი მოზვერი და ორი ვერძი. ესენი იქნება აღსავლენად უფლისათვის. ძღვენი და ზედაშე — საცეცხლო მსხვერპლად, კეთილსურნელებად უფლისათვის. <sup>19</sup> გაამზადეთ ერთი თხა ცოდვის გამოსასყიდად და ორი წელგამოვლილი კრავი სამშვიდობო მსხვერპლად. <sup>20</sup> და შეარხევს მათ მღვდელი უფლის წინაშე პირველმოწეულ პურთან და ორ ვერძთან ერთად.



ეს იყოს უფლისათვის, მღვდლისათვის. <sup>21</sup> და მოიწვიეთ სწორედ ამ დღეს — წმიდა წვეულება გქონდეთ. არაფერი საქმე არ აკეთოთ. ეს გქონდეთ საუკუნო წესად თაობიდან თაობაში, ყველა თქვენს საცხოვრებელში. <sup>22</sup> და როცა სამკალი გექნებათ თქვენს მიწაზე, ერთიანად ნუ მომკი შენს ყანას მკის დროს, სამკალში დაცვენილს ნუ აკრეფ, ღარიბ-ღატაკსა და მდგმურს დაუტოვე. მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი. <sup>23</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>24</sup> უთხარი ისრაელიანებს: მეშვიდე თვეს, თვის პირველ დღეს უქმე გქონდეს — გახსენება ბუკისცემისა, წმიდა წვეულება. <sup>25</sup> არაფერი საქმე არ აკეთოთ და საცეცხლო მსხვერპლი შესწირეთ უფალს. <sup>26</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>27</sup> ამავე მეშვიდე თვის მეათე დღეს შენდობის დღეა, წმიდა წვეულება გქონდეთ. დაიმდაბლეთ თავი და საცეცხლო მსხვერპლი შესწირეთ უფალს. <sup>28</sup> არაფერი საქმე არ აკეთოთ ამ დღეს, რადგან შენდობის დღეა იგი, რათა შეგენდოთ უფლის, თქვენი ღვთის წინაშე. <sup>29</sup> თუ ვინმე ამ დღეს თავს არ დაიმდაბლებს, მოიკვეთება თავისი ხალხიდან. <sup>30</sup> ყოველ სულს, რომელიც ამ დღეს რაიმე საქმეს გააკეთებს, გადავაშენებ თავისი ხალხიდან. <sup>31</sup> არაფერი საქმე არ აკეთოთ. ეს გქონდეთ საუკუნო წესად თაობიდან თაობაში, ყველა თქვენს საცხოვრებელში. <sup>32</sup> უქმის შაბათია ეს თქვენთვის და დაიმდაბლეთ თავი. თვის მეცხრე დღეს საღამოდან საღამომდე იუქმეთ თქვენი შაბათი. <sup>33</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>34</sup> ელაპარაკე ისრაელიანებს და უთხარი: ამ მეშვიდე თვის მეთხუთმეტე დღიდან კარვობის დღესასწაულია — უფლის შვიდი დღე. <sup>35</sup> პირველ დღეს წმიდა წვეულებაა, არაფერი საქმე არ აკეთოთ. <sup>36</sup> შვიდ დღეს შესწირავდეთ საცეცხლო მსხვერპლს უფალს, მერვე დღეს წმიდა წვეულება გქონდეთ და საცეცხლო მსხვერპლი შესწირეთ უფალს. უქმეა ეს — არაფერი საქმე არ აკეთოთ. <sup>37</sup> ესენია უფლის დღესასწაულები, რომლებიც უნდა მოიწვიოთ თქვენ — წმიდა წვეულებანი, რომ შესწიროთ საცეცხლო მსხვერპლი უფალს — აღსავლენი, ძღვენი, საკლავი

და საღვრელი დაწესებულ დღეებში, <sup>38</sup> გარდა საუფლო შაბათებისა, გარდა თქვენი ძღვენისა, გარდა შეთქმული შესაწირავისა და გარდა სამოწყალო მისატანისა, რომელიც უფალთან მიგაქვთ. <sup>39</sup> მეშვიდე თვის მეთხუთმეტე დღეს, მიწის მოსავლის აღებისას, შვიდ დღეს იდღესასწაულეთ უფლის დღესასწაული. პირველ დღეს — უქმე და მეშვიდე დღეს — უქმე. <sup>40</sup> და აიღეთ პირველ დღეს ჰადარის ხის ნაყოფი, ფინიკის მტევნები, ძეწონისა და ტირიფის რტოები და იმხიარულეთ უფლის, თქვენი ღვთის წინაშე, შვიდ დღეს. <sup>41</sup> და იდღესასწაულეთ იგი, უფლის დღესასწაული, შვიდ დღეს წელიწადში, საუკუნო წესად გქონდეთ თაობიდან თაობაში. მეშვიდე თვეში იდღესასწაულეთ იგი. <sup>42</sup> კარვებში იცხოვრეთ შვიდ დღეს. ისრაელის ყოველმა მკვიდრმა კარვებში იცხოვროს. <sup>43</sup> რათა იცოდნენ თქვენმა შთამომავლებმა, რომ კარვებში დავასახლე ისრაელიანები, როცა ეგვიპტის ქვეყნიდან გამოვიყვანე. მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი. <sup>44</sup> და ელაპარაკა მოსე უფლის დღესასწაულებზე ისრაელიანებს.

### ლამპარი საწმიდარში

**24** <sup>1</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>2</sup> ამცნე ისრაელიანებს, მოგიტანონ ზეთისხილის სუფთა ზეთი, დაწურული, გასანათებლად, რომ მუდმივად ენთოს ლამპარი. <sup>3</sup> მოწმობის კრეტსაბმელს გარეთ თავშეყრის კარავში დადგას იგი აარონმა, რომ იყოს უფლის წინაშე დილიდან საღამომდე, მუდმივად. საუკუნო წესად გქონდეთ თაობიდან თაობაში. <sup>4</sup> სუფთა სასანთლეზე იდგას ლამპრები უფლის წინაშე მუდმივად.

### თორმეტი შეწირული პური

<sup>5</sup> და აიღე გამტკიცული ფქვილი და გამოაცხვე თორმეტი პური, მეთადი ეფა იყოს თითოეული პური. <sup>6</sup> და დააწყვე ისინი

ორ რიგად, თითოეულ რიგში ექვსი, სუფთა ტაბლაზე უფლის წინაშე. <sup>7</sup> და დადევნი თითო რიგში გასუფთავებული საკმეველი და იყოს პურთან, შესახსენებლად, უფლის საცეცხლო მსხვერპლად. <sup>8</sup> შაბათობით იყოს დაწყობილი უფლის წინაშე, მუდმივად, ისრაელიანთაგან საუკუნო აღთქმად. <sup>9</sup> და იყოს აარონისთვის და მისი შვილებისთვის. და ჭამონ იგი წმიდა ადგილას, რადგან წმიდათა წმიდაა იგი მათთვის უფლის საცეცხლო მსხვერპლიდან. ეს არის საუკუნო წესი.

### უფლის მგმობელის რჯული

<sup>10</sup> და გამოვიდა ისრაელიანი დედაკაცისა და ეგვიპტელი კაცის შვილი ისრაელიანთა შორის და წაეკიდნენ ბანაკში ერთმანეთს ისრაელიანი დედაკაცის შვილი და ისრაელიანი კაცი. <sup>11</sup> და ავინებდა ისრაელიანი დედაკაცის შვილი უფლის სახელს და შეურაცხყოფდა. და მიუყვანეს იგი მოსეს (დედამისი იყო შელომითი, დიშრის ასული, დანის ტომიდან) <sup>12</sup> და ჰყავდათ საპყრობილეში, ვიდრე უფლის განაჩენს გაიგებდნენ. <sup>13</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>14</sup> გაიყვანეთ შეურაცხყოფელი ბანაკის გარეთ და ყველამ, ვინც გაიგონა, დაადოს ხელი თავზე და ქვით ჩაქოლოს მთელმა საზოგადოებამ. <sup>15</sup> და ისრაელიანებს ელაპარაკე, რომ უთხრა: ყველა, ვინც შეურაცხყოფს თავის ღმერთს, ცოდვას იღებს. <sup>16</sup> უფლის სახელის მაგინებელი უნდა მოკვდეს, ქვებით ჩაქოლოს მთელმა საზოგადოებამ — მდგმური იქნება თუ მკვიდრი, უფლის სახელის შეგინებისათვის უნდა მოკვდეს.

### მკვლელობის რჯული

<sup>17</sup> კაცის მკვლეელი უნდა მოკვდეს. <sup>18</sup> პირუტყვის მკვლეელმა სული სულის წილ უნდა ზლოს. <sup>19</sup> და ვინც რამე ზიანს მიაყენებს თავის მეზობელს, მასაც ისევე უნდა მოექცნენ, როგორც თავად მოიქცა. <sup>20</sup> მოტეხილობა მოტეხილობის წილ, თვალი თვალის

წილ, კბილი კბილის წილ. რა ზიანიც მიაყენა ადამიანს, მასაც იგივე ზიანი უნდა მიაყენონ. <sup>21</sup>პირუტყვის მკვლელმა უნდა ზღოს იგი, კაცის მკვლელი უნდა მოკვდეს. <sup>22</sup>ერთი სამართალი უნდა გქონდეთ მდგმურისათვის და მკვიდრისათვის. რადგან მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი. <sup>23</sup>და ელაპარაკა მოსე ისრაელიანებს და გაიყვანეს მაგინებელი ბანაკის გარეთ, და ჩაქოლეს იგი ისრაელიანებმა, როგორც ამცნო უფალმა მოსეს.

### შაბათის წელი

**25** <sup>1</sup>და ელაპარაკა უფალი მოსეს სინაის მთაზე, ეთქვა: <sup>2</sup>ელაპარაკე ისრაელიანებს და უთხარი მათ: როცა შეხვალთ ქვეყანაში, რომელსაც გაძლევთ, იუქმოს მიწამ შაბათი უფლისათვის. <sup>3</sup>ექვს წელიწადს თესავდე შენს ყანას, ექვს წელიწადს სხლავდე შენს ვენახს და იღებდე მოსავალს. <sup>4</sup>მეშვიდე წელს კი შესვენების შაბათი იყოს მიწისათვის, უფლის შაბათი. ყანა არ დათესო და ვენახი არ გასხლა, <sup>5</sup>ჩაფანტული მარცვლიდან ამოსული არ მომკა და გაუსხლავი ვაზიდან ყურძენი არ მოკრიფო. შესვენების წელიწადი იყოს მიწისათვის. <sup>6</sup>და მოქცეთ მიწის შაბათმა საჭმელად შენ და შენს მონას, შენს მონაქალს, ქირისკაცს, და შენს ხიზანს, შენთან რომ მდგმურობს, <sup>7</sup>შენს პირუტყვს და ცხოველებს, რომლებიც შენს მიწაზეა, მთელი მოსავალი გქონდეთ საჭმელად. <sup>8</sup>და გადაითვალე შვიდი შაბათის წელი, შვიდჯერ შვიდი წელი, რომ გქონდეს შვიდი შაბათის წელიწადში სულ ორმოცდაცხრა წელი. <sup>9</sup>და ჰკარი ბუკს მეშვიდე თვეში, თვის მეათე დღეს, შენდობის დღეს ჰკარით ბუკს\* მთელს ქვეყანაში. <sup>10</sup>და წმიდაჰყავით ორმოცდამეათე წელი და გაათავისუფლეთ ქვეყანაში ყველა მისი მცხოვრები. ბუკისცემა\*\* იყოს ეს თქვენთვის, და დაუბრუნდით თქვენ-თქვენს სამკვიდრებელს და თითოეული თავის საგ-

\* ებრ. შოფარ.

\*\* ებრ. დობელ, „რქა“ (ბუკისთვის).

ვარეულოს დაუბრუნდით. <sup>11</sup> ბუკისცემა იყოს ორმოცდამეათე წელი თქვენთვის. არ თესოთ და არ მკათა ჩაფანტული მარცვლიდან ამოსული, არ მოკრიფოთ გაუსხლავი ვაზიდან. <sup>12</sup> რადგან ბუკისცემაა ეს, წმიდა უნდა იყოს თქვენთვის. ყანიდან ჭამეთ მისი მოსავალი. <sup>13</sup> ამ ბუკისცემის წელს დაუბრუნდეს კაცი თავის სამკვიდრებელს. <sup>14</sup> და როცა რაიმეს მიჰყიდი შენს მეზობელს ან რაიმეს იყიდი შენი მეზობლისაგან, ნუ მოატყუებთ ერთმანეთს. <sup>15</sup> ბუკისცემის შემდგომი წლების ანგარიშით იყიდე შენი მეზობლისაგან, მოსავლის წლების ანგარიშით მოგყიდოს. <sup>16</sup> წლების სიმრავლის კვალობაზე გაბარდე ფასი, წლების სიმცირის კვალობაზე დაუკელი ფასს. რადგან მოსავლის ანგარიშით მოგყიდის. <sup>17</sup> და ნუ მოატყუებთ ერთმანეთს და გეშინოდეს შენი ღვთისა, რადგან მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი. <sup>18</sup> და შეასრულეთ ჩემი წესები და ჩემი სამართალი შდაიცავით. და შეასრულეთ ისინი და უზრუნველად იცხოვრებთ ქვეყანაში. <sup>19</sup> და მოგცემთ მიწა თავის ნაყოფს, მაძღრისად შეჭამთ და მშვიდად იცხოვრებთ იქ. <sup>20</sup> და თუ იკითხავთ: რა ვჭამოთ მეშვიდე წელს, თუ არ დავთესეთ და არ ავიღეთ მოსავალიო? <sup>21</sup> გამოვაცხადებ ჩემს კურთხევას თქვენზე მეექვსე წელს და მოიყვანს მოსავალს სამი წლისათვის. <sup>22</sup> და დათესავთ მერვე წელს, მეგრამ მეცხრე წლამდე ძველ მოსავალს შეჭამთ. ძველი ჭამეთ, ვიდრე მისი მოსავალი შემოვიდოდეს.

## მიწის გამოსყიდვა

<sup>23</sup> და მიწა სამუდამოდ არ უნდა გაიყიდოს, რადგან ჩემია მიწა, რადგან თქვენ მდგმურები და ხიზნები ხართ ჩამთან. <sup>24</sup> და მთელს თქვენს სამკვიდრებელ მიწაზე მიეცით მიწის გამოსყიდვის ნება. <sup>25</sup> თუ შენი ძმა გაღარიბდება და თავის სამკვიდრებელს გაჰყიდის, მივიდეს მისი უახლოესი ნათესავი\*

\* ებრ. გო'ელ "გამომსყიდველი" - ნიშნავს იმ ახლო ნათესავს, რომელიც ვალდებულია გამოისყიდოს გარდაცლილი ნათესავის ქონება.

და გამოისყიდოს თავისი ძმის გაყიდული. <sup>26</sup> და თუ კბინძაცს გამომსყიდველი არა ჰყავს და თავად ხელი მიუწვდება და იშოვის გამოსასყიდს, რამდენიც საჭიროა, <sup>27</sup> იანგარიშოს გაყიდვიდან გასული წლები, მონარჩენი მყიდველს დაუბრუნოს და თავისი სამკვიდრებელი ჩაიბაროს. <sup>28</sup> და თუ გამოსასყიდს, რამდენიც საჭიროა, ვერ იშოვის, გაყიდული მის მყიდველს დარჩება ბუკისცემის წლამდე. ბუკისცემის წელს ჩამოერთმევა და პატრონი თავის სამკვიდრებელს დაიბრუნებს. <sup>29</sup> და თუ კაცი გალავნიან ქალაქში საცხოვრებელ სახლს გაყიდის, გაყიდვიდან ერთი წლის გასვლამდე შეეძლება გაყიდულის გამოსყიდვა. ერთი წლის განმავლობაში გამოსყიდვის ნება აქვს. <sup>30</sup> და თუ მთელი წლის გასვლამდე არ იქნა გამოსყიდული, სახლი, რომელიც გალავნიან ქალაქშია, სამუდამოდ დარჩება მის მყიდველს თაობიდან თაობაში. ბუკისცემის წელს არ ჩამოერთმევა. <sup>31</sup> ხოლო სახლები სოფლებისა, რომელთაც ირგვლივ გალავანი არა აქვთ, მიწის ნაკვეთად ითვლება. მათი გამოსყიდვა შეიძლება და ბუკისცემის წელს ჩამოერთმევა. <sup>32</sup> და ლევიანთა ქალაქები, ქალაქების სახლები მათ საკუთრებაში რომ არის, ყოველთვის შეუძლიათ გამოისყიდონ ლევიანებმა. <sup>33</sup> და ვინც არ უნდა გამოისყიდოს ლევიანთაგან სახლი ქალაქისა, რომელიც მის საკუთრებაშია, გაყიდული სახლი დაუბრუნდება *პატრონს* ბუკისცემის წელს, რადგან ლევიანთა ქალაქების სახლები მათი საკუთრებაა ისრაელიანთა შორის. <sup>34</sup> და მათი ქალაქების გარშემო ყანები არ გაიყიდება, რადგან ეს მათი სამარადისო საკუთრებაა.

### ძმის გამოსყიდვა

<sup>35</sup> თუ შენი ძმა გაღარიბდება და შენს თვალწინ გაჭირვებაში ჩავარდება, შეეშველე მას, მდგმური იქნება თუ ხიზანი, და იცხოვროს შენთან. <sup>36</sup> ნუ აიღებ მისგან სარგებელს და ვახშს — შენი ღვთისა გეშინოდეს! — იცხოვროს შენმა ძმამ შენთან. <sup>37</sup> ვერცხლს სავახშოდ ნუ გასცემ და სარგებლისათვის ნუ გას-

ცემ შენს საჭმელს. <sup>38</sup> მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, რომელმაც გამოგიყვანეთ ეგვიპტის ქვეყნიდან, რომ მოგცეთ ქანაანის ქვეყანა, რომ თქვენი ღმერთი ვიყო. <sup>39</sup> და როცა შენი ძმა გაღარიბდება შენს თვალწინ და შენ მოგეყიდება, მონური შრომით ნუ აშრომებ. <sup>40</sup> ქირისკაცივით, ხიზანივით უნდა იყოს შენთან, ბუკისცემის წლამდე იმუშაოს შენთან. <sup>41</sup> მერე კი წავიდეს შენგან თავის ბავშვებიანად და დაუბრუნდეს თავის სანათესაოს, თავისი მამა-პაპის სამკვიდრებელში დაბრუნდეს. <sup>42</sup> რადგან ჩემი მსახურებია ისინი, რომლებიც ეგვიპტის ქვეყნიდან გამოვიყვანე. მონებად არ უნდა გაიყიდონ ისინი. <sup>43</sup> ნუ იბატონებ მასზე ძალმომრეობით და შენი ღმერთის გეშინოდეს. <sup>44</sup> და შენი მსახური და შენი მხევალი, რომლებიც გეყოლებათ, იმ ხალხებიდან უნდა იყვნენ, თქვენს გარშემო რომ ცხოვრობენ. მათგან იყიდეთ მსახური და მხევალი. <sup>45</sup> ხიზანთა შვილებისგანაც, თქვენთან რომ მდგმურობენ, იყიდეთ, მათი მოდგმიდან, თქვენთან რომ არიან, თქვენს ქვეყანაში რომ არიან დაბადებულნი, გყავდეთ თქვენ საკუთრებად. <sup>46</sup> და დაუშვიდრეთ ისინი თქვენს შვილებს თქვენს შემდეგ საკუთრებად. სამუდამოდ ამუშავეთ ისინი. მაგრამ თქვენს ძმებზე, ისრაელიანებზე, ნუ იბატონებთ ძალმომრეობით. <sup>47</sup> და თუ გამდიდრდა შენთან მყოფი მდგმური, ან ხიზანი, შენი ძმა კი გაღარიბდა და შენთან მყოფ მდგმურს, ან ხიზანს, ან მდგმურის საგვარეულოს ნაშიერს მიეყიდა, <sup>48</sup> მიყიდვის შემდეგ შეიძლება მისი გამოხსნა. ერთ-ერთი მისი ძმათაგანი გამოიხსნის მას. <sup>49</sup> ან ბიძა, ან ბიძაშვილი გამოიხსნის მას. ან მისი ხორციტ ნათესავი მისი საგვარეულოდან გამოიხსნის მას. ან თუ გამდიდრდა, თავად გამოიხსნას თავი. <sup>50</sup> და გაუსწოროს ანგარიში თავის მყიდველს იმ წლიდან, რაც მიეყიდა მას, ბუკისცემის წლამდე. მისთვის გადახდილი ვერცხლი წლების კვალობაზე უნდა დაუბრუნოს, და დღიური ქირით იმუშავებს მასთან. <sup>51</sup> თუ კიდევ ბევრი წელია დარჩენილი, ამის კვალობაზე დაუბრუნებს გამოსახსნელს მიყიდვის დროს აღებული ვერცხლიდან. <sup>52</sup> და თუ ბუკისცემის



წლამდე ცოტა წელია დარჩენილი, იანგარიშოს და წლების კვალობაზე დაუბრუნოს გამოსახსნელი. <sup>53</sup> ქირისკაცად უნდა დარჩეს მასთან ამ წლების მანძილზე. არ უნდა იბატონოს მასზე ძალმომრეობით შენს თვალწინ. <sup>54</sup> თუ ამ გზით ვერ გამოიხსნის თავს, ბუკისცემის წელს გავა თავის ბავშვებიანად. <sup>55</sup> რადგან ჩემი არიან ისრაელიანები, ჩემი მსახურნი. ჩემი მსახურნი არიან ისინი, რომლებიც ეგვიპტის ქვეყნიდან გამოვიყვანე. მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი.

### მეორე მცნება

**26** <sup>1</sup> და არ შეიქმნათ ცრულმერთები და ქანდაკები, არ აღმართოთ სვეტები, არ ჩადგათ თქვენს ქვეყანაში მოხატული ქვები სათაყვანებლად. რადგან მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი.

### კურთხევანი

<sup>2</sup> ჩემი შაბათები შეინახეთ და ჩემი საწმიდარის კრძალვა გქონდეთ. მე ვარ უფალი. <sup>3</sup> თუ ივლით ჩემს წესზე და შეინახავთ ჩემს მცნებებს და შეასრულებთ მათ, <sup>4</sup> თავის დროზე მოგცემთ წვიმას და მიწაც მოგცემთ თავის მოსავალს, მინდვრის ხეები მოგცემენ თავიანთ ნაყოფს. <sup>5</sup> და ლეწვა რთველს მიუსწრებს თქვენში და რთველი თესვას მიუსწრებს. და ძლომაზე შეჭამთ თქვენს პურს, თქვენს ქვეყანაში მშვიდად იცხოვრებთ. <sup>6</sup> და მოვაფენ მშვიდობას ქვეყანაზე და მოსვენებული იქნებით. და აღარ იქნება დამაფრთხობელი, მიწისაგან აღვგვი სასტიკ მხეცებს და მახვილი არ გაივლის თქვენს ქვეყანაზე. <sup>7</sup> და გარეკავთ თქვენს მტრებს და მახვილით დაეცემიან თქვენს წინაშე. <sup>8</sup> და გარეკავს თქვენგანი ხუთი ასს და ასი თქვენგანი ათიათასს გარეკავს. და მახვილით დაეცემიან თქვენი მტრები თქვენს წინაშე. <sup>9</sup> და მოგხედავთ და ნაყოფიერს გაგხდით, და



გაგამრავლებთ და შევასრულებ თქვენთვის მოცემულ აღთქმას. <sup>10</sup> და შეჭამთ ძველ მარაგს და ახლისათვის ძველს გამოიტანთ. <sup>11</sup> და დავიდებ ჩემს სავანეს თქვენს შორის და არ შეგიძულებთ ჩემი სული. <sup>12</sup> და ვივლი თქვენს შორის და ვიქნები თქვენთვის ღმერთად და თქვენ ჩემს ერად იქნებით. <sup>13</sup> მე ვარ უფალი, რომელმაც ეგვიპტის ქვეყნიდან გამოგიყვანეთ, რომ მონებად არ დარჩენილიყავით, და დავწყვიტე თქვენი უღლის აპეურები და შემართულნი წამოგიყვანეთ.

## შეჩვენებანი

<sup>14</sup> და თუ არ მომისმენთ და არ შეასრულებთ ყველა ამ ჩემს მცნებას, <sup>15</sup> და თუ ჩემს წესებს არად ჩააგდებთ და თუ ჩემს სამართალს ისე შეიძულებს თქვენი სული, რომ არ შეასრულებთ არც ერთ ჩემს მცნებას ჩემი აღთქმის დასარღვევად, <sup>16</sup> მაშინ ამგვარად მოგექცევით: მოვაწევ თქვენზე შიშისზარს, ტლექსა და ცხროებას, თვალის დამავსებელს, სულის სიმწარეს, და ფუჭად დათესავთ თქვენს თესლს, რადგან მტრები შეგიჭამენ. <sup>17</sup> პირს ვიზამ თქვენ წინააღმდეგ და დამარცხდებით თქვენი მტრების წინაშე, და იბატონებენ თქვენზე თქვენი მოსისხლენი, და გაიქცევით, თქვენი მდევარი კი არავინ იქნება. <sup>18</sup> და თუ მაინც არ მომისმენთ, შვიდგზის მოგიმატებთ სასჯელს თქვენი ცოდვებისათვის. <sup>19</sup> გავტეხავ თქვენი ზვაობის ძალას, რკინად ვაქცევ თქვენს ცას, სპილენძად — თქვენს მიწას, <sup>20</sup> და ფუჭად დაილევა თქვენი ძალ-ღონე; და არ მოგცემთ მიწა თავის მოსავალს და მიწის ხეები — თავის ნაყოფებს. <sup>21</sup> და თუ ივლით ჩემ წინააღმდეგ და არ ინდომებთ ჩემს მოსმენას, შვიდგზის გცემთ თქვენი ცოდვებისათვის. <sup>22</sup> და მოგისევთ გარეულ მხეცებს და უშვილოძიროდ დაგტოვებენ, და გიწყვიტენ საქონელს, და ისე მცირეს გაგხდიან, რომ დაცარიელდება თქვენი გზები. <sup>23</sup> და თუ ესენიც არ მოგაბრუნებთ ჩემკენ და კიდევ გამიწევთ წინააღმდეგობას, <sup>24</sup> მეც წამოვალ თქვენს წინააღმდეგ და შვიდგზის

გცემთ თქვენი ცოდვებისათვის. <sup>25</sup> და მოვავლენ თქვენზე შურისმგებელ მახვილს აღთქმისთვის შურისგებად და შეიხვეტებით თქვენ-თქვენს ქალაქებში. და ჭირს მოვავლენ თქვენ შორის და მტრის ხელში ჩაცვივდებით. <sup>26</sup> როცა გადაგიმტვრევ პურის კვერთხს, ათი დედაკაცი ერთ თონეში დაიწყებს თქვენი პურის ცხოვას. და წონით გამოგიგზავნით თქვენს პურს, შეჭამთ და ვერ გაძლებით. <sup>27</sup> და თუ ამითაც არ მომისმენთ და გამიწევთ წინააღმდეგობას, <sup>28</sup> მეც გამოვალ თქვენს წინააღმდეგ რისხვით და შვიდგზის დაგსჯით თქვენი ცოდვებისათვის. <sup>29</sup> და თქვენი ვაჟების ხორცს შეჭამთ და თქვენი ასულების ხორცს დაუწყებთ ჭამას. <sup>30</sup> და გაგინადგურებთ გორაკებს და ამოგიყრით მზის სვეტებს, დავახვავებ თქვენს გვამებს თქვენი კერპების ნანგრევებზე და შეგიძულებთ თქვენ ჩემი სული. <sup>31</sup> და ნანგრევებად ვაქცევ თქვენს ქალაქებს და დავაცარიელებ თქვენს საწმიდარებს, აღარ ვიყნოსავ თქვენგან ნაკმევ კეთილსურნელებას. <sup>32</sup> და გავაუდაბურებ ქვეყანას თქვენი მტრების განსაცვიფრებლად, რომლებიც იქ დასახლდებიან. <sup>33</sup> და მიმოგფანტავთ ხალხებში და გაშიშვლებულ მახვილს დაგადევნებთ. და გაუდაბურდება თქვენი მიწა და ნანგრევებად იქცევა თქვენი ქალაქები. <sup>34</sup> მაშინ ამოიგებს მიწა თავის შაბათებს უდაბურების მთელ დროს, როცა თქვენი მტრების ქვეყანაში იქნებით, მაშინ იუქმებს მიწა, ამოიგებს თავის შაბათებს. <sup>35</sup> უდაბურების მთელ დროს იუქმებს, რაც არ უუქმია თქვენს შაბათებში, როცა იქ ცხოვრობდით. <sup>36</sup> გადარჩენილებს თქვენს შორის გულს და ვუფრთხობ მტრების ქვეყნებში. გაფრენილი ფოთლის ხმა შეაშინებთ და გაიქცევიან, როგორც მახვილს გაქცეულნი. და დაეცემიან, მღევარი კი არავინ იქნება. <sup>37</sup> და წაიფორთხილებენ ერთმანეთზე, თითქოს მახვილს გაურბოდნენ. მღევარი კი არავინ იქნება. ღონე არ გეყოფათ, რომ მტრებს აღუდგეთ. <sup>38</sup> და დაიღუპებით ხალხებში და შეგჭამთ თქვენი მტრის მიწა. <sup>39</sup> და თქვენს შორის გადარჩენილები მტრების ქვეყნებში დაილევით თქვენი ცოდვების გამო. თქვენი მამა-პაპის ცოდვების გამოც

დაილევით. <sup>40</sup> თუ გამოტყდებიან თავიანთ ცოდვებში და მამა-პაპის ცოდვებში, რომ მიმტყუნეს და ჩემს წინააღმდეგ გამოდიოდნენ, <sup>41</sup> მეც რომ წავედი მათ წინააღმდეგ და მათი მტრების ქვეყანაში გადავასახლე ისინი, თუ მოეთრგუნებათ დაუცვეთავი გულები, მაშინ გამოისყიდონ თავიანთ ცოდვებს. <sup>42</sup> და მე გავიხსენებ ჩემს აღთქმას იაკობთან, ისაკთან დადებულ აღთქმასაც და აბრაამთან დადებულ აღთქმასაც გავიხსენებ, და ქვეყანასაც გავიხსენებ. <sup>43</sup> და მიწა მიტოვებული იქნება მათგან და ამოიგებს თავის შაბათებს, როცა მათგან გაუდაბურდება. და ისინი ამოიგებენ თავიანთ ცოდვებს, რომ არად ჩააგდეს ჩემი სამართალი, და ჩემი წესები შეიძულა მათ სულმა. <sup>44</sup> და მაინც, მტრის ქვეყანაში მათი ყოფნის დროსაც კი არ შევიძაგებ მათ და არ შევიძულებ მოსასპობად, მათთან დადებული აღთქმის დასარღვევად, რადგან მე ვარ უფალი, მათი ღმერთი. <sup>45</sup> და გავიხსენებ მათთვის ჩემს აღთქმას წინაპრებთან, რომლებიც ეგვიპტის ქვეყნიდან გამოვიყვანე ხალხების თვალწინ, რათა მათი ღმერთი ვყოფილიყავი. მე ვარ უფალი. <sup>46</sup> აჰა, წესები, სამართალნი და რჯულნი, უფალმა რომ დადო თავისსა და ისრაელიანთა შორის სინაის მთაზე მოსეს ხელით.

**ფასები და შეფასებები**

**27** <sup>1</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>2</sup> ელაპარაკე ისრაელიანებს და უთხარი: თუ ვინმე უფლისადმი აღთქმული ადამიანის საფასურად რამეს შესწირავს, <sup>3</sup> ოციდან სამოცი წლის ასაკამდე მამრის საფასური უნდა იყოს ორმოცდაათი შეკელი ვერცხლი საწმიდარის შეკელით, <sup>4</sup> თუ მდედრია, მისი საფასური ოცდაათი შეკელი უნდა იყოს. <sup>5</sup> თუ ხუთიდან ოც წლამდეა, მამრის საფასური ოცი შეკელი, მდედრისა კი ათი შეკელი უნდა იყოს. <sup>6</sup> და თუ ერთი თვიდან ხუთ წლამდეა, მამრის საფასური ხუთი შეკელი ვარცხლი, მდედრისა კი სამი შეკელი ვერცხლი უნდა იყოს. <sup>7</sup> და თუ სამოც წელზე მეტისაა, მამრის

საფასური თხუთმეტი შეკელი, მდედრისა კი ათი შეკელი უნდა იყოს.<sup>8</sup> და თუ ისე ღარიბია, რომ საფასურს ვერ იხდის, წარუდგინოს მღვდელს და მღვდელი შეაფასებს. როგორადაც ხელი მიუწვდება აღმოქმელს, ისე შეაფასოს მღვდელმა.<sup>9</sup> და თუ ისეთი პირუტყვია, მსვერპლად რომ შეიწირვის უფლისათვის, უფლისადმი მიცემული ყველაფერი წმიდა უნდა იყოს.<sup>10</sup> არ უნდა გაიცვალოს იგი, არ იქნება მისი შენაცვლება: კარგისა ცუდით ან ცუდისა კარგით. და თუ შეცვლის პირუტყვს პირუტყვით, ესეც და მისი სანაცვლოც წმიდა იქნება.<sup>11</sup> და თუ პირუტყვი უსურმაგია, რომელიც მსხვერპლად არ შეიწირვის უფლისათვის, წარუდგინოს პირუტყვი მღვდელს,<sup>12</sup> და შეაფასებს მღვდელი მის ავ-კარგს.; მღვდლის შეფასებისამებრ იყოს.<sup>13</sup> და თუ მის გამოსყიდვას მოინდომებს, საფასურს მეხუთედი დაუმატოს.<sup>14</sup> და თუ ვისმე სახლის შეწირვა უნდა უფლის წმიდად, მღვდელი შეაფასებს მის ავ-კარგს. როგორც მღვდელი შეაფასებს მას, ისე ეღირება.<sup>15</sup> და თუ სახლის შემწირველი თავისი სახლის გამოსყიდვას მოინდომებს, საფასურის მეხუთედი დაუმატოს და მისი იქნება.<sup>16</sup> და თუ თავის საკუთარ ყანას სწირავს უფალს, საფასური ნათესის კვალობაზე უნდა განისაზღვროს — ერთ ხომერ ნათეს ქერზე ორმოცდაათი შეკელი ვერცხლი.<sup>17</sup> თუ ბუკისცემის წლიდან სწირავს თავის ყანას, საფასურისდა მიხედვით შესწიროს.<sup>18</sup> და თუ ბუკისცემის შემდეგ სწირავს თავის ყანას, მღვდელმა ბუკისცემის წლამდე დარჩენილი წლების მიხედვით უნდა იანგარიშოს ვერცხლი და საფასურიდან გამოიქვითოს.<sup>19</sup> და თუ ყანის გამოსყიდვას მოინდომებს მისი შემწირველი, საფასურის მეხუთედი ვერცხლი დაუმატოს და დაუბრუნდება.<sup>20</sup> და თუ არ გამოისყიდის ყანას და სხვა კაცს მიეყიდება, ვეღარ გამოისყიდის.<sup>21</sup> როცა ყანა გასულია ბუკისცემის წელს, ის უფლის წმიდაა, როგორც დარისხებული ყანა, მღვდლის საკუთრება უნდა იყოს.<sup>22</sup> და თუ სწირავს უფალს თავის ნაყიდ ყანას, რომელიც მისი წილი ყანებიდან არ არის,<sup>23</sup> უანგარიშოს მღვდელმა საფასურის რაოდენობა ბუკისცემის

წლამდე და ეს კაცი იმ დღესვე გადაიხდის საფასურს, როგორც წმიდას უფლისათვის. <sup>24</sup> ბუკისცემის წელს ყანა დაუბრუნდება მას, ვისგანაც ნაყიდი იყო, ვისაც მიწის ნაკვეთი ეკუთვნის. <sup>25</sup> და ყოველი საფასური საწმიდარის შეკელის მიხედვით იყოს: ოცი გერა ერთი შეკელი უნდა იყოს. <sup>26</sup> ოლონდ პირუტყვის პირველ-მოგებულს, რომელიც პირმშობობით უფლისაა, ვერავინ შეწირავს. ხარი იქნება თუ ცხვარი, უფლისაა. <sup>27</sup> და თუ პირუტყვი უსურმაგია, საფასურით უნდა იქნას გამოსყიდული და მეხუთედ იც დაემატოს. თუ არ იქნება გამოსყიდული, მის საფასურად უნდა გაიყიდოს. <sup>28</sup> ოლონდ ყოველი დარისხებული, რომელიც უფლისათვის დაარისხა კაცმა თავისი საბადებლიდან — ადამიანი თუ პირუტყვი, თუ თავისი წილხვედრი ყანა, ვერც გაიყიდება და ვერც გამოსყიდება. ყოველი დარისხებული წმიდათა წმიდაა, უფლისაა. <sup>29</sup> ყოველი დარისხებული, რომელიც კაცთაგან დაარისხეს, არ გამოსყიდება, უნდა მოკვდეს. <sup>30</sup> და ყოველი მეთედი მიწისა, მიწის ნათესისა, ხის ნაყოფისა უფლისაა, უფლის წმიდაა. <sup>31</sup> და თუ ვინმეს თავისი მეთედის გამოსყიდვა სურს, მისი მეხუთედი დაუმატოს. <sup>32</sup> და ყოველი მეთედი ხვასტაგისა და ცხვრისა, ყოველი მეთე კომბლის ქვეშ გამავალთა შორის, უფლის წმიდაა. <sup>33</sup> არ უნდა შემოწმდეს მისი ავ-კარგი და არ უნდა იქნას შენაცვლებული. თუ შენაცვლება, შენაცვლებულთან ერთად ისიც წმიდა იქნება, ვერ გამოსყიდება. <sup>34</sup> აჰა, მცნებები, რომლებიც ამცნო უფალმა მოსეს ისრაელიანთათვის სინაის მთაზე.

## წიგნი რიცხვთა

### ისრაელიანთა აღწერა

**1** და ელაპარაკა უფალი მოსეს სინაის უდაბნოში, თავშეყრის კარავში, მეორე თვის პირველ დღეს, ეგვიპტიდან გამოსვლის მეორე წელს სათქმელად: <sup>2</sup>აღწერე ისრაელიანთა საზოგადოება საგვარეულოებად და მამისსახლებად, სახელთა რიცხვის მიხედვით, ყოველი მამროვანი სათითაოდ. <sup>3</sup>აღრიცხეთ შენ და აარონმა ყველა ისრაელიანი ოცი წლიდან მოყოლებული, ლაშქარში გამსვლელი, თავ-თავისი ლაშქრისდა მიხედვით. <sup>4</sup>და თან იყოლიეთ ყოველი შტოდან თითო კაცი, თითოეული თავისი მამისსახლის თავკაცი. <sup>5</sup>და ესენია მათი სახელები, ვინც თქვენთან უნდა იდგნენ: რეუბენიდან ელიცურ შედეურის ძე; <sup>6</sup>სიმეონიდან: შელუმიელ ცურიშადაის ძე; <sup>7</sup>იუდადან: ნახშონ ყამინადაბის ძე; <sup>8</sup>ისაქარიდან: ნათანიელ ცუარის ძე; <sup>9</sup>ზებულონიდან: ელიაბ ხელონის ძე; <sup>10</sup>იოსებიანთაგან: ეფრემიდან ელიშამაც ამიჰუდის ძე, მენაშედან გამალიელ ფედაცურის ძე; <sup>11</sup>ბენიამინიდან: აბიდან გიდეონის ძე; <sup>12</sup>დანიდან: ახიებერ ყამიშადაის ძე; <sup>13</sup>აშერიდან: ფაგეყიელ ყაქრანის ძე; <sup>14</sup>გადიდან: ელიასაფ რელუელის ძე; <sup>14</sup>ნაფთალიდან: ახირაყ ყენანის ძე; <sup>16</sup>ესენი არიან წოდებულნი საზოგადოებიდან, თავ-თავის მამათა შტოების თავკაცები, ისრაელის ათასისთავთაგანნი. <sup>17</sup>და გამოიყვანეს მოსემ და აარონმა ეს კაცები, სახელდებით ჩამოთვლილნი. <sup>18</sup>და მთელი საზოგადოება

შეკრიბეს მეორე თვის პირველ დღეს და გაარკვიეს მათი წარმომავლობა საგვარეულოებისა და მამისსახლების მიხედვით, ყველასი სათითაოდ, ოცი წლიდან მოყოლებული. <sup>19</sup> როგორც ამცნო უფალმა მოსეს, ისე აღრიცხა ისინი სინაის უდაბნოში. <sup>20</sup> სულ იყო აღრიცხული რეუბენის, ისრაელის პირშმოს, შთამომავალთაგან მათი საგვარეულოების და მამისსახლების მიხედვით, სახელთა რიცხვისამებრ, ყველა მამაკაცი სათითაოდ ოცი წლიდან მოყოლებული, ყველა ლაშქრად გამსვლელი, <sup>21</sup> რეუბენის შტოში აღრიცხული იყო ორმოცდაექვსი ათას ხუთასი. <sup>22</sup> სიმეონიანთა მთელი შთამომავლობა საგვარეულოთა და მამისსახლთა მიხედვით სახელთა რიცხვისამებრ სათითაოდ, ყველა მამროვანი ოცი წლიდან მოყოლებული, ყველა ლაშქრად გამსვლელი. <sup>23</sup> სიმეონის შტოდან აღრიცხული იყო ორმოცდაცხრამეტი ათას სამასი. <sup>24</sup> გადიანთა მთელი მოდგმა საგვარეულოთა და მამისსახლთა მიხედვით, სახელთა რიცხვისამებრ, ოცი წლიდან მოყოლებული, ყველა ლაშქრად გამსვლელი. <sup>25</sup> გადის შტოში აღრიცხა ორმოცდახუთი ათას ექვსას ორმოცდაათი. <sup>26</sup> იუდიანთა მთელი მოდგმა საგვარეულოთა და მამისსახლთა მიხედვით, სახელთა რიცხვისამებრ, ოცი წლიდან მოყოლებული, ყველა ლაშქრად გამსვლელი. <sup>27</sup> იუდას შტოში აღრიცხა სამოცდათოთხმეტი ათას ექვსასი. <sup>28</sup> ისაქარიანთა მთელი მოდგმა საგვარეულოთა და მამისსახლთა მიხედვით სახელთა რიცხვისამებრ, ოცი წლიდან მოყოლებული, ყველა ლაშქრად გამსვლელი. <sup>29</sup> ისაქარის შტოში აღრიცხა ორმოცდათოთხმეტი ათას ოთხასი. <sup>30</sup> ზებულონიანთა მთელი მოდგმა საგვარეულოთა და მამისსახლთა მიხედვით სახელთა რიცხვისამებრ, ოცი წლიდან მოყოლებული, ყველა ლაშქრად გამსვლელი. <sup>31</sup> ზებულონის შტოში აღრიცხა ორმოცდაჩვიდმეტი ათას ოთხასი. <sup>32</sup> იოსებიანთა, ეფრემიანთა მთელი მოდგმა საგვარეულოთა და მამისსახლთა მიხედვით სახელთა რიცხვისამებრ, ოცი წლიდან მოყოლებული, ყველა ლაშქრად გამსვლელი. <sup>33</sup> ეფრემიანთა შტოში აღრიცხა ორმოცი ათას

ხუთასი. <sup>34</sup> მენაშეანთა მთელი მოდგმა საგვარეულოთა და მამისსახლთა მიხედვით სახელთა რიცხვისამებრ, ოცი წლიდან მოყოლებული, ყველა ლაშქრად გამსვლელი. <sup>35</sup> მენაშეს შტოში აღირიცხა ოცდათორმეტი ათას ორასი. <sup>36</sup> ბენიამინიანთა მთელი მოდგმა საგვარეულოთა და მამისსახლთა მიხედვით სახელთა რიცხვისამებრ, ოცი წლიდან მოყოლებული, ყველა ლაშქრად გამსვლელი. <sup>37</sup> ბენიამინის შტოში აღირიცხა ორმოცდათოხმეტი ათას ოთხასი. <sup>38</sup> დანიანთა მთელი მოდგმა საგვარეულოთა და მამისსახლთა მიხედვით სახელთა რიცხვისამებრ, ოცი წლიდან მოყოლებული, ყველა ლაშქრად გამსვლელი. <sup>39</sup> დანის შტოში აღირიცხა სამოცდაორი ათას შვიდასი. <sup>40</sup> აშერიანთა მთელი მოდგმა საგვარეულოთა და მამისსახლთა მიხედვით სახელთა რიცხვისამებრ, ოცი წლიდან მოყოლებული, ყველა ლაშქრად გამსვლელი. <sup>41</sup> აშერის შტოში აღირიცხა ორმოცდაერთი ათას ხუთასი. <sup>42</sup> ნაფთალიანთა მთელი მოდგმა საგვარეულოთა და მამისსახლთა მიხედვით სახელთა რიცხვისამებრ, ოცი წლიდან მოყოლებული, ყველა ლაშქრად გამსვლელი. <sup>43</sup> ნაფთალის შტოში აღირიცხა ორმოცდაცამეტი ათას ოთხასი. <sup>44</sup> ესენი არიან აღრიცხულნი, რომლებიც აღრიცხეს მოსემ, აარონმა და ისრაელის თავკაცებმა, თორმეტმა კაცმა, თითო კაცმა ყოველი მამისსახლიდან. <sup>45</sup> და აღმოჩნდა ისრაელიანთაგან აღრიცხულნი მათი მამისსახლების მიხედვით ოცი წლიდან მოყოლებული ყველა ისრაელიანი, ლაშქრად გამსვლელი, <sup>46</sup> აღმოჩნდა მთლიანად აღრიცხული ექვსას სამი ათას ხუთას ორმოცდაათი. <sup>47</sup> და ლევიანები არ აღრიცხულან მათ შორის თავ-თავიანთი მამების შტოთა მიხედვით.

### ლევიანთა მოვალეობა

<sup>48</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>49</sup> ოღონდ ლევის შტო არ აღრიცხო, არ შერაცხო ისრაელიანთა შორის. <sup>50</sup> და შენ ჩააბარე ლევიანებს მოწმობის სავანე მთელი მისი მოწყო-



ბილობით, ყველაფრითურთ, რაც მას ეკუთვნის. მათ ატარონ სავანე მთელი მისი მოწყობილობით, ყველაფრით, რაც მას ეკუთვნის. ისინი მოემსახურონ და სავანის ირგვლივ დაიბანაკონ. <sup>51</sup> და გამგზავრებისას სავანე ლევიანებმა დაშალონ. და დაბანაკებისას სავანე ლევიანებმა აღმართონ. და გარეშე, ვინც მიეკერება, მოკვდეს. <sup>52</sup> და დაიბანაკონ ისრაელიანებმა — თითოეულმა თავის ბანაკში, თითოეულმა თავისი დროშის ქვეშ, თავ-თავისი ლაშქრის მიხედვით. <sup>53</sup> და დაიბანაკონ ლევიანებმა მოწმობის სავანის ირგვლივ, რომ არ იყოს რისხვა ისრაელიანთა საზოგადოებაზე. და ლევიანები იდგებიან მოწმობის სავანის დასაცავად. <sup>54</sup> და ყველაფერი გააკეთეს ისრაელიანებმა, როგორც ამცნო უფალმა მოსეს, ისე გააკეთეს.

## ტომების რიგი

**2** <sup>1</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს და აარონს სათქმელად: <sup>2</sup> თითოეულმა ისრაელიანმა თავის დროშასთან, თავისი მამისსახლის სანიშნობთან დაიბანაკოს. თავშეყრის კარვის ირგვლივ დაიბანაკოს. <sup>3</sup> წინა მხარეს, აღმოსავლეთით, იქნებიან დაბანაკებულნი: იუდას ბანაკის დროშა მათი ლაშქრების მიხედვით და იუდიანთა თავკაცი ნახშონ ყამინადაბის ძე, <sup>4</sup> და მისი ლაშქარი რიცხვით სამოცდაათოთხმეტი ათას ექვსასი კაცი. <sup>5</sup> მის გვერდით დაბანაკებული იქნებიან ისაქარის შტო და ისაქარიანთა თავკაცი ნათანაელ ცუარის ძე, <sup>6</sup> და მისი ლაშქარი, რიცხვით ორმოცდაათოთხმეტი ათას ოთხასი კაცი. <sup>7</sup> ზებულონის შტო და ზებულონის თავკაცი ელიაბ ხელონის ძე, <sup>8</sup> და მისი ლაშქარი, რიცხვით ორმოცდაჩვიდმეტი ათას ოთხასი კაცი. <sup>9</sup> იუდას ბანაკს მიეთვალა სულ ასოთხმოცდაექვსი ათას ოთხასი კაცი მათი ლაშქრებისდა მიხედვით. პირველად ესენი უნდა დაიძრან. <sup>10</sup> სამხრეთით რეუბენის ბანაკის დროშა მათი ლაშქრებისდა მიხედვით და რეუბენიანთა თავკაცი ელიცურ შედეურის ძე, <sup>11</sup> და მისი ლაშქარი, რიცხვით ორმოცდაექვსი

ათას ხუთასი კაცი.<sup>12</sup> და დაბანაკებული იქნებიან მის გვერდით სიმეონის შტო და სიმეონიანთა თავკაცი შელუმიელ ცური-შადაის ძე,<sup>13</sup> და მისი ლაშქარი, რიცხვით ორმოცდაცხრამეტი ათას სამასი კაცი.<sup>14</sup> გადის შტო და გადიანთა თავკაცი ელიასაფ რელუელის ძე,<sup>15</sup> და მისი ლაშქარი, რიცხვით ორმოცდახუთი ათას ექვსას ორმოცდაათი კაცი.<sup>16</sup> რეუბენის ბანაკს მიეთვალა სულ ასორმოცდათერთმეტი ათას ოთხას ორმოცდაათი კაცი მათი ლაშქრებისდა მიხედვით. მეორენი ესენი უნდა დაიძრან.<sup>17</sup> და დაიძრება თავშეყრის კარავი, ლევიანთა ბანაკი ბანაკებს შორის იქნება. როგორც არიან დაბანაკებულნი, ისევე უნდა იყვნენ გზაშიც, თითოეული თავის დროშასთან.<sup>18</sup> დასავლეთით ეფრემის ბანაკის დროშა მათი ლაშქრებისდა მიხედვით და ეფრემიანთა თავკაცი ელიშამაყ ამიჭუდის ძე,<sup>19</sup> და მისი ლაშქარი, რიცხვით ორმოცი ათას ხუთასი.<sup>20</sup> მის გვერდით მენაშეს ტომი და მენაშეანთა თავკაცი გამალიელ ფედაცურის ძე,<sup>21</sup> და მისი ლაშქარი, რიცხვით ოცდათორმეტი ათას ორასი კაცი.<sup>22</sup> ბენიამინის შტო და ბენიამინიანთა თავკაცი ყაბიდან გიდეონის ძე,<sup>23</sup> და მისი ლაშქარი, რიცხვით ოცდათხუთმეტი ათას ოთხასი კაცი.<sup>24</sup> ეფრემის ბანაკს მიეთვალა სულ ასრვა ათას ასი კაცი მათი ლაშქრებისდა მიხედვით. მესამენი დაიძრებიან ესენი.<sup>25</sup> ჩრდილოეთით დანის დროშა მათი ლაშქრების მიხედვით და დანიანთა თავკაცი ახიყებერ ყამიშადის ძე,<sup>26</sup> და მისი ლაშქარი, რიცხვით სამოცდაორი ათას შვიდასი კაცი.<sup>27</sup> მის გვერდით იქნებიან დაბანაკებულნი აშერის შტო და აშერიანთა თავკაცი ფაგიელ ყაქრანის ძე,<sup>28</sup> და მისი ლაშქარი, რიცხვით ორმოცდაერთი ათას ხუთასი კაცი.<sup>29</sup> ნაფთალის შტო და ნაფთალიანთა თავკაცი ახირაყ ყენანის ძე,<sup>30</sup> და მისი ლაშქარი, რიცხვით ორმოცდაცამეტი ათას ოთხასი კაცი.<sup>31</sup> დანის ბანაკს მიეთვალა სულ ას ორმოცდაჩვიდმეტი ათას ექვსასი კაცი, უკანასკნელნი უნდა დაიძრნენ ესენი თავიანთი დროშებით.<sup>32</sup> ეს არის ისრაელისიანთა რიცხვი მათი მამისსახლების მიხედვით. მათი სრული რიცხვი ბანაკებში მათი ლაშქრებისდა მიხედვით იყო ექვსას

სამი ათას ხუთას ორმოცდაათი. <sup>33</sup> ლევიანები არ აღრიცხულან ისრაელიანთა შორის, როგორც ნაბრძანები ჰქონდა მოსესთვის უფალს. <sup>34</sup> და ყველაფერი ისე გააკეთეს ისრაელიანებმა, როგორც ამცნო უფალმა მოსეს. ასე ბანაკდებოდნენ თავ-თავისი დროშების მიხედვით. და ასე მგზავრობდნენ თავ-თავისი საგვარეულოების მიხედვით, მამისსახლებად.

### ლევიანები მღვდლები

**3** <sup>1</sup>ესენი იყვნენ აარონისა და მოსეს თაობა იმხანად, როცა უფალი ელაპარაკებოდა მოსეს სინაის მთაზე. <sup>2</sup>ესენია აარონის ძეთა სახელები: პირშო ნადაბი, აბიჰუ, ელიაზარი და ითამარი. <sup>3</sup>ესენია აარონის ძეთა სახელები, ცხებული მღვდლებისა, რომლებიც სამღვდლოდ აკურთხა მან. <sup>4</sup>და დაიხოცნენ ნადაბი და აბიჰუ უფლის წინაშე, რადგან უცხო ცეცხლი მიიტანეს უფლის წინაშე სინაის უდაბნოში. შვილები არ ჰყოლიათ მათ. მღვდლობდნენ ელიაზარი და ითამარი თავიანთი მამის, აარონის გვერდით.

### ლევიანთა მოვალეობანი

<sup>5</sup>ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>6</sup>მიიყვანე ლევის შტო და დააყენე აარონ მღვდლის წინაშე, რათა ემსახურონ მას. <sup>7</sup>და შეასრულონ მოვალეობა მისადმი და მთელი საზოგადოებისადმი თავშეყრის კარვის წინ, რათა სრულდებოდეს სავანის სამსახური. <sup>8</sup>და დაიცვან თავშეყრის კარვის მთელი ჭურჭელი და მოვალეობა ისრაელიანთადმი, რათა სრულდებოდეს სავანის სამსახური. <sup>9</sup>და ჩააბარე ლევიანები აარონს და მის შვილებს. მას უნდა ჰყავდეს ისინი ჩაბარებულნი ისრაელიანთაგან. <sup>10</sup>და დაავალე აარონს და მის შვილებს, გასწიონ მღვდლობა. და უცხო, ვინც მიეკარება, მოკვდება.

## ლევიათა პრივილეგიები

<sup>11</sup>და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>12</sup>აჰა, ავიყვანე ლევიათები ისრაელიანთა შორის ნაცვლად ყოველი პირმშოსი, საშოს გამხნელისა ისრაელიანთაგან. ჩემები არიან ლევიათები. <sup>13</sup>რადგან ჩემია ყოველი პირმშო. იმ დღეს, როცა დავხოცე ყველა პირმშო ეგვიპტელთა ქვეყანაში, ჩემთვის განვიკუთვნე ყოველი პირმშო ისრაელში ადამიანიდან პირუტყვამდე. ჩემები არიან. მე ვარ უფალი.

## ლევიათა აღრიცხვა

<sup>14</sup>და ელაპარაკა უფალი მოსეს სინაის უდაბნოში სათქმელად: <sup>15</sup>აღრიცხე ლევიათები მათი მამისსახლებისა და საგვარეულოების მიხედვით. ყოველი მამროვანი ერთი თვიდან მოყოლებული აღრიცხე. <sup>16</sup>და აღრიცხა ისინი მოსემ უფლის სიტყვისამებრ, როგორც ემცნო. <sup>17</sup>ესენი იყვნენ ლევიათები სახელდებით: გერშონი, კეჰათი და მერარი. <sup>18</sup>ესენია გერშონიანთა სახელები მათი საგვარეულოების მიხედვით: ლიბნი და შინყი. <sup>19</sup>კეჰათიანთა — მათი საგვარეულოების მიხედვით: აბრამი, იცჰარი, ხებრონი და ყუზიელი. <sup>20</sup>მერარიანთა — მათი საგვარეულოების მიხედვით: მახლი და მუში. ესენია ესენია ლევიათა საგვარეულოები მამისსახლთა მიხედვით. <sup>21</sup>გერშონიდან მოდის ლიბნის საგვარეულო და შიმყის საგვარეულო. ესენია გერშონიანთა საგვარეულოები. <sup>22</sup>ყველა აღრიცხული მამროვანი ერთი თვიდან მოყოლებული სულ იყო შვიდი ათას ხუთასი. <sup>23</sup>გერშონიანთა საგვარეულოებმა სავანის უკან დასავლეთით უნდა დაიბანაკონ. <sup>24</sup>გერშონიანთა მამისსახლის თავკაცი — ელიასაფ ლაელის ძე. <sup>25</sup>და გერშონიანებს თავმეყრის კარავში ებარათ: სავანე მისი გადასახურავითურთ და ფარდა, თავმეყრის კარავში შესასვლელი. <sup>26</sup>ეზოს კრეტსაბმელები, სავანისა და სამსხვერპლოს გარშემო მდებარე ეზოს

შესასვლელი ფარდა. მისი ბაგირები და მთელი მისი აღჭურვილობა.<sup>27</sup> და კეჭათს ეკუთვნის ყამრამელების საგვარეულო, იცჰარელების საგვარეულო, ხებრონელების საგვარეულო და ყაზიელელის საგვარეულო. ესენია კეჭათის საგვარეულოები.<sup>28</sup> რიცხვი ყველა მამროვანისა ერთი თვიდან მოყოლებული იყო რვა ათას ექვსასი, საწმიდარის სამსახურის აღმსრულებელი.<sup>29</sup> კეჭათიანთა საგვარეულოები სავანის გვერდით უნდა დაბანაკდნენ, სამხრეთის მხარეს.<sup>30</sup> კეჭათიანთა მამისსახლის თავკაცი იყო ელიცაფან ყუზიელის ძე.<sup>31</sup> მათ ებარათ კიდობანი, ტაბლა, სასანთლე, სამსხვერპლო და წმიდა ტურტლები, მსახურების დროს გამოსაყენებელი, ფარდა და მთელი მისი მოწყობილობა.<sup>32</sup> და ლევიანთა თავკაცების თავკაცი იყო ელიაზარი, აარონ მღვდლის შვილი. მინდობილი ჰქონდა ზედამხედველობა მათზე, ვინც საწმიდარს ემსახურებოდა.<sup>33</sup> მერარის ეკუთვნის მახლელების საგვარეულო და მუშელების საგვარეულო. ესენია მერარის საგვარეულოები,<sup>34</sup> რიცხვი ყველა მამროვანისა ერთი თვიდან მოყოლებული იყო ექვსი ათას ორასი.<sup>35</sup> მერარის საგვარეულოს მამისსახლის თავკაცი იყო ცურიელ აბიხაილის ძე. სავანის გვერდით უნდა დაიბანაკონ მათ, ჩრდილოეთის მხარეს.<sup>36</sup> და მერარიანებს ებარათ სავანის ძელები, მისი ლარტყები, მისი სვეტები მისი ფეხებითურთ, მთელი მისი აღჭურვილობა და მთელი მისი მოწყობილობა,<sup>37</sup> ეზოს სვეტები ირგვლივ მათი ფეხებითურთ, მათი პალოები და მათი ბაგირები.<sup>38</sup> სავანის წინ, აღმოსავლეთით, თავშეყრის კარვის წინ, მზის აღმოსავლეთით, დაიბანაკებენ მოსე და აარონი თავისი შვილებითურთ, რომელთაც ევალებათ საწმიდარის დაცვა ისრაელიანთა შორის. უცხო ვინც კი მიუახლოვდება, მოკვდება.<sup>39</sup> ყველა აღრიცხული ლევიანი, რომლებიც აღრიცხეს მოსემ და აარონმა უფლის სიტყვისამებრ მათი საგვარეულოების მიხედვით, ყოველი მამროვანი, ერთი თვიდან მოყოლებული — სულ იყო ოცდაორი ათასი.

## ლევიანები და პირმშოთა გამოსყიდვა

<sup>40</sup> და უთხრა უფალმა მოსეს: აღრიცხე ყოველი პირმშო მამროვანი ისრაელიანთა შორის, ერთი თვიდან მოყოლებული, და აღნუსხე მათი სახელები. <sup>41</sup> და განმიკუთვნე ლევიანები, მე ვარ უფალი, ყველა პირმშოს ნაცვლად ისრაელიანებში და ლევიანთა პირუტყვის ყველა პირველმოგებულის ნაცვლად ისრაელიანების პირუტყვში. <sup>42</sup> და აღრიცხა მოსემ, როგორც ამცნო მას უფალმა, ყოველი პირმშო ისრაელიანებში. <sup>43</sup> ყველა პირმშო მამროვანი სახელთა რიცხვის მიხედვით, ერთი თვიდან მოყოლებული, იყო სულ ოცდაორი ათას ორასსამოცდაცამეტი. <sup>44</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>45</sup> აიყვანე ლევიანები ყველა პირმშოს ნაცვლად ისრაელიანთაგან და ლევიანთა პირუტყვი მათი პირუტყვის ნაცვლად: ჩემი არიან ლევიანები, მე ვარ უფალი. <sup>46</sup> იმ ორას სამოცდაცამეტი კაცის გამოსასყიდად, რომლებითაც მეტობენ ლევიანებს ისრაელიანთა პირმშოები, <sup>47</sup> აიღე ხუთ-ხუთი შეკელი კაცზე, წმიდა შეკელით აიღე (ოცი გერაა შეკელში), <sup>48</sup> და ჩააბარე ვერცხლი აარონს და მის შვილებს ზედმეტის გამოსასყიდად. <sup>49</sup> და აიღო მოსემ გამოსასყიდი ვერცხლი ზედმეტთაგან ლევიანთა გამოსასყიდად. <sup>50</sup> ისრაელიანთა პირმშოთაგან აიღო ათას სამას სამოცდახუთი შეკელი ვერცხლი, წმიდა შეკელის მიხედვით. <sup>51</sup> და ჩააბარა მოსემ გამოსყიდულთა ვერცხლი აარონს და მის შვილებს, უფლის სიტყვისამებრ, როგორც ამცნო უფალმა მოსეს.

## კეჰათლიანები

**4** <sup>1</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს და აარონს სათქმელად: <sup>2</sup> დაითვაღე კეჰათიანები ლევიანებში მათი საგვარეულოების, მათი მამისსახლების მიხედვით, <sup>3</sup> ოცდაათი წლიდან მოყოლებული ორმოცდაათ წლამდე, ყველა, ვისაც კი შეუძლია სამსახურში გასვლა, რომ აკეთოს საქმე თავშეყრის კარავში.

<sup>4</sup> ეს არის კეჰათიანთა საქმე თავშეყრის კარავში, წმიდათა წმიდაში. <sup>5</sup> და შევლენ აარონი და მისი შვილები ბანაკის დაძვრისას, ჩამოხსნიან ჩამოსაფარებელს და მით დაფარავენ მოწმობის კიდობანს. <sup>6</sup> და ზედ დააფენენ თახაშის ტყავის ფარდაგს და ზემოდან გადააფარებენ ლურჯი მატყლის ქსოვილს, და გაუყრიან კეტებს. <sup>7</sup> და საწინაშეო ტაბლაზე გაშლიან ლურჯი მატყლის ქსოვილს და დააწყობენ მასზე ჯამებს, კოვზებს, საწდეებს და თასებს საღვრელად. მუდმივი პური უნდა ეწყოს მასზე. <sup>8</sup> და გაშლიან ზედ ჭიაფერ ქსოვილს და გადააფარებენ მას თახაშის ტყავის გადასაფარებელს, და გაუყრიან კეტებს. <sup>9</sup> და აიღებენ ლურჯი მატყლის სამოსელს და დაფარავენ სასანთლეს და მის ლამპრებს, მის მაშებს, მის აქანდაზებს და ზეთის ყველა ჭურჭელს, რომელსაც მისთვის იყენებენ. <sup>10</sup> და გამოახვევენ მას და მთელს მის ჭურჭელს თახაშის ტყავის გადასაფარებელში და ტახტრევანზე დადებენ. <sup>11</sup> და ოქროს სამსხვერპლოზე გაშლიან ლურჯ ქსოვილს და გადააფარებენ მას თახაშის ტყავის გადასაფარებელს, და გაუყრიან კეტებს. <sup>12</sup> და აიღებენ ყველა სამსახურებელ ჭურჭელს, რომელსაც ხმარობენ, დააწყობენ ლურჯ ქსოვილზე და გადააფარებენ თახაშის ტყავის გადასაფარებელს და ტახტრევანზე დადებენ. <sup>13</sup> და ნაცარს მოაშორებენ სამსხვერპლოს და გადააფარებენ მეწამულ ქსოვილს. <sup>14</sup> და დააწყობენ ზედ ყველა ჭურჭელს, რასაც იქ ხმარობენ: აქანდაზებს, ჩანგლებს, ნიჩბებს, სასხურებლებს — სამსხვერპლოს მთელს ჭურჭელს და გადააფარებენ ზედ თახაშის ტყავის გადასაფარებელს, და გაუყრიან კეტებს. <sup>15</sup> და მორჩებიან აარონი და მისი შვილები საწმიდარისა და მთელი მისი ჭურჭლის დაფარვას ბანაკის დაძვრისას და მოვლენ კეჰათიანები მის წასაღებად. ოღონდ არ უნდა მიეკარონ საწმიდარს, რომ არ დაიხოცონ. ეს არის კეჰათიანთა სატარებელი ტვირთი თავშეყრის კარვის ჭურჭლიდან. <sup>16</sup> და მინდობილი აქვს ელიაზარს, აარონ მღვდლის ძეს, სასანთლის ზეთი, სურნელოვანი საკმეველი, მუდმივი შესაწირავი და საცხებელი ზეთი, თვალყური

მთელს სავანებზე და ყველაფერზე, რაც მასშია, საწმიდარზე და მთელს მის ჭურჭელზე. <sup>17</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს და აარონს სათქმელად: <sup>18</sup> ნუ გადააშენებთ კეჭათის საგვარეულოთა შტოს ლევიანთა შორის. <sup>19</sup> და ასე გაუკეთეთ მათ, რომ ცოცხლები დარჩნენ და არ დაიხოცონ, როცა წმიდათა წმიდას მიუახლოვდებიან. აარონი და მისი შვილები მივიდნენ მათთან და თითოეული თავის საქმეზე და თავის წასაღებ ტვირთთან დააყენონ. <sup>20</sup> და არ უნდა მივიდნენ საწმიდრის შეფუთვის საყურებლად, თორემ დაიხოცებიან.

### გერშონიანები

<sup>21</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>22</sup> დაითვაღე გერშონიანებიც მათი მამისსახლებისა და საგვარეულოების მიხედვით <sup>23</sup> ოცდაათი წლიდან მოყოლებული ორმოცდაათ წლამდე აღრიცხე ისინი, ყველა, ვისაც სამსახურში ჩადგომა შეუძლია, თავშეყრის კარვის საქმის საკეთებლად. <sup>24</sup> ეს არის გერშონის მოდგმის საგვარეულოთა საშრომელი სამსახურებლად და სატარებლად: <sup>25</sup> და ატარონ სავანის კრეტსაბმელები, თავშეყრის კარავი და მისი გადასახურავი, ზემოდან რომ აფარია, თავშეყრის კარვის შესასვლელის ჩამოსაფარებელი, <sup>26</sup> ეზოს ფარდები, ეზოს კარიბჭის ჩამოსაფარებელი, სავანისა და სამსხვერპლოს ირგვლივ რომ არის, მისი საბელები და ყველა მისი სამსახურებელი ნივთი. ყველაფერი, რასაც აკეთებენ და იყენებენ. <sup>27</sup> აარონის და მისი შვილების ბრძანებით უნდა სრულებოდეს გერშონიანთა ყოველი საქმე — ყველაფრის ტარება და ყველაფრის კეთება. მათ ჩააბარე შესანახად ყველაფერი, რაც მათი სატარებელია. <sup>28</sup> ეს არის გერშონიანთა საგვარეულოების საქმე თავშეყრის კარავში და მათი მოვალეობანი ითამარის, აარონ მღვდლის ძის, ხელმძღვანელობით.



## მერარიანები

<sup>29</sup>მერარიანები მათი საგვარეულოებისა და მამისსახლების მიხედვით აღრიცხე. <sup>30</sup>ოცდაათი წლიდან ორმოცდაათ წლამდე აღრიცხე ისინი, ვისაც სამსახურში ჩადგომა შეუძლია თავშეყრის კარვის საქმის საკეთებლად. <sup>31</sup>აი, რისი ტარება ევალებათ მათ (ეს არის მათი საქმე თავშეყრის კარვის სამსახურში): სავანის ბოძები, ლარტყები, სვეტები მათი ფეხებითურთ, <sup>32</sup>ეზოს სვეტები ირგვლივ რომ დგას, მათი ფეხებით, პალოებითა და საბელებითურთ, ყველა მათი სამსახურებელი, სათითაოდ აღრიცხე ყველა ნივთი, რაც სატარებლად ევალებათ. <sup>33</sup>ეს არის მერარიანთა საგვარეულოების საქმე თავშეყრის კარავში ითამარის, აარონ მღვდლის ძის, ხელმძღვანელობით.

## ლევიათა აღრიცხვა

<sup>34</sup>აღრიცხეს მოსემ, აარონმა და საზოგადოების თავკაცებმა კეჭათიანები მათი საგვარეულოებისა და მამისსახლების მიხედვით, <sup>35</sup>ოცდაათი წლიდან ორმოცდაათ წლამდე, ყველა, ვისაც სამსახურში ჩადგომა შეეძლო თავშეყრის კარვის საქმის საკეთებლად. <sup>36</sup>აღირიცხა საგვარეულოთა მიხედვით სულ ორი ათას შვიდას ორმოცდაათი კაცი. <sup>37</sup>ესენი აღირიცხნენ კეჭათიანთა საგვარეულოებში. ყველა, ვინც თავშეყრის კარვის საქმეს აკეთებს, რომლებიც აღრიცხეს მოსემ და აარონმა უფლის სიტყვით და მოსეს ხელმძღვანელობით. <sup>38</sup>და აღირიცხნენ გერშონიანები მათი საგვარეულოებისა და მამისსახლების მიხედვით, <sup>39</sup>ოცდაათი წლიდან ორმოცდაათ წლამდე, ყველა, ვისაც კი შეეძლო სამსახურში ჩადგომა თავშეყრის კარვის საქმის საკეთებლად. <sup>40</sup>და აღირიცხა საგვარეულოების მიხედვით და მამისსახლების მიხედვით სულ ორი ათას ექვსას ოცდაათი კაცი. <sup>41</sup>ესენი აღირიცხნენ გერშონიანთა საგვარეულოებში, ყველა, ვინც თავშეყრის კარვის საქმეს აკეთებს, რომლებიც აღრიცხეს მოსემ და აარონმა უფლის სიტყვით. <sup>42</sup>და აღირიც-

ხა მერარიანთა საგვარეულოები მათი საგვარეულოებისა და მამისსახლების მიხედვით, <sup>43</sup>ოცდაათი წლიდან ორმოცდაათ წლამდე, ყველა, ვისაც კი შეეძლო სამსახურში ჩადგომა თავშეყრის კარვის საქმის საკეთებლად. <sup>44</sup>და აღირიცხა მათი საგვარეულოების მიხედვით სულ სამი ათას ორასი კაცი. <sup>45</sup>ესენი აღირიცხნენ მერარიანთა საგვარეულოებში, რომლებიც აღრიცხეს მოსემ და აარონმა უფლის სიტყვით და მოსეს ხელმძღვანელობით. <sup>46</sup>ყველა აღრიცხული, ვინც აღრიცხეს მოსემ, აარონმა და ისრაელის თავკაცებმა ლევიანთაგან მათი საგვარეულოების და მამისსახლების მიხედვით, <sup>47</sup>ოცდაათი წლიდან ორმოცდაათ წლამდე, ვისაც კი შეეძლო სამსახურში ჩადგომა და თავშეყრის კარვის ტარება. <sup>48</sup>და აღირიცხა სულ რვა ათას ხუთას ოთხმოცი კაცი. <sup>49</sup>უფლის ბრძანებით და მოსეს ხელმძღვანელობით მიეჩინა თითოეულს მისი საქმე და მისი სატარებელი ტვირთი და აღირიცხნენ, როგორც ამცნო უფალმა მოსეს.

### გაბინძურებულნი ბანაკს გარეთ

**5** <sup>1</sup>და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>2</sup>ამცნე ისრაელიანებს, რომ გაიყვანონ ბანაკიდან ყველა კეთროვანი, ყველა წიდოვანი და მკვდრისაგან გაბინძურებული, <sup>3</sup>მამროვანიდან და მდედროვანამდე, ბანაკის გარეთ გაიყვანეთ, რომ არ გააბინძურონ თავიანთი ბანაკები, რომელთა შორისაც დავანებული ვარ. <sup>4</sup>და ასე გააკეთეს ისრაელიანებმა: გაიყვანეს ისინი ბანაკის გარეთ. როგორც უბრძანა უფალმა მოსეს, ისე გააკეთეს.

### ზღვევა დანაშაულისთვის

<sup>5</sup>და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>6</sup>უთხარი ისრაელიანებს: თუ კაცი ან ქალი ჩაიდენს რაიმე ცოდვას ადამისას, რითაც უღალატებს უფალს და დადანაშაულდება, <sup>7</sup>აღიარონ თავიანთი ცოდვა, რაც ჩაიდინეს, მთლიანად ზღონ, რაც დააშავეს, მეთაედიც დაუმატონ და მისცენ მას, ვის წინაშეც დანა-

შაული აქვთ. <sup>8</sup> თუ კაცს არა ჰყავს ახლო ნათესავი, რომელსაც უნდა უზღოს, დანაშაულს უზღავს უფალს. მღვდლისაა შენდობის ვერძის გარდა, რომლითაც შეუნდობს მას. <sup>9</sup> და მთელი ძღვენი ისრაელიანთა შეწირულებიდან, რომელიც მღვდელთან მოაქვთ, მას ეკუთვნის. <sup>10</sup> ვინმეს მიერ შემოწირული მას ეკუთვნის. რასაც მღვდელს მისცემენ, მღვდელს ეკუთვნის.

### შესაწირავი ეჭვისათვის

<sup>11</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>12</sup> ელაპარაკე ისრაელიანებს და უთხარი მათ: თუ ვინმეს ცოლი შეცდება, უღალატებს თავის ქმარს, <sup>13</sup> ვინმე დაწვევა მასთან თესლის მიღვრით და ეს დაფარული იქნება მისი ქმრის თვალთაგან, ქალი კი მალულად გაბინძურებულია, მაგრამ მოწმე მის წინააღმდეგ არ ყოფილა და არ წაუსწრიათ, <sup>14</sup> ქმარს ეჭვი შეიპყრობს და იეჭვიანებს თავის ცოლზე, რომელიც გაბინძურებულია, ან ეჭვი შეიპყრობს და იეჭვიანებს თავის ცოლზე, რომელიც არ არის გაბინძურებული, <sup>15</sup> მიიყვანოს ქმარმა თავისი ცოლი მღვდელთან და მიიტანოს მისი გულისათვის შესაწირავად მეთექვსმეტი ეფა ქერის ფქვილი; ზეთი არ დაღვაროს ზედ და არც გუნდრუკი დაადოს, რადგან ეს ეჭვიანობის შესაწირავია, დახსომების შესაწირავი, უკეთურობის დასახსომებელი. <sup>16</sup> და მიიყვანს ქალს მღვდელი და უფლის წინაშე დააყენებს. <sup>17</sup> და აიღებს მღვდელი წმიდა წყალს თიხის ტურჭლით და მიწას სავანის ნიადაგიდან, აიღებს ამას მღვდელი და წყალში ჩაყრის. <sup>18</sup> დააყენებს მღვდელი ქალს უფლის წინაშე და თავს გაუშიშვლებს ქალს, მუჭში ჩაუდებს დახსომების შესაწირავს. ეს ეჭვიანობის შესაწირავია. ხოლო მღვდელს ხელში ექნება მწარე წყალი, დამაწყევარი. <sup>19</sup> და დააფიცებს მღვდელი ქალს და ეტყვის მას: თუ არავინ დაწოლილა შენთან და არ შეცდენილხარ, და არ გაბინძურებულხარ შენი ქმრისათვის, არას გავნებს ეს მწარე წყალი, დამაწყევარი. <sup>20</sup> ხოლო თუ უღალატე შენს ქმარს

და გაბინძურებული ხარ, ვინმეა ნაწოლი შენთან ქმრის გარდა,<sup>21</sup> და დააფიცებს მღვდელი ქალს წყევის ფიცით და ეტყვის: უფალმა მიგცეს წყევას და ფიცს შენს ხალხში, რომ დაგიგდოს უფალმა საზარდული დაგიდნეს და მუცელი გაგისივოს.<sup>22</sup> და შევა ეს დამაწყევარი წყალი შენს ნაწლავებში, რომ გაგისივდეს მუცელი და დაგივარდეს საშო. და იტყვის ქალი: ჭეშმარიტად! ჭეშმარიტად!<sup>23</sup> და დაწერს მღვდელი ამ წყევლას გრაგნილზე და მწარე წყლით გადარეცხავს,<sup>24</sup> და დააღვინებს ქალს მწარე წყალს, დამაწყევარს, და შევა მასში დამაწყევარი წყალი გამამწარებლად.<sup>25</sup> და აიღებს მღვდელი ქალის ხელიდან ძღვენს ეჭვიანობისათვის და შეარხევს ძღვენს უფლის წინაშე, და მიიტანს სამსხვერპლოზე.<sup>26</sup> და აიღებს მღვდელი პეშვით ამ ძღვენიდან შემახსენებელ ნაწილს და აკმევს სამსხვერპლოზე. და მერე წყალს შეასმევს ქალს.<sup>27</sup> და შეასმევს წყალს და, თუ გაბინძურებულია და ნალალატევი აქვს ქმრისათვის, შევა მასში დამაწყევარი წყალი გასამწარებლად და გაუსივდება მუცელი და დაუვარდება საშო. და შეიქნება ეს ქალი დასაწყევლი თავის ხალხში.<sup>28</sup> და თუ ქალი არ არის გაბინძურებული და სუფთაა იგი, ვნება არ მოუვა და განაყოფიერების უნარი შერჩება.<sup>29</sup> ეს არის ეჭვიანობის რჯული, როცა ქალი ულალატებს თავის ქმარს და გაბინძურდება,<sup>30</sup> ან როცა ქმარს შეიპყრობს ეჭვიანობის სული და იეჭვიანებს თავის ცოლზე: დააყენოს თავისი ცოლი უფლის წინაშე და მღვდელი მოექცევა მას ამ რჯულის თანახმად.<sup>31</sup> და ქმარი გათავისუფლდება დანაშაულისგან და ამ ქალს დაეკისრება დანაშაული.

### მოწმიდარობის წესი

**6**<sup>1</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>2</sup> ელაპარაკე ისრაელიანებს და უთხარი მათ: თუ კაცმა ან ქალმა აღთქმა დადო, რომ უფლის მოწმიდარი\* გახდება, <sup>3</sup> ღვინისაგან

\* ებრ. ნაზირ „კრძალული“ (მმარხველი), ნაზარეველი.

და თაფლუჭისაგან უნდა იწმიდოს, არც ღვინის ძმარი და არც თაფლუჭის ძმარი არ დალიოს, არც ყურძნის წვენი არ დალიოს, არც ახლადმოკრეფილი ყურძენი და არც ჩამიჩი არ ჭამოს. <sup>4</sup>თავისი მოწმიდარობის მთელს დროს ყურძნისაგან დამზადებული არაფერი ჭამოს, წიპწიდან კანამდე. <sup>5</sup>თავისი მოწმიდარობის აღთქმის მთელს დროს სამართებელი არ უნდა შეეხოს მის თავს. ვიდრე არ გაუვა უფლის მოწმიდარობის ვადა, წმიდაა იგი, თმა უნდა მოიზარდოს თავზე. <sup>6</sup>უფლის მოწმიდარობის მთელს დროს მკვდარს არ უნდა მიეკაროს. <sup>7</sup>არ უნდა გაბინძურდეს მამის, დედის, ძმის და დის გამო, მათ გამოც კი მათი სიკვდილის დროს, რადგან მისი ღმერთის მოწმიდარობაა მის თავზე. <sup>8</sup>თავისი მოწმიდარობის მთელ დროს უფლის წმიდაა იგი. <sup>9</sup>თუ შეცრად, უცაბედად შეესწრო ვინმეს სიკვდილს და იგი გააბინძურებს თავის სამოწმიდარო თავს, უნდა მოიპარსოს თავი მისი სუფთაყოფის დღეს, მეშვიდე დღეს მოიპარსოს იგი. <sup>10</sup>და მერვე დღეს ორი გვრიტი ან ორი მტრედის ხუნდი მიუტანოს მღვდელს თავშეყრის კარვის შესასვლელთან. <sup>11</sup>და გაამზადებს მღვდელი ერთს ცოდვისათვის, მეორეს აღსავლენად და განწმედს მას მკვდრის შეხების ცოდვისაგან, და განათლავს მის თავს ამ დღეს. <sup>12</sup>და განუახლებს უფალს თავისი მოწმიდარობის დღეებს და მიუტანს წელგამოვლილ კრავს დანაშაულისათვის, რადგან გააბინძურა თავისი მოწმიდარობა. <sup>13</sup>ეს არის მოწმიდარობის რჯული. როცა გაუვა მოწმიდარობის ვადა, მიიყვანენ მას თავშეყრის კარვის შესასვლელთან, <sup>14</sup>და შესწირავს უფალს წელგამოვლილ, საღ კრავს აღსავლენად. ერთ წელგამოვლილ დედალ ცხვარს ცოდვისათვის და ერთ საღ ვერძს სამშვიდობო მსხვერპლად. <sup>15</sup>ერთ კალათა გამტკიცული ფქვილის ხმიადს, ზეთში მოზეილილ ნამცხვრებს, ზეთწაცხებულ უსაფუარო ლავაშებს მათი ძღვენით და საღვრელით. <sup>16</sup>და მიიტანს მღვდელი უფლის წინაშე და გაამზადებს ცოდვისათვის და აღსავლენად. <sup>17</sup>და ვერძს გაამზადებს სამშვიდობო მსხვერპლად უფლისათვის ხმიადის კალათითურთ და გაამზადებს

მღვდელი მათ ძღვენს და საღვრელს. <sup>18</sup> და გადაიპარსავს მოწმიდარი თავშეყრის კარვის შესასვლელთან თავის სამოწმიდარო თავს, და აიღებს თავისი სამოწმიდარო თავის თმას და ჩააგდებს ცეცხლში, სამშვიდობო მსხვერპლის ქვეშ რომ არის. <sup>19</sup> და აიღებს მღვდელი ვერძის მოხარშულ ბეტს, ერთ უსაფუარო ნამცხვარს კალათიდან, ერთ უსაფუარო კვერს და ხელზე დაუდებს მოწმიდარს მას შემდეგ, რაც ის მოიპარსავს თავის მოწმიდარობას. <sup>20</sup> და შეარხევს მათ მღვდელი შერხევით უფლის წინაშე. ეს არის სიწმიდე მღვდლისათვის, გარდა შესარხველი მკერდისა და აღსამართავი ბეტისა. ამის შემდეგ შეეძლება მოწმიდარს ღვინის სმა. <sup>21</sup> ეს არის რჯული მოწმიდარისა, რომელმაც აღთქმა დადო, და მისი შესაწირავისა უფლისადმი თავისი მოწმიდარობისათვის, იმის გარდა, რაზეც ხელი მიუწვდება. რა აღთქმაც აქვს დადებული, უნდა შეასრულოს მოწმიდარობის რჯულს ზევით.

### კურხევის ფორმულა

<sup>22</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>23</sup> ელაპარაკე აარონს და მის შვილებს, რომ უთხრა: ასე აკურთხებ ისრაელიანები. უთხარი მათ: <sup>24</sup> უფალმა გაკურთხოს და დაგიფაროს. <sup>25</sup> უფალმა მოგანათოს თავისი სახე და შეგიწყალოს, <sup>26</sup> უფალმა მოგაპყრას თავისი სახე და სიმართლე მოგცეს. <sup>27</sup> და დასდონ ჩემი სახელი ისრაელიანებზე და მე ვაკურთხებ მათ.

### ურმის შესაწირავი

**7** <sup>1</sup> და როცა დაასრულა მოსემ სავანის აღმართვა, ზეთი სცხო მას და წმიდაჰყო იგი და მთელი მისი აღჭურვილობა, სამსხვერპლო და მთელი მისი აღჭურვილობა. და ზეთი სცხო მათ და წმიდაჰყო ისინი. <sup>2</sup> და მიიტანეს ისრაელის თავკაცებმა, თავ-თავიანთი მამისსახლების უფროსებმა (იგივენი

იყვნენ ტომების თავკაცები, ისინი ხელმძღვანელობდნენ აღწერას) <sup>3</sup> თავიანთი შესაწირავი უფლის წინაშე — ექვსი ჩარდახიანი ურემი და თორმეტი ხარი; თითო ურემი ორ თავკაცზე და თითო ხარი თითოზე და მიიტანეს ესენი სავანის წინ. <sup>4</sup> და უთხრა უფალმა მოსეს: <sup>5</sup> გამოართვი მათ და თავშეყრის კარვის სამუშაოთათვის განაკუთვნე. მიეცი ისინი ლევიანებს, თითოეულს თავისი სამუშაოს მიხედვით. <sup>6</sup> და აიღო მოსემ ურემი და ხარები და მისცა ისინი ლევიანებს: <sup>7</sup> ორი ურემი და ოთხი ხარი გერშონიანებს მისცა მათი სამუშაოს მიხედვით. <sup>8</sup> ოთხი ურემი და რვა ხარი მერარიანებს მისცა მათი სამუშაოს მიხედვით, რასაც ასრულებდნენ ითამარის, აარონ მღვდლის ძის, ხელმძღვანელობით. <sup>9</sup> და კეჰათიანებს არ მისცა, რადგან საწმიდარის სამუშაო ჰქონდათ დაკისრებული, მხრებით უნდა ეტარებინათ.

## შესაწირავები

<sup>10</sup> და მიიტანეს თავკაცებმა მსხვერპლი სამსხვერპლოს სატფურებისთვის მისი ზეთისცხების დღეს და მიიტანეს თავიანთი შესაწირავიც თავკაცებმა სამსხვერპლოს წინ. <sup>11</sup> და უთხრა უფალმა მოსეს: დღეში თითო თავკაცმა მიიტანოს თავისი შესაწირავი სამსხვერპლოს სატფურებისთვის. <sup>12</sup> პირველ დღეს თავისი შესაწირავი მიიტანა ნახშონ ყამინადაბის ძემ, იუდას ტომიდან. <sup>13</sup> მისი შესაწირავი იყო: ასოცდაათი შეკელის ერთი ვერცხლის თასი და სამოცდაათი შეკელის (საწმიდარის შეკელით) ერთი ვერცხლის სასხურებელი. ორივე სავსე იყო ზეთში აზელილი გამტკიცული ფქვილით. <sup>14</sup> ათშეკელიანი ერთი ოქროს თასი, საკმევლით სავსე. <sup>15</sup> ერთი მოზვერი, ერთი ვერძი, ერთი წელგამოვლილი კრავი აღსავლენად; <sup>16</sup> ერთი თხა ცოდვის გამოსასყიდად; <sup>17</sup> სამშვიდობო მსხვერპლად ორი ხვასტაგი, ხუთი ვერძი, ხუთი ბოტი და ხუთი წელგამოვლილი კრავი. ეს იყო ნახშონ ყამინადაბის ძის შესაწირავი. <sup>18</sup> მეორე დღეს მიიტანა ნათანიელ ცუარის ძემ, ისაქარის თავკაცმა. <sup>19</sup> მიიტანა



მან თავისი შესაწირავი: ასოცდაათშეკელიანი ერთი ვერცხლის თასი, ვერცხლის ტაშტი, სამოცდაათშეკელიანი (საწმიდარის შეკელით), ორივე სავსე იყო ზეთში აბელილი გამტკიცული ფქვილით, საძღვნოდ. <sup>20</sup> ერთი მოზვერი, ერთი ვერძი, ერთი წელგამოვლილი კრავი აღსავლენად, <sup>22</sup> ერთი თხა ცოდვის გამოსასყიდად; <sup>23</sup> და სამშვიდობო მსხვერპლად ორი ხვასტაგი, ხუთი ბოტი და ხუთი წელგამოვლილი კრავი. ეს იყო ნათანიელ ცუარის ძის შესაწირავი. <sup>24</sup> მესამე დღეს — ზებულონიანთა თავკაცმა, ელიაბ ხელონის ძემ. <sup>25</sup> მისი შესაწირავი: ასოცდაათშეკელიანი ერთი ვერცხლის თასი, ერთი ვერცხლის სასხურებელი, სამოცდაათშეკელიანი (საწმიდარის შეკელით). ორივე სავსე იყო ზეთში აბელილი გამტკიცული ფქვილით, საძღვნოდ. <sup>26</sup> ათშეკელიანი ერთი ოქროს თასი, საკმევლით სავსე, <sup>27</sup> ერთი მოზვერი, ერთი ვერძი, ერთი წელგამოვლილი კრავი აღსავლენად. <sup>28</sup> ერთიც თხა ცოდვის გამოსასყიდად, <sup>29</sup> და სამშვიდობო მსხვერპლად ორი ხვასტაგი, ხუთი ვერძი, ხუთი ბოტი და ხუთი წელგამოვლილი კრავი. ეს იყო ელიაბ ხელონის ძის შესაწირავი. <sup>30</sup> მეოთხე დღეს — რეუბენიანთა თავკაცმა ელიცურ შედეურის ძემ. <sup>31</sup> მისი შესაწირავი: ასოცდაათშეკელიანი ერთი ვერცხლის ლანგარი, ერთი ვერცხლის ტაშტი, სამოცდაათშეკელიანი (საწმიდარის შეკელით). ორივე სავსე იყო ზეთში აბელილი გამტკიცული ფქვილით, საძღვნოდ. <sup>32</sup> ათშეკელიანი ერთი ოქროს თასი, საკმევლით სავსე. <sup>33</sup> ერთი მოზვერი, ერთი ვერძი, ერთი წელგამოვლილი კრავი აღსავლენად, <sup>34</sup> ერთიც თხა ცოდვის გამოსასყიდად; <sup>35</sup> და სამშვიდობო მსხვერპლად ორი ხვასტაგი, ხუთი ვერძი, ხუთი ბოტი და ხუთი წელგამოვლილი კრავი. ეს იყო ელიცურ შედეურის ძის შესაწირავი. <sup>36</sup> მეხუთე დღეს — სიმეონიანთა თავკაცმა შელუმიელ ცური-მადის ძემ. <sup>37</sup> მისი შესაწირავი: ასოცდაათშეკელიანი ერთი ვერცხლის ლანგარი, ერთი ვერცხლის ტაშტი, სამოცდაათშეკელიანი (საწმიდარის შეკელით): ორივე სავსე იყო ზეთში აბელილი გამტკიცული ფქვილით, ძღვენისათვის. <sup>38</sup> ათშეკელიანი ერთი



ოქროს თასი, საკმევლით სავსე. <sup>39</sup> ერთი მოზვერი, ერთი ვერძი, ერთი წელგამოვლილი კრავი აღსავლენად. <sup>40</sup> ერთი თხა ცოდვის გამოსასყიდად. <sup>41</sup> და სამშვილობო მსხვერპლად ოთხი ხვასტაგი, ხუთი ვერძი, ხუთი ბოტი და ხუთი წელგამოვლილი კრავი. ეს იყო შელუმიელ ცური-შადაის შესაწირავი. <sup>42</sup> მეექვსე დღეს — გადიანთა თავკაცმა ელიასაფ დელუელის ძემ. <sup>43</sup> მისი შესაწირავი: ასოცდაათშეკელიანი ერთი ვერცხლის ლანგარი, ერთი ვერცხლის ტაშტი, სამოცდაათშეკელიანი (საწმიდარის შეკელით). ორივე სავსე იყო ზეთში აბელილი გამტკიცული ფქვილით, ძღვენისათვის. <sup>44</sup> ათშეკელიანი ერთი ოქროს თასი, საკმევლით სავსე. <sup>45</sup> ერთი მოზვერი, ერთი ვერძი, ერთი წელგამოვლილი კრავი აღსავლენად. <sup>46</sup> ერთი თხა ცოდვის გამოსასყიდად, <sup>47</sup> და სამშვიდობო მსხვერპლად ორი ხვასტაგი, ხუთი ვერძი, ხუთი ბოტი და ხუთი წელგამოვლილი კრავი. ეს იყო ელიასაფ დელუელის შესაწირავი. <sup>48</sup> მეშვიდე დღეს — ეფრემიანთა თავკაცმა ელიშამაც ყამიჭუდის ძემ. <sup>49</sup> მისი შესაწირავი: ასოცდაათშეკელიანი ერთი ვერცხლის ლანგარი, ერთი ვერცხლის ტაშტი, სამოცდაათშეკელიანი (საწმიდარის შეკელით). ორივე სავსე იყო ზეთში აბელილი გამტკიცული ფქვილით, ძღვენისათვის. <sup>50</sup> ათშეკელიანი ერთი ოქროს თასი, საკმევლით სავსე. <sup>51</sup> ერთი მოზვერი, ერთი ვერძი, ერთი წელგამოვლილი კრავი აღსავლენად; <sup>52</sup> ერთი თხა ცოდვის გამოსასყიდად. <sup>53</sup> სამშვიდობო მსხვერპლად ორი ხვასტაგი, ხუთი ვერძი, ხუთი ბოტი და ხუთი წელგამოვლილი კრავი. ეს იყო ელიშამაც ყამიჭუდის შესაწირავი. <sup>54</sup> მერვე დღეს — მენაშეანთა თავკაცმა გამალიელ ფედაცურის ძემ. <sup>55</sup> მისი შესაწირავი: ასოცდაათშეკელიანი ერთი ვერცხლის ლანგარი, ერთი ვერცხლის ტაშტი, სამოცდაათშეკელიანი (საწმიდარის შეკელით). ორივენი სავსე იყო ზეთში აბელილი გამტკიცული ფქვილით — ძღვენისათვის. <sup>56</sup> ათშეკელიანი ერთი ოქროს თასი, საკმევლით სავსე. <sup>57</sup> ერთი მოზვერი, ერთი ვერძი, ერთი წელგამოვლილი კრავი აღსავლენად; <sup>58</sup> ერთი თხა ცოდვის გამოსასყიდად; <sup>59</sup> და

სამშვიდობო მსხვერპლად ორი ხვასტაგი, ხუთი ვერძი, ხუთი ბოტი, ხუთი წელგამოვლილი კრავი. და ეს იყო გამაღიელ ფედაცურის შესაწირავი. <sup>60</sup> მეცხრე დღეს — ბენიამინიანთა თავკაცმა აბიდან გიდეონის ძემ. <sup>61</sup> მისი შესაწირავი: ასოცდაათშეკელიანი ერთი ვერცხლის ლანგარი, ერთი ვერცხლის ტაშტი, სამოცდაათშეკელიანი (საწმიდარის შეკელით), ორივე სავსე იყო ზეთში აბელილი გამტკიცული ფქვილით — ძღვენისათვის. <sup>62</sup> ათშეკელიანი ერთი ოქროს თასი, საკმევლით სავსე. <sup>63</sup> ერთი მოზვერი, ერთი ვერძი, ერთი წელგამოვლილი კრავი აღსავლენად. <sup>64</sup> ერთი თხა ცოდვის გამოსასყიდად. <sup>65</sup> და სამშვიდობო მსხვერპლად ორი ხვასტაგი, ხუთი ვერძი, ხუთი ბოტი და ხუთი წელგამოვლილი კრავი. ეს იყო აბიდან გიდეონის ძის შესაწირავი. <sup>66</sup> მეათე დღეს — დანიანთა თავკაცმა ახიებერ ყამიშადის ძემ. <sup>67</sup> მისი შესაწირავი: ასოცდაათშეკელიანი ერთი ვერცხლის ლანგარი, ერთი ვერცხლის ტაშტი, სამოცდაათშეკელიანი (საწმიდარის შეკელით). ორივე სავსე იყო ზეთში აბელილი გამტკიცული ფქვილით — ძღვენისათვის. <sup>68</sup> ათშეკელიანი ერთი ოქროს თასი, საკმევლით სავსე. <sup>69</sup> ერთი მოზვერი, ერთი ვერძი, ერთი წელგამოვლილი კრავი აღსავლენად. <sup>70</sup> ერთი თხა ცოდვის გამოსასყიდად. <sup>71</sup> და სამშვიდობო მსხვერპლად ორი ხვასტაგი, ხუთი ვერძი, ხუთი ბოტი, ხუთი წელგამოვლილი კრავი. ეს იყო ახიებერ ყამიშადის ძის შესაწირავი. <sup>72</sup> მეთერთმეტე დღეს — აშერიანთა თავკაცმა ფაგიელ ყაქრანის ძემ. <sup>73</sup> მისი შესაწირავი: ასოცდაათშეკელიანი ერთი ვერცხლის ლანგარი, ერთი ვერცხლის ტაშტი, სამოცდაათშეკელიანი (საწმიდარის შეკელით), ორივე სავსე იყო ზეთში აბელილი გამტკიცული ფქვილით — ძღვენისათვის. <sup>74</sup> ათშეკელიანი ერთი ოქროს თასი, საკმევლით სავსე. <sup>75</sup> ერთი მოზვერი, ერთი წელგამოვლილი კრავი აღსავლენად. <sup>76</sup> ერთი თხა ცოდვის გამოსასყიდად. <sup>77</sup> და სამშვიდობო მსხვერპლად ორი ხვასტაგი, ხუთი ვერძი, ხუთი ბოტი, ხუთი წელგამოვლილი კრავი. ეს იყო ფაგიელ ყაქრანის ძის შესაწირავი. <sup>78</sup> მეთორმეტე დღეს — ნაფთალიანთა თავ-

კაცმა ახირაყ ყენანის ძემ. <sup>79</sup> მისი შესაწირავი: ასოცდაათშეკელიანი ერთი ვერცხლის ლანგარი, ერთი ვერცხლის ტაშტი, სამოცდაათშეკელიანი (საწმიდარის შეკელით). ორივე სავსე იყო ზეთში აზელილი გამტკიცული ფქვილით, ძღვენისათვის. <sup>80</sup> ათშეკელიანი ერთი ოქროს თასი, საკმევლით სავსე. <sup>81</sup> ერთი მოზვერი, ერთი ვერძი, ერთი წელგამოვლილი კრავი აღსავლენად. <sup>82</sup> ერთი თხა ცოდვის გამოსასყიდად. <sup>83</sup> და სამშვიდობო მსხვერპლად ორი ხვასტაგი, ხუთი ვერძი, ხუთი ბოტი, ხუთი წელგამოვლილი კრავი. ეს იყო ფაგიელ ყაქრანის ძის შესაწირავი. <sup>84</sup> ეს არის შესაწირავი სამსხვერპლოს სატფურებისთვის მისი ზეთისცხების დღეს, ისრაელის თავკაცებისაგან შეწირული თორმეტი ვერცხლის ლანგარი, თორმეტი ვერცხლის ტაშტი, თორმეტი ოქროს თასი; <sup>85</sup> თითოეული ლანგარი — ასოცდაათშეკელიანი, თითოეული ტაშტი — სამოცდაათშეკელიანი. მთელი ჭურჭლეულობის ვერცხლი — ათას ოთხასი შეკელი (საწმიდარის შეკელით). <sup>86</sup> თორმეტი ოქროს თასი, საკმევლით სავსე; თითოეული თასი — ათშეკელიანი (საწმიდარისა შეკელით). თასების მთელი ოქრო — ასოცი შეკელი. <sup>87</sup> აღსავლენად სულ თორმეტი მოზვერი, თორმეტი ვერძი, თორმეტი წელგამოვლილი კრავი და მათი თანმხლები ძღვენი; თორმეტი თხა ცოდვის გამოსასყიდად. <sup>88</sup> და სამშვიდობო მსხვერპლად ხვასტაგიდან, სულ ოცდაოთხი მოზვერი, სამოცი ვერძი, სამოცი ბოტი და სამოცი წელგამოვლილი კრავი, ეს იყო მსხვერპლი სამსხვერპლოს სატფურებისთვის მისი ზეთისცხების შემდეგ. <sup>89</sup> და როცა შედიოდა მოსე თავშეყრის კარავში მასთან სალაპარაკოდ, ესმოდა ხმა უფლისა, რომელიც ელაპარაკებოდა მას მოწმობის კიდობნის სახურავს ზემოდან, ორი ქერუბიმის შუიდან, და ელაპარაკებოდა.

**ლევიანები ისრაელიანთა პირმშობის სანაცვლოდ**

**8** <sup>1</sup>და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>2</sup>ელაპარაკე აარონს და უთხარი მას: როცა ლამპარს აანთებ, სასანთლის წინა მხარეს შვიდი ლამპარი უნდა ენთებოდეს. <sup>3</sup>და ასე გააკეთა აარონმა: სასანთლის წინა მხარეს აანთო ლამპრები, როგორც ამცნო უფალმა მოსეს. <sup>4</sup>და ასეთი ნაკეთობის იყო სასანთლე: ნაჭედი ოქროსი იყო, ზროდან ყვავილებამდე ნაჭედი იყო იგი. იმ სახის გააკეთა სასანთლე, როგორც უფალმა ახილვინა მოსეს. <sup>5</sup>და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>6</sup>გამოიყვანე ლევიანები ისრაელიანთაგან და სუფთა-ჰყავი ისინი. <sup>7</sup>და ასე გააკეთე მათ გასასუფთავებლად: ასხურე მათ ცოდვის წარმოცველი წყალი, გაიპარსონ მთელი ტანი, გაირეცხონ შესამოსელი და გასუფთავდებიან. <sup>8</sup>და აიყვანონ მოზვერი და მისი ძღვენი: შესაწირავი — ზეთში აბელილი გამტკიცული ფქვილი — და მეორე მოზვერი ცოდვისათვის. <sup>9</sup>და მიიყვანე ლევიანები თავშეყრის კარვის წინ და შეკრიბე ისრაელიანთა მთელი საზოგადოება. <sup>10</sup>და მიიყვანე ლევიანები უფლის წინაშე და დაასხან ხელები ისრაელიანებმა ლევიანებს. <sup>11</sup>და აღუსრულოს აარონმა შერხევის წესი ლევიანებს უფლის წინაშე ისრაელიანთაგან, რათა იტვირთონ მათ უფლის სამსახური. <sup>12</sup>და ლევიანებმა ხელი დაასხან მოზვერებს. და გაამზადე ერთი მოზვერი ცოდვისათვის, მეორე — აღსავლენად უფლისათვის, რათა შეუნდო ლევიანებს. <sup>13</sup>და დააყენე ლევიანები აარონის წინ და მისი შვილების წინ და აღასრულე მათზე შერხევის წესი უფლისათვის. <sup>14</sup>და გამოყავი ლევიანები ისრაელიანთაგან, რათა ჩემები გახდნენ ლევიანები. <sup>15</sup>და ამის შემდეგ ჩადგებიან ლევიანები თავშეყრის კარვის სამსახურში. როცა სუფთა-ჰყოფ მათ და აღასრულებ მათზე შერხევის წესს. <sup>16</sup>რადგან ჩემთვის არიან ისინი შემოწირულნი ისრაელიანთაგან. ყოველი საშოს გამღების, ისრაელიანთა ყოველი პირმშოს ნაცვლად ვიღებ მათ ჩემთვის. <sup>17</sup>რადგან ჩემია ყოველი პირმშო ისრაელიანებ-

ში, ადამიანიც და პირუტყვიც. იმ დღეს, როცა გავწყვიტე ყოველი პირმშო ეგვიპტის ქვეყანაში, ჩემთვის შემოვიწირე ისინი. <sup>18</sup> და ავიყვანე ლევიანები ისრაელიანთა ყოველი პირმშოს ნაცვლად. <sup>19</sup> და მივეცი ლევიანები ისრაელიანთაგან აარონს და მის შვილებს, რათა შეასრულონ ისრაელიანთა სამსახური თავშეყრის კარავში, რათა შეუნდონ ისრაელიანებს, რათა არ მოხდეს ისრაელიანებში ზიანი, როცა კი საწმიდარს მიეკარებინ ისრაელიანები. <sup>20</sup> და გაუკეთეს მოსემ, აარონმა და ისრაელიანთა მთელმა საზოგადოებამ ლევიანებს, როგორც ამცნო უფალმა მოსეს ლევიანთა გამო. ასე გაუკეთეს მათ ისრაელიანებს. <sup>21</sup> და გასუფთავდნენ ლევიანები და გაირეცხეს შესამოსელი. და აღასრულა აარონმა მათზე შერხევის წესი უფლის წინაშე და შეუნდო, რათა გაესუფთავებინა ისინი. <sup>22</sup> და ამის შემდეგ შეუდგნენ ლევიანები სამსახურს თავშეყრის კარავში აარონის წინაშე და მისი შვილების წინაშე, როგორც ამცნო უფალმა მოსეს ლევიანთა გამო. ასე გაუკეთეს მათ. <sup>23</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>24</sup> ეს არის ლევიანთა წესი: ოცდახუთი წლიდან უნდა შეუდგნენ თავშეყრის კარვის სამსახურს. <sup>25</sup> და ორმოცდაათი წლის შესრულების შემდეგ უნდა შეწყვიტონ სამსახური და არ იმსახურონ. <sup>26</sup> მხოლოდ დაეხმარონ თავიანთ ძმებს თავშეყრის კარვის დაცვაში და სამსახურს ნულარ გასწევენ. ასე დაუწესე ლევიანებს მათი მოვალეობანი.

## პასექის წესი

**9** <sup>1</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს სინაის უდაბნოში ეგვიპტიდან გამოსვლის მეორე წელს, პირველ თვეში სათქმელად: <sup>2</sup> მოამზადონ ისრაელიანებმა პასექი დათქმულ დროს. <sup>3</sup> ამ თვის მეთოთხმეტე დღეს დაღამებისას მოამზადეთ იგი დათქმულ დროს. ყველა წესისა და რიგის დაცვით მოამზადეთ იგი. <sup>4</sup> და ელაპარაკა მოსე ისრაელიანებს, რომ გაემზადებინათ პასექი. <sup>5</sup> და გაამზადეს პასექი პირველ თვეში, თვის მეთოთ-

ხმეტე დღეს, სალამო ხანს, სინაის უდაბნოში. და ყველაფერი, როგორც ამცნო უფალმა მოსეს, ისე გააკეთეს ისრაელიანებმა.<sup>6</sup> და იყვნენ ისეთები, რომლებიც გაბინძურდნენ მკვდრის შეხებით და ვერ შეძლეს პასექის გამზადება იმ დღეს.<sup>7</sup> და უთხრეს ამ კაცებმა მას: გაბინძურებული ვართ მკვდრის შეხებით. რისთვის უნდა აგვეკრძალოს უფლის შესაწირავის მიტანა დათქმულ დროს ისრაელიანებთან ერთად?<sup>8</sup> და უთხრა მათ მოსემ: მოითმინეთ, მოვისმენ, რას მამცნობს უფალი თქვენზე.<sup>9</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>10</sup>ელაპარაკე ისრაელიანებს, რომ უთხრა: თუ ვინმე გაბინძურდება მკვდრის შეხებით ან შორ გზაზე იქნება წასული თქვენს შორის ან თქვენს შთამომავლობაში, მანაც უნდა გაამზადოს უფლის პასექი.<sup>11</sup> მეორე თვის მეთოთხმეტე დღეს სალამოხანს გაამზადონ იგი, უფუარი პური და მწარა ბალახები შეატანონ.<sup>12</sup> ნუ მოირჩენენ დილისთვის, ძვლებს ნუ დაამტვრევენ, პასექის ყველა წესის დაცვით შეასრულონ იგი.<sup>13</sup> კაცი, რომელიც სუფთაა და გზაში არ არის და გამოტოვებს პასექს, მოიკვეთება იგი თავისი ხალხისაგან, რადგან უფლის შესაწირავი არ მიიტანა დათქმულ დროს. ცოდვა დაედება იმ კაცს.<sup>14</sup> თუ მდგმური მდგმურობს შენთან, მანაც გაამზადოს უფლის პასექი პასექის წესისა და რიგის მიხედვით. ერთი წესი გქონდეთ მდგმურსაც და ქვეყნის მკვიდრსაც.

## ღრუბელი სავანეზე

<sup>15</sup>და სავანის აღმართვის დღეს ღრუბელმა დაფარა მოწმობის კარვის სავანე და სალამოდან დილამდე ცეცხლივით ჩანდა სავანეზე.<sup>16</sup> ასე იყო მუდამ: ღრუბელი ფარავდა მას და ცეცხლი ჩანდა ღამით.<sup>17</sup> და როცა ასცილდებოდა ღრუბელი კარავს, დაიძრებოდნენ ისრაელიანებიც და, სადაც დადგებოდა ღრუბელი, იქ დაიბანაკებდნენ ისრაელიანები.<sup>18</sup> უფლის ბრძანებაზე დაიძრებოდნენ და უფლის ბრძანებაზე დაიბანაკებდნენ ისრაელიანები. მთელ ხანს, რაც ღრუბელი ეფინა სავანეს,

ბანაკად იდგნენ. <sup>19</sup> და როცა დიდხანს დაყოვნდებოდა ღრუბელი სავანეზე, ასრულებდნენ ისრაელიანები უფლის სამსახურს და არ იძროდნენ. <sup>20</sup> ხდებოდა, რომ მცირე ხანს ეფინა ღრუბელი სავანეს. უფლის ბრძანებაზე დაიბანაკებდნენ და უფლის ბრძანებაზე დაიძრობდნენ. <sup>21</sup> და ხდებოდა, რომ საღამოდან დილამდე იდგა ღრუბელი და დილას ასცილდებოდა ღრუბელი, მაშინ დაიძრობდნენ. ან ერთი დღე-ღამე იდგა, ასცილდებოდა ღრუბელი და დაიძრობდნენ. <sup>22</sup> ან ორი დღე იდგა, ან ერთი თვე, ან რამდენიმე დღე. თუ დიდხანს იდგა ღრუბელი სავანეზე, ბანაკად იდგნენ ისრაელიანებიც და არ იძროდნენ. ასცილდებოდა და დაიძრობდნენ. <sup>23</sup> უფლის ბრძანებაზე დაიბანაკებდნენ და უფლის ბრძანებაზე დაიძრობდნენ, უფლის დასაცველს იცავდნენ უფლის ბრძანებით, მოსეს ხელით.

## საყვირი

**10** <sup>1</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>2</sup> გააკეთე შენტვის ორი ვერცხლის საყვირი, ჭედური გააკეთე ისინი. და საზოგადოების შესაკრებად და ბანაკის ასაყრელად გქონდეს. <sup>3</sup> და დააყვირებენ და შენტან შეიყრება მთელი საზოგადოება. თავშეყრის კარვის შესასვლელთან. <sup>4</sup> და თუ ერთხელ დააყვირებენ, შეიყარონ შენტან თავკაცები — ისრაელიანთა ათასისთავები. <sup>5</sup> და დააყვირებენ საგანგაშოს და დაიძრან ბანაკები, აღმოსავლეთით დაბანაკებულნი. <sup>6</sup> და მეორედ დააყვირებენ საგანგაშოს და დაიძრან ბანაკები, სამხრეთით დაბანაკებულნი, მათი დაძვრისათვის საგანგაშო დააყვირონ. <sup>7</sup> და საზოგადოების შესაყრელადაც დააყვირე, ოღონდ არა საგანგაშო. <sup>8</sup> და აარონიანებმა, მღვდლებმა, დააყვირონ საყვირები. ეს იყოს საუკუნო წესი თქვენს თაობებში. <sup>9</sup> და როცა გახვალთ ჩვენს ქვეყანაში მომხდურ მტერთან საბრძოლველად, ასტეხეთ განგაში საყვირებით და გახსენებული იქნებით უფლის, თქვენი ღმერთის წინაშე და გადაურჩებით თქვენს მტერს. <sup>10</sup> და სიხარულის დღეებში, დღესასწაულებზე და ახალმთვარობი-



სას, როცა აღსავლენ და სამშვიდობო მსხვერპლს სწირავთ, დააყვირეთ საყვირები და იყოს თქვენთვის გასახსენებლად თქვენი ღმერთის წინაშე. მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი.

## სვლის წესი

<sup>11</sup> და მეორე წლის მეორე თვეს, თვის მეოცე დღეს, ასცილდა ღრუბელი მოწმობის სავანეს <sup>12</sup> და დაიდრნენ ისრაელიანები სამგზავროდ სინაის უდაბნოდან და დადგა ღრუბელი ფარანის უდაბნოში. <sup>13</sup> და დაიდრნენ პირველად უფლის ბრძანებაზე, მოსეს ხელით. <sup>14</sup> და დაიდრა იუდიანთა ბანაკის დროშა პირველად მათი ლაშქრებისდა მიხედვით. ლაშქარს სათავეში ედგა ნახშონ ყამინადაბის ძე. <sup>15</sup> და ისაქარიანთა შტოს სათავეში ედგა ნათანიელ ცუყარის ძე, და ზებულონიანთა შტოს ლაშქრის სათავეში იდავ ელიაბ ხელონის ძე. <sup>17</sup> და დაშალეს სავანე და დაიდრნენ გერშონიანები და მერარიანები, სავანის მზიდველნი. <sup>18</sup> და დაიდრა რეუბენის ბანაკის დროშა მათი ლაშქრებისდა მიხედვით. მის ლაშქარს სათავეში ედგა ელიცურ შედეურის ძე. <sup>19</sup> და სიმეონიანთა შტოს ლაშქარს სათავეში ედგა შელუმიელ ცურიშადის ძე. <sup>20</sup> და გადიანთა შტოს ლაშქრის სათავეში ედგა ელიასაფ დელუელის ძე. <sup>21</sup> და დაიდრნენ კეჭათელები, საწმიდარის მზიდველნი. და სავანე მათ მოსვლამდე იყო აღმართული. <sup>22</sup> და დაიდრა ეფრემიანთა ბანაკის დროშა მათი ლაშქრებისდა მიხედვით. ლაშქარს სათავეში ედგა ელიშამაც აბიჰუდის ძე. <sup>23</sup> და მენაშეანთა შტოს ლაშქარს სათავეში ედგა გამალიელ ფედაცურის ძე. <sup>24</sup> და ბენიამინთა შტოს ლაშქარს სათავეში ედგა აბიდან გედეონის ძე. <sup>25</sup> და დაიდრა დანიანთა ბანაკის დროშა ყველა ბანაკის ჩამკეტად მათი ლაშქრებისდა მიხედვით. და ლაშქარს სათავეში ედგა ახიებერ ყამიშადაის ძე. <sup>26</sup> და აშერიანთა შტოს ლაშქარს სათავეში ედგა ახირაყ ყანანის ძე. <sup>28</sup> ეს იყო ისრაელიანთა დაძვრანი რიგი მათი ლაშქრებისდა მიხედვით. და დაიდრნენ ისინი.



## ხოზაბი

<sup>29</sup>და უთხრა მოსემ ხოზაბს, რელუელის ძეს, მიდიანელს, მოსეს სიმამრს: მივემართებით იმ ადგილისაკენ, რომელზეც გვითხრა უფალმა, თქვენ გაძლევთო მას. წამოდი ჩვენთან და სიკეთეს გწევთ, რადგან სიკეთე ბრძანა უფალმა ისრაელზე. <sup>30</sup>და უთხრა მას: ვერ წამოვალ, რადგან ჩემს ქვეყანაში, ჩემს სამშობლოში მივდივარ. <sup>31</sup>და უთხრა: ნუ დაგვტოვებ, რადგან შენ იცი ჩვენი ცხოვრება უდაბნოში და თვალი იქნები ჩვენთვის. <sup>32</sup>თუ წამოგვყვები, თქვენც გაიზიარებთ იმ სიკეთეს, რასაც მოგვმადლებს ღმერთი.

## ბანაკის დაძვრა

<sup>33</sup>და იარეს უფლის მთიდან სამი დღის სავალზე და უფლის აღთქმის კიდობანი მათ წინ მიდიოდა სამი დღის სავალზე, რათა ეჩვენებინა მათთვის დასავანებელი ადგილი. <sup>34</sup>და უფლის ღრუბელი იყო მათზე დღისით, როცა ისინი ბანაკიდან დაიძრნენ. <sup>35</sup>და როცა დაიძრებოდა კიდობანი, იტყოდა მოსე: აღიმართე, უფალო, და გაიფანტებიან შენი მტრები, გაიქცვიან შენი პირისაგან შენი მოძულენი. <sup>36</sup>და დავანებისას იტყოდა: დაბრუნდი, უფალო, ისრაელის ბევრთასეულთან.

## დგომა უდაბნოში

### ხალხის დრტვინვა

**11** <sup>1</sup>და როცა დაიწყო ხალხმა ბოროტად დრტვინვა უფლის გასაგონად, მოესმა უფალს და იანთო რისხვით. და აღიგზნო მათში უფლის ცეცხლი და შთანთქა ბანაკის განაპირი. <sup>2</sup>და შეჭლადადა ხალხმა მოსეს და შეევედრა მოსე უფალს, და დაცხრა ცეცხლი. <sup>3</sup>და უწოდეს ამ ადგილს სახელად თაბყერა, რადგან იქ აღიგზნო უფლის ცეცხლი. <sup>4</sup>და ჭრელი ბრბო, მათ შორის რომ იყო, აჰყვა გულისთქმას, ატირდნენ ისრაელიანებიც და ამბობდნენ: ვინ გვაჭმევს ხორცს? <sup>5</sup>გვაგონდება თევზი, მუქ-

თად რომ ვჭამდით ეგვიპტეში, კიტრები, ნესვები, პრასა, ხახვი და ნიორი. <sup>6</sup>ახლა კი სული გვძვრება, არაფერია მანანის გარდა ჩვენს თვალწინ. <sup>7</sup>და მანანა ქინძის თესლივით იყო, ფისს ჰგავდა შესახედავად. <sup>8</sup>და გაიშლებოდა ხალხი და აგროვებდა, და ფქვავდა ხელსაფქვავით ან როდინში ნაყავდა. და ხარშავდნენ ქვაბში და აცობდნენ მისგან კვერებს. გემოთი ზეთიან ხავიწს ჰგავდა. <sup>9</sup>და როცა ცვარი დაეფინებოდა ბანაკს ღამლამობით, მანანაც ეფინებოდა მას.

### მოსეს ვედრება

<sup>10</sup>და მოესმა მოსეს, რომ ტირის ხალხი, ყველა თავ-თავის საგვარეულოში, თავ-თავის კარვის შესასვლელთან. და აინთო უფლის რისხვა დიდად. და შეწუხდა მოსე. <sup>11</sup>და უთხრა მოსემ უფალს: რად მოექცევი ავად შენს მონას? და რად ვერ ვპოვე მადლი შენს თვალში, მთელი ამ ხალხის ტვირთი რომ ამკიდე? <sup>12</sup>მე ხომ არ მიტარებია მუცლად ეს ხალხი? მე ხომ არ გამიჩენია, რომ მეუბნები, ძიძასავით შენი უბით წაიყვანეო იმ ქვეყანაში, მის მამა-პაპას რომ აღუთქვი ფიცით? <sup>13</sup>სადა მაქვს ხორცი მთელი ამ ხალხისთვის მისაცემად? რადგან შემომტირიან და ამბობენ: მოგვეცი ხორცი, რომ ვჭამოთ. <sup>14</sup>მე ერთი ვერ წაიყვან მთელ ამ ხალხს, რადგან მძიმეა ჩემთვის. <sup>15</sup>და რაკი ასე მექცევი, მომკალი ბარემ, თუ მადლი მიპოვნია შენს თვალში, რომ არ ვუყურებდე ჩემს გასაჭირს.

### უფლის პასუხი

<sup>16</sup>და უთხრა უფალმა მოსეს: შემიკრიბე სამოცდაათი კაცი ისრაელის უხუცესთაგან, რომელთაც ხალხის უხუცესებად და რჯულისკაცებად იცნობ. და ჩამოვალ და იქ დაგელაპარაკებ. და ავიღებ ნაწილს სულისაგან, შენზე რომ არის, და მათაც მოვაფენ, რომ შენთან ერთად ზიდონ ამ ხალხის ტვირთი და

მარტო შენ არ ატარო. <sup>18</sup> და ხალხს უთხარი: განიწმიდეთ ხვალისათვის და შეჭამთ ხორცს, რადგან უფლის გასაგონად ტიროდით: ვინ გვაჭმევს ხორცსო, რა კარგად ვიყავითო ეგვიპტეში. და მოგცემთ უფალი ხორცს და შეჭამთ. <sup>19</sup> არა ერთ დღეს იქნებით მისი მჭამელნი, არა ორ დღეს, არა ხუთ დღეს, არა ათ დღეს და არა ოც დღეს, <sup>20</sup> არამედ მთელ ერთ თვეს, ვიდრე ცხვირიდან არ გადმონახევთ და არ შეგზიზღდებით, რადგან შეიძულეთ უფალი, თქვენს შორის მყოფი, და მოთქვამდით მის წინაშე: რისთვის გამოვდიოდით ეგვიპტიდანო? <sup>21</sup> და თქვა მოსემ: ექვსასი ათასია ეს ხალხი, რომელთა შორისაც მე ვიმყოფები. შენ კი ამბობ, ხორცს მივცემ და ერთ თვეს ეყოფათო საჭმელად. <sup>22</sup> იქნებ მთელი ცხვარი ან ხვასტაგი დავკვლად, რომ ეყოთ? ან იქნებ ბღვის მთელი თევზი შეგროვეს მათთვის, რომ ეყოთ? <sup>23</sup> და უთხრა უფალმა მოსეს: იქნებ მოკლეა უფლის ხელი? ახლა დაინახავ, აგისდება თუ არა ჩემი ნათქვამი.

## სულის მოფენა უხუცესებზე

<sup>24</sup> და გავიდა მოსე და ელაპარაკა ხალხს, რასაც უფალი ელაპარაკა. და შეჰყარა სამოცდაათი კაცი ერის უხუცესთაგან და კარვის ირგვლივ დააყენა ისინი. <sup>25</sup> და ჩამოვიდა უფალი ღრუბელში და ელაპარაკა მას. და აიღო ნაწილი სულისაგან, მოსეზე რომ იყო, და გაუნაწილა სამოცდაათ უხუცესს. და როცა დაადგრა მათ სული, აწინასწარმეტყველდნენ ყველანი, ოღონდ მცირე ხნით. <sup>26</sup> და იყო დარჩენილი ორი კაცი ბანაკში, ერთს ერქვა ელდადი, მეორეს — მედადი. მათაც დაადგრა სული (ისინი ჩაწერილთა შორის იყვნენ, მაგრამ არ გასულან კარავთან) და ისინიც წინასწარმეტყველებენ ბანაკში. <sup>27</sup> და მოირბინა ერთმა ყმაწვილმა და შეატყობინა მოსეს: ელდადი და მედადი აწინასწარმეტყველდნენ ბანაკში. <sup>28</sup> და მიუგო იესო ნავეს ძემ, მოსეს მსახურმა, მის ჭაბუკთაგან, და უთხრა: მოსე, ჩემო ბატონო, შეაწყვეტინე. <sup>29</sup> და უთხრა მას მოსემ: ხომ არ

ეჭვიანობ ჩემთვის? ნეტავ მთელი უფლის ერი აწინასწარმეტყველდებოდეს! ნეტავ მათზეც მოაფენდეს უფალი თავის სულს!<sup>30</sup> და წავიდა მოსე ბანაკში და გაჰყვნენ მას ისრაელის უხუცესები.

### მწყერების მოღენა

<sup>31</sup>და ატყდა ქარი უფლისაგან და მორეკა ზღვიდან მწყერები და ერთი დღის სავალზე დაჰყარა ბანაკის ირგვლივ. და თითქმის ორ წყრთაზე დაფარეს მიწა. <sup>32</sup>და ადგა ხალხი და აგროვებდა მწყერს მთელი ის დღე, მთელი ღამე, მთელი მეორე დღე. ყველაზე ცოტას შემგროვებელმა ათი ხომერი წაიღო. და დაიწყვეს თავისთვის ბანაკის გარშემო. <sup>33</sup>და ჯერაც კბილებში ჰქონდათ ხორცი, შეჭმა ვერ მოასწრეს, რომ აღინთო უფლის რისხვა ხალხზე და მუსრი გაავლო უფალმა ხალხს. <sup>34</sup>და დაერქვა სახელად ამ ადგილს კიბროთ-ჰათავა\*, რადგან აქ დამარხეს დახარბებული ხალხი. <sup>35</sup>კიბროთ-ჰათავადან ხაცეროთისაკენ დაიძრა ხალხი და მიადგნენ ხაცეროთს.

### აარონისა და მირიამის საყვედური

**12** <sup>1</sup>და კიცხავდნენ მოსეს მირიამი და აარონი ქუშელი ცოლის გამო, რომელიც ნათხოვი ჰყავდა, რადგან ქუშელი ქალი ითხოვა ცოლად, <sup>2</sup>და ამბობდნენ: ნუთუ მხოლოდ მოსეს ელაპარაკებოდა უფალი? განა ჩვენც არ გველაპარაკებოდა? და გაიგონა უფალმა. <sup>3</sup>და კაცი მოსე ყველაზე თვინიერი იყო ადამიანთაგან, ვინც იყვნენ დედამიწის ზურგზე.

### უფლის პასუხი

<sup>4</sup>და უთხრა მეცხეულად უფალმა მოსეს, აარონს და მირიამს: გამოდით სამივენი თავშეყრის კარავთან. და გამოვიდნენ სამივენი. <sup>5</sup>და ჩამოვიდა უფალი ღრუბლის სვეტში და გაჩერდა

\* „სიხარბის სამარხები“.

კარვის შესასვლელთან. და უხმო აარონს და მირიამს, და წინ წადგნენ ორივენი. <sup>6</sup>და თქვა: ისმინეთ ჩემი სიტყვები. თუ ვინმე არის თქვენს შორის უფლის წინასწარმეტყველი, ხილვაში ვეცხადები, სიზმარში ველაპარაკები მას. <sup>7</sup>ასეთი არ არის ჩემი მსახური მოსე. მთელს ჩემს სახლში ის არის სარწმუნო. <sup>8</sup>პირისპირ ველაპარაკები მას, ცხადლივ და არა იგავურად. და უფლის ხატებას ჭვრეტს იგი. რატომ არ გეშინიათ, ჩემს მსახურ მოსეს რომ ჰკიცხავთ? <sup>9</sup>და აღინთო უფლის რისხვა მათ მიმართ, და წავიდა. <sup>10</sup>და და აცილდა ღრუბელი კარავს, და, აჰა, მირიამი თოვლივით დაფარა კეთრმა. და მიბრუნდა აარონი მირიამისაკენ და, აჰა, კეთრი აქვს მოდებული.

### აარონი ევედრება მოსეს მირიამისთვის

<sup>11</sup>და უთხრა აარონმა მოსეს: გევედრები, ჩემო ბატონო, ცოდვად ნუ ჩაგვითვლი ჩვენს სიბრყივეს და შეცოდებას. <sup>12</sup>ნუ გახდი მას მკვდარშობილად, ნახევრად შეჭმული სხეულით რომ გამოდის დედის საშოდან. <sup>13</sup>და შეჰღალადა მოსემ უფალს: ღმერთო, განკურნე, გევედრები. <sup>14</sup>და უთხრა უფალმა მოსეს: მამას რომ მიეფურთხებინა მისთვის სახეში, შვიდ დღეს არ იქნებოდა შერცხვენილი? შვიდი დღე ჩაიკეტოს ბანაკის გარეთ და მერე დაბრუნდეს. <sup>15</sup>და შვიდ დღეს იყო ჩაკეტილი მირიამი ბანაკის გარეთ და არ დაძრულა ბანაკი, ვიდრე მირიამი არ დაბრუნდა. <sup>16</sup>და მერე დაიძრნენ ხაცეროთიდან და ფარანის უდაბნოში დაბანაკდნენ.

### ქანაანის დაზვერვა

**13** <sup>1</sup>და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>2</sup>გაგზავნე კაცები, რომ დაზვერონ ქანაანის ქვეყანა, რომელიც მივეცი ისრაელიანებს. მამათა თითოეული შტოდან თითო კაცი გაგზავნეთ, ყველა თავკაცი იყოს მათში. <sup>3</sup>და გაგზავნა მოსემ ისინი ფარანის უდაბნოდან უფლის სიტყვისამებრ. ყველანი

ისრაელიანთა მთავრები იყვნენ. <sup>4</sup> აი, მათი სახელები: რეუბენის შტოდან — შამუაყ ბაქურის ძე; <sup>5</sup> სიმეონის შტოდან — შაფატ ხორის ძე; <sup>6</sup> იუდას შტოდან — ქალებ იეფუნეს ძე; <sup>7</sup> ისაქარის შტოდან — იგალ იოსების ძე; <sup>8</sup> ეფრემის შტოდან — ოსია ნუნის ძე; <sup>9</sup> ბენიანიმის შტოდან — ფალტი რაფუს ძე; <sup>10</sup> ზებულონის შტოდან — გადიელ სოდის ძე; <sup>11</sup> იოსების შტოდან, მენაშეს შტოდან — გადი სუსის ძე; <sup>12</sup> დანის შტოდან ყამიელ გემალის ძე; <sup>13</sup> აშერის შტოდან — სეთურ მიქაელის ძე; <sup>14</sup> ნაფთალის შტოდან — ნახში ვოფსის ძე; <sup>15</sup> გადის შტოდან გეუელ მაქის ძე. <sup>16</sup> ესენია იმ კაცთა სახელები, რომლებიც გაგზავნა მოსემ ქვეყნის დასაზვერავად. და დაარქვა მოსემ ჰოშეაყ ნავეს ძეს იესო\*. <sup>17</sup> და გაგზავნა ისინი მოსემ ქანაანის ქვეყნის დასაზვერავად და უთხრა მათ: გაემართებით ნეგებისაკენ და ახვალთ მთაზე. <sup>18</sup> და მიმოიხილავთ ქვეყანას, როგორია და რა ხალხი ცხოვრობს იქ, ძლიერი თუ სუსტი, ცოტანი თუ ბევრნი. <sup>19</sup> როგორი ქვეყანაა, სადაც ისინი ცხოვრობენ, კარგი თუ ცუდი. როგორი ქალაქებია, სადაც ისინი სახლობენ, ბანაკებია თუ ციხე-სიმაგრეები. <sup>20</sup> როგორი მიწაა, ნოყიერი თუ მწირი, იბრდება თუ არა იქ ხე. იმარჯვით და წამოიღეთ მიწის ნაყოფები. და ის დრო იყო, ყურძენი რომ მწიფდა. <sup>21</sup> და წავიდნენ და დაზვერეს ქვეყანა ცინის უდაბნოდან რეხოამდე, ხამათის მისასვლელთან. <sup>22</sup> და გაემართნენ ნეგებისაკენ და მიაღწენ ხებრონს. იქ მკვიდრობდნენ ახიმანი, შეში და თალმაი — ყანაკის ნაშიერნი. და ხებრონი ეგვიპტის ცოანზე შვიდი წლით ადრე იყო აშენებული. <sup>23</sup> და მივიდნენ ეშქოლის ხევამდე, და მოჭრეს იქ ვაზი თავისი მტევნითურთ და კეტით წამოიღო ორმა. აგრეთვე ბროწეულები და ლეღვის ნაყოფები. <sup>24</sup> ამ ადგილს უწოდეს ეშქოლის ხევი\*\* იმ მტევნის გამო, რომელიც იქ მოჭრეს ისრაელიანებმა.

\* ებრ. *იეჰოშუაყ*.

\*\* „მტევნის ხევი“.

## მზვერავთა პასუხი

<sup>25</sup> და უკან დაბრუნდნენ ორმოცი დღის შემდეგ, ქვეყანა რომ დაზვერეს. <sup>26</sup> და წამოვიდნენ და მივიდნენ მოსესთან, აარონთან და ისრაელიანთა მთელს საზოგადოებასთან, ფარანის უდაბნოში, კადეშში, და მიუტანეს ამბავი მთელს საზოგადოებას, და აჩვენეს იმ ქვეყნის ნაყოფები. <sup>27</sup> და უამბეს და უთხრეს: მივედით იმ ქვეყანაში, სადაც გაგვაგზავნე, მართლაც რძე და თაფლი დის იქ. აჭა, მისი ნაყოფებიც. <sup>28</sup> ოღონდ ძლიერი ხალხი ცხოვრობს იმ ქვეყანაში, ქალაქებიც გამაგრებულია და ძალზე დიდი, ყანაკის ნაშიერნიც ვნახეთ იქ. <sup>29</sup> ყამალეკის ქვეყნის სამხრეთში ცხოვრობს. ხეთელები, იებუსელები და ამორეველები მთებში ცხოვრობენ, ქანაანელები კი — ზღვისპირეთში და იორდანეზე. <sup>30</sup> და დაამშვიდა ქალებმა ხალხი მოსეს წინაშე და თქვა: გავილაშქრებთ და დავისაკუთრებთ, რადგან შეგვიძლია მათი ძლევა. <sup>31</sup> სხვებმა კი, ვინც მასთან ერთად იყვნენ წასულნი, თქვეს: ვერ შევძლებთ იმ ხალხის წინააღმდეგ გალაშქრებას, რადგან ჩვენზე ძლიერია. <sup>32</sup> და ცუდი ხმები გაავრცელეს ისრაელიანებში ქვეყანაზე, რომელიც დაზვერეს, და თქვეს: ქვეყანა, რომელიც მოვიარეთ დასაზვერად, თავის მკვიდრთა მჭამელი ქვეყანაა. და მთელი ხალხი, რომელიც იქ ვნახეთ, ბუმბერაზია. <sup>33</sup> და იქ ვნახეთ დევკაცები, ყანაკის ძენი, დევკაცთა შთამომავალნი. კალიებივით ვიყავით ჩვენს თვალში და ასეც გამოვჩნდებით მათ თვალში.

## ჯანყი ისრაელში

**14** <sup>1</sup> და აყვირდა მთელი საზოგადოება და ხმას აუწია, და ტიროდა ხალხი იმ ღამეს. <sup>2</sup> და ადრტვინდა მოსეს და აარონის წინააღმდეგ მთელი ისრაელობა და უთხრა მთელმა საზოგადოებამ: ნეტავ ეგვიპტის ქვეყანაში დავხოცილიყავით ან უდაბნოში გავმწყდარიყავით! <sup>3</sup> რისთვის გამოგვიყვანა უფალმა ამ ქვეყანაში, სადაც მახვილი მოგვიღებს ბოლოს და

ჩვენი დედა-წული ტყვედ ჩავარდება? განა უმჯობესი არ იქნება, თუ ეგვიპტეში დავბრუნდებით? <sup>4</sup> და უთხრეს ერთმანეთს: დავიყენოთ მეთაურები და გავბრუნდეთ ეგვიპტეში. <sup>5</sup> და დაემხნენ მოსე და აარონი მთელი კრებულის, ისრაელიანთა საზოგადოების წინაშე. <sup>6</sup> და იესო ნავეს ძემ და ქალებ იეფუნეს ძემ, რომლებიც სხვებთან ერთად იყვნენ წასულნი ქვეყნის დასაზვერად, შემოიხიეს ტანისამოსი. <sup>7</sup> და უთხრეს ისრაელიანთა მთელს საზოგადოებას: ქვეყანა, რომელიც ჩვენ მოვიარეთ დასაზვერად, ძალზე, ძალზე კარგი ქვეყანაა. <sup>8</sup> თუ ვუნდივართ უფალს, შეგვიყვანს მაგ ქვეყანაში და მოგვცემს მაგ ქვეყანას, სადაც რძე და თაფლი დის. <sup>9</sup> ოღონდ ნუ აუჯანყდებით უფალს და მაგ ქვეყნის ხალხის ნუ შეგეშინდებათ, რადგან ჩვენი კერძია იგი. უმწეოდ არიან დარჩენილი, უფალი კი ჩვენთან არის. ნუ გეშინიათ!

### უფლის რისხვა

<sup>10</sup> და თქვა მთელმა საზოგადოებამ: ჩავქოლოთ! და უფლის დიდება გამოჩნდა თავშეყრის კარავში მთელი ისრაელის წინაშე. <sup>11</sup> და უთხრა უფალმა მოსეს: როდემდის უნდა მგმობდეს ეს ხალხი, როდემდის არ უნდა სჯეროდეს ჩემი და იმ სასწაულებისა, რომლებიც მათ შორის მოვახდინე? <sup>12</sup> და შევყრი მათ ჭირს და გადავაშენებ, და შენგან შევექმნი დიდ ხალხს, დიდს და მასზე ძლიერს. <sup>13</sup> და უთხრა მოსემ უფალს: შეიტყობს ეგვიპტე, საიდანაც შენი ძლიერებით ამოიყვანე ეს ხალხი, <sup>14</sup> და ეტყვიან მაგ ქვეყნის მკვიდრთ, რომელთაც შეიტყეს, რომ შენ, უფალი, ამ ხალხს შორისა ხარ, რომ თვალდათვალ ეცხადები მათ შენ, უფალი. შენი ღრუბელი ადგას მათ, დღისით ღრუბლის სვეტში მიუძღვები და ღამით — ცეცხლის სვეტში. <sup>15</sup> თუ ერთიანად ამოხოცავ ამ ხალხს, იტყვიან ხალხები, რომელთაც სმენიათ შენი დიდებისა: <sup>16</sup> ვერ შეძლო უფალმა ამ ხალხის შეყვანა აღთქმულ ქვეყნად და უდაბნოში დახოცაო. <sup>17</sup> აწ, იდიდოს უფლის ძალამ,



როგორც ილაპარაკე, რომ გეთქვა.<sup>18</sup> სულგრძელია უფალი და დიდმაღლიანი, დანაშაულისა და ცოდვის მიმტევებელი. შურისმგებელი. მამათა ცოდვის მომკითხავი შვილებისაგან მესამე და მეოთხე თაობაში.<sup>19</sup> აპატიე დანაშაული ამ ხალხს შენი დიდი მადლისამებრ, როგორც პატიობდი ცოდვას ამ ხალხს ეგვიპტიდან მოყოლებული აქამდე.

### პატიება და სასჯელი

<sup>20</sup> და თქვა უფალმა: მიპატიებია შენი სიტყვისამებრ.<sup>21</sup> მაგრამ ცოცხალი ვარ მე და სავსეა უფლის დიდებით მთელი ქვეყანა.<sup>22</sup> ვერც ერთი იმათგანი, ვინც იხილა ჩემი დიდება და სასწაულები, ეგვიპტეში და უდაბნოში რომ მოვიმოქმედე, და ათგზის გამომცადა მე და არ ირწმუნა ჩემი სიტყვა,<sup>23</sup> ვერ იხილავს იმ ქვეყანას, რომლის მიცემასაც შევპირდი მათ მამა-პაპას, ვერც ერთი ჩემი მგმობელი ვერ იხილავს მას.<sup>24</sup> მხოლოდ ქალებს, ჩემს მსახურს, იმის გამო, რომ სხვა სულით აღვსილმა ბოლომდე მიერთგულა მე, შევიყვან იმ ქვეყანაში, სადაც წასული იყო დასაზვერად, და მისი შთამომავლობა დაიმკვიდრებს მას.<sup>25</sup> და ყამალეკები და ქანაანელები ცხოვრობენ ველზე. ხვალ გაბრუნდით და დაიძარით უდაბნოსაკენ მეწამული ზღვის გზით.<sup>26</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს და აარონს სათქმელად: <sup>27</sup> როდემდის უნდა მებუზღუნებოდეს ეს ბოროტი საზოგადოება? მესმის ისრაელიანთა ბუზღუნი, რომ მებუზღუნებიან,<sup>28</sup> უთხარი მათ: ცოცხალი ვარ მე, ამბობს უფალი! როგორც ამბობდით ჩემს საგონად, ისე მოგექცევით.<sup>29</sup> ამ უდაბნოში ეყრება თქვენი გვამები, ყველასი, ვინც აღრიცხული ხართ ოცი წლიდან მოყოლებული, ვინც მებუზღუნებოდით.<sup>30</sup> აბა თუ შეხვალთ ქვეყანაში, სადაც თქვენი დასადგურება დავიფიცე, ქალებ იეფუნეს ძისა და იესო ნავეს ძის გარდა.<sup>31</sup> და თქვენს ბავშვებს, რომლებმაც ამბობდით, ტყვედ ჩაცვივდებიანო, შევიყვან იქ, რათა შეიცნონ თქვენგან შეძულებული ქვეყანა.<sup>32</sup> თქვენი გვამები კი ამ

უდაბნოში ეყრება. <sup>33</sup> თქვენი შვილები იხეტიალებენ უდაბნოში ორმოც წელს, დასჯილნი თქვენი გარყვნილების გამო, ვიდრე არ გაქრება თქვენი გვამები უდაბნოში. <sup>34</sup> იმ ორმოცი დღის კვალობაზე, რამდენ ხანსაც ზვერავდით ქვეყანას (თითო დღე თითო წელიწადზე), ორმოცი წელი იქნებით დასჯილი თქვენი დანაშაულის გამო, რათა გამოსცადოთ ჩემი რისხვა. <sup>35</sup> მე, უფალი, გეუბნებით: ნახავთ, თუ ამგვარად არ მოვექეცი მთელს ამ ბოროტ საზოგადოებას, რომელიც შეთქმულია ჩემს წინააღმდეგ. ამ უდაბნოში გათავდებიან და იქ დაიხოცებიან. <sup>36</sup> და დაიხოცნენ კაცები, რომელნიც გაგზავნა მოსემ ქვეყნის დასაზვერად და რომელთაც დაბრუნებისას ცუდი ხმები დაყარეს იმ ქვეყანაზე, და მთელი საზოგადოება აუჯანყეს მოსეს. <sup>37</sup> და დაიხოცნენ უფლის წინაშე ცუდი ხმის დამყრელი ეს კაცები. <sup>38</sup> და იესო ნავეს ძე და ქალებ იეფუნეს ძე იყვნენ იმათ შორის, ვინც ქვეყნის დასაზვერად იყვნენ წასულნი.

### ურჩობის საზღაური

<sup>39</sup> და ილაპარაკა მოსემ ეს სიტყვები ყველა ისრაელიანის მიმართ და ძლიერ დაღონდა ხალხი. <sup>40</sup> და ადგნენ დილაადრიანად და მთის წვერისაკენ გაემართნენ, თქვეს: აბა, ავიდეთ იმ ადგილზე, უფალმა რომ გვითხრა, რადგან შევცოდეთ. <sup>41</sup> და თქვა მოსემ: რისთვის გადადიხართ უფლის ბრძანებას? არაფერი გამოვა სასიკეთო. <sup>42</sup> ნუ ახვალთ, რადგან არ არის უფალი თქვენს შორის და დაგამარცხებთ მტერი. <sup>43</sup> რადგან იქ დაგზავდებიან ყამალეკები და ქანაანელები და მახვილით დაეცემით. რაკი ზურგი შეაქციეთ უფალს, აღარ იქნება თქვენთან უფალი. <sup>44</sup> და გაბედეს მთის წვერზე ასვლა. და უფლის აღთქმის კიდობანი და მოსე არ გასულან ბანაკიდან. <sup>45</sup> და დაეშვნენ იმ მთის მცხოვრებნი ყამალეკები და ქანაანელები, და შეუტიეს მათ და ხორმამდე მუსრავდნენ.

**ძღვენი — მცენარეული შესაწირავი**

**15** <sup>1</sup>და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>2</sup>ელაპარაკე ისრაელიანებს და უთხარი მათ: როცა შეხვალთ თქვენს საცხოვრებელ ქვეყანაში, რომელსაც მე გაძლევთ, <sup>3</sup>და დაამზადებთ საცეცხლო მსხვერპლს უფლისათვის — აღსავლენს ან აღთქმულ საკლავს, ან ნებაყოფლობითს თქვენი დღეობების დროს უფლისათვის სურნელების საკმევლად, ხვასტავს შესწირავთ თუ ცხვარს, <sup>4</sup>შესწიროს შემწირველმა თავისი შესაწირავი უფალს — ძღვენისათვის მეოთხედ ჰინზეთში აბელილი ეფის მეათედი გამტკიცული ფქვილი. <sup>5</sup>და ღვინო უნდა გაამზადო საღვრელად აღსავლენისათვის ან საკლავისათვის: მეოთხედი ჰინი თითო კრავზე. <sup>6</sup>ან ვერძზე გაამზადე ძღვენი: მესამედ ჰინზეთში აბელილი ეფის ორი მეათედი გამტკიცული ფქვილი. <sup>7</sup>და ღვინო უნდა მიიტანო საღვრელად, მესამედი ჰინი უფლისათვის სურნელებად. <sup>8</sup>და როცა მოზვერს გაამზადებ აღსავლენად ან აღთქმულ საკლავად ან სამშვიდობო მსხვერპლად უფლისათვის, <sup>9</sup>მოზვერს უნდა მიაყოლო ძღვენი: ნახევარ ჰინზეთში აბელილი მესამედი ეფა გამტკიცული ფქვილი, <sup>10</sup>ნახევარი ჰინი საღვრელი ღვინო უნდა მიიტანო საცეცხლო მსხვერპლად, სურნელოვან საკმევლად უფლისათვის. <sup>11</sup>ასე უნდა გაკეთდეს თითოეულ ხარზე ან ვერძზე, კრავზე თუ თიკანზე. <sup>12</sup>რაოდენობის მიხედვით, რამდენსაც ამზადებთ, თითოზე იმდენი მიიტანეთ მათი რაოდენობის მიხედვით. <sup>13</sup>თითოეულმა მკვიდრმა ასე გააკეთოს ეს, როცა სწირავს საცეცხლო მსხვერპლს უფლისათვის სურნელოვან საკმევლად. <sup>14</sup>და თუ თქვენი მდგმური ან სხვა ვინმე, რომელიც თაობიდან თაობამდე ცხოვრობს თქვენს შორის, გაამზადებს საცეცხლო მსხვერპლს უფლისათვის სურნელოვან საკმევლად, თქვენსავით მოიქცეს ისიც. <sup>15</sup>კრებულს და მდგმურს, რომელიც შენთან მდგმურობს, ერთი საუკუნო წესი ჰქონდეს თაობიდან თაობაში. თქვენი თანასწორია მდგმური უფლის წინაშე. <sup>16</sup>ერთი

რჯული და ერთი წესი უნდა გქონდეთ თქვენ და მდგმურს, რომელიც თქვენთან მდგმურობს.

### **პირველგამომცხვარი პური**

<sup>17</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>18</sup> ელაპარაკე ისრაელიანებს და უთხარი მათ: როცა შეხვალთ იმ ქვეყანაში, რომელშიც შევიყვანთ მე, <sup>19</sup> და როცა შეჭამთ იმ ქვეყნის პურს, ღალა უნდა აძლიოთ უფალს. <sup>20</sup> პირველგამომცხვარი კოკორიც მიეცით ღალად, კალოდან აღებულ ღალასავით მიეცით იგი. <sup>21</sup> პირველგამომცხვარი მიეცით უფალს ღალად თაობიდან თაობებში.

### **უნებური შეცოდება**

<sup>22</sup> და თუ შეცდებით და ვერ შეასრულებთ ამ მცნებებს, უფალმა რომ ამცნო მოსეს, <sup>23</sup> ყველაფერს, რაც გამცნოთ უფალმა მოსეს პირით იმ დღიდან, რაც გამცნოთ უფალმა, და შემდგომ თქვენს თაობებში, <sup>24</sup> თუ საზოგადოების უყურადღებობით მოხდება შეცდომა, მთელმა საზოგადოებამ უნდა გაამზადოს ერთი მოზვერი აღსავლენად, სურნელოვან საკმევლად უფლისათვის და მისი თანმხლები ძღვენი და საღვრელი წესის თანახმად, და ერთი თხაც ცოდვის გამოსასყიდ მსხვერპლად. <sup>25</sup> და შეუნდობს მღვდელი ისრაელიანთა მთელს საზოგადოებას და ეპატიებათ მათ, რადგან შეცდომაა ეს და მათ შესწირონ უფალს თავიანთი შეცდომისათვის საცეცხლო მსხვერპლი და ცოდვის გამოსასყიდი. <sup>26</sup> და ეპატიებათ ისრაელიანთ მთელს საზოგადოებას და მდგმურს, რომელიც თქვენთან მდგმურობს, რადგან შეცდომა მოუვიდა მთელს ერს. <sup>27</sup> და თუ ერთი კაცი შესცოდავს შეცდომით, მიიტანოს წელგამოვლილი თხა ცოდვის გამოსასყიდად. <sup>28</sup> და შეუნდობს მღვდელი უფლის წინაშე შეცდომით შემცოდეს, შეუნდობს და ეპატიება მას. <sup>29</sup> როგორც მკვიდრს

ისრაელში, ასევე მდგმურს, რომელიც თქვენთან მდგმურობს, ერთი წესი გქონდეთ, როცა შეცდომა მოგივიათ. <sup>30</sup> და თუ ვინმე თავხედურად მოიქცევა, მკვიდრი იქნება თუ მდგმური, უფლის მგმობელია იგი და უნდა მოიკვეთოს თავისი ხალხიდან. <sup>31</sup> რადგან არად ჩააგდო უფლის სიტყვა და მისი მცნება დაარღვია, უნდა მოიკვეთოს იგი, დამნაშავეა.

### შაბათის დარღვევა

<sup>32</sup> და იყვნენ ისრაელიანები უდაბნოში და ნახეს კაცი, რომელიც შეშას აგროვებდა შაბათ დღეს. <sup>33</sup> და მიიყვანეს მპოვნელებმა შეშის შემგროვებელი კაცი მოსესთან და აარონთან, მთელს საზოგადოებასთან. <sup>34</sup> და დაუყენეს ყარაული, რადგან არ იყო გადაწყვეტილი როგორ უნდა მოქცეოდნენ მას. <sup>35</sup> და უთხრა უფალმა მოსეს: უნდა მოკვდეს ეს კაცი, უნდა ჩაქოლოს იგი მთელმა საზოგადოებამ ბანაკის გარეთ. <sup>36</sup> და გაიყვანა იგი მთელმა საზოგადოებამ ბანაკის გარეთ და ჩაქოლეს იგი. და მოკვდა, როგორც ამცნო უფალმა მოსეს.

### ფოჩები სამოსლის კიდებზე

<sup>37</sup> და უთხრა უფალმა მოსეს სათქმელად: <sup>38</sup> ელაპარაკე ისრაელიანებს და უთხარი მათ: გაიკეთონ ფოჩები სამოსლის კიდებზე და ასე ჰქონდეთ თაობიდან თაობაში. ლურჯი ძაფი აურიონ კიდურა ფოჩს. <sup>39</sup> და გქონდეთ ფოჩში, რომ მისი დანახვისას გაიხსენოთ უფლის ყველა მცნება, შეასრულოთ და არ აპყვეთ გულსა და თვალს, რომლებიც გზა-კვალს გირევენ თქვენ. <sup>40</sup> რათა გახსოვდეთ და ასრულებდეთ ჩემს მცნებებს და წმიდა იყოს უფლისათვის. <sup>41</sup> მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, რომელმაც გამოგიყვანეთ ეგვიპტის ქვეყნიდან, რომ თქვენი ღმერთი ვიყო. მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი.

კორახის ჯანცი

**16** <sup>1</sup>და აიღეს კორახმა, ძემ იცჰარისა, ძისა კეჰათისა, ლევ-  
ვიანმა, და დათანმა და აბირამმა, ძეთა ელიაბისა, რე-  
უბენიანებმა, და ონმა ფელეთის ძემ, <sup>2</sup>და წარუდგნენ მოსეს.  
და იყვნენ კაცები ისრაელიანთაგან, ასორმოცდაათნი, საზო-  
გადოების თავკაცნი, საკრებულოში წოდებულნი, სახელიანი  
კაცები. <sup>3</sup>და შეითქვენენ მოსეს და აარონის წინააღმდეგ და  
უთხრეს მათ: ზედმეტს იჩემებთ, რადგან მთელი საზოგადო-  
ება მთლიანად წმიდაა და უფალი არის მათ შორის. რატომ  
აღზევდით უფლის კრებულზე? <sup>4</sup>და გაიგონა მოსემ და პირქვე  
დაემხო, <sup>5</sup>და ელაპარაკა კორახს და მთელს მის დასს სათქმე-  
ლად: ხვალ გამოაცხადებს უფალი, ვინ არის მისი და ვინ არის  
წმიდა, რათა დაიახლოვოს იგი. და ვისაც აირჩევს, იმას და-  
იახლოვებს. <sup>6</sup>ასე გააკეთეთ: აიღეთ საცეცხლურები კორახმა  
და მთელმა მისმა დასმა, <sup>7</sup>და ჩადევით მასში ცეცხლი და ზედ  
დააყარეთ საკმეველი ხვალ უფლის წინაშე. და ვისაც უფალი  
გამოარჩევს, ის იქნება წმიდა. ზედმეტს იჩემებთ, ლევიანებო!  
<sup>8</sup>და უთხრა მოსემ კორახს: მისმინეთ, ლევიანებო! <sup>9</sup>ნუთუ გე-  
ცოტავებათ, ისრაელის ღმერთმა რომ გამოგყოთ ისრაელის  
საზოგადოებიდან და დაგიახლოვათ, რათა შეგესრულებინათ  
საუფლო კარვის სამსახური და მდგარიყავით საზოგადოების  
წინაშე და მის სამსახურად? <sup>10</sup>და დაგიახლოვათ შენ და მთელი  
შენი საძმო, ლევიანები, შენთან ერთად, და ახლა მღვდლობა-  
საც ინდომებთ? <sup>11</sup>ამისთვის შეითქვით შენ და მთელი შენი დასი  
უფლის წინააღმდეგ? ვინ არის აარონი, რომ უჩივიო? <sup>12</sup>და და-  
იბარა მოსემ დათანნი და აბირამი, ელიაბის ძენი. მათ კი თქვეს:  
არ მოვალთ. <sup>13</sup>ნუთუ არა კმარა, რძითა და თაფლით მდინარი  
ქვეყნიდან რომ გამოგვიყვანე უდაბნოში დასახოცად? ახლა  
გინდა გაგვიბატონდე? ჰო, გაგვიბატონდე კიდევ? <sup>14</sup>არც რძითა  
და თაფლით მდინარ ქვეყანაში მიგიყვანივართ, არც ყანები და  
ვენახები მოგიცია ჩვენთვის. თვალები გინდა დაუბრმავო ამ

ხალხს? არ წამოვალთ. <sup>15</sup> და განრისხდა დიდად მოსე და უთხრა უფალს: ნუ მიხედავ მათ ძღვენს. ერთი ვირიც არ წამირთმევია მათთვის, ერთი მათგანისთვისაც არ მიწყენინებია.

## სასჯელი

<sup>16</sup> და უთხრა მოსემ კორახს: შენ და მთელი შენი დასი უფლის წინაშე წარდგებით ხვალ — შენ, ისინი და აარონი. <sup>17</sup> და აიღეთ თითოეულმა თქვენ-თქვენი საცეცხლურები, საკმეველი ჩაღეთ მასში, და მიიტანეთ უფლის წინაშე თქვენ-თქვენი საცეცხლურები, ორასორმოცდაათი საცეცხლური, შენ და აარონმა თქვენ-თქვენი საცეცხლურები. <sup>18</sup> და აიღო თითოეულმა თავისი საცეცხლური და დაანთეს მასში ცეცხლი, და ზედ საკმეველი დააყარეს და წარდგნენ თავშეყრის კარვის შესასვლელთან, და მოსეც და აარონიც მათთან ერთად. <sup>19</sup> და შეკრიბა კორახმა მათ წინააღმდეგ მთელი საზოგადოება თავშეყრის კარვის წინ და გამოეცხადა უფლის დიდება მთელს საზოგადოებას. <sup>20</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს და აარონს სათქმელად: <sup>21</sup> გამოეყავით ამ საზოგადოებას და ერთ წამში მოვსპობ მათ. <sup>22</sup> და პირქვე დაეცნენ და თქვეს: ღმერთო, ყოველი ხორციელის სულთა უფალო! ერთმა კაცმა სცოდა და მთელს საზოგადოებაზე მრისხანებ? <sup>23</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>24</sup> ელაპარაკე საზოგადოებას, რომ უთხრა: განერიდონ ყოველის მხრიდან დათანისა და კორახის სადგომს. <sup>25</sup> და ადგა მოსე და წავიდა დათანთან და აბირამთან და უკან გაჰყვა ისრაელის უხუცესობა. <sup>26</sup> და ელაპარაკა საზოგადოებას სათქმელად: განერიდეთ ამ ბოროტი ხალხის კარვებს და მათსას ნურაფერს მიეკარებით, მათი ცოდვების თანაზიარი რომ არ გახდეთ. <sup>27</sup> და განერიდნენ ყოველი მხრიდან კორახის, დათანისა და აბირამის სადგომებს. და დათანი და აბირამი გამოსული იყვნენ და თავ-თავისი კარვების შესასვლელთან იდგნენ — ცოლებით, შვილებითა და ჩვილი ბავშვებითურთ. <sup>28</sup> და თქვა მოსემ: ამით

გაიგებთ, რომ უფალმა გამოგზავნა მთელი ამ საქმის აღსასრულებლად, რომ ჩემი ნება არ ყოფილა. <sup>29</sup>თუ კაცთა მოდგმის სიკვდილით დაიხოცებიან ესენი და კაცთა მოდგმის ბედი ეწევათ მათ, არ ვყოფილვარ უფლის გამოგზავნილი. <sup>30</sup>და თუ არნახულ რასმე ჩაიდენს უფალი, მიწა დააღებს პირს და შთანთქავს მათ და მთელს მათ საბადებელს, და ცოცხლივ ჩავლენ ქვესკნელში, იცოდეთ, უფალი დაუგმია ამ ხალხს. <sup>31</sup>და როცა დაასრულა ამ სიტყვების ლაპარაკი, გაიპო მიწა მათ ქვეშ. <sup>32</sup>და დაალო მიწამ პირი და შთანთქა ისინი, მათი სახლები, კორახის მთელი ხალხი და მთელი საბადებელი. <sup>33</sup>და ცოცხლივ ჩავიდნენ ყველანი ქვესკნელში და გადაეფარა მათ მიწა, და გადაშენდნენ კრებულიდან. <sup>34</sup>და მთელი ისრაელი, რომელიც იდგა მათ გარშემო, გაიქცა მათ ყვირილზე, თქვეს, ჩვენც არ გვშთანთქასო მიწამ. <sup>35</sup>და გამოვიდა ცეცხლი უფლისაგან და შეტამა ორასორმოცდაათი კაცი, საკმევლის შემწირველი.

### საცეცხლურები

**17** <sup>1</sup>და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>2</sup>უთხარი ელიაზარ აარონის ძეს, მღვდელს: აკრიფოს საცეცხლურები ნახანძრალში და ცეცხლი კი მოაშორე აქედან, რადგან წმიდაა ისინი. <sup>3</sup>იმათი საცეცხლურები, რომელნიც თავიანთ ცოდვას შეეწირნენ, ფურცლებად გაგლინეთ სამსხვერპლოს მოსაჭედად, რადგან უფლის წინაშე ჰქონდათ მიტანილი და განიწმიდნენ. ნიშნად ჰქონდეთ ეს ისრაელიანებს. <sup>4</sup>და აილო ელიაზარ მღვდელმა სპილენძის საცეცხლურები, რომლებიც დამწვრებს ჰქონდათ მიტანილი, და გაგლინეს მათგან ფურცლები სამსხვერპლოს მოსაჭედად. <sup>5</sup>რათა ახსოვდეთ ისრაელიანებს, რომ უცხო კაცმა, ვინც აარონის თესლის არ არის, არ მიეახლოს უფლის წინაშე საკმევლის საკმევად, რომ არ ეწიოს კორახისა და მისი დასის ბედი, როგორც ელაპარაკა მას უფალი მოსეს ხელით.



## აარონის საცეცხლური

<sup>6</sup> და აუჯანყდა მეორე დღეს ისრაელიანთა მთელი საზოგადოება მოსეს და აარონს, და თქვეს: თქვენ გაწყვიტეთ უფლისერი. <sup>7</sup> და როცა შეითქვა საზოგადოება მოსეს და აარონის წინააღმდეგ, მიტრიალდნენ თავშეყრის კარვისაკენ და, აჰა, დაფარა იგი ღრუბელმა და გამოჩნდა უფლის დიდება. <sup>8</sup> და მივიდნენ მოსე და აარონი თავშეყრის კარვის წინ, <sup>9</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>10</sup> გაერიდეთ ამ საზოგადოებას და მე ერთ წამში გადავბუგავ მათ. და პირქვე დაემხნენ ისინი. <sup>11</sup> და უთხრა მოსემ აარონს: აილე საცეცხლური და ჩადე მასში ცეცხლი საკურთხევლიდან. ჩაყარე საკმეველი, და საჩქაროდ წაილე საზოგადოებასთან და განწმიდე ისინი, რადგან რისხვა გამოვიდა უფლისაგან და იწყება შავი ჭირი. <sup>12</sup> და აიღო აარონმა საცეცხლური, როგორც თქვა მოსემ, და მიაშურა კრებულს და, აჰა, დაიწყო შავი ჭირი ხალხში. და ჩაყარა საკმეველი და განწმიდა ხალხი. <sup>13</sup> და დადგა იგი დახოცილთა და ცოცხალთა შორის და შეწყდა შავი ჭირი. <sup>14</sup> და გაწყდა შავი ჭირის დროს თოთხმეტი ათას შვიდასი კაცი, კორახის გამო დახოცილთა გარდა. <sup>15</sup> და დაბრუნდა აარონი მოსესთან თავშეყრის კარვის შესასვლელთან, როცა შეწყდა შავი ჭირი.

## განედლებული კვერთხი

<sup>16</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>17</sup> ელაპარაკე ისრაელიანებს და გამოართვი მათ კვერთხები — თითო კვერთხი თითოეულ შტოს. ყოველ თავკაცს მამისსახლის მიხედვით თორმეტი კვერთხი, ყოველ კვერთხს თავისი პატრონის სახელი დააწერე. <sup>18</sup> და აარონის სახელი ლევიანთა კვერთხს დააწერე, რადგან ერთი კვერთხი ეკუთვნის მათი მამისსახლის თავკაცს. <sup>19</sup> და დააწყვე ისინი თავშეყრის კარავში აღთქმის კიდობნის წინ, სადაც გეცხადებით თქვენ. <sup>20</sup> და ვისაც მე გამოვარჩევ, მისი კვერთხი აყვავდება და ჩავახრჩობ ისრაელიანთა ჯანყს, რომ

აჯანყებულან თქვენს წინააღმდეგ.<sup>21</sup> და ელაპარაკა მოსე ისრა-  
ელიანებს და მისცა მას ყველა თავკაცმა კვერთხი, თითო კვერ-  
თხი თითოეულმა თავკაცმა, მამისსახლის მიხედვით — თორ-  
მეტი კვერთხი. აარონის კვერთხიც იყო მათ კვერთხებში.<sup>22</sup> და  
დააწყო მოსემ კვერთხები უფლის წინაშე მოწმობის კარავში.  
<sup>23</sup> და მეორე დღეს, როცა მოსე შევიდა აღთქმის კარავში, აჰა,  
აყვავდა აარონის კვერთხი ლევის სახლიდან. და გამოიღო  
კვირტი და გაიფურჩქნა ყვავილი, და დამწიფდა ნუში.<sup>24</sup> და გა-  
მოუტანა მოსემ ყველა კვერთხი უფლისაგან ისრაელიანებს. და  
დანიახეს და აიღო თითოეულმა თავისი კვერთხი.<sup>25</sup> და უთხრა  
უფალმა მოსეს: დააბრუნე აარონის კვერთხი აღთქმის კიდობ-  
ნის წინაშე შესანახად, რათა იყოს იგი სასწაულად ურჩთათვის,  
რომ შეწყდეს მათი ჯანყი ჩამს წინააღმდეგ და არ დაიხოცონ.  
<sup>26</sup> და გააკეთა მოსემ, როგორც ამცნო მას უფალმა, ისე გააკეთა.  
<sup>27</sup> და უთხრეს ისრაელიანებმა მოსეს: აჰა, ვიხოცებით, ვიღუპე-  
ბით, ყველანი ვიღუპებით.<sup>28</sup> ვინც კი უფლის კარავთან ახლოს  
მიდის, კვდება. ნუთუ ყველანი დასაღუპად ვართ განწირული?

### მღვდლობის ტვირთი

**18** <sup>1</sup> და უთხრა უფალმა აარონს: შენ და შენმა შვილებმა  
და შენმა მამისსახლმა შენთან ერთად უნდა იტვირ-  
თოთ შეცოდება საწმიდარში. შენ და შენმა შვილებმა შენთან  
ერთად უნდა იტვირთონ შეცოდება თქვენს მღვდლობაში.<sup>2</sup> და  
შენი ძმები, ლევის შტო, მამაშენის ტომი, მიიახლოვე და შენ-  
თან იყვნენ განუყრელად და გემსახურონ. შენ და შენი შვილე-  
ბი კი შენთან ერთად აღთქმის კარვის წინ იქნებით.<sup>3</sup> და აღას-  
რულონ მოვალეობა შენს მიმართ და მთელი კარვის მიმართ,  
ოღონდ არ მიეკარონ საწმიდარის ჭურჭელს და სამსხვერპ-  
ლოს, თორემ ისინიც დაიხოცებიან და თქვენც.<sup>4</sup> შენთან უნდა  
იყვნენ განუყრელად და ასრულებდნენ მოვალეობას თავშეყ-  
რის კარვის მიმართ, კარვის მთელს სამსახურს. უცხო არ უნდა

მოგეკაროთ. <sup>5</sup> და შეასრულეთ საწმიდარის წესი და სამსხვერპლოს წესი, რომ რისხვა აღარ დაატყდეთ ისრაელიანებს. <sup>6</sup> და აჰა, მე ავიყვანე თქვენი ძმები — ლევიალები ისრაელიანთაგან თქვენთვის, ძღვნად არიან ისინი მოძღვნილნი უფლსათვის, რათა გასწიონ თავშეყრის კარვის სამსახური. <sup>7</sup> და შენ და შენმა შვილებმა შენთან ერთად აღასრულეთ თქვენი მღვდლობა საკურთხევლის ყველა საქმეში და ფარდის უკან, და იმსახურეთ. მღვდლობის სამსახური მომინიჭებია თქვენთვის. თუ უცხო ვინმე შეუდგება სამსახურს, უნდა მოკვდეს.

### მღვდელთა წილი

<sup>8</sup> და ელაპარაკა უფალი აარონს: აჰა, მე გავაღებ ჩემთვის შემოწირული ღალისათვის ყურის გდებას. ისრაელიანთა მთელს შემოწირულობას ვაძლევ წილად შენ და შენს შვილებს საუკუნო წესით. <sup>9</sup> ეს იყოს თქვენთვის წმიდათა წმიდადან, საცეცხლო მსხვერპლიდან: ყოველი მათი შესაწირავი და ყოველი მათი ძღვენი, ცოდვისა და დანაშაულის გამოსასყიდი ყოველი მსხვერპლი, რასაც მე მიხდიან. წმიდათა წმიდაა ეს შენთვის და შენი შვილებისათვის. <sup>10</sup> წმიდათა წმიდაში ჭამეთ იგი, მხოლოდ მამაკაცებმა ჭამონ. წმიდა უნდა იყოს თქვენთვის. <sup>11</sup> ეს არის შენი მათი ღალის ძღვენიდან: ისრაელიანთა მთელი შემოწირულობა შენთვის და შენი შვილებისთვის მომიცია საუკუნო წესით. ყოველმა სუფთამ შენს სახლში ჭამოს იგი. <sup>12</sup> საუკეთესო ზეთი, საუკეთესო ღვინო და მათი პირველმოწეული, რაც უფალთან მიაქვთ, შენთვის მომიცია. <sup>13</sup> მათი მიწის ყოველი პირველი ნაყოფი, რომელიც უფალთან მიაქვთ, შენ გეკუთვნის. ყოველმა სუფთამ შენს სახლში ჭამოს იგი. <sup>14</sup> ყოველი დარისხებული ისრაელში შენი იყოს. <sup>15</sup> საშოს გამღები ყოველი ხორციელდან, რომელსაც უფალს მიაართმევენ, ადამიანი იქნება თუ პირუტყვი, შენი იყოს. ოღონდ ადამიანის პირმშო

გამოისყიდე და უსურმაგი\* პირუტყვის პირველმოგებულებს გამოისყიდე. <sup>16</sup> და მათი გამოსასყიდი: ერთი თვის შემდეგ გადაიხადე შეფასებისამებრ ხუთი შეკელი ვერცხლი, საწმიდარის შეკელით, ანუ ოცი გერა. <sup>17</sup> მხოლოდ ძროხის პირველმოგებულზე ან ცხვრის პირველმოგებულზე და თხის პირველმოგებულზე ნუ გადაიხდი გამოსასყიდს: წმიდა არიან. მათი სისხლი სამსხვერპლოს ასხურე და მათი ცხიმი აკმიე კეთილსურნელებად უფლისათვის. <sup>18</sup> და მათი ხორცი შენია, როგორც მისართმეველი მკერდი და მარჯვენა ბეჭია შენი. <sup>19</sup> მთელი წმიდა აღსამართი, რომელსაც ისრაელიანები აღუმართავენ უფალს, შენთვის, შენი ვაჟებისა და ქალიშვილებისათვის მომიცია საუკუნო წესით. ეს არის საუკუნო აღთქმა მარილისა უფლის წინაშე შენთვის და შენი შთამომავლობისათვის შენთან ერთად.

### ლევიათა წილი

<sup>20</sup> და უთხრა უფალმა აარონს: მათ ქვეყანაში ვერაფერს დაიმკვიდრებ. და არ გექნება წილი მათ შორის. მე ვარ შენი წილი და შენი სამკვიდრო ისრაელიანთა შორის. <sup>21</sup> და ლევიაანებს კი, აჰა, მივეცი სამკვიდროდ ყველაფრის მეთაედი, რაც ისრაელშია, მათი სამსახურის სანაცვლოდ, რასაც თავშეყრის კარავთან ასრულებენ. <sup>22</sup> და აღარ მიუახლოვდნენ ისრაელიანები თავშეყრის კარავს, რომ მომაკვდინებელი ცოდვა არ დაედოთ. <sup>23</sup> და თავად ლევიაანებმა გასწიონ თავშეყრის კარვის სამსახური და თავადვე იტვირთონ მათი შეცოდება. საუკუნო წესია ეს თქვენს თაობებში. და ისრაელიანთა შორის ვერ დაიმკვიდრებენ სამკვიდროს, <sup>24</sup> რადგან ლევიაანებს სამკვიდროდ ისრაელიანთა მეთაედი მივეცი, რომელსაც აღუმართავენ უფალს აღსამართად. ამიტომ ვუთხარი მათ: ისრაელიანთა შორის ვერ დაიმკვიდრებთ-მეთქი სამკვიდროს.

\* დედანში: ტმე'აჰ „ბინძური“, რომელიც არ იჭმევა.

## მეათედი

<sup>25</sup>და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>26</sup>ელაპარაკე ლევიალებს და უთხარი მათ: როცა ისრაელიანთაგან აიღებთ მეათედს, რომელიც თქვენთვის მაქვს მათგან მოცემული თქვენს სამკვიდროდ, უფალს აღუმართეთ მისგან აღსამართი — მეათედი მეათედიდან. <sup>27</sup>და ჩაგეთვლებათ თქვენი აღსამართი, როგორც კალოს პური და როგორც საწნახლის სისავსე. <sup>28</sup>ასე, თქვენც აღუმართეთ უფალს აღსამართი იმ მეათედიდან, რასაც ისრაელიანები მოგცემენ, მისგან მიეცით უფლის აღსამართი აარონ მღვდელს. <sup>29</sup>ყველაფრიდან, რასაც მოგიძღვნიან, აღმართეთ უფლის აღსამართი, ყოველივე საუკეთესოდან, იმისგან, რაც განწმენდილია. <sup>30</sup>და უთხარი მათ: მისგან საუკეთესოს რომ აღმართავ, კალოს შემოსავლად და საწნახლის შემოსავლად ჩაეთვლებათ ლევიალებს. <sup>31</sup>და ჭამეთ იგი ყველგან თქვენ და თქვენმა საგვარეულომ, რადგან ეს არის გასამრჯელო, სანაცვლო თქვენი სამსახურისათვის თავშეყრის კარავში. <sup>32</sup>და არ დაგედებათ ცოდვა, როცა მისგან საუკეთესოს აღმართავთ. და არ გაარიოშებთ ისრაელიანთა სიწმიდეებს და არ დაიხოცებით.

## ნაცარი და ვეჟანა ფური

**19** <sup>1</sup>და ელაპარაკა უფალი მოსეს და აარონს სათქმელად: <sup>2</sup>ეს არის წესი რჯულისა, რომელიც უფალმა გვამცნო: უთხარი ისრაელიანებს, რომ აიყვანონ შენტვის ვეჟანა, საღი ფური, რომელსაც ნაკლი არა აქვს და უღელი არ სდგმია. <sup>3</sup>და მიეცით ელიაზარ მღვდელს, რომ გაიყვანოს ბანაკის გარეთ და დაკლან მის თვალწინ. <sup>4</sup>და ამოაწოს ელიაზარ მღვდელმა თითები სისხლში და შვიდგზის ასხუროს თავშეყრის კარვის წინა მხარეს. <sup>5</sup>და დაწვან ფური მის თვალწინ — მისი ტყავი, მისი ხორცი, მისი სისხლი მის ფუნასთან ერთად დაწვან. <sup>6</sup>და აიღოს მღვდელმა კედარის ხე, უსუპი და ჭიაფერი ნართი და ჩააგდოს

ცეცხლში, სადაც ფური იწვის. <sup>7</sup> და გაირეცხოს შესამოსელი მღვდელმა, წყლით დაიბანოს ტანი და ამის შემდეგ შევიდეს ბანაკში. საღამომდე ბინძური იქნება მღვდელი. <sup>8</sup> და ფურის დამწველმაც გაირეცხოს წყალში შესამოსელი და წყლით დაიბანოს ტანი. ბინძური იქნება საღამომდე. <sup>9</sup> და შეაგროვოს ვინმე სუფთამ ფურის ნაცარი და დაყაროს ბანაკის გარეთ, სადმე სუფთა ადგილზე. და ექნება ეს ისრაელიანთა საზოგადოებას სამსახურებლად, საპკურებელი წყლისათვის. ეს არის ცოდვის გამოსასყიდი მსხვერპლი. <sup>10</sup> და გაირეცხოს ფურის ნაცრის შემგროვებელმა თავისი შესამოსელი და ბინძური იქნება საღამომდე. და იყოს ისრაელიანთათვის და მდგმურთათვის, თქვენს შორის რომ მდგმურობენ საუკუნო წესად.

### გაბინძურებულის რიტუალი

<sup>11</sup> თუ ვინმე მიეკარება მკვდარს, ვინც უნდა იყოს იგი, და ბინძური დარჩება შვიდ დღეს, <sup>12</sup> მან ამით უნდა ჩამოირეცხოს ცოდვა მესამე დღეს და მეშვიდე დღეს, და გასუფთავდება. თუ არ ჩამოირეცხა ცოდვა მესამე დღეს და მეშვიდე დღეს, არ იქნება გასუფთავებული. <sup>13</sup> ყველა, ვინც კი მიეკარება მკვდარს და არ ჩამოირეცხავს ცოდვას, უფლის სავანის გამაბინძურებელია იგი და უნდა მოიკვეთოს ისრაელიდან, რადგან არ სხურებია საპკურებელი წყალი. ბინძურია, ჯერ კიდევ სიბინძურეა მასში. <sup>14</sup> ეს არის რჯული: თუ კარავში კაცი მოკვდება, ყოველი კარავში შემსვლელი და ყოველი კარავში მყოფი შვიდ დღეს ბინძური იქნება. <sup>15</sup> და ყოველი თავღია ჭურჭელი, რომელიც არ არის მჭიდროდ დახურული ან თავშეკრული, ბინძურია. <sup>16</sup> და ყველა, ვინც მახვილით მოკლულს, ან მკვდარს, ან კაცის ძვალს, ან სამარხს მიეკარება ველზე, შვიდ დღეს ბინძურია.

<sup>17</sup> და აიღონ გაბინძურებულისათვის დამწვარი მსხვერპლის ნაცარი, ჩაყარონ ჭურჭელში და ზედ ცოცხალი წყალი დაასხან. <sup>18</sup> და აიღოს ვინმე სუფთა კაცმა უსუპი და დაასველოს წყალში,

და ასხუროს კარავს, და ყოველ ჭურჭელს, და ყოველ კაცს, ვინც იქ არის, და ყველას, ვინც ძვალს, ან მოკლულს, ან მკვდარს, ან სამარხს მოჰკარებია. <sup>19</sup> და ასხუროს გაბინძურებულს მესამე დღეს და მეშვიდე დღეს, და ჩამოერეცხება ცოდვა. და მეშვიდე დღეს გაირეცხოს ტანისამოსი, და წყალში იბანოს და სუფთა იქნება საღამოთი. <sup>20</sup> და თუ ვინმე ბინძურია და არ ჩამოირეცხავს ცოდვას, უნდა მოიკვეთოს იგი საზოგადოებიდან, რადგან გააბინძურა უფლის საწმიდარი, პკურების წყალი არ უსხურებია, ბინძურია იგი. <sup>21</sup> და იყოს მათთვის საუკუნო აღთქმად. და პკურების წყლის მასხურებელმაც გაირეცხოს ტანსაცმელი. და პკურების წყალს მიკარებულაც ბინძურია საღამომდე. <sup>22</sup> და ყველაფერი, რასაც ბინძური მიეკარება, ბინძურდება. და მიმკარებელიც გაბინძურებული იქნება საღამომდე.

## მერიბას წყლები

**20** <sup>1</sup> და მივიდნენ ისრაელიანები, მთელი საზოგადოება, ცინის უდაბნოში, პირველ თვეს, და დადგა ერი კადეშში. და მოკვდა იქ მირიამი და იქვე დამარხეს, <sup>2</sup> და არ ჰქონდა წყალი საზოგადოებას და შეითქვნენ მოსეს და აარონის წინააღმდეგ. <sup>3</sup> და აუყვირდა ხალხი მოსეს და უთხრეს: ნეტავ ჩვენს ძმებთან ერთად დავხოცილიყავით უფლის წინაშე. <sup>4</sup> რისთვის მოგვიყვანე უფლის კრებული ამ უდაბნოში ჩვენი და ჩვენი საქონლის გასაწყვეტად? <sup>5</sup> რისთვის ამოგვიყვანეთ ეგვიპტიდან ამ უბედურ არემარეში, სადაც არ არის თესლის ადგილი, არც ლეღვი, არც ყურძენი, არც ბროწეული და არც სასმელი წყალია? <sup>6</sup> და გადგნენ მოსე და აარონი კრებულისგან თავშეყრის კარვის შესასვლელისკენ, და პირქვე დაემხნენ და გამოეცხადა მათ უფლის დიდება. <sup>7</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>8</sup> აიღე კვერთხი და შეყარეთ საზოგადოება შენ და შენმა ძმამ, აარონმა. და დაელაპარაკეთ კლდეს მათ თვალწინ და

მოგცემთ იგი წყალს. და ამოუჩქეფებ მათ წყალს კლდიდან და დაარწყულებ მთელს საზოგადოებას მათი საქონელითურთ. <sup>9</sup> და აიღო მოსემ კვერთხი უფლის წინაშე, როგორც ამცნო მას. <sup>10</sup> და შეყარეს მოსემ და აარონმა საზოგადოება კლდის წინ. და უთხრა მათ: ყური მიგდეთ, ურჩებო! ამ კლდიდან ხომ არ ამოგიჩქეფოთ წყალი? <sup>11</sup> და აღმართა ხელი მოსემ და ორგბის დაჭკრა კლდეს კვერთხი და უხვად იდინა წყალმა. და სვეს საზოგადოებამ და მისმა საქონელმა.

### მოსეს და აარონის საჯელი

<sup>12</sup> და უთხრა უფალმა მოსეს და აარონს: იმის გამო, რომ არ მერწმუნეთ და წმიდად არ გამომაჩინეთ ისრაელიანთა თვალში, ვერ შეიყვანთ ამ კრებულს იმ ქვეყანაში, რომელიც მივეცი მათ. <sup>13</sup> ეს არის მერიბას წყალი, სადაც ედავებოდნენ ისრაელიანები უფალს და რითაც წმიდად გამოჩნდა მათში.

### ედომი არ აძლევს გზას

<sup>14</sup> და გაუგზავნა მოსემ კადეშიდან მოციქულები ედომის მეფეს: ასე ამბობს შენი ძმა ისრაელი: შენ იცი ყველა უბედურება, რაც შემემთხვა. <sup>15</sup> და ჩავიდა ჩვენი მამა-პაპა ეგვიპტეს და ვცხოვრობდით ეგვიპტეში მრავალი ხანი. და ცუდად გვექცეოდნენ ეგვიპტელები ჩვენ და ჩვენს მამა-პაპას. <sup>16</sup> და შევღალადეთ უფალს და მან ისმინა ჩვენი ხმა, და გამოგვიგზავნა ანგელოზი და გამოგვიყვანეს ეგვიპტიდან და, აჰა, კადეშში ვართ, შენს მოსაზღვრე ქალაქში. <sup>17</sup> და გაგვატარე შენს ქვეყანაზე: არ გადაუვლით შენს ყანებს და ვენახებს, და არ შევსვამთ შენი ტის წყალს, სამეფო გზით ვივლით, არც მარჯვნივ გავუხვევთ, არც მარცხნივ, ვიდრე შენს საზღვარს არ გავცდებით. <sup>18</sup> და უთხრა მას ედომმა: არ გაიარო ჩემზე, თორემ მახვილით დაგხვდები. <sup>19</sup> და უთხრეს მას ისრაელიანებმა: მთავარი გზით წამოვალთ.



თუ შენს წყალს შევსვამთ მე და ჩემი საქონელი, საზღაურს გადაგიხდი. ეს იქნება და ეს, ჩემი ფეხით გავივლი. <sup>20</sup> და უთხრა: ვერ გაივლი. და გამოვიდა მის დასახვედრად დიდძალი ხალხით და მაგარი ხელით. <sup>21</sup> და არ დაანება ედომმა ისრაელს გავლა თავის საზღვარზე და გაერიდა მას ისრაელი.

### აარონის სიკვდილი

<sup>22</sup> და დაიძრნენ კადეშიდან და მივიდნენ ისრაელიანები, მთელი საზოგადოება, ჰორის მთასთან. <sup>23</sup> და უთხრა უფალმა მოსეს და აარონს ჰორის მთაზე, ედომის ქვეყნის საზღვართან: <sup>24</sup> შეერთოს აარონი თავის ხალხს, რადგან ვერ შევა იმ ქვეყანაში, რომელიც ისრაელიანებს მივეცი. იმის გამო, რომ მერიბას წყალთან მედავებოდით. <sup>25</sup> ხელი მოჰკიდე აარონს და მის ძეს ელიაზარს და ჰორის მთაზე აიყვანე. <sup>26</sup> და გახადე შესამოსელი აარონს და მით ელიაზარი, მისი ძე, შემოსე. და შეერთოს აარონი და მოკვდეს იქ. <sup>27</sup> და გააკეთა მოსე, როგორც ამცნო უფალმა. და ავიდნენ ჰორის მთაზე მთელი საზოგადოების თვალწინ. <sup>28</sup> და გახადა მოსემ აარონს შესამოსელი და მით ელიაზარი, მისი ძე, შემოსა. და მოკვდა აარონი იქ, მთაზე, და ჩამოვიდნენ მოსე და ელიაზარი მთიდან. <sup>29</sup> და დაინახა მთელმა საზოგადოებამ, რომ მოკვდა აარონი, და დასტიროდა აარონს მთელი ისრაელის სახლი ოცდაათ დღეს.

### დარისხებული ქალაქები

**21** <sup>1</sup> და გაიგო არადის ქანაანელმა მეფემ, ნეგების მკვიდრმა, რომ ათარიმის გზით მოდიოდა ისრაელი, და შეებრძოლა ისრაელს და მოსტაცა ტყვეები. <sup>2</sup> და დაუდო აღთქმა ისრაელმა უფალს და თქვა: თუ ხელში ჩამაგდებინებ ამ ხალხს, დავარისხებ მათ ქალაქებს. <sup>3</sup> და უსმინა უფალმა ისრაელის ხმას და ხელში ჩაუგდო ქანაანელნი. და მათაც დაარისხეს ისინი და მათი ქალაქები. და უწოდეს იმ ადგილს სახელად ხორმა.

## სპილენძის გველი

<sup>4</sup> და დაიდრნენ ჰორის მთიდან მეწამული ზღვის გზით, რომ შემოევლოთ ედომის ქვეყნისათვის. და სულმოკლეობა გამოჩინა ხალხმა გზაში. <sup>5</sup> და ილაპარაკა ხალხი ღმერთის და მოსეს წინააღმდეგ: რისთვის ამოგვიყვანე ეგვიპტიდან მოსაკლავად უდაბნოში? რადგან არ არის პური და არც წყალი. და შეზიზღდა ჩვენს სულს მწირი საჭმელი. <sup>6</sup> და მიუსია უფალმა ხალხს შხამიანი გველები და მათაც დაკბინეს ხალხი, და ბევრი გაწყდა ისრაელში. <sup>7</sup> და მივიდა ხალხი მოსესთან და თქვეს: ვცოდეთ, რომ ვილაპარაკეთ უფლის წინააღმდეგ და შენს წინააღმდეგ. ილოცე უფლისადმი, რომ მოგვცილდეს გველი. და ილოცა მოსემ ხალხისათვის. <sup>8</sup> და უთხრა უფალმა მოსეს: გააკეთე შენთვის უნასი და დაამაგრე კეტბე. და შეხედავს ყველა, ვინც დაკბენილია, და იცოცხლებს. <sup>9</sup> და გააკეთა მოსემ სპილენძის გველი და დაამაგრა იგი დროშაზე. და როცა კი უკბენდა გველი ვინმეს, შეხედავდა კაცი ამ სპილენძის გველს და იკურნებოდა.

## სვლა ობოთიდან ფისგას მთამდე

<sup>10</sup> და დაიდრნენ ისრაელიანები და ობოთში დაბანაკდნენ. <sup>11</sup> და დაიდრნენ ობოთიდან და დაბანაკდნენ ყიე-ყაბარიმში, უდაბნოში, მოაბის გასწვრივ რომ არის, მზის აღმოსავლეთისაკენ. <sup>12</sup> და დაიდრნენ იქიდან და ბარედის ხევში დაბანაკდნენ. <sup>13</sup> და დაიდრნენ იქიდან და დაბანაკდნენ არნონთან, უდაბნოში, სადაც არნონი ამორეველთა საზღვრიდან გამოდის, რადგან იგი მოაბისა და ამორეველთა საზღვარია. <sup>14</sup> ამიტომაც არის ნათქვამი უფლის ბრძოლების წიგნში: ვაჰები სუფაში და არნონის ხევები. <sup>15</sup> და ეშვება ხევები და უხვევს ყარის დასახლებასთან და ებჯინება მოაბის საზღვარს. <sup>16</sup> და იქიდან ბეერში. ეს ის ბეერია, რომელზეც უთხრა უფალმა მოსეს: შეკრიბე ხალხი და მე მივცემ მათ წყალს. <sup>17</sup> მაშინ იმღერა ისრაელმა ეს სიმღერა: აივსე, ჭაო! უმღერეთ მას! <sup>18</sup> ჭა, რომელიც ამოიღეს მთავ-

რებმა, ამოთხარეს ერის დიდებულებმა კვერთხით, თავიანთი არგნებით. და უდაბნოდან მათანისაკენ. <sup>19</sup> და მათანიდან ნახალიელში, და ნახალიელიდან ბამოთში. <sup>20</sup> და ბამოთიდან გავიდნენ დაბლობზე, მოაბის ველზე რომ არის, ფისგას მთასთან, უდაბნოსაკენ რომ იყურება.

### დაპყრობანი წიაღ იორდანეს

<sup>21</sup> და გაუგზავნა მოციქულები ისრაელმა სიხონს, ამორეველთა მეფეს, და შეუთვალა: <sup>22</sup> გამატარე შენს ქვეყანაზე. არ შევალთ ყანებში და ვენახებში, არ დავლევთ ჭის წყალს. სამეფო გზაზე ვივლით, ვიდრე შენი საზღვრიდან არ გავალთ. <sup>23</sup> და არ დაანება სიხონმა თავის საზღვარზე გავლა. და შეკრიბა სიხონმა მთელი თავისი ლაშქარი და გავიდა ისრაელის დასახვედრად უდაბნოში. და მივიდა იაჭელაში და შეებრძოლა ისრაელს. <sup>24</sup> და მოსრა იგი ისრაელმა და დაეპატრონა მის ქვეყანას არნონიდან იაბოკამდე, ყამონელთა ქვეყნამდე, რადგან გამაგრებული იყო ყამონელთა საზღვარი. <sup>25</sup> და აიღო ისრაელმა ყველა ეს ქალაქი და დაიწყო ისრაელმა ცხოვრება ამორეველთა ყველა ქალაქში, ხეშბონში და მის ყველა დაბასოფელში. <sup>26</sup> რადგან ხეშბონი ამორეველთა მეფის, სიხონის, ქალაქი იყო. და იგი შეებრძოლა მოაბის წინანდელ მეფეს და აიღო მთელი მისი ქვეყანა არნონამდე. <sup>27</sup> ამიტომაც ამბობენ მეიგავარაკენი: წადით ხეშბონს, აშენდება და განმტკიცდება სიხონის ქალაქი. <sup>28</sup> რადგან ცეცხლი გამოვიდა ხეშბონიდან, ალი — სიხონის ქალაქიდან, შთანთქა ყარ-მოაბი, არნონის გორაკთა პატრონები. <sup>29</sup> ვაი შენ, მოაბო! განადგურდი, ქამოშის ხალხო! თავისი ვაჟები ლტოლვილებად აქცია, თავისი ქალები — ამორეველთა მეფის, სიხონის, ტყვეებად. <sup>30</sup> დავამხეთ, განადგურდა ხეშბონი დიბონამდე, გავაუდაბურეთ ნოფახამდე, მედებას მახლობლად რომ არის! <sup>31</sup> და დასახლდა ისრაელი ამორეველთა ქვეყანაში. <sup>32</sup> და გაგზავნა კაცები მოსემ იაყბარის

დასაზვერად და აიღეს მისი დაბა-სოფლები და განდევნეს იქ მცხოვრები ამორეველები. <sup>33</sup> და გამობრუნდნენ და დაადგნენ ბაშანის გზას. და გამოვიდა მათ წინააღმდეგ ყოგი მთელი თავისი ლაშქრით ედრეიში საბრძოლველად. <sup>34</sup> და უთხრა უფალმა მოსეს: ნუ გეშინია მისი, რადგან ხელში ჩაგაგდებინებ მას და მთელს მის ლაშქარს, მთელს მის ქვეყანას. იმასვე დამართებ მას, რაც დამართე სიხონს, ამორეველთა მეფეს, ხეშბონში რომ ცხოვრობდა. <sup>35</sup> და მუსრი გაავლეს მას, მის ვაჟებს და მთელს მის ქალაქს — ისე რომ არავინ გადარჩენილა და დაეუფლნენ მის ქვეყანას.

### მოაბის მეფე იხმობს ბალაამს

**22** <sup>1</sup> და დაიძრნენ ისრაელიანები და დაბანაკდნენ მოაბის ტრამალებზე, იორდანეს გაღმა, იერიქონის გასწვრივ. <sup>2</sup> და დაინახა ბალაკ ციფორის ძემ ყველაფერი, რაც ისრაელმა დამართა ამორეველებს <sup>3</sup> და დიდად შეეშინდა მოაბს ამ ხალხისა, რადგან ბევრნი იყვნენ, და დაფრთხა მოაბი ისრაელიანთა წინაშე. <sup>4</sup> და უთხრა მოაბმა მიდიანის უხუცესებს: ახლა გადაჭამს ეს ურდო ყველაფერს ჩვენს გარშემო, როგორც ნახირი გადაჭამს ხოლმე მინდვრის ბალახს. და ბალაკ ციფორის ძე იყო იმხანად მოაბის მეფე. <sup>5</sup> და გაუგზავნა მოციქულები ბალაამ ბეყორის ძეს ფეთორში, რომელიც მდინარის პირას მდებარეობს, მისი ხალხის ქვეყანაში, რომ დაებარებინა და ეთქვა: აჰა, დაფარა მან მიწის პირი და ჩემს ახლოს დასახლდა. <sup>6</sup> ახლა, მოდი და დამიწყევლე ეს ხალხი, რადგან ჩემზე ძლიერია იგი. იქნებ მაშინ შევძლო მისი დამარცხება და ქვეყნიდან განდევნა, რადგან ვიცი, ვისაც შენ ლოცავ, დალოცვილია, და ვისაც წყევლი, დაწყევლილია. <sup>7</sup> და წავიდნენ მოაბის უხუცესები და სამისნო ძღვენით ხელში მივიდნენ ბალაამთან, და უთხრეს მას ბალაკის დანაბარები. <sup>8</sup> და უთხრა მათ: აქ გაათიეთ ეს ლამე და გეტყვით პასუხს, რასაც უფალი გამომიცხადებს.

და დარჩნენ მოაბის თავკაცები ბალაამთან. <sup>9</sup>და გამოეცხადა ღმერთი ბალაამს და უთხრა: ეს ვინ კაცებია შენთან? <sup>10</sup>და უთხრა ბალაამმა ღმერთს: ბალაკ ციფორის ძეს, მოაბის მეფეს, გამოუგზავნია ჩემთან. <sup>11</sup>აჰა, ერთი ხალხი გამოვიდა ეგვიპტიდან და მიწის პირი დაფარა. ახლა მოდი და შემიჩვენეო იგი, იქნებ შევძლო მასთან შებრძოლება და მისი განდეგნა. <sup>12</sup>და უთხრა ღმერთმა ბალაამს: ნუ წაყვები მათ, ნუ დაწყევლი მაგ ხალხს, რადგან ვიცი, ვისაც შენ აკურთხებ, კურთხეულია, და ვისაც წყევლი, დაწყევლილია. <sup>13</sup>და ადგა ბალამი დილით და უთხრა ბალაკის კაცებს: წადით თქვენს ქვეყანაში, რადგან არ უნდა უფალს, რომ გამოგყვეთ. <sup>14</sup>და ადგნენ მოაბის თავკაცები და დაბრუნდნენ ბალაკთან, უთხრეს: არ მოინდომა ბალაამმა ჩვენთან წამისვლა. <sup>15</sup>და კვლავ გააგზავნა ბალაკმა თავკაცები, მათზე უფრო დიდებულნი და პატივსაცემნი. <sup>16</sup>და მივიდნენ ბალაამთან და უთხრეს მას: ასე ამბობს ბალაკ ციფორის ძე: უარს ნუ ამბობ ჩემთან მოსვლაზე. <sup>17</sup>რადგან დიდ პატივს მოგაგებ და, რასაც მეტყვი, ყველაფერს გაგიკეთებ. მოდი, შემიჩვენე ეს ხალხი. <sup>18</sup>და უთხრა ბალაამმა ბალაკის მსახურებს: თუნდაც ოქრო-ვერცხლით ავსებულნი მთელი თავისი სახლი მომცეს ბალაკმა, მაინც ვერ გადავალ უფლის, ჩემი ღმერთის ბრძანებას. ვერც მცირეს რასმე გავაკეთებ, ვერც დიდს. <sup>19</sup>ახლა დარჩით თქვენ აქ ამაღამ და გავიგებ, კიდევ რას მეტყვის უფალი. <sup>20</sup>და მივიდა ღმერთი ბალაამთან ღამით და უთხრა მას: თუ შენს დასაძახებლად მოვიდნენ ეს კაცები, ადექი და წაყვი მათ, ოღონდ როგორც გეტყვი, ისე მოიქეცი. <sup>21</sup>და ადგა ბალამი დილით, შეკაზმა სახედარი და წაყვა მოაბის თავკაცებს.

### ბალაამის სახედარი

<sup>22</sup>და აინთო ღვთის რისხვა მისი წასვლის გამო და დადგა უფლის ანგელოზი მის დასაბრკოლებლად. ის კი შემჯდარიყო თავის სახედარზე და მიდიოდა ორი მსახური ბიჭის თანხლებ-

ბით. <sup>23</sup> და დაინახა სახედარმა გზაზე მდგარი უფლის ანგელოზი გაშიშვლებული მახვილით ხელში, და გადაუხვია გზიდან და წავიდა მინდვრებზე. და დაუწყო ცემა ბალაამმა სახედარს, რომ მოებრუნებინა გზისაკენ. <sup>24</sup> და დადგა უფლის ანგელოზი ბილიკზე ვენახებს შორის, ერთ მხარესაც ღობე იყო, მეორე მხარესაც ღობე. <sup>25</sup> და დაინახა თუ არა სახედარმა უფლის ანგელოზი, აეკრა კედელს და ბალაამის ფეხიც მიაჭყლიტა ზედ. და კვლავ დაუწყო ცემა. <sup>26</sup> და კვლავ გადავიდა უფლის ანგელოზი და ჩადგა ვიწროში, საიდანაც არც მარჯვნივ იყო გასახვევი გზა და არც მარცხნივ. <sup>27</sup> და დაინახა სახედარმა უფლის ანგელოზი და ჩაიკეცა ბალაამის ქვეშ. და გაბრაზდა ბალაამი და ჯოხი დასცხო სახედარს. <sup>28</sup> და გაუხსნა ბაგე უფალმა სახედარს და უთხრა სახედარმა ბალაამს: რა დაგიშავე, რომ უკვე მესამედა მცემ? <sup>29</sup> და უთხრა ბალაამმა სახედარს: რა და, მასხრად ამიგდე. მახვილი რომ მქონდეს ხელში, ახლავე მოგკლავდი. <sup>30</sup> და უთხრა სახედარმა ბალაამს: განა შენი სახედარი არა ვარ, რომლითაც დადიხარ, უკვე რა ხანია, დღემდე? ოდესმე თუ მოგქცევია არა? და უთხრა: არა. <sup>31</sup> და აუხილა უფალმა თვალი ბალაამს და დაინახა ბალაამმა გზაზე მდგარი უფლის ანგელოზი გაშიშვლებული მახვილით ხელში, და თაყვანისცა და პირქვე დაემხო. <sup>32</sup> და უთხრა მას უფლის ანგელოზმა: რისთვის სცემ შენს სახედარს უკვე მესამეჯერ? აჰა, შენს დასაბრკოლებლად გამოვედი, რადგან უკუღმართია შენი გზა ჩემს თვალში. <sup>33</sup> და დამინახა სახედარმა და უკვე მესამეჯერ გადაუხვია ჩემგან. რომ არ გადაეხვია, შენ მოგკლავდი, მას კი ცოცხალს დაეტოვებდი. <sup>34</sup> და უთხრა ბალაამმა უფლის ანგელოზს: შევცოდე, რადგან არ ვიცოდი, რომ შენ იყავი ჩემს გზაზე გადამდგარი. და ახლა, თუ ეს ბოროტებაა შენს თვალში, უკან გავბრუნდები ჩემთვის. <sup>35</sup> და უთხრა უფლის ანგელოზმა ბალაამს: წაყვი ამ კაცებს, ოღონდ ის ილაპარაკე, რასაც მე გეტყვი. და წაყვა ბალაამი, ბალაკის თავკაცებს.

## ბალაამი და ბალაკი

<sup>36</sup>და გაიგო ბალაკმა, რომ მოდის ბალაამი, და გამოვიდა მის შესახვედრად მოაბის ქალაქისაკენ, რომელიც არნონის საზღვართან მდებარეობს, ზედ საზღვარზე. <sup>37</sup>და უთხრა ბალაკმა ბალაამს: ხომ გამოვგზავნე ხალხი შენს დასაძახებლად? რატომ არ მოდიოდი ჩემთან? ნუთუ მართლა ვერ შევძლებ შენს პატივისცემას? <sup>38</sup>და უთხრა ბალაამმა ბალაკს: აჰა, მოვედი შენთან. განა შემიძლია ახლა რაიმეს თქმა? რასაც ღმერთი ჩამიდებს ბაგეებში, იმას ვილაპარაკებ. <sup>39</sup>და გაჰყვა ბალაამი ბალაკს და მივიდნენ კირიათ-ხუცოთში. <sup>40</sup>და დაკლა ბალაკმა ხვასტაგი და ცხვარი და გაუგზავნა ბალაამს და მის თანმხლებ თავკაცებს. <sup>41</sup>და დილით ადგა ბალაკი და ბაალის გორაკებზე აიყვანა ბალაამი. და დაინახა იქიდან ბალაამმა ხალხის ერთი ნაწილი.

**23** <sup>1</sup>და უთხრა ბალაამმა ბალაკს: ამიგე აქ შვიდი სამსხვერპლო და გამიმზადე აქ შვიდი მოზვერი და შვიდი ვერძი. <sup>2</sup>და გააკეთა ბალაკმა, რაც ბალაამმა უთხრა, და აღავლინეს ბალაკმა და ბალაამმა თითო მოზვერი და თითო ვერძი სამსხვერპლოზე. <sup>3</sup>და უთხრა ბალაამმა ბალაკს: დაუდექი შენს აღსავლენს, მე კი წავალ, იქნება შემომხვდეს უფალი და, რასაც გამომიცხადებს, შეგატყობინებ. და წავიდა ბორცვზე.

## ბალაამის პირველი წინასწარმეტყველება

<sup>4</sup>და შეხვდა ღმერთი ბალაამს და უთხრა მას ბალაამმა: შვიდი სამსხვერპლო გავაწყვე და თითო მოზვერი და თითო ვერძი აღვავლინე თითო სამსხვერპლოზე. <sup>5</sup>და ჩაუდო უფალმა სიტყვა ბალაამს ბაგეში და უთხრა: დაბრუნდი ბალაკთან და ასე ელაპარაკე. <sup>6</sup>და დაბრუნდა მასთან და, აჰა, უდგას თავის მსხვერპლს მოაბელ თავკაცებთან ერთად. <sup>7</sup>და წარმოექვა თავისი იგავი: არამიდან მომიყვანა ბალაკმა, მოაბის მეფემ, აღმოსავლეთის მთებიდან. მოდი, დამიწყევლე იაკობი,

მოდ, შემიჩვენე ისრაელი. <sup>8</sup> როგორ დაგიწყევლო? ღმერთს არ დაუწყევლია. როგორ შევაჩვენო? უფალს არ შეუჩვენებია. <sup>9</sup> რადგან კლდის თავიდან ვხედავ მას და გორაკებიდან ვუყურებ მას. აჰა, ცხოვრობს ერი განმარტოებით და ხალხებში არ ირიცხება. <sup>10</sup> ვინ აღრიცხავს იაკობის ქვიშას და ისრაელის მეოთხედის სათვალავს? მოვკვდე მართალთა სიკვდილით და იყოს ჩემი აღსასრული, როგორც მათი! <sup>11</sup> და უთხრა ბალაკმა ბალაამს: რას მიშვრები? ჩემი მტრების დასაწყევლად წამოგიყვანე, შენ კი აქ ლოცავ მათ. <sup>12</sup> და მიუვო და უთხრა: განა რაც უფალმა ჩამიდო ბაგეებში, სწორედ ის არ უნდა ვილაპარაკო?

### ბალაამის მეორე წინასწარმეტყველება

<sup>13</sup> და უთხრა მას ბალაკმა: წამომყევი სხვა ადგილას, საიდანაც დაინახავ მას, ოღონდ მის ნაწილს დაინახავ, მთელს კი — ვერა. იქიდან დამიწყევლე ის. <sup>14</sup> და წაიყვანა იგი მოთვალთვალეთა ადგილსამყოფელში, ფისგას წვერზე. და ააგო შვიდი საკურთხეველი და აღავლინა თითო მოზვერი და თითო ვერძი თითოეულ საკურთხეველზე. <sup>15</sup> და უთხრა ბალაამმა ბალაკს: დაუდექი აქ შენს მსხვერპლს, მე კი იქ წავალ შესახვედრად. <sup>16</sup> და შეხვდა უფალი ბალაამს და ჩაუდო სიტყვა ბაგეებში და უთხრა: დაბრუნდი ბალაკთან და ასე ელაპარაკე. <sup>17</sup> და მივიდა მასთან და, აჰა, უდგას თავის მსხვერპლს მოაბელ თავკაცებთან ერთად. და უთხრა ბალაკმა: რა ილაპარაკა უფალმა? <sup>18</sup> და წარმოთქვა თავისი იგავი: ადექი, ბალაკ, და გაიგონე, ყური მიგდე, ციფორის ძევ! <sup>19</sup> ღმერთი კაცი არ არის, რომ ცრუობდეს და არც ადამიანია, რომ გადათქვამდეს. თქვას და არ გააკეთოს? ილაპარაკოს და არ შეასრულოს? <sup>20</sup> აჰა, დალოცვა მებრძანა, მან დალოცა და მე ვერ გადავთქვამ. <sup>21</sup> არ არის სიცრუე იაკობში და არ ჩანს მზაკვრობა ისრაელში. უფალი მათი ღმერთია მასთან და სამეუფო ბუკის ხმაა მასში. <sup>22</sup> ღმერთია მისი გამომყვანებელი ეგვიპტიდან, მარტორქის ძალაა იგი მისთვის. <sup>23</sup> არ



არის შელოცვა იაკობის წინააღმდეგ და არ არის ჯადოქრობა ისრაელის წინააღმდეგ. თავის ჟამს ითქმება იაკობზე და ისრაელზე: რა მოიმოქმედა ღმერთმა! <sup>24</sup> აჰა, ხალხი ძუ ლომივით იმართება და ხვადი ლომივით ტორებზე დგება, არ დაწვება, ვიდრე ნანადირევს არ შეჭამს და მოკლულთა სისხლს არ შესვაძს. <sup>25</sup> და უთხრა ბალაკმა ბალაამს: ნურც შეაჩვენებ მას და ნურც დალოცავ, მიუგო ბალაამმა და უთხრა ბალაკს: ხომ გითხარი, რასაც უფალი მეტყვის, იმას გავაკეთებ-მეთქი? <sup>27</sup> და უთხრა ბალაკმა ბალაამს: წამოდი, სხვა ადგილას წაგიყვან. იქნებ ინებოს ღმერთმა, რომ იქიდან დამიწყევლო იგი.

### ბალაამის მესამე წინასწარმეტყველება

<sup>28</sup> და აიყვანა ბალაკმა ბალაამი ფელორის წვერზე, რომელიც უდაბნოს გადაჭყურებს. <sup>29</sup> და უთხრა ბალაამმა ბალაკს: ააგე აქ შვიდი სამსხვერპლო და გამიმზადე შვიდი მოზვერი და შვიდი ვერძი. <sup>30</sup> და გააკეთა ბალაკმა, როგორც თქვა ბალაამმა. და აღავლინა თითო მოზვერი და თითო ვერძი თითოეულ სამსხვერპლოზე.

**24** <sup>1</sup> დაინახა ბალაამმა, რომ კეთილი იყო უფლის თვალში ისრაელის დალოცვა და არ წავიდა წინანდებურად საჯადოქროდ და უდაბნოსაკენ იბრუნა პირი. <sup>2</sup> და გაიხედა ბალაამმა და დაინახა ისრაელი. შტოებად დაწყობილი, და ღვთის სული გადმოვიდა მასზე. <sup>3</sup> და წარმოთქვა თავისი იგავი: ნათქვამი ბალაამისა, ბეყორის ძისა, ნათქვამი თვალგანხმული კაცისა, <sup>4</sup> ნათქვამი ღვთის სიტყვათა გამგონისა, რომელიც ხედავს ხილვებს ყოვლადძლიერისაგან. ეცემა, მაგრამ თვალეზი ღია აქვს. <sup>5</sup> რა მშვენიერია შენი კარვები, იაკობ! შენი სადგომები, ისრაელ! <sup>6</sup> როგორც გაშლილი ჭალები, როგორც ბალები მდინარის პირას, როგორც უფლის დარგული ალვები, როგორც წყლისპირა კედრები. <sup>7</sup> იდინებს წყალი მისი სარწყულეებიდან და მისი თესლი დიდ წყლებში იქნება, აგაგზე უფრო

ამაღლდება მისი მეფე და აღზევდება მისი სამეფო. <sup>8</sup> ღმერთია მისი გამომყვანებელი ეგვიპტიდან, მარტორქის ძალაა იგი მისთვის, ჭამს მის მტრებს, ძვლებს უმტვრევს და თავისი ისრებით გმირავს. <sup>9</sup> ჩაიშხლა, გაწვა ხვადი ლომივით და ძუ ლომივით, ვინ წამოაგდება? დალოცვილია შენი დამლოცველი და დაწყევლილია შენი მაწყევარი. <sup>10</sup> და რისხვით აინთო ბალაკი ბალაამის მიმართ და ხელი ხელს შემოჰკრა, და უთხრა ბალაკმა ბალაამს: ჩემი მტრების შესაჩვენებლად დაგიძახე, შენ კი უკვე მესამეგზის ლოცავ მათ. <sup>11</sup> ახლა გაიქეცი შენს ადგილას. ვიფიქრე, პატივს ვცემ-მეთქი და, აჰა, დაგიკავა უფალმა პატივი. <sup>12</sup> და უთხრა ბალაამმა ბალაკს: ხომ ვუთხარი შენს გამოგზავნილ მოციქულებს: <sup>13</sup> ოქრო-ვერცხლით ავსებული მთელი თავისი სახლიც რომ მომცეს ბალაკმა, მაინც ვერ გადავალ უფლის, ჩემი ღმერთის, ბრძანებას. ვერც კარგს გავაკეთებ, ვერც ცუდს-მეთქი ჩემი ნებით. რასაც უფალი იტყვის, მეც იმას ვიტყვი-მეთქი? <sup>14</sup> და ახლა, აჰა, მე მივდივარ ჩემს ხალხთან, მოდი, გაგიცხადებ, რას უბამს ეს ხალხი შენს ხალხს მომავალში.

### **ბალაამის მეოთხე წინასწარმეტყველება**

<sup>15</sup> და წარმოთქვა თავისი იგავი: ნათქვამი ბალაამისა, ბეყო-რის ძისა, ნათქვამი თვალგანხმული კაცისა; <sup>16</sup> ნათქვამი ღვთის სიტყვათა გამგებისა, უზენაესის ზრახვათ შემცნობისა; რომელიც ხედავს ხილვებს ყოვლადძლიერისგან, ეცემა, მაგრამ ღია აქვს თვალები. <sup>17</sup> ვხედავ მას, მაგრამ არა ახლა; ვუყურებ მას, მაგრამ არა ახლოდან. ამოდის ვარსკვლავი იაკობისაგან და აღიმართება კვერთხი ისრაელისაგან; მოწყლავს მოაბის მთავრებს და გაანადგურებს შეთის მთელს მოდგმას. <sup>18</sup> და საკუთრებად იქცევა ედომი, თავისი მტრების საკუთრებად იქცევა სეყირი, და ისრაელი მოიკრეფს ძალას. <sup>19</sup> და იბატონებს იაკობისაგანი და გაანადგურებს ქალაქში დარჩენილთ. <sup>20</sup> და დაინახა ყამალეკი და წარმოთქვა თავისი იგავი: პირველია ხალხებ-

ში ყამალეკი, მაგრამ მისი ბოლო განადგურებაა. <sup>21</sup> და დაინახა კენიელები და წამოწყო თავისი იგავი და თქვა: მაგარია შენი სამყოფელი და კლდეზე მოგიწყვია ბუდე. <sup>22</sup> თუ გაცამტვერ- და კაენი, ვიდრე აშური ტყვედ ჩაგიგდებდეს? <sup>23</sup> და წამოიწყო თავისი იგავი და თქვა: ვაი, ვინ დარჩება ცოცხალი, როცა ამას მოახდენს ღმერთი? <sup>24</sup> და მოვლენ ხომალდები ხეთელთა მხრიდან და მოთრგუნავენ აშურს, და მოთრგუნავენ ყებერს, და თავადაც დაილუპებიან. <sup>25</sup> და ადგა ბალაამი და წავიდა, და დაბრუნდა თავის ადგილზე. და ბალაკიც წავიდა თავისი გზით.

**ბაალ-ფელორი**

**25** <sup>1</sup> და ცხოვრობდა შიტიმში ისრაელი და დაიწყო გარყვნილება ხალხმა მოაბის ასულებთან. <sup>2</sup> და იწვევდნენ ის ქალები ხალხს თავიანთი ღმერთების ნაკერპავებზე და ჭამდა ხალხი და თავყანს სცემდა მათ ღმერთებს. <sup>3</sup> და შეეუღლა ისრაელი ბაალ-ფელორს და რისხვით აინთო უფალი ისრაელის მიმართ. <sup>4</sup> და უთხრა უფალმა მოსეს: აიღე და ჩამოკიდე უფლისათვის მზისით ხალხის ყველა თავკაცი და გადავა უფლის რისხვა ისრაელისაგან. <sup>5</sup> და უთხრა მოსემ ისრაელის მსაჯულებს: მოკლას თითოეულმა თავისი ხალხიდან, ვინც კი ბაალ-ფელორს შეეუღლა. <sup>6</sup> და აჰა, მოვიდა კაცი ისრაელიანთაგან და მიიყვანა თავის ძმებთან მიდიანელი ქალი მოსეს თვალწინ და ისრაელიანთა მთელი საზოგადოების თვალწინ, ისინი კი ტიროდნენ თავშეყრის კარვის შესასვლელთან. <sup>7</sup> და დაინახა ფინხასმა, ძემ ელიაზარისა, აარონ მღვდლის ძისა, და წამოდგა საზოგადოებაში და ხელში შუბი იპყრა. <sup>8</sup> და შეჰყვა იმ ისრაელიანს ოთახში და უგმირა შუბი ორთავეს — ისრაელიანს და ქალს — მუცელში. და შეწყდა შავი ჭირი ისრაელიანებზე. <sup>9</sup> გაწყდა შავი ჭირის დროს ოცდაოთხი ათასი კაცი. <sup>10</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>11</sup> ფინხასმა, ძემ ელიაზარისა,

რისა, აარონ მღვდლის ძისა, აარიდა ჩემი რისხვა ისრაელიანებს, რადგან შური აღეძრა თქვენს შორის ჩემს გამო და მე არ გავწყვიტე ისრაელიანები ჩემი შურით. <sup>12</sup> ამიტომ უთხარი: აჰა, მე ვაძლევ მას მშვიდობის აღთქმას. <sup>13</sup> და ჰქონდეს მას და მის შთამომავლობას საუკუნო მღვდლობის აღთქმა იმის სანაცვლოდ, რომ შურით აღივსო თავისი ღმერთის გამო და გამოითხოვა ისრაელის შენდობა. <sup>14</sup> და სახელი მოკლული ისრაელიანისა, რომელიც მოიკლა მიდიანელ ქალთან ერთად, იყო ზიმრი, სალუს ძე, სიმეონიანთა მოდგმის თავკაცი. <sup>15</sup> და სახელი მოკლული მიდიანელი ქალისა იყო ქობზი, ასული ცურისა, უმოთის მეთაურისა. მიდიანის მოდგმის იყო იგი. <sup>16</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>17</sup> ემტერეთ მიდიანელებს და მუსრი ავლეთ, <sup>18</sup> რადგან მტრულად მოგექცნენ, როცა გაცთუნეს ფეგორით და ქობზით, მიდიანელთა თავკაცის ასულით, თავიანთი დით, რომელიც მოიკლა ფელორის გამო თავსდამტყდარი შავი ჭირის დღეს.

## აღწერა

**26** <sup>1</sup> და იყო შავი ჭირის შემდეგ, უთხრა უფალმა მოსეს და ელიაზარს, აარონ მღვდლის ძეს: <sup>2</sup> აღრიცხე ისრაელიანთა მთელი საზოგადოება ოცი წლიდან მოყოლებული, მათ მამისსახლთა მიხედვით, ყველა, ვისაც ლაშქრად გასვლა შეუძლია ისრაელში. <sup>3</sup> და ელაპარაკნენ მათ მოსე და ელიაზარ მღვდელი მოაბის ველზე, იორდანესთან, იერიხონის მახლობლად. <sup>4</sup> ოცი წლიდან მოყოლებული, როგორც ამცნო უფალმა მოსეს და ისრაელიანებს, რომლებიც ეგვიპტის ქვეყნიდან გამოვიდნენ. <sup>5</sup> რეუბენი — ისრაელის პირმშო. რეუბენის ძენი: ხანოქი — ხანოქელთა საგვარეულო; ფალუსაგან ფალუელთა საგვარეულო. <sup>6</sup> ხეცრონისაგან ხეცრონელთა საგვარეულო, ქარმისაგან ქარმიელთა საგვარეულო. <sup>7</sup> ეს არის რეუბენიანთა

საგვარეულოები. მათი რიცხვი იყო ორმოცდასამი ათას შვიდას ოცდაათი. <sup>8</sup> და ფალუს ძენი: ელიაბი, <sup>9</sup> და ელიაბის ძენი: ნემუელი, დათანი, აბირამი. ეს ის დათანი და აბირამი იყვნენ, საზოგადოების რჩეულნი, რომლებმაც აუტეხეს ჯანყი მოსეს და აარონს კორახის დასთან ერთად, როცა აუჯანყდნენ უფალს. <sup>10</sup> და გახსნა პირი მიწამ და შთანთქა ისინი და კორახი, როცა განადგურდა დასი, როცა ცეცხლმა შეჭამა ორასორმოცდაათი კაცი. და სასწაულად იქცნენ ისინი. <sup>11</sup> და კორახის ძენი არ დახოცილან. <sup>12</sup> სიმეონიანები საგვარეულოების მიხედვით: ნემუელისაგან ნემუელთა საგვარეულო, იამინისაგან იამინელთა საგვარეულო, იაქონისაგან იაქონელთა საგვარეულო, <sup>13</sup> ზერახისაგან ზერახელთა საგვარეულო, საულისაგან საულელთა საგვარეულო. <sup>14</sup> ესენია სიმეონელთა საგვარეულოები: ოცდაორი ათას ორასი. <sup>15</sup> გადიანები მათი საგვარეულოების მიხედვით: ცეფონისაგან ცეფონელთა საგვარეულო, ხაგისაგან ხაგელთა საგვარეულო, შუნისაგან შუნელთა საგვარეულო, <sup>16</sup> ოზნისაგან ოზნიელთა საგვარეულო, ერისაგან ერიელთა საგვარეულო. <sup>17</sup> აროდისაგან აროდელთა საგვარეულო. <sup>18</sup> ესენია გადიანთა საგვარეულოები. მათი რიცხვი იყო ორმოცი ათას ხუთასი. <sup>19</sup> იუდიანები: ყერი და ონანი, დაიხოცნენ ყერი და ონანი ქანაანის ქვეყანაში. <sup>20</sup> და იყვნენ იუდიანები მათი საგვარეულოების მიხედვით: შელასაგან შელაელთა საგვარეულო, ფერეცისაგან ფერეცელთა საგვარეულო, ზერახისაგან ზერახელთა საგვარეულო. <sup>21</sup> ფერეციანები იყვნენ: ხეცრონისაგან ხეცრონელთა საგვარეულო, ხამულისაგან ხამულელთა საგვარეულო. <sup>22</sup> ესენი არიან იუდას საგვარეულოები რიცხვით სამოცდათექვსმეტი ათას ხუთასი. <sup>23</sup> ისაქარიანები მათი საგვარეულოების მიხედვით: თოლასაგან თოლაელთა საგვარეულო, ფუვასაგან ფუვაელთა საგვარეულო. <sup>24</sup> იაშუბისაგან იაშუბელთა საგვარეულო, შიმრონისაგან შიმრონელთა საგვარეულო. <sup>25</sup> ესენია ისაქარის საგვარეულოები რიცხვით სამოცდაოთხი ათას სამასი. <sup>26</sup> ზებულონიანები მათი საგვარე-

ულოების მიხედვით: სერედისაგან სერედელები, ელონისაგან ელონელები, იახლიელისაგან იახლიელები. <sup>27</sup> ესენია ზებულონელთა საგვარეულოები, რიცხვით სამოციათას ხუთასი. <sup>28</sup> იოსებიანები მათი საგვარეულოების მიხედვით: მენაშე და ეფრემი. <sup>29</sup> მენაშეანები: მაქირისაგან მაქირელთა საგვარეულო. მაქირმა შვა გალაადი, გალაადისაგან გალაადელთა საგვარეულო. <sup>30</sup> ესენია გალაადიანები: იეზერისაგან იეზერელთა საგვარეულო, ხელევისაგან ხელეველთა საგვარეულო, <sup>31</sup> ასრიელისაგან ასრიელელთა საგვარეულო, შექემისაგან შექემელთა საგვარეულოს მიხედვით: შუთელახისაგან შუთელახელთა საგვარეულო, ხეფერისაგან ხეფერიელთა საგვარეულო. <sup>33</sup> და ცელაფხად ხეფერის ძეს არ ჰყავდა ვაჟები, არამედ მხოლოდ ქალიშვილები. და ცელაფხადის ქალიშვილების სახელებია: მახლა, ნოა, ხოლგა, მოლქა და თირცა. <sup>34</sup> ესენია მენაშეს საგვარეულოები, მათი რიცხვი იყო ორმოცდათორმეტი ათას შვიდასი. <sup>35</sup> ესენი არიან ეფრემიანები მათი საგვარეულოების მიხედვით: შუთელახისაგან შუთელახელები, ბექერისაგან ბექერელები, თახანისაგან თახანელები. <sup>36</sup> ესენი არიან შუთელახიანები: ყერანისაგან ყერანელთა საგვარეულო. <sup>37</sup> ესენია ეფრემიანელთა საგვარეულოები რიცხვით ოცდათორმეტი ათას ხუთასი. ესენი არიან იოსებიანები მათი საგვარეულოების მიხედვით. <sup>38</sup> ბენიამინელები მათი საგვარეულოების მიხედვით: ბელასაგან ბელაელთა საგვარეულო, აშბელისაგან აშბელელთა საგვარეულო. ახირამისაგან ახირამელთა საგვარეულო, <sup>39</sup> შეფუფიმისაგან შეფუფიმელთა საგვარეულო, ხუფამისაგან ხუფამელთა საგვარეულო. <sup>40</sup> ბელაყიანები იყვნენ: არდი და ნაყამანი. არდელთა საგვარეულო, ნაყამანელთა საგვარეულო. <sup>41</sup> ესენი არიან ბენიამინიანები მათი საგვარეულოების მიხედვით. მათი რიცხვი იყო ორმოცდახუთი ათას ექვსასი. <sup>42</sup> ესენი არიან დანიანები მათი საგვარეულოების მიხედვით: შუხამისაგან შუხამელთა საგვარეულო. ესენია დანის საგვარეულოები მათ საგვარეულოთა მიხედვით. <sup>43</sup> შუხამელთა

მთელი საგვარეულო რიცხვით ორმოცდაოთხი ათას ოთხასი.<sup>44</sup> აშერიანები მათი საგვარეულოების მიხედვით: იმნასაგან იმნაელთა საგვარეულო, იშვასაგან იშვაელთა საგვარეულო, ბერიყასაგან ბერიყელთა საგვარეულო.<sup>45</sup> ბერიყიანთაგან, ხე-ბერისაგან ხებერელთა საგვარეულო, მალქიელისაგან მალქიელთა საგვარეულო.<sup>46</sup> აშერის ასულის სახელი იყო სარახი.<sup>47</sup> ესენია აშერიანთა საგვარეულოები, რიცხვით ორმოცდაცამეტი ათას ოთხასი.<sup>48</sup> ნეფთალიანები მათი საგვარეულოების მიხედვით: იახციელისაგან იახციელელთა საგვარეულო, გუნისაგან გუნიელთა საგვარეულო,<sup>49</sup> იეცერისაგან იეცერელთა საგვარეულო, შილემისაგან შილემელთა საგვარეულო.<sup>50</sup> ესენია ნეფთალიანთა საგვარეულოები მათი საგვარეულოების მიხედვით. მათი რიცხვი იყო ორმოცდახუთი ათას ოთხასი.<sup>51</sup> ეს არის რიცხვი ისრაელიანთა: ექვსასი ათას შვიდასოცდაათი.<sup>52</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>53</sup>ამათ დაუნაწილებ ქვეყანას სამკვიდროებად სახელთა რიცხვის მიხედვით.<sup>54</sup> მრავალრიცხოვანს უფრო დიდი სამკვიდრო მიეცი, მცირერიცხოვანს — მცირე, თითოეულს რიცხოვნობის მიხედვით მიეცეს სამკვიდრო.<sup>55</sup> ოღონდ წილისყრით უნდა დანაწილდეს ქვეყანა, მამეული შტოების სახელთა მიხედვით მიიღონ სამკვიდრო.<sup>56</sup> წილისყრის პირობაზე უნდა დაუნაწილდეთ სამკვიდროები მრავალრიცხოვანთ და მცირერიცხოვანთ.

## ლევიათა რიცხვი

<sup>57</sup>ეს არის ლევიათა რიცხვი მათი საგვარეულოების მიხედვით: გერშონისაგან გერშონელთა საგვარეულო, კეჰათისაგან კეჰათელთა საგვარეულო, მერარისაგან მერარიელთა საგვარეულო.<sup>58</sup> ესენია ლევის საგვარეულოები: ლოზნიელთა საგვარეულო, ხებრონელთა საგვარეულო, მახლიელთა საგვარეულო, მუშიელთა საგვარეულო, კორახელთა საგვარეულო. კეჰათმა შვა ყამრამი.<sup>59</sup> ყამრამის ცოლი იყო იოქაბედი, ლევის

ასული, რომელიც ეგვიპტეში უშვა ცოლმა ლევის. მან კი ყამ-რამს უშვა აარონი, მოსე და მარიამი, მათი და. <sup>60</sup>და შეეძინა აარონს ნადაბი და აბიჰუ, ელიაზარი და ითამარი. <sup>61</sup>და და-იხოცნენ ნადაბი და აბიჰუ, როცა უფლის წინაშე უცხო ცეცხლი შეჭქონდათ. <sup>62</sup>ოცდასამი ათასი იყო მათი რიცხვი, ყველა მამა-კაცისა ერთი თვიდან მოყოლებული. არ აღრიცხულან ისინი ისრაელიანთა შორის, რაკი არ ჰქონდათ მიცემული სამკვიდრო ისრაელიანთა შორის. <sup>63</sup>ესენი არიან აღრიცხულნი მოსეს და ელეაზარ მღვდლის მიერ, რომელთაც აღრიცხეს ისრაელიანე-ბი მოაბის ტრამალზე, იორდანეს პირას, იერიხონის მახლობ-ლად. <sup>64</sup>და მათში არავინ ყოფილა აღრიცხულთაგან მოსეს და აარონ მღვდლის მიერ, რომელთაც აღრიცხეს ისრაელიანები სინაის უდაბნოში. <sup>65</sup>რადგან უთხრა მათ უფალმა: უსათუოდ დაიხოცებიან უდაბნოში და ვერავინ გადარჩება მათგან, ქალებ იეფუნეს ძისა და იესო ნავეს ძის გარდა.

**ასულთა სამკვიდრო**

**27** <sup>1</sup>და მივიდნენ ასულნი ცელაფხადისა, ხეფერის ძისა, გალაადის ძისა, მაქორის ძისა, მენაშეს ძისა, მენაშეს, იოსების ძის, საგვარეულოდან (მისი ასულების სახელებია: მახლა, ნოა, ხოგდა, მილქა და თირცა), <sup>2</sup>და წარდგნენ მოსეს წინაშე, ელეაზარ მღვდლის წინაშე, თავკაცებისა და მთელის საზოგადოების წინაშე თავშეყრის კარვის შესასვლელთან სათქმელად: <sup>3</sup>მამაჩვენი უდაბნოში მოკვდა და არ ყოფილა იგი უფლის წინააღმდეგ შეთქმულთა დასში, კორახის დასში, არამედ თავისი ცოდვის გამო მოკვდა და ვაჟები არ ჰყოლია. <sup>4</sup>რატომ უნდა გაქრეს მამაჩვენის სახელი მისი საგვარეულო-დან, იმის გამო, რომ ვაჟი არ ჰყავს? მოგვეცით ჩვენ სამკვიდ-რო მამაჩვენის ძმებს შორის. <sup>5</sup>მიიტანა მოსემ მათი სამართა-ლი უფლის წინაშე. <sup>6</sup>და უთხრა უფალმა მოსეს სათქმელად: <sup>7</sup>მართალს ამბობენ ცელაფხადის ასულნი. უნდა მისცე მათ



საკუთარი სამკვიდრო მათი მამის ძმებს შორის, მათზე უნდა გადაიტანო მათი მამის სამკვიდრო. <sup>8</sup> და ისრაელიანებს ელაპარაკე, რომ უთხრა: თუ ვინმე მოკვდა და ვაჟი არ ღარჩა, მისი სამკვიდრო მის ასულზე გადაიტანეთ. <sup>9</sup> და თუ ასული არ ჰყავს, მისი სამკვიდრო მის ძმებს მიეცით. <sup>10</sup> და თუ ძმები არ ჰყავს, მისი სამკვიდრო მამამისის ძმებს მიეცით. <sup>11</sup> და თუ მამის ძმები არ ჰყავს, მიეცით მისი სამკვიდრო მის ხორციით ნათესავს მისი საგვარეულოდან, რათა დაესაკუთროს მას. იყოს ეს ისრაელიანთათვის სამართლის წესად, როგორც ამცნო უფალმა მოსეს.

### იესო ნავეს ძის ხელდასხმა

<sup>12</sup> და უთხრა უფალმა მოსეს: ადი ამ ყაბარიმის მთაზე და გადახედე ამ ქვეყანას, რომელიც ისრაელიანებს მივეცი. <sup>13</sup> და დაინახავ მას და შენც შეერთვი შენს ხალხს, როგორც შენი ძმა, აარონი, შეერთო. <sup>14</sup> რადგან ეურჩეთ ჩემს ბრძანებას ცინის უდაბნოში, როცა უთანხმოება ჩამოვარდა საზოგადოებაში, რათა ჩემი სიწმიდე გამოცხადებულიყო მათ თვალწინ, წყლებთან (ეს არის მერობათ-კადეშის წყლები ცინის უდაბნოში). <sup>15</sup> ელაპარაკა მოსე უფალს სათქმელად: <sup>16</sup> დაუდგინოს უფალმა, ყოველი ხორციელის სულთა ღმერთმა, კაცი ამ საზოგადოებას, <sup>17</sup> ვინც გამოვა მათ წინაშე და ვინც შევა მათ წინაშე, ვინც გამოიყვანს მათ და ვინც შეიყვანს მათ, რომ არ დაემსგავსოს უფლის საზოგადოება უმწყემსოდ დარჩენილ ფარას. <sup>18</sup> და უთხრა უფალმა მოსეს: წაიყვანე იესო ნავეს ძე, რომელშიც არის სული, და დაადე მას ხელი. <sup>19</sup> და წარადგინე იგი ელიაზარ მღვდლის წინაშე და მთელი საზოგადოების წინაშე და დამოძღვრე ყველას თვალწინ. <sup>20</sup> და უწილადე შენი დიდება, რომ ემორჩილებოდეს მას ისრაელიანთა მთელი საზოგადოება. <sup>21</sup> და ელიაზარ მღვდლის წინაშე წარდგება იგი და გამოიკითხავს მისგან ურიმის სამართალს უფლის წინაშე.

მისი ბრძანებით გამოვლენ და მისი ბრძანებით შევლენ ის და მთელი ისრაელობა მასთან ერთად და მთელი საზოგადოება. <sup>22</sup> და გააკეთა მოსემ, როგორც ამცნო მას უფალმა. და წაიყვანა იესო და წარადგინა ელიაზარ მღვდლის წინაშე და მთელი საზოგადოების წინაშე. <sup>23</sup> და დაადო მას ხელი და დამოძღვრა იგი, როგორც ამცნო უფალმა მოსეს ხელით.

### ყოველდღიური მსხვერპლშეწირვანი

**28** <sup>1</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს, სათქმელად: <sup>2</sup> ამცნე ისრაელიანებს და უთხარი მათ: ნუ დაივიწყებთ, თავის დროზე შემომწიროთ საჩემო შესაწირავი, ჩემი პური, ჩემი საცეცხლო მსხვერპლისათვის, საჩემო კეთილსურნელება. <sup>3</sup> და უთხარი მათ: ეს არის საცეცხლო მსხვერპლი, რომელიც უნდა შესწიროთ უფალს: ორი წელგამოვლილი სალი კრავი დღეში — მუდმივი აღსავლენი მსხვერპლი. <sup>4</sup> ერთი კრავი დილით შესწირე, მეორე კრავი საღამოხანს შესწირე; <sup>5</sup> და *ების* მეათედი გამტკიცული ფქვილი საძღვნოდ, ჰინის მეოთხედ სუფთა ზეთში აზელილი. <sup>6</sup> მუდმივი აღსავლენი მსხვერპლი, დაწესებული სინაის მთაზე კეთილსურნელებისათვის — საცეცხლო მსხვერპლი უფლისათვის. <sup>7</sup> და მისი საღვრელი ჰინის მეოთხედი თითო კრავზე წმიდა ადგილზე დაუღვარე უფალს საღვრელი ზედაშე. <sup>8</sup> და მეორე კრავი საღამოხანს შესწირე; დილანდელი ძღვენი-თა და საღვრელითურთ შესწირე საცეცხლო მსხვერპლი. კეთილსურნელებად უფალს.

### შაბათი

<sup>9</sup> და შაბათ დღეს ორი წელგამოვლილი სალი კრავი და ორი მეათედი *ება* გამტკიცული ფქვილი, ძღვენი, ზეთში აზელილი, და მისი საღვრელი. <sup>10</sup> შაბათის აღსავლენი შაბათობით, მუდმივი აღსავლენისა და მისი საღვრელის გარდა.

## ახალმთვარობის შესაწირავი

<sup>11</sup>და ყოველი თვის დასაწყისში შესწირეთ აღსავლენად უფალს: ორი მოზვერი, ერთი ვერძი და შვიდი წელგამოვლილი საღი კრავი. <sup>12</sup>და სამი მეთედი ეფა გამტკიცული ფქვილი, ბეთში აბელილი, თითო მოზვერზე და ორი მეთედი ეფა განმტკიცული ფქვილი, ბეთში აბელილი, <sup>13</sup>და მეთედი ეფა გამტკიცული ფქვილი, ძღვენი, ბეთში აბელილი, თითო კრავზე აღსავლენი კეთილსურნელება, საცეცხლო მსხვერპლი უფლისათვის. <sup>14</sup>და მათი საღვრელი, ღვინო, ჰინის ნახევარი იყოს მოზვერზე, ჰინის მესამედი ვერძზე, ჰინის მეოთხედი კრავზე. ეს არის საახალმთვარეო აღსავლენი წელიწადის ყოველ თვეს. <sup>15</sup>ერთი ვაცი ცოდვის გამოსასყიდად უფლისათვის, მუდმივი აღსავლენის გარდა, გამზადდეს, და მისი საღვრელი.

## უფუარობის დღესასწაული

<sup>16</sup>და პირველ თვეს, თვის მეოთხმეტე დღეს, უფლის პასექია. <sup>17</sup>და ამ თვის მეთხთმეტე დღეს დღესასწაულია: შვიდ დღეს ხმადები უნდა იჭამოს. <sup>18</sup>პირველ დღეს წმიდა უქმეა: არაფერი საქმე არ უნდა აკეთოთ. <sup>19</sup>და შესწირეთ უფალს საცეცხლო აღსავლენი: ორი მოზვერი, ერთი ვერძი და შვიდი წელგამოვლილი კრავი. საღები უნდა გყავდეთ. <sup>20</sup>და მათი ძღვენი: გამტკიცული ფქვილი, ბეთში აბელილი, ეფის სამი მეთედი მოზვერზე, და ეფის ორი მეთედი ვერძზე გაამზადეთ. <sup>21</sup>ეფის მეთედი გაამზადეთ თითო კრავზე შვიდთ კრავთაგან. <sup>22</sup>და ერთი ვაცი ცოდვის გამოსასყიდად, რათა შეგენდოთ. <sup>23</sup>გარდა დილის აღსავლენისა, რომელიც მუდმივი აღსავლენია, გაამზადეთ ესენი. <sup>24</sup>ასე გაამზადეთ ყოველდღე შვიდეულში: პური, საცეცხლო მსხვერპლი, კეთილსურნელება უფლისათვის, გაამზადეთ, გარდა აღსავლენისა, მის საღვრელთან ერთად. <sup>25</sup>და მეშვიდე დღეს წმიდა წვეულება იყოს თქვენთვის: არაფერი საქმე არ აკეთოთ.

## შვიდეულების დღესასწაული

<sup>26</sup> და პირველნაყოფობის დღეს, როცა ახალი ძღვენი მიგაქვთ უფლისათვის, თქვენს შვიდეულებში, წმიდა წვეულება გქონდეთ: არაფერი საქმე არ აკეთოთ. <sup>27</sup> და შესწირეთ უფალს აღსავლენი კეთილსურნელებისათვის: ორი მოზვერი, ერთი ვერძი და შვიდი წელგამოვლილი კრავი. <sup>28</sup> და მათი ძღვენი: გამტკიცული ფქვილი ბეთში არეული, *ეფის* სამი მეთაედი თითო მოზვერზე, ორი მეთაედი თითო ვერძზე. <sup>29</sup> *ეფის* მეთაედი თითო კრავზე იმ შვიდ კრავთაგან. <sup>30</sup> ერთიც ვაცი თქვენი შენდობისათვის. <sup>31</sup> გარდა მუდმივი აღსავლენისა და მისი ძღვენისა, გაამზადეთ, საღები უნდა გყავდეთ, მათ საღვრელთან ერთად.

## ბუკისცემის დღე

**29** <sup>1</sup> და მეშვიდე თვეში, თვის პირველში წმიდა წვეულება გქონდეთ: არაფერი საქმე არ აკეთოთ, ბუკისცემის დღე იყოს თქვენთვის. <sup>2</sup> და გაუმზადეთ უფალს აღსავლენი კეთილსურნელება: ერთი მოზვერი, ერთი ვერძი და შვიდი წელგამოვლილი სალი კრავი, <sup>3</sup> და მათი ძღვენი გამტკიცული ფქვილი, ბეთში აბელილი — *ეფის* სამი მეთაედი მოზვერზე, ორი მეთაედი ვერძზე, <sup>4</sup> და *ეფის* ერთი მეთაედი თითო კრავზე იმ შვიდი კრავიდან, <sup>5</sup> და ერთიც ვაცი ცოდვის გამოსასყიდად, რათა შეგენდოთ. <sup>6</sup> გარდა ახალმთვარობის აღსავლენისა და მისი ძღვენისა, მუდმივი აღსავლენისა და მისი ძღვენისა და საღვრელისა, წესის მიხედვით, კეთილსურნელებად უფლისათვის, საცეცხლო მსხვერპლად.

## მსხვერპლშეწირვანი

<sup>7</sup> ამ მეშვიდე თვის ათში წმიდა წვეულება გქონდეთ, და შეიკავეთ თავი, არაფერი საქმე არ აკეთოთ. <sup>8</sup> შესწირეთ უფალს

აღსავლენი კეთილსურნელებად: ერთი მოზვერი, ერთი ვერძი და შვიდი წელგამოვლილი კრავი — საღები უნდა გყავდეთ; <sup>9</sup>მათი ძღვენი, გამტკიცული ფქვილი, ზეთში აბელილი: *ეფის* სამი მეთათედი მოზვერზე, ორი მეთათედი ერთ ვერძზე, <sup>10</sup>ერთი მეთათედი თითო კრავზე იმ შვიდი კრავიდან. <sup>11</sup>ერთი ვაცი ცოდვის გამოსასყიდად, გარდა ცოდვის გამოსასყიდისა შენდობისათვის, მუდმივი აღსავლენი მსხვერპლისა მისი ძღვენითურთ და მათთვის საღვრელისა. <sup>12</sup>და მეშვიდე თვის თხუთმეტში წმიდა წვეულება გქონდეთ, არაფერი საქმე არ აკეთოთ და იდღესასწაულეთ შვიდ დღეს უფლის დღესასწაული. <sup>13</sup>და შესწირეთ უფალს აღსავლენი, საცეცხლო მსხვერპლი — კეთილსურნელებად: ცამეტი მოზვერი, ორი ვერძი, და თოთხმეტი წელგამოვლილი კრავი — საღები უნდა იყვნენ, <sup>14</sup>და მათი ძღვენი: გამტკიცული ფქვილი — *ეფის* სამი მეთათედი თითო მოზვერზე ცამეტი მოზვერიდან, ორი მეთათედი თითო ვერძზე ორი ვერძიდან, <sup>15</sup>და მეთათედი თითო კრავზე თოთხმეტი კრავიდან. <sup>16</sup>და ერთი ვაცი ცოდვის გამოსასყიდად, გარდა მუდმივი აღსავლენისა, მისი ძღვენისა და მისი საღვრელისა. <sup>17</sup>და მეორე დღეს: თორმეტი მოზვერი, ორი ვერძი, თოთხმეტი წელგამოვლილი საღი კრავი, <sup>18</sup>ძღვენი და საღვრელი მოზვრებისათვის, ვერძებისათვის და ცხვრებისათვის მათი რიცხვისამებრ, წესის თანახმად. <sup>19</sup>და ერთი ვაცი ცოდვის გამოსასყიდად, გარდა მუდმივი აღსავლენისა, მისი ძღვენისა და მათი საღვრელისა. <sup>20</sup>და მესამე დღეს: თერთმეტი მოზვერი, ორი ვერძი, თოთხმეტი წელგამოვლილი საღი კრავი. პურის შესაწირავი და საღვრელი მოზვრებისათვის, ვერძებისათვის და კრავებისათვის მათი რიცხვისამებრ, წესის თანახმად. <sup>22</sup>და ერთი ვაცი ცოდვის გამოსასყიდად, გარდა მუდმივი აღსავლენი მსხვერპლისა, მისი ძღვენისა და მისი საღვრელისა. <sup>23</sup>და მეოთხე დღეს: ათი მოზვერი, ორი ვერძი, თოთხმეტი წელგამოვლილი საღი კრავი. <sup>24</sup>და მათი ძღვენი და მათი საღვრელი მოზვრებისათვის, ვერძებისათვის და კრავებისათვის, მათი რიცხვისამებრ,

წესის თანახმად.<sup>25</sup> და ერთი ვაცი ცოდვის გამოსასყიდად, გარდა მუდმივი აღსავლენისა, მისი ძღვენისა და მისი საღვრელისა.<sup>26</sup> და მეხუთე დღეს ცხრა მოზვერი, ორი ვერძი, თოთხმეტი წელგამოვლილი სალი კრავი.<sup>27</sup> და მათი ძღვენი და მათი საღვრელი მოზვრებისათვის, ვერძებისათვის და კრავებისათვის მათი რიცხვისამებრ, წესის თანახმად.<sup>28</sup> და ერთი ვაცი ცოდვის გამოსასყიდად, გარდა მუდმივი აღსავლენისა, მისი ძღვენისა და მისი საღვრელისა.<sup>29</sup> და მეექვსე დღეს: რვა მოზვერი, ორი ვერძი და თოთხმეტი ერთწლიანი სალი კრავი.<sup>30</sup> და მათი ძღვენი და მათი საღვრელი მოზვრებისათვის, ვერძებისათვის და კრავებისათვის, მათი რიცხვისამებრ, წესის თანახმად.<sup>31</sup> და ერთი ვაცი ცოდვის გამოსასყიდად, გარდა მუდმივი აღსავლენი მსხვერპლისა, მისი ძღვენისა და მისი საღვრელისა.<sup>32</sup> და მეშვიდე დღეს: შვიდი მოზვერი, ორი ვერძი და თოთხმეტი წელგამოვლილი სალი კრავი.<sup>33</sup> ძღვენი და საღვრელი მოზვრებისათვის, ვერძებისათვის და კრავებისათვის, მათი რიცხვისამებრ, წესის თანახმად.<sup>34</sup> და ერთი ვაცი ცოდვის გამოსასყიდად, გარდა მუდმივი აღსავლენი მსხვერპლისა, მისი ძღვენისა და მისი საღვრელისა.<sup>35</sup> და მერვე დღეს უქმობა გქონდეთ: არაფერი საქმე არ გააკეთოთ.<sup>36</sup> შესწირეთ უფალს აღსავლენი, საცეცხლო მსხვერპლი — კეთილსურნელებად: ერთი მოზვერი, ერთი ვერძი, შვიდი წელგამოვლილი სალი კრავი.<sup>37</sup> მათი ძღვენი და მათი საღვრელი მოზვრებისათვის, ვერძებისათვის და კრავებისათვის, მათი რიცხვისამებრ, წესის თანახმად.<sup>38</sup> და ერთი ვაცი ცოდვის გამოსასყიდად, გარდა მუდმივი აღსავლენისა, მისი ძღვენისა და მისი საღვრელისა.<sup>39</sup> ესენი გაუმზადეთ უფალს თქვენს დღესასწაულებში, თქვენს აღთქმათა, ნებაყოფლობით შესაწირავთა, თქვენს აღსავლენთა, თქვენს ძღვენთა, თქვენს საღვრელთა და თქვენს სამშვიდობოთა გარდა.

აღთქმის წესები

**30** <sup>1</sup>და უთხრა მოსემ ისრაელიანებს ყველაფერი ისე, როგორც ამცნო უფალმა მოსეს. <sup>2</sup>და ელაპარაკა მოსე ისრაელიანების შტოთა მეთაურებს სათქმელად: ეს არის სიტყვა, რომელიც გვამცნო უფალმა: <sup>3</sup>ვინც აღთქმას აღუთქვამს უფალს ან ფიცით დაიფიცებს, რასმე აღუკვეთს თავის თავს, მან არ უნდა შეშალოს თავისი სიტყვა, ყველაფერი უნდა შეასრულოს, რაც მისი ბაგეებიდან გამოდის. <sup>4</sup>და თუ ქალი ვინმე აღთქმას აღუთქვამს უფალს და რასმე აღიკვეთს თავისი მამის სახლში სიყმაწვილისას, <sup>5</sup>მამამისი გაიგებს მის აღთქმას და აღკვეთას, რაც მან თავის თავს აღუკვეთა, და არაფერს ეტყვის, უნდა შესრულდეს ყოველი აღთქმა და აღკვეთა, რაც თავის თავს აღუკვეთა ქალმა. <sup>6</sup>და თუ დაუშლის მამამისი, როცა გაიგებს, არ უნდა შესრულდეს არც ერთი მისი აღთქმა და აღკვეთა, რაც თავის თავს აღუკვეთა ქალმა, და უფალი აპატიებს მას, რადგან მამამისმა დაუშალა. <sup>7</sup>თუ თუ ქმართან ყოფნისას აღთქმები დარჩება მასზე ან წამოცდენილი სიტყვა, რითაც რაიმე აღუკვეთა თავის თავს, <sup>8</sup>და გაიგებს მისი ქმარი და როცა გაიგებს, არაფერს იტყვის, უნდა შესრულდეს მისი აღთქმები და აღკვეთები, რაც თავის თავს აღუკვეთა. <sup>9</sup>და როცა გაიგებს ქმარი და დაუშლის, მას შეუძლია გააუქმოს მისი აღთქმა, რომელიც მასზეა, და წამოცდენილი სიტყვა, რითაც რაიმე აღუკვეთა თავის თავს, და უფალი აპატიებს. <sup>10</sup>და ქვრივის ან ქმარგაყრილის აღთქმა და ყოველი აღკვეთა, რითაც რაიმე აღკვეთილი აქვს თავისი თავისთვის, უნდა შესრულდეს მასზე. <sup>11</sup>და თუ ქმრის სახლში დადებს აღთქმას ან რასმე აღუკვეთს თავის თავს ფიცით, <sup>12</sup>გაიგებს ქმარი, არაფერს ეტყვის და არ დაუშლის, უნდა შესრულდეს ყოველი მისი აღთქმა და ყოველი აღკვეთა, რითაც რაიმე აღუკვეთა თავის თავს. <sup>13</sup>და თუ გაუუქმებს ქმარი მათ, როცა გაიგებს, მაშინ ყოველი მისი პირიდან გამომავალი აღთქმა თუ აღკვეთა, არ შესრულდება, რადგან ქმრის

გაუქმებულია და უფალი აპატიებს მას. <sup>14</sup> ყოველ აღთქმას და აღკვეთის ყოველ ფიცს თავის მოსათრგუნად მისი ქმარი დაამტკიცებს და მისი ქმარი გააუქმებს. <sup>15</sup> და თუ ქმარი არაფერს ეტყვის მას დღიდან დღემდე, დამტკიცებული ექნება ყოველი მისი აღთქმა და ყოველი აღკვეთა, რაც მასზეა, რაკი არაფერი თქვა, როცა გაიგო. <sup>16</sup> და თუ მას შემდეგ გააუქმებს მათ, რაც გაიგებს, მასზე იქნება ქალის ცოდვა. <sup>17</sup> ეს არის წესები, რომლებიც ამცნო უფალმა მოსეს, ქმარსა და მის ცოლს შორის, მამასა და მის ქალიშვილის შორის, მის ყმაწვილობაში, მამამისის სახლში.

### ბრძოლა მიდიანთან

**31** <sup>1</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>2</sup> იძიე ისრაელიანთა შური მიდიანელებისაგან, მერე კი შეერთე შენს ხალხს. <sup>3</sup> და ელაპარაკა მოსე ხალხს სათქმელად: დარაზმეთ თქვენგან კაცები და დაესხან მიდიანს სალაშქროდ, რომ უფლის შური მიაგონ მიდიანს. <sup>4</sup> ათას-ათასი კაცი თითო შტოდან, ისრაელის ყოველი შტოდან გააგზავნეთ სალაშქროდ. <sup>5</sup> გაწვეული იქნა ისრაელის ათასეულთაგან ათას-ათასი კაცი თითო შტოდან, სულ თორმეტი ათასი სალაშქროდ დარაზმული კაცი. <sup>6</sup> და გაგზავნა ისინი მოსემ, ათასი კაცი თითო შტოდან, სალაშქროდ, აგრეთვე ფინხასი, ელიაზარ მღვდლის შვილი, სალაშქროდ წმიდა ტურჭლითა და საყიჟინო საყვირებით ხელში. <sup>7</sup> და გაილაშქრეს მიდიანზე, როგორც ამცნო უფალმა მოსეს და დახოცეს ყველა მამრი. <sup>8</sup> დახოცილებში იყვნენ მიდიანის მეფეები: ევი, რეკემი, ცური, ხური და რება — ხუთი მიდიანელი მეფე. და ბალაამი, ბეყორის ძეც მოკლეს მახვილით. <sup>9</sup> და დაატყვევეს ისრაელიანებმა მიდიანელი ქალები და ბავშვები და მთელი მათი საქონელი. და მოიალაფეს მთელი მათი ქონება და დოვლათი. <sup>10</sup> და ცეცხლს მისცეს ყველა მათი ქალაქი მათ საზღვრებში და ყველა დაბა. <sup>11</sup> და აიღეს მთელი ნადავლი და



მთელი ნაალაფარი კაციდან პირუტყვამდე.<sup>12</sup> და მივიდნენ მოსესთან, ელიაზარ მღვდელთან და ისრაელიანთა საზოგადოებასთან ტყვეებით, ნაალაფარით და ნადავლითურთ, ბანაკში, მოაბის ტრამალეებზე, იორდანის პირას, იერიქონის გასწვრივ.

### დარისხებულთა დახოცვა და ნადავლის სუფთაყოფა

13 და გავიდნენ ბანაკიდან მათ შესახვედრად მოსე, ელიაზარ მღვდელი და საზოგადოების მთელი თავკაცობა.<sup>14</sup> და განურისხდა მოსე ლაშქრის უფროსებს, ათასისთავებს და ასისთავებს, რომლებიც ბრძოლის ველიდან მობრუნდნენ.<sup>15</sup> და უთხრა მათ მოსემ: ცოცხალი დატოვეთ ყველა ქალი?<sup>16</sup> განა მათი მიზეზით არ განუდგნენ ისრაელიანები უფალს, ბალაამის რჩევით, და გადაამეტეს ფელორის ცოდვას, რის გამოც მოხდა შავი ჭირი უფლის საზოგადოებაში?<sup>17</sup> და ახლა გაწყვიტეთ ბავშვებში ყოველი მამროვანი და ყოველი ქალი, რომელსაც შეცნობილი ჰყავს მამაკაცი მამრის საწოლზე, მოკალით.<sup>18</sup> და ყოველი დედროვანი ბავშვებში, რომლებსაც არ შეუცნითა მამაკაცი მამრის საწოლზე, ცოცხალი დაიტოვეთ.<sup>19</sup> თქვენ კი შვიდ დღეს ბანაკის გარეთ დარჩით. ყველანი, ვინც კაცი მოკლა, ან ვინც მოკლულს მიეკარა, მესამე დღეს და მეშვიდე დღეს გასუფთავდით თქვენ და თქვენი ტყვეები.<sup>20</sup> და მთელი ტანისამოსი, ტყავის ყოველი ნივთი, ყველაფერი, რაც თხისურისაგან არის ნაკეთები და ხის ყოველი ჭურჭელი, სუფთა-ჰყავით.<sup>21</sup> და უთხრა ელიაზარ მღვდელმა მოლაშქრეებს, რომლებიც ომში იყვნენ ნამყოფი: ეს არის რჯულის კანონი, რომელიც ამცნო უფალმა მოსეს.<sup>22</sup> ოღონდ ოქრო-ვერცხლი, სპილენძი, რკინა, თუთია და ტყვია,<sup>23</sup> ყოველი ნივთი, რომელიც უძლებს ცეცხლს, გაატარეთ ცეცხლში, და გასუფთავდება. პკურების წყლითაც სუფთა-ჰყავით. ყველაფერი, რაც ცეცხლს ვერ უძლებს, წყალში გაავლეთ.<sup>24</sup> და გაირეცხეთ ტანისამოსი მეშვიდე დღეს და გასუფთავდით და ამის მერე შედით ბანაკში.

## ნადავლის განაწილება

<sup>25</sup> და უთხრა უფალმა მოსეს სათქმელად: <sup>26</sup> აღრიცხეთ ნადავლი კაციდან პირუტყვამდე შენ, ელიაზარ მღვდელმა და საზოგადოების მამამთავრებმა. <sup>27</sup> და შუაზე გაუყავი ნადავლი ლაშქრობაში ნამყოფ მეომრებს და მთელ საზოგადოებას. <sup>28</sup> და გამოართვი უფლისათვის ხარკი ლაშქრობაში ნამყოფ მებრძოლებს: თითო სული ხუთასზე — ადამიანიდან და ხვასტაგიდან, სახედრებიდან და ცხვრებიდან. <sup>29</sup> და აიღე მათი ნახევრიდან და მიეცით ელიაზარ მღვდელს უფლის ძღვენი. <sup>30</sup> და ისრაელიანთა ნახევრიდან აიღე თითო წილი ორმოცდაათზე ადამიანიდან, ხვასტაგიდან, სახედრებიდან, ცხვრებიდან, საქონელიდან, და მიეცით ეს ლევიანებს, რომლებიც უფლის კარვის სამსახურს ასრულებენ. <sup>31</sup> და გააკეთეს მოსემ და ელიაზარ მღვდელმა, როგორც ამცნო უფალმა მოსეს. <sup>32</sup> და იყო ალაფი, მოლაშქრეთაგან დატაცებული ნადავლის გარდა, ცხვარი ექვსას სამოცდათხუთმეტი ათასი, <sup>33</sup> ხვასტაგი — სამოცდათორმეტი ათასი. <sup>33</sup> სახედარი — სამოცდაერთი ათასი. <sup>35</sup> და ქალები, რომელთაც არ ჰყავდათ შეცნობილი მამაკაცი მამრის საწოლზე, სულ იყვნენ ოცდათორმეტი ათასი სული. <sup>36</sup> და იყო ლაშქარში ნამყოფთა ნახევარი წილი რიცხვით: ცხვარი სამასოცდაჩვიდმეტი ათას ხუთასი; <sup>37</sup> უფლის ხარკი ცხვრიდან — ექვსას სამოცდათხუთმეტი; <sup>38</sup> ხვასტაგი — ოცდათექვსმეტი ათასი და უფლის ხარკი სამოცდათორმეტი. <sup>39</sup> სახედარი — ოცდაათი ათას ხუთასი და უფლის ხარკი სამოცდაერთი. <sup>40</sup> ადამიანი — თექვსმეტი ათასი სული და უფლის ხარკი — ოცდათორმეტი სული. <sup>41</sup> და ჩააბარა მოსემ ხარკი, უფლის ძღვენი ელიაზარ მღვდელს, როგორც ამცნო უფალმა მოსეს. <sup>42</sup> და ისრაელიანთა კუთვნილი ნახევრიდან, რომელიც ჩამოართვა მოსემ ლაშქარში ნამყოფთ. <sup>43</sup> და იყო საზოგადოებისათვის განკუთვნილი ნახევარი: ცხვარი სამას ოცდაშვიდი ათას ხუთასი, <sup>44</sup> ხვასტაგი — ოცდათექვსმეტი ათასი, <sup>45</sup> სახედარი — ოცდაათი ათას ხუთას-

სი, <sup>46</sup> და ადამიანი — თექვსმეტი ათასი სული. <sup>47</sup> და აიღო მოსემ ისრაელიანთათვის განკუთვნილი ნახევრიდან ორმოცდამეათედი წილი — ადამიანი და პირუტყვი — და მისცა ისინი ლევიანებს, უფლის კარვის სამსახურის შემსრულებლებს, როგორც ამცნო უფალმა მოსეს.

## შესაწირავები

<sup>48</sup> და მივიდნენ მოსესთან ლაშქრის ათასეულთა მეთაურები — ათასისთავები და ასისთავები — <sup>29</sup> და უთხრეს მოსეს: დაითვალეს შენმა მსახურებმა მეომრები, რომლებიც ჩვენს ხელქვეით არიან, და არც-ერთი მათგანი არ აკლია. <sup>50</sup> და შემოგვიწირავს საუფლო შესაწირავი, თითოეულმა რაც იპოვა ოქროს ნივთებიდან — სალტეები და სამაჯურები, ბეჭდები, საყურეები და ყელსაბამები, ჩვენი სულების შესანდობლად უფლის წინაშე. <sup>51</sup> და ჩაიბარეს მოსემ და ელიაზარ მღვდელმა მათგან ოქროულობა, ყველა ეს სამკაული. <sup>52</sup> და იყო მთელი ოქრო, რომელიც ძღვნად მიუტანეს უფალს ათასისთავებმა და ასისთავებმა, სულ თექვსმეტი ათას შვიდას ორმოცდაათი შეკელი. <sup>53</sup> მოლაშქრეთაგან თითოეულმა თავისი წილი დაიტაცა. <sup>54</sup> და მიიღეს მოსემ და ელიაზარ მღვდელმა ოქროულობა ასისთავებისაგან და შეიტანეს თავშეყრის კარავში, ისრაელიანთა სამახსოვროდ, უფლის წინაშე.

## წიაღიორდანის განაწილება

**32** <sup>1</sup> და დიდძალი საქონელი ჰყავდათ რეუბენიანებს და გადიანებს. და ნახეს მათ იაცზერისა და გალაადის ქვეყანა და, აჰა, საქონლისათვის იყო გამოსადეგი ის ადგილები. <sup>2</sup> და მივიდნენ გადიანები და რეუბენიანები და ასე უთხრეს მოსეს, ელეაზარ მღვდელს და საზოგადოების თავკაცებს: <sup>3</sup> ყატაროთი, დიბონი, იაცზერი, მინრა, ხეშბონი, ელყალე, სებამი, ნებო

და ბეყონი, <sup>4</sup> ქვეყანა, რომელიც შემუსრა უფალმა ისრაელის საზოგადოების წინაშე, გამოსადეგია საქონლისათვის, შენს მსახურთ კი ჰყავთ საქონელი. <sup>5</sup> თქვეს: თუ მადლი გვიპოვინა შენს თვალში, მოეცეს ეს ქვეყანა შენს მსახურებს საკუთრებად. ნუ გადაგვიყვან იორდანეს გაღმა. <sup>6</sup> და უთხრა მოსემ გადიანებს და რეუბენიანებს: თქვენი ძმები საბრძოლველად წავლენ, თქვენ კი აქ დარჩებით? <sup>7</sup> რისთვის უშლით ისრაელიანებს იმ ქვეყანაში გადასვლას, რომელიც თქვენ მოგცა უფალმა? <sup>8</sup> ასე მოიქცნენ თქვენი მამები, როცა კადემ-ბარნეადან გავგზავნე ქვეყნის დასაზვერად. <sup>9</sup> და მივიდნენ ეშქოლის ხევამდე და ნახეს ქვეყანა, და დაუშალეს ისრაელიანებს იმ ქვეყანაში შესვლა, რომელიც უფალმა მისცა მათ. <sup>10</sup> და აღინთო უფლის რისხვა იმ დღეს და ასე დაიფიცა მან: <sup>11</sup> აბა, თუ იხილონ ეგვიპტიდან ამოსულმა ამ კაცებმა, ათი წლიდან მოყოლებულებმა, ის მიწა, რომლის მიცემასაც შევპირდი ფიცით აბრაამს, ისაკს და იაკობს, რადგან არ მომდევნე მე, <sup>12</sup> გარდა ქალებ იეფუნეს ძისა, კენიზელისა, და იესო ნავეს ძისა, რადგან ისინი მისდევნენ უფალს. <sup>13</sup> და აღინთო უფლის რისხვა ისრაელის მიმართ და ახეტიალებდა მათ უდაბნოში ორმოც წელს, ვიდრე არ გადავიდა მთელი თაობა, რომელიც ბოროტად იქცეოდა უფლის თვალში. <sup>14</sup> და, აჰა, ახლა თქვენ აღმდგარხართ თქვენი მამა-პაპის ნაცვლად, ცოდვილთა ნაშობნო, რათა კიდევ უფრო იმატოს უფლის რისხვამ ისრაელის მიმართ. <sup>15</sup> თუ მისგან მიიქცევით, კიდევ მიატოვებს მას უდაბნოში და დალუპავთ მთელს ამ ხალხს. <sup>16</sup> და მიადგნენ მას და უთხრეს: ფარეხებს ავიშენებთ ჯოგისათვის აქ და ქალაქებს ბავშვებისათვის, <sup>17</sup> და ჩვენ დარაზმულნი წავუძღვებით წინ ისრაელიანებს, ვიდრე თავ-თავიანთ ადგილებამდე არ მივიყვანთ მათ, ჩვენი ბავშვები კი გამაგრებულ ქალაქებში დარჩებიან, რომ არაფერი ევნოთ ქვეყნის მკვიდრთაგან. <sup>18</sup> არ დავბრუნდებით სახლებში, ვიდრე არ დაიმკვიდრებს თითოეული ისრაელიანი თავის სამკვიდროს. <sup>19</sup> რადგან არ დავიმკვიდრებთ მათთან ერთან იორდანეს გაღმა და იქით, რადგან

იორდანეს გამოღმა, აღმოსავლეთით შეგვხვდება სამკვიდრო. <sup>20</sup> და უთხრა მათ მოსემ: თუ ასე მოიქცევით, თუ შეიჭურვებით საომრად უფლის წინაშე, <sup>21</sup> და შეჭურვილი გადავა თითოეული თქვენგანი იორდანეს გაღმა უფლის წინაშე, ვიდრე არ აყრის უფალი თავის მტრებს თავის წინაშე <sup>22</sup> და არ დაემორჩილება ქვეყანა უფალს, მერე დაბრუნდებით და უბრალონი იქნებით უფალთან და ისრაელთან, თქვენი საკუთრება გახდება ეს ქვეყანა უფლის წინაშე. <sup>23</sup> თუ ასე არ მოიქცევით, შესცოდავთ უფალს და დაიმსახურებთ სასჯელს, რომელიც გეწევათ თქვენ. <sup>24</sup> აიშენეთ ქალაქები თქვენი ბავშვებისათვის და ფარეხები ცხვრისათვის. რაც თქვენი ბაგეებიდან გამოვა, ის აკეთეთ. <sup>25</sup> და უთხრეს გადიანებმა და რეუბენიანებმა მოსეს: ისე მოიქცვიან შენი მსახურნი, როგორც ჩვენი ბატონი გვამცნობს. <sup>26</sup> ჩვენი ბავშვები, ჩვენი ცოლები, ჩვენი საქონელი და მთელი ჩვენი პირუტყვი დარჩებიან აქ, გალაადის ქალაქებში. <sup>27</sup> შენი მსახურნი კი, ყველანი სალაშქროდ დარაზმული გავლენ უფლის წინაშე საბრძოლველად, როგორც ჩვენი ბატონი ამბობს. <sup>28</sup> და ამცნო მათთვის მოსემ ელიაზარ მღვდელს, იესო ნავეს ძეს და ისრაელიანების შტოთა მამამთავრებს. <sup>29</sup> და უთხრა მათ მოსემ: თუ გადავლენ გადიანები და რეუბენიანები თქვენთან ერთად იორდანეს გაღმა საომრად დარაზმულნი უფლის წინაშე და დამორჩილდება ის ქვეყანა თქვენს წინაშე, მიეცით მათ გალაადის ქვეყანა საკუთრებად. <sup>30</sup> და თუ არ გადავლენ დარაზმულნი თქვენთან ერთად, მაშინ თქვენ შორის მიიღებენ წილს ქანაანის ქვეყანაში. <sup>31</sup> და მიუგეს გადიანებმა და რეუბენიანებმა სათქმელად: როგორც უფალი ელაპარაკა შენს მსახურთ, ისე მოვიქცევით. <sup>32</sup> ჩვენ გავალთ დარაზმულნი უფლის წინაშე ქანაანის ქვეყანაში, ჩვენი სამკვიდროს საკუთრება კი იორდანეს გამოღმა იქნება. <sup>33</sup> და მისცა მოსემ მათ — გადიანებს, რეუბენიანებს, და მენაშეს, იოსების ძის, ნახევარ შტოს სიხონ ამორეველთა მეფის სამეფო, ბაშანის მეფის ყოგის სამეფო, ქვეყანა თავისი ქალაქებითა და სანახებითურთ, ქვეყნის

ქალაქები ირგვლივ. <sup>34</sup> და ააშენეს გადინებმა დიბონი, ყატაროთი და ყაროერი, <sup>35</sup> ყატაროთ-შოფანი, იაყბერი და იაგბეჰა, <sup>36</sup> ბეთ-ნიმრა, ბეთ-ჰარანი, გამაგრებული ქალაქები და ფარეხები ცხვრისათვის. <sup>37</sup> და რეუბენიანებმა ააშენეს ხეშბონი, ელყალე, კირიათაიმი, <sup>38</sup> ნებო, ბაალ-მეყონი, რომელთაც სახელი შეეცვალათ, და სიბმა, და დაარქვეს სახელები ქალაქებს, რომლებიც მათ ააშენეს. <sup>39</sup> და წავიდნენ მაქირ მენაშეს ძის შთამომავალნი გალაადში, და აიღეს და განდევნეს იქ მცხოვრები ამორეველნი. <sup>40</sup> და მისცა მოსემ გალაადი მაქირ მენაშეს ძეს და ისიც დასახლდა იქ. <sup>41</sup> და იაირ მენაშეს ძე წავიდა და დაიპყრო მათი ნაშენები და დაარქვა მათ ხავოთ-იაირი\*. <sup>42</sup> და ნობახი წავიდა და აიღო კენათი თავის სოფლებიანად\*\*, და დაარქვა მას თავისი სახელი: ნობახი.

### გზის მოხილვა ეგვიპტიდან მოაბის ტრამალეზამდე

**33** <sup>1</sup> ეს არის ისრაელიანთა მგზავრობანი, როცა გამოვიდნენ ისინი ეგვიპტიდან ლაშქარ-ლაშქარ მოსესა და აარონის წინამძღოლობით. <sup>2</sup> და აღწერა მოსემ უფლის ბრძანებით მათი გამოსვლა და მგზავრობანი. ეს არის მათი მგზავრობანი გამოსვლისას. <sup>3</sup> და რაყემზესიდან დაიდრენპირველი თვის მეთხუთმეტე დღეს, პასექის მეორე დღეს გავიდნენ ისრაელიანები გაბედულად მთელი ეგვიპტის თვალწინ. <sup>4</sup> და მარხავდნენ ეგვიპტელები პირმშოებს, რომლებიც დაუხოცა მათ უფალმა, და მათ ღმერთებსაც მიაგო სასჯელი უფალმა. <sup>5</sup> და დაიდრნენ ისრაელიანები რაყემზესიდან და სუქოთში დაბანაკდნენ. <sup>6</sup> და დაიდრნენ სუქოთიდან და დაბანაკდნენ ეთამში, რომელიც უდაბნოს კიდებდა. <sup>7</sup> და დაიდრნენ ეთამიდან და გაემართნენ ფი-ჰახიროთისაკენ, ბაალ-ცაფონის ზემოთ რომ არის, და მიგდოლის წინ დაბანაკდნენ. <sup>8</sup> და დაიდრნენ ჰახირო-

\* „იაირის ნაშენები“

\*\* დედანში: „ასოფლებიანად“.

თიდან და გადალახეს შუა ზღვა უდაბნოს მიმართულებით, და გაიარეს სამი დღის სავალი გზა ეთამის უდაბნოში და მარაში დაბანაკდნენ. <sup>9</sup>და დაიდრნენ მარადან და ელიმში მივიდნენ; და თორმეტი წყარო და სამოცდაათი ფინიკის ხე იყო ელიმში და იქ დაბანაკდნენ. <sup>10</sup>და დაიდრნენ ელიმიდან და მეწამულ ზღვასთან დაბანაკდნენ. <sup>11</sup>და დაიდრნენ მეწამული ზღვიდან და სინის უდაბნოში დაბანაკდნენ. <sup>12</sup>და დაიდრნენ სინის უდაბნოდან და დოფკაში დაბანაკდნენ. <sup>13</sup>და დაიდრნენ დოფკიდან და ალუში დაბანაკდნენ. <sup>14</sup>და დაიდრნენ ალუშიდან და რეფიდიმში დაბანაკდნენ. და იქ არ იყო წყალი ერისათვის სასმელად. <sup>15</sup>და დაიდრნენ რეფიდიმიდან და სინაის უდაბნოში დაბანაკდნენ. <sup>16</sup>და დაიდრნენ სინაის უდაბნოდან და კიბროთ-ჰათავაში დაბანაკდნენ. <sup>17</sup>და დაიდრნენ კიბროთ-ჰათავადან და ხაცეროთში დაბანაკდნენ. <sup>18</sup>და დაიდრნენ ხაცეროთიდან და რითმაში დაბანაკდნენ. <sup>19</sup>და დაიდრნენ რითმადან და რიმონ-ფარეცში დაბანაკდნენ. <sup>20</sup>და დაიდრნენ რიმონ-ფარეციდან და ლიბნაში დაბანაკდნენ. <sup>21</sup>და დაიდრნენ ლიბნადან და რისაში დაბანაკდნენ. <sup>22</sup>და დაიდრნენ რისადან და კეჰელათაში დაბანაკდნენ. <sup>23</sup>და დაიდრნენ კეჰელათიდან და შაფერის მთაზე დაბანაკდნენ. <sup>24</sup>და დაიდრნენ შაფერის მთიდან და ხარადაში დაბანაკდნენ. <sup>25</sup>და დაიდრნენ ხარადიდან და მაკჰელოთში დაბანაკდნენ. <sup>26</sup>და დაიდრნენ მაკჰელოთიდან და თახათში დაბანაკდნენ. <sup>27</sup>და დაიდრნენ თახათიდან და თარახში დაბანაკდნენ. <sup>28</sup>და დაიდრნენ თარახიდან და მითკაში დაბანაკდნენ. <sup>29</sup>და დაიდრნენ მითკადან და ხამონაში დაბანაკდნენ. <sup>30</sup>და დაიდრნენ ხაშმონიდან და მოსეროთში დაბანაკდნენ. <sup>31</sup>და დაიდრნენ მოსეროთიდან და ბნე-იაცაკანში დაბანაკდნენ. <sup>32</sup>და დაიდრნენ ბნე-იაცაკანიდან და ხორ-გილგადში დაბანაკდნენ. <sup>33</sup>და დაიდრნენ ხორ-გილგადიდან და იატბათაში დაბანაკდნენ. <sup>34</sup>და დაიდრნენ იატბათიდან და აბრონაში დაბანაკდნენ. <sup>35</sup>და დაიდრნენ აბრონიდან და ეციონ-გაბერში დაბანაკდნენ. <sup>36</sup>და დაიდრნენ ეციონ-გაბერიდან და ცინის უდაბ-

ნოში დაბანაკდნენ. ეს კადეშია. <sup>37</sup> და დაიდრნენ კადეშიდან და ჰორის მთაზე დაბანაკდნენ, ედომის ქვეყნის საზღვარზე. <sup>38</sup> და ავიდა აარონ მღვდელი ჰორის მთაზე უფლის პირისამებრ და მოკვდა იქ ეგვიპტიდან ისრაელიანთა გამოსვლის მეორმოცე წელს, მეხუთე თვის პირველში. <sup>39</sup> და იყო აარონი ას ოცდასამი წლისა, როცა მოკვდა იგი ჰორის მთაზე. <sup>40</sup> და გაიგო ქანაანელმა ყარად მეფემ, რომელიც ქანაანის ქვეყნის სამხრეთში ცხოვრობდა, ისრაელიანთა მოსვლა. <sup>41</sup> და დაიდრნენ ჰორის მთიდან და ცალმონაში დაბანაკდნენ. <sup>42</sup> და დაიდრნენ ცალმონიდან და ფუნონში დაბანაკდნენ. <sup>43</sup> და დაიდრნენ ფუნონიდან და ობოთში დაბანაკდნენ. <sup>44</sup> და დაიდრნენ ობოთიდან და ყიიბ-ყაბარიმში დაბანაკდნენ, მოაბის საზღვარზე. <sup>45</sup> და დაიდრნენ ყიიმიდან და დიბონ-გადიდან და ყალმონ-დიბლათაიმიში დაბანაკდნენ. <sup>47</sup> და დაიდრნენ ყალმონ-დიბლათაიმიდან და ყაბარიმის მთებზე დაბანაკდნენ, ნებოს წინ. <sup>48</sup> და დაიდრნენ ყაბარიმის მთებიდან და მოაბის ტრამალებზე დაბანაკდნენ, იორდანეს პირას, იერიხონის მახლობლად. <sup>49</sup> და დაბანაკდნენ იორდანეს პირას ბეთ-იეშიმითიდან აბელ-შიტიმამდე, მოაბის ტრამალებზე.

### უფლის ბრძანება ქანაანის შესახებ

<sup>50</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს მოაბის ტრამალებზე, იორდანეს ნაპირას, იერიხონის მახლობლად, სათქმელად: <sup>51</sup> ელაპარაკე ისრაელიანებს და უთხარი მათ: როცა გადახვალთ იორდანეს გაღმა, ქანაანის ქვეყანაში, <sup>52</sup> აყარეთ თქვენს წინაშე ქვეყნის მკვიდრნი, გაანადგურეთ ყველა მათი გამოსახულება და ყველა მათი ჩამოსხმული კერპი და მოუშალეთ ყველა გორაკი. <sup>53</sup> და დაიმკვიდრეთ ქვეყანა და დასახლდით იქ, რადგან თქვენ მოგეცით ეს ქვეყანა დასამკვიდრებლად. <sup>54</sup> და დაუნაწილეთ წილისყრით ქვეყანა თქვენს საგვარეულოებს: მრავალრიცხოვანს მეტი წილი მიეცით, მცირერიცხოვანს ნაკ-



ლები წილი მიეცით. ვისაც სად შეხვდება წილი, იქ დაიმკვიდროს. მამა-პაპის შტოთა მიხედვით დაინაწილეთ. <sup>55</sup>და თუ არ აყრიტ ქვეყნის მკვიდრებს, იქ დარჩენილნი ეკლად ექცევიან თქვენს თვალებს და ნემსებად — თქვენს ფერდებს, და შეგავიწროებენ იმ ქვეყანაში, სადაც იცხოვრებთ. <sup>56</sup>და რაც განმიზრახავს თქვენთვის გასაკეთებლად, გაგიკეთებთ.

### ქანაანის საზღვრები

**34** <sup>1</sup>და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>2</sup>ამცნე ისრაელიანებს და უთხარი მათ: როცა შეხვალთ ქანაანის ქვეყანაში, ამ ქვეყანაში, რომელიც წილად შეგხვდებათ თქვენ, ქანაანის ქვეყანა თავისი საზღვრებით: <sup>3</sup>სამხრეთ მხარედ გექნებათ ცინის უდაბნოდან, ედომის მახლობლად, და გექნებათ სამხრეთით საზღვარი მარილოვანი ზღვის კიდიდან აღმოსავლეთის მიმართულებით. <sup>4</sup>და გაუხვევს თქვენი საზღვარი სამხრეთიდან ყაკრაბიმის ზეგანისაკენ და გაივლის ცინზე, და მიეზინება სამხრეთით კადეშ-ბარნეას, და გავა ხაცერ-ადართან და გაივლის ყაცმონზე. <sup>5</sup>და გაუხვევს საზღვარი ყაცმონიდან ეგვიპტის ხევისაკენ და მიეზინება ზღვას. <sup>6</sup>და დასავლეთის საზღვარი: დიდი ზღვა გექნებათ საზღვრად. ეს გქონდეთ დასავლეთის საზღვრად. <sup>7</sup>და ეს გქონდეთ ჩრდილოეთის საზღვრად: დიდი ზღვიდან გაატარეთ საზღვარი ჰორის მთამდე. <sup>8</sup>ჰორის მთიდან გაატარეთ ხამათის მიმართულებით. და მიეზინება საზღვარი ცედადას. <sup>9</sup>და გავა საზღვარი ციფრონისაკენ და მიეზინება ხაცერ-ყენანს. ეს გქონდეთ ჩრდილოეთის საზღვრად. <sup>10</sup>აღმოსავლეთით გაავლეთ საზღვარი ხაცერ-ყენანიდან შეფამასაკენ. <sup>11</sup>და ეშვება შეფამიდან საზღვარი რიბლასაკენ, ყანის აღმოსავლეთით, და ეშვება საზღვარი და ეკვრის ქინერეთის ზღვის ნაპირს აღმოსავლეთით. <sup>12</sup>და ეშვება საზღვარი იორდანეზე და ეზინება მარილოვან ზღვას. ეს იყოს თქვენთვის ქვეყანა თავისი გარშემო საზღვრებითურთ. <sup>13</sup>და ამცნო მოსემ ისრაელიანებს სათქმელად: აჰა, ქვეყანა, რო-

მელიც უნდა დაინაწილოთ წილისყრით, რომელზეც ბრძანა უფალმა, რომ მისცემდა ცხრა შტოს და ნახევარ შტოს. <sup>14</sup> რადგან მიიღეს რეუბენიანთა შტომ მამისსახლების მიხედვით და გადიანელთა შტომ მათი საგვარეულოების მიხედვით და მენაშეს ნახევარმა შტომ. მათ მიიღეს თავიანთი წილი. <sup>15</sup> ორმა შტომ და ნახევარმა შტომ მიიღეს თავიანთი წილი იორდანეს გაღმა, იერიხოვნის მახლობლად, აღმოსავლეთით.

### ქანაანის დამნაწილებელი თავკაცები

<sup>16</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს სათქმელად: <sup>17</sup> ესენია იმ კაცთა სახელები, რომლებიც დაიმკვიდრებენ თქვენთვის ქვეყანას: ელიაზარ მღვდელი და იესო ნავეს ძე. <sup>18</sup> და თითო თავკაცი გამოარჩიეთ ყოველი შტოდან ქვეყნის დასანაწილებლად. <sup>19</sup> ესენია მათი სახელები: იუდას შტოდან: ქალებ იეფუნეს ძე; <sup>20</sup> და სიმეონიანთა შტოდან: სამუელ ამიჭუდის ძე; <sup>21</sup> და ბენიამინის შტოდან: ელიდად ქისლონის ძე; <sup>22</sup> და დანიანთა შტოდან თავკაცი ბუკი იოლგის ძე; <sup>23</sup> და იოსებიანთა შტოდან: მენაშეანთა შტოდან — თავკაცი ხანიელ ეფოდის ძე; <sup>24</sup> და ეფრემიანთა შტოდან — თავკაცი კემუელ შიფტონის ძე; <sup>25</sup> და გებულონიანთა შტოდან: თავკაცი ელიცაფან ფარნაქის ძე; <sup>26</sup> და ისაქარიანთა შტოდან: ფატიელ ყაზანის ძე; <sup>27</sup> და აშერიანთა შტოდან თავკაცი ახიჭუდ შელომის ძე; <sup>28</sup> და ნაფთალიანთა შტოდან: თავკაცი ფედაელ ყამიჭუდის ძე. <sup>29</sup> ესენი არიან, ვისაც უბრძანა უფალმა ქანაანის ქვეყნის განაწილება ისრაელიანთათვის.

### ლევიათა სამკვიდრო

**35** <sup>1</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს მოაბის ტრამალებზე, იორდანეზე, იერიხოვნთან სათქმელად. <sup>2</sup> ამცნე ისრაელიანებს, რომ მისცენ ლევიალებს თავიანთი საკუთარი სამკვიდროდან ქალაქები საცხოვრებლად. და ქალაქთა სანახებიც

ირგვლივ მიეცით ლევინებს.<sup>3</sup> და ჰქონდეთ ქალაქები საცხოვრებლად და სანახები ჰქონდეთ პირუტყვისათვის, ქონებისათვის და ყოველგვარი სარჩოსათვის.<sup>4</sup> ქალაქთა სანახები, რომლებიც ლევინებს უნდა მისცეთ, ქალაქის კედლებს იქით ათას წყრთაზე უნდა გადიოდეს ირგვლივ.<sup>5</sup> და გადაზომეთ ორი ათასი წყრთა ქალაქგარეთ აღმოსავლეთის მიმართულებით, ორი ათასი წყრთა სამხრეთის მიმართულებით, ორი ათასი წყრთა დასავლეთის მიმართულებით და ორი ათასი წყრთა ჩრდილოეთის მიმართულებით; შუაში ქალაქი. ეს ჰქონდეთ მათ ქალაქთა სანახებად.<sup>6</sup> და იმ ქალაქებიდან, რომლებიც ლევინებს უნდა მისცეთ, ექვსი ქალაქი თავშესაფრად იყოს, სადაც დაანებებთ მკვლელს გაქცევას. და ამათ ზევით ორმოცდაორი ქალაქი მიეცით.<sup>7</sup> სულ ორმოცდარვა ქალაქი უნდა მისცეთ ლევინებს თავისი სანახებითურთ.<sup>8</sup> და ქალაქები, რომლებიც ისრაელიანთა საკუთრებიდან უნდა მისცეთ; მრავალრიცხოვანთ მეტი გამოართვით, მცირერიცხოვანთ ნაკლები. თითოეულმა თავისი წილხვედრის კვალობაზე უნდა მისცეს თავისი ქალაქიდან ლევინებს.

### თავშესაფარი ქალაქები

<sup>9</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს, სათქმელად: <sup>10</sup> ელაპარაკე ისრაელიანებს და უთხარი მათ: როცა გადახვალთ იორდანეს გაღმა ქანაანის ქვეყანაში, <sup>11</sup> დაიგულეთ ზოგიერთი ქალაქი, თავშესაფარ ქალაქებად გქონდეთ ისინი, სადაც შეეძლება თავის შეფარება მკვლელს, რომელსაც უნებურად შემოაკვდება კაცი. <sup>12</sup> და გქონდეთ ეს ქალაქები თავშესაფრად შურისმაძიებლისაგან, რათა არ მოიკლას მკვლელი, ვიდრე საზოგადოების წინაშე წარდგებოდეს სამსჯავროდ. <sup>13</sup> და ქალაქები, რომელთაც მისცემთ, ექვსი იქნება თქვენთვის თავშესაფარ ქალაქად. <sup>14</sup> სამი ქალაქი იორდანეს გაღმა უნდა მისცეთ და სამი ქალაქი ქანაანის ქვეყანაში უნდა მისცეთ. თავშესაფარი ქალაქები იქ-

ნება ისინი. <sup>15</sup> ისრაელიანებს და მდგმურს, და თქვენს შორის მყოფ ხიზანს გქონდეთ ეს ექვსი ქალაქი თავშესაფრად, რათა იქ თავი შეაფაროს ყველამ, ვისაც უნებურად შემოაკვდება კაცი. <sup>16</sup> და თუ ვინმე კაცს რკინას დაჰკრავს და მოკლავს, მკვლეელია იგი. მკვლეელი უნდა მოკვდეს. <sup>17</sup> და თუ ვინმე სასიკვდილოდ დაარტყამს ქვას ვინმეს და მოკვდება კაცი, მკვლეელია, მკვლეელი უნდა მოკვდეს. <sup>18</sup> ან ხის იარაღს, რომლითაც შეიძლება მოკვდეს კაცი, დაარტყამს ვინმეს და მოკვდება კაცი, მკვლეელია, მკვლეელი უნდა მოკვდეს. <sup>19</sup> მესისხლეს თავად შეუძლია მოკლას მკვლეელი, შეხვდება და თვითონვე მოკლას. <sup>20</sup> და თუ ვინმე ქიშპობით კაცს ხელს ჰკრავს ან განზრახვით რაიმეს ესვრის და მოკვდება კაცი, <sup>21</sup> ან მტრობით ხელს დაარტყამს და მოკვდება, დამრტყმელი უნდა მოკვდეს, რადგან მკვლეელია. მესისხლეს შეუძლია მოკლას მკვლეელი, როცა შეხვდება. <sup>22</sup> და თუკი უნებლიეთ, მტრობის გარეშე, ჰკრავს ხელს ან განზრახველად ესვრის რაიმე საგანს, <sup>23</sup> ან ქვა, რომლითაც შეიძლება მოკვდეს კაცი, გადმოუვარდება და ვინმეს დაეცემა თავზე, და მოკვდება, ის კი არც მტრობდა მას და არც ავს ფიქრობდა მისთვის, <sup>24</sup> საზოგადოებამ უნდა განსაჯოს მკვლელისა და მესისხლის საქმე ამ წესების მიხედვით. <sup>25</sup> და უნდა იხსნას საზოგადოებამ მკვლეელი მესისხლისაგან და გააბრუნოს იგი საზოგადოებამ თავის თავშესაფარ ქალაქში, სადაც გაქცეული იყო. და დარჩეს იქ წმიდა ზეთით ცხებული მღვდელმთავრის სიკვდილამდე. <sup>26</sup> და თუკი მკვლეელი გასცდება თავშესაფარი ქალაქის საზღვრებს, სადაც გაიქცა, <sup>27</sup> და შეხვდება მას მესისხლე თავშესაფარი ქალაქის საზღვრებს გარეთ და მოკლავს მესისხლე მკვლელს, არ მოეკითხება მას სისხლი, <sup>28</sup> რადგან თავშესაფარ ქალაქში უნდა დარჩენილიყო მღვდელმთავრის სიკვდილამდე. მღვდელმთავრის სიკვდილის შემდეგ კი მკვლელს შეუძლია თავის საკუთარ ქვეყანაში დაბრუნება. <sup>29</sup> და გქონდეს ეს სამართლის წესად თქვენს თაობებში, ყველაგან, სადაც კი იცხოვრებთ. <sup>30</sup> ყოველი მკვლეელი მოწმეთა ჩვენებით უნდა მოიკ-

ლას, ერთი მოწმის მხილებით კაცს სიკვდილით ვერ დასჯიან. <sup>31</sup> და ნუ აიღებთ გამოსასყიდს მკვლელის გამოსახსნელად, რომელიც სასიკვდილოა, რადგან უნდა მოკვდეს. <sup>32</sup> და ნუ აიღებთ გამოსასყიდს თავშესაფარ ქალაქში გაქცეულისათვის, რომ მღვდლის სიკვდილამდე დაბრუნდეს თავის ქვეყანაში. <sup>33</sup> და ნუ წაბილწავთ მიწას, სადაც იმყოფებით, რადგან სისხლია, რომ ბილწავს მიწას, ვერ განიწმიდება მიწა მასზე დაღვრილი სისხლისაგან, თუ არა თავად მისი დამღვრელის სისხლით. <sup>34</sup> და ნუ გააბუნძურებთ მიწას, სადაც თქვენ ცხოვრობთ, სადაც მე ვარ დავანებული თქვენს შორის, რადგან მე, უფალი, დავანებული ვარ ისრაელიანთა შორის.

### ცოლების წილი

**36** <sup>1</sup> და მივიდნენ გალაად მაქირის ძის, მენაშეანთა ძეთა საგვარეულოს მამამთავრები იოსებიანთა საგვარეულოებიდან და ილაპარაკეს მოსეს წინაშე და ისრაელიანთა თავკაცების, მამამთავართა წინაშე. <sup>2</sup> და თქვეს: ჩვენს ბატონს უბრძანა უფალმა, რომ წილისყრით მისცეს ისრაელიანებს ქვეყანა სამკვიდროდ, ნაბრძანები აქვს უფლისაგან ჩვენს ბატონს, რომ მის ქალიშვილებს მისცეს ჩვენი ძმის ცელაფხადის წილი. <sup>3</sup> და თუ ვისმე მითხოვდნენ ცოლად ისრაელიანთა რომელიმე შტოში, წაერთმევა მათი სამკვიდრო ჩვენი მამა-პაპის სამკვიდროს და შეეძინება იმ შტოს სამკვიდროს, სადაც იქნებიან ისინი გათხოვილები. და დაიკარგება ჩვენი წილხვედრილი სამკვიდრო. <sup>4</sup> და როცა დაუდგებათ ბუკისცემის დღე ისრაელიანებს, მაშინაც მიემატება მათი სამკვიდრო იმ შტოს სამკვიდროს, სადაც იქნებიან გათხოვილნი და ჩამოერთმევა ჩვენი მამა-პაპის სამკვიდროს მათი სამკვიდრო. <sup>5</sup> და ამცნო მოსემ ისრაელიანებს უფლის პირისამებრ: მართალს ამბობს იოსებიანთა შტო. <sup>6</sup> ეს არის სიტყვა, რომელიც ამცნო უფალმა ცელაფხადის ასულთა საქმეზე: ვინც მოეწონებათ, იმათ მის-

თხოვდნენ, ოღონდ მამისეული შტოს საგვარეულოებში გათხოვდნენ.<sup>7</sup> და არ უნდა გადადიოდეს ისრაელიანთა სამკვიდრო შტოდან შტოში, რადგან მამაპაპისეულ შტოს სამკვიდროს უნდა იყოს მიწებებული თითოეული ისრაელიანი.<sup>8</sup> და ყოველი ასული, რომელიც იმკვიდრებს წილს ისრაელიანთა რომელიმე შტოში, მამისეული შტოს საგვარეულოში უნდა მისთხოვდეს ვისმე, რათა თითოეულ ისრაელიანს შეეძლოს მამაპაპისეული წილის დამკვიდრება.<sup>9</sup> და არ უნდა გადადიოდეს სამკვიდრო ერთი შტოდან სხვა შტოში, რადგან თითოეული ისრაელიანი თავის სამკვიდროს უნდა იყოს მიწებებული.<sup>10</sup> და როგორც ამცნო უფალმა მოსეს, ისე მოიქცნენ ცელაფხადის ასულები.<sup>11</sup> და გახდნენ მახლა, თირცა, ხოგლა, მილქა, და ნოყა — ცელაფხადის ასულები — თავიანთ ბიძაშვილების ცოლები.<sup>12</sup> იოსებთანმენაშეანთა საგვარეულოებში იყვნენ გათხოვილნი ისინი და ამიტომაც მათ მამისეულ საგვარეულოს შერჩა მათი სამკვიდრო.<sup>13</sup> ესენია მცნებები და წესები, უფალმა რომ ამცნო მოსეს ხელით ისრაელიანებს მოაბის ველზე, იორდანესთან, იერიხონთან.

## წიგნი მეორე რჯულისა

### რჯულის განმეორების დასაწყისი

**1** <sup>1</sup>ესენია სიტყვებია, რომლებიც ილაპარაკა მოსემ მთელი ისრაელის მიმართ იორდანეს გაღმა უდაბნოში, არაბაში, სუფის გასწვრივ, ფარანს, თოფელს, ლაბანს, ხაცეროთსა და დი-ზაჰაბს შორის, <sup>2</sup>ხორებიდან თერთმეტი დღის შემდეგ, სეყირის მთის გზაზე კადემ-ბარნეამდე. <sup>3</sup>და იყო მეორმოცე წელს, მეთერთმეტე თვის პირველ დღეს, რომ უთხრა მოსემ ისრაელიანებს ყველაფერი, რაც ამცნო მათთვის უფალმა, <sup>4</sup>ხეშბონში მჯდარი სიხონ ამორეველთა მეფის და აშთაროთში, ედრეიში, მჯდარი ბაშანის მეფის, ყოგის, მოკვლის შემდეგ. <sup>5</sup>და იორდანეს გაღმა მოაბის მხარეში დაიწყო მოსემ ამ რჯულის განმარტება: <sup>6</sup>უფალი, ჩვენი ღმერთი გველაპარაკა ხორებში და გვითხრა: გეკმაროთ ამ მთაზე ცხოვრება! <sup>7</sup>აიყარეთ და გაბრუნდით, და მიაშურეთ ამორეველთა მთას და მათი მეზობლების ქვეყნებს, მთასა და ბარს, არაბას, სამხრეთის ზღვის სანაპიროს, ქანაანელთა ქვეყანას ლიბანის დიდ მდინარემდე, ევფრატის მდინარემდე. <sup>8</sup>შეხედეთ, წინ დაგიდევით ეს ქვეყანა, წადით და დაიმკვიდრეთ ქვეყანა, რომლის მიცემაც ფიცით აღუთქვა უფალმა თქვენს მამა-პაპას — აბრაამს, ისაკს და იაკობს, და მათ შთამომავლობას მათ შემდეგ.

## მართლმსაჯულების დაწესება

<sup>9</sup> და გითხარით თქვენ იმჟამად, რომ მე მართოს არ შემოძლია თქვენი ტარება, <sup>10</sup> უფალი, თქვენი ღმერთი, გაგამრავლებთ-მეთქი, და, აჰა, ცის ვარსკვლავებით ურიცხვნი ხართ დღეს. <sup>11</sup> უფალმა, თქვენი მამა-პაპის ღმერთმა, კიდევ ათასჯერ გამრავლოთ, ვიდრე დღეს ხართ, და გაკურთხოთ, როგორც გელაპარაკათ. <sup>12</sup> როგორ ვატარო მე მართომ თქვენი საზრუნავი, თქვენი ტვირთი და თქვენი ცილობანი? <sup>13</sup> ამოირჩიეთ თითოეული შტოდან ბრძენი, გაგებული და გამოცდილი კაცები და თავკაცებად დაგიყენებთ-მეთქი. <sup>14</sup> და მომიგეთ და მითხარით: კარგ საქმეს გვეუბნები გასაკეთებლადო. <sup>15</sup> და ავიყვანე შტოთა თავკაცები — ბრძენი, გაგებული და გამოცდილი კაცები და დაგიდგინეთ თითოეულ შტოს მეთაურებად — ათასისთავებად, ასისთავებად, ორმოცდაათისთავებად, ათისთავებად და ზედამხედველებად, თქვენს შტოთა მიხედვით. <sup>16</sup> და ვამცნე თქვენს მსაჯულებს: მოუსმინეთ თქვენს ძმებს და საჯეთ სამართალი ერთმანეთს შორის, მათსა და მათ მდგმურს შორის. <sup>17</sup> მიკერძოებული ნუ იქნები სასამართლოზე, ერთნაირად მოუსმინეთ მცირეს და დიდს, ნუ შეგეშინდებათ კაცისა, რადგან საღვთო საქმეა სამართალი. თუ საქმე გეძნელათ, მე მომახსენეთ და მოვისმენ. <sup>18</sup> და გამცნეთ იმჟამადვე ყველაფერი, რაც უნდა გაგეკეთებინათ.

## ხორებიდან კადემ-ბარნეამდე

<sup>19</sup> და გავემგზავრეთ ხორებიდან და გავიარეთ მთელი ის დიდი და საშინელი უდაბნო, რომელიც თქვენ ნახეთ, ამორეველთა მთისაკენ მიმავალ გზაზე, როგორც გვამცნო უფალმა, ჩვენმა ღმერთმა, და კადემ-ბარნეას მივადექით. <sup>20</sup> და გითხარით: მოხვედით ამორეველთა მთასთან, რომელსაც გვაძლევს უფალი, ჩვენი ღმერთი. <sup>21</sup> იცოდე, უფალი, შენი ღმერთი, გაძლევს ამ ქვეყანას. წადი და დაიმკვიდრე, როგორც გელა-



პარაკა უფალი, შენი მამა-პაპის ღმერთი. ნუ შეგეშინდება და ნუ შედრკები. <sup>22</sup> და მოხვედით ჩემთან ყველანი და მითხარით: გავგზავნოთ კაცები ჩვენს წინ, რომ დაგვიზვერონ ქვეყანა და მოგვიტანონ გზის ამბავი, რითაც უნდა ვიაროთ, და ქალაქები-სა, რომლებშიც შესვლა მოგვიწევს. <sup>23</sup> და მომეწონა ეს სიტყვა და გამოვარჩიე თქვენგან თორმეტი კაცი, თითო კაცი ყოველი შტოდან. <sup>24</sup> და გაემართნენ და ავიდნენ მთაზე და მიადგნენ ემქოლის ხევს და დაზვერეს იგი. <sup>25</sup> და წამოიღეს ხელით იმ ქვეყნის ნაყოფებთაგან და ჩამოგვიტანეს ჩვენ, და ამბავიც მოგვიტანეს, და თქვეს: კარგია ეს ქვეყანა, რომელსაც უფალი, ჩვენი ღმერთი, გვაძლევს ჩვენ.

### ხალხის დრტინვა

<sup>26</sup> და თქვენ არ ისურვეთ წასვლა და ეურჩეთ უფლის, თქვენი ღმერთის ბრძანებას. <sup>27</sup> და ადრტინდით თქვენს კარვებში და თქვით: მტრობით გამოგვიყვანა უფალმა ეგვიპტის ქვეყნიდან, რათა ამორეველთა ხელში ჩავგედეთ დასალუბად. <sup>28</sup> სად წავიდეთ? ჩვენმა ძმებმა დაადნეს ჩვენი გულები, თქვეს: ჩვენზე დიდი და მაღალი ხალხია, ქალაქები დიდი აქვთ ცადაწვდილი ციხე-კოშკებით და ყანაკის ნაშიერნიც დავინახეთო იქ. <sup>29</sup> და გითხარით ქვენ: ნუ ძრწინხართ და ნუ გეშინიათ მათი. <sup>30</sup> უფალი, თქვენი ღმერთი, წაგიძღვებათ წინ, იგი იბრძოლებს თქვენთვის, როგორც ეგვიპტეში გააკეთა თვენთვის თქვენს თვალწინ, <sup>31</sup> და უდაბნოში, სადაც, როგორც შენ ხედავდი, გატარებდა უფალი, შენი ღმერთი, როგორც თავის შვილს ატარებს კაცი, მთელს თქვენს სავალ გზაზე, ვიდრე ამ ადგილამდე მოხვიდოდით. <sup>32</sup> მაგრამ არც ამაში ერწმუნეთ უფალს, თქვენს ღმერთს, <sup>33</sup> რომელიც წინ მიგიძღვით გზაზე, რომ მოგიძებნოთ დასაბანაკებელი ადგილი, ღამით ცეცხლში თქვენი სავალი გზის გასანათებლად და დღისით — ღრუბელში,

## უფლის რისხვა ხალხზე

<sup>34</sup>და გაიგონა უფალმა თქვენი სიტყვების ხმა, და განრისხდა და ასე დაიფიცა: <sup>35</sup>აბა, თუ იხილოს ვინმემ ამ უკეთური მოდგმიდან ის კარგი ქვეყანა, რომელიც მათ მამა-პაპას აღვუთქვი, <sup>36</sup>გარდა ქალებ იეფუნეს ძისა! ის იხილავს მას, მას ვაძლევ ქვეყანას, რომელიც მან მოიარა, და მის შვილებს, რადგან უფლის ერთგული იყო. <sup>37</sup>მეც განმირისხდა უფალი თქვენს გამო: ვერც შენ შეხვალ იქ. <sup>38</sup>იესო ნავეს ძე, შენს წინაშე რომ დგას, შევა იქ. ის გაამხნევე, რადგან ის დაიმკვიდრებსო მას ისრაელისათვის. <sup>39</sup>და თქვენი ჩვილი ბავშვები, რომლებზეც ამბობთ, დატაცებული იქნებიანო, და თქვენი შვილები, რომელთაც არ უწყიან დღეს ავი და კარგი, შევლენ იქ. მათ ვაძლევ ქვეყანას და ისინი დაიმკვიდრებენ მას. <sup>40</sup>თქვენ კი გაბრუნდით და იარეთ უდაბნოსაკენ მეწამული ზღვის გზით.

## ხალხის ურჩობა

<sup>41</sup>და მიმიგეთ და მითხარით: შევცოდეთ უფალს. ჩვენ წავალთ და შევებრძოლებით, როგორც გვამცნო უფალმა, ჩვენმა ღმერთმა. აისხით თითოეულმა საბრძოლო საჭურველი და გაეჩქარეთ მთაზე ასასვლელად. <sup>42</sup>და მითხრა უფალმა: უთხარი მათ: ნუ ახვალთ მთაზე და ნუ შეებრძოლებით, რადგან არა ვარ თქვენს შორის და დაგამარცხებთ-თქო მტერი. <sup>43</sup>და გელაპარაკეთ და არ გამიგონეთ, და ეურჩეთ უფლის პირს, გათამამდით და ახვედით მთაზე. <sup>44</sup>და გამოვიდნენ თქვენს წინააღმდეგ იმ მთაზე მცხოვრები ამორეველნი და დაგესიენ, როგორც ფუტკრებმა იციან, და გმუსრავდნენ სეყირიდან ხორმამდე. <sup>45</sup>და დაბრუნდით და მორთეთ ტირილი უფლის წინაშე და არ ისმინა უფალმა თქვენი ხმა და ყური არ დაგიგდოთ. <sup>46</sup>და დარჩით კადეშში მრავალი ხანი, რამდენ ხანსაც დარჩით.

## ედომის დანდობა

**2**<sup>1</sup> და გავბრუნდით და გავემგზავრეთ უდაბნოსაკენ მე-  
წამული ზღვის გზით, როგორც მელაპარაკა უფალი, და  
ვუარეთ სეყირის მთას მრავალი ხანი. <sup>2</sup> და მითხრა უფალმა:  
<sup>3</sup> გეკმაროთ ამ მთის შემოვლა. ჩრდილოეთისაკენ გაბრუნდით.  
<sup>4</sup> და ამცნო ხალხს: თქვენ გაივლით თქვენი ძმების — ესავიან-  
თა, სეყირის მკვიდრთა, საზღვარზე და შეეშინდებათ თქვენი,  
თქვენ კი ძალზე ფრთხილად იყავით. <sup>5</sup> ნუ გამოიწვევთ მათ,  
რადგან ფეხის ერთ დაბიჯებასაც არ მოგცემთ მათი ქვეყნიდან,  
რადგან ესავს მივეცი სამკვიდროდ სეყირის მთა. <sup>6</sup> საკვები შე-  
იძინეთ მათგან ვერცხლით და ჭამეთ, წყალიც იყიდეთ მათგან  
ვერცხლით და სვით. <sup>7</sup> რადგან უფალმა, შენმა ღმერთმა, გა-  
კურთხა ყველა შენს საქმეში, უწყოდა შენი გზა-სავალი ამ დიდ  
უდაბნოში. ეს ორმოცი წელიწადი შენთან არის უფალი, შენი  
ღმერთი, და არაფერი მოგკლებია. <sup>8</sup> და ჩავუარეთ ჩვენს ძმებს,  
ესავიანებს, სეყირის მკვიდრთ, ყარაბას გზით, ელათიდან და  
ელიონ-გაბერიდან. და გავბრუნდით და გავიარეთ მოაბის  
უდაბნოს გზა.

## მოაბის დანდობა

<sup>9</sup> და მითხრა უფალმა: ნუ უმტრობ მოაბს და ნუ გაუმართავ  
ომს, რადგან არ გაძლევთ თქვენ სამკვიდროს მათი ქვეყნიდან,  
რადგან ყარი ლოტის შთამომავლებს მივეცი სამკვიდროდ.  
<sup>10</sup> ადრე იქ ემიები ცხოვრობდნენ — დიდი, მრავალრიცხოვა-  
ნი და ტანმალალი ხალხი ყანაკების მსგავსად. <sup>11</sup> რეფაიმებად  
ითვლებოდნენ ისინიც, როგორც ყანაკები, მაგრამ მოაბელნი  
ემიებს უწოდებდნენ მათ. <sup>12</sup> წინათ სეყირში ხორიელები ცხოვ-  
რობდნენ, მაგრამ ესავიანებმა აყარეს ისინი და გადააშენეს,  
და დამკვიდრდნენ მათ ნაცვლად, როგორც მოექცა ისრაელი  
თავის სამკვიდრებელ ქვეყანას, რომელიც მისცა მას უფალმა.  
<sup>13</sup> ახლა ადექით და გადადით ზარედის ხევს. და გადავედით გა-

რედის ხევს. <sup>14</sup> ოცდათვრამეტი წელი მოვუნდით კადემ-ბარნე-ადან ზარედის ხევამდე მისვლას და ამასობაში გაწყდა ბანაკში მებრძოლთა მთელი თაობა, როგორც დაფიცებული ჰქონდა მათთვის უფალს. <sup>15</sup> უფლის ხელიც იყო მათზე, რომ სრულებით გამწყდარიყვნენ ბანაკში, ვიდრე არ გაწყდნენ.

### **ყამონელთა დანდობა**

<sup>16</sup> და როცა მთლიანად გაწყდნენ მებრძოლები ერში, <sup>17</sup> მელაპარაკა მე უფალი: <sup>18</sup> ახლა შენ გადიხარ მოაბის საზღვრებიდან, ყართან, <sup>19</sup> და უახლოვდები ყამონელთა ადგილებს. ნუ უმტრობთ მათ და ნუ გამოიწვევთ, რადგან არ გაძლევთ ყამონელთა ქვეყნის ადგილებს სამკვიდროდ, რადგან ლოტიან-თათვის მაქვს მიცემული სამკვიდროდ. <sup>20</sup> ისინიც რეფაიმთა ქვეყნად ითვლება, წინათ რეფაიმები ცხოვრობდნენ იქ. ამიები კი ზამ-ზუმიელებს უწოდებენ მათ. <sup>21</sup> დიდი, მრავალრიცხოვანი და ტანმალალი ხალხი იყო ყანაკებივით და გაწყვიტა ისინი უფალმა მათ წინაშე, აყარეს ისინი და მათ ადგილას დასახლდნენ. <sup>22</sup> ასევე უყო ესავიანებს, სეყირის მკვიდრთ, რომელთა წინაშეც გაწყვიტა ხორიელები, და აყარეს ისინი და დღემდე მათ ადგილას ცხოვრობენ. <sup>23</sup> და გაწყვიტეს ყავიელები, რომლებიც ცხოვრობდნენ დაბებში ლაზამდე, ქაფთორელები, რომლებიც ქაფთორიდან გამოვიდნენ, და დასახლდნენ მათ ადგილას.

### **ხეშბონის დაპყრობა**

<sup>24</sup> ადექით, გასწიეთ და გადალახეთ არნონის ხევი. იცოდე, შენს ხელთ ჩამიგდია სიხონი, ხეშბონის მეფე, ამორეველი, და მისი ქვეყანა. დაიწყე დამკვიდრება, გამოიწვიე ისინი საბრძოლველად. <sup>25</sup> ამ დღეს შიშსა და ძრწოლას მოვგვრი თქვენით ხალხებს ცისქვეშეთში. ვინც კი გაიგებს შენს ამბავს, შიშის ზარი დაეცემა ყველას. <sup>26</sup> და გავუგზავნე მოციქულები კედემოთის უდაბნოდან სიხონს, ხეშბონის მეფეს, და დავაბარე სათქმე-

ლად სამშვიდობო სიტყვები. <sup>27</sup>გამათარე შენს ქვეყანაზე, მხოლოდ გზებზე ვივლი, არც მარჯვნივ გადავუხვევ, არც მარცხნივ. <sup>28</sup>საკვები მომიყიდე ვერცხლზე და შევჭამ. წყალიც ვერცხლზე მომიყიდე და შევსვამ. მხოლოდ ჩემი ფეხით გავივლი-მეთქი, <sup>29</sup>როგორც მომეტყნენ ესავიანები, სეყირის მკვიდრნი, და მოაბელები, ყარის მკვიდრნი, ვიდრე იორდანეს გაღმა გავიდოდე იმ ქვეყანაში, რომელსაც გვაძლევს უფალი, ჩვენი ღმერთი. <sup>30</sup>და არ გაგვატარა სიხონმა, ხეშბონის მეფემ, რადგან გაუსასტიკა სული უფალმა, შენმა ღმერთმა, და გული გაუქვავა, რომ თქვენს ხელში ჩაგედო იგი, როგორც დღეს ხედავ. <sup>31</sup>და მითხრა უფალმა: იცოდე, უკვე დავიწყე სიხონისა და მისი ქვეყნის შენთვის მოცემა: შეუდექი მისი ქვეყნის დამკვიდრებას. <sup>32</sup>და გამოვიდა სიხონი მთელი თავისი ხალხით იაჰცაში ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველად. <sup>33</sup>და ხელში ჩაგვავადებინა იგი უფალმა, ჩვენმა ღმერთმა, და ჩვენც დავამარცხეთ იგი, მისი შვილები და მთელი მისი ხალხი. <sup>34</sup>და დავიპყართ მისი ყველა ქალაქი, ავაოხრეთ ქალაქები და გავწყვიტეთ მცხოვრებნი დიდიან-პატარიანად. არავინ დავკვიტოვებია ცოცხალი. <sup>35</sup>ოღონდ პირუტყვი წამოვასხით და სხვა ნადავლიც წამოვიღეთ დაპყრობილი ქალაქებიდან. <sup>36</sup>ყაროყერიდან, რომელიც არნონის ხევზე მდებარეობს, და ხეობის ქალაქიდან გალააღამდე არ შეგვხვედრია ქალაქი, მიუდგომელი რომ ყოფილიყო ჩვენთვის. ყველაფერი მოგვცა უფალმა, ჩვენმა ღმერთმა. <sup>37</sup>ოღონდ არ მიხდომიხარ ყამონიანთა ქვეყანას, იაბოკის ხევის ნაპირებს, მთის ქალაქებს და ყველა იმ ადგილს, რომლის აღებაც ავკიცრძალა უფალმა, ჩვენმა ღმერთმა.

### ბაშანის დაპყრობა

**3** <sup>1</sup>და გავბრუნდით და შევუდექით ბაშანის გზას. და გამოვიდა ყოგი, ბაშანის მეფე, მთელი თავისი ხალხით ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველად. <sup>2</sup>და მითხრა უფალმა: ნუ გეშინია მისი, რადგან ხელში ჩაგავადებინებ მას, მთელს მის ხალხს და

მის ქვეყანას. და იმგვარადვე მოექცევი მას, როგორც მოექცევი სიხონს, ამორეველ მეფეს, რომელიც ხეშბონში იჯდა. <sup>3</sup> და ჩავგადებინა ხელში უფალმა, ჩვენმა ღმერთმა, ყოგიც, ბაშანის მეფე, მთელი მისი ხალხითურთ, და ჩვენც შევმუსრეთ იგი, ისე რომ არავინ დარჩენილა ცოცხალი. <sup>4</sup> და დავიპყარით ყველა მისი ქალაქი. მას ჟამს არ ყოფილა ქალაქი, რომ არ წავგვერთმია მათთვის — სამოცი ქალაქი, არგობის მთელი მხარე, ყოგის სამეფო ბაშანში. <sup>5</sup> ყველა ეს ქალაქი, მაღალი გალავნით მოზღუდული, კარიბჭეებიანი და ურდულებიანი, გარდა უამრავი სოფლებისა. <sup>6</sup> და დავარისხეთ ისინი, როგორც მოვექცეთ სიხონს, ხეშბონის მეფეს, როცა დავარისხეთ ყველა ქალაქი, კაცები, ქალები და ბავშვები, <sup>7</sup> და მთელი პირუტყვი და ნადავლი წამოვასხით ქალაქიდან. <sup>8</sup> და წავართვით მაშინ ქვეყანა ორ ამორეველ მეფეს იორდანეს გაღმა — არნონის ხევიდან ხერმონის მთამდე. <sup>9</sup> ციდონელები ხერმონს სირიონს უქოდებენ, ამორეველები კი — სენირს. <sup>10</sup> ბარის ყველა ქალაქი, მთელი გალაადი და მთელი ბაშანი სალქამდე და ედრეყიმდე — ყოგის სამეფოს ქალაქები ბაშანში. <sup>11</sup> რადგან მხოლოდ ყოგი, ბაშანის მეფე, იყო დარჩენილი რეფაიმა მოდგმიდან. აჰა, მისი საწოლი, რკინის საწოლი! განა ის აქ არ არის, ყამონიანთა რაბაში? მისი სიგრძე ათი წყრთაა, სიგანე — ოთხი წყრთა, მამაკაცის წყრთა.

### **წიაღიორდანის მიწების გადაცემა რეუბენის, გადისა და მენაშესათვის**

<sup>12</sup> ეს ქვეყანა დავიმკვიდრეთ მაშინ. ყაროყერიდან, არნონის ხევზე რომ არის, გალაადის მთის ნახევარი თავის ქალაქებიანად რეუბენიანებს და გადიანებს მივეცი. <sup>13</sup> და დანარჩენი გალაადი და მთელი ბაშანი, ყოგის სამეფო, მენაშეს ნახევარ შტოს მივეცი, არგობის მთელი მხარე, ბანაში შემავალი, რომელსაც რეფაიმების ქვეყანა ეწოდება. <sup>14</sup> იაირმა, მენაშეს ძემ,

აილო არგობის მთელი მხარე გეშურიელთა და მახახათიელთა საზღვრამდე. და უწოდა თავისი სახელი ბაშანს ხავოთ-იაირი და ასე ეწოდება დღემდე. <sup>15</sup> და მაქირს მივეცი გალაადი. <sup>16</sup> და რეუბენიანებს და გადიანებს მივეცი მიწა გალაადიდან არნონის ხევამდე (ხევის შუაწელია საზღვარი) და იაბოკის ხევამდე, ყამონელთა საზღვრამდე. <sup>17</sup> და ყარაბა და იორდანე საზღვრად, ქინერეთიდან ყარაბას ზღვამდე, მარილის ზღვამდე, ფისგას ფერდობებს ქვემოთ, აღმოსავლეთით. <sup>18</sup> გამცნეთ მაშინ: უფალმა, თქვენმა ღმერთმა, მოგცათ ეს ქვეყანა დასამკვიდრებლად, დარამზულნი წარუძელოთ წინ თქვენს ძმებს, ისრაელიანებს, ვინც ძლიერები\* ხართ. <sup>19</sup> მხოლოდ ქალები და ბავშვები და საქონელი (ვიცი, რომ ბევრი გყავთ) დატოვეთ ქალაქებში, რომლებიც მოგეცით თქვენ. <sup>20</sup> ვიდრე უფალი თქვენსავით არ დააბინავებს თქვენს ძმებსაც და ისინიც არ დაიმკვიდრებენ ქვეყანას, რომელსაც მისცემს მათ უფალი, მათი ღმერთი, იორდანეს გაღმა. და დაბრუნდებით ყველანი თქვენ-თქვენ სამკვიდროში, რომელიც მოგეცით თქვენ.

### მოსეს ეკრძალება ქანაანში შესვლა

<sup>21</sup> და იესოს ვამცნე მაშინ: შენი თვალით გაქვს დანახული, რა დამართა უფალმა, თქვენმა ღმერთმა, ამ ორ მეფეს. ამასვე დამართებს ყველა სამეფოს, სადაც კი გაივლით. <sup>22</sup> ნუ გეშინიათ მათი, რადგან უფალი, თქვენი ღმერთი, იბრძვის თქვენთვის. <sup>23</sup> და ვილოცე მაშინ უფლის მიმართ: <sup>24</sup> უფალო, ღმერთო! შენ დაუწყე შენს მსახურს შენი სიდიადისა და მაგარი ხელის ჩვენება. რომელი ღმერთია ცად და მიწად, რომ სჩადიოდეს ისეთ საგმირო საქმეებს, როგორსაც შენ სჩადიხარ? <sup>25</sup> გადავიდოდი და ვიხილავდი ამ კარგ ქვეყანას, იორდანეს გაღმა რომ არის, ამ კარგ მთას და ლებანონს! <sup>26</sup> და განმირისხდა უფალი თქვენს გამო და არ მისმინა. მითხრა უფალმა: გეკმაროს! მეტს ნულარ

\* სიტყვ. „ძალის ძენი“.

დამელაპარაკები ამ საქმეზე. <sup>27</sup> ადი ფისგას წვერზე, გაიხედე დასავლეთით, და ჩრდილოეთით, და სამხრეთით და აღმოსავლეთით. შენი თვალით დაინახე, რადგან ვერ გადახვალ ამ იორდანეს გაღმა. <sup>28</sup> და ამცნე იესოს და გაამხნევე, განამტკიცე იგი, რადგან ის გაუძღვება ამ ხალხს, ის დაუმკვიდრებს მათ ამ ქვეყანას, რომელსაც ხედავ. <sup>29</sup> და დავდექით ველზე, ბეთ-ფელორის გასწვრივ.

### გაფრთხილებანი

**4** <sup>1</sup> და ახლა ისმინე, ისრაელ, წესი და სამართალი, რომელსაც გასწავლით, რომ შეასრულოთ, რათა გადარჩეთ და წახვიდეთ, და დაიმკვიდროთ ქვეყანა, რომელსაც უფალი, თქვენი ღმერთი, გაძლევთ. <sup>2</sup> ნურაფერს შემატებთ, რასაც გამცნებთ და ნურც მოაკლებთ, არამედ შეინახეთ უფლის, თქვენი ღმერთის მცნებები, რომელთაც მე გამცნებთ. <sup>3</sup> თქვენი თვალით გაქვთ ნანახი, რა მოიმოქმედა უფალმა ბაალ-ფელორის გამო, როცა გაწყვიტა შენი წიაღიდან ყოველი კაცი, ვინც აპყვა ბაალ-ფელორს. <sup>4</sup> თქვენ კი, რომლებიც მიეწებთ უფალს, თქვენს ღმერთს, ყველანი ცოცხლები ხართ დღეს. <sup>5</sup> იცოდე, მე გასწავლეთ თქვენ წესები და სამართალნი, როგორც მამცნო უფალმა, ჩემმა ღმერთმა, რომ ასე მოიქცეთ იმ ქვეყანაში, რომლის დასამკვიდრებლადაც მიდიხართ. <sup>6</sup> და დაიცავით და შეასრულეთ, რადგან ეს არის თქვენი სიბრძნე და გონიერება იმ ხალხების წინაშე, რომლებიც ყურს მოჰკრავენ ამ წესებს და იტყვიან: ნამდვილად, ბრძენი და გონიერი ერია ეს დიდი ხალხი. <sup>7</sup> რადგან რომელი დიდი ხალხია, რომელთანაც ასე ახლოს იყვნენ ღმერთები, როგორც უფალი, ჩვენი ღმერთია, როცა კი ვუხმობთ მას? <sup>8</sup> რომელი დიდი ხალხია, რომელსაც ჰქონდეს ასეთი წესები და მართალი სამართალი, როგორც მთელი ეს რჯულია, დღეს რომ გაძლევთ. <sup>9</sup> ოღონდ გაფრთხილდი და გუ-



ლისყურით იყავი, რომ არ დაგავიწყდეს შენი თვალით ნანახი საქმეები და, ვიდრე ცოცხალი ხარ, გულიდან არ ამოგვარდეს. აცოდინე შენს შვილებს და შვილთაშვილებს <sup>10</sup> ის დღე, როდესაც უფლის, შენი ღმერთის წინაშე იდექი ხორებში და მეუბნებოდა უფალი: შემიკრიბე ხალხი და ჩავასმენ სიტყვებს, საიდანაც ისწავლიან ჩემდამი შიშს, ვიდრე ცოცხლობენ ამ მიწაზე, და თავიანთ შვილებსაც ასწავლიანო. <sup>11</sup> და მიუახლოვდით და მთის ძირას დადექით, მთას ცეცხლის ალი ასდიოდა ცის გულამდე. იდგა წყვდიადი, ღრუბელი და ნისლი. <sup>12</sup> და გელაპარაკებოდათ უფალი ცეცხლიდან, ლაპარაკის ხმა კი გესმოდათ, მაგრამ სახეს ვერ ხედავდით, მხოლოდ ხმა ისმოდა. <sup>13</sup> და გამოგიცხადათ თავისი აღთქმა, რომლის შესრულება გამცნოთ, ათი მცნება, და დაგიწერათ ორ ქვის დაფაზე. <sup>14</sup> და მე მამცნო მაშინ უფალმა, მესწავლებინა თქვენთვის წესნი და სამართალნი, რათა შეასრულოთ ისინი იმ ქვეყანაში, რომლის დასამკვიდრებლადაც მიდიხართ. <sup>15</sup> ძალზე ფრთხილად იყავით, რაკი არ გინახავთ არავითარი სახე, როცა უფალი გელაპარაკებოდათ ხორებში ცეცხლის შუაგულიდან, <sup>16</sup> რომ არ გაირყვნათ და არ გაიკეთოთ ქანდაკი, რაიმე კერპის ხატი, მამრის თუ მდედრის გამოსახულება, <sup>17</sup> რაიმე ცხოველის გამოსახულება, რაც მიწაზეა, რაიმე ფრინველის გამოსახულება, ცაში რაც დაფრინავს, <sup>18</sup> მიწაში ქვემძრომის გამოსახულება, რაიმე თევზის გამოსახულება, რაც წყალშია, მიწის ქვემოთ. <sup>19</sup> რომ ცისაკენ ახედვისას და მზისა და მთვარისა და ვარსკვლავების, ცის მთელი მხედრობის დანახვისას არ შეცდე და თაყვანი არ სცე მათ, არ ემსახურო მათ, რომლებიც შექმნა უფალმა, შენმა ღმერთმა, ყველა ხალხისათვის მთელს ცისქვეშეთში. <sup>20</sup> და თქვენ აგიყვანათ უფალმა და გამოგარიდათ რკინის ღუმელს — ეგვიპტეს, რომ ყოფილიყავით მის სამკვიდრო ერად, როგორც დღესა ხართ. <sup>21</sup> და უფალი გამირისხდა თქვენს გამო და დაიფიცა, რომ ვერ გადავალ იორდანეს გაღმა, ვერ შევალ კარგ ქვეყანაში, რომელიც სამკვიდროდ მოგცა უფალმა, შენმა ღმერთმა. <sup>22</sup> რადგან

ამ მიწაზე მოგვკვდები მე, ვერ გადავალ იორდანეს, თქვენ კი გადახვალთ და დაიმკვიდრებთ იმ კარგ ქვეყანას.<sup>23</sup> ფრთხილად იყავით, რომ არ დაგავიწყდეთ უფლის, თქვენი ღმერთის აღთქმა, რომელიც დაგიდოთ თქვენ, რომ არ გაიკეთოთ კერპი, რაიმე გამოსახულება, როგორც გამცნო უფალმა, შენმა ღმერთმა.<sup>24</sup> რადგან უფალი, თქვენი ღმერთი, შემტმელი ცეცხლია, შურისმგებელი ღმერთია იგი.<sup>25</sup> თუ გეყოლა შვილები და შვილთაშვილები, შეაბერდი ამ ქვეყანას, გაირყვინი და გაიკეთე კერპი, რაიმე გამოსახულება, უკეთურად მოიქეცი უფლის, შენი ღმერთის, თვალში და გააჯავრე იგი,<sup>26</sup> ცასა და მიწას ვიმოწმებ თქვენს წინაშე, რომ მალე გადაშენდებით იმ ქვეყნიდან, რომლის დასამკვიდრებლადაც გადადიხართ იორდანეს. დიდხანს ვერ დაჰყოფთ იქ, უეჭველად განადგურდებით.<sup>27</sup> და გაგფანტავთ უფალი ხალხებში და მცირენი-ლა დარჩებით ხალხთა შორის, სადაც მიგიყვანთ თქვენ უფალი.<sup>28</sup> და დაუწყებთ იქ თაყვანისცემას ადამიანების ხელით ნაკეთებ ღმერთებს, ხესა და ქვას, რომლებიც ვერაფერს ხედავენ, არაფერი ესმით, არაფერს ჭამენ, ვერაფერს ყნოსავენ.<sup>29</sup> და როცა დაუწყებ იქიდან ძებნას უფალს, შენს ღმერთს, იპოვნი მას, თუკი მთელი შენი გულითა და მთელი შენი სულით ეძიებ.<sup>30</sup> და როცა გაგიჭირდება და ყოველივე ეს შეგემთხვევა მომავალში, მიიქცევი უფლისაკენ, შენი ღმერთისაკენ, და გაიგონებ მის ხმას.<sup>31</sup> რადგან მოწყალე ღმერთია უფალი, შენი ღმერთი, არ მიგატოვებს, არ დაგლუპავს და არ დაივიწყებს შენს მამა-პაპასთან ფიცით დადებულ აღთქმას.

## წარსულის შეხსენება

<sup>32</sup> აბა, შეეკითხე გარდასულ დღეებს, შენამდე რომ იყო, იმ დღიდან, რაც შექმნა ღმერთმა კაცი ქვეყანაზე, ცის კიდიდან კიდემდე: თუ მომხდარა ასეთი დიადი საქმე, ან მსგავსი რამ თუ

სმენილა ოდესმე? <sup>33</sup> თუ უსმენია რომელიმე ხალხს ცეცხლის შუაგულიდან მოლაპარაკე ღმერთის ხმა, როგორც შენ ისმინე და ცოცხალი დარჩი. <sup>34</sup> ან თუ უცდია რომელიმე ღმერთს, წასულიყო და გამოეყვანა ხალხი სხვა ხალხის წიაღიდან განსაცდელებით, ნიშებით, სასწაულებით, ბრძოლით, მაგარი ხელით და შემართული მკლავით, დიდი ბარისტეხით, როგორც მოიმოქმედა თქვენთვის უფალმა, თქვენმა ღმერთმა, ეგვიპტეში თქვენს თვალწინ? <sup>35</sup> შენ გახილვინა, რომ გცოდნოდა, რომ ღმერთია უფალი, რომ სხვა არავინ არის მის გარდა. <sup>36</sup> ციდან გასმინა თავისი ხმა, რომ განესწავლე და ქვეყანაზე გახილვინა თავისი დიადი ცეცხლი და შენც მოისმინე მისი სიტყვები ცეცხლის შუაგულიდან. <sup>37</sup> და რაკი შეიყვარა შენი მამა-პაპა და აირჩია მისი შთამომავლობა მის შემდეგ, თავად მან გამოგიყვანა დიდი ძალით ეგვიპტიდან, <sup>38</sup> რომ აეყარა შენს წინაშე შენზე დიდი და ძლიერი ხალხები, მოეყვანე, რათა მოეცა შენთვის მათი ქვეყანა სამკვიდროდ, როგორც დღესა გაქვს. <sup>39</sup> და ახლა შეიგნე და გულს ჩაიბეჭდე, რომ უფალი ღმერთია მაღლა ცაში და დაბლა მიწაზე. სხვა არ არის. <sup>40</sup> და დაიცავი მისი წესები და მცნებები, რომელსაც დღეს გამცნებ, რომ კარგად იყოთ შენ და შენი შვილები შენს შემდგომ, რომ დიდხანს გაძლო ამ მიწაზე, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი, გაძლევს სამარადჟამოდ.

## თავშესაფარი ქალაქების დაწესება

<sup>41</sup> მაშინ გამოყო მოსემ სამი ქალაქი იორდანეს გაღმა, მზის აღმოსავლეთით, <sup>42</sup> რომ შეეძლოს იქ გაქცევა მკვლელს, რომელსაც შემოაკვდება თავისი ახლობელი, ვისი მტრობაც არ ჰქონია არც გუშინ და არც გუშინწინ, და გაიქცეს ერთ-ერთში ამ ქალაქთაგან და გადარჩეს: <sup>43</sup> ბეცერი უდაბნოში, ვაკებზე — რეუბენიანთათვის, რამოთი ვალაადში — ვადიანთათვის, ვოლანი ბაშანში — მენაშეანთათვის.

<sup>44</sup>ეს არის რჯული, რომელიც დაუდგინა მოსემ ისრაელიანებს. <sup>45</sup>ესენია მოწმობანი, წესნი და სამართალნი, რომლებიც გამოუცხადა მოსემ ისრაელიანებს ეგვიპტიდან გამოსვლისას <sup>46</sup>იორდანეს გაღმა, ველზე ბეთ-ფელორის გასწვრივ, ხეშბონში მჯდარი სიხონ ამორეველთა მეფის ქვეყანაში, რომელიც დაამარცხეს მოსემ და ისრაელიანებმა ეგვიპტიდან გამოსვლისას. <sup>47</sup>და დაიმკვიდრეს მისი ქვეყანა და ყოვის, ბაშანის მეფის ქვეყანა, ორი ამორეველი მეფისა, იორდანეს გაღმა რომ იყვნენ, მზის აღმოსავლეთით, <sup>48</sup>ყაროყერიდან, არნონის ხევზე რომ არის, სიონის მთამდე ანუ ხერმონამდე, <sup>49</sup>მთელი ყარაბა იორდანეს გაღმა აღმოსავლეთით, და ყარაბას ზღვამდე, ფისგას ფერდობებს ქვემოთ.

### ათი მცნების განმეორება

**5** <sup>1</sup>და უხმო მოსემ მთელს ისრაელს და უთხრა მათ: ისმინე, ისრაელო, წესნი და სამართალნი, რომელთაც გიცხადებთ დღეს თქვენს გასაგონად. დაისწავლეთ ისინი და დაიცავით, რომ შეასრულოთ. <sup>2</sup>უფალმა, ჩვენმა ღმერთმა, დაგვიდო აღთქმა ხორებში. <sup>3</sup>ჩვენი მამა-პაპისათვის არ დაუდევს ეს აღთქმა უფალს, არამედ ჩვენ დაგვიდო, ჩვენ ყველას, ვინც აქ დღეს ცოცხლები ვართ. <sup>4</sup>პირისპირ გელაპარაკებოდათ უფალი მთაზე ცეცხლის შუაგულიდან. <sup>5</sup>მე კი უფალსა და თქვენს შორის ვიდექი მას ჟამს, რომ გამომეცხადებინა თქვენთვის უფლის სიტყვა, რადგან თქვენ ცეცხლის გეშინოდათ და მთაზე არ ამოსულხართ, რომ მეთქვა: <sup>6</sup>მე ვარ უფალი, შენი ღმერთი, რომელმაც გამოგიყვანე ეგვიპტის ქვეყნიდან, მონობის სახლიდან. <sup>7</sup>არ გაიჩინო სხვა ღმერთები ჩემს წინაშე. <sup>8</sup>არ გაიკეთო კერპი, არც რაიმე ხატი იმისა, რაც არის მალლა ცაში, რაც არის დაბლა მიწაზე და რაც არის წყალში, მიწის ქვევით. <sup>9</sup>არ სცე თაყვანი მათ და არ ემსახურო, რადგან მე ვარ უფალი, შენი ღმერთი, შურისმგებელი ღმერთი, მამათა ცოდვის მომკითხავი შვილთა-

გან მესამე და მეოთხე თაობაში, ჩემს მოძულეთაგან. <sup>10</sup> წყალო-ბისმყოფელი ათასთათვის, ჩემს მოყვარულთა და ჩემს მცნებათა დამმარხველთათვის. <sup>11</sup> არ ახსენო ფუტად უფლის, შენი ღმერთის სახელი, რადგან დაუსჯელს არ დასტოვებს უფალი თავისი სახელის ფუტად მხსენებელს. <sup>12</sup> შეინახე შაბათი დღე, რომ წმიდაჰყო იგი, როგორც გამცნო უფალმა, შენმა ღმერთმა. <sup>13</sup> ექვს დღეს იშრომე და აკეთე ყოველი შენი საქმე, <sup>14</sup> მეშვიდე დღე კი უფლის, შენი ღმერთის, შაბათია. არაფერი საქმე არ აკეთო არც შენ, არც შენმა ვაჟმა, არც შენმა ასულმა, არც შენმა მსახურმა, არც შენმა მხევალმა, არც შენმა ხარმა, არც შენმა სახედარმა, არც ერთმა შენმა პირუტყვმა, არც შენმა მდგმურმა, ვინც შენს კარიბჭეებში ცხოვრობს, რომ დაისვენოს შენმა მსახურმა და მხევალმა შენთან ერთად. <sup>15</sup> გახსოვდეს, რომ მონა იყავი ეგვიპტის ქვეყანაში და გამოგიყვანა იქიდან უფალმა, შენმა ღმერთმა, მაგარი ხელით და შემართული მკლავით. ამიტომ გამცნო უფალმა, შენმა ღმერთმა, შაბათი დღის შენახვა. <sup>16</sup> პატივი ეცი შენს მამას და შენს დედას, როგორც გამცნო უფალმა, შენმა ღმერთმა, რომ დღეგრძელი იყო და კარგად იცხოვრო იმ მიწაზე, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი გაძლევს. <sup>17</sup> არა კლა, <sup>18</sup> არ იმრუშო, <sup>19</sup> არ იქურდო, <sup>20</sup> არ მისცე ცრუ ჩვენება შენი ახლობლის წინააღმდეგ. <sup>21</sup> არ მოინდომო ახლობლის ცოლი, არ ისურვო შენი ახლობლის სახლი, არც მისი ყანა, არც მისი მსახური, არც მისი მხევალი, არც მისი ხარი, არც მისი სახედარი, არც არაფერი შენი ახლობლისა. <sup>22</sup> ეს სიტყვები გითხრათ უფალმა მთელს თქვენს კრებულს მთაზე ცეცხლის, ღრუბლის და ნისლის შუაგულიდან დიდი ხმით, და არაფერი დაუმატებია, და დაწერა ისინი ორ ქვის ორ დაფაზე და მე მომცა.

## ხალხის შიში და ვედრება მოსესადმი

<sup>23</sup> და როცა მოისმინეთ მისი ხმა ბნელიდან, მთას კი ამ დროს ცეცხლი ეკიდა, ახლოს მოხვედით ჩემთან შტოთა თავკაცე-

ბი და უხუცესები, <sup>24</sup> და მითხარით: აჰა, გვახილვინა უფალმა, ჩვენმა ღმერთმა, თავისი დიდება და სიდიადე, მისი ხმაც გვესმა ცეცხლის შუაგულიდან. ამ დღეს დავინახეთ, რომ ღმერთი ელაპარაკა ადამიანს და ცოცხალი დარჩა ადამიანი. <sup>25</sup> ახლა რისთვისღა დავიხოცოთ? ხომ შეგვჭამს ეს დიდი ცეცხლი? ხომ დავიხოცეთ, თუ კიდევ მოგვესმა უფლის, ჩვენი ღმერთის ხმა? <sup>26</sup> რადგან რომელი ხორციელი ყოფილა, რომ მოესმინოს ცეცხლის შუაგულიდან მოლაპარაკე ღმერთის ხმა და ჩვენსავით ცოცხალი დარჩენილიყოს? <sup>27</sup> შენ მიდი ახლოს და მოისმინე ყველაფერი, რასაც უფალი, ჩვენი ღმერთი, იტყვის, და გვითხარი ყველაფერი, რასაც უფალი, ჩვენი ღმერთი, გეტყვის შენ. და ჩვენ მოვისმენთ და შევასრულებთ.

### უფლის პასუხი

<sup>28</sup> და მოესმა უფალს თქვენი ლაპარაკის ხმა, მე რომ მელაპარაკებოდით, და მითხრა უფალმა: მომესმა ამ ხალხის ლაპარაკის ხმა, შენ რომ გელაპარაკებოდა. ყველაფერი კარგია, რაც ილაპარაკეს. <sup>29</sup> ნეტავ ისეთი გული ჰქონდეთ, რომ ეშინოდეთ ჩემი და მარადჟამს დაიცვან ყოველი ჩემი მცნება, რათა კარგად იყვნენ თვითონ და მათი შვილები საუკუნოდ. <sup>30</sup> წადი, უთხარი მათ: დაბრუნდით თქვენ-თქვენს კარვებში! <sup>31</sup> შენ კი აქ იდექი ჩემთან და გამოგიცხადებ ყველა მცნებას, წესებსა და სამართალთ, რომლებიც უნდა ასწავლო მათ, რომ შეასრულონ ქვეყანაში, რომელსაც მე ვაძლევ მათ მის დასამკვიდრებლად. <sup>32</sup> და გაფრთხილდით, რომ მოიქცეთ, როგორც გამცნოთ თქვენ უფალმა, თქვენმა ღმერთმა, არ გადაუხვიოთ არც მარჯვნივ, არც მარცხნივ. <sup>33</sup> ყველა იმ გზაზე იარეთ, რომელიც გამცნოთ უფალმა, თქვენმა ღმერთმა, რომ იცოცხლოთ, სიკეთე გქონდეთ და დღეგრძელი იყოთ ქვეყანაში, რომელსაც დაიმკვიდრებთ.

## შეგონება

**6** <sup>1</sup>ეს არის მცნება, წესნი და სამართალნი, რომლებიც გამცნოთ უფალმა, თქვენმა ღმერთმა, თქვენს დასამოძღვრად, რომ შეასრულოთ ქვეყანაში, რომლის დასამკვიდრებლადც გადადიხართ იქ, <sup>2</sup>რომ გეშინოდეს უფლის, შენი ღმერთისა, რომ დაიცვათ ყოველი მისი წესი და მცნება, რომელთაც მე გამცნობთ, შენ და შენმა შვილებმა, და შენმა შვილთაშვილებმა შენს სიცოცხლეში, და რომ დღეგრძელი იყო. <sup>3</sup>და ისმინე, ისრაელო, და დაიცავი, რათა შეასრულო, რომ კარგად იყო და რომ დიდად იმრავლო ქვეყანაში, სადაც ღვარად დის რძე და თაფლი, როგორც გითხრა უფალმა, შენი მამა-პაპის ღმერთმა. <sup>4</sup>ისმინე ისრაელ! ერთია უფალი! უფალი ჩვენი ღმერთია. <sup>5</sup>და გიყვარდეს უფალი, შენი ღმერთი, მთელი შენი გულითა და სულით, მთელი შენი შეძლებით. <sup>6</sup>გულში გქონდეს ეს სიტყვები, რომლებიც დღეს გამცნე. <sup>7</sup>და უმეორებდე მათ შენს შვილებს და უთხრობდე სახლში ჯდომისას, გზაზე სიარულისას, დაწოლისას და ადგომისას. <sup>8</sup>და შეიბი ისინი ნიშნად ხელზე და გქონდეს სასწაულად თვალთა შუა. <sup>9</sup>და წააწერე ისინი შენი სახლის წირთხლებს და კარებს.

## გაფრთხილება ქანაანში შესვლისათვის

<sup>10</sup>და როცა შეგიყვანს უფალი, შენი ღმერთი, იმ ქვეყანაში, რომლის გამო ეფიცებოდა აბრაამს, ისაკს და იაკობს, რომ შენ მოგცემდა დიდი და მშვენიერი ქალაქებითურთ, რომლებიც შენ არ აგიშენებია, <sup>11</sup>და ყოველნაირი დოვლათით ავსებული სახლებითურთ, რომლებიც შენ არ აგივსია, და ამოთხრილი ჭებითურთ, რომლებიც შენ არ ამოგიოთხრია, და ვენახებითურთ და მეთისხილის ბალებითურთ, რომლებიც შენ არ გაგიშენებია, და

შენც შეჭამ და გაძღები, <sup>12</sup> იფრთხილე, არ დაგავიწყდეს უფალი, რომელმაც გამოგიყვანა ეგვიპტიდან, მონობის სახლიდან. <sup>13</sup> უფლის, შენი ღმერთის, გეშინოდეს და მას ემსახურებოდე, მის სახელს ფიცულობდე. <sup>14</sup> ნუ გაყვები სხვა ღმერთებს, იმ ხალხთა ღმერთებს, რომლებიც თქვენს გარშემო არიან, <sup>15</sup> რადგან შურისმგებელი ღმერთია თქვენში უფალი. არ აღიგზნოს უფლის, თქვენი ღმერთის რისხვა და არ წარგზოცოთ მიწის პირისაგან. <sup>16</sup> ნუ გამოცდით უფალს, თქვენს ღმერთს, როგორც გამოცადეთ იგი მასაში. <sup>17</sup> და დაიცავით უფლის, თქვენი ღმერთის, მცნებები, მოწმობანი და წესები, რომლებიც გამცნე შენ. <sup>18</sup> სწორად და კეთილად მოიქეცი უფლის თვალში, რომ კეთილად იყო, რომ მიაღწიო და დაიმკვიდრო კარგი ქვეყანა, რომელიც აღუთქვა უფალმა შენს მამა-პაპას, <sup>19</sup> რომ მოგაცილოს ყველა შენი მტერი, როგორც თქვა უფალმა.

### შთამომავლის შეკითხვა

<sup>20</sup> როცა შეგეკითხება ხვალ შენი შვილი: რა არის ეს მოწმობანი, მცნებანი, წესნი და სამართალნი, რომელნიც გვამცნო უფალმა, ჩვენმა ღმერთმა, <sup>21</sup> უთხარი შენს შვილს: ფარაონის მონები ვიყავით-თქო ეგვიპტეში და მაგარი ხელით გამოგიყვანა უფალმა ეგვიპტიდან. <sup>22</sup> მოუვლინა-თქო უფალმა დიდი და საშინელი ნიშები და სასწაულები ეგვიპტეს, ფარაონს და მთელს მის სახლს, ჩვენს თვალწინ. <sup>23</sup> ჩვენ კი გამოგიყვანა-თქო იქიდან, რომ აქ მოვეყვანეთ და მოეცა ჩვენთვის ეს ქვეყანა, რომელიც აღუთქვა ჩვენს მამა-პაპას. <sup>24</sup> და გვამცნო უფალმა ყველა ამ წესის შესრულება და უფლის, ჩვენი ღმერთის შიში, რომ კარგად ვიყოთ მთელი სიცოცხლე, რომ ცოცხალნი დავრჩეთ, როგორც ახლა ვართ. <sup>25</sup> და ჩვენი იქნება სიმართლე, თუ შევასრულებთ ყველა იმ მცნებას უფლის, ჩვენი ღმერთის წინაშე, როგორც გვამცნო ჩვენ.



## კერპთაყვანისცემის ამოძირკვა

**7** <sup>1</sup>როცა მიგიყვანს შენ უფალი, შენი ღმერთი, იმ ქვეყანაში, რომლის დასამკვიდრებლადაც მიდიხართ, და მოგაშორებს მრავალრიცხოვან ხალხებს — ხეთელებს, გირგაშელებს, ამორეველებს, ქანაანელებს, ფერიზელებს, ხივიელებს და იებუსელებს — შვიდ ხალხს, შენზე მრავალრიცხოვანს და ძლიერს, <sup>2</sup>და ხელში ჩაგაგდებინებს და შენც დაამარცხებ მათ, დაარისხე ისინი, არ შეკრა მათთან კავშირი და არ დაინდო. <sup>3</sup>და არ დაუმოყვრდე მათ, არ გაათხოვო შენი ქალიშვილი მის ვაჟზე და არ მოუყვანო შენს ვაჟს მისი ქალიშვილი ცოლად, <sup>4</sup>რადგან ჩემი გზიდან ააცდენენ შენს ვაჟს, და დაიწყებენ უცხო ღმერთების თაყვანისცემას, და უფლის რისხვა დაატყდებათ თავს და დაუყოვნებლივ გაგადგურდებთ. <sup>5</sup>ასე მოექცეით მათ: დაუნგრით სამსხვერპლოები, დაუღეწეთ სვეტები, გაუჩიხეთ ხემხვიანები და ცეცხლში დაწვით მათი კერპები. <sup>6</sup>რადგან წმიდა ერი ხართ უფლის, შენი ღმერთისათვის. შენ აგირჩია უფალმა, შენმა ღმერთმა, რომ იყოთ უნჯი ერი მისთვის ყველა ერს შორის, რომელიც კი არსებობს მიწის პირზე.

## რატომ აირჩია უფალმა ისრაელი

<sup>7</sup>იმის გამო კი არ მოგისურვა და გამოგარჩია უფალმა, რომ სხვა ხალხებზე მრავალრიცხოვანი იყავი, შენ ხომ ყველა ხალხზე მცირერიცხოვანი ხარ, <sup>8</sup>არამედ იმის გამო, რომ უყვარდით უფალს და ინახავდა თქვენს მამა-პაპასთან დადებულ ფიცს. გამოგიყვანათ უფალმა ძლიერი ხელით და გიხსნათ მონობის სახლიდან, ეგვიპტის მეფის, ფარაონის, ხელიდან. <sup>9</sup>და იცოდე, რომ უფალი, შენი ღმერთი სარწმუნო ღმერთია, შემნახველი ათას თაობაში აღთქმისა და წყალობისა მის მოყვარულთათვის და მის მცნებათა შემნახველთათვის ათას თაობაში, <sup>10</sup>სამაგიეროს მიმზღველი მის მოძულეთა მიმართ, მათი დამღუპველი უყოყმანოდ, არ დაახანებს, უყოყმანოდ მიუზღავს სამა-

გიეროს მოძულებს. <sup>11</sup> შეინახე მცნებები, წესი და სამართალი, რომლის შესრულებასაც გავალებ დღეს.

### **აღთქმების დაცვა და მისი საზღაური**

<sup>12</sup> თუ შეისმენთ ამ სამართალს, შეინახავთ და შეასრულებთ მას, უფალი, თქვენი ღმერთიც შეგინახავთ აღთქმას და წყალობას, რაც შეჰფიცა თქვენს მამა-პაპას. <sup>13</sup> და შეგიყვარებს და გაკურთხებს, და გაგამრავლებს და გიკურთხებს შენი მუცლის ნაყოფს, შენი მიწის ნაყოფს, პურს, ღვინოს და ზეთს, საქონლის ნამატს და ცხვრის მონაგებს იმ მიწაზე, რომელიც შენთვის მისაცემად აღუთქვა შენს მამა-პაპას. <sup>14</sup> კურთხეული იქნები ყველა ხალხზე უფრო, არ იქნება შენში და არც შენს პირუტყვში ბერწი და უნაყოფო. <sup>15</sup> და აგაცილებს ყოველგვარ ავადობას, და არ შეგყრის ეგვიპტის ბოროტ სწულებებს, რომლებიც იცი, შენს მოძულებს კი გაუჩენს. <sup>16</sup> და შენ შთანთქავ ყველა ხალხს, რომელსაც გაძლევს უფალი, შენი ღმერთი, ნუ შეიწყალებს მათ შენი თვალი, არ ემსახურო მათ ღმერთებს, რადგან ხაფანგი იქნება ეს შენთვის.

### **უფლის იმედი ქანანში შესვლისას**

<sup>17</sup> თუ იტყვი გულში: ჩემზე ბევრნი არიან ეს ხალხები, როგორ შევძლებ მათ განდევნასო? <sup>18</sup> ნუ შეგეშინდება მათი, გაიხსენე, რა გაუკეთა უფალმა, შენმა ღმერთმა, ფარაონს და მთელს ეგვიპტეს — <sup>19</sup> დიდი განსაცდელნი, რომლებიც იხილეს შენმა თვალებმა, და ნიშები და სასწაულები, და მაგარი ხელი და შემართული მკლავი, რომლითაც გამოგიყვანა უფალმა, შენმა ღმერთმა, ასე უყოფს უფალი, შენი ღმერთი, ყველა ხალხს, რომლისაც გეშინია. <sup>20</sup> და კრაზანასაც მიუსევს უფალი, შენი ღმერთი, ვიდრე არ გაანადგურებს ყველას, ვინც გადაგირჩება და დაგემალება. <sup>21</sup> ნუ უფრთხი მათ, რადგან უფალი, შენი ღმერთი შენს შორის, დიადი და საშინელი ღმერთი. <sup>22</sup> და მოგაშორებს უფალი, შენი ღმერთი, ამ ხალხებს თანდათანობით.

მალე არ უნდა გადააშენო ისინი, რომ არ იმრავლონ შენზე ველის მხეცებმა. <sup>23</sup> და დაყრის მათ უფალი, შენი ღმერთი, შენს წინაშე, და შეარყევს მათ მაგარი რყევით და განადგურდებიან. <sup>24</sup> და ხელში ჩაგაგდებინებს მათ მეფეებს და მოსპობ მათ სახსენებელს. <sup>25</sup> ცეცხლში დაწვით მათი ღმერთების ქანდაკები, და ნუ ისურვებ ვერცხლსა და ოქროს, ზედ რომ აქვთ; ნუ წაიღებ, რომ ხაფანგად არ გექცეს, რადგან სისაძაგლეა ეს უფლის, შენი ღმერთისათვის. <sup>26</sup> და არ შეიტანო სისაძაგლე შენს სახლში, რომ შენც მასავით დარისხებული არ გახდე. და გემიზღებოდეს და გაძაგდეს, რადგან დარისხებულია იგი.

### უფლის ზრუნვა და დაპირება

**8** <sup>1</sup> ყოველი მცნება, რომელსაც მე გამცნობთ დღეს, შეინახეთ, რათა შეასრულოთ, რომ იცოცხლოთ და გამრავლდეთ, და წახვიდეთ და დაიმკვიდროთ ქვეყანა, რომელიც თქვენს მამა-პაპას აღვუთქვი. <sup>2</sup> და გახსოვდეს მთელი ის გზა, რომლითაც მოჰყავდი ეს ორმოცი წელი უფალს, შენს ღმერთს, უდაბნოში, რომ მოეთვინიერებინე, გამოეცადე, რომ სცოდნოდა, რა გიდევეს გულში, შეინახავდი თუ არა მის მცნებებს. <sup>3</sup> და გათვინიერებდა და გამშევდა, და გაჭმევდა მანანას, რომელიც არ იცოდი არც შენ და არც შენმა მამა-პაპამ, რათა მიმხვდარიყავი, რომ მხოლოდ პურით არ ცოცხლობს კაცი, არამედ უფლის პირიდან გამომავალი ყოველი სიტყვით ცოცხლობს კაცი. <sup>4</sup> აგერ ორმოცი წელია, რაც შესამოსელი არ დაგძველებია ტანზე და ფეხები არ დაგსივებია. <sup>5</sup> და იცოდე გულით, რომ როგორც კაცი წვრთნის თავის შვილს, ასევე უფალი, შენი ღმერთია შენი გამწვრთნელი. <sup>6</sup> და შეინახე უფლის, შენი ღმერთის, მცნებები, და იარე მის გზებზე და მისი გეშინოდეს. <sup>7</sup> რადგან უფალს, შენს ღმერთს, მიყავხარ კარგ ქვეყანაში, ნაკადულთა და წყართა ქვეყანაში, სადაც ნიაღვრები გამოედინებიან მთიდან და ბარიდან, <sup>8</sup> ხორბლის და ქერის, და ყურძნის და ლელვის, და

ბროწეულის ქვეყანაში, ზეთისხილისა და თაფლის ქვეყანაში, <sup>9</sup> ქვეყანაში, სადაც არ მოგაკლდება საჭმელი პური და არაფერი გაგიჭირდება, ქვეყანაში, რომელსაც რკინა აქვს ქვებად და რომლის მთებიდანაც რვალს გამოკვეთავ. <sup>10</sup> და შეჭამ და გაძღები, და დალოცავ უფალს, შენს ღმერთს, იმ კარგი მიწისათვის, რომელიც მოგცა.

### არ დაივიწყო უფალი, თორემ

<sup>11</sup> იფრთხილე, არ დაგავიწყდეს უფალი, შენი ღმერთი, და მისი მცნებები, მისი სამართალი და მისი წესები, რომელთაც მე გამცნებ დღეს, <sup>12</sup> რომ, როცა შეჭამ და გაძღები, კარგ სახლებს ააშენებ და დაბინავდები, <sup>13</sup> და გაგიმრავლდება ცხვარი და ხვასტაგი, უხვად გექნება ოქრო-ვერცხლი და ყოველი საქონელი, <sup>14</sup> და ამალღდება შენი გული და დაგავიწყდება უფალი, შენი ღმერთი, ეგვიპტის ქვეყნიდან, მონობის სახლიდან, შენი გამომყვანი, <sup>15</sup> რომელმაც გამოგატარა დიდი და საშინელი უდაბნო, უნასთა, ჯოჯოთა და მორიელთა ბუდე, ხრიოკები, სადაც წყალი არ არის, მან კი სალი კლდიდან გადმოადინა წყალი, <sup>16</sup> გკვებავდა უდაბნოში მანანით, რომელიც არ იცოდა თქვენმა მამა-პაპამ, რომ მოეთვინიერებინე, გამოეცადე შენი სიკეთისათვის სამომავლოდ, <sup>17</sup> რომ არ გეთქვა გულში: ჩემმა ძალამ და მკლავის ღონემ შემძინა ეს დოვლათიო. <sup>18</sup> და გახსოვდეს უფალი, შენი ღმერთი, რადგან ის გაძღევს ძალას სიმდიდრის შესაქმნელად, რომ შეასრულო მისი აღთქმა, რომელიც ფიცით დაუდო შენს მამა-პაპას, როგორც ამ დღეს. <sup>19</sup> და თუ დაივიწყებ უფალს, შენს ღმერთს, და გაყვები უცხო ღმერთებს, და ემსახურები მათ და თაყვანს სცემ მათ, ცასა და მიწას ვიმოწმებ თქვენს წინაშე, რომ პირწმინდად გადაშენდებით <sup>20</sup> იმ ხალხებით, რომლებიც გადააშენა უფალმა თქვენს თვალწინ. ასე გადაშენდებით თქვენც იმის გამო, რომ უფლის, თქვენი ღმერთის ხმას არ ისმენდით.

## ღმერთი იბრძვის ისრაელიანთათვის

**9** <sup>1</sup> ისმინე, ისრაელო! შენ დღეს გადადიხარ იორდანეს, რომ მიხვიდე და დაეპატრონო შენზე დიდსა და ძლიერ ხალხებს, დიდ და ცათამდე გამაგრებულ ქალაქებს, <sup>2</sup> დიდსა და მაღალ ხალხს, ყანაკის მოდგმას, რომელიც იცი და რომელზეც გსმენია: ვინ დაუდგებაო წინ ყანაკის მოდგმას? <sup>3</sup> და ახლა იცოდე: უფალი, შენი ღმერთი, მიგიძღვის წინ, მჭამელი ცეცხლი. ის მოსპობს მათ და ის მოდრეკს მათ შენს წინაშე, და შენც აყრი მათ და მალე გადააშენებ, როგორც უფალმა გითხრა. <sup>4</sup> არ თქვა შენს გულში, როცა დაიწყებს უფალი, შენი ღმერთი, მათ განდევნას: ჩემი სიმართლის გამო მომიყვანა უფალმა ამ ქვეყნის დასამკვიდრებლად. არა, მათი სიბოროტის გამო აყარა ეს ხალხები უფალმა შენს წინაშე. <sup>5</sup> შენი სიმართლისა და შენი გულწრფელობის გამო კი არ მიდიხარ მათი ქვეყნის დასამკვიდრებლად, არამედ მათი სიბოროტის გამო აყრის შენგან უფალი ამ ხალხებს, რომ შეასრულოს სიტყვა, რომელიც მისცა უფალმა შენს მამა-პაპას — აბრაამს, ისაკს და იაკობს. <sup>6</sup> და იცოდე, შენი სიმართლის გამო არ გაძღვეს უფალი, შენი ღმერთი, ამ კარგ მიწას დასამკვიდრებლად, რადგან ჯიუტი ხალხი ხართ.

## ხალხის ჯანყის გახსენება

<sup>7</sup> გახსოვდეს, არ დაგავიწყდეს, რომ ბევრჯერ გაგირისხებია უფალი, შენი ღმერთი, უდაბნოში, ეგვიპტიდან გამოსვლის დღიდან ამ ადგილზე მოსვლამდე, მოჯანყენი იყავით უფლის წინააღმდეგ. <sup>8</sup> და ხორებში განარისხეთ უფალი და გამწყრალმა თქვენი მოსპობა დააპირა. <sup>9</sup> და როცა მთაზე ავედი, რომ ჩამომეტანა ქვის დაფები, დაფები აღთქმისა, უფალმა რომ დაგიდოთ თქვენ, ორმოცი დღე და ორმოცი ღამე ვიყავი იქ: არც პური მიჭამია და არც წყალი მისვამს. <sup>10</sup> და მომცა უფალმა ორი ქვის დაფა, ღვთიური თითებით წარწერილი, ზედ იყო ყველა ის სიტყვა, რომელიც გამოგიცხადათ უფალმა მთაზე ცეცხლის

შუაგულიდან თავშეყრის დღეს. <sup>11</sup>და ორმოცი დღისა და ორმოცი ღამის გასვლის შემდეგ მომცა უფალმა ორი ქვის დაფა, დაფები ალთქმისა, <sup>12</sup>და მითხრა უფალმა: ადექი და ისწრაფე აქედან, რადგან გაირყვნა შენი ხალხი, რომელიც ეგვიპტიდან გამოიყვანე. მალევე გადაუხვიეს შენგან ნასწავლებ გზას: კერპი ჩამოისხეს. <sup>13</sup>და მითხრა უფალმა: დავინახე, რომ ჰიუტი ყოფილა ეს ხალხი. <sup>14</sup>მომიშვი და მოვსპობ მათ და წარვხოცავ მათ სახსენებელს ცისქვეშეთიდან. შენგან კი მასზე ძლიერ და მრავალრიცხოვან ხალხს შევქმნი.

### **როგორ ესარჩლებოდა მოსე ხალხს და ძმას აარონს**

<sup>15</sup>და პირი ვიბრუნე და მთიდან ჩამოვედი, მთა კი ცეცხლში იწვოდა, და მე ალთქმის ორი დაფა მეჭირა ორთავე ხელში. <sup>16</sup>და დავინახე, რომ შესცოდეთ უფალს, თქვენს ღმერთს, ოქროს ხბო ჩამოისხით, მალევე გადაუხვიეთ გზას, რომელიც უფალმა გასწავლათ. <sup>17</sup>და ავიღე და გავაგდე ხელიდან ორივე დაფა და თქვენს თვალწინ დავლეწე. <sup>18</sup>და დავემხე უფლის წინაშე როგორც უწინ და ასე ვიყავი ორმოცი დღე და ორმოცი ღამე უსმელ-უტემელი ყველა თქვენი ცოდვის გამო, რომლითაც სცოდავდით, ბოროტებას რომ სჩადიოდით უფლის თვალში და აჯავრებდით მას. <sup>19</sup>რადგან მეშინოდა რისხვისა და წყრომისა, რომელიც დაგატეხათ უფალმა თქვენს დასაღუპავად. და მისმინა მე უფალმა ამჯერადაც. <sup>20</sup>და ძლიერ გაუწყრა უფალი აარონს, რომ დაეღუპა იგი. და მე შევევედრე მაშინ აარონის გამოც. <sup>21</sup>და ავიღე თქვენი ნაცოდვარი — ხბო და ცეცხლში დავწვი, და იმდენი ვნაყე, რომ მტვრად ვაქციე და მისი მტვერი მთიდან მომდინარე ლეღეში ჩავყარე. <sup>22</sup>და აჯავრებდით უფალს თაბერაში, მასაში და კიბროთ-ჰათათავაში. <sup>23</sup>და როცა კადემ-ბარნეადან გაგზავნიდათ უფალი და გეუბნებოდათ: წადით, დაეპატრონეთ ქვეყანას, რომელიც მოგეცითო, თქვენ აუჯანყდით უფლის, თქვენი ღმერთის, პირს და არ ერწმუნეთ

მას და არ ისმინეთ მისი ხმა. <sup>24</sup>უფლის მოჯანყენი ხართ იმ დღიდან, რაც გიცნობთ თქვენ. <sup>25</sup>და დავემხე უფლის წინაშე და ასე ვიყავი ორმოცი დღე და ორმოცი ღამე, რადგან თქვენი დაღუპვა გადაწყვიტა უფალმა. <sup>26</sup>და ვილოცე უფლის მიმართ და ვუთხარი: უფალო ღმერთო! ნუ დაღუპავ შენს ერს და შენს სამკვიდროს, რომელიც გამოისყიდე შენი ძლევამოსილებით, რომელიც გამოიყვანე ეგვიპტიდან მაგარი ხელით. <sup>27</sup>გაიხსენე შენი მსახურნი — აბრაამი, ისაკი და იაკობი. ნუ უყურებ ამ ხალხის სიჯიუტეს, მის სიბოროტეს და მის ცოდვებს, <sup>28</sup>რომ არ თქვას ქვეყანამ, საიდანაც გამოგვიყვანე: ვერ შეიყვანა უფალმა ისინი იმ ქვეყანაში, რომელსაც მათ ჰპირდებოდა და მათდამი სიძულვილის გამო გამოიყვანა ისინი, რომ უდაბნოში დაეხოცა. <sup>29</sup>და შენი ერია ისინი და შენი სამკვიდრო, რომელიც გამოიყვანე შენი დიდი ძალით და შენი შემართული მკლავით.

### ახალი დაფები

**10** <sup>1</sup>მას ჟამს მითხრა უფალმა: გამოთალე ორი ქვის დაფა, პირვანდელთა მსგავსი, და ამოდი ჩემთან მთაზე და გააკეთე შენთვის ხის კიდობანი. <sup>2</sup>და მე წავაწერ დაფებზე სიტყვებს, რომლებიც ეწერა პირვანდელ დაფებზე, შენ რომ დალეწე, და ჩააწყვე ისინი კიდობანში. <sup>3</sup>და გავაკეთე ურთხელის კიდობანი და გამოვთალე ორი ქვის დაფა, პირვანდელთა მსგავსი, და ავედი მთაზე. და ორი დაფა *მეონ*და ხელში. <sup>4</sup>და წააწერა დაფებზე პირვანდელი წარწერის მსგავსად ათი სიტყვა, რომელიც გამოგიცხადათ თქვენ უფალმა მთაზე ცეცხლის შუაგულიდან, თავშეყრის დღეს, და მომცა ისინი უფალმა. <sup>5</sup>და პირი ვიბრუნე და ჩამოვედი მთიდან, და ჩავაწყვე დაფები ჩემს გაკეთებულ კიდობანში და იყო იქ, როგორც მამცნო უფალმა. <sup>6</sup>და ისრაელიანები გაემგზავრნენ იაყაკანიანთა ბეროთიდან მოსერისაკენ, იქ მოკვდა აარონი და დაიმარხა იქ. და გამღვდელდა მისი ძე ელიაზარი მის ნაცვლად. <sup>7</sup>იქიდან გუდგოდი-



საკენ გაემგზავრნენ და გუდგოდიდან იოტბეთისაკენ, წყლის ნაკადულების ქვეყანაში.

### ლევიათა არჩევა

<sup>8</sup> მას ჟამს გამოაცალკევა უფალმა ლევიათა შტო, რომ ეტარებინათ უფლის აღთქმის კიდობანი, რომ მდგარიყვნენ უფლის წინაშე, რომ ემსახურათ მისთვის და ეკუთხებინათ მისი სახელით, როგორც დღევანდლამდე. <sup>9</sup> ამიტომაც არა აქვთ ლევიათებს წილი და სამკვიდრო თავის ძმებთან, თავად უფალია მათი სამკვიდრო, როგორც გამოუცხადა მას უფალმა, შენმა ღმერთმა. <sup>10</sup> და მე ვიდექი მთაზე პირვანდელივით ორმოც დღეს და ორმოც ღამეს და ამჯერადაც მისმინა მე უფალმა, არ ინება უფალმა შენი დაღუპვა. <sup>11</sup> და მითხრა უფალმა: ადექი და წაუძეღი ერს მგზავრობაში, რომ წავიდნენ და დაიმკვიდრონ ქვეყანა, რომელიც ფიცით აღვუთქვი მათ მამა-პაპას.

### უფლის სიყვარული და მისი მცნებების დაცვა

<sup>12</sup> და ახლა, ისრაელო რას მოითხოვს შენგან უფალი, შენი ღმერთი? თუ არა იმას, რომ გეშინოდეს უფლისა, შენი ღმერთისა, იარო ყველა მის გზაზე, გიყვარდეს იგი, ემსახურო უფალს, შენს ღმერთს, მთელი შენი გულითა და მთელი შენი სულით, <sup>13</sup> რომ შეინახო უფლის მცნებები და წესები, რომელთაც გამცნებ დღეს შენს სასიკეთოდ. <sup>14</sup> აჰა, უფლის, შენი ღმერთისაა ცანი და ცანი ცათანი, ქვეყანა და ყველაფერი, რაც მასშია. <sup>15</sup> მხოლოდ შენი მამა-პაპა შეივრდომა, რომ ყვარებოდით თქვენ და ამოარჩია მათი შთამომავლობა მათ შემდგომ, ყველა ხალხიდან, როგორც დღეს არის. <sup>16</sup> და დაიცვით თქვენი გულის ჩუჩა და ნუღარ იქნებით ქედფიცხელნი, <sup>17</sup> რადგან უფალი, თქვენი ღმერთი, არის ღმერთთა ღმერთი და მეუფეთა მეუფე, დიდი, ძლიერი და საშინელი ღმერთი, რომელმაც არ იცის



მიკერძოება და არც ქრთამს იღებს. <sup>18</sup>და უჩენს სამართალს ქვრივსა და ობოლს, და უყვარს მდგმური და აძლევს მას პურს და შესამოსელს. <sup>19</sup>და გიყვარდეთ მდგმური, რადგან თქვენც მდგმურები იყავით ეგვიპტის ქვეყანაში. <sup>20</sup>უფლის, თქვენი ღმერთისა გეშინოდეს, მას ემსახურე და მას მიეწეებ და მისი სახელით დაიფიცე. <sup>21</sup>ის არის შენი სადიდებელი, ის არის შენი ღმერთი, რომელმაც მოიმოქმედა შენთვის ეს სიდიადენი და საკვირველებანი, რომ;ლებიც იხილეს შენმა თვალებმა. <sup>22</sup>სამოცდაათი სული ჩავიდა შენი მამა-პაპა ეგვიპტეში, ახლა კი ცის ვარსკვლავებით მრავალრიცხოვანი გაგხადა უფალმა, შენმა ღმერთმა.

**11** <sup>1</sup>და გიყვარდეს უფალი, შენი ღმერთი, ასრულებდეთ მის სამსახურს და მის წესებს და მის სამართალთ, და მცნებებს მთელი სიცოცხლე. <sup>2</sup>და იცოდე დღეს, რომ არ იციან თქვენმა შვილებმა, რომელთაც არ უნახავთ უფლის, თქვენი ღმერთის სასჯელი, მისი სიდიადე, მისი მაგარი ხელი და მისი შემართული მკლავი, <sup>3</sup>მისი სასწაულები და საქმეები, რაც გაუკეთა შუაგულ ეგვიპტეში ფარაონს, ეგვიპტის მეფეს და მთელს მის ქვეყანას; <sup>4</sup>რაც უყო ეგვიპტელთა ლაშქარს, მის მხედრებს და ეტლიონს, რომლებსაც თავზე დაანთქა მეწამული ზღვის წყლები, როცა თქვენ გედევნებოდნენ, და დაღუპული ჰყავს ისინი დღემდე უფალს. <sup>5</sup>რასაც აკეთებდა თქვენთვის უდაბნოში, ვიდრე ამ ადგილას მოხვიდოდით; <sup>6</sup>რაც გაუკეთა დათანს და აბირამს, რეუბენის ძის, ელიაბის შვილებს, როცა დაალო პირი მიწამ და მთელი ისრაელის თვალწინ შთანთქა ისინი მათ სახლებიანად და კარვებიანად, და მთელი ქონებითურთ, რაც კი ეხადათ მთელს ისრაელში.

### ღვთის სამსახური აღთქმულ მიწაზე

<sup>7</sup>რადგან უხილავთ თქვენს თვალებს უფლის დიადი საქმეები, რაც მოიმოქმედა მან. <sup>8</sup>და შეინახეთ ყოველი მცნება, რომელსაც გამცნებთ დღეს, რათა გაძლიერდეთ და წახვიდეთ

და დაიმკვიდროთ ქვეყანა, რომლის დასამკვიდრებლადაც გადადიხართ გალმა.<sup>9</sup> და რათა დღეგრძელი იყოთ მიწაზე, რომელიც ფიცით აღუთქვა მისაცემად თქვენს მამა-პაპას და მის შთამომავლობას, ქვეყანაში, სადაც ღვარად მოედინება რძე და თაფლი.<sup>10</sup> რადგან ქვეყანა, სადაც თქვენ მიდიხართ დასამკვიდრებლად, არა ჰგავს ეგვიპტის ქვეყანას, საიდანაც გამოხვედი, სადაც თესავდი თესლს და რწყავდი შენი ფეხით, როგორც ბოსტანს.<sup>11</sup> ის ქვეყანა კი, რომლის დასამკვიდრებლადაც გალმა გადადიხართ, მთაგორიანი და ველებიანი ქვეყანაა და ციდან ნაწვიმები წყლით ირწყვება;<sup>12</sup> ქვეყანა, რომელზეც უფალი, შენი ღმერთი, ბრუნავს გამუდმებით, უფლის, შენი ღმერთის, თვალი ტრიალებს მასში წლის დასაწყისიდან წლის ბოლომდე.<sup>13</sup> და თუ შეისმენთ ჩემს მცნებებს, რომელთაც მე გამცნებთ თქვენ დღეს, რომ გიყვარდეთ უფალი, თქვენი ღმერთი, და ემსახუროთ მას მთელი თქვენი გულითა და მთელითქვენი სულით,<sup>14</sup> და მივცემ თქვენს ქვეყანას წვიმას დროულად, გაზაფხულის და შემოდგომის წვიმას, და მოიწევ ხორბალს და ღვინოს, და ზეთს.<sup>15</sup> და გავაჩენ ბალახს შენს მინდვრებზე პირუტყვისათვის. და ჭამე და გაძეხი.<sup>16</sup> იფრთხილეთ, არ შეცთეს თქვენი გული, არ გადაუხვიოთ, უცხო ღმერთებს არ დაუწყოთ სამსახური და თაყვანისცემა,<sup>17</sup> თორემ უფლის რისხვა დაგატყდებათ თავს: დახშავს ცას, აღარ იქნება წვიმა, მიწა მოსავალს არ მოგცემთ და მალე გადაშენდებით იმ კარგი ქვეყნიდან, რომელსაც გაძლევთ თქვენ უფალი.<sup>18</sup> და ჩაიდევით ეს ჩემი სიტყვები გულში და სულში, და შეიბით ნიშნად ხელზე და გქონდეთ სასწაულად თვალთა შუა.<sup>19</sup> და ასწავლეთ თქვენს შვილებს, ელაპარაკეთ ამაზე შინ ყოფნისას და გზაზე სვლისას, და დაწოლისას და ადგომისას.<sup>20</sup> და წააწერე ისინი შენი სახლის წირთხლებს და კარიბჭეს,<sup>21</sup> რათა იმდენ ხანს იცოცხლოთ თქვენ და თქვენმა შვილებმა ამ მიწაზე, რომელიც მისაცემად აღუთქვა უფალმა თქვენს მამა-პაპას, რამდენ ხანსაც ცა იარსებებს მიწის ზემოთ.

## უფლის წყალობა და შეჩვენება

<sup>22</sup> თუ შეინახავთ ყველა ამ მცნებას, რომლებსაც მე გამცნებთ თქვენ, რათა ასრულებდეთ მათ, გიყვარდეთ უფალი, თქვენი ღმერთი, იაროთ ყველა მის გზაზე და მიეწებოთ მას, <sup>23</sup> აყრის უფალი ყველა ამ ხალხს თქვენს წინაშე და დაეპატრონებით თქვენზე დიდსა და ძლიერ ხალხებს. <sup>24</sup> ყოველი ადგილი, სადაც კი დაიდგმება თქვენი ტერფი, თქვენი იქნება, უდაბნოდან და ლებანონიდან, მდინარიდან, ევფრატის მდინარიდან უკანა ზღვამდე იქნება თქვენი საზღვარი. <sup>25</sup> ვერავინ დაგიდგებათ წინ, შიშსა და ბარს დასცემს თქვენგნით უფალი ყველა ქვეყანას, სადაც კი შეაბიჯებთ, როგორც გითხრათ თქვენ. <sup>26</sup> იცოდეთ, ვიძლევი თქვენს წინაშე დღეს კურთხევას და შეჩვენებას: <sup>27</sup> კურთხევას, თუ შეისმენთ უფლის, თქვენი ღმერთის მცნებებს, რომელთაც გამცნებთ თქვენ დღეს; <sup>28</sup> შეჩვენებას, თუ არ შეისმენთ, უფლის, თქვენი ღმერთის მცნებებს და გადაუხვევთ გზიდან, რომელსაც გამცნებთ თქვენ დღეს, და გაჭყვებით უცხო ღმერთებს, რომელთაც არ იცნობთ. <sup>29</sup> და როცა შეგიყვანს უფალი, შენი ღმერთი, იმ ქვეყანაში, რომლის დასამკვიდრებლადც მიდიხარ, მიეცი კურთხევა გერიზიმის მთაზე და შეჩვენება — ლებალის მთაზე. <sup>30</sup> (აგერ, აქვეა ისინი, იორდანეს გაღმა, გზის ბოლოს, დასავლეთით, ბარის ქანაანელთა ქვეყანაში, გილგალის გასწვრივ, მამრეს მუხებთან), <sup>31</sup> რადგან თქვენ გადადიხართ იორდანეზე, რომ მიხვიდეთ იმ ქვეყნის დასამკვიდრებლად, რომელსაც გაძლევთ თქვენ უფალი, თქვენი ღმერთი, და დაიმკვიდრებთ მას და იცხოვრებთ იქ. <sup>32</sup> და იფრთხილეთ, რომ შეინახოთ წესნი და სამართალნი, რომელთაც ვიძლევი თქვენს წინაშე დღეს.

## ერთადერთი სამსხვერპლო ისრაელში

**12** <sup>1</sup> ესენია წესნი და სამართალნი, რომელნიც უნდა შეინახოთ, რომ ასრულებდეთ ქვეყანაში, უფალმა, თქვენი

მამა-პაპის ღმერთმა რომ მოგცათ დასამკვიდრებლად, მთელი ხანი, ვიდრე ცოცხლები ხართ მიწაზე. <sup>2</sup> გაანადგურეთ ყოველი ადგილი, სადაც კი თქვენს მიერ აყრილ ხალხებს უმსახურიათ თავიანთი ღმერთებისათვის მალალ მთებზე და გორაკებზე, და ყოველი ხემხვივანის ძირას. <sup>3</sup> და დაანგრეთ ყველა სამსხვერპლო და დაღეწეთ მათი სვეტები, და ცეცხლში დაწვით მათი აშერები, და დაამსხვრიეთ მათი ღმერთების გამოსახულებანი და მოსპეთ მათი სახსენებელი იმ ადგილიდან. <sup>4</sup> ასე არ მოექცეთ უფალს, თქვენს ღმერთს, <sup>5</sup> არამედ ის ადგილი ეძებეთ და იქ მიდით, რომელსაც ყველა თქვენს შტოთა შორის ამოირჩევს უფალი, თქვენი ღმერთი, თავისი სახელის დასადებად, თავის საგანედ. <sup>6</sup> და იქ მიიტანეთ თქვენი აღსავლენი და თქვენი მსხვერპლი, და თქვენი მეთაედები და თქვენი ხელის აღსამართავნი, თქვენი აღთქმულნი და თქვენი ნებაყოფლობითნი, ხვასტაგისა და ცხვრის პირველმოგებულნი. <sup>7</sup> და ჭამეთ და გაიხარეთ თქვენი ნაამაგართ თქვენს სახლთან ერთად, რომელიც გიკურთხა უფალმა, შენმა ღმერთმა. <sup>8</sup> ნუ მოიქცევით ისე, როგორც ჩვენ ვიქცევით აქ დღეს, ვისაც როგორ მოსწონს. <sup>9</sup> რადგან ჯერ კიდევ არ მისულხართ განსასვენებელში და სამკვიდროში, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი გაძლევს შენ. <sup>10</sup> და გადახვალთ იორდანეს გაღმა და დასახლდებით ქვეყანაში, რომელსაც უფალი, თქვენი ღმერთი, გიმტკიცებთ სამკვიდროდ და მოგასვენებთ გარეშემო მტრებისაგან და იცხოვრებთ მშვიდად. <sup>11</sup> და რომელსაც ადგილსაც აირჩევს უფალი, თქვენი ღმერთი, თავისი სახელის დასავანებლად, იქ მიიტანეთ ყველაფერი, რაც გამცნეთ: თქვენი აღსავლენები და თქვენი მსხვერპლები, თქვენი მეთაედები, თქვენი ხელის აღსამართავები და ყოველივე ნარჩევი აღთქმულიდან, რაც კი აღვითქვამთ უფლისათვის, <sup>12</sup> და გაიხარეთ უფლის წინაშე თქვენ და თქვენმა ვაჟებმა, და თქვენმა ასულებმა, და თქვენმა მსახურებმა და მხევლებმა, და ლევიანმა, რომელიც თქვენს კარიბჭეებში ცხოვრობს, რადგან არა აქვს მას წილი და სამკვიდრო თქვენს შორის. <sup>13</sup> იფრ-

თხილე, არ აღავლინო ყველგან, სადაც გაიხედავ, შენი აღსავლენები, <sup>14</sup> არამედ მხოლოდ იმ ადგილზე, რომელსაც აირჩევს უფალი შენს ერთ-ერთ შტოში. იქ აღავლინე აღსავლენები, და იქ გააკეთე ყველაფერი, რასაც მე გამცნებ.

## სადაგი საკლავი

<sup>15</sup> თუმცა ყოველი შენი სურვილისას შეგიძლია დაკლა და ჭამო ხორცი ყველა შენს კარიბჭეში უფლის, შენი ღმერთის კურთხევით, რომელსაც მოგცემს შენ. ბინძურიც და სუფთაც შეჭამს, ქურციკი იქნება თუ ირემი. <sup>16</sup> ოღონდ სისხლს ნუ შეჭამთ: წყალივით დაღვარეთ მიწაზე. <sup>17</sup> ვერ შეჭამ შენს კარიბჭეებში შენი ხორბლის და ღვინის, და ზეთის მეთედს, შენი ხვასტაგისა და შენი ცხვრის პირველმოგებულს, და ყოველ შენს აღთქმულს, რაც აღთქმული გაქვს, და ნებაყოფლობითს და შენი ხელით აღსამართავს. <sup>18</sup> მხოლოდ უფლის, შენი ღმერთის წინაშე ჭამე ეს იმ ადგილზე, რომელსაც აირჩევს უფალი, შენი ღმერთი, შენ და შენმა ვაჟმა, შენმა ასულმა, შენმა მსახურმა და მხევალმა, და ლევიანმა, რომელიც შენს კარიბჭეებში ცხოვრობს. და გაიხარე უფლის, შენი ღმერთის წინაშე ყოველი შენი ხელის ნაამაგარი. <sup>19</sup> იფრთხილე, არ მიატოვო ლევიანი, რამდენ ხანსაც იცხოვრებ შენს მიწაზე. <sup>20</sup> როდესაც გაგიფართოვებს უფალი, შენი ღმერთი, შენს საზღვრებს, როგორც ნათქვამი აქვს შენთვის, და იტყვი: მოდი, ხორცს შეეჭამ, რადგან მოისურვებს შენი სული ხორცის ჭამას, ჭამე ხორცი შენი სულის სურვილით. <sup>21</sup> თუ შენგან შორს იქნება ის ადგილი, რომელსაც ამოირჩევს უფალი, შენი ღმერთი, თავისი სახელის დასადებად, დაკალი უფლის მოცემული შენი ხვასტაგიდან და შენი ცხვრიდან, როგორც გამცნე, და ჭამე შენს კარიბჭეებში შენი სულის სრული სურვილით. <sup>22</sup> ოღონდ, როგორც ქურციკი და ირემი იჭმევა, ისე ჭამე იგი. ბინძურმა და სუფთამ ერთად ჭამონ. <sup>23</sup> ოღონდ, ფრთხილად, სისხლი არ შეჭამო, რადგან სისხლი სულია და

სული ხორცთან ერთად არ უნდა ჭამო. <sup>24</sup> არ შეჭამო იგი, წყალივით დაღვარე მიწაზე. <sup>25</sup> არ შეჭამო იგი, რათა კარგად იყოთ შენ და შენი შვილები შენს შემდგომ, რადგან სწორად უნდა მოიქცე უფლის თვალში. <sup>26</sup> ოღონდ აიღე წმიდა შესაწირავი, რაც გექნება, და აღთქმული და მიდი იმ ადგილას, რომელსაც აირჩევს უფალი, <sup>27</sup> და გაამზადე შენი აღსაკვლენები — ხორცი და სისხლი, უფლის, შენი ღმერთის, სამსხვერპლოზე. საკლავის სისხლი დაიღვაროს უფლის, შენი ღმერთის სამსხვერპლოზე, ხორცი კი შეჭამე.

### გაფრთხილება

<sup>28</sup> შეინახე და შეისმინე ყველა ეს სიტყვა, რასაც გამცნებ, რათა კარგად იყოთ შენ და შენი შვილები შენს შემდგომ, უკუნისამდე, რადგან კარგად და სწორად უნდა მოიქცე უფლის, შენი ღმერთის თვალში. <sup>29</sup> როცა ამოძირკვავს უფალი, შენი ღმერთი, იმ ხალხებს, რომლებთანაც მიდიხართ, რომ აყარო ისინი შენგან, და შენც აყრი მათ და დასახლდები მათ ქვეყანაში, <sup>30</sup> იფრთხილე, არ გაეხვიო ბადეში მათ კვალზე მას შემდეგ, რაც განადგურდებიან შენ წინაშე, არ დაუწყო ძებნა მათ ღმერთებს, როგორც ეს ხალხები ემსახურებოდნენ თავის ღმერთებს, მეც ასე მოვიქცევიო. <sup>31</sup> ნუ მოექცევი ასე უფალს, შენს ღმერთს, რადგან უფლის საძაგელს და საძულველს აკეთებენ ისინი თავიანთი ღმერთებისათვის; რადგან საკუთარ ვაჟებსა და ასულებსაც კი უწვავენ ცეცხლში თავიანთ ღმერთებს.

### შემაცდენელის სასჯელი

**13** <sup>1</sup> ყველა სიტყვა, რასაც მე გამცნებთ თქვენ, შეინახეთ, რათა ასრულებდეთ, ნურც დაუმატებ და ნურც მოაკლებ. <sup>2</sup> თუ აღდგა შენს შორის წინასწარმეტყველი და ან სიზმართ-მხილველი და მოგცა რამე ნიშანი ან სასწაული, <sup>3</sup> და ახდა ეს

ნიშანი და სასწაული, რომელიც გამოგიცხადათ და გითხრათ: გავყვეთ სხვა ღმერთებს, რომელთაც არ იცნობთ, და ვემსახუროთო, <sup>4</sup>ნუ მოუსმენთ ამ წინასწარმეტყველს ან სიზმართ მესიზმრეს, რადგან გცდით უფალი, თქვენი ღმერთი, იმის გასაგებად, გიყვართ თუ არა უფალი, თქვენი ღმერთი მთელი თქვენი გულითა და მთელი თქვენი სულით. <sup>5</sup>უფალს, თქვენს ღმერთს, მიჰყევით და მისი გეშინოდეთ, მისი მცნებები შეინახეთ, და მისი ხმა ისმინეთ, და მას ემსახურეთ, და მას მიეწებეთ. <sup>6</sup>და ის წინასწარმეტყველი ან სიზმართა მესიზმრე უნდა მოკვდეს, რადგან უფალი, თქვენი ღმერთი, რომელმაც ეგვიპტის ქვეყნიდან გამოგიყვანათ და მონობის სახლიდან დაგიხსნათ, დაგმო მან, რათა იმ გზიდან აეცდინე, რაზეც სიარული გამცნო უფალმა, შენმა ღმერთმა. და აღმოფხვრი ბოროტებას შენი წიაღიდან. <sup>7</sup>თუ იდუმალ წაგაქეზებს შენი ძმა, დედაშენის შვილი, ან შენი ვაჟი ან შენი ასული, ან შენი უბის ცოლი, ან შენი ახლობელი, რომელიც საკუთარი სულივითა გყავს, და გეტყვის: წამო, ვემსახუროთ სხვა ღმერთებს, რომლებსაც არ იცნობთ არც შენ და არც შენი მამა-პაპა, <sup>8</sup>იმ ხალხთა ღმერთებს, თქვენს გარშემო რომ არიან, შენთან ახლოს მყოფთა თუ შენგან შორს მყოფთა, ქვეყნის კიდიდან კიდემდეო, <sup>9</sup>ნუ დაყვები მას და ნუ გაუგონებ, ნუ დაგენანება იგი, ნუ შეიბრალებ, ხელს ნუ დააფარებ, <sup>10</sup>არამედ მოკალი იგი. პირველად შენი ხელი უნდა აღიმართოს მის მოსაკლავად, მერე კი — მთელი ერისა. <sup>11</sup>და ჩაქოლე იგი, რომ მოკვდეს, რადგან ცდილობდა, მოეწყვიტე უფალს, შენს ღმერთს, რომელმაც გამოგიყვანა ეგვიპტიდან, მონობის სახლიდან.

### რჯულისგან განმდგარი ქალაქის სასჯელი

<sup>12</sup>და მთელი ისრაელი გაიგებს და შეშინდება და ბოროტ საქმეს აღარ ჩაიდენს შენს წიაღში. <sup>13</sup>თუ გაიგებ, რომ ერთ-ერთ ქალაქში, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი გაძლევს



საცხოვრებლად, <sup>14</sup> გამოვიდნენ უგვანი კაცები შენი წრიდან და აცთუნებენ თავისი ქალაქის მკვიდრთ, ეუბნებიან: წამო, ვემსახუროთ სხვა ღმერთებს, რომლებსაც არ იცნობდითო, <sup>15</sup> ხოლო შენ გამოიძიე და გაარკვიე, და კარგად გამოიკითხე და, აჰა, ყველაფერი სრული სიმართლე გამოდგა: ჩადენილია ასეთი საძაგლობა შენს წიაღში, <sup>16</sup> მახვილით შემუსრე იმ ქალაქის მცხოვრებნი, დაარისხე ქალაქი და ყველაფერი, რაც მას-შია, და მისი პირუტყვი. <sup>17</sup> მთელი ნადავლი შუაგულ მოედანზე დაახვავე და მთლიანად დაუწვი უფალს, შენს ღმერთს. და ქალაქი და მთელი ნადავლი საუკუნო ნანგრევად დარჩეს და აღარ აშენდეს არასოდეს. <sup>18</sup> და არ მიეწებოს შენი ხელი რაიმეს დარისხებულისა, რომ დაცხრეს უფლის რისხვა, წყალობა მოგეცეს, და შევიბრალოს და გაგამრავლოს, როგორც შეჭფიცა შენს მამა-პაპას, <sup>19</sup> თუ შეისმენ უფლის, შენი ღმერთის ხმას და შეინახავ ყველა მცნებას, რომელსაც მე გამცნებ დღეს, და სწორად მოიქცევი უფლის, შენი ღმერთის თვალში.

### სუფთა და უსურმაგი

**14** <sup>1</sup> უფლის, თქვენი ღმერთის შვილები ხართ თქვენ. ტანს ნუ დაიკაწრავთ და ნუ მოიპარსავთ თმას შუბლს ზემოთ მკვდარზე გლოვის ნიშნად, <sup>2</sup> რადგან უფლის, შენი ღმერთის წმიდა ერი ხარ, შენ აგირჩია უფალმა, რომ იყო მის უნჯ ერად ყველა ხალხს შორის მიწის პირზე. <sup>3</sup> უსურმაგი არაფერი შეტამო. <sup>4</sup> ეს ცხოველებია, რომელთა ჭამა შეგიძლია: ხარი, ცხვარი და თხა, <sup>5</sup> ირემი, ქურციკი, კამეჩი, ჯიხვი, გარეთხა, არჩვი და შველი. <sup>6</sup> ჩლიქგაპობილი ყოველი პირუტყვი, რომელსაც გაჭრილი აქვს ორივე ჩლიქი, პირუტყვი, რომელიც იცოხნება, შეგიძლიათ ჭამოთ. <sup>7</sup> ოღონდ მცოხნელთა და ჩლიქგაპობილთა შორის, რომელთაც გაჭრილი აქვთ ჩლიქი, ამათ ნუ შეტამოთ: აქლემს, კურდღელს და ბოცვერს. რადგან, თუმცა მცოხნელები არიან, მაგრამ ჩლიქი გაპობილი არა აქვთ. უსურმაგებია



თქვენთვის ისინი. <sup>8</sup>და ღორი თუმცა ჩლიქვაპობილია, მაგრამ არ იცოხნება, უსურმაგია იგი თქვენთვის. ნუ შეჭამთ მათ ხორცს და მათ ლეშსაც ნუ მიეკარებით. <sup>9</sup>წყალში მყოფი ყველაფერი ჭამეთ, რომელსაც ფარფლები და ქერცლი აქვს. ეს ჭამეთ. <sup>10</sup>ხოლო რომელსაც ფარფლები და ქერცლი არა აქვს, ნუ შეჭამთ, უსურმაგია იგი თქვენთვის. <sup>11</sup>ყოველი სუფთა ფრინველი ჭამეთ. <sup>12</sup>აი, რა არ უნდა ჭამოთ მათგან: არწივი, სვავი და ფსოვი, <sup>13</sup>ძერა, შევარდენი და ქორი, და მისნაირი, <sup>14</sup>არანაირი სახის ყორანი, <sup>15</sup>სირაქლემა, ბუ, თოლია, მიმინო და მისნაირი, <sup>16</sup>ჭოტი, გედი და ბუკიოტი, <sup>17</sup>ვარხვი, კოდალა და ჩვამა, <sup>18</sup>ყარყატი, ყანჩა და მისნაირი, ოფოფი და ღამურა. <sup>19</sup>ყოველი მფრინავი მწერი ბინძურია თქვენთვის, არ უნდა ჭამოთ. <sup>20</sup>ყოველი სუფთა ფრინველი ჭამეთ. <sup>21</sup>არ ჭამოთ არავითარი ლეში. მდგმურს შენს კარიბჭეებში მიეცი იგი და შეჭამოს, ან უცხოელს მიჰყიდე, რადგან უფლის, თქვენი ღმერთის წმიდა ერი ხაროთ თქვენ. ნუ მოხარშავ ციკანს თავისი დედის რძეში.

### მეათედის გადასახადი

<sup>22</sup>აიღე მეათედი შენი თესლის მთელი შენი მოსავლიდან, რომელიც ყოველწლიურად მოდის ყანაში, <sup>23</sup>და ჭამე უფლის, შენი ღმერთის წინაშე იმ ადგილას, რომელიც აირჩია მან თავისი სახელის დასავანებლად — ხორბლის, ღვინის და ზეთის მეათედი, შენი ხვასტაგისა და ცხვრის პირველმოგებული, რათა ისწავლო უფლის, შენი ღმერთის, შიში სამუდამოდ. <sup>24</sup>თუ შორი იქნება გზა და ვერ შესძელი ყოველივე ამის წაღება იმ ადგილამდე, რომელიც ამოირჩია უფალმა, შენმა ღმერთმა, თავისი სახელის დასადებად, რათა გაკუროთხოს შენ უფალმა, შენმა ღმერთმა, <sup>25</sup>გადაცვალე ვერცხლზე, დაიჭირე ხელში ვერცხლი და წადი იმ ადგილას, რომელიც ამოირჩია უფალმა, შენმა ღმერთმა, <sup>26</sup>და იყიდე ამ ვერცხლით ყველაფერი, რაც შენს სულს სურს: ხვასტაგი, ცხვარი, ღვინო, სასმელი, ყველა-

ფერი, რასაც სული მოგთხოვს, და ჭამე იქ უფლის, შენი ღმერთის წინაშე და გაიხარე შენს სახლთან ერთად. <sup>27</sup> და არ დაივიწყო შენს კარიბჭეებში მყოფი ლევანი, რადგან არა აქვს მას წილი და სამკვიდრო შენთან. <sup>28</sup> სამი წლის თავზე აიღე მეთაედი იმ წლის მოსავლიდან და დააბინავე შენს კარიბჭეებში. <sup>29</sup> და მოვა ლევანი, რომელსაც არა აქვს წილი და სამკვიდრო შენთან, მოვლენ მდგმური და ქვრივ-ობლები, რომლებიც შენს კარიბჭეებში არიან, შეჭამენ და გაძლებიან, რათა გაკურთხოს უფალმა, შენმა ღმერთმა, ყოველ საქმეში, რასაც გააკეთებ.

### შაბათის წელი

**15** <sup>1</sup> ყოველი მეშვიდე წლის თავზე გამოაცხადე ვალების პატიება. <sup>2</sup> აი, პატიების რაობა: აპატიოს ყოველმა მევალემ, ვისაც რამე უსესხებია თავისი ახლობლისათვის, და ნურაფერს მოთხოვს თავის ახლობელს ან თავის ძმას, რადგან პატიება იქნება გამოცხადებული უფლის სახელზე/ <sup>3</sup> უცხოელს მოთხოვე, მაგრამ აპატიე შენს ძმას, თუ შენი ვალი ექნა. <sup>4</sup> თუმცა არ იქნება თქვენში ღარიბი, რადგან კურთხევით გაკურთხებს უფალი ამ ქვეყანაში, რომელსაც გაძლევს წილად შენი ღმერთი, რათა დაიმკვიდრო. <sup>5</sup> ოღონდ თუ შეისმენ უფლის, შენი ღმერთის სიტყვას და ეცდები ყველა ამ მცნების შენახვას, რასაც მე გამცნებ დღეს. <sup>6</sup> რადგან გაკურთხებს უფალი, შენი ღმერთი, როგორც ნათქვამი აქვს შენთვის: ბევრ ხალხს ასესხებ, თავად კი არ ისესხებ. და ბევრ ხალხზე იბატონებ, შენზე კი არავინ იბატონებს.

### გლახაკთა მოწყალება

<sup>7</sup> თუ იქნება თქვენში ღარიბი, ერთი თქვენი ძმათაგანი, თქვენს ერთ-ერთ ქალაქში, იმ ქვეყანაში, რომელსაც გაძლევს უფალი, შენი ღმერთი, გულს ნუ გაიქვავებ და ხელმოჭერილი ნუ იქნები შენი ღარიბი ძმის მიმართ. <sup>8</sup> არამედ ხელგაშლი-

ლი იყავი და ასესხე მისი გასაჭირის კვალობაზე, რაც უჭირს. <sup>9</sup>ფრთხილად იყავი, გულში არ შეგეპაროს უგვანო ფიქრი, არ თქვა: ახლოვდება მეშვიდე წელი, პატიების წელი. აითვალ-წუნებ შენს ღარიბ ძმას და არაფერს მისცემ. უფალთან გიჩივლებს და ცოდვა დაგედება. <sup>10</sup>მიეცი და ნუ ინაღვლებს შენი გული მიცემისას, რადგან ამისთვის გაკურთხეხს უფალი, შენი ღმერთი, ყოველ შენს საქმეში და ყოველ ნაამაგარში. <sup>11</sup>რადგან არ დაიღევა ღარიბი ამ ქვეყანაზე, ამიტომაც გამცნებ, რომ ხელგაშლილი იყო შენი ძმის მიმართ შენს ქვეყანაში.

### ებრაელი მონის განტევება

<sup>12</sup>თუ მოგეყიდა შენი ებრაელი ძმა, კაცი ან ქალი, და ექვს წელს გემსახურა, მეშვიდე წელს გაათავისუფლე შენგან. <sup>13</sup>როცა გაათავისუფლებ, ხელცარიელი არ გაუშვა. <sup>14</sup>მიეცი საჩუქრად რაიმე შენი ფარიდან, შენი კალოდან ან შენი საწნახელიდან, რითაც გაკურთხა უფალმა, შენმა ღმერთმა, მიეცი მას. <sup>15</sup>და გაიხსენე, რომ მონა იყავი ეგვიპტის ქვეყანაში და გამოგისყიდა უფალმა, შენმა ღმერთმა. ამიტომაც მე გამცნებ ამას დღეს. <sup>16</sup>თუ მოხდება ისე, რომ გითხრას: არ წავალ შენგან, რადგან მიყვარხართ შენ და შენი სახლი, რადგან კარგადა ვარ შენთანო, <sup>17</sup>და აიღე სადგისი და კარზე მიადებინე ყური, და გაუხვრიტე და შენი მონა იქნება საუკუნოდ. და შენს მხევალსაც ასევე მოექეცი. <sup>18</sup>ნუ გაგიძნელდება მისი გაათავისუფლება შენგან, რადგან ექვს წელიწადში მოჯამაგირის ორმაგი გასამრჯელო დაიმსახურა შენგან. გაკურთხეხს უფალი, შენი ღმერთი, ყველაფერში, რასაც გააკეთებ.

### პირველმოგებული პირუტყვი

<sup>19</sup>ყოველი პირმშო, რაც დაიბადება შენს ხვასტაგში და შენს ცხვარში, მამალი, შესწირე უფალს, შენს ღმერთს. ნუ ამუშა-

ვებ პირველმოგებულ ხარს და ნუ გაპარსავ პირველმოგებულ ცხვარს. <sup>20</sup> უფლის, შენი ღმერთის წინაშე ჭამეთ იგი შენ და შენ-  
მა სახლმა იმ ადგილას, რომელსაც ამოირჩევს უფალი. <sup>21</sup> თუ  
რამე ნაკლი ექნება — სიკოტლე ან სიბრმავე, რამე ცუდი ნაკლი,  
არ დაუკლა იგი უფალს, შენს ღმერთს. <sup>22</sup> თქვენ-თქვენს კარიბ-  
ჭეებში ჭამეთ ბინძურმა და სუფთამ ერთად, როგორც ქურციკი  
და როგორც ირემი. <sup>23</sup> ოღონდ მისი სისხლი არ ჭამო, წყალი-  
ვით დაღვარე მიწაზე.

### პასექის დღესასწაული

**16** <sup>1</sup> დაიცავი აბიბის თვე და მოუშმადე პასექი უფალს, შენს  
ღმერთს, რადგან აბიბის თვეში გამოგიყვანა უფალმა,  
შენმა ღმერთმა, ეგვიპტის ქვეყნიდან, ღამით. <sup>2</sup> და დაუკალი პა-  
სექი უფალს, შენს ღმერთს, ცხვარი და ხვასტაგი იმ ადგილას,  
რომელსაც აირჩევს უფალი თავისი სახელის დასავანებლად.  
<sup>3</sup> ნუ მიატან მას საფუარიანს, ხუთ დღეს ჭამე მასთან ერთად  
ხმიადი, გაჭირვების პური, რადგან ნაჩქარევად გამოხვედი  
ეგვიპტის ქვეყნიდან, რომ მთელი შენი სიცოცხლე გახსოვდეს  
ეგვიპტის ქვეყნიდან შენი გამოსვლის დღე. <sup>4</sup> არ გამოჩნდეს  
შვიდი დღის მანძილზე საფუარი მთელს შენს კარმიდამოში  
და დილამდე არ მორჩეს წინა საღამოს დაკლული საკლავის  
ხორცი. <sup>5</sup> ვერ დაკლავ პასექს რომელიმე შენს კარიბჭეში, რო-  
მელსაც უფალი, შენი ღმერთი, მოგცემს, <sup>6</sup> არამედ მხოლოდ იმ  
ადგილას, რომელსაც აირჩევს უფალი, შენი ღმერთი, თავისი  
სახელის დასავანებლად. დაკალი პასექი საღამოთი, მზის ჩას-  
ვლისას, ეგვიპტიდან შენი გამოსვლის სწორს. <sup>7</sup> და მოხარშე და  
ჭამე იმ ადგილას, რომელსაც აირჩევს უფალი, შენი ღმერთი,  
და დილით კი გაბრუნდი და წადი შენს კარვებში. <sup>8</sup> ექვს დღეს  
ჭამე ხმიადი, მეშვიდე დღეს კი უქმეა უფლის, შენი ღმერთი-  
სათვის. არაფერი საქმე არ აკეთო.

## შვიდეულის დღესასწაული

<sup>9</sup>შვიდი შვიდეული გადათვალე. ყანაში ნამგლის შესვლის დღიდან დაიწყე შვიდეულების თვლა. <sup>10</sup>და გაუმართე შვიდეულთა დღესასწაული უფალს, შენს ღმერთს, როგორც შეგიძლია, როგორც გაკურთხა უფალმა, შენმა ღმერთმა. <sup>11</sup>და გაიხარე უფლის, შენი ღმერთის წინაშე შენ და შენმა ვაჟმა, შენმა ასულმა, შენმა მსახურმა და მხევალმა, ლევიანმა, რომელიც შენს კარიბჭეებშია, მდგმურმა და ქვრივ-ობოლმა, რომლებიც შენს შორის არიან, იმ ადგილზე, რომელსაც აირჩევს უფალი, შენი ღმერთი, თავისი სახელის დასავანებლად. <sup>12</sup>და გაიხსენე, რომ მონა იყავი ეგვიპტეში და დაიცავი და შეასრულე ეს წესები.

## კარვობა

<sup>13</sup>შვიდ დღეს იზეიმე კარვობის დღესასწაული, როცა მორჩები კალოობას და ყურძნის წურვას. <sup>14</sup>და გაიხარეთ დღესასწაულში შენ და შენმა ვაჟმა, შენმა ასულმა, შენმა მსახურმა და შენმა მხევალმა, ლევიანმა და ქვრივ-ობოლმა, რომლებიც შენს კარიბჭეებში არიან. <sup>15</sup>შვიდ დღეს იდღესასწაულეთ უფლის, შენი ღმერთისათვის, იმ ადგილას, რომელსაც აირჩევს უფალი, რომ გაკურთხოს უფალმა, შენმა ღმერთმა, შენს მოსავალში და ყოველ საქმეში და სულ მხიარული იქნები. <sup>16</sup>წელიწადში სამჯერ უნდა გამოცხადდეს ყოველი შენი მამროვანი უფლის, შენი ღმერთის წინაშე უფუარობის დღესასწაულზე, შვიდეულის დღესასწაულზე და კარვობის დღესასწაულზე, იმ ადგილას, რომელსაც აირჩევს. ხელცარიელი არავინ გამოცხადდეს უფლის წინაშე. <sup>17</sup>ყველას ძღვენი გეჭიროთ ხელში უფლის, შენი ღმერთის, კურთხევის კვალობაზე, როგორც მოუცია შენთვის.

## მართალი სამართალი

<sup>18</sup> დასხი მსაჯულები და რჯულისკაცები შენი შტოებიდან ყოველ შენს კარიბჭეში, რომელსაც მოგცემს უფალი, შენი ღმერთი, რათა მისცენ ხალხს მართალი სამართალი. <sup>19</sup> სამართალს ნუ გაამრუდებ, მიკერძოებული ნუ იქნები და ქრთამს ნუ აიღებ, რადგან ქრთამი თვალს უბრმავეებს ბრძენკაცებს და ასხვაფერებს მართალთა სიტყვებს. <sup>20</sup> სიმართლეს, სიმართლეს მიჰყევი, რომ ცოცხლობდე და დაიმკვიდრო ქვეყანა, რომელსაც გაძლევს უფალი, შენი ღმერთი.

## კერპების აკრძალვა

<sup>21</sup> არ დარგო შენთვის აშერა, რა ხეც არ უნდა იყოს, უფლის, შენი ღმერთის სამსხვერპლოს გვერდით, რომელსაც აიშენებ. <sup>22</sup> და არ აღმართო შენთვის სვეტი, რომელიც სძულს უფალს, შენს ღმერთს.

**17** <sup>1</sup> არ დაუკლა უფალს, შენს ღმერთს, ხარი თუ ცხვარი, რომელსაც ნაკლი აქვს, რაიმე ცუდი სჭირს, რადგან სისაძაგლეა ეს უფლის, შენი ღმერთისათვის. <sup>2</sup> თუ აღმოჩნდა შენს წიაღში, რომელიმე შენს კარიბჭეში, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი, მოგცემს, კაცი ან ქალი, რომელიც ბოროტებას ჩაიდენს უფლის თვალში, დაარღვევს თავის აღთქმას, <sup>3</sup> წავა და შეუდგება უცხო ღმერთების სამსახურს და თაყვანს სცემს მათ: მზეს, ან მთვარეს, ან ცის მხედრობას, რაც ავკრძალე, <sup>4</sup> მოგივა ამბავი, მოისმენ, კარგად გამოიკვლევე და, აჰა, სრული სიმართლე გამოდგება ყველაფერი: მომხდარა ეს სისაძაგლე ისრაელში. <sup>5</sup> და გაიყვანე ეს კაცი ან ქალი, და სასიკვდილოდ ჩაქოლე ისინი. <sup>6</sup> ორი მოწმის ან სამი მოწმის ჩვენებით უნდა მოკვდეს, ერთი მოწმის ჩვენებით არ უნდა მოკვდეს. <sup>7</sup> ჯერ მოწმეთა ხელი უნდა იყოს მასზე, რომ მოკვდეს, მერე კი — მთელი ხალხის ხელი, და აღმოფხვრი ბოროტებას შენი წრიდან.

## ლევიათა სამართალი

<sup>8</sup> თუ გაგიძნელდა მკვლელობის, ცილობის, ცემის და სხვა სადაო საქმეების გადაწყვეტა შენს ქლაქებში, ადეცი და წადი იმ ადგილას, რომელსაც ამოირჩევს უფალი, შენი ღმერთი. <sup>9</sup> და მიდი ლევიან მღვდლებთან და მსაჯულებთან, ვინც იმჟამად იქნებიან, დაეკითხე და გამოგიცხადებენ ისინი სასამართლო განაჩენს, <sup>10</sup> და ისე მოიქეცი, როგორც ისინი გამოგიცხადებენ იმ ადგილიდან, რომელსაც აირჩევს უფალი. და ეცადე, ყველაფერი შეასრულო, რასაც გასწავლიან. <sup>11</sup> იმ რჯულის თანახმად, რასაც გასწავლიან, და იმ სიმართლის თანახმად, რასაც გეტყვიან, მოიქეცი. არც მარჯვნივ და არც მარცხნივ არ გადაუხვიო სიტყვებს, რომელსაც გამოგიცხადებენ. <sup>12</sup> და თუ კაცი ისე გაკადნიერდება, რომ არ გაუგონებს უფლის, შენი ღმერთის წინაშე სამსახურად მდგარ მღვდელს ან მსაჯულს, უნდა მოკვდეს, და აღმოფხვრი ბოროტებას ისრაელიდან. <sup>13</sup> და გაიგონებს მთელი ხალხი, და შეეშინდება და აღარ გაკადნიერდებიან.

## მეფის არჩევა

<sup>14</sup> როცა მიხვალ იმ ქვეყანაში, რომელსაც მოგცემს უფალი, შენი ღმერთი, და დაიმკვიდრებ მას და იცხოვრებ, იქ და იტყვი: დავისვამ მეფეს იმ ხალხებივით, ჩემს გარშემო რომ არიანო, <sup>15</sup> დაისვი მეფედ ის კაცი, ვისაც უფალი, შენი ღმერთი, ამოირჩევს, შენი ძმების წრიდან დაისვი მეფე. არ დაისვა უცხო კაცი, რომელიც არ არის შენი ძმა. <sup>16</sup> ოღონდ არ იყოლიოს ბევრი ცხენი და არ დააბრუნოს ხალხი ეგვიპტისაკენ ცხენების მოსამრავლებლად. უფალმა გიბრძანათ, რომ აღარ დაბრუნდეთ ამ გზაზე. <sup>17</sup> და არ იყოლიოს ბევრი ცოლი, რომ არ შეცდეს მისი გული, და არ იქონიოს უბოძოდ ბევრი ოქრო-ვერცხლი. <sup>18</sup> და როცა დაჯდება თავის სამეფო ტახტზე, წიგნში ჩაიწეროს ეს მეორე რჯული ლევიანი მღვდლებისაგან. <sup>19</sup> და თავისთან ჰქონდეს და იკითხოს მთელი სიცოცხლე, რათა ისწავლოს უფლის,

თავისი ღმერთის, შიში და ინახავდეს ამ რჯულის ყოველ სიტყვას და ამ წესებს ასრულებდეს. <sup>20</sup>რომ არ გაუმედიდურდეს თავის ძმებს, და არ გადაუხვიოს მცნებას არც მარჯვნივ და არც მარცხნივ, რათა მრავალი ხანი იმეფონ მან და მისმა შვილებმა ისრაელის წიაღში.

### ლევიათა წილი

**18** <sup>1</sup>არ ექნებათ ლევიან მღვდლებს, ლევიათა მთელ შტოს, წილი და სამკვიდრო ისრაელთან, უფლის საცეცხლო მსხვერპლი და მისი სამკვიდრო უნდა ჭამონ. <sup>2</sup>და სამკვიდრო არ ექნება თავის ძმათა წიაღში, თავად უფალია მისი სამკვიდრო, როგორც გამოუცხადა მას. <sup>3</sup>და ეს იყოს მღვდლების სამართალი ხალხისაგან, იმათგან, ვინც კლავს საკლავს — ხარს ან ცხვარს, მისცენ მღვდელს ბეჭი, ყბა და კუჭი. <sup>4</sup>პირველმოწეული ხორბალი, ღვინო და ზეთი, ცხვრის პირველგანაპარსი მას მიეცი. <sup>5</sup>რადგან ის აირჩია უფალმა, შენმა ღმერთმა, ყველა შტოდან, რათა იდგნენ და მსახურებდენ უფლის სახელით ის და მისი შვილები სამუდამოდ. <sup>6</sup>და თუ წამოვა ვინმე ლევიანი რომელიმე შენი კარიბჭიდან, ისრაელის რომელიმე კუთხიდან, სადაც მდგმურობს იგი, და მივა თავისი სურვილით იმ ადგილას, რომელსაც აირჩევს უფალი, <sup>7</sup>და შეუდგება უფლის, თავისი ღმერთის სახელით სამსახურს თავისი ძმა ლევიანების მსგავსად, რომლებიც დგანან იქ უფლის წინაშე, <sup>8</sup>ისარგებლონ თანაბარი წილით, მისი მამის სახლის წილს ნუ ჩათვლიან.

### გრძნეულთა და ჯადოქართათვის

<sup>9</sup>როცა შეხვალ იმ ქვეყანაში, რომელსაც გაძლევს შენ უფალი, შენი ღმერთი, ნუ დაეჩვევი სისაძაგლეთა ჩადენას იმ ხალხის მსგავსად. <sup>10</sup>ნუ იქნება შენს შორის თავისი ვაჟისა და თავისი ასულის ცეცხლში გამტარებელი, ჯადოქარი, მომნუსხველი,



მარჩიელი, მსახვრალი, <sup>11</sup>გრძნებით შემკვრელი, მესულთანე, მისანი და მკვდართა გამოძკითხველი, <sup>12</sup>რადგან საძაგელია უფლისათვის ყოველივე ამის გამკეთებელი და ამ სისაძაგლის გამო დევნის მათ შენგან უფალი, შენი ღმერთი. <sup>13</sup>სრული იყავი უფალთან, შენს ღმერთთან, <sup>14</sup>რადგან ეს ხალხები, რომელთაც შენ განდევნი, მისნებსა და ჯადოქრებს უსმენენ, შენტვის კი ამის ნება არ მოუცია უფალს. <sup>15</sup>წინასწარმეტყველს, როგორც მე ვარ, შენი წიალიდან, შენს ძმათაგან, დაგიდგენს უფალი, შენი ღმერთი. მას უსმინეთ. <sup>16</sup>როცა შესთხოვე უფალს, შენს ღმერთს, ხორებში, თავშეყრის დღეს: მეტს ნულარ გავიგონებ უფლის, ჩემი ღმერთის ხმას და ამ დიდ ცეცხლსაც ნულარ ვიხილავ, რათა არ მოგკვდეო, <sup>17</sup>მითხრა უფალმა: კარგი ქნეს, რომ ეს თქვეს. <sup>18</sup>შენ რომ ხარ, ისეთ წინასწარმეტყველს დავუდგენ შენს ძმათა წიალიდან, და ბაგებზე დავუდებ ჩემს სიტყვებს და ის გამოგიცხადებს თქვენ ყველაფერს, რასაც მე ვამცნებ. <sup>19</sup>და თუ ვინმე არ შეისმენს ჩემს სიტყვებს, რომელთაც ის გამოაცხადებს ჩემი სახელით, თავად მე მოვთხოვ მას პასუხს. <sup>20</sup>მაგრამ ის წინასწარმეტყველი, რომელიც გაკადნიერდება და ჩემი სახელით დაიწყებს იმის გამოცხადებას, რაც მე არ მიბრძანებია გამოსაცხადებლად, ან რომელიც უცხო ღმერთების სახელით ალაპარაკდება, ეს წინასწარმეტყველი უნდა მოკვდეს. <sup>21</sup>და თუ გულში იტყვი: როგორ მივხვდეთ სიტყვას, რომელიც არ უთქვამს უფალსო? <sup>22</sup>წინასწარმეტყველი თუ უფლის სახელით ილაპარაკებს და არ აცხადდება მისი ნალაპარაკევი, არ ყოფილა ეს უფლის სიტყვა — თვითნებურად ულაპარაკნია წინასწარმეტყველს, ნუ გეშინია მისი.

### სამი თავშესაფარი ქალაქი

**19** <sup>1</sup>როცა ამოძირკვავს უფალი, შენი ღმერთი, ხალხებს, რომელთა ქვეყანას შენ გაძლევს უფალი, შენი ღმერთი, განდევნი მათ და დასახლდები მათ ქალაქებსა და სახლებში,

<sup>2</sup>გამოაცალკევე სამი ქალაქი შენს ქვეყანაში, რომელსაც გაძლევს უფალი, შენი ღმერთი, დასამკვიდრებლად. <sup>3</sup>გაიმზადე გზა და სამად დაჰყავი შენი ქვეყნის მიწა-წყალი\*, რომელიც წილად გარგუნა უფალმა, შენმა ღმერთმა. იქ შეაფაროს თავი ყოველმა მკვლელმა. <sup>4</sup>ეს არის საქმე მკვლელისა, რომელმაც თავი უნდა შეაფაროს იქ, რომ გადარჩეს: ვისაც უნებურად შემოაკვდება თავისი ახლობელი, ისე რომ არ ჰქონია მისი მტრობა არც გუშინ, არც გუშინწინ, <sup>5</sup> ან ვინც თავის ახლობელთან ერთად წავა ტყეში შეშის დასაჩეხად, მოიქნევს ცულს ხის მოსატრელად, და რკინა ტარს წასძვრება, და მოხვდება მის ახლობელს და მოკვდება იგი, ეს კაცი გაიქცევა ერთ-ერთში ამ ქალაქთაგან და გადარჩება. <sup>6</sup>რომ არ გამოეკიდოს მესისხლე მკვლელს ცხელ გულზე\*\*, და არ მიეწიოს, რადგან გზა დიდია, და არ მოკლას, ის კი სასიკვდილო არ არის, რადგან არ ჰქონია მასთან მტრობა არც გუშინ, არც გუშინწინ. <sup>7</sup>ამიტომაც გამცნებ: გამოიცალკევე სამი ქალაქი. <sup>8</sup>და როცა გაგიფართოებს საზღვრებს უფალი, შენი ღმერთი, როგორც შეჰფიცა შენს მამა-პაპას, და მოგცემს მთელს ქვეყანას, რომლის მიცემაც აღუთქვა შენს მამა-პაპას, <sup>9</sup> თუ შეინახავ ყველა ამ მცნებას, რომ შეასრულო ისინი, რომელთაც მე გამცნებ დღეს, შეიყვარო უფალი, შენი ღმერთი, და იარო მის გზაზე მთელი სიცოცხლე, მაშინ მიუმატე ამ სამს კიდევ სამი ქალაქი, <sup>10</sup> და არ დაიღვრება უბრალო სისხლი შენს მიწაზე, რომელიც წილად მოგცა უფალმა, შენმა ღმერთმა, და არ იქნება სისხლი შენზე. <sup>11</sup>მაგრამ თუ ვინმე მტრობს თავის ახლობელს, და ჩაუსაფრდება, და თავს დაესხმება, და სასიკვდილოდ დაჰკრავს მას, და მოკლავს და მერე თავს შეაფარებს რომელიმეს ამ ქალაქთაგან, <sup>12</sup> მისი ქალაქის უხუცესობამ უნდა გამოაყვანინოს იგი იქიდან და გადასცეს მესისხლეს, რომ მოკლან. <sup>13</sup>წყალობის თვალით ნუ შეხედავ მას, და ჩამორეცხავ უბრალო სისხლს ისრაელს და კარგი იქნება

\* სიტყვ. „საზღვარი“.

\*\* ასეა დედანში: *გეხამ ლებაბო*

შენთვის. <sup>14</sup>ნუ გადასწევ წინაპართა მიერ გავლებულ შენი ახლობლის სამანს შენს წილხვედრილში, რომელიც წილად შეგხვდება იმ ქვეყანაში, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი, გაძლევს დასამკვიდრებლად.

### ცრუმოწმეთათვის

<sup>15</sup>ვერ გამოვა ერთი მოწმე ვინმეს წინააღმდეგ რაიმე დანაშაულში, შეცოდებაში თუ ცოდვაში, რითაც შეიძლება სცოდოს კაცმა. მხოლოდ ორი მოწმის ან სამი მოწმის სიტყვით შედგება საქმე. <sup>16</sup>თუ გამოვა ავისმდომელი მოწმე ვინმეს წინააღმდეგ და ბრალს დასწამებს მას, <sup>17</sup>წარდგეს ეს ორი მოდავე კაცი უფლის წინაშე, მღვდლებისა და მსაჯულების წინაშე, რომლებიც იმუამად იქნებიან, <sup>18</sup>და კარგად გამოიძიონ მსაჯულებმა და, აჰა, თუ ის მოწმე ცრუმოწმე გამოდგა, ცილი დასწამა თავის ძმას, <sup>19</sup>ისე მოექცეით მას, როგორც თავად სურდა მოქცეოდა თავის ძმას, და აღმოფხვრი ბოროტებას შენი წიალიდან. <sup>20</sup>და დანარჩენებმა გაიგონ და შიში ჰქონდეთ, რომ აღარ ჩაიდინონ ამგვარი ბოროტი საქმე შენს წიალში. <sup>21</sup>ნუ შეიწყალებს მას შენი თვალი. სიცოცხლე სიცოცხლის წილ, თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ, ხელი ხელის წილ, ფეხი ფეხის წილ.

### ბრძოლაში გაწვევის წესი

**20** <sup>1</sup>როცა გახვალ შენს მტრებთან საბრძოლველად და დანახავ ცხენებს, ეტლებსა და შენზე მრავალრიცხოვან ხალხს, ნუ შეგეშინდება მათი, რადგან შენთანაა უფალი, შენი ღმერთი, ეგვიპტის ქვეყნიდან შენი გამომყვანი. <sup>2</sup>და ბრძოლის მოახლოებისას მოდგება მღვდელი და დაელაპარაკება ხალხს <sup>3</sup>და ეტყვის მათ: ისმინე, ისრაელო! ახლა ებმები ბრძოლაში შენს მტრებთან. ნუ დაგიძაბუნდებათ გული, ნუ შეშინდებით, და ნუ შედრკებით, და ნუ დაფრთხებით მათ წინაშე. <sup>4</sup>რადგან

უფალი, თქვენი ღმერთი, მოგყვებათ საბრძოლველად თქვენს მტრებთან, რომ გიხსნას თქვენ. <sup>5</sup> და დაელაპარაკებიან გზირები ხალხს, რომ უთხრან: ვინც ახალი სახლი ააშენა და არ გაუნათლავს, წავიდეს და შინ დაბრუნდეს, რომ ბრძოლაში არ მოკვდეს და სხვამ არ განათლოს იგი. <sup>6</sup> და ვინც ვაზი დარგო და ვერ მოიწია, წავიდეს და შინ დაბრუნდეს, რომ ბრძოლაში არ მიკვდეს და სხვამ არ მოიწიოს იგი. <sup>7</sup> და ვინც ქალი დანიშნა და არ მოუყვანია, წავიდეს და შინ დაბრუნდეს, რომ ბრძოლაში არ მოკვდეს და ქალი სხვამ არ წაიყვანოს. <sup>8</sup> და კიდევ ელაპარაკონ რჯულისკაცები ხალხს და უთხრან: ვინც მშიშარაა და გულით ძაბუნია, წავიდეს და შინ დაბრუნდეს, რომ ძმებსაც არ დაუძაბუნოს გული თავისავით. <sup>9</sup> და როცა გზირები მორჩებიან ხალხთან ლაპარაკს, სარდლები დაუყენე ხალხს მეთაურებად.

### ადებული ქალაქისთვის

<sup>10</sup> ქალაქს რომ მიუახლოვდებით საბრძოლველად, ზავი გამოუცხადე მას. <sup>11</sup> თუ ზავზე დაგთანხმდა და შეგიშვა, მთელი ხალხი, ვინც იქ იქნება, შენს ბეგარას დაიდებს და გემსახურება. <sup>12</sup> და თუ არ დაგებავა და ბრძოლა გაგიმართა, ალყა შემოარტყი, <sup>13</sup> და ხელში ჩაგაგდებინებს მას უფალი, შენი ღმერთი, და მახვილით გაწყვეტ მთელს მამროვანს. <sup>14</sup> მხოლოდ ქალები, ბავშვები, პირუტყვი და ყველაფერი, რაც ქალაქში იქნება — მთელი ნადავლი დაიტაცე. ჭამე შენი მტრის ნადავლი, რომელიც უფალმა, შენმა ღმერთმა, ჩაგაგდებინა ხელში. <sup>15</sup> ასევე მოექეცი შენგან დიდად დაშორებულ ყველა ქალაქს, რომლებიც არ ეკუთვნის ამ ხალხთა ქალაქებს. <sup>16</sup> ოღონდ ამ ხალხთა ქალაქებიდან, რომლებიც უფალმა, შენმა ღმერთმა, მოგცა წილად, ერთი სულიც არ დატოვო ცოცხალი. <sup>17</sup> დაარისხე ისინი: ხეთელები და ამორეველები, ქანაანელები და ფერიზელები, ხივიელები და იებუსელები, როგორც გამცნო შენ უფალმა, შენმა ღმერთმა. <sup>18</sup> რათა არ შეგაჩვიონ ყველა იმ სისაძაგლეს, რასაც

ისინი სჩადიან თავიანთი ღმერთებისათვის, და არ სცოდნოთ უფალს, თქვენს ღმერთს. <sup>19</sup> თუ დიდხანს გექნება შემორტყმული ალყა ქალაქისათვის მის დასამარცხებლად და ასაღებად, ნუ გაანადგურებ მის ხეებს, ცუღს ნუ აღმართავ მათზე, რადგან თუკი ჭამ მათ ნაყოფს, არც უნდა მოჭრა, რადგან მინდორში მდგარი ხე კაცი ხომ არ არის, რომ გაგეცალოს და ციხე-სიმაგრეს შეაფაროს თავი? <sup>20</sup> ოღონდ ის ხეები, რომლებიც იცი, რომ საჭმელად არაფერს ისხამენ, შეგიძლია გაანადგურო, მოჭრა და სიმაგრე ააშენო ქალაქის წინააღმდეგ, რომელიც გებრძვის, ვიდრე არ აიღებ.

### როცა უცნობია მკვლელი

**21** <sup>1</sup> თუ აღმოჩნდება მოკლული მიწაზე, რომელსაც გაძლევს უფალი, შენი ღმერთი, დასამკვიდრებლად, ველზე დაგდებული, და არ გეცოდინება ვინ მოკლა იგი, <sup>2</sup> გამოვიდნენ შენი უხუცესები და მსაჯულები და გამოძიონ მანძილი ქალაქებამდე, რომლებიც მოკლულის ირგვლივაა, <sup>3</sup> და რომელი ქალაქიც ახლოს აღმოჩნდება მოკლულთან, აიღონ მისმა უხუცესებმა უშობელი, რომელიც არ უმუშავებიათ, რომელსაც არ უტარებია უღელი, <sup>4</sup> და ჩაიყვანონ ამ ქალაქის უხუცესებმა მიგდებულ ხევში, რომელიც არ დამუშავებულა და არ დათესილა, და კისერი გადაუმტვრიონ ხბოს აქ, ამ ხევში. <sup>5</sup> და მოდგნენ ლევანი მღვდლები (რადგან ისინი აირჩია უფალმა, შენმა ღმერთმა, რომ ემსახურონ მას და აკურთხონ უფლის სახელით, მათი პირით წყდება ყოველი დავა და ზარალის საქმე), <sup>6</sup> და მოკლულთან ახლოს მდებარე ქალაქის მთელი უხუცესობა, და ხელი დაიბანონ ხევში კისერგადამტვრეულ ხბოზე. <sup>7</sup> და გამოაცხადონ: ჩვენს ხელს არ დაუღვრია ეს სისხლი და არც ჩვენს თვალებს დაუნახავს. <sup>8</sup> შეუნდე შენს ერს, ისრაელს, რომელიც გამოსყიდული გყავს, უფალო, და ნუ დააკისრებ უბრალო სისხლს შენს ერს, ისრაელს. და შეუნდე მათ სისხლი.

<sup>9</sup> და ჩამორეცხავ შენს წრეში უბრალო სისხლს, თუ გინდა, რომ სწორად მოიქცე უფლის თვალში.

### ტყვე ქალისათვის

<sup>10</sup> როცა გახვალ შენს მტრებთან საომრად და ხელში ჩაგიგდებს მათ უფალი, შენი ღმერთი, წამოასხამ ტყვეებს <sup>11</sup> და დაინახავ ტყვეებში ლამაზ ქალს, და შეგიყვარდება და მონდომებ მის ცოლად წაყვანას, <sup>12</sup> მიიყვან შენს სახლში, და გადაიპარსავს თმას და დაიჭრის ფრჩხილებს, <sup>13</sup> და გაიხდის ტყვეობის ტანსაცმელს, და იცხოვრებს შენს სახლში, და ერთ თვეს იტირებს თავის მამას და თავის დედას, ამის მერე შედი მასთან, შეეუღლე და გახდება შენი ცოლი. <sup>14</sup> და თუ აღარ მოგესურვა იგი, გაუშვი თავის ნებაზე, ოღონდ ვერცხლზე არ გაყიდო, მონად ნუ გაიხდი იმის გამო, რომ დამორჩილებული გყავს.

### პირმშობის უპირატესობა

<sup>15</sup> თუ კაცს ორი ცოლი ჰყავს — ერთი საყვარელი და მეორე შეძულებული\*, და შესძინეს მას ვაჟები — საყვარელმაც და შეძულებულმაც — პირმშო კი შეძულველისაა, <sup>16</sup> შვილებისათვის თავისი საბადებლის განაწილებისას არა აქვს მას უფლება პირმშობა მიანიჭოს საყვარელი ცოლის ვაჟს შეძულებული ცოლის ვაჟის, პირმშოს, საზიანოდ. <sup>17</sup> რადგან პირმშოდ საძულველი ცოლის ვაჟი უნდა აღიაროს და მისცეს მას ორმაგი წილი ყველაფრიდან, რაც კი აბადია, რადგან ის არის მისი ძალის დასაბამი, მას ეკუთვნის პირმშობის უფლება.

### ურჩი შვილისათვის

<sup>18</sup> თუ კაცს ჰყავს ჯიუტი და ურჩი, თავისი მამის ხმის და თავისი დედის ხმის გაუგონარი შვილი, რომელსაც ტკუას ასწავ-

\* იგულისხმება ცოლი, რომელიც არ/ან ნაკლებად უყვარს.

ლიან, მაგრამ არ უგონებს მათ, <sup>19</sup> ხელი მოჰკიდონ მისმა მამამ და მისმა დედამ და გაიყვანონ თავიანთი ადგილის კარიბჭესთან უხუცესების წინაშე, <sup>20</sup> და უთხრან თავისი ქალაქის უხუცესებს: ჯიუტია და ურჩი ეს ჩვენი შვილი, ჩვენი ხმის გაუგონარია, ღორმუცელაა და ლოთი. <sup>21</sup> და ჩაქოლოს იგი ამ ქალაქის მთელმა მოსახლეობამ და მოკვდეს, და აღმოფხვრი ბოროტებას შენი წიაღიდან. და მთელი ისრაელი გაიგებს და შეეშინდება.

### ხეზე ჩამოკიდებული

<sup>22</sup> და თუ ვინმე სასიკვდილო ცოდვას ჩაიდენს და მოკლავენ, და ხეზე ჩამოკიდებ მას, <sup>23</sup> ღამე ხეზე არ უნდა დარჩეს მისი გვამი, არამედ იმ დღესვე დამარხე, რადგან ღვთის მიერ არის დაწყველილი ხეზე ჩამოკიდებული. და ნუ გააბინძურებ მიწას, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი, გაძლევს წილად.

### ერთგულება ძმის მიმართ

**22** <sup>1</sup> თუ დაინახავ შენი ძმის დაკარგულ ხარს ან ცხვარს, ნუ გაერიდები მათ, დაუბრუნე ისინი შენს ძმას. <sup>2</sup> და თუ შორს არის შენგან შენი ძმა ან არ იცნობ მას, შეიფარე ისინი შენს სახლში და შენთან იყვნენ, ვიდრე შენი ძმა არ მოიკითხავს მათ. და დაუბრუნე მას. <sup>3</sup> და ასე მოიქეცი მისი სახედრის მიმართ, და ასე ყველაფრის მიმართ, რაც დაკარგა შენმა ძმამ და შენ იპოვე. ნუ გაერიდები მათ. <sup>4</sup> თუ დაინახავ შენი ძმის სახედარს ან ხარს გზაზე დავარდნილს, შეეშველე მას წამოყენებაში.

### სხვადასხვა ყოფითი მითითებანი

<sup>5</sup> ნუ ჩაიცვამს მამაკაცის ტანსაცმელს დედაკაცი და ნუ შეიმოსება დედაკაცის სამოსელით მამაკაცი, რადგან საძაგელია უფ-

ლისათვის, შენი ღმერთისათვის ყველა, ვინც ამას სჩადის. <sup>6</sup> თუ გზად გადაეყრები ჩიტის ბუდეს, ბარტყებიანს ან კვერცხებიანს, და დედა აზის ბარტყებს თუ კვერცხებს, არ აიყვანო დედა თავის ბარტყებიანად. <sup>7</sup> დედა გაუშვი, ბარტყები კი წაიყვანე, რომ კარგად იყო და დღეგრძელი იყო. <sup>8</sup> როცა ახალ სახლს ააშენებ, ბანს მოაჯირი შემოავლე, რომ სისხლი არ დაედოს შენს სახლს, თუ ვინმე გადმოვარდა იქიდან. <sup>9</sup> ნუ დათესავ შენს ვენახში ორნაირ თესლს, რომ წმინდა არ ჰყო ნაყოფი თესლისა, რომელსაც დათესავ, და ვენახის მოსავალი. <sup>10</sup> ნუ მოხნავ ხართა და სახედრით ერთად. <sup>11</sup> ნუ ჩაიცვამ შერეულს – მატყლსა და სელს ერთად. <sup>12</sup> ფოჩები გაუკეთე ოთხივე კუთხეზე შენს საბანს, რომელსაც იხურავ.

### სიქალწულის რჯული

<sup>13</sup> თუ ვინმე ცოლს ითხოვს, შევა მასთან და შეიძულებს მას, <sup>14</sup> და ცილს დასწამებს და ცუდ ხმებს დაუყრის, იტყვის: მე ვითხოვე ეს ქალი და დავუახლოვედი მას, და სიქალწულის ნიშნები\* არ აღმოჩნდაო, <sup>15</sup> და ადგენენ ამ ყმაწვილქალის მამა და დედა და გამოუტანონ მისი სიქალწულის ნიშნები ქალაქის უხუცესებს კარიბჭესთან. <sup>16</sup> და უთხრას ყმაწვილქალის მამამ უხუცესებს: ეს ჩემი ასული ამ კაცს მივათხოვე ცოლად და მან შეიძულა იგი. <sup>17</sup> და, აჰა, ცილს სწამებს მას, ამბობს: სიქალწულის ნიშნები არ აღმოჩნდაო შენს ქალიშვილს. და აჰა ჩემი ასულის სიქალწულის ნიშნები. და გაშლიან სამოსელს ქალაქის უხუცესების წინ. <sup>18</sup> და ადგებიან ქალაქის უხუცესები და დასჯიან ამ კაცს. <sup>19</sup> და ასი ვერცხლით დააჯარიმებენ მას და გადაუხდიან ყმაწვილქალის მამას, რადგან ცუდი ხმები დაუყარა ისრაელიან ქალწულს. და დარჩება მის ცოლადვე, ვერ გაუშვებს მას თავის სიცოცხლეში. <sup>20</sup> თუ მართალია ეს სიტყვა, ყმაწვილქალს სიქალწულის ნიშნები არ აღმოჩნდა, <sup>21</sup> გამოიყვანონ ყმაწვილქალი მამამისის

\* ბეთულომ “სიქალწულენი”.



სახლის კართან და ქვებით ჩაქოლონ მისი ქალაქის კაცებმა და მოკვდეს, რადგან სააუგო საქმე ჩაიდინა ისრაელში: იბოზა მამისეულ სახლში. და აღმოფხვრი ბოროტებას შენი წრიდან. <sup>22</sup> თუ კაცს გათხოვილ ქალთან მწოლარეს წაუსწრეს, ორივე უნდა მოიკლას: ქალთან მწოლარე კაციცა და ქალიც. და აღმოფხვრი ბოროტებას ისრაელიდან.

### ყმაწვილქალის გაუპატიურებისთვის

<sup>23</sup> თუ კაცზე დანიშნულ ყმაწვილქალს, ქალწულს, ქალაქში ვინმე შეხვდა და დაწვა მასთან, <sup>24</sup> და გაიყვანონ ორივენი ამ ქალაქის კარიბჭესთან და ქვებით ჩაქოლონ ისინი და მოკვდნენ — ყმაწვილი ქალი იმის გამო, რომ ხმა არ გაიღო ქალაქში, კაცი კი იმის გამო, რომ გააუპატიურა ახლობლის ცოლი. და აღმოფხვრი ბოროტებას შენი წრიდან. <sup>25</sup> და თუ მინდორში შეხვდება კაცი დანიშნულ ყმაწვილქალს და იძალადებს მასზე და დაწვება მასთან, უნდა მოიკლას მხოლოდ კაცი, რომელიც ქალთან დაწვა. <sup>26</sup> ყმაწვილქალს არაფერი დაუშავო, სასიკვდილო დანაშაული არ აწევს ყმაწვილ ქალს, რადგან ეს იმგვარი საქმეა, გინდა კაცი დასხმოდეს თავს ახლობელს და მოეკლას. <sup>27</sup> რადგან მინდორში შეხვდა მას და, თუნდაც ეყვირა ყმაწვილქალს, არავინ იქნებოდა მისი მშველელი. <sup>28</sup> თუ კაცი შეხვდება ქალწულს, რომელიც დანიშნული არ არის, და იძალადებს მასზე და დაწვება მასთან, და წაასწრებენ, <sup>29</sup> მისცეს ყმაწვილ ქალთან ნაწოლმა კაცმა მის მამას ორმოცდაათი ვერცხლი, ქალი კი მისი ცოლი გახდეს იმის სანაცვლოდ, რომ ძალა იხმარა მასზე. არ შეეძლება მისი გაშვება თავის სიცოცხლეში.

### ვინ ვერ შევა უფლის კრებულში

**23** <sup>1</sup> ვერ მოიყვანს კაცი თავისი მამის ცოლს, რომ გაუშიშვლოს კალთა თავის მამას. <sup>2</sup> ვერ შევა კვერცხებჩაჭყლეთილი და ასომოკვეთილი უფლის კრებულში. <sup>3</sup> ვერ შევა ბუში უფლის საკრებულში, მისი მეათე თაობაც კი ვერ შევა უფლის

საკრებულოში. <sup>4</sup> ვერ შევლენ ყამონელები და მოაბელები უფლის საკრებულოში, მათი მეათე თაობაც კი ვერასოდეს შევა უფლის საკრებულოში. <sup>5</sup> რადგან პურიტა და წყლით არ დაგზავდნენ გზაზე, როცა ეგვიპტიდან გამოდიოდით, რადგან დაიქირავეს შენს წინააღმდეგ ბალაამ ბეყორის ძე, შუამდინარეთის ფეთორიდან, შენს დასაწყევლად. <sup>6</sup> და არ ინება უფალმა, შენმა ღმერთმა, ესმინა ბალაამისათვის და კურთხევად შეგიცვალა წყევლა უფალმა, შენმა ღმერთმა, რადგან უყვარხარ უფალს, შენს ღმერთს. <sup>7</sup> ნუ შეკრავ მათთან ზავს და ნუ ეძებ მათთვის სიკეთეს მთელი შენი სიცოცხლე, უკუნისამდე. <sup>8</sup> ნუ შეგძაგდება ედომელი, რადგან შენი ძმაა. ნუ შეგძაგდება ეგვიპტელი, რადგან მდგმურად იყავი მის ქვეყანაში. <sup>9</sup> შვილები, რომლებიც მათ შეეძინებათ, მესამე თაობაში შევლენ უფლის საკრებულოში.

### **ბანაკის სისუფთავისათვის**

<sup>10</sup> როცა მტრების წინააღმდეგ ბანაკად გახვალ, ერიდე ყოველივე ცუდს. <sup>11</sup> თუ არის შენში კაცი, რომელიც ღამის შემთხვევის გამო სუფთა არ აღმოჩნდა, გავიდეს ბანაკის გარეთ, არ შევიდეს ბანაკის შიგნით. <sup>12</sup> და საღამოს პირზე წყლით განიბანოს და მზის ჩასვლისას შევიდეს ბანაკში. <sup>13</sup> და გქონდეს ადგილი ბანაკის გარეთ, რომ შეგეძლოს იქ გარეთ გასვლა. <sup>14</sup> და ბარი გქონდეს სარტყელში, რომ გარეთ დაჯდომისას ამოთხარო მიწა და ჩაფლა შენი განავალი. <sup>15</sup> რადგან უფალი, შენი ღმერთი, დადის შუაგულ ბანაკში, რომ გიხსნას და ჩაგაგდებინოს ხელში მტრები. წმიდა უნდა იყოს შენი ბანაკი, რომ არ დაინახოს შენში რაიმე სამარცხვინო და ზურგი არ შეგაქციოს.

### **სხვადასხვა ყოფითი მითითებანი**

<sup>16</sup> არ გადასცე თავის პატრონს მონა, რომელიც შენთან გამოექცა პატრონს. <sup>17</sup> შენთან იცხოვროს, შენს წიაღში, იმ ადგი-

ლას, რომელსაც აირჩევს შენს ერთ-ერთ კარიბჭეში, სადაც მოეწონება. არ დაჩაგრო იგი. <sup>18</sup> არ იყოს როსკიპი ქალი ისრაელის ქალებს შორის და როსკიპი კაცი ისრაელის ვაჟებს შორის. <sup>19</sup> არანაირი აღთქმისათვის არ შეიტანო როსკიპის გასამრჯელო და ძაღლის ფასი უფლის, შენი ღმერთის, სახლში, რადგან ორივე ეს სისაძაგლეა უფლის, შენი ღმერთისათვის. <sup>20</sup> არ მისცე სარგებელში შენს ძმას არც ვერცხლი, არც საჭმელი და არც რამე ნივთი, რაც სარგებელში შეიძლება გაიცეს. <sup>21</sup> უცხოელს მიეცი სარგებელში, შენს ძმას კი ნუ მისცემ სარგებელში, რომ გიკუთხოს უფალმა, შენმა ღმერთმა, მთელი შენი ნაამაგარი იმ ქვეყანაში, რომლის დასამკვიდრებლადაც მიდიხარ. <sup>22</sup> თუ აღთქმას დაუდებ უფალს, შენს ღმერთს, ნუ დაავიანებ მის შესრულებას, რადგან მოიკითხავს მას შენგან უფალი, შენი ღმერთი, და ცოდვა დაგედება. <sup>23</sup> და თუ აღთქმისაგან თავს შეიკავებ, არც ცოდვა დაგედება. <sup>24</sup> შეინახე შენი ბაგიდან გამომავალი სიტყვა და შეასრულე, რაც აღთქმული გაქვს უფლის, შენი ღმერთისადმი, რაც წარმოთქვა შენმა ბაგემ. <sup>25</sup> როცა შეხვალ შენი ახლობლის ვენახში და შენი სურვილისამებრ, გაძლომამდე შეჭამ ყურძენს, ჭურჭელში აღარ ჩაიწყო. <sup>26</sup> როცა შეხვალ შენი ახლობლის სამკალში, ხელით დაგლიჯე თავთავები. ნამგალი არ მოიქნო შენი ახლობლის სამკალში.

**განქორწინებისათვის**

**24** <sup>1</sup> თუ კაცი ცოლს მოიყვანს და მისი ქმარი გახდება, მერე აითვალწუნებს, რადგან რაღაც სასირცხოს აღმოაჩინს მასში, უნდა დაუწეროს გაყრის წერილი, და მისცეს ხელში და გაუშვას თავისი სახლიდან. <sup>2</sup> და გავა მისი სახლიდან და გაჰყვება სხვა ქმარს. <sup>3</sup> და მოიძულებს მას უკანასკნელი ქმარი და დაუწერს გაყრის წერილს, და მისცემს ხელში და გაუშვებს თავისი სახლიდან ან მოკვდება უკანასკნელი ქმარი, რომელმაც მოიყვანა იგი ცოლად, <sup>4</sup> პირველ ქმარს, რომელმაც გაუშვა იგი,

ნება არა აქვს ისევ მოიყვანოს ცოლად მას შემდეგ, რაც ქალი გაბინძურდა, რადგან ეს სისაძაგლეა უფლის წინაშე. ნუ აცოდვებ მიწას, რომელსაც წილად გაძლევს უფალი, შენი ღმერთი.

### სხვადასხვა ყოფითი მითითებანი

<sup>5</sup> თუ ვინმეს ცოლი ახალი მოყვანილი ჰყავს, ნუ გავა სალაშქროდ და ნურც ნურაფერი დაეკისრება მას, ერთი წლით თავისუფალი იყოს სახლისათვის და გაახაროს თავისი ცოლი, რომელიც მოიყვანა. <sup>6</sup> არავინ დაიგირაოს ხელსაფეკვავი ან დოლაბი, რადგან სიცოცხლის დამგირავებელი იქნება იგი. <sup>7</sup> თუ ნაპოვნი იქნება კაცი, რომელმაც მოიტაცა თავისი ძმა ისრაელიანი, იმძლავრა მასზე და გაყიდა იგი, ეს მომტაცებელი უნდა მოკვდეს. და აღმოფხვრი ბოროტებას შენი წიაღიდან. <sup>8</sup> ძალზე ფრთხილად იყავი კეთრის სენთან და გააკეთე ყველაფერი, რაც ლევიანმა მღვდლებმა გასწავლათ. როგორც ვამცნე მათ, ეცადეთ ისე გააკეთოთ. <sup>9</sup> გაიხსენე, რა უყო უფალმა, შენმა ღმერთმა, მირიამს გზაში, როცა ეგვიპტიდან გამოდიოდით. <sup>10</sup> თუ შენს ახლობელს რამეს ასესხებ, ნუ შეხვალ მის სახლში წინდის ასაღებად. <sup>11</sup> გარეთ დადექი და კაცი, რომელსაც სესხს აძლევ, გარეთ გამოგიტანს წინდს. <sup>12</sup> და თუ კაცი ღარიბია, ღამე არ დაიტოვო მისი წინდი. <sup>13</sup> დაუბრუნე წინდი მზის ჩასვლისას, რომ დაიძინოს თავის სამოსელში და დაგლოცოს. და კეთილ საქმედ ჩაგეთვლება უფლის, შენი ღმერთის წინაშე. <sup>14</sup> ნუ დაჩაგრავ მოჯამაგირეს და ღარიბ-ღატაკს — შენი ძმა იქნება იგი თუ შენს ქვეყანაში, შენს კარზე მცხოვრები მდგმური. <sup>15</sup> თავის დროზე გადაუხადე გასამრჯელო და ნუ დაუცდი მზის ჩასვლას, რადგან ღარიბია იგი და შენი იმედი აქვს. არ გირივლოს უფალთან და ცოდვა არ დაგედოს. <sup>16</sup> არ უნდა მოიკლან მამები შვილების გამო და შვილები არ უნდა მოიკლან მამების გამო. თითოეული თავისი დანაშაულისთვის უნდა მოიკლას.

## ქვრივ-ოხერთა და უპოვართათვის

<sup>17</sup>ნუ გაამრუდებ მდგმურისა და ობლის სამართალს, და ნუ დაიგირავებ ქვრივი ქალის სამოსელს. <sup>18</sup>გაიხსენე, რომ მონა იყავი ეგვიპტეში და უფალმა, შენმა ღმერთმა, გამოგისყიდა იქიდან. ამიტომაც გამცნებ ამის ასრულებას. <sup>19</sup>თუ მომკი სამკალს და ძნა დაგავიწყდება ყანაში, ნულა დაბრუნდები მის წამოსაღებად: მდგმურებსა და ქვრივებს დარჩეთ, რომ აკურთხოს უფალმა, შენმა ღმერთმა, ყველაფერი, რასაც შენი ხელით აკეთებ. <sup>20</sup>როცა ზეთისხილს ჩამობერტყავ, რტოებს ნულა დაუწყებ თვალიერებას: მდგმურებსა და ქვრივ-ობლებს დარჩეს. <sup>21</sup>როცა ვენახს მოისთვლი, მომცვრევას ნულა დაიწყებ: მდგმურებსა და ქვრივ-ობლებს დარჩეს. <sup>22</sup>და გაიხსენე, რომ მონა იყავი ეგვიპტის ქვეყანაში. ამიტომაც გიბრძანებ ამ საქმის აღსრულებას.

## სასჯელის გადამეტებისთვის

**25** <sup>1</sup>თუ დავა ექნათ ერთმანეთში კაცებს, სასამართლოს წარუდგინენ და განსჯიან მათ: მართალს გაამართლებენ და დამნაშავეს დასჯიან. <sup>2</sup>და თუ დამნაშავე ცემის ღირსია\*, წამოაქცევინოს იგი მსაჯულმა და აცემინოს თავის წინაშე დანაშაულის კვალობაზე, როგორც იმსახურებს. <sup>3</sup>ორმოცი დარტყმა აკმარონ, მეტს ნუ დაარტყამენ, თორემ თუ გადაამეტეს და ბევრი ურტყეს, დამცირდება შენს თვალში შენი ძმა. <sup>4</sup>ნუ აუკრავ პირს ხარს ლეწვის დროს.

## მაზლური შეუღლების წესი

<sup>5</sup>თუ ძმები ერთად ცხოვრობენ და ერთი მათგანი უშვილოდ მოკვდება, მისი ქვრივი არ უნდა მისთხოვდეს გარეთ უცხო კაცს, არამედ მისი მაზლი უნდა შევიდეს მასთან, და მოიყვანოს.

\* დედანში: „ძე ცემისა“.

ნოს ცოლად და მამლობის წესი შეუსრულოს მას. <sup>6</sup> და პირმო, რომელსაც დაბადებს ქალი, მკვდარი ძმის სახელზე აღდგება, რომ არ წაიშალოს მისი სახელი ისრაელში. <sup>7</sup> და თუ კაცი არ ისურვებს თავისი რძლის ცოლად მოყვანას, წარუდგება მისი რძალი კარიბჭესთან უხუცესებს და ეტყვის: არ უნდა ჩემს მამლს, სახელი აღუდგინოს თავის ძმას ისრაელში, არ სურს შემისრულოს მამლური წესი, <sup>8</sup> და დაიბარებენ კაცს ქალაქის უხუცესები და მოელაპარაკებიან. და კაცი ადგება და იტყვის: არ მინდა მისი მოყვანაო, <sup>9</sup> თავზე დაადგება მას მისი რძალი უხუცესების თვალწინ და ფეხსაცმელს გახდის, და სახეში შეაფურთხებს და ეტყვის: ასე ექცევიან კაცს, რომელიც სახლს არ უშენებს თავის ძმას. <sup>10</sup> და დაერქმევა მას სახელად ისრაელში: ფეხგახდილის სახლი.

### უსირცხვილო ქალისთვის

<sup>11</sup> თუ კაცები ერთმანეთში ჩხუბობენ და ერთ-ერთის ცოლი ახლოს მივა თავისი ქმრის დასახსნელად მისი მცემელის ხელიდან, და გაიწვდის ხელს და მის სარცხვინელს მოეჭიდება, <sup>12</sup> ხელის მტევანი მოკვეთე მას. არ შეიწყალოს იგი შენმა თვალმა.

### საწონისა და საწყაოს სიზუსტისათვის

<sup>13</sup> ნუ გექნება ჩანთაში ორი განსხვავებული საწონი — დიდი და მცირე. <sup>14</sup> ნუ გექნება სახლში ორი განსხვავებული საწყაო — დიდი და მცირე. <sup>15</sup> საწონი სრული და სწორი უნდა გქონდეს, საწყაო სრული და სწორი უნდა გქონდეს, რომ დღეგრძელი იყო იმ მიწაზე, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი, გაძლევს. <sup>16</sup> რადგან საძაგელია უფლის, შენი ღმერთისათვის ყველა, ვინც ამას აკეთებს, ყველა, ვინც უკანონობას სჩადის.

**ყმაღლეკისათვის**

<sup>17</sup> გაიხსენე, როგორ მოგექცათ გზაზე ყმაღლეკი, როცა ეგვიპტიდან გამოდიოდით: <sup>18</sup> გზაზე რომ დაგხვდა და გაგინადგურა დაფანტული უკანა რიგები — შენ კი დაღლილ-დაქანცული იყავი — და ღმერთის არ შეშინებია. <sup>19</sup> და როცა მოგასვენებს უფალი, შენი ღმერთი, გარეშემო მტრებისაგან იმ ქვეყანაში, რომელსაც წილად გაძლევს, რომ დაიმკვიდრო იგი, მოსპე ყმაღლეკის სახსენებელი ცისქვეშეთიდან, არ დაგავიწყდეს.

**პირველმოწეული ნაყოფი უფლის სამადლობელოდ**

**26** <sup>1</sup> და როცა შეხვალ ქვეყანაში, რომელსაც წილად გაძლევს უფალი, შენი ღმერთი, და დაიმკვიდრებ მას და დაიწყებ იქ ცხოვრებას, <sup>2</sup> აიღე მიწის ყოველი პირველმოწეული ნაყოფი, რომელსაც მოისთვლი ქვეყანაში, უფალი, შენი ღმერთი, რომ გაძლევს, ჩააწყვე კალათში და წადი იმ ადგილას, რომელსაც აირჩევს უფალი, შენი ღმერთი, თავისი სახელის დასავანებლად. <sup>3</sup> და მიდი მღვდელთან, რომელიც იმჟამად იქნება, და უთხარი: ვაცხადებ დღეს უფლის, შენი ღმერთის წინაშე, რომ შემოვედი იმ ქვეყანაში, რომელიც ჩვენთვის მოსაცემად აღუთქვა უფალმა ჩვენს მამა-პაპას. <sup>4</sup> და ხელიდან გამოგართმევს მღვდელი კალათს და დადებს უფლის, შენი ღმერთის, სამსხვერპლოს წინ. <sup>5</sup> და მიუგე და თქვი უფლის, შენი ღმერთის წინაშე: მოხეტიალე არამელი იყო ჩემი მამა, და ჩავიდა ეგვიპტეში და მდგმურობდა იქ მცირერიცხოვანი ხალხითურთ და იქცა იქ დიდ, ძლიერ და მრავალრიცხოვან ხალხად. <sup>6</sup> და ცუდად გვექცეოდნენ ეგვიპტელები, და გვჩაგრავდნენ და მძიმე სამუშაოს გვაკისრებდნენ. <sup>7</sup> და შევლაღადეთ უფალს, ჩვენს ღმერთს, და ისმინა უფალმა ჩვენი ხმა, და დაინახა უფალმა ჩვენი ჩაგვრა და ჩვენი ტანჯვა-წამება. <sup>8</sup> და გამოგვიყვანა უფალმა ეგვიპტიდან მაგარი ხელით და შემართული მკლავით, და დიდი ზარით, და ნიშებით და სასწაულებით. <sup>9</sup> და მოგვიყ-

ვანა ამ ადგილას და მოგვცა ეს ქვეყანა, ზეთითა და თაფლით მდინარი ქვეყანა. <sup>10</sup> და ახლა, აჰა, მომიტანია პირველმოწეული ნაყოფი ამ მიწისა, რომელიც მომცა უფალმა. და დადევნი იგი უფლის, შენი ღმერთის წინაშე და თაყვანი ეცი უფალს, შენს ღმერთს. <sup>11</sup> და გაიხარე ლევინთან და შენს მდგმურთან ერთად ყოველი სიკეთით, რაც კი უფალს, შენს ღმერთს, მოუცია შენთვის და შენი სახლისათვის.

### მეათედის დანიშნულება

<sup>12</sup> როცა გადადებ მეათედისათვის მთელს მეათედს შენი მოსავლიდან მესამე წელს, მეათედის წელს, და მისცემ ლევინს, მდგმურსა და ქვრივ-ობლებს, რომ ჭამონ შენს კარზე და გაძლენ, <sup>13</sup> თქვი უფლის, შენი ღმერთის წინაშე: მოვაცილე სახლს წმიდა წილი და მივეცი კიდევ ლევინს და მდგმურს და ქვრივ-ობლებს, ყოველი შენი მცნების თანახმად, როგორც მამცნე. არ გადავსულვარ შენს მცნებებს და არც დამვიწყებია. <sup>14</sup> არ მიჭამია მისგან გლოვისას და არც ბინძურობისას წამიღია მისგან და არც მკვდრისათვის გამიცია მისგან. უფლის, ჩემი ღმერთის ხმას ვისმენდი, ყველაფერს ვაკეთებდი, როგორც მამცნე. <sup>15</sup> გადმოიხედე შენი სიწმიდის სამყოფელიდან, ციდან, და აკურთხე შენი ერი ისრაელი და მიწა, რომელიც ჩვენთვის მოგიცია ჩვენს მამა-პაპასთან დადებული ფიცის თანახმად — ქვეყანა, ზეთითა და თაფლით მდინარი.

### შეჯამება

<sup>16</sup> ამ დღეს გამცნებს უფალი, შენი ღმერთი, ამ წესებისა და სამართლის აღსრულებას. შეინახე და შეასრულე ისინი მთელი შენი გულითა და მთელი შენი სულით. <sup>17</sup> უფალი გამოაცხადე დღეს შენს ღმერთად, რომ ივლი მის გზებზე, და შეინახავ მის წესებს, და მცნებებს და სამართალს, და შეისმენს მის ხმას. <sup>18</sup> და უფალმა გამოგაცხადა დღეს თავის უნჯი ერად, როგორც გიბრძანა, რომ შეინახო მისი მცნებები, <sup>19</sup> რომ დაგსვას თავის



გაჩენილ ყველა ხალხზე მალლა დიდებისათვის და სახელისათვის, და პატივისათვის, და რომ იყო წმიდა ერი უფლის, შენი ღმერთისათვის, როგორც ბრძანა.

## სამახსოვრო ქვები და სამსხვერპლო

**27** <sup>1</sup>და ამცნეს მოსემ და ისრაელის უხუცესებმა ერს, სათქმელად: დაიცავით ყოველი მცნება, რასაც მე გამცნებ თქვენ დღეს. <sup>2</sup>და როცა გადახვალ იორდანეს გაღმა ქვეყანაში, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი, გაძლევს შენ, დაიდგი დიდი ქვები და კირით შელესე. <sup>3</sup>და დააწერე ზედ ამ რჯულის ყოველი სიტყვა იორდანეზე გადასვლისას, რომ შეხვიდე ქვეყანაში, რომელსაც გაძლევს უფალი, შენი ღმერთი, ზეთითა და თაფლით მდინარე ქვეყანაში, როგორც ბრძანა შენთვის უფალმა, შენი მამა-პაპის ღმერთმა. <sup>4</sup>და როცა გადახვალ იორდანეზე, დადგი ეს ქვები, როგორც დღეს გამცნებ, ლებალის მთაზე, და კირით შელესე. <sup>5</sup>და აუგე იქ სამსხვერპლო უფალს, შენს ღმერთს, ქვების სამსხვერპლო. რკინა არ შეახო მათ. <sup>6</sup>მთელ-მთელი ქვებისაგან უნდა ააგო უფლის, შენი ღმერთის, სამსხვერპლო და მასზე უნდა აღუვლინო უფალს, შენს ღმერთს, აღსავლენები. <sup>7</sup>და შესწირე სამშვიდობო მსხვერპლი და ჭამე იქ, და გაიხარე უფლის, შენი ღმერთის წინაშე. <sup>8</sup>და დააწერე ქვებზე ამ რჯულის ყოველი სიტყვა გარკვევით და მკაფიოდ. <sup>9</sup>და ელაპარაკნენ მოსე და ლევიანი მღვდლები მთელს ისრაელს, სათქმელად: იღუმე და ისმინე, ისრაელო! ამ დღეს გახდი შენ უფლის, შენი ღმერთის ერი. <sup>10</sup>და ისმინე უფლის, შენი ღმერთის, ხმა და შეასრულე ცნებები და წესები, რომელთაც მე გამცნებ დღეს.

## წყევლა ლებალის მთიდან

<sup>11</sup>და ამცნო მოსემ ერს ამ დღეს, სათქმელად: <sup>12</sup>ესენი დადგნენ ერის დასალოცავად გერიზიმის მთაზე, როცა იორდანეს

გაღმა გახვალთ: სიმონი, ლევი, იუდა, ისაქარი, იოსები და ბენიამინი. <sup>13</sup> და ესენი დადგნენ დასაწყევლად გერიზიმის მთაზე: რეუბენი, გადი, აშერი, ზებულონი, დანი და ნაფთალი. <sup>14</sup> და გამოაცხადებენ და ეტყვიან ლევიანები თითოეულ ისრაელიანს მაღალ ხმაზე: <sup>15</sup> წყეულიმც იყოს, ვინც გააკეთებს ქანდაკს და ჩამოსხმულ კერპს — სისაძაგლეს უფლისათვის, ოსტატის ხელით ნაკეთებს, და ფარულად დადგამს. და მიუგებს მთელი ერი და იტყვიან: ამინ! <sup>16</sup> წყეულიმც იყოს დედ-მამის შემაგინებელი! იტყვის მთელი ერი: ამინ! <sup>17</sup> წყეულიმც იყოს თავისი მეზობლის სამანის გადამწევი! და იტყვის მთელი ერი: ამინ! <sup>18</sup> წყეულიმც იყოს ბრმისათვის გზა-კვალის ამრევი! და იტყვის მთელი ერი: ამინ! <sup>19</sup> წყეულიმც იყოს მდგმურისა და ქვრივ-ობლების სამართლის გამმრუდებელი! და იტყვის მთელი ერი: ამინ! <sup>20</sup> წყეულიმც იყოს მამის ცოლთან მწოლელი, რადგან თავისი მამის კალთა გააშიშვლა! და იტყვის მთელი ერი: ამინ! <sup>21</sup> წყეულიმც იყოს პირუტყვთან მწოლელი! და იტყვის მთელი ერი: ამინ! <sup>22</sup> წყეულიმც იყოს თავის დასთან — თავისი მამის ქალიშვილთან ან დედის ქალიშვილთან — მწოლელი! და იტყვის მთელი ერი: ამინ! <sup>23</sup> წყეულიმც იყოს სიდედრთან მწოლელი! და იტყვის მთელი ერი: ამინ! <sup>24</sup> წყეულიმც იყოს თავისი ახლობლის ფარულად მკვლელი! და იტყვის მთელი ერი: ამინ! <sup>25</sup> წყეულიმც იყოს ქრთამის ამღები კაცის მოსაკლავად, უბრალო სისხლის დასაღვრელად! და იტყვის მთელი ერი: ამინ! <sup>26</sup> წყეულიმც იყოს, ვინც გატეხს ამ რჯულის სიტყვებს და არ შეასრულებს მათ! და იტყვის მთელი ერი: ამინ!

## კურთხევა

**28** <sup>1</sup> და თუ შეისმენ უფლის, შენი ღმერთის ხმას, რომ შეინახო და შეასრულო ყოველი მისი მცნება, რომელთაც მე გამცნებ დღეს, ქვეყნიერების ყველა ხალხზე მაღლა დაგვავამს უფალი, შენი ღმერთი. <sup>2</sup> და გადმოვა შენზე ყველა ეს კურ-

თხევა და გეწევა, როცა შეისმენ უფლის, შენი ღმერთის ხმას. <sup>3</sup>კურთხეულიმც ხარ ქალაქად და კურთხეულიმც ხარ ველად! <sup>4</sup>კურთხეულიმც არის შენი მუცლის ნაყოფი და შენი მიწის ნაყოფი და შენი პირუტყვის ნაყოფი, შენი ნახირის მონაშენი და შენი ფარის ნამატი! <sup>5</sup>კურთხეულიმც არის შენი კალათი და შენი ვარცლი! <sup>6</sup>კურთხეულიმც ხარ შესვლისას და კურთხეულიმც ხარ გამოსვლისას! <sup>7</sup>დაამხოვს უფალი შენს წინაშე შენს მტრებს, შენს წინააღმდეგობთ: ერთი გზით გამოვლენ შენკენ და შვიდი გზით გაიქცევიან შენგან. <sup>8</sup>ბრძანებს უფალი კურთხევას შენს ბელღებში და ყველაფერში, რასაც შენი ხელი გააკეთებს. და გაკურთხებს იმ ქვეყანაში, რომელსაც გაძლევს უფალი, შენი ღმერთი. <sup>9</sup>დაგამყარებს უფალი თავის წმიდა ერად, როგორც დაფიცებული აქვს შენთვის, თუ შეინახავ უფლის, შენი ღმერთის, მცნებებს და ივლი მის გზაზე. <sup>10</sup>და დაინახავს ქვეყნის ყველა ხალხი, რომ უფლის სახელია შენზე დარქმეული და შეეშინდება შენი. <sup>11</sup>და გაგაუხვებს უფალი სასიკეთოდ შენი მუცლის ნაყოფში და შენი მიწის ნაყოფში იმ მიწაზე, რომელიც აღუთქვა შენს მამა-პაპას შენთვის მოსაცემად. <sup>12</sup>გაგიღებს უფალი თავის მადლიან საუნჯეს — ცას, რომ მოსცეს მიწას წვიმა თავის დროზე და აკურთხოს შენი ხელის ყოველი ნამუშავევი. ბევრ ხალხს მისცემ სესხს და თავად არ ისესხებ. <sup>13</sup>თავად გაგხდის უფალი და არა კუდად, და იქნები მხოლოდ მალა და არ იქნები დაბლა, თუ შეისმენ უფლის, შენი ღმერთის მცნებებს, რომელთაც მე გამცნებ დღეს, რომ შეინახო და შეასრულო. <sup>14</sup>და არ გადაუხვიო არც ერთ სიტყვას, რომელთაც მე გამცნებ თქვენ დღეს, რომ არც მარჯვნივ და არც მარცხნივ არ იარო უცხო ღმერთების კვალზე და არ ემსახურო მათ.

## წყევლა

<sup>15</sup>თუ არ შეისმენ უფლის, შენი ღმერთის ხმას, რომ შეასრუ-

ლო ყველა მისი მცნება და მისი წესები, რომელთაც მე გამცნებ დღეს, გადმოვა შენზე ყველა ეს წყევლა და გეწევა: <sup>16</sup> წყეულიმცა ხარ ქალაქად და წყეულიმცა ხარ ველად! <sup>17</sup> წყეულიმც იყოს შენი კალათი და შენი ვარცლი! <sup>18</sup> წყეულიმც იყოს შენი მუცლის ნაყოფი და შენი მიწის ნაყოფი, შენი ნახირის მონაშენი და შენი ფარის ნამატი! <sup>19</sup> წყეულიმცა ხარ შესვლისას და წყეულიმცა ხარ გასვლისას! <sup>20</sup> მოგივლენს უფალი წყევლას, ფეთებას და შერჩვენებას შენი ხელის ყოველ ნამუშავევში, რასაც კი გააკეთებ, ვიდრე არ განადგურდები და ვიდრე მალე არ დაიღუპები შენი ბოროტი საქმეებისათვის, იმისათვის, რომ დამივიწყე. <sup>21</sup> მოგაწებებს უფალი შავ ტირს, ვიდრე არ გადაგაშენებს იმ ქვეყნიდან, რომლის დასამკვიდრებლადაც მიდიხარ.

### სასჯელი — სნეულებანი

<sup>22</sup> მოგწყლავს უფალი ჭლექით და ციებ-ცხელებით, და ანთებით, და ხურვებით, და გვალვით, და ხორშაკით და სიყვითლით, და დაგოწყებენ დევნას, ვიდრე არ დაიღუპები. <sup>23</sup> და გექცევა ცა შენს თავზე სპილენძად და მიწა შენს ქვეშ — რკინად. <sup>24</sup> მტვრად აქცევს უფალი შენი ქვეყნის წვიმას და ნაცარი დაგეყრება თავზე, ვიდრე საბოლოოდ არ განადგურდები. <sup>25</sup> დაგამხობს უფალი შენი მტრების წინაშე. ერთი გზით წახვალ მისკენ და შვიდი გზით გაექცევი მას. და საფრთხობელად იქცევი ამ ქვეყნის ყველა სამეფოსათვის. <sup>26</sup> და გახდება შენი გვამი ცის ფრინველთა და მიწის მხეცთა საჯიჯგნი და არავინ იქნება მომგერიებელი. <sup>27</sup> მოგწყლავს უფალი ეგვიპტური ყვავილით, და ბუგრით, და მუნიით და ქეცით, რომელთაგანაც არ იქნება განკურნება. <sup>28</sup> მოგწყლავს უფალი სიგიჟით, და სიბრმავით და შეშლილობით. <sup>29</sup> და ხელის ცეცებით ივლი შუადღისას, როგორც ბრმა დადის სიბნელეში და წარმატება არ გექნება შენს გზებზე, და იქნები დათრგუნული და დაწიოკებული მთელი სიცოცხლე და არ გეყოლება შემწე.

## სასჯელი — გაჩანაგება

<sup>30</sup> ქალს დანიშნავ და სხვა კაცი დაწვება მასთან, სახლს აიშენებ და ვერ იცხოვრებ მასში, ვენახს ჩაყრი და ვერ მოისთვლი. <sup>31</sup> შენი ხარი შენს თვალწინ დაიკვლება და ვერ შეტამ, სახედარი მოგტაცებენ და აღარ დაგიბრუნდება, შენი ცხვარი შენს მტრებს ჩაუვარდება ხელში და არავინ გეყოლება შემწე. <sup>32</sup> შენი ვაჟები და ასულები უცხო ხალხს ჩაუვარდება ხელში, თვალები დაგეცვება მათი ლოდინით მთელი დღეები და მკლავში აღარ გექნება ძალა. <sup>33</sup> შენი მიწის ნაყოფს და შენს ნაშრომს შეტამს ხალხი, რომელსაც არ იცნობ. ტანჯულ-წამებული იქნები მთელი სიცოცხლე. <sup>34</sup> ტკუაზე შეგშლის სანახაობა შენს თვალწინ, რასაც დაინახავ. <sup>35</sup> დაგიწყლულებს უფალი მუხლებს და წვივებს განუკურნებლად, ტერფიდან თხემამდე. <sup>36</sup> წაგიყვანთ უფალი შენ და შენს მეფეს, რომელსაც დაისვამ, იმ ხალხთან, რომელსაც არ იცნობ შენ და არც შენი მამა-პაპა იცნობდა, და დაუწყებენ იქ მსახურებას უცხო ღმერთებს — ხესა და ქვას. <sup>37</sup> და საფრთხობელად, თითოთ საჩვენებლად და სამასხარაოდ შეიქნები ყველა ხალხში, სადაც კი წაგიყვანს უფალი. <sup>38</sup> ბევრ თესლს გაიტან ყანაში და ცოტას მოიმკი, რადგან კალია გაჩანაგებს. <sup>39</sup> ვენახებს ჩაყრი და დაამუშავებ, და ღვინოს ვერ დაღევ და ვერც კი დაკრეფ, რადგან ჭია შეტამს. <sup>40</sup> ბეთისხილი გექნება მთელს შენს მიწა-წყლზე და მაგრამ ბეთით ვერ გაიპოხები, რადგან ჩამოცვივა ნაყოფი. <sup>41</sup> ვაჟებს და ასულებს გაჩენ და არ შეგრჩებიან, რადგან ტყვეობაში წავლენ. <sup>42</sup> ყველა შენს ხეს და მიწის ნაყოფს კალია დაეპატრონება. <sup>43</sup> მდგმური, რომელიც შენს კარზე ცხოვრობს, შენზე მალლა და მალლა წავ და შენ სულ დაბლა და დაბლა დაეშვები. <sup>44</sup> ის სესხს მოგცემს და შენ ვერ ასესხებ მას. ის თავი იქნება და შენ კუდი იქნები. <sup>45</sup> და გადმოვა შენზე ყველა ეს წყევლა, და დაგედევნება და გეწევა, ვიდრე არ განადგურდები, რადგან არ შეისმინე უფლის, შენი ღმერთის ხმა, რომ შეგენახა მისი მცნებები და წესები,

რომლებიც გამცნე. <sup>46</sup> და იქნება შენთვის და შენი შთამომავლობისათვის ნიშად და სასწაულად უკუნისამდე <sup>47</sup> იმისათვის, რომ არ ემსახურებოდი უფალს, შენს ღმერთს, სიხარულითა და კეთილი გულით, როცა დოვლათში იყავი. <sup>48</sup> და დაუწყებ სამსახურს შენს მტრებს, რომელთაც მოგივლენს უფალი, შიმშილში, და სიმწყურვალეში, და სიშიშველეში და ყოველგვარ გასაჭირში. და დაგადგამს ქედზე რკინის უღელს, რომ საბოლოოდ გაგანადგუროს.

### სასჯელი – უცხო ხალხის შემოსევა

<sup>49</sup> და დაძრავს უფალი ხალხს შენს წინააღმდეგ შორეთიდან, ქვეყნის კიდიდან, არწივივით მოფრინდება ხალხი, რომლის ენას ვერ გაიგებ, <sup>50</sup> მოძალადე ხალხი, რომელიც მოხუცს პატივს არ სცემს და ყმაწვილ-კაცს არ იბრალებს, <sup>51</sup> და შეჭამს შენი საქონლის ნაყოფს და შენი მიწის ნაყოფს და საბოლოოდ გაგაჩანაგებს; არ დაგიტოვებს არც პურს, არც ღვინოს, არც ზეთს, არც შენი ნახირის მონაშენს და არც შენი ცხვრის ნამატს, რომ საბოლოოდ გაგანადგუროს. <sup>52</sup> ალყაში მოექცევი ყველა შენს კარიბჭეში, ვიდრე არ ჩამოიქცევა შენი კედლები, მაღალი და მაგარი, რომელთა იმედი გაქვს, მთელს შენს ქვეყანაში, რომელიც მოგცა შენ უფალმა, შენმა ღმერთმა. და ალყაში მოექცევი ყველა შენს კარიბჭეში, მთელს შენ ქვეყანაში, რომელიც მოგცა უფალმა, შენმა ღმერთმა. <sup>53</sup> და დაუწყებ ჭამას შენი მუცლის ნაყოფს, შენი ვაჟებისა და ასულების ხორცს, რომელიც მოგცა უფალმა, შენმა ღმერთმა, ალყაში და იწროებაში, როცა შეგავიწროებს შენ მტერი. <sup>54</sup> კაცი ნაზი შენს შორის და ძალზე განებივრებული ავად დაუწყებს ყურებას თავის ძმას და თავის უბის ცოლს, თავის დარჩენილ შვილებს, რომლებიც შერჩება მას, <sup>55</sup> არავის მისცემს თავისი შვილების ხორცს, რომელთაც შეჭამს, რადგან არაფერი დარჩება მას მთელს ალყაში და იწროებაში, როცა შეგავიწროებს შენი მტერი ყველა შენს კარიბჭეში. <sup>56</sup> ნაზი ქალი შენს შორის და განებივრებული, რო-

მელსაც ნებიერობისა და სინაზის გამო ფეხიც არ დაუკარებია მიწაზე, ავი თვალით შეხედავს თავის თანამეცხედრეს, თავის ვაჟსა და თავის ასულს, <sup>57</sup> და მომყოლს, რომელიც გამოდის მის ფეხებშორის, და თავის შვილებს, რომელთაც შობს, რადგან ჩუმად შეჭამს მათ გაჭირვებისას, ალყაში და იწროებაში, როცა შეგავიწროებს შენი მტერი ყველა შენს კარიბშტეში. <sup>58</sup> თუ არ შეინახავ და არ შეასრულებ ამ რჯულის ყველა სიტყვას, რომელიც ამ წიგნშია ჩაწერილი, და არ შეუშინდები ამ დიდებულ და საშინელ სახელს — უფალს, შენს ღმერთს,

### კვლავ სნეულებანი

<sup>59</sup> და შეგყრის უფალი წყლულებს შენ და შენს შთამომავლობას, დიდ და უკურნებელ წყლულებს, და ავ და უკურნებელ სნეულებებს. <sup>60</sup> და შენზე მოაბრუნებს ეგვიპტის ყველა სენს, რომლისაც გეშინოდა, და მოგეწებებიან. <sup>61</sup> ყველა ავადმყოფობას, ყველა წყლულს, რომელიც არ არის ჩაწერილი ამ რჯულის წიგნში, მოავლენს უფალი შენზე, რომ საბოლოოდ განადგურდე. <sup>62</sup> და მცირედნილა დარჩებით, ნაცვლად იმისა, რომ ცის ვარსკვლავებით უთვალავნი ყოფილიყავით, რადგან არ ისმინე უფლის, შენი ღმერთის ხმა. <sup>63</sup> და როგორც ხარობდა უფალი თქვენს გამო, როცა სიკეთეს გიკეთებდათ და გამრავლებდათ, ასევე გაიხარებს თქვენზე თქვენი მოსპობით და განადგურებით. და აღმოიფხვრებით იმ მიწიდან, რომლის დასამკვიდრებლადაც შედიხარ იქ.

### „და გაგფანტავს უფალი“

<sup>64</sup> და გაგფანტავს უფალი ყველა ხალხში ქვეყნის კიდიდან ქვეყნის კიდემდე. და დაუწყებ იქ სამსახურს უცხო ღმერთებს, რომელთაც არ იცნობდით არც შენ და არც შენი მამა-პაპა — ხესა და ქვას. <sup>65</sup> და ვერ იგრძნობ შვებას იმ ხალხში და არ ექნება შესვენება შენს ფეხებს, და მოგცემს იქ უფალი მხდალ



გულს, და დავსებულ თვალებს და მწუხარე სულს. <sup>66</sup> და ჩამოკიდებული იქნება შენი სიცოცხლე შენს წინ, და შიშში იქნები დღისით და ღამით, და ველარ ირწმუნებ შენს გადარჩენას. <sup>67</sup> დილით იტყვი: ნეტავ საღამო იყოს! საღამოთი იტყვი: ნეტავ დილა იყოს! იმ შიშის გამო, რითაც სავსე გექნება გული, და იმ სანახავის გამო, რასაც დაინახავ. <sup>68</sup> და დაგაბრუნებს უფალი ეგვიპტეში ხომალდებით იმ გზაზე, რომელზეც გითხარი, რომ აღარასოდეს იხილავდი მას. და იქ შეაძლევ შენს თავს შენს მტრებს მონებად და მხევლებად, მაგრამ მყიდველი არავინ იქნება. <sup>29</sup> ეს არის სიტყვები აღთქმისა, რომელიც ამცნო უფალმა მოსეს ისრაელიანებთან დასადებად მოაბის ქვეყანაში, გარდა იმ აღთქმისა, რომელიც დაუდო მათ ხორებში.

### განსაცდელები ეგვიპტეში და ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ

**29** <sup>1</sup> და მოუხმო მოსემ მთელს ისრაელს და უთხრა მათ: ყველაფერი ნახეთ, რაც დამართა უფალმა თქვენს თვალწინ ეგვიპტის ქვეყანაში ფარაონს, და ყველა მის მსახურს და მთელს მის ქვეყანას. <sup>2</sup> დიდი განსაცდელები, რომლებიც იხილეს შენმა თვალებმა, ის დიდი ნიშები და სასწაულები. <sup>3</sup> და არ მოუცია უფალს თქვენთვის გული მისახვედრად და თვალები სახილველად და ყურები სასმენელად დღემდე. <sup>4</sup> და გატარებდით ორმოცი წელი უდაბნოში, არ გაგცვეთიათ ტანზე სამოსელი, და არ გაგცვეთიათ ფეხზე ხამლები. <sup>5</sup> ბური არ გიჭამიათ, და ღვინო და სასმელი არ გისვამთ, რათა გცოდნოდათ, რომ მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი. <sup>6</sup> და მოხვედით ამ ადგილას და გამოვიდნენ თქვენს წინააღმდეგ საბრძოლველად სიხონი, ხეშბონის მეფე, და ყოგი, ბაშანის მეფე, და ჩვენ ვძლიეთ მათ. <sup>7</sup> და დავიჭირეთ მათი ქვეყანა და მივეცით წილად რეუბენს, გადს და მენაშანთა ნახევარ შტოს. <sup>8</sup> და შეინახეთ ამ აღთქმის სიტყვები და შეასრულეთ, რომ ხელი მოგემართოთ ყვე-



ლაფერში, რასაც გააკეთებთ.<sup>9</sup> თქვენ ყველანი დგახართ დღეს უფლის, თქვენი ღმერთის წინაშე — შტოთა თავკაცები, უხუცესები და რჯულისკაცები, ისრაელის ყველა კაცი,<sup>11</sup> დედაწულითურთ და შენს ბანაკში მყოფი მდგმურითურთ, შეშის მჩეხავიდან წყლის მზიდავამდე,<sup>12</sup> რათა შემოხვიდე უფლის, შენი ღმერთის, აღთქმაში და მის ფიცში, რომელსაც გიძებს დღეს უფალი, შენი ღმერთი.<sup>13</sup> რათა თავის ერთად გაგხადოს დღეს და თავად შენი ღმერთი გახდეს, როგორც გელაპარაკა შენ და როგორც აღუთქვა ფიცით შენს მამა-პაპას — აბრაამს და ისაკს და იაკობს.<sup>14</sup> და არა მხოლოდ თქვენთან ვდებ ამ აღთქმას და ამ ფიცს,<sup>15</sup> არამედ იმათთანაც, ვინც ჩვენთან ერთად დგანან დღეს უფლის, ჩვენი ღმერთის წინაშე და იმათთანაც, ვინც დღეს არ არიან ჩვენთან.<sup>16</sup> რადგან თქვენ იცით, როგორ ვცხოვრობდით ეგვიპტის ქვეყანაში და როგორ გავიარეთ იმ ხალხებში, რომელთა შორის გაიარეთ.<sup>17</sup> და იხილეთ მათი სისაძაგლეები, ხისა და ქვის, ვერცხლისა და ოქროს კერპები, რომლებიც მათ აქვთ.<sup>18</sup> ნუ იქნება თქვენში კაცი ან ქალი, საგვარეულო ან შტო, რომელსაც გული აქვს აყრილი დღეს უფალზე, ჩვენს ღმერთზე, რათა წავიდნენ და ემსახუროს იმ ხალხების ღმერთებს. ნუ იქნება თქვენს შორის ფესვი, შხამიანი ნაყოფის გამომღები.<sup>19</sup> და როცა მოისმენს ამ ფიცის სიტყვებს, დაიკვეხნის თავის გულში: მშვიდობით ვიქნები, თუმცა ჩემი სიჯიუტით დავდივარო. რათა დარწმუნებული მწყურვალთან ერთად დაიღუპოს.<sup>20</sup> არ ისურვებს უფალი მის პატიებას, რადგან მაშინ აღიზნება უფლის რისხვა და შური იმ კაცზე, დასადგურდება მასში მთელი ეს წყევლა, ამ წიგნში ჩაწერილი, და წაშლის მის სახსენებელს უფალი ცისქვეშეთიდან,<sup>21</sup> და გამოაცალკევებს მას უფალი უბედურებისთვის ისრაელის ყველა შტოდან ამ რჯულის წიგნში ჩაწერილი აღთქმის ფიცის თანახმად.<sup>22</sup> და იტყვის თქვენი შვილების მომავალი თაობა, რომელიც თქვენს შემდეგ აღდგება, და უცხოელი, რომელიც მოვა შორი ქვეყნიდან და დაინახავს ამ ქვეყნის წყლულებს და მის სნეულებებს, რითაც გასენა იგი

უფალმა: <sup>23</sup>გოგირდი და მარილი! გადაბუგულია მთელი მისი მიწა. არ ითესება და არც არაფერი აღმოცენდება, და არა ბალახი არ ამოდის! დაიქცა როგორც სოდომი და გომორი, აღმა და ცებომი, რომლებიც დააქცია უფალმა თავისი რისხვითა და წყრომით. <sup>24</sup> და იტყვის ყველა ხალხი: რისთვის მოექცა უფალი ასე ამ მიწას? რის გამო იყო ეს დიდი რისხვა? <sup>25</sup> და იტყვიან: იმის გამო, რომ დააგდეს უფლის, თავიანთი მამა-პაპის ღმერთის აღთქმა, რომელიც დაუდო მათ, როცა ეგვიპტიდან გამოჰყავდა ისინი. <sup>26</sup> და წავიდნენ და ემსახურნენ უცხო ღმერთებს და თაყვანი სცეს მათ ღმერთებს, რომელთაც არ იცნობდნენ და რომლებიც არ ურგუნებია მათთვის უფალს. <sup>27</sup> და აღიგზნო უფლის რისხვა ამ მიწის მიმართ, რომ მოეწია მასზე მთელი წყევლა, ამ წიგნში ჩაწერილი. <sup>28</sup> და მოისროლა ისინი უფალმა თავიანთი მიწიდან რისხვით, და ბრაზით და დიდი წყრომით, და გადააგდო სხვა ქვეყანაში, სადაც დღეს არიან. <sup>29</sup> დაფარული უფალს, ჩვენს ღმერთს, და გაცხადებული ჩვენ და ჩვენს შვილებს უკუნისამდე, რომ შესრულდეს ამ რჯულის ყოველი სიტყვა.

### წყალობის მოფენა დევნილებასა და გაფანტულობაში

**30** <sup>1</sup>და იქნება, როცა აგიცხადდება ყველა ეს სიტყვა — კურთხევა და წყევლა, რომელიც დავდე შენს წინაშე, მოგიბრუნდება გული იმ ხალხთა შორის მყოფს, სადაც ეყოლები გაგდებული უფალს, შენს ღმერთს, <sup>2</sup> და მიბრუნდები უფლის, შენი ღმერთისაკენ, და შეისმენ მის ხმას, როგორც გამცნებ დღეს, შენს შვილებთან ერთად მთელი შენი გულითა და სულით, <sup>3</sup> მაშინ უფალიც, შენი ღმერთი, დააბრუნებს შენს ტყვეებს და შეგიწყალებს, და კვლავ შეგკრებს ყველა ხალხიდან, რომელთა შორისაც გაფანტული ეყოლები უფალს, შენს ღმერთს. <sup>4</sup> ცის კიდემდეც რომ იყო გაგდებული, იქიდან შემოგკრებს უფალი, შენი ღმერთი, და იქიდან წამოგიყვანს <sup>5</sup> და მი-

გიყვანს უფალი, შენი ღმერთი, იმ ქვეყანაში, რომელიც დამკვიდრებული ჰქონდა შენს მამა-პაპას, და დაიმკვიდრებ მას, სიკეთეს გიყოფს და შენს მამა-პაპაზე უფრო გაგამრავლებს. <sup>6</sup> და წინადაცვეთს უფალი, შენი ღმერთი, შენს გულს და შენი შთამომავლობის გულს, რომ გიყვარდეს უფალი, შენი ღმერთი, მთელი შენი გულითა და მთელი შენი სულით, რათა ცოცხალი დარჩე. <sup>7</sup> და მოიღებს უფალი, შენი ღმერთი, მთელს ამ წყევლას შენს მტრებზე და მოძულეებზე, რომლებიც გდევნიდნენ შენ. <sup>8</sup> და შენ მოიქცევი და შეისმენ უფლის ხმას, და შეასრულებ ყოველ მის მცნებას, რომელსაც მე გამცნებ დღეს. <sup>9</sup> და გაგიუხვებს უფალი, შენი ღმერთი, ყველაფერს, რასაც შენი ხელით გააკეთებ — შენი მუცლის ნაყოფს, შენი პირუტყვის ნაყოფს და შენი მიწის ნაყოფს სასიკეთოდ, რადგან კვლავ გაიხარებს უფალი შენს გამო სასიკეთოდ, როგორც შენი მამა-პაპის გამო ხარობდა. <sup>10</sup> რადგან შეისმენ უფლის, შენი ღმერთის ხმას და შეინახავ მის მცნებებს და წესებს, რომლებიც ამ რჯულის წიგნშია ჩაწერილი, მიუბრუნდები უფალს, შენს ღმერთს, მთელი შენი გულითა და მთელი შენი სულით.

### არჩევანი სიცოცხლესა და სიკვდილს შორის

<sup>11</sup> რადგან ეს მცნება, რომელსაც მე გამცნებ დღეს, არ არის შენთვის შეუძლებელი და მიუწვდომელი. <sup>12</sup> არ არის ცაში იგი, რომ ითქვას: ვინ ჩამოგვითანს მას ციდან და შეგვასმენს, რომ შევასრულოთ? <sup>13</sup> და არც ზღვის გაღმა იგი, რომ ითქვას: ვინ ჩამოგვითანს მას ზღვის გაღმიდან და შეგვასმენს, რომ შევასრულოთ? <sup>14</sup> რადგან ძალზე ახლოს არის შენთან ეს სიტყვა: შენს ბაგებზე, შენს გულშია იგი და შეასრულე! <sup>15</sup> უყურე, დღეს დავდევნი შენს წინაშე სიცოცხლეს და სიკეთეს, სიკვდილი და ბოროტება, <sup>16</sup> რითაც მე გამცნე, რომ გიყვარდეს უფალი, შენი ღმერთი, იარო მის გზაზე, და შეინახო მისი მცნებები, წესები და სამართალი, და იცოცხლებ და გამრავლდები, და გაკურ-

თხებს უფალი, შენი ღმერთი, იმ ქვეყანაში, რომლის დასამკვიდრებლადაც მიდიხარ. <sup>17</sup> თუ აიყრი გულს და არ შეისმენ, და აირევ გზა-კვალს, და უცხო ღმერთებს დაუწყებ თაყვანისცემას და სამსახურს, <sup>18</sup> დღესვე გიცხადებთ, რომ დაიღუპებით, დიდი დღე არ გექნებათ იმ მიწაზე, რომლის დასამკვიდრებლადაც გადადიხართ იორდანეს. <sup>19</sup> ვიმოწმებ დღეს თქვენს წინაშე ცას და მიწას — სიცოცხლე და სიკვდილი დაგიდევინ წინ, კურთხევა და წყევლა, და აირჩიე სიცოცხლე, რომ იცოცხლოთ შენ და შენმა შთამომავლობამ, <sup>20</sup> რომ გიყვარდეს უფალი, შენი ღმერთი, რომ შეისმინო მისი ხმა და მიეწებო მას, რადგან ის არის შენი სიცოცხლე და დღეგრძელობა, რომ იცხოვრო იმ მიწაზე, რომლის მოცემა ფიცით აღუთქვა უფალმა შენს მამა-პაპას — აბრაამს და ისაკს და იაკობს.

### იესო ნავეს ძის არჩევა

**31** <sup>1</sup> და წავიდა მოსე და ილაპარაკა ეს სიტყვები მთელი ისრაელის მიმართ <sup>2</sup> და უთხრა მათ: ასოცი წლისა ვარ ახლა, აღარ შემიძლია გამოსვლა და შესვლა. უფალმა მითხრა: ვერ გადახვალ ამ იორდანეს. <sup>3</sup> თავად უფალი, შენი ღმერთი, გადაგიძღვება, ის გაწყვეტს ამ ხალხებს შენს წინაშე და დაიმკვიდრებ მათ ქვეყანას. იესო გადაგიძღვება, როგორც თქვა უფალმა. <sup>4</sup> და ისევე მოექცევა მათ უფალი, როგორც მოექცა სიხონსა და ყოგს, ამორეველ მეფეებს, და მათ ქვეყანას, სადაც გაწყვიტა ისინი. <sup>5</sup> და ხელში ჩაგაგდებინებს მათ უფალი და მოექცევი მათ იმ მცნების თანახმად, რომელიც გამცნე თქვენ. <sup>6</sup> და გამაგრდით და გამტკიცდით, ნუ შეგეშინდებათ და ნუ შეუდრკებით მათ, რადგან თავად უფალი, შენი ღმერთი, მოდის შენთან ერთად. არ მოგშორდება და არ მიგატოვებს. <sup>7</sup> და უხმო მოსემ იესოს და უთხრა მთელი ისრაელის თვალწინ: გამაგრდი და გამტკიცდი, რადგან შენ უნდა წაჰყვე ამ ერს იმ ქვეყანაში, რომლის მიცემაც ფიცით აღუთქვა უფალმა მის მამა-

პაპას, შენ უნდა დაუნაწილო მათ სამკვიდროები. <sup>8</sup> და თავად უფალი ივლის შენს წინ, ის იქნება შენთან, არ მოგშორდება და არ მიგატოვებს, ნუ შეგეშინდება და ნუ დაფრთხები.

### **რჯულის ჩაწერა პატიების დღეს გამოსაცხადებლად**

<sup>9</sup> და დაწერა მოსემ ეს რჯული და მისცა იგი ლევთან მღვდლებს, უფლის აღთქმის კიდობნის მტვირთველთ, და ისრაელის მთელს უხუცესობას. <sup>10</sup> და ამცნო მათ მოსემ, სათქმელად: მეშვიდე წლის ბოლოს, პატიების დანიშნულ წელს, კარვობის დღესასწაულზე, <sup>11</sup> როცა გამოცხადდები მთელი ისრაელი უფლის, შენი ღმერთის, წინაშე იმ ადგილზე, რომელსაც აირჩევს იგი, წაიკითხე ეს რჯული მთელი ისრაელის გასაგონად. <sup>12</sup> შეკრიბე ხალხი — კაცები და ქალები, და ბავშვები, და შენი მღვდელი, რომელიც შენს კარიბჭეებშია, რომ გაიგონონ, რომ ისწავლონ და ეშინოდეთ უფლის, შენი ღმერთისა. და შეინახონ და შეასრულონ ამ რჯულის ყოველი სიტყვა. <sup>13</sup> და მათმა შვილებმაც, რომლებმაც არ იციან, გაიგონ და ისწავლონ, რომ ეშინოდეთ უფლის, თქვენი ღმერთისა, მთელი სიცოცხლე, ვიდრე იარსებებთ იმ მიწაზე, რომლის დასამკვიდრებლადაც გადადიხართ იორდანეს.

### **წინასწარმეტყველება მოსეს შემდგომ დღეებზე**

<sup>14</sup> და უთხრა უფალმა მოსეს: აჰა, მიიწურა სიკვდილად შენი დღეები. დაუძახე იესოს და დადექით თავშეყრის კარავთან და მე დავმოდვრავ მას. და წავიდნენ მოსე და იესო და დადგნენ თავშეყრის კარავთან. <sup>15</sup> და გამოჩნდა უფალი კარავში, ღრუბლის სვეტში და აისვეტა ღრუბლის სვეტი კარვის შესასვლელთან. <sup>16</sup> და უთხრა უფალმა მოსეს: აჰა, მიიძინებ შენს მამა-პაპასთან, ეს ხალხი კი ადგება და აეკიდება უცხო ღმერთებს იმ ქვეყანაში, რომელშიც შედის. და დამივიწყებს და დაარღვევს

აღთქმას, რომელიც დავუდევნი მას.<sup>17</sup> და აღიგზნება ჩემი რისხვა მასზე იმ დღეს და მივატოვებ მათ და დავუმალავ ჩემს სახეს, და ჩასანთქმელი გახდებიან და ბევრი უბედურება და გაჭირვება შეემთხვევათ. და იტყვის იმ დღეს: ხომ იმიტომ შეემთხვა ეს უბედურებები, რომ ღმერთი არ არის ჩვენში!<sup>18</sup> და მე სახეს დავმალავ იმ დღეს მის მიერ ჩადენილი ყველა უკეთურების გამო, რადგან უცხო ღმერთებს აეკიდა.

### მოწმობის სიმღერა

<sup>19</sup> და ახლა ჩაიწერეთ ეს სიმღერა და ასწავლეთ ისრაელიანებს, ჩადევი იგი მათ ბაგეებში, რომ მემოწმებოდეს ეს სიმღერა ისრაელიანებთან,<sup>20</sup> როცა მივიყვან მათი მამა-პაპისათვის აღთქმულ მიწაზე, სადაც დის ზეთი და თაფლი, და შეჭამს და გაძღება და გასუქდება, და მიბრუნდება უცხო ღმერთებისაკენ და მათ დაუწყებენ სამსახურს. დამგმობენ მე და დაარღვევენ ჩემს აღთქმას.<sup>21</sup> და როცა შეემთხვევათ ბევრი უბედურება და გაჭირვება, მოწმე იქნება ეს სიმღერა მათთვის, რადგან არ წაიშლება იგი მათი შთამომავლობის ბაგიდან, რადგან ვიცი, რა ზრახვები აქვთ დღეს, ვიდრე აღთქმულ ქვეყანაში შევიყვანდე.<sup>22</sup> და ჩაწერა მოსემ ეს სიმღერა იმ დღეს და შეასწავლა ისრაელიანებს.<sup>23</sup> და ამცნო იესო ნავეს ძეს და უთხრა: გამაგრდი და გამტკიცდი, რადგან შენ შეიყვან ისრაელიანებს ქვეყანაში, რომელიც აღვუთქვი მათ. და მე ვიქნები შენთან.

<sup>24</sup> და იყო, როცა ბოლომდე დაასრულა მოსემ ამ რჯულის სიტყვების ჩაწერა წიგნში,<sup>25</sup> ამცნო მოსემ ლევიაანებს, უფლის აღთქმის კიდობნის მტვირთველთ: <sup>26</sup> აიღეთ ეს რჯულის წიგნი და გვერდით დაუდევით უფლის, შენი ღმერთის, აღთქმის კიდობანს, და იყოს იქ შენს მოწმედ.<sup>27</sup> რადგან მე ვიცი შენი ურჩობა და შეუპოვრობა. აჰა, რაც ცოცხალი ვარ, ეურჩებით უფალს და რაღა იქნება ჩემი სიკვდილის შემდეგ?<sup>28</sup> შემიკრიბეთ თქვენს შტოთა უხუცესები და რჯულისკაცები და მათ გასა-

გონად ვილაპარაკებ ამ სიტყვებს, და მოწმედ მოვიყვან მათთვის ცასა და მიწას. <sup>29</sup>რადგან ვიცი, რომ გაირყვნებით ჩემი სიკვდილის შემდეგ და გადაუხვევთ იმ გზიდან, რომელიც გამცნეთ თქვენ. და შეგემთხვევათ უბედურება უკანასკნელ ხანებში, რადგან ბოროტებას ჩაიდენთ უფლის თვალში, გააბრაშებთ მას თქვენი ხელის ნამოქმედართ. <sup>30</sup> და წარმოთქვა მოსემ ისრაელის მთელი კრებულის გასაგონად ამ სიმღერის სიტყვები ბოლომდე.

### მოსეს სიმღერა

**32** <sup>1</sup>გაიგონე, ცაო, სიტყვას ვამბობ! ისმინე, მიწავ, ჩემი სათქმელი! <sup>2</sup>წვიმასავით მოვიდეს ჩემი ნათქვამი, როგორც შხაპუნა წვიმა მდელღობე, როგორც თქეში მწვანე ბალახზე. <sup>3</sup>რადგან ვახსენებ უფლის სახელს, დიდება მიაგეთ ჩვენს ღმერთს! <sup>4</sup>კლდეა იგი, სრულყოფილია მისი ქმნილება, რადგან სამართლიანია მისი ყოველი გზა. ჭეშმარიტებაა ღმერთი, არა სიცრუე, მართალი და წრფელია იგი. <sup>5</sup>გაერყვნენ მას, აღარ არიან მისი შვილები, მათი ბიწიერების გამო. ჯიუტი და გზასამცდარი მოდგმაა. <sup>6</sup>ამას მიუზღავთ უფალს? ბრიყვო და უგუნურო ხალხო? ის ხომ მამაა შენი, შენი გამჩენი! ხომ მან შეგქმნა და დაგამყარა! <sup>7</sup>გაიხსენე ძველი დღეები, იფიქრე გარდასულ თაობებზე, ჰკითხე მამაშენს, გაგაგებინებს! შენს უხუცესებს, ისინი გეტყვიან! <sup>8</sup>როცა უზენაესი სამკვიდროებს ურიგებდა ხალხებს, როცა ცალ-ცალკე ასახლებდა ადამის მოდგმას, დაუდგინა საზღვრები ერებს ისრაელიანთა\* რიცხვისამებრ. <sup>9</sup>რადგან უფლის წილი მისი ერია, იაკობია მისი სამკვიდრო. <sup>10</sup>იპოვნა იგი უდაბურ და ცარიელ მიწაზე, მოყმულიე ტრამალზე. გარსუვლიდა, მოძღვრავდა, იფარავდა თვალის ჩინივით. <sup>11</sup>როგორც არწივი ფხიზლობს თავის ბუდეზე, ზედ ეფოფრება თავის მართვეებს, ფრთებს შლის, აიტაცებს და მიჰყავს თავისი მხრებით. <sup>12</sup>მართო

\* სეპტუაგინტა: „ღვთის ანგელოზთა“.



დაატარებდა მას უფალი, გვერდით არ ჰყოლია უცხო ღმერთი. <sup>13</sup> დასვა იგი მალალ ადგილზე და ზრდიდა ველის ნაყოფით, პიტალოებიდან თაფლით კვებავდა და ზეთით — სალი კლდიდან, <sup>14</sup> ძროხის ერბოთი და ცხვრის რძით, კრავთა და ბაშანურ ვერძთა და თხათა ცხიმით, და ნოყიერი პურიით; და სისხლს ყურძნისას, ღვინოს, სვამდი.

<sup>15</sup> და გასუქდა იეშურუნი\* და მოჰყვა ტლინკვას. გასუქდი, გათქვირდი, ჩამრგვალდი. დაივიწყა ღმერთი, თავისი შემოქმედი და არად ჩააგდო თავისი გადარჩენის ბურჯი. <sup>16</sup> გააეჭვიანეს უცხო ღმერთებით და სისაძაგლეებით გააღიზიანეს. <sup>17</sup> მსხვერპლს სწირავდნენ ეშმაკებს, არაღმერთს, ღმერთებს, რომელთაც არ იცნობდნენ; ახლებს, ახალმოსულთ, რომელთა შიში არ ჰქონია თქვენს მამა-პაპას. <sup>18</sup> კლდე კი, შენი გამჩენი აღარ გახსოვს, დავიწყებული გყავს ღმერთი, შენი შემქმნელი. <sup>19</sup> და დაინახა უფალმა და უარყო ბრაზისაგან თავისი ვაჟები და ასულები. <sup>20</sup> და თქვა: დავმალავ ჩემს სახეს, ვნახავ, რა ბოლო ექნებათ, რადგან გადაგვარდა ეს მოდგმა, არ შერჩათ სიმტკიცე შვილებს. <sup>21</sup> გამაეჭვიანეს არაღმერთით, გააღიზიანეს თავიანთი ამაოებით, მეც გავაეჭვიანებ მათ არაერთ, უგვანი ხალხით გავაღიზიანებ. <sup>22</sup> რადგან დაინთო ცეცხლი ჩემი რისხვით და გიზგიზებს ჯოჯოხეთის ქვესკნელამდე, ჭამს მიწას და მის ნაყოფს, ბუგავს მთათა საძირკვლებს. <sup>23</sup> ზედიზედ დავატებ უბედურებებს, მათზე დავხარჯავ ჩემს ისრებს. <sup>24</sup> ილაჯს გაუწყვეტს შიმშილი, შეჭამს სიცხე და შავი ჭირი. მხეცების კბილებს, ქვეწარმავალთა შხამით სავსეს, მივუშვებ მათზე. <sup>25</sup> გარეთ მახვილი გაანადგურებს, შიგნით — შიშისზარი, ჭაბუკსაც და ქალწულსაც, ძუძუთა ბავშვს ჭალარა კაცთან ერთად. <sup>26</sup> ვთქვი: გავფანტავ მათ, წავშლი მათ სახსენებელს კაცთა მოდგმიდან, <sup>27</sup> რომ არ ვუფროთხოდე მტრების გაკადნიერებას — თავს არ წავიდნენ მისი მოწინააღმდეგენი, არ თქვან, მალაღია ჩვენი ხელი, უფალს არ გაუკეთებიაო ეს ყველაფერი. <sup>28</sup> რადგან ჭკუ-

\* „წრფელი“, ისრაელის პოეტური სახელი.



ადაკარგული ხალხია ისინი, განსჯა აღარ არის მათში. <sup>29</sup> სიბრძნე რომ ჰქონოდათ, მიხვდებოდნენ ამას, განჭვრეტდნენ თავიანთ ბოლოს. <sup>30</sup> ერთი როგორ დაედევნება ათასს, ორნი როგორ გაყრიან ათი ათასს? თუ მათმა მფარველმა არ გასწირა ისინი, თუ უფალმა არ ჩააგდებინა ხელში? <sup>31</sup> რადგან არა ჰგავს ჩვენს მფარველს მათი მფარველი, ჩვენმა მტრებმა განსაჯონ თავად. <sup>32</sup> რადგან სოდომის ვენახიდან არის მათი ყურძენი, გომორის ზვრებიდან არის მათი ნაყოფი, მწარეა მისი მტევნები. <sup>33</sup> გველეშაპის შხამია მათი ღვინო და ასპიტის დამლუპველი გესლი. <sup>34</sup> ეს ხომ ჩემთან არის დამარბული, ჩემს საგანძურში დაბეჭდილი? <sup>35</sup> მე მივაგებ შურს, მე მივუზღავ, როცა წაიფორხილებენ, რადგან ახლოა მათი დაღუპვის დღე, ისწრაფის მათი ბედიწერა. <sup>36</sup> როცა თავისი ერის განკითხვას დააპირებს უფალი, შეიწყალებს თავის მსახურთ, რადგან დაინახავს, რომ მიხდილი აქვს ღონე, რომ აღარ დარჩა არც ყმა, არც ამატი. <sup>37</sup> იტყვის: სად არიან მათი ღმერთები? კლდე, მათი საესავი? <sup>38</sup> რომელნიც ჭამდნენ მათი მსხვერლის ლურთებს და სვამდნენ მათ ზედაშეს? აბა, ადგნენ და მოგეშველონ, საფარველად გაგიხდნენ! <sup>39</sup> ამიერიდან იცოდეთ, რომ მე ვარ, და არ არის ღმერთი ჩემს გარდა! მე ვკლავ და მე ვაცოცხლებ, მე ვგმირავ და მე ვკურნავ. ვერავინ დაიხსნის ჩემი ხელიდან. <sup>40</sup> რადგან მე აღვმართავ ხელს ცისაკენ და ვამბობ: ცოცხალი ვარ უკუნისამდე! <sup>41</sup> თუ გავლესე ჩემი ელვის მახვილი და ხელი მივყავი განკითხვას, შურს მივაგებ ჩემს მტრებს და ვუზღავ ჩენს მოძულეებს. <sup>42</sup> სისხლით დავათრობ ჩემს ისრებს, გაძლება ხორციით ჩემი მახვილი, დახოცილთა და ტყვეთა სისხლით, მტრის ქოჩორა თავებით. <sup>43</sup> იხარეთ, ხალხებო, მისი ერთი, რადგან აიღებს თავის მსახურთა სისხლს, შურს მიაგებს თავის მტრებს და გაწმედს თავის მიწას, თავის ერს.

## სიმღერის დასრულება

<sup>44</sup> და მივიდა მოსე და წარმოთქვა ამ სიმღერის ყოველი სიტყვა ხალხის გასაგონად, მასთან იყო იესო ნავეს ძე. <sup>45</sup> და დაასრულა მოსემ ამ სიტყვების წარმოთქმა მთელი ისრაელის მიმართ. <sup>46</sup> და უთხრა მათ: გული დაუდევით თითოეულ სიტყვას, რომელსაც ჩაგაგონებთ დღეს, ამცნეთ თქვენს შვილებს, რომ დაიცვან და შეასრულონ ამ რჯულის ყოველი სიტყვა. <sup>47</sup> რადგან არ არის ეს უბრალო ამბავი, არამედ სიცოცხლეა იგი თქვენთვის. ამის წყალობით დღეგრძელი იქნებით იმ მიწაზე, რომლის დასამკვიდრებლადაც გადადიხართ იორდანეს.

### უფლის უკანასკნელი სიტყვა მოსესადმი

<sup>48</sup> და ელაპარაკა უფალი მოსეს სწორედ იმ დღეს, სათქმელად: <sup>49</sup> ადი ამ ყაბარიმის მთაზე, ნებოს მთაზე, მოაბის ქვეყანაში რომ არის, იერიხონის გასწვრივ, და გახედე ქანაანის ქვეყანას, რომელსაც საკუთრებად ვაძლევ ისრაელიანებს. <sup>50</sup> და მოკვდი მთაზე, რომელზეც ახვალ, და შეერთე შენს ერს, როგორც მოკვდა შენი ძმა აარონი ჰორის მთაზე და შეერთო თავის ერს. <sup>51</sup> იმის გამო, რომ მიღალატეთ ისრაელიანთა შორის მერიბას წყლებთან, კადეშში, ცინის უდაბნოში, იმის გამო, რომ ჩემი სიწმიდისაებრ არ მომაგეთ პატივი ისრაელიანებში, <sup>52</sup> ამიტომ შორიდან დაინახავ ქვეყანას, რომელსაც ისრაელიანებს ვაძლევ.

### მოსე აკურთხებს ისრაელის შტოებს და მთელს ისრაელს

**33** <sup>1</sup> და ეს არის კურთხევა, რომლითაც აკურთხა მოსემ, ღვთისკაცმა, ისრაელიანები სიკვდილის წინ. <sup>2</sup> და თქვა: უფალი სინაიდან მოვიდა, სეცირიდან ამოუბრწყინდა მათ; ფარანის მთიდან ამონათდა და გამოჩნდა წმიდა ბევრეულით, მარჯვენით რჯულის შარავანდი ჰქონდა. <sup>3</sup> ნამდვილად, უყვარს ხალხები. მათი ყველა წმიდა კაცი შენს ხელშია, ტრიალებენ

შენს ფეხებთან, რომ მიიღონ შენი სიტყვები. <sup>4</sup> რჯული გვამცნო მოსემ — იაკობის კრებულის შემკვიდრეობა. <sup>5</sup> და გაჩნდა მეფე იეშურუნში, როცა შეიკრიბნენ ერის თავკაცი, ისრაელის შტოები. <sup>6</sup> იცოცხლოს რეუბენმა და არ მოკვდეს! ცოტა ჰყავს ხალხი. <sup>7</sup> ეს იუდასათვის თქვა: ისმინე, უფალო, იუდას ხმა! თავის ხალხთან მიიყვანე იგი, მისი ხელიც საკმარისია მისთვის, შენ კი დაიფარე მტრებისაგან. <sup>8</sup> ლევისათვის თქვა: შენი თუმი-მი და ურიმი შენს მადლიან კაცს, რომელიც მასაში გამოცადე და ედავებოდი მერიბას წყლებთან! <sup>9</sup> რომელიც ამბობს თავის მამაზე და თავის დედაზე: არ მინახავსო ისინი. არ ცნობს თავის ძმებს და არ იცნობს შვილებს, რადგან ინახავდნენ ისინი შენს ნათქვამს და შენს აღთქმას იცავდნენ. <sup>10</sup> ასწავლიან შენს სამართალს იაკობს და შენს რჯულს — ისრაელს, მოგართმევენ საკმეველს საყნოსელად და აღსავლენს სამსხვერპლობე. <sup>11</sup> აკურთხე, უფალო, ძალი მისი და კეთილად მოხედე მისი ხელის ნამოქმედარს! მოსწყვიტე წელი მის მოწინააღმდეგეთ, ველარ გაიმართონ მისი მოძულენი! <sup>12</sup> ბენიამინისათვის თქვა: უზრუნველად იმკვიდრებს უფლის ნებიერი მის წინაშე, მისი ხელი აფარია დღენიადაგ და მის კალთებთან განისვენებს. <sup>13</sup> და იოსებისათვის თქვა: უფლის კურთხევით იყოს მისი მიწა, ცის მადლით — ნამით და უფსკრულებით, ქვეშ რომ გართხმულან. <sup>14</sup> მზის მადლიანი ნაყოფებით და მთვარეთა მადლიანი მოსავლით, <sup>15</sup> ძველი მთების მწვერვალებით და უხსოვარი ბორცვების მადლით, <sup>16</sup> მიწის მადლით და მისი სისავსით. და გადმოვიდეს მაყვლოვანში დავანებულის წყალობა იოსების თავზე და მის ძმებს შორის მოწმიდარის თხემზე. <sup>17</sup> პირველნაშობი ხარის ბრწყინვალეობა აქვს და მარტორქის რქას უგავს რქები, ამით ურქენს ყველა ხალხს ერთიანად ქვეყნის კიდემდე. ესენი არიან ეფრემის ბევრეულნი და მენაშეს ათასეულნი! <sup>18</sup> და ზებულონისათვის თქვა: იხარე, ზებულონ, შენი გამოსვლისას და, ისაქარ, შენს კარვებში! <sup>19</sup> ხალხებს დაუძახებენ მთაზე, იქ შესწირავენ სიმაართლის მსხვერპლს, რადგან ზღვათა

სიმდიდრით საზრდოობენ და ქვიშაში ჩაფლულ-ჩამარხულით.<sup>20</sup> და გადისათვის თქვა: კურთხეულია, ვინც გადი განავრცო, ლომივით წვეს და გლეხს ნადავლის თავ-ფეხს.<sup>21</sup> და საუკეთესო წილი ნახა, რადგან იქ იყო შენახული რჯულმდებლის წილი. მოიყვანა ერის თავკაცნი და აღუსრულა უფლის წესი და მისი სამართალი ისრაელს.<sup>22</sup> და დანისათვის თქვა: ლომის ბოკვერია დანი, ბაშანიდან გამოვარდნილი.<sup>23</sup> და ნაფთალისათვის თქვა: ნაფთალი მაძღარია წყალობით და სავსეა უფლის კურთხევით. მისი სამკვიდროა დასავლეთი და სამხრეთი.<sup>24</sup> და აშერისათვის თქვა: კურთხეულია შვილთა შორის აშერი, სწყალობდნენ ძმები და მირონში ედგას ფეხი.<sup>25</sup> რკინა და რვალია შენი ურდულები — მთელი სიცოცხლე მშვიდად იქნები.<sup>26</sup> არ არის ღმერთი იეშურუნის ღმერთის მსგავსი. ცაშია ამხედრებული შენს შემწედ და ღრუბლებში თავისი დიდებით.<sup>27</sup> თავშესაფარია ძველი ღმერთი და სიღრმეთაგან მკლავი მარადიული. მტერი განდევნა შენგან და თქვა: გაავლე მუსრი!<sup>28</sup> და დავანებულია უბრუნველად ისრაელი, მარტო, იაკობის წყარო რწყავს პურის ყანებს და ვენახებს, მისი ციდანაც წვეთავს ცვარი.<sup>29</sup> ნეტარი ხარ, ისრაელო! ვინ შეგედრება შენ, ხალხო, გადარჩენილო უფლის მიერ, რომელიც შენი მფარველი ფარია და შენი დიდების მახვილი! მტრები დაგიწყებენ ლაქუსს და შენ გადაჯეგავ მათ გორაკებს\*.

### ქანაანის შორიდან მოხილვა და სიკვდილი მოსესი

**34** <sup>1</sup>და ავიდა მოსე მოაბის ველიდან ნებოს მთაზე, ფისგას წვერზე, იერიხონის გასწვრივ რომ არის, და დაანახვა მას უფალმა მთელი გალაადის ქვეყანა დანამდე.<sup>2</sup> და მთელი ნაფთალი, ეფრემის ქვეყანა, მენაშე და იუდას მთელი ქვეყანა უკანა ზღვამდე.<sup>3</sup> და ნეგები და იერიხონის ხეობის მიდამოები, ფინიკთა ქალაქი ცოლარამდე.<sup>4</sup> და უთხრა უფალმა: ეს არის

\* ანუ: საკულტო ადგილებს გორაკებზე.

ის ქვეყანა, რისთვისაც დავუფიცე აბრაამს, ისაკს და იაკობს, შენს შთამომავლობას მივცემ-მეთქი. საკუთარი თვალებით გახილვინე იგი, მაგრამ ვერ შეხვალ იქ.<sup>5</sup> და მოკვდა მოსე, უფლის მსახური, მოაბის ქვეყანაში, უფლის სიტყვისამებრ.<sup>6</sup> და დამარხა\* იგი ველზე მოაბის ქვეყანაში ბეთ-ფელორის წინ და არავინ იცის მისი საფლავი დღევანდლამდე.<sup>7</sup> და ასოცი წლისა იყო მოსე, როცა მოკვდა, და არც თვალს აკლდა და არც სახე ჰქონია დანაოჭებული.<sup>8</sup> და იტირეს მოსე მოაბის ველზე ოცდაათ დღეს და მიიწურა მოსეს ტირილისა და გლოვის დღეები.<sup>9</sup> და იესო ნავეს ძე ავსებუელი იყო სიბრძნის სულით, რადგან ხელი დაადო მას მოსემ და ემორჩილებოდნენ ისრაელიანები და ყველაფერს აკეთებდნენ, როგორც ამცნო უფალმა მოსეს.<sup>10</sup> და აღარ აღმდგარა ისრაელში წინასწარმეტყველი, მსგავსი მოსესი, რომელსაც პირისპირ იცნობდა უფალი, —<sup>11</sup> ყველა იმ ნიშით და სასწაულით, რომელთა მოსახდენად მოავლინა უფალმა ეგვიპტის ქვეყანაში ფარაონის, მის მსახურთა და მთელი მისი ქვეყნის წინააღმდეგ,<sup>12</sup> იმ მაგარი ხელით და დიადი სასწაულებით, რომელნიც მოიმოქმედა მოსემ მთელი ისრაელის თვალწინ.

---

\* გულისხმობენ: „დამარხა უფალმა“.

## **თარგმანის ტექსტისათვის**

„ხუთწიგნეულის“ წინამდებარე თარგმანი საგრძნობლად განსხვავდება ბიბლიის 1989 წლის გამოცემის ტექსტისაგან. დაზუსტებულია ბევრი კონცეპტუალური სიტყვა-ცნება, ეგრეთწოდებული საკვანძო სიტყვები, რომლებიც მსჭვალავს არა მარტო „ხუთწიგნეულის“, არამედ მთელი ძველი აღთქმის ტექსტსაც. თარგმანი მიახლოებულია დედნის სინტაქსს და იდიომატიკას, რამდენადაც ამას ქართული ენის შესაძლებლობა მისი ბუნების შეუბღალავად იძლევა. აღდგენილია და-კავშირი, რომელიც, ერთი მხრივ, თუ თხრობის განგრძობითობას გამოხატავს და მთლიანობაში აქცევს მთელი ”ხუთწიგნეულის” ნარატივს, მეორე მხრივ, იგი ბიბლიური თხრობის სტილის ისეთი თვალსაჩინო ნიშანია, რომელიც, მთარგმნელის შეხედულებით, შენარჩუნებული უნდა იქნას თარგმანში. თარგმანი ვადაძუშავებულია იმ რწმენით, რომ იგი არა მხოლოდ ზუსტად ინფორმაციული უნდა იყოს, არამედ ამასთან ერთად უნდა ინარჩუნებდეს გადმოცემის სტილს, როგორც ენის სულის გამოხატულებას.

ებრაული ტექსტის თითქმის უსასრულო სიღრმე მისი თარგმნის ყოველ ეტაპზე მთარგმნელს უკმარობის განცდას უჩენს და, ამდენად, ახალი ცდებისათვის ღიად სტოვებს დედანს.



